

ქუთაისის
სახელმწიფო ისტორიული

მუზეუმი

100

KUTAISI

STATE HISTORICAL MUZEUM

კრებული XXII

EDITION XXII

100
YEARS



საპარტევლოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA
KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

**ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის
შ რ ო მ ე ბ ი**

კრებული XXII


**WORKS
OF THE STATE HISTORICAL MUSEUM**


EDITION XXII



ქუთაისი 2012 KUTAISI

ລາຍລະອຽດ 100






UDC 069.02:93/94(479.22)(066)
Q-845

კრებული დაარსებულია 1968 წელს

მთავარი რედაქტორი: პროფ. ო. ლანჩავა

რედაქტორი: ისტორიის დოქტორი ნ. ქარციძე



4600. ქ. ქუთაისი, პუშკინის ქ. №18. ტელ: (+995) 431 244972, 245691 ფაქსი: (+995) 431 245691
18 Pushkini str. 4600. Georgia. Phone: (+995) 431 244972, 245691 FAX: (+995) 431 245691
www.histmuseum.ge E-mail: omarilanchava@gmail.com

ISSN 2233-3495

კრებული დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „მგმ-პოლიგრაფის“ სტამბაში
ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. 186
ტელ.: 0 431 23 45 54

ქუთაისის მუზეუმი 100 წლისაა

საქართველოში სიძველეთა აღრიცხვას, მეცნიერულ შესწავლასა და პოპულარიზაციას XIX ს. შუა ხანებიდან ჩაეყარა საფუძველი. ჩვენი ქვეყანა მატერიალური კულტურის ძეგლთა სიუხვით თავიდანვე იპყრობდა ცნობისმოყვარე თუ პროფესიული ინტერესის მქონე უცხოელთა ყურადღებას. თუ ერთის მხრივ, მეცნიერული კვლევებით კეთდებოდა მეტად დიდი საქმე, მეორეს მხრივ, ინფორმაცია მატერიალური კულტურის ნიმუშების ხელმისაწვდომობის შესახებ იზიდავდა კერძო კოლექციონერებს, რომლებიც სიმბოლურ ფასად იძენდნენ უნიკალურ ნივთებს და საზღვარგარეთ გაჰქონდათ. ამას თან ერთვოდა რუსეთის სინოდის მავნებლური პოლიტიკა, რაც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების, მონუმენტური მხატვრობის ნიმუშების გადაკეთება-განადგურებაში გამოიხატა. ამ საშიში ტენდენციების საპირისპიროდ რომ მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიება არ იყო საკმარისი, ქართველი ინტელიგენცია კარგად აცნობიერებდა. კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა საჭიროებდა ორგანიზებული, გეგმაზომიერი მუშაობის წარმართვას მთელი საქართველოს მასშტაბით. მართალია, 1852 წ. თბილისში დაარსდა კავკასიის მუზეუმი, მაგრამ პერიფერიებში მისი საქმიანობა ვერ აღწევდა. ამას განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა დასავლეთ საქართველოს საგუბერნიო ცენტრის- ქუთაისის ინტელიგენცია, რომელიც იმდროინდელი ქვეყნის კულტურული ცხოვრებისათვის ტონის მიმცემი იყო. მათ რამდენიმე წარმომადგენელს XX ს. დამდეგს განუზრახავთ ქუთაისში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნა სიძველეთა შეკრებისა და დაცვის მიზნით. ამის თაობაზე ტრიფონ ჯაფარიძე წერდა: „ქუთაისში საისტორიო საზოგადოების დაარსება და მუზეუმის მოწყობა განვიძრახეთ 1902 წელს, როცა უმაღლესი სასწავლებლიდან გამოყოლილი აღრფთოვანება გვასულდგმულებდა და იდეალებით გამსჭვალული ეროვნულ სულისკვეთებას განვიცდიდით. გვსურდა ქუთაისი მეცნიერულ დარგშიც აგვემუშავებია, რადგან რამდენიმე კულტურული და საქველმოქმედო საზოგადოება უკვე არსებობდა... ჩვენდა სამწუხაროდ, ერთი წლის განმავლობაში ისეთი დამსახურებული და მთავრობისათვის მისაღები პიროვნება ვერ ვიპოვნეთ, რომ თავის თავზე ინიციატივა მიეღო... პირადად მე, როგორც სახელმწიფო სამსახურში ახალშესულს, უარი გამომიცხადეს და ზურგს უკან წაილაპარაკეს: **Захотели в Кутаисе музеи иметь**“.

გარდა ბიუროკრატიული ბარიერისა, ინტელიგენტთა წრის ჩანაფიქრის განხორციელება შეაფერხა რუსეთში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ: ჯერ რუსეთ-იაპონიის ომმა, შემდეგ რევოლუციამ და პოლიტიკური რეპრესიების ტალღამ.

მას შემდეგაც კი, როცა ე. თაყაიშვილის მიერ თბილისში 1907 წ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა, ქუთაისის ინტელიგენციაში არ შეუნწყვეტიათ ფიქრი ადგილზე ამ ორგანიზაციის ფილიალის ანდა დამოუკიდებელი სტრუქტურის შექმნაზე. 1911 წ. შედარებითი პოლიტიკური სტაბილიზაციის პირობებში ეს ეს საკითხი ისევ წინ წამოსწიეს. „თუ საჩქაროდ არ შევუდექით კოლექციების გადარჩენას, უცხოელნი თუ მთლად არა, უმეტეს და უკეთეს ნაწილს ჩვენი სიძველეებისა ჩვენი ქვეყნიდან გაზიდავენ და ამ სახით ჩვენი წარსულის ნაშთები ევროპის სხვადასხვა მუზეუმებში ან საანტიკვარო მაღაზიებში დაიფანტება“- წერდა გრ. გველესიანი 1911 წელს. თანამოაზრეთა თხოვნით, სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგემ იოსებ ოცხელმა წერილობით აცნობა ე. თაყაიშვილს ქუთაისელ ინტელიგენტთა განზრახვა და საკუთარი აზრის გამოთქმა სთხოვა ამ იდეის მიზანშეწონილობაზე: „ვინაიდან არ ვიცით, შესაძლებელია თუ არა, წესდების ძალით, ხსენებული განყოფილების გახსნა, გვსურს ვიცოდეთ, ხომ არ შეუშლის ხელს ქუთაისში განყოფილების დაარსება თქვენს საზოგადოებას. უმორჩილესად გთხოვთ, გვაცნობოთ ამის შესახებ თქვენი აზრი და შეხედულება“. სახელოვანი მეცნიერისაგან უარყოფითი პასუხის

მიღების მიუხედავად, ინიციატორთა ჯგუფი დამოუკიდებელი მოქმედების გზას დაადგა. 1911 წ. 4 დეკემბერს მათ ქუთაისის გიმნაზიაში გამართულ კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება ადგილზე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შესახებ. აქვე შეიქმნა კომისია ექვსი კაცის შემადგენლობით ორგანიზაციის წესდების შესამუშავებლად. შედგენილი წესდების მიხედვით, ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა: „შეგროვება, დაცვა და მეცნიერული შესწავლა არქეოლოგიური, საანთროპოლოგიო, სალიტერატურო, საეთნოგრაფიო, სახუროთმოძღვრო, საქანდაკო, სამხატვრო, სამუსიკო და საზოგადოდ მთელი კულტურული ნაშთებისა.“ ამ მიზნის განხორციელებისათვის საზოგადოებამ გადაწყვიტა მუზეუმის (და მასთან ერთად ბიბლიოთეკის) დაარსება, რომელიც თავს მოუყრიდა და დაიცავდა ყოველგვარ მასალას ჩვენი ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, წესდება ითვალისწინებდა სამეცნიერო შრომების გამოცემას, ექსპედიციების მოწყობას, არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას, ისტორიულ ძეგლთა დაცვა-განახლებას, ისტორიული და ეთნოგრაფიული ცოდნის გავრცელებას ქართველთა შორის საჯარო კურსებისა და ლექციების გამართვით.

1912 წ. 17 ივნისს ხელისუფლებამ დაამტკიცა წარდგენილი წესდება, რითაც ქუთაისში დაარსდა დამოუკიდებელი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება სამუზეუმო განყოფილებით. მისი დამფუძნებლები იყვნენ: „მასწავლებელი ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიისა სამსონ ყიფიანი, ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგე იოსებ ოცხელი, ინსპექტორი ქალთა ეპარქიალური სასწავლებლისა ტრიფონ ჯაფარიძე, მასწავლებელი ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიისა სიმონ ოცხელი და აზნაური კონსტანტინე ჯორჯიკია.“ 1913წ. არჩეული იქნა საზოგადოების გამგეობა 13 კაცის შემადგენლობით. წესდების დამტკიცებისთანავე საზოგადოება შეუდგა ისტორიული, არქეოლოგიური ძეგლებისა და სხვა სიძველეთა შეკრებას. მან შექმნა კორესპოდენტთა (წარმომადგენელთა) ფართო ქსელი, რისი მეშვეობითაც უშუალოდ ადგილებზე ხდებოდა სიძველეთა მოძიება. ასეთი წარმომადგენლები, დასავლეთ საქართველოს ყველა მაზრაში იყვნენ, აფხაზეთისა და სვანეთის ჩათვლით, სულ 28 პირი. ისინი ამ სამუშაოს სრულიად უანგაროდ ასრულებდნენ. სამუზეუმო ნივთების შექმნა ხდებოდა როგორც შესყიდვის, ისე შეგროვების გზით. შორაპნის, ლეჩხუმისა და ზუგდიდის მაზრებში საზოგადოებამ მოაწყო მოკლევადიანი ექსპედიციები, შეკრიბა ბევრი სამუზეუმო ნივთი, აღწერა და შეისწავლა ისტორიული ძეგლები.

ტრიფონ ჯაფარიძე და გრიგოლ გველესიანი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ხშირად მიმართავდნენ მოსახლეობას პრესის საშუალებით. ისინი მკითხველს უხსნიდნენ საზოგადოების საქმიანობის არსს და მიზანს, არწმუნებდნენ მათ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში თავადაც მიეღოთ მონაწილეობა: „თუ ვინმეს სურს თავისი წინაპრის სახელი შეინახოს მისი ნაქონი ძველი ნივთის დაცვით, მით უმეტეს უნდა მისცეს მუზეუმს, რადგან იქ ყველა ნახავს და კერძო ოჯახში ათასში ერთიც არავინ მივა. სახელისათვის განა ის არ სჯობს, რომ ნივთი უმეტესმა რიცხვმა ნახოს? მუზეუმში ყოველ ნივთს დაენერება ვისი ნაქონია, საიდან მოტანილია, ვინ შემოწირა, ვისი შექმნილია და სხვა. ასე, რომ სახელი პატრონისა არასოდეს არ წაიშლება“-წერდა ტრ. ჯაფარიძე 1913წ. ამასთან ერთად, მაღლიერების ნიშნად საზოგადოება სისტემატურად აცნობდა მკითხველს პრესის საშუალებით ნივთების შემომწირველთა ვინაობას. ყოველივე ამან სასურველი შედეგი გამოიღო: სამუზეუმო კოლექციების შექმნასა და შევსებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველ თავადაზნაურთა ოჯახები, ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა, ცნობილი პიროვნებები, რომელთა შორის განსაკუთრებით დიდია „თერგდალეულ“ კირილე ლორთქიფანიძის წვლილი. მან საზოგადოებას გადასცა უმდიდრესი პირადი არქივი და უნიკალური ბიბლიოთეკა, მემორიალური ნივთები.

აღსანიშნავია, რომ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას არ ჰქონდა საკუთარი შენობა

სამუზეუმო ნივთების განსათავსებლად. არადა, დროთა განმავლობაში ნივთების რაოდენობა იზრდებოდა. თავიდან ნივთებს სათავადაზნაურო გიმნაზიის რამდენიმე ოთახში ინახავდნენ, შემდეგ კი იძულებული გახდნენ მუზეუმის განყოფილების გამგის გრიგოლ გველესიანის კერძო ბინა გამოეყენებინათ საცავად. (ახლანდელი პ. იაშვილის ქუჩაზე). სწორედ ამ მისამართს სთავაზობდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება ნივთების შემომწირველებს: „მუზეუმის გამგედ არჩეულია გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი (კაზაკოვის ქუჩა, საკუთარი სახლი) რომლის საფუძველზედაც უნდა გამოიგზავნოს ყოველი ნივთი, იარაღი, სამკაული, ტანსაცმელი, ძველი ფული, მხატვრობა და სხვა, თანაც ცნობები, სად არის ნახული, ვისგან და როდის.“ სამწუხაროდ, ეს პრობლემა მუზეუმისათვის გადაუჭელი დარჩა ასწლეულის განმავლობაში.

თავისი არსებობის მანძილზე (1912-1922წწ.) ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მსოფლიო ომის, რევოლუციისა და საქართველოს ოკუპაციის პირობებში მუშაობის მიუხედავად, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმისმატიკური, საარქივო, ისტორიული დოკუმენტების, უნიკალური ხელნაწერების, სტამბური წიგნების, საეკლესიო და მემორიალური ნივთების სახით თავი მოუყარა მრავალრიცხოვან და მნიშვნელოვან კოლექციებს, რითაც მყარი საფუძველი შეუქმნა მომავალ მუზეუმს.

1922წ. 1 დეკემბერს საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის ბრძანებულებით საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციათა ბაზაზე შეიქმნა ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოში სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის მთავარ ცენტრად იქცა. მუზეუმის დირექტორად დაინიშნა ტრიფონ ჯაფარიძე. მუზეუმს სათანადოდ მოწყობის, დაბინავებისა და სხვადასხვა სახის ხარჯებისათვის გამოეყო 25 მლნ. მანეთი. მუზეუმის დაარსება - ეს ისტორიული მოვლენა ტრ. ჯაფარიძემ 1923წ. 10 ივნისს აღნიშნა პირველი გამოფენის მოწყობით. ამ დღეს ქუთაისის პირველი შრომის სკოლის დარბაზში (ახლანდელი აკ. წერეთლის უნივერსიტეტის შენობა) საზეიმოდ გაიხსნა გამოფენა და საზოგადოებამ იხილა საუკეთესო ნიმუშები მთელი 10 წლის მანძილზე შეგროვილი სხვადასხვა კოლექციებისა.

სახელმწიფო მუზეუმის სტატუსის მოპოვებიდან II მსოფლიო ომამდე ამ დაწესებულებამ მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწია ისტორიული ძეგლების აღრიცხვის, დაცვის, მატერიალური კულტურის ნიმუშების გამოვლენა-შეკრებისა და ფონდების დაკომპლექტებისათვის, რაშიც განსაკუთრებით დიდია ტრიფონ ჯაფარიძის, ევსევ ნიკოლაძის, გიორგი ბოჭორიძის, სარგის კაკაბაძის, პეტრე ჭაბუკიანის, გიორგი კოკოჩაშვილის, ასევე მუზეუმის აქტივისტების: მიხეილ ჩინჩალაძის, გიორგი ტყემელაშვილის, პავლე აბაშიძის, მიხეილ ხეცაძის, ნიკოლოზ თუმანიშვილის, ვასილ ამაშუკელის, ელენე ნაზარიშვილის, სიმონ ხითარიშვილის და სხვათა წვლილი.

50-იანი წლებიდან მუზეუმში შეგროვებითი, სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ახალ ეტაპზე ადის. ეწყობა კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციები მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის მიზნით. თითქმის არ დარჩენილა იმერეთის არც ერთი ქალაქი, რაიონი, სადაც ქუთაისის მუზეუმის ექსპედიციას არ ემუშაოს. საქსპედიციო მუშაობის შედეგად შეკრებილი იქნა დიდძალი ზეპირსიტყვიერი და ნივთიერი მასალა (70 ათასამდე ერთეული), რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქუთაისის საქალაქო ყოფის, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ამსახველ მასალებს. შეგროვილ სამუზეუმო კოლექციებზე დაყრდნობით იქმნება სამეცნიერო ნაშრომები, სადაც დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის, ეთნოგრაფიული ყოფის, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების არაერთი საკითხი ღრმადაა გაშუქებული. 1968 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მუზეუმის კრებულის გამოცემას (დღემდე გამოცემულია 21 კრებული), რისი

მთავარი დანიშნულება სამუზეუმო კოლექციების სამეცნიერო ბრუნვაში მოქცევაა.

მუზეუმის ყოფილი დირექტორის, პროფ. მიხეილ ნიკოლეიშვილის ინიციატივით 1970წ. დაფუძნდა გელათის სახალხო აკადემია, რომელიც ძველი აკადემიის მეცნიერული მემკვიდრეობის და მასთან დაკავშირებული ეროვნული კულტურის პრობლემების შესწავლას ისახავდა მიზნად. აკადემია შეუფერხებლად, წარმატებით მუშაობდა 20 წლის მანძილზე.

მუზეუმის კოლექციათა ბაზაზე დროთა განმავლობაში შეიქმნა მისი ფილიალები: გელათის ძეგლ-მუზეუმის (1923წ.), ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის, სპორტისა (1973წ) და საბრძოლო დიდების (1975წ.) მუზეუმების სახით, რომლებიც ქუთაისის ისტორიული მუზეუმის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ 1991 წლამდე.

90-იანი წლების მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მუზეუმის საქმიანობა და გააუარესა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მდგომარეობას ართულებდა ცალკეული ფონდების ქალაქის 4 სხვადასხვა შენობაში, უმეტეს შემთხვევაში, სათანადო პირობების გარეშე განთავსება, რაც კოლექციების ფიზიკურ არსებობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. მუზეუმის ხელმძღვანელობამ (დირექტორი პროფ. ომარ ლანჩავა) წამოიწყო ზრუნვა მუზეუმის ახალ სივრცეში განთავსებისათვის, რაც 2011 წელს წარმატებით დასრულდა დაწესებულებისათვის ყოფილი ეროვნული ბანკის შენობის გადაცემით, რომელშიც სამუზეუმო კოლექციების განთავსებისა და სტაციონარული გამოფენის მოსაწყობად სამუშაოები ჩატარდება თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების გათვალისწინებით. ასე, რომ ასწლოვან იუბილეს ქუთაისის მუზეუმი თავისი ხანგრძლივი „ოდისეის“ შემდეგ, საკუთარ ჭერქვეშ ხვდება.

დღეისათვის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი განძთსაცავი, მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებაა. არქეოლოგიის, პალეონტოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმისმატიკის, ჭედური და ფერწერული ხელოვნების, საარქივო, ისტორიული დოკუმენტების, ხელნაწერ და ძველნაბეჭდ ნიგნთა, ტექსტილის, ეპიგრაფიკის, ფოტოფონო, ახალი ისტორიისა და სახალხო განათლების, პერიოდული პრესისა და წიგნადი ფონდის 200 ათასზე მეტი ნიმუში ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს არა მარტო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის, არამედ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის.

დავით სულაპერიძე

ფონდების მთავარი მცველი

საქართველოს ARCHAEOLOGY



ქუთაისის „დიდი ბაზილიკა“

გრანდიოზული და გამორჩეულად შთამბეჭდავი ადრექრისტიანული ხანის ნაგებობაა. მისი სიგრძე 38 მეტრია, ძირითადი ნაგებობის სიგანე 15 მეტრი, მინაშენებიანად-29 მეტრი (გეგმა). (სურ.1). დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, დას. საქართველოს ბაზილიკებისათვის სრულიად უჩვეულო სწორკუთხა საკურთხევლით და პასტოფორიუმებისმაგვარი გვერდითი სათავსებით (ზომები: 8X2 მმ), რომლებიც ცენტრალური საკურთხევლიდან კედლებითაა გამოყოფილი და ამბიონის ადგილიც გარკვეულ სიმაღლეზე სწორკუთხად აქვს ამაღლებულ-შემოსაზღვრული. მსგავსი გეგმარების საკურთხევლი საქართველოში ჯერჯერობით დადასტურდა ჭაბუკაურის ეკლესიაზე, რომელიც აღმოჩენილია კახეთში ნეკრესის ნაქალაქარზე და შესწავლილია ნ. ბახტაძის მიერ¹. მისგან განსხვავებით ქუთაისის დიდ ბაზილიკას აქვს ნართექსი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მინაშენები.

ჩრდილოეთი მინაშენი ორგანყოფილებიანი სათავსია. მონაცემების მიხედვით იგი სანათლავის ფუნქციას ასრულებდა. მის ინტერიერში აღმოჩენილია სწორკუთხა ფორმის, ჰიდრავლიკური ხსნარით შეღესილი აუზის კედლები, რომელსაც უერთდება აგურებით ნაგები და მოპირკეთებული სარიტუალო ღვარსადენი არხი (სურ. 2), რომელიც თავდაპირველად გაუყვებოდა სანათლავის აღმოსავლეთის კედელს, შემდეგ მკვეთრად, მართი კუთხით უხვევდა დასავლეთისაკენ და ისე უერთდებოდა სანათლავ აუზს. მასში დიდი რაოდენობით ჩალექილია ადრექრისტიანული ხანის სამშენებლო კერამიკა: აგურების, მალაბორტიანი სოლენისა და კალიპტერის ფრაგმენტები. სანათლავის მეორე განყოფილება შემდეგაა მიშენებული ბაპტისტერიუმზე დასავლეთის მხრიდან. სწორედ ცენტრალური დარბაზიდან (ნაოსი), ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარით (სურ. 3) შეიძლება მოხვედრა ამ მინაშენში და შემდეგ სანათლავში ან პირიქით.

ნაგებობის მეორე სამხრეთი მინაშენი ერთგანყოფილებიანი სათავსია და მისი ზუსტი დანიშნულება ამჟამად ჩვენთვის უცნობია. შესაძლოა, იგი მღვდელ-დიაკვანთა მოსასვენებელ სათავსოთადაც წარმოვიდგინოთ; მის გვერდით, დასავლეთის მხრიდან კარის ღიობის კვალი ჩანს, რომლის ზღურბლი ვარდისფერი ჰიდრავლიკური ხსნარით იყო მოღესილი (სურ. 4). ამ კარით სამხრეთით ტაძრის ეზოში შეიძლება გასვლა. ხოლო საერთოდ დარბაზში შესვლა ხდებოდა დასავლეთის (ცენტრალური), სამხრეთის და ჩრდილოეთის კარებების საშუალებით. მათ შორის პრიორიტეტული მნიშვნელობა დასავლეთის მთავარ შესასვლელს ჰქონდა, რაც ვიზიტორისათვის ინტერიერის აღქმის კარგ შესაძლებლობას იძლეოდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნაგებობის სივრცითი ორგანიზაციის საკითხი. აქ ნაგების გამყოფ საყრდენებად ხის სვეტები (კოლონები) ჩანს გამოყენებული. ისინი იმდენად ჩანს განადგურებული რომ, დარბაზის ჩრდილოეთ ნაწილში მხოლოდ ორი ორმო იქნა დაფიქსირებული, სავარაუდოდ, სვეტის ძირისათვის განკუთვნილი. ნაგების გამყოფ ელემენტებად ხუთი წყვილი ხის სვეტი უნდა წარმოვიდგინოთ, ასევე ხის მზიდი კონსტრუქციებისაგან შედგენილი ორკალთა სახურავით. ამის მაგალითები მრავლად მოიპოვება ქრისტიანული სამყაროს როგორც დასავლეთ ისე განსაკუთრებით აღმოსავლეთ პროვინციებში. (სირია, პალესტინა). უძველესი ბაზილიკების ორკალთა სახურავები უმთავრესად ხის მზიდი კონსტრუქციებს ეყრდნობოდა, რომელიც ან გამჭვირვალედ ჩანდა დარბაზის ინტერიერიდან ან ხისავე ქერით იყო „აფიცრული“².

აკად. გ. ჩუბინაშვილი³ სავსებით სამართლიანად ბაზილიკების უძველეს ნაირსახეობად მიიჩნევს ორკალთა გადახურვის მქონე ეკლესიებს. იმის გამო, რომ ასეთი ძეგლები უპირატესად გავრცელებულია სირიაში და მცირე აზიაში ზოგიერთი მეცნიერი მათ მცირეაზიურ ტიპადაც

თვლის⁴. ზოგიც კიდევ, ბაზილიკების აზიურ პროტოტიპად⁵. სამნავიანი ბაზიკების ქართველი მკვლევარი ნ. ჯაბუა ორკალთა სახურავიანი ძეგლების ინტერიერის თავისებურ გადანწყევტას ეხება: ის რომ შუა და გვერდით ნაგებებს შორის სიმაღლეში განსხვავება მცირეა და არ არსებობს ცენტრალური სივრცის შუა ნაგებში გაჭრილი სარკმლებით განათების შესაძლებლობა—ეს ტრადიციული სამნავიანი ბაზილიკებისაგან განსხვავებულ ინტერიერს ქმნის, ასევე განსხვავდება ექსტერიერიც ე. წ. „ბაზილიკური ქრილის“ მიხედვით⁶. საქართველოში სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობის ქრონოლოგიურ საზღვრად ძირითადად V–XI საუკუნეებს თვლიან, ხოლო მათი აქტიური მშენებლობის პერიოდად V–VI საუკუნეებია მიჩნეული⁷.

არქეოლოგიური კვლევის შედეგები დამაჯერებლად მიუთითებს იმაზე, რომ ქუთაისის დიდი სამნავიანი ბაზილიკის სივრცულ-გეგმარებით აღნაგობაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა ის თვითმყოფადი სტილი, რაც V–VI საუკუნეების საქართველოს ბაზილიკებისათვის იყო დამახასიათებელი. აქ ისე როგორც ჭაბუკაურის ეკლესიაში ხუროთმოძღვრული თემა ნასაზრდოები ჩანს IV–V საუკუნეების რომაულ-ბიზანტიური სამყაროს ბაზილიკური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ტენდენციებით, თუმცა მის სხვადასხვა დეტალში იგრძნობა აღმოსავლურ–ქრისტიანული ძეგლებისათვის დამახასიათებელი კერძო ნიშნები: (მარკუთხა გეგმარების საკურთხეველი, პასტოფორიუმების მსგავსი გვერდითი სივრცეები, მინაშენები, რომელიც სანათლავად და მღვდელ-დიაკვნების მოსასვენებლად იყო განკუთვნილი, ორკალთა სახურავი).

მორთულობის ელემენტთაგან საგანგებოდაა აღსანიშნავი ღია, ვარდისფერი, ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკი, რომლითაც მოპირკეთებული იყო არა მხოლოდ ძირითადი ნაგებობის ნაწილი, არამედ სანათლავიც. ნაგებობის ადრეულობაზე აგრეთვე მეტყველებს ის, რომ მას არ გააჩნია პილასტრები. ამის დასტურია სანათლავის ცალკე არსებობაც, თანაც ის, რომ სანათლავის სარიტუალო არხებში ჩაღებულა გვიანანტიკური ხანის არტეფაქტები (მაღალბორტიანი კრამიტები, აგურები და სხვ.), რომელიც მკაფიოდ მიუთითებს ეკლესიის ფუნქციონირებას (და განადგურებას) ადრექრისტიანულ ხანაშივე (IV–VI სს.). ნაქალაქარზე მშენებლობის ანალოგიური ტექნიკა და წესი თანაც ზუსტი ანალოგია, კონწოლის სამეფო სასახლეზეა დადასტურებული, რომელიც სტრატეგრაფიული თვალსაზრისით კარგადაა შესწავლილი და IV საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული. ორთავე ნაგებობა რიყის ქვის საძირკველზეა ამოყვანილი (სიმაღლე 0, 80 სმ.) და მცირე ზომის, მყიფე ჯიშის შუბლგამოყვანილი კირქვისაგანაა ნაგები. ორივეგან კედლების სიგანე 140 სმ. უტოლდება, შემორჩენილია ერთ მეტრამდე სიმაღლის კედლები (სურ. 5, 6), დუღაბი ჭარბკირიანია და რიონის ხრემნარევე სილაზეა დამზადებული.

ის რომ ნაგებობა კრამიტით იყო გადახურული ამას ადასტურებს ნგრევისა და სამშენებლო ფენაში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი სოლენისა და კალიპტერის ფორმის ფრაგმენტები. ასევე მართკუთხა და სამკუთხა ფორმის აგურები, რომელიც გვიანანტიკური ხანისათვის არის დამახასიათებელი. იმის გამო, რომ ეს შენობა საკულტო ნაგებობას წარმოადგენდა და მისი განადგურება ერთბაშად არ მომხდარა, სამწუხაროდ, მცირე რაოდენობით შემოინახა საყოფაცხოვრებო კერამიკა, თუმცა მაინც იშვიათად გვხვდება სარტყლისებურად ტანდალარული ამფორის ფრაგმენტები და სხვა არტეფაქტები, რომელიც განსაზღვრავს ნაგებობის ფუნქციონირების თარიღს. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ხელით ნაძერწი ანტიფიქსი, რომელიც წარმოადგენს რომბისებური ფორმის თიხის ფირფიტას, რომლის ზედაპირზე ტოლმკლავა ჯვარია რელიეფურად გამოყვანილი (ამოზიდული). როგორც ცნობილია, ანტიფიქსები ძირითადად ყალიბში მზადდებოდა. ჩვენს შემთხვევაში იგი ხელით ნაძერწია, რაც ერთი მეტყველი ნიშანია მისი ადრეულობისა (სურ. 7), ამასვე მოწმობს მასზე გამოსახული ჯვრის ფორმაც.

როგორც დავინახეთ ნაგებობა ადრექრისტიანული ხანის სამნავიანი ბაზილიკების ჯგუფს

განეკუთვნება. მასში არქიტექტურული ტიპის კონცეფცია მკაფიოდ არის გამოკვეთილი. ხაზგასმულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ღერძზე დამხრობა, ნათლად გამოირჩევა შიდა სივრცის მთვარი და დაქვემდებარებული ნაწილები, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება ჰარმონიული წონასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული. ისე როგორც შემდგომში დასავლეთ საქართველოს სხვა ბაზილიკებში. როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველო გამოირჩევა ბაზილიკური თემის მრავალფეროვნებით, ამის დასტურია პირველ ყოვლისა საკუთრივ ქუთაისის ბაზილიკები⁸, ასევე ნოქალაქევის⁹, ბიჭვინტის¹⁰, ციხისძირის¹¹, სეფიეთის¹², განთიადის¹³ და სხვ. ვფიქრობ, სრულიად ნათელია ქუთაისის დიდი ბაზილიკის განსაკუთრებულობა, (მასშტაბი, მშენებლობის დრო და უზადო ტექნიკა, სამშენებლო მასალა, ტრადიცია).

სამნავიანი ბაზილიკების, როგორც ქრისტიანული ხუროთმოძღვრების არქიტექტურული ტიპის ქუთაისში ადრეული ხანიდანვე დამკვიდრება ქრისტიანულ სამყაროსთან სრულფასოვანი ინტეგრაციის შედეგია და კულტურული ურთიერთობების მჭიდრო ინტენსიობაზე მეტყველებს.

სრულიად ნათელია, რომ ეს ეკლესია ოფიციალური სტატუსის მქონე ნაგებობა იყო. სავსებით დასაშვებია მისი წარმოდგენა ეპისკოპოსის რეზიდენციადაც, თუკი ჩავთვლით, რომ ახ. წ. IV საუკუნეში ქუთაისის სამეფო ქალაქი და შესაბამისად საეკლესიო ცენტრია. ალბათ დადგა დრო ისტორიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა ნაშრომებში გათვალისწინებულ იქნას ქუთაისის არქეოლოგიური კვლევის ბოლოდროინდელი შედეგები, რაც არსებითად შეცვლის აქამდე დოგმატურულ დებულებებს ქუთაისის სტატუსის (დედაქალაქობის) და ქრისტიანობის გავრცელების შესახებ.

დიდი ბაზილიკის განახლება-გადაკეთება IV საუკუნის შუა ხანებიდან VI საუკუნის შუახანებამდე არაერთხელ მომხდარა. დროის ამ მონაკვეთში ზოგჯერ მისი ფუნქციონირებაც ჩანს შეჩერებული. ამას მიუთითებს ნართექსის იატაკზე განთავსებული მიწის ფენა, რომელშიც იკითხება ნგრევისა და ხანძრის შრეები. (სურ. 8).

V საუკუნის მეორე ნახევარში ამავე შენობაში ჩართული ჩანს ოთხსათავსიანი სექციური ნაგებობა, რომლის ერთ-ერთ სათავსში ხანგრძლივი ცეცხლის ნათებისაგან გადაწვებული იატაკი დაფიქსირდა, ხოლო მეორე განყოფილებაში ფართო, ბრტყელძირიანი სადაზედაპირიანი ქვევრი. ყოველივე ეს ნაკლებად უკავშირდება ქრისტიანულ კულტმსახურებას, სავარაუდოდ, აქ ცეცხლის კულტის არსებობასთან შეიძლება გვექონდეს საქმე V საუკუნის მეორე ნახევარში. VI საუკუნის მეორე მეოთხედში ბაზილიკა საფუძვლიანად ჩანს განახლებული. თუმცა მალე ეგრისში, ბიზანტია-ირანის „დიდი ომიანობის“ დროს (VI ს. შუა ხანები) მთლიანად ჩანს განადგურებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბიზანტიელთა მიერ ეგრისის წარმატებულმა ოკუპაციამ, განარისხა პოზიციადათმობილი ირანელები და შურისძიების მიზნით დიდი ბაზილიკა მიწასთან გაასწორეს. წინამდებარე ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე არქეოლოგიური კვლევის შედეგების უფრო დეტალური ანალიზი ამჟამად საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ.

ლიტერატურა:

1. **ბახტაძე ნ.**, ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის. ძიებანი, №19. თბ., 2010 წ., გვ. 210; იხ. იქვე დასახ. ლიტერატურა.
2. **ბახტაძე ნ.**, ნეკრესი (ავტორ-შემდგენლები: ნოდარ ბახტაძე, ნათელა თევდორაშვილი, გიორგი ბაგრატიონი), ნეკრესი 2010 წ.
3. **ჩუბინაშვილი გ.**, ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1936 წ., გვ. 32 და შმდ; **ბერიძე ვ.**, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974 წ., გვ. 22-25.
4. **ჯაბუა ნ.**, სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში. თბ., 2009 წ., გვ.

151., იქვე დასახ. ლიტერატურა.

5. **Шуази О.**, История архитектуры. т. II., Москва., 1957 г., стр. 54., **Чувинашвили Г.**, Архитектура Кахети. ТБ., 1959 г., стр. 138.

6. **ჯაბუა ნ.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 151, 152; სამნავიანი ბაზილიკების გადახურვის რამოდენიმე ხერხს გამოყოფს და მათ შორის ხის ძელებიან გადახურვას მიუთითებს, რომელიც ადრექრისტიანული ხანის სირიის ბაზილიკებში გამოიყენებოდა.

7. **ჯაბუა ნ.**, სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში. თბ., 2009 წ., გვ. 2004.

8. **ლანჩავა ო.**, ქუთაისის შიდაციხის ბაზილიკა. ქართველური მემკვიდრეობა X. ქუთ., 2006 წ., გვ. 156-161; **ლანჩავა ო., ისაკაძე რ.**, არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში. ჟურნალი-ძველი ხელოვნება დღეს. 2010 წ., გვ. 4-13; **ისაკაძე რ.**, ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები. ქართველური მემკვიდრეობა XIII, ქუთ., 2009 წ., გვ. 138-153.

9. **კაპანაძე თ.**, ნოქალაქევის ბაზილიკები. კრ. ნოქალაქე-არქეოპოლისი. 1987 წ., გვ. 90-125.

10. **ციციშვილი ირ.**, ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი. კრ., დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977 წ., გვ. 83-120.

11. **ინაიშვილი ა.**, პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები II. თბ., გვ. 91-107.

12. **Закарая П.**, Базилика западной Грузии. IV международный симпозиум по грузинскому искусству. ТБ., 1983 г.

13. **Леквинадзе В. А.**, Гантиадская Вазилика. Советская археология №3., М., 1970 г., стр. 162-174.

Omar Lanchava

KUTAISI GREAT BASILICA

It is a grandiose early christian edifice making a distinct impression. Its of 38m. length and the 15m. of breadth, with annexes – 29m. (a plan, ill. 1). Its elongated from west to east. The rectangular - shaped sanctuary is absolutely atypical for the Georgian basilicas, it has rooms at both sides, separated by walls from the sanctuary. The squared ambion, which bounders the sanctuary, is elevated on a certain height. The ruins of similar planning is found at Nekresi in Kakheti region, but unlike this one the Bagrat basilica has a narthex and the annexes by its northern and southern sides.

The northern annex worked as a baptistery and its divided into two parts. The square – shaped reservoir discovered in the interior of this annex is edged with the hydraulic dilution, water ran to reservoir with the help of the ritual chute made of brick. The great immense of the early christian constructive pottery were found in the chute: bricks, the high-edged solen and the fragments of the calypter. The west part of the northern annex was build later, its entrance lays through the central nave.

The southern annex is a single- naved compartment, its function is uncertain. Supposedly it served as a relax room for the clergy. The annex has a main entrance to the west side and the two doors to the southern and the northern sides.

The inner space of the basilica causes the special interest. The interior had the divisions of the three-

aisled basilica, with the nave separated from the aisles by columnar arcades. two-sloped wooden roof rested upon the five pair of wooden columns. Only two pitches made for pillars are remained at the northern part of the nave. The type of three-aisled basilica having the two-sloped wooden roof, is not uncommon for early christian – both for oriental and western ecclesiastical constructions. According to academician G. Chubinashvili this type comes from the constructive style of the Asia Minor and Syria. The researcher of the three-naved Georgen basilica N. Jabua points out the constructive peculiarity of the basilicas having the two-sloped roof: in this case the central nave height is slightly differ from side aisles and there are no windows on its façade, so its atypical for traditional basilicas` buildings.

The most active period of erecting the basilicas in Georgia comes on V-VIcc. The archaeological research conclusions prove the lack of its independent style in the planning and constructing the Kutaisi Great Basilica. It bears the influence of the Roman – Byzantine architectural trends of the IV – Vcc. and is close to the oriental christian traditons in some details, such as: the rectangular form of the sanctuary bay, flanked by the analouge shaped rooms, the annexes and the two-sloped roof.

The relation of the Great Basilica to early times is revealed in some details – the pink calcareous cement used as the floor, the baptistery at the northern side, ceramic artifacts – tiles, rectangular – shaped and triangle- shaped bricks, the handmade rhomb-shaped antefixes with the embossed figure of the cross. The building also reveals the constructive similarities with the other IV-Vcc.ies` buildings of Kutaisi Fortress, such as “kontsoli” royal palace.

Now the relation of The Great Basilica to the three-aisled basilican types is vivid and the architectural conception is well revealed in its forms.

The existance of three-naved early christian basilica in the west Georgia and namely in Kutaisi proves that christianity had been penetrated to this region from the very early times.

The Great Basilica seems to be reconstructed many times during the IV-V cc. In Vc. the building included within four-sectioned construction bearing the imprint of the fire. We suppose it was also the center of fire-worship at this period. In the middle of VIc. the basilica was absolutely ruined during “The Great Wars” going on between Byzantine and Iran.

According to the type of the work we consider the archaeological research conclusions not to be interpreted in more details.



მარინე ფირცხალავა, მბარ ლანჩავა

აღრეანტიკური ხანის სამარხის ნაშთები ზესტაფონიდან

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ- მუზეუმში დაცულია ლითონის ნივთების მცირე კოლექცია, რომელიც წარმოადგენს 1928 წელს ზესტაფონში, ფერომარგანეცის ქარხნის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების ნაკრებს — სავარაუდოდ, დარღვეული სამარხის (ან სამარხების) ნაშთებს (კოლექციის № 5453/A-45; ძველი № 2928). მის შემადგენლობაშია ცხენის აკაზმულობის ბრინჯაოსა და რკინის ნაწილები (ბრინჯაოს ზარაკი და ასხმულა, რკინის ორი წყვილი ლაგამი საყბურითურთ), რკინის იარაღი (აკინაკი და საომარი ცული), და ბრინჯაოს ჭურჭლის, ე.წ. სიტულის ფრაგმენტები (იხ. კოლექციის ფოტო). კოლექციის კომპონენტების ერთობლიობა მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს მხედრის აღჭურვილობის ელემენტების ერთიან კომპლექსთან, რასაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თითოეული მათგანის ტიპოლოგიაზე დაფუძნებული ქრონოლოგია. განვიხილოთ ყოველი მათგანი.

ცხენის აკაზმულობის ნაწილები: ა. ორი წყვილი ერთი და იმავე ტიპის რკინის ლაგამი, ორნაწილიანი, გამოჭედილი საყბურებთან ერთად (სურ. 1-2). ლაგამის ღეროები წახნაგოვანია, ოთხკუთხაგანიკვეთიანი, ერთმანეთზე გადაბმულია თითო რგოლით; გადაბმის ადგილას ლაგამის თითოეული ღერო გაფართოებულია. ყოველი საყბურე წარმოადგენს ფირფიტას, რომლის ბოლოები გარეთკენაა ოდნავ გადახრილი; მასზე სამი ნახვრეტია — ერთი დიდი, გაჭრილი საყბურის შუა ნაწილში, მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხედის ფორმისა, სადავისთვის განკუთვნილი, ხოლო მის ორივე მხარეს მოთავსებულია თითო პატარა ნახვრეტი ალვირის სათაურის ღვედების გასაყრელად; ამ ნახვრეტების გასწვრივ საყბურის გარეთა კიდე ნახვრეტების ზომების შესაბამისად გამობერილია და მარყუჟების იმიტაციის შთაბეჭდილებას ქმნის (საერთო სიგრძე 16 სმ და 16,2 სმ).

ეს საკმაოდ იშვიათი ტიპია ლაგამისა — ზესტაფონის აღმოჩენის გარდა, სადღეისოდ ჩვენთვის ამიერკავკასიიდან ცნობილია მხოლოდ ერთი ამ ტიპის ლაგამი, შემთხვევით აღმოჩენილი ვერეშჩაგინის ბორცვის ნამოსახლარზე (სურ. 3) [Эрлих В.Р. 2010: 77-78, სურ. 4, 4], ხოლო კავკასიის ფარგლებს გარეთ სავსებით ანალოგიური ტიპის რკინის ლაგამი ნაპოვნია წინა აზიაში, დევე ჭუიუკის II ჯგუფის (ძვ.წ. 480-380 წწ) ერთ-ერთ სამარხში (სურ. 4) [Moorey P.R.S. 1980: 8, 72, სურ. 10, № 230]; ასე რომ სულ ოთხი ეგზემპლარი გვაქვს (მოსალოდნელია მათი რიცხვის გაზრდა), კონსტრუქციითაც და დეტალების მხრივაც ისინი სავსებით ერთნაირია და საქართველოს ლაგამებისადმი მიძღვნილ საგანგებო გამოკვლევაში მოიხსენიებიან, როგორც “ადგილობრივი ტრადიციის იშვიათი ტიპის რკინის ლაგამები” [Эрлих В.Р. 2010: 77-79, სურ. 4, 4; ტაბ. 1, 9, 10].

კონსტრუქციის მიხედვით რკინის ეს ლაგამები განეკუთვნება საყბურებთან მყარად დამაგრებული ლაგამების კატეგორიას. ამ კატეგორიის, ე.წ. უძრავი კონსტრუქციის ლაგამ-საყბურთა პირველი ბრინჯაოს ეგზემპლარები, სადაც ლაგამი საყბურთან ერთადაა ჩამოსხმული, ძვ.წ. IX — VIII სს მიჯნაზე ჩნდება მანას რეგიონში, სადაც მეცხენეობას დანიშნულებული ადგილი ეკავა, და მოძრავი კონსტრუქციის ლაგამებთან თანაარსებობს. შემდეგ ევრაზიის დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება და საუკუნეთა მანძილზე მოდიფიკაციას განიცდის [Иванчик А.И. 2001: 184, 194]. აქემენიდურ ხანაში მთელ წინა აზიაში მხოლოდ ამ კონსტრუქციის სპეციფიკური ტიპის ბრინჯაოს ლაგამებია გავრცელებული და მათ „აქემენიდური ტიპის ლაგამების“ სახელით მოიხსენიებენ (სურ. 5, 7, 8) [Иванчик А.И. 2001: 194; Moorey P.R.S. 1980: 70-72, სურ. 10, 227-229]. მოგვიანებით ე.წ. აქემენიდური ტიპის ალვირი პოპულარული ხდება საბერძნეთშიც (სურ. 6) [Moorey P.R.S. 1980: 71-72; Эрлих В.Р. 2010: 74; Куфтин Б.А. 1941: 60-61, სურ. 58ა — 1], და რაც ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, აქემენიდური ტრადიციის ალვირი ამიერკავკასიაშიც, კერძოდ კი ანტიკური ხანის

საქართველოს ცხენის აკაზმულობაშიც მკვიდრდება (სურ. 9, 10) [Куфтин Б.А. 1941: 61, სურ. 58ა. Эрлих В.Р. 2010: 71-73, სურ. 2. სულთანოვილი ი. 2005: 121-125, ტაბ. XI, XXIV. მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: ფოტო 73, 77, 81, 83-84. გაგოშიძე ი. 1968: ტაბ II]. ბრინჯაოს ეს ლაგმები, როგორც ვთქვით, საყბურებთან ერთადაა ჩამოსხმული; ლაგმის ღეროები დაფარულია რიგებად განლაგებული ბრინჯაოს პანია ბურცობებით; საყბურებს აქვთ სწორი ან გარეთკენ მოხრილი მოყვანილობა და შუა ნაწილში სადავისთვის განკუთვნილი დიდი რგოლი-მარყუჟი, რომლის აქეთ-იქით თითო ხვრელია ღვედებისათვის. მათი არსებობის ხანად ძვ.წ. VI ს-ის დასასრული და ძვ.წ. IV ს არის შემოთავაზებული [გაგოშიძე ი. 1968: 45. Лордкипанидзе Г. А. 1978: 88. Эрлих В.Р. 2010: 74]. საქართველოში აღმოჩენილ ამ ტიპის ბრინჯაოს ლაგმებში რამდენიმე ვარიანტი გამოყოფილი საყბურის მოყვანილობის მიხედვით და აქედან ერთი, ვ. ერლიხის კლასიფიკაციის III ვარიანტი, იმითაა გამოჩეული, რომ საყბურზე ხვრელების ნაცვლად დიდი რგოლის ორივე მხარეს ასევე მარყუჟებს ვხვდებით (საირხე, წითელი შუქურა, ვანი, აწყური, ცხეთა) [ნადირაძე ჯ. 1990: 157-158, ტაბ. X,2. Эрлих В.Р. 2010: 72-73, სურ. 2, 5,6,7. მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: ფოტო 73, 77. Трапш М.М. 1969: 185, ტაბ. XXII,2. Лордкипанидзе Г. А. 1978: ტაბ. VIII,1. Куфтин Б.А. 1941: 60-61, სურ. 58ა-5. სულავა ნ. და სხვ., 2012: 29] (სურ. 11-13, 15). კომპლექსების ინვენტარის მიხედვით ისინი ძვ.წ. VI ს-ის დასასრულსა და ძვ.წ. V ს-შია გავრცელებული [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 59. Эрлих В.А. 2010: 73]. მარყუჟიანი ვარიანტი ირანის ტერიტორიიდან არ არის ცნობილი და მხოლოდ საქართველოში აღმოჩენილი „აქემენიდური ტიპის“ ლაგმებისთვისაა დამახასიათებელი [Эрлих В.А. 2010: 73]. საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ ვარიანტის ერთი ნიმუშია ცნობილი კიევის ისტორიული მუზეუმიდან, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია (სურ. 14) [Иванчик А.И. 2001: 181, სურ. 86]. ამ გარემოებამ აფიქრებინა ვ. ერლიხს, რომ „აქემენიდური ტიპის“ ლაგამ-საყბურის აღნიშნული ვარიანტი შეიძლება ჩაითვალოს „აქემენიდური ტიპის“ ლაგმის ადგილობრივ, კოლხურ განვითარებად (Эрлих В.Р. 2010: 73).

ჩვენ ასე დანვრილებით იმიტომ შევჩერდით „აქემენიდური ტიპის“ ლაგამთა ტიპოლოგიაზე, რომ არის მოსაზრება, თითქოს ზესტაფონის რკინის ლაგამ-საყბურის ტიპის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ბრინჯაოს ლაგამ-საყბურის სწორედ ეს III ვარიანტი: ჯერ კიდევ პ. მურმა გამოთქვა ვარაუდი, რომ დევე ჰუიუკის რკინის მყარი კონსტრუქციის ლაგამი, ზუსტი ანალოგია ზესტაფონის ლაგმებისა, ახალი ტექნოლოგიური ნაბიჯია ლაგმის განვითარებაში, როცა ლაგმის ღერო და საყბური ერთადაა გამოჭედილი, და ის პირდაპირი იმიტაციაა ბრინჯაოს უძრავი კონსტრუქციის ე.წ. აქემენიდური ტიპის ლაგმებისა [Moorey P.R.S. 1980: 72]. ვ. ერლიხი კიდევ უფრო აკონკრეტებს ლაგმის ტიპს და მიაჩნია, რომ ზესტაფონის ტიპის ლაგმის გამოჭედვისას ოსტატი მჭედელი ბაძავდა ე.წ. აქემენიდური ტრადიციის უძრავკონსტრუქციანი ბრინჯაოს ლაგმების იმ ვარიანტს (III), რომელსაც სამმარყუჟიანი საყბური აქვს [Эрлих В.Р.2010: 78] და რომელიც, როგორც ვნახეთ, მხოლოდ საქართველოში ნაპოვნი ლაგმებისთვისაა დამახასიათებელი. ასე რომ III ვარიანტის ბრინჯაოს ლაგმების ანალოგიურად ზესტაფონის რკინის ლაგმებიც ძვ.წ. VI ს-ის დასასრულითა და ძვ.წ. V ს-ით შეიძლება დათარიღდეს. თუ ეს მართლაც იმიტაციაა, უნდა ვიფიქროთ, რომ რკინის და ბრინჯაოს ნიმუშებს შორის არსებული განსხვავება განსხვავებულმა მასალამ და ტექნიკურმა პროცესმა განაპირობა — სადავისთვის განკუთვნილი დიდი რგოლის ადგილი საყბურზე დიდმა განაჭრმა დაიკავა, მცირე მარყუჟები კი საყბურის გამობერილკონტურიან ნაწილზე არსებულმა ნახვრეტებმა.

ბ. ბრინჯაოს ე.წ. ასხმულა, ცხენის აღვირის სათაურის ღვედების განმანაწილებელი, ე.წ. ფრინველის ნისკარტისებური მოყვანილობის. ღრუა, სხმული ბრინჯაოსი; ცილინდრულ ფუძეზე ორი ხვრელი აქვს ერთიმეორის მოპირდაპირე მხარეს. ფუძიდან მოემართება მორკალული ნისკარტის ფორმის

დეტალი. ხვრელების დიამეტრი ფუძის დიამეტრის ტოლია — 2 სმ. ნივთის სიგრძე 7 სმ-ია (სურ. 16).

ნისკარტის მოყვანილობის სხვადასხვა მასალის ასხმულები — ოქროსი, ბრინჯაოსი, ძვლისა/რქისა — კარგადაა ცნობილი საქართველოს შეკაზმულცხენიანი კომპლექსებიდან (ციხიანა, ნაცარგორა, ითხვისი, საირხე) [Нуцубидзе А. 1978: 69-70, ტაბ. 24,5. Эрлих В.Р. 2010: სურ. 9, 4. გაგომიძე ი., ჩგოგობერიძე ნ., მახარაძე გ. 2006: 59, სურ. 53. მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: ფოტო 75,76,79,80] (სურ. 17–20, 22). ამ ფორმის ასხმულებში, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, კავკასიასა და ურარტუში, არჩევენ ორ ტრადიციას — ადრესკვიტური ხანის ჩრდილოეთ შავიზღვისპირულ/ჩრდილოკავკასიურსა და აქემენიდურს [Эрлих В.Р. 2010: 84-85]. ასეთი დაყოფით ზესტაფონის ასხმულა უფრო აქემენიდური ტრადიციის ჯგუფს მიეკუთვნება. აქემენიდურ ხანაში ამ ფორმის ასხმულები გამოსახულია პერსეპოლისის რელიეფებზე (ძვ.წ. VI-V სს), ხოლო მსგავსი ქვის ნიმუშები ნაპოვნი იყო პერსეპოლისის საგანძურში (სურ.23) [Erlikh V.R. 2010: 59, სურ. 11, 16-18]. ჩრდილოშავიზღვისპირული ტრადიციის ლითონის ასხმულები, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, საფუძვლად დაედო აქემენიდური ტიპის ჩამოყალიბებას, ადრესკვიტური ხანის (ძვ.წ. VII-VI სს) კომპლექსებში ჩნდება [Галанина Л.К. 1997: 124 - 126. Эрлих В.Р. 2010: 85]. ეს მცირე ზომის მოცულობითი ფორმები მტაცებელი ფრინველის თავის ძლიერ სქემატიზირებული გამოსახულებებია (სურ. 21, 24), სადაც მოტივი დაყვანილია მხოლოდ ორი ნაკეთის — დიდი თვალისა (ნახვრეტის სახით) და მოხრილი ან მოკაუჭებული ნისკარტის გადმოცემამდე. ზესტაფონის ასხმულას ანალოგიური ნიმუშებიც (ციხიანა, საირხე, ითხვისი) ამ ნიშნების მატარებელია იმ განსხვავებით, რომ ისინი გაცილებით დიდი ზომისანი არიან -- სიგრძე საშუალოდ 5-9 სმ-ია, ფუძის დიამეტრი კი 2-2,2 სმ, მაშინ როდესაც ე.წ. სკვიტური ნიმუშები, შეიძლება ითქვას, მინიატურულია: მათი სიგრძე საშუალოდ 1,8-2,3 სმ-ია, ფუძის დიამეტრი კი 0,8-0,9 სმ [Галанина Л.К. 1997: 232, №№ 87-88. ტაბ. 22. Эрлих В.А. 1994: 108-109, ტაბ. 31, 4-7]. გარდა ამისა, აქემენიდური ხანის ასხმულებს, როგორც წესი, აქვთ მომრგვალებული, ცილინდრული ფუძე, განსხვავებით შავიზღვისპირული ტრადიციის ასხმულებისაგან, რომელთა უმრავლესობა კვადრატულფუძიანია [Эрлих В.Р. 2010: 85].

ზესტაფონის ასხმულას ყველაზე ახლო პარალელია საირხის № 5 სამარხში ფიქსირებული ოქროსა და ძვლის (რქის, ეშვის) ასხმულები [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: ფოტო 75-76, 79-80]. საინტერესოა, რომ საირხის №5 სამარხის ყველა ასხმულას, როგორც ოქროს, ასევე ძვლის ნიმუშებს, ზესტაფონის ასხმულას მსგავსად, ორ-ორი ნახვრეტი აქვს ფუძეზე (სურ. 25-26), რაც სხვა ჩვენთვის ცნობილ ასხმულებზე არ დასტურდება — ყველგან ოთხ ნახვრეტს ვხვდებით (ითხვისი, ციხიანა, კელერმესი). სამარხისთვის შემოთავაზებული თარიღებია ძვ.წ. V საუკუნის შუახანები [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 59] და ძვ.წ. V საუკუნის მესამე მეოთხედი [ნადირაძე ჯ. 1990: 85].

ზესტაფონის ტიპის ასხმულების დანიშნულებაზე მოგვითხრობენ აპადანას რელიეფები, სადაც თვალნათლად ჩანს ნისკარტისებური ასხმულას ორიენტაცია და მისი ადგილი აღვირის ღვედების სისტემაში (სურ. 27) [ვიმონებთ ერლიხის მიხედვით — Эрлих В.А. 2010: ტაბ. III, 2]: მარცხენა პროფილში გამოსახული ცხენის თავზე ღვედებგაყრილი ორი ასხმულაა მოთავსებული, ერთი ყბასთან, ფუძით საყბურისკენ მიმართული, და მეორე მის გასწვრივ საფეთქელთან. ამ სურათის მიხედვით ერთი ცხენის სათაურისათვის ოთხი ასხმულაა საჭირო. ამ გამოსახულების ნივთიერ დადასტურებას ვხვდებით საირხის №5 სამარხის შეკაზმული ცხენების მაგალითზე — პირველ ცხენთან ოთხი ოქროს ასხმულაა ფიქსირებული, მეორე ცხენთან — ორი ოქროსი და ორი ძვლის, მესამესთან — ასევე ორი ოქროსი და ორი ძვლისა [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 56-58; სურ. 72, 75, 76, 79, 80]. უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე და მესამე ცხენების სათაურებს თითოეულ მხარეს თითო ოქროს და თითო ძვლის ასხმულა ამკობდა.

გ. ცხენის სამკერდე ბრინჯაოს ზარაკი, ჩამოსხმული ყუნწთან ერთად (სურ. 29); აქვს ცილინდრული, ე.წ. გვერდმეჭრილი კორპუსი, რომელიც დაფარულია მკრთალად გამოსახული რელიეფური შვეული პარალელური ზოლებით; ექსპონატის პასპორტში აღნიშნულია (№ 5554/A-144), რომ ზოლების დაბლოებაზე სამკუთხედები უნდა ყოფილიყო მოთავსებული, ასეთივე რელიეფური ზოლებით დაფარული; დღეს ეს შემკულობა აღარ იკითხება; ყუნწი მორკალულია; ზარაკის რკინის ენა დაკარგულია, კორპუსის გვერდი შეჭყლეტილი. ზარაკის სიმაღლე 11,5 სმ-ია, დიამეტრი — 7X9 სმ.

ბრინჯაოს ზარაკები მრავალფუნქციურ არტეფაქტებადაა მიჩნეული და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცხენის აკაზმულობას ახლავს თან, ნათელი ხდება მათი დანიშნულება. სხვადასხვა ფორმის და ტიპის ზარაკები ძვ. წ. VIII საუკუნიდან ფართოდაა გავრცელებული მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში, საიდანაც, როგორც ფიქრობენ, ისინი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გავრცელდა [Moorey P.R.S. 1980: 73; Галанина Л.К. 1997: 132; ჭანიშვილი თ. 2005: 23; ჭანიშვილი თ. 2007: 104]. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ზარაკებს, მათ შესწავლას, თავმოყრას, კლასიფიკაციას, დანიშნულების განსაზღვრას და ქრონოლოგიას საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნა თ. ჭანიშვილმა [ჭანიშვილი თ. 2005: 19-29; ჭანიშვილი თ. 2006: 138-144; ჭანიშვილი თ. 2007: 97-108]. ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული ცილინდრული, გვერდმეჭრილი ზარაკები, როგორც ცხენის აკაზმულობის ნაწილი, ჩანს ძვ.წ. VIII-VII სს-დან [ჭანიშვილი თ. 2005: 22-23; ჭანიშვილი თ. 2007: 102-103], ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად ზესტაფონის ზარაკს, ის მიეკუთვნება თ. ჭანიშვილის კლასიფიკაციის ცილინდრულკორპუსიანი გვერდმეჭრილი ზარაკების იმ ვარიანტს, რომლისთვისაც დამახასიათებელია დიდი ზომა (სტანდარტული სიმაღლე 10,5 — 11,5 სმ-ია), მორკალული ყუნწი და შვეული რელიეფური, ან წინვისებური ზოლებით შემკული, იშვიათად სადა, კორპუსი [ჭანიშვილი თ. 2005: 23, ტაბ. II, 6-10; ჭანიშვილი თ. 2007: 102-103, ტაბ. II, 1-10]. ამ ტიპის ზარაკები საქართველოს სამაროვნებზე ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან (ან ძვ.წ. VII საუკუნის დასაწყისიდან) ჩნდება და არსებობს ძვ.წ. V საუკუნემდე, განსაკუთრებით იზრდება მათი რიცხვი ძვ.წ. VI-V საუკუნეებში, ხოლო ამის შემდეგ ზარაკების ზომები კლებულობს და მინიატურული ხდება [ჭანიშვილი თ. 2005: 23, ტაბ. II; ჭანიშვილი თ. 2007: 103, ტაბ. I, 2]. ამდენად ზარაკის თარიღის დაკონკრეტება თანმხლები მასალითაა შესაძლებელი. თუ ჩავთვლით, რომ ზესტაფონის კოლექცია ერთიანი კომპლექსის ნაწილია, მასში შემავალი რკინის ლაგამ-საყბურისა და ბრინჯაოს ასხმულას კვალდაკვალ ზესტაფონის ზარაკიც ძვ.წ. VI-V სს შეიძლება დათარიღდეს.

ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები, წარმოდგენილია ერთი წნული ყური და კორპუსის ხუთი ძლიერ დეფორმირებული ფრაგმენტი (სურ. 30). ეს უნდა ყოფილიყო ბრინჯაოს ფურცლის გრდემლზე გამოკვერვის ტექნიკით დამზადებული, ჩამოსხმულყურებიანი, დამოქლონილი ჭურჭლის კავკასიაში ცნობილი სახეობა, რომელსაც ტრადიციულად სიტულას უწოდებენ [Крупнов Е.И. 1952: 18, 22. სახაროვა ლ. 1965: 46. ლორთქიფანიძე თ. 1972: 21-22. გიგოლაშვილი ე. 1999: 8-10. Эрлих В.Р. 2011: 505-506]. ფურცლოვანი ბრინჯაოს ხუთივე ფრაგმენტი მთლიანი ჭურჭლის მხოლოდ მცირე ნაწილია, ისინი დაჭყლეტილია და ყოველ მათგანზე ვხედავთ თანაბარი მანძილით დაშორებულ მოქლონებს ან მათთვის განკუთვნილ ნახვრეტებს. ძლიერი დაზიანებისა და ფრაგმენტულობის გამო ძნელია ფორმის აღდგენა – ცნობილია, რომ ამ ტექნიკით სხვა ფორმის ჭურჭელიც მზადდებოდა: ტოლჩა, ვაზა, ყურმილიანი დოქი და მათარაც კი [Крупнов Е.И. 1952: 14-15, ტაბ. II, V, VI. მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 95, სურ. 91; 103, სურ. 106. გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. 2006: 42-43, სურ. 13], მაგრამ ყურის სპეციფიკური ფორმა უფლებას გვაძლევს გამოვრიცხოთ ეს უკანასკნელი და სიტულის ვერსიაზე შევჩერდეთ: ზესტაფონის კოლექციის ბრინჯაოს ყური ყალიბშია ჩამოსხმული, თანაბრად მოხრილია, განივკვეთში ოთხნახნაგა, ზედა მხარე წნული

ორნამენტითაა შემკული, რის გამოც ეს ნაწილი გამობერილპროფილიანია (სურ. 30). ასეთი ყურები ბრინჯაოს სიტულებისთვისაა დამახასიათებელი [სახაროვა ლ. 1965: 48. გიგოლაშვილი ე. 1999: 12]. დღეისათვის ჩამოსხმულყურებიანი და დამოქლონილი ფურცლოვანი ბრინჯაოს ყველა ფორმის ჭურჭლის ზოგადი თარიღია ძვ.წ. VIII საუკუნის დასასრული — ძვ.წ. V საუკუნის შუახანები. ითვლება, რომ ამ ტექნიკით დამზადებული ბრინჯაოს ჭურჭლის წარმოების ძირითადი კერაა მთის ზონა კავკასიონის ქედის ორივე მხარეს, საიდანაც ეს ჭურჭელი გავრცელდა ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით [Крупнов 1952: 29-30. სახაროვა ლ. 1965: 47-48. Галанина Л.К. 1997: 148, 150. გიგოლაშვილი ე. 1999: 25-26. Эрлих В.Р. 2011: 512]. კონკრეტულად სიტულამ განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა კოლხეთში, სადაც მისი წარმოება ივარაუდება [გიგოლაშვილი ე. 1999: 25. Эрлих В.Р. 2011: 512]. რაც შეეხება წნულორნამენტის ყურებს სიტულებზე, ისინი კოლხეთის ძვ.წ. V საუკუნის კომპლექსებში დასტურდება დოკუმენტურად — ასეთებია ვანის ძვ.წ. V საუკუნის შუახანების № 11 სამარხი [ლორთქიფანიძე ო. 1972: 21-22], ამავე ხანის ითხვისის №21 სამარხი [გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. 2006: 57, სურ. 45], საირხის ძვ.წ. V საუკუნის ფარგლებში მოქცეული №№ 5 და 13 სამარხები [მახარაძე გ., ნერეთელი მ. 2007: 52, სურ. 24; 97, ფოტო 164]. ალბათ არ შევცდებით, თუ ზესტაფონის ბრინჯაოს ჭურჭელსაც ამ ხანას მივაკუთვნებთ.

რკინის იარაღი: ა. სატევარი, იგივე აკინაკი, ორ ნაწილად გატეხილი (სურ. 28), აქვს სწორი, ძელაკისებური ტარისთავი და ე.წ. პეპლისებური ვადა; ტარის ღერო სამნაწილიანია, კიდეებზე შვეულლივჯაკებიანი; პირი მკვეთრქედიანია, თანაბრად ვიწროვდება წვერისკენ (სურ.28). თითოეული ნაწილის სიგრძის შეერთებით მიღებული საერთო სიგრძე იარაღისა 30 სმ-ია (15 სმ + 15 სმ), პირის უდიდესი სიგანე — 3 სმ. მორფოლოგიური ნიშნებით ეს აკინაკი ე.წ. სკვითური არქაიკის (ძვ.წ. VII-V სს) ტიპიური ნიმუშია (მელიუკოვას კლასიფიკაციით I განყოფილების II ტიპი) [Мелюкова А.И. 1964: 49-51]. რკინის იარაღის ეს სახეობა საქართველოს ტერიტორიაზე ადრინდნვე ჩნდება, მისი სკვითურ სამყაროში გაჩენის თანადროულად. იგი აღქმულია, როგორც სკვითური კულტურის სპეციფიკის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, რომელიც ე.წ. სკვითური არქაიკის ხანაში (ძვ.წ. VII-V სს) ფართოდ მოიხმარება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, კავკასიასა და ევრაზიის სხვა ნაწილებში — დასავლეთით დუნაისპირეთიდან მოკიდებული აღმოსავლეთით პამირამდე [Галанина Л.К. 1997: 92]. საკუთრივ ზესტაფონის ტიპის აკინაკებს რაც შეეხება, მათ ადრე „კელერმესის ტიპის“ აკინაკებს უწოდებდნენ ტრადიციულად, ბოლო დროს კი ამ ტიპის დაკონკრეტებული განსაზღვრა შემოვიდა — “კავკასიურ-მიდიური ტიპი” [Алексеев А.Ю. 1991: 272], რომელიც შესაძლოა აკინაკის განვითარების გვერდითი შტოა და მისი არეალი მოიცავს კავკასიის მთისწინეთს, ჩრდილოეთ კავკასიას, ამიერკავკასიასა და წინა აზიას [Алексеев А.Ю. 1991: 278]. და თუმცა ცუდი დაცულობის გამო გადაჭრით თქმა იმისა, თუ ამ ეპოქის რომელ საფეხურს მიეკუთვნება ზესტაფონის ნიმუში, ძნელია, მაინც მიგვაჩნია, რომ ზესტაფონის სატევარი თავისი მსუბუქი ტარისთავით (აკინაკების სანყის, უადრეს ტიპებთან შედარებით) და პეპლისებური ვადის დაშვებული ფრთებით, რაც მისი გვიანდელობის მაუწყებელია ე.წ. სკვითური არქაიკის ფარგლებში [Мелюкова А.И. 1964: 50], ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულითა და ძვ.წ. V საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი აკინაკები ნაპოვნია ბრილის ძვ.წ. ამავე ხანით დათარიღებულ სამარხებში [გობეჯიშვილი გ. 1952: 165, ტაბ. X IV, 3; X V, 5], ჩრდილო კავკასიის სამაროვნებზე ძვ.წ. VI საუკუნისა და ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევრის სამარხებში [Виноградов В.Б. 1972: 102-104, სურ. 28, 2; 32, 1], ხოლო მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიიდან შეგვიძლია დავასახელოთ მსგავსი რკინის აკინაკების აღმოჩენის შემთხვევები სირიაში, დევე ჰუიუკის II ჯგუფის სამარხებში (ძვ.წ. 480-380 წწ), სადაც მათ გამოჩენას ირანელ ოკუპანტებს მიაწერენ [Moorey P.R.S. 1980: 8-10, 54-58, სურ. 9, №№ 149-155].

ბ. საომარი ცული, ე.წ. პირნამახული საბრძოლო ცულის ერთ-ერთი ვარიანტი (სურ. 31): ცულის თითქმის შუა ნაწილში მოთავსებულია მილისებრი სატარე ხვრელი, რომლის კიდეები სცილდება ცულის კონტურებს, ამასთან მისი ზედა გამოშვებული კიდე ქვედასთან შედარებით უფრო განიერია (ზედა დიამეტრი 2,2 X 2,3 სმ, ხოლო ქვედა — 2 X 2,2 სმ-ა); სატარის მიმართ ცულის პირიც და ყუაც ოდნავ დაშვებულია; პირი სატარეს ვინრო, ოთხნახნაგა ყელით უერთდება, შემდეგ ოდნავ ფართოვდება და თანდათან მიემართება წვერისკენ; ყუაც ნახნაგოვანია, დაბრტყელებული, დაბოლოება დაზიანებული აქვს და მისი მოყვანილობა არაა ნათელი; იარაღის საერთო სიგრძე 20,7 სმ-ია.

პირნამახული ცულების დიდი სერიაა ცნობილი, რომელშიც ცულები ნაწვეტებული პირის მიხედვითაა გაერთიანებული, ხოლო ყუის მოყვანილობა განსხვავებულ ვარიანტებს იძლევა. იარაღის ეს სახეობა სათავეს იღებს ბიმეტალური პირნამახული ცულებიდან, რომლებიც ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევრიდან ვრცელდება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე — ითვლება, რომ ისინი ტაგარის კულტურის არეში გაჩნდა (მინუსინის ქვაბულსა და სამხრეთ ციმბირში), სადაც მათ ბრინჯაოს პროტოტიპები ეძებნებათ, შემდგომში ეს სახეობა გავრცელდა დასავლეთით, ანანინოს კულტურის წრეში (აქედან გაიცნეს ეს იარაღი სკვითებმა), არალისპირეთსა და სამხრეთ ურალისპირეთში, და აქედან შემდეგ კავკასიასა და წინა აზიაში (სურ. 32, 33) [Іллінська В.А. 1961: 52. Мелюкова А.И. 1964: 68. Збруева А.В. 1952: 30, 104. Иванчик А.И. 2001: 48-49, 56-57]. კავკასიაში გავრცელებული რკინის პირნამახული საბრძოლო ცულები, მთელი თავისი ყუის ნაირსახეობებით, ამ სანყის ფორმის განვითარების, მისი ტრანსფორმაციის შედეგია [ფირცხალავა მ. 1978: 40-41, ტაბ. 10,3,6. Виноградов В.Б. 1972: 126-127, სურ. 29, 1,2,4,6. ფირცხალავა მ. 2001: 80, ტაბ. IV, 9,10,11].

კავკასიის რკინის პირნამახულ ცულებს შორის ჯერჯერობით არ ჩანს ზესტაფონის ცულის ზუსტი ანალოგი. მისი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ თუკი პირნამახული ცულების პირი სატარედან თანდათან ვინროვდება წვერისკენ, ზესტაფონის ნიმუშზე პირი სატარეს ვინრო, ოთხნახნაგა ყელით უერთდება და ერთი შეხედვით მისი პირის მოხაზულობა შუბისპირს მოგვაგონებს. ეს უთუოდ ერთ-ერთი კავკასიური სიახლეა რკინის პირნამახული ცულების განვითარებაში, რისი რამდენიმე მაგალითი შეგვიძლია დავასახელოთ: საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ პირნამახულ ცულებს შორის ასეთი მოხაზულობის პირი აქვთ, ოღონდ ვინრო ნახნაგოვანი ყელის გარეშე, თლიას № 258 და № 143 სამარხების რკინის ცულებს (სურ. 36), რომლებიც ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება [Техов Б.В. 1980: 56-57, სურ. 19, 4], ბრილის ძვ.წ. VI-V სს სამარხისა [გობეჯიშვილი გ. 1952: 165, ტაბ. 45,4] და ძვ.წ. V საუკუნით განსაზღვრული № 29 სამარხის ცულებს (სურ. 35) [ფირცხალავა მ. 2001: 80-81, ტაბ. IV, 10,11]. ამ ცულებს ყუაც ერთგვაროვანი აქვთ — ნახნაგოვანი და სატარის მიმართ ოდნავ დაშვებული. ზესტაფონის ცულის მსგავსი პირი აქვთ ჩრდილო კავკასიაში, ნიჟნი ჩეგემის სამაროვნის ძვ.წ. VI-V სს სამარხებში აღმოჩენილ რკინის პირნამახულ ცულებს, რომლებსაც საქართველოს ზემომოტანილ ნიმუშთაგან განსხვავებული ყუა აქვთ (სურ. 37-39, 42) [Виноградов В.Б. 1972: 126-127, სურ. 29, 1,2,4,6], ხოლო ზესტაფონის ცულის ყუის მსგავს ყუას ვხვდებით ამავე სამაროვნის გაფართოებულ პირიან რკინის ცულებზე (სურ. 40-43) [Виноградов В.Б. 1972: სურ. 29, 3,5,7]. როგორც ჩანს, კავკასიაში, სადაც ცულის ტრადიცია უცხო არ იყო, ძვ.წ. VI-V საუკუნეებში მოხდა ახლადათვისებული ნაწვეტებული პირის შეთავსება სხვადასხვა ფორმის ყუასთან, ალბათ, ფუნქციიდან გამომდინარე, რის შედეგადაც მივიღეთ კომბინირებული რკინის იარაღის ნაირსახეობები, რომელთა რიგში ადგილს იკავებს პირნამახული რკინის ცულიც ზესტაფონიდან.

ჩვენ ზემოთ რამდენჯერმე მოვუხმეთ დევე ჰუიუკის II ჯგუფის სამარხების (ძვ.წ. 480-380 წწ) მასალას. საყურადღებოა, რომ ამ ნივთებს შორისაა რკინის პირნამახული ცულიც, სატარედან ოდნავ დაშვებული, ოთხნახნაგა ნამახული პირითა და გრძელი მრგვალგანივკვეთიანი ყუით — ამ სახის

იარაღის კიდევ ერთი ვარიანტი [Moorey P.R.S. 1980: 67-68, სურ. 10, № 220]. ეს ფორმა, პ. მურის აზრით, განვითარდა იმ იარაღიდან, რომელიც საუკუნენახევრით ადრე მახლობელ აღმოსავლეთში შემოიტანა სკვითურ-კიმერიულმა გაერთიანებამ [Moorey P.R.S. 1980: 67].

მასალის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ზესტაფონის კოლექციის სახით ჩვენ გვაქვს მხედრის ალჭურვილობის ნაკრები, რომლის ზოგადი თარიღი ძვ.წ. VI-V სს შემოიფარგლება. ჩვენ შემდგომ ვეცდებით შეძლებისდაგვარად დავაკონკრეტოთ ეს თარიღი. ნივთების ეს ნაკრები, ამ შემადგენლობით, არაერთგან მეორდება კომპონენტთა სხვადასხვა ვარიაციებით და სამარხულ ინვენტარს წარმოადგენს (ნითელი შუქურას №8 სამარხი, ითხვისის №21 სამარხი, საირხის №5 სამარხი) [Трапш 1969: 90, 185, ტაბ. XXII,2,5. გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. 2006: 56-59. მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 50-59]. საკითხავია, ორი ნყვილი ლაგმის არსებობა ორ დარღვეულ სამარხზე მიგვანიშნებს, თუ საქმე გვაქვს მაღალი წოდების წარმომადგენლის სამარხის გადარჩენილ ნაწილთან — აღნიშნულ ხანაში ერთ სამარხში რამდენიმე ცხენის თანადამარხვის მაგალითი გვაქვს საირხის №5 სამარხის სახით [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 50]. ორივე შემთხვევაში ცხენის ან ცხენის აკაზმულობის არსებობა სამარხში იმაზე მიუთითებს, რომ რიგითი სამარხეული კომპლექსის ნაშთებთან არ უნდა გვქონდეს საქმე [მარგიშვილი ს. 1992: 87-88, 91-93, 99]. იგივე ითქმის ზესტაფონის კოლექციის ბრინჯაოს სიტულაზე, რომელიც, როგორც ამას აღმოჩენების კონტექსტი მოწმობს, უმაღლესი სამხედრო ელიტის მობილური ყოფის პრესტიჟული ატრიბუტია [Эрлих В.Р. 2011: 508-509].

ზესტაფონის კოლექციის ინვენტარი შემადგენლობითა და ტიპოლოგიურადაც დიდ სიახლოვეს ავლენს საირხის საბადურის გორის სამაროვნის მდიდრული სამარხების ნივთებთან, რომლებიც ბერძნული კერამიკული ნაწარმით ძვ.წ. V საუკუნის ჩარჩოში თავსდება: ასეთებია ბრინჯაოს სიტულები და სიტულის წნულორნამენტიანი ყურები (სამარხები №№ 5, 8, 13, 14) [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 52, სურ. 24; 58, ფოტო 86; 67, ფოტო 100; 71, ფოტო 114; 96-97, ფოტო 163; 97, ფოტო 164; 105, ფოტო 184], ოქროსა და ძვლის ასხმულები (სამარხი № 5) [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 57, ფოტო 72, 75-76, 79; 58, ფოტო 80], ბრინჯაოს ზარაკები (სამარხები №№ 5, 13, 14) [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 57, ფოტო 74, 78; 100, ფოტო 177; 108, სურ. 115], და, რაც მთავარია, ბრინჯაოს უძრავკონსტრუქციანი ლაგამ-საყბურის ის ვარიანტი [მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: 57, ფოტო 73, 77], რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდ საქართველოს კომპლექსებშია ჯერჯერობით გამოვლენილი და რომელიც, როგორც ვარაუდობენ, საფუძვლად დაედო ზესტაფონის რკინის ლაგამ-საყბურის ტიპის შექმნას. ეს უკანასკნელი კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, სულ ოთხი ეგზემპლარია ჩვენთვის ცნობილი — სამი საქართველოს ტერიტორიიდან (მყარი თარიღის გარეშე) და ერთი - საქართველოს ფარგლებს გარეთ, ჩვენ მიერ არაერთხელ მოხმობილი დევე ჰუიუკის II ჯგუფის სამარხების ინვენტარს შორის, რომლის თარიღი ძვ.წ. 480-380 წლებით შემოიფარგლება [Moorey P.R.S. 1980: 8-10]. ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ზესტაფონის კოლექციის რაობის განსაზღვრა და მისი თარიღის დაკონკრეტება — ეს უნდა იყოს ძვ.წ. V საუკუნის მაღალი სამხედრო ელიტის წარმომადგენლის დაზიანებული სამარხის გადარჩენილი ინვენტარი.

ლიტერატურა :

- გაგოშიძე ი. 1968:** ითხვისის სამარხი. — სსმმ, XXXV-B, თბილისი.
- გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. 2006:** ითხვისის სამაროვანი. კატალოგი. — არქეოლოგიური ჟურნალი, IV, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი, გვ. 36-50.
- გიგოლაშვილი ე. 1999:** ძვ.წ. V-IV საუკუნეების ტორევეტიკის ძეგლები კოლხეთში. — ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით). თბილისი.
- გობეჯიშვილი გ. 1952:** არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1972:** ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები). — ვანი I, თბილისი, გვ. 7-42.
- მარგიშვილი ს. 1992:** ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან. თბილისი.
- მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007:** საირხე. თბილისი.
- ნადირაძე ჯ. 1990:** საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი, წიგნი I, თბილისი.
- სულთანაშვილი ი. 2005:** ცხენის აკაზმულობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით). თბილისი.
- სახაროვა ლ. 1965:** ბრინჯაოს უძველესი მხატვრული ჭურჭელი საქართველოში. — ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“, № 12, თბილისი.
- სულავა ნ., აღაპიშვილი თ., კოპალიანი ნ., ქორიძე ი., პატარიძე მ., ბაქრაძე ი., ჩაგელიშვილი რ., მამარდაშვილი გ. 2012:** ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ალბომი. თბილისი.
- ფირცხალავა მ. 1978:** სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის. — საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბილისი, გვ. 31-52.
- ფირცხალავა მ. 2001:** საქართველოს ე.წ. სკვითური ნვენტარიანი არქეოლოგიური კომპლექსების დათარიღების საკითხისათვის. - ძიებანი. დამატებანი IV. აკც-ის ჟურნალი, თბილისი, გვ. 77-86.
- ჭანიშვილი თ. 2005:** ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით. - იბერია-კოლხეთი, № 2, აკც-ის ჟურნალი ძიებანი. დამატებანი XIV, თბილისი, გვ. 19-29.
- ჭანიშვილი თ. 2006:** მაგიური დანიშნულების არტეფაქტი (ზარაკი) ანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებიდან. — ძიებანი. ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, № 17-18. თბილისი, გვ. 138-144.
- ჭანიშვილი თ. 2007:** ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით. - იბერია-კოლხეთი. ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, № 3, თბილისი, გვ. 97-108.
- Алексеев А.Ю. 1991:** Этюд об акинаках. – В книге А.С. Клейна «Археологическая Типология», Ленинград, с. 271-280.
- Виноградов В.Б. 1972:** Центральный и Северо-Восточный Кавказ в скифское время. Грозный.
- Галанина Л.К. 1997:** Келермесские курганы. «Царские» погребения раннескифской эпохи. – Степные народы Евразии I, Москва.
- Збруева А.В. 1952:** История населения Прикамья в ананьинскую эпоху. – МИА 30, Москва.
- Иванчик А.И. 2001:** Киммерийцы и скифы. - Степные народы Евразии II, Москва.
- Іллінська В.А. 1961:** Скифські сокири. – Археодогія, XII, Київ, с. 49-52.
- Крупнов Е.И. 1952:** Жемталинский клад. Москва.

Куфтин Б.А. 1941: Археологические раскопки в Триалети. I, Тбилиси.

Лордкипанидзе Г. А. 1978: Колхида в VI-II вв. до н.э. Тбилиси.

Мелюкова А.И. 1964 Вооружение скифов. – САИ, Д1-27, Москва.

Нуцубидзе А.А. 1978: Археологические раскопки в сел. Абано. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბილისი, გვ. 61-73.

Техов Б.В. 1980: Скифы и Центральный Кавказ в VII-VI вв. до н.э. Москва.

Трапш М.М. 1969: Труды, II, Сухуми.

Эрлих В.Р. 1994: У истоков раннескифского комплекса. Москва.

Эрлих В.Р. 2010: Узда Колхиды и Центральной Грузии античной эпохи: к проблеме выделения традиций. – Археология и Палеонтология Евразийских Степей и Сопредельных Территорий. ТАУС. Материалы и Исследования по археологии России, № 13. Москва.

Эрлих В.Р. 2011: Бронзовые ситулы из элитных погребений Кавказа как пример внутрикавказской коммуникации. – Боспорский Феномен. Население, языки, контакты. Санкт-Петербург, с. 505-514.

Erlikh V.R. 2010: Recent Investigations of the Ulski Kurgans. – Achaemenid Impact in the Black Sea: communication of powers. Edited by Jens Nieling and Ellen Rehm. Aarhus; Lancaster: Aarhus University Press. Black Sea Studies 11, p. 47-65.

Moorey P.R.S. 1980: Cemeteries of the First Millennium B.C. at Deve Hüyük, near Carchtmish, salvaged by T.E. Lawrence and C.L. Woolley in 1913. – BAR International Series 87.

Marine Pirtskhalava, Omar Lanchava

THE REMAINS OF THE 5TH C. B. C. GRAVE FROM ZESTAPHONI

SUMMARY

The article represents a publication of a small collection – a chance find found during earthworks in Zestaphoni (Western Georgia) – kept in Kutaisi State Museum. This collection consists of parts of horse harness (two pairs of iron bits and psalia – bar cheekpieces in one with the corresponding canon; bronze horse bell; bronze bridle "beak-shaped" strap-separator), iron weapons (an akinakes and a so-called pointed-edged and hammer-butt battle-axe) and fragments of bronze riveted situla of beaten metal with weaved handle. Objects of this category have been recorded in Georgia in different variations of composition. The study of whole complex of the collection when compared to similar items from dated contexts has led us to believe that this collection most probably represents the remains of destroyed grave of high military person of the 5th c. B.C.



ახალი მასალები მოჭიქული კერამიკის წარმოებისათვის ქუთაისიდან

მხატვრული კერამიკის ბრწყინვალე ნიმუშების (ანუ მოჭიქული კერამიკის ქუთაისური ნაწილის) შესწავლა, თანამედროვე სტანდარტებით კვლევა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა სრულყოფილს ხდის ზოგადად ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიას და გარკვეულწილად ნათელს ჰფენს საქართველოს ამ მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს, რომლის ცოდნასაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის.

აღნიშნული საკითხი ადრე, არასოდეს ყოფილა კვლევის ცალკე საგანი უფრო მეტიც, ის მონოგრაფიულადაც არ ყოფილა დამუშავებული. ამიტომაც იყო, რომ ქართული მოჭიქული კერამიკის შესწავლის დროს ქუთაისური მასალა თითქმის სრულიად გაუთვალისწინებელი იყო შესაბამის პუბლიკაციებში. ამის გამო ამ დარგის სრული და მთლიანი სურათის წარმოდგენაც შეუძლებელი იყო.

ბოლო დროს შესაძლებელი გახდა მონოგრაფიულად შეგვესწავლა ქუთაისისა და მისი მიდამოების მოჭიქული კერამიკა, რომლის ძირითადი წყაროთმცოდნეობითი ბაზა უპირატესად არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული არტეფაქტებია, მათი რაოდენობა 1000 ერთეულს აღწევდა. ეს მასალა ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კოლექციების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. გადაჭარბებულად თუ არ ჩაგვეთვლება, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შევეცადეთ შეგვესწავლა გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის ქუთაისური ნაწილი. შეძლებისდაგვარად გავარკვიეთ კერამიკული წარმოების მასშტაბები, მოქალაქეთა მხატვრულ ნაწარმზე მოთხოვნილება, შესაბამისად, მოვახდინეთ მათი ესთეტიკური გემოვნების შეფასება და სოციალური სურათის აღდგენა. აღნიშნული მასალის შესწავლა განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა ქალაქისა და ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებების გარკვევისათვის (წარმოების დარგობრივი სტრუქტურა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, იმპორტი-ექსპორტი. სანარმოო ცენტრები და სახელოსნოები, ტექნიკური პროგრესი და ა.შ.) და ზოგადისტორიული განვითარების აღდგენისათვის.

ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაციის დროს, მაგალითად, ბაგრატის ტაძრისა და გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტებში ნაშრომმა უკვე ჰპოვა პრაქტიკული გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა თავისებური ნიშნების მატარებელია. ეს გამონეულია იმიტაც, რომ ქუთაისი VIII-XIII საუკუნეებში მონიწივე საქალაქო ცენტრი იყო. აქ თავს იყრის, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურული მიღწევები, მათ შორის მოჭიქული ჭურჭელიც. მიუხედავად ზემოთ განხორციელებული სამუშაოებისა რა თქმა უნდა ეს საკითხი ამონურულად ვერ ჩაითვლება, აუცილებელია დამატებითი კვლევა კონკრეტული ქრონოლოგიური ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით, პარალელური მასალების მოხმობის საფუძველზე. მითუმეტეს, რომ ყოველწლიურად ახალი აღმოჩენების მონმე ვხდებით. მაგ. 2010-2012 წლებში ბაგრატის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების დროს აღმოჩენილმა არქტეფაქტებმა კიდევ ერთხელ გაამყარა ზოგიერთი ვარაუდი კერამიკული სახელოსნოსა და ტაძრის მშენებლობის ეტაპების განსაზღვრისათვის. კერძოდ: ჩვენ აღვნიშნავდით რომ ქუთაისის არქეოლოგიური კვლევების დროს ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე, სხვადასხვა ეპოქის კერამიკული სახელოსნოები დაფიქსირდა. მკვლევარებს ისინი ზედმინვნით დაზიანებული დახვდათ, ამიტომ წარმოების პროცესის სრულყოფილი

აღდგენა შეუძლებელია, არა და კარგად ჩანს, რომ ზოგიერთი მათგანი ფართომასშტაბიანი საქალაქო სახელოსნო იყო, ზოგიც კიდევ მცირე ფორმის ინდივიდუალურ საწარმოს წარმოადგენდა.

ფართო მოხმარების საქალაქო საწარმოს შთაბეჭდილებას ტოვებს ადრექრისტიანული ხანის კერამიკული სახელოსნოს ნაშთი ციტადელის სამხრეთ ფერდობზე. აქ აღმოჩენილი იქნა აგურით მოკირწყლული იატაკი (აგურფენილი) ქვის კერამიკული ჩარხი, კერამიკის ნიღები და ნუნდებული. სტრატოგრაფიული მონაცემებით ეს საწარმო IV-V საუკუნეებით განისაზღვრა. შემორჩენილი მასალით ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება: წარმოებაში გამოყენებული იყო ქვის სწრაფმბრუნავი კერამიკული ჩარხი. **[ლანჩავა 1996: 118; ლანჩავა 2007: 153].**

მომდევნო ეპოქის VIII-IX საუკუნეების ფართომასშტაბიანი საქალაქო საწარმოს ნაშთი აღმოჩნდა შიდაქალაქის დასავლეთ ნაწილში კონტრაფორსებიან კედელთან დედაბურჯსა და დიდ დარბაზს შორის. აქ გოდლედებს ანუ კონტრაფორსებს შორის წყვილ-წყვილად განლაგებული ყოფილა კერამიკის გამოსანვაი 6 ქურა. საკუთრივ სახელოსნოს კედლები ხის ფარდულის სახით უნდა ყოფილიყო მიდგმული გალავნის გოდლედებიან კედელზე. ქურები კი, რომელთა ნაშთებმა ჩვენამდე მოაღწია წრიული, ვერტიკალური ფორმის იყო და წყვილ-წყვილად იყო ამოყვანილი ცეცხლგამძლე თიხისაგან გოდლედებს შორის, (სულ სამი წყვილი).

იქვე დედაბურჯთან კუთხეში აღმოჩნდა კარგად განლექილი, ნედლი თიხის შტაპელი მზა ნედლეული ჭურჭლის გამოსაყვან-გამოსაძერწად. წარმოების ხანგრძლივ ფუნქციონირებაზე მეტყველებს მძლავრი ნახანძრალი, ნახშირ-ნაცროვანი ფენა, რომელიც დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ამ ტერიტორიაზე. მონაცემებით ჩანს, რომ შიდაქალაქის ეს ნაწილი VIII-IX საუკუნეებში სახელოსნო უბანს წარმოადგენდა. მის თანადროულად იქვე ფუნქციონირებდა კირის გამოსანვაი ქურაც, რომლის პროდუქცია, როგორც ჩანს გამოიყენებოდა არჩილ-ლეონის დროს (VIII ს. შუა ხანებიდან) ქუთათისის საყდრის მშენებლობისათვის.

მკვლევართა ვარაუდით, სახელოსნოს ფუნქციონირება უნდა დაწყებულიყო არაბთა შემოსევების შემდეგ (VIII საუკუნის შუახანებში). ვინაიდან შიდა ქალაქის დიდი გალავნის დასავლეთი ზღუდე ამ დროს ჩანს დანგრეული, მისი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი შიდა მხრიდან დასავლეთი კედლის გაყოლებით მთელს პერიმეტრზე.

მურვან ყრუს მრისხანე შემოსევების შედეგების ლიკვიდაცია სწრაფი ტემპით მომხდარა. ქვეყნის მესვეურები ახალი ენთუზიაზმით შესდგომიან ქალაქის აღმშენებლობის საქმეს. ჩვენ იმთავითვე ფრთხილი ვარაუდი გამოვთქვით მზადდებოდა თუ არა ამ სახელოსნოში მოჭიქული კერამიკა? ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ტაძრის წინ სამხრეთ ფერდობზე, გაბრიელის ეზოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 1984 წლიდან ჩნდებოდა (უკვე 50 სმ. სიღრმეზე) შავი ნახანძრალი ფენები კირქვის მინარევებით. ამავე ფენაში მრავლად იყო ჭიქურიანი კერამიკის ფრაგმენტები, სავარაუდოდ, ჭიქურის დასაფქვავი მონყობილობის ნაწილი. მეზობლად №3 თხრილში 1,80 მ. სიღრმეზე ასევე გამომწვარი ყვითელი თიხნარის ქვეშ ჭიქურში ამოვლებული ქვის ნატეხი აღმოჩნდა. ისიც ნახანძრალ ფენაშია, რომელშიაც ჩამქრალი კირის ნაშთია. სავარაუდოდ, აქაც შესაძლოა თიხის (ჭიქურიანი) გამოსანვაი ინდივიდუალურ სახელოსნოს არსებობასთან გვექონდეს საქმე.

ზემოთ აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტი, რომ სასულიერო სასწავლებლის საძირკვლიდან მრავლად ამოვიდა ლარიანი კრამიტები კალიპტერი. ზოგიერთ მუქი, ღვიძლისფერი (ყავისფერი) ჭიქურით. ზოგიც მუქი მწვანე ფერის. მასთან ერთად აღმოჩნდა ჭიქურიანი ანტიფიქსიც ქართული ასომთავრული წარწერით: „ქრისტე ადიდე“. ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურების მიხედვით ე.წ. სასულიერო სასწავლებლის მიერ გამოყენებული სათავსოებიდან ერთ-ერთში (აღმ. მხარეს) ასევე კერამიკის გამოსანვაი ქურა აღმოჩნდა. სტრატოგრაფიული თვალსაზრისით ეს სახელოსნო მესამე სამშენებლო ფენას ეკუთვნოდა.

მაშასადამე, სახელოსნო ფუნქციონირებდა საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში. ძირითადად არსებობის ორი პერიოდი შეიძლება გამოიყოს: VIII-IX საუკუნეები და X-XI საუკუნეები. იგი განადგურებული ჩანს „დიდი თურქობის“ დროს XI საუკუნის 80-იან წლებში.

გასულ წელს ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს არქეოლოგიური გათხრების დროს მიკვლევულმა კერამიკული სახელოსნოს ნაშთებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენი ვარაუდის სისწორეში მოჭიქული კერამიკის წარმოების შესახებ. **(სურ. 1)**

კვლავ აღმოჩნდა ჭიქურში ამოვლებული რიყის ქვების დიდი რაოდენობა **(სურ. 2)**. სკეპტიკური შენიშვნა იმის შესახებ რომ ეს ცეცხლში მოხვედრილი ქვებია, რომლებიც მაღალ ტემპერატურაზე ლღვება და მათი ზედაპირი მომწვანო-მონაცრისფრო ჭიქურის ელფერსა და ფაქტურას იღებს და ამდენად, თითქოს ქუთაისის ნაქალაქარის კულტურულ ფენაში ამგვარი ქვების აღმოჩენა მოჭიქული კერამიკის წარმოების დამადასტურებელ ფაქტად ვერ გამოდგება მცდარია. პირიქით, 2012 წლის აღმოჩენა და ჩვენს მიერ ადრე წარმოდგენილი მასალა [ქარციძე ნ., 2010, 70] იდენტურია, დამაჯერებლად ჩანს ქვებზე ჭიქურის კვალი. ზოგიერთი მათგანი თითქოს შეგნებულად ჭიქურშიც არის ამოვლებული. ჩვენ ვიცნობთ სხვა მასალებს ვანიდან, ვარდციხის გიორგობიანის გორიდან და გვინახავს დიდი რაოდენობით ნიდად ქცეული რიყის ქვები, რომლებიც ეკუთვნოდა ანტიკური ხანის ნაგებობებს, რიყის ქვებისა და ხის კონსტრუქციების მონაცველობით, მაგრამ რამდენადაც ვიცით ნიდა სულ სხვაა და ჭიქური სულ სხვა, მიუხედავად ვიზუალური მსგავსებისა ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. თუ დეტალურად წარმოვიდგენთ, ქურის აგებულებას კედლები ამოყვანილი ჩანს რიყის ქვებით ან კირქვით და ხშირად მასზე დაღვენილი ჭიქური არ ნიშნავს ქვის ნიდად ქცევას, ხოლო წარმოებაში მის მონაწილეობას კი უდავოდ მონიშნავს. სამწუხაროდ, კერამიკული სახელოსნოს გათხრები ჯერჯერობით ბოლომდე არაა მიყვანილი. მისი საბოლოო შედეგები მნიშვნელოვან სინათლეს შეიტანს ამ საკითხში. ამავე პერიოდში მრავლად აღმოჩნდა მოჭიქული ანტიფიქსები, რომელიც კრამიტებთან ერთად ტაძრის გადახურვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა.

ანტიფიქსები ხშირად გვხვდება ადორაციული წარწერებით ან ადორანტის გამოსახულებით. მათი დიდი ნაწილი აღმოჩენილია ბაგრატის ტაძარზე და გელათში. (აღნიშნულ საკითხს გამოკვლევა მიუძღვნა ვალერი სილოგავამ).

დიდ ინტერესს იწვევს 2012 წელს, ტაძრის ჩრდილოეთ მკლავის (კონქის თავზე) აღმოჩენილი X-XI საუკუნეების მუქ მწვანედ მოჭიქული წარწერიანი ანტიფიქსები. წარწერები ადორაციული ხასიათისაა და ერთ-ერთზე იხსენიება XI საუკუნის ცნობილი მოღვაწე „ანტონი“. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ცალკე კვლევის საგანია მოჭიქული ანტიფიქსები ქუთაისიდან, რომელზედაც მიმდინარეობს მუშაობა **(სურ. 3)**.

ეს მხოლოდ მოკლე ინფორმაციაა 2010 წლიდან დღემდე აღმოჩენილი მოჭიქული არტიფაქტებისა, **(სურ. 4)**, რომლის სათანადოდ გამოკვლევისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად საბოლოოდ დადასტურდება მოჭიქული კერამიკის წარმოება ქუთაისის ნაქალაქარზე და არ გამოირიცხება გამართლდეს ჩვენი ვარაუდი გადათარილებასთან დაკავშირებით:

კერძოდ: ჩვენი ვარაუდით VIII საუკუნის ბოლოდან იწყება მოჭიქული კერამიკის წარმოება ქუთაისის მხარეში.

ვინაიდან ყოველი კონკრეტული მოვლენა გარკვეული პროცესის განვითარების შედეგია, უნდა ვიფიქროთ, რომ შუა საუკუნეებში მოჭიქული კერამიკის განვითარებასაც წინ უძღოდა მთელი რიგი მოვლენებისა. VIII საუკუნე შეიძლება ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ რამდენადაც ვიცი ბევრი ძეგლის გადათარილება მოხდა ჩვენს თვალწინ. თუ გნებავთ ამ სამშენებლო კერამიკის ცნობილი სპეციალისტის ჯამლეთ ჯღამაიას მიერ მითითებული XII საუკუნე. დღემდე ფიქრობდნენ, რომ ბაგრატის ტაძარი აშენდა X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში. ბოლოდროინდელმა კვლევებმა უჩვენა,

რომ ბაგრატიული კედლები დაშენებულია VIII საუკუნის II ნახევრის ბაზილიკის კედლებზე და თუ კი X საუკუნის ბოლოს დაგებული იატაკის ქვეშ აღმოჩნდა მოჭიქული კრამიტის ფრაგმენტები და არა მარტო კრამიტები, რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში მოხსენიებული „ქუთათისის საყდრის“ საფასადო ნაწილი მაინც შემკული ყოფილიყო მოჭიქული კრამიტით. (?). ეს სულაც არ ნიშნავს მოჭიქული კერამიკის და მათ შორის კრამიტების მასობრივ წარმოებას ან „სხვა ეკლესიების“ მოჭიქული კრამიტით დახურვას. თუმცა ტაო-კლარჯეთის მაგალითზეც ალბათ ბევრი რამ გასარკვევია. შეიძლება ამას ნათელი მოჭიქვის ოშკის, იშხანის მომავალმა კვლევებმა. ის, როგორც ეს მოხდა ბაგრატიის ტაძარზე. ის რომ VIII საუკუნის II ნახევარში დიდი ძვრები ხდება საქართველოში, კონკრეტულად ქუთაისში, ამას მიუთითებს „ქუთათისის საყდრის“ ე.წ. „მკლავებიანი ბაზილიკის“ და აგურის სამეფო სასახლის აგება, რაც ქართული აგურით მშენებლობის ადრეული ნიმუშია და ბევრად წინ უსწრებს გეგუთის სამეფო სასახლის მშენებლობას, მძლავრი საფორტიფიკაციო მშენებლობები, რომელიც ზოგჯერ აღდგენა-განახლებით გამოიხატა. ეს ყველაფერი მოხდა VIII საუკუნის ბოლოს. ამას თან ერთვის ხუროთმოძღვრების გვერდით შესწავლილი მძლავრი კულტურული ფენები, მდიდარი არტეფაქტებით. ყოველივე ეს იმ ავტორების შეხედულებებთან ერთად, რომლებიც მოჭიქული კერამიკის წარმოების „ადრეულობაზე“ მიუთითებდნენ, გვაძლევს საფუძველს ასეთი ვარაუდი გამოგვეთქვა. რა თქმა უნდა ყოველივე ამას დააზუსტებს ქიმიურ-ტექნოლოგიური და სპექტრომეტრული ანალიზები, რომელიც აღნიშნულ მასალებზეა ჩასატარებელი.

ლიტერატურა:

ლანჩავა ო., ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში (IV-X სს.). ქუთაისი, 1996 წ.

ლანჩავა ო., ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი, 2007,

სილოგავა ვ., ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატიის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან. ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1995 წ., №4. გვ. 55-81.

ქარციძე ნ., მოჭიქული ქურჭლის წარმოების ისტორია. 2010 წ.

Nona Kartsidze

NEW MATERIALS ON THE MANUFACTURING THE GLAZED CERAMICS FROM KUTAISI

The study and research of the finest samples of the decorative glazed ceramics (glazed ceramics from Kutaisi) according to the contemporary methods plays the important role in the Georgian glazed pottery manufacturing history. Some important social- economical and cultural subjects of the city life of kutaisi become clear.

The periods of construction of the ceramic workshop and The Bagrat Cathedral can be redated by recent restoration works held in Bagrat church in 2010- 2012 yy. while the new artifacts were discovered.

IX – Xcc. dark green-glazed antefixes bearing the inscriptions discovered in the north arm of the church (above conch) are the subject of interest, adorational inscriptions name one of the famous public figure of Xlc. – Anthony. The glazed ceramics from Kutaisi old city is the subject of further researches according to which it can be possible to prove the manufacturing of the glazed ceramics here. The further researches can also change some dates.

ქათავან დიღაღლაშვილი

დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი

თევზის ქრისტიანული სიმბოლოს საქართველოში გავრცელების საკითხისათვის (გემების მაგალითზე)

ქრისტიანობის გავრცელების საკითხის კვლევისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მომცემია სიმბოლო, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე, მაშინ, როცა ახალი რელიგიის მიმდევრები იდევნებოდნენ, ერთგვარ რელიგიურ ენას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, ქრისტიანულ სიმბოლოებს შორის ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი გახლდათ თევზის სიმბოლო.

თევზის, როგორც ნაყოფიერების წარმართული სიმბოლოს არსებობის ფაქტორმა სხვადასხვა ხალხებში (მათ შორის საქართველოშიც, სადაც იგი ნაყოფიერების სიმბოლო იყო¹) ერთგვარად უბიძგა ამ სიმბოლოს ქრისტიანულ რელიგიაში დამკვიდრებისაკენ, თუმცა, ამის უპირველესი მიზეზი მაინც მისი ბერძნული სახელწოდება და სახარება იყო. იესოს სასწაულებმა საფუძველი შეუქმნეს თევზის სიმბოლოს წარმოშობას, ხოლო მისმა ბერძნულმა სახელწოდებამ – „ΙΧΘΥΣ“ („იესო ქრისტე ძე ღვთისა, მაცხოვარი“) – ხელი შეუწყო მის ფართოდ დამკვიდრებას². თევზი ქრისტიანებისათვის რწმენის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. მას გამოსახავდნენ სარკოფაგებზე, კედლის მხატვრობაში, აკეთებდნენ პატარა გამოსახულებებს, რომლებსაც მკერდით ატარებდნენ [Уваров 2001: 180; Успенский 1997: 62]. ამ სიმბოლოს ერთ-ერთი ყველაზე ადრეული გამოსახულება I ს. ბოლო–II ს. დასაწყისით დათარიღებულ ლუცინას კატაკომბაშია მოცემული [Wilpert 1903: ტაბ.27]. II საუკუნიდან თევზის სიმბოლო აქტიურ ხმარებაშია. ჩნდება მისი გამოსახულებიანი ბეჭდები, რომელთაც ქრისტიანები ატარებდნენ როგორც შემდგომში ჯვარს. რომაელი ავტორი ტერტილიანე (155/165-220/240 წწ.) წერს, რომ ნათლობის შემდეგ ადამიანები ქრისტიანული ხასიათის სამკაულს ატარებდნენ (ძირითადად ბეჭდების სახით). ა. ფონ ფრიკენს მოხმობილი აქვს II ს. სარდიონის ინტალიო, რომელზეც შვიდი ქრისტიანული სიმბოლოა გამოსახული და ერთი, მათ შორის, არის თევზი. აღნიშნული სიმბოლოს არსებობას უკვე II ს. ადასტურებს კლემენტი ალექსანდრიელიც (150/155-215/220 წწ.) [Фрикен 1877: 89,98-100].

გარდა ქრისტეს სიმბოლური გამოსახულებისა, თევზს კიდევ რამდენიმე დატვირთვა ჰქონდა და თითოეული ეს მნიშვნელობა ისევე სახარებისეულ სიტყვებს ეფუძნებოდა. ის იყო მორწმუნეთა სიმბოლო, რაზეც ტერტილიანეც მიუთითებდა: „ჩვენ თევზები ვართ, რომელთაც ΙΧΘΥΣ მიგვიძღვის, წყალში ვიბადებით და მხოლოდ წყალში ყოფნით გადავრჩებით“ [Tertullien 1852: §1]. იმავე დროს, კალისტეს კატაკომბებში წარმოდგენილი თევზები, რომელთაც ზურგზე პურით სავსე კალათა უდგათ (მათ შორის ერთი ხუთი პურითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე – ექვსით) ევქარისტის სიმბოლოა და ქრისტეს სასწაულების გამომხატველი. სხვა მოსაზრება ჰქონდა ა. ფონ ფრიკენს, რომელიც თვლიდა, რომ ამ სიუჟეტში მსხვერპლად შეწირული ქრისტე უნდა დაგვენახა, რადგან თევზის ზურგზე გამოსახული ჭურჭელი იმ ჭურჭლის მსგავსი იყო, რომელშიც ღვინოს ასხამდნენ, ხოლო

¹ საქართველოში თევზის წარმართული სიმბოლო, როგორც ნაყოფიერების გამოსახულება, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ფიქსირდება, ამ პერიოდთან თევზის გამოსახულებები გვხვდება როგორც სკულპტურული, ისე გრაფიკული სახით. კოლხურ-იბერიულ კულტურაში მის არსებობაზე მეტყველებს კოლხური ცულების, სამთავროს ბრინჯაოს სარტყლის მორთულობები [ფანცხავა 1988: 46].

თევზის კულტი დადასტურებულია ნიგზიანის ძვ.წ. VII-VI სს. და ნარეკვავის ძვ.წ. XI-V სს. სამარხების ინვენტარშიც ბრინჯაოს თევზის საკიდების სახით [აფაქიძე 1999: 13,90,113; აფაქიძე 2000: 32,40; მიქელაძე 1985: 85-92].

² ამ სიმბოლოს მაცხოვართან კავშირის დამადასტურებელი ერთ-ერთი ნათელი გამოსახულება წარმოდგენილია რავენის წმინდა აპოლონიის ტაძრის VI ს. მოზაიკაზე, სადაც ქრისტეს თავთან გამოსახული ჯვრის ვერტიკალურ მკლავზე მოცემულია სიტყვა ΙΧΘΥΣ [Bovini 1974: 99].

პური მოგვაგონებდა ებრაელების მიერ სპეციალურად გამომცხვარ წმინდანებისადმი მირთმეულ პურებს [Фрикен 1877: 99].

სამარხებზე თევზის გამოსახულება აქ განსვენებულის ქრისტიანობაზე მიანიშნებდა (მაგრამ თუ კი თევზი სამარხი ქვის თავში იყო მოთავსებული, რომელსაც შემდეგ წარწერა მოსდევდა, იგი უკვე ქრისტეს გამოხატულებას წარმოადგენდა) [Уваров 2001: 146,178].

ადრექრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული გახლდათ თევზი ღუზასთან ერთად ისე წარმოდგენილი, რომ მათი კავშირი ჯვარს ქმნიდა. ოდითგანვე ღუზა, თავისი დანიშნულების გამო, იმედის, რწმენისა და სიმტკიცის სიმბოლოდ აღიქმებოდა. ამიტომაც, ქრისტიანობაშიც იგივე მნიშვნელობით გადავიდა, მაგრამ, როცა მას თევზთან ერთად გამოსახავდნენ, ზოგადად ის ჯვარცმულ ქრისტეზე მიანიშნებდა [Tristan 1996: 88-89; Покровский 2000: 35]. კონკრეტულად კი, იმისდა მიხედვით თუ რაზე გამოსახავდნენ ამ ორ სიმბოლოს, სხვადასხვა შინაარსს იძენდა. მაგალითად, ბექედებზე მათი გამოსახვა ქორწინებას ნიშნავდა, ხოლო სარკოფაგებზე აღიქმებოდა, როგორც ქრისტეში გადარჩენილი მორწმუნე [Уваров 2001: 183; Tinh 1995: 98-99]. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა ამ სიმბოლოსი იყო ღუზის თავისკენ პირშექცეული ფორმით მოცემული ორი თევზი. ბექედებზე წარმოდგენილი ეს სიუჟეტი რწმენის საფარქვეშ ქორწინების გამოხატულება იყო [Фрикен 1877: 102]. აღნიშნული სიმბოლო, როგორც მეცნიერები მიუთითებენ, ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა. თუ კლემენტი ალექსანდრიელისა და ტერტულიანეს სიტყვებით ვიმსჯელებთ, ახ.წ. II ს. იგი უკვე ფართოდ გავრცელებული სიმბოლო გახლდათ. კონსტანტინე დიდის მეფობის შემდგომი პერიოდიდან ის თანდათან გაქრობას იწყებს, და IV ს. შემდგომ აღარ გვხვდება [Tinh 1995: 98-99; სურგულაძე . . . 1981: 741-744; ბიბილური 1983: 51-52].

ქრისტიანებისთვის ამ სიმბოლოს აუცილებლობა და მნიშვნელობა იმდენად დიდი გახლდათ, რომ ისინი ყველაზე უფრო დიდხანს მის შინაარსს მალავდნენ. იმდენად დიდხანს, რომ ქრისტიანული სწავლების არც ერთი ავტორი IV საუკუნემდე არ იძლევა მის მთლიან ახსნას (რა თქმა უნდა, იმ ნაშრომების მიხედვით, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია) [Фрикен 1877: 101; Уваров 2001: 177; Успенский 1997: 62; Покровский 2000: 44-45].

არქეოლოგიური მასალის მიხედვით თევზი, როგორც ქრისტიანული სიმბოლო, საქართველოში გამოჩენას იწყებს ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან. ძირითადად, ესაა სხვადასხვა სამაროვანზე მოპოვებული გემა-ინტალიოები, რომლებიც თავისი გამოსახულების ტიპის მიხედვით შეგვიძლია ასე დავაჯგუფოთ³: 1. თევზი, 2. ორი თევზი ერთმანეთის პარალელურად მოცემული, 3. საკურთხეველზე დადებული თევზი, 4. ჯვრის ფორმის ღუზა, რომლის ღერძის ორივე მხარეს მისი თავისკენ პირშექცეული თითო თევზია გამოსახული.

დღეისათვის ცნობილი თევზის გამოსახულებიანი გემების იმ 16 შემთხვევიდან, რომელზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდებოდა, ნაწილი წარმოადგენს ზუსტად განსაზღვრულ ქრისტიანულ სიმბოლოს, ხოლო ნაწილი - არა. ამათგან, ქრისტიანული საკრძაღავი წესით დაკრძალულ მიცვალებულთა სამარხებში თევზის გამოსახულებიანი გემები აღმოჩნდა:

1. თევზი, წარმოდგენილი სარდიონის თვალზე მცხეთის №15 ქვაყუთში⁴ (III ს.) [ნიკოლაიშვილი . . . 2000] (სურ.1).

2. ორი თევზი ერთმანეთის პარალელურად მოცემული მინის თვალზე ციხისძირის №2 ორმოსამარხში⁵ (III-IV სს.) [ინაიშვილი 1993: 86-88].

³ ზოგადად I-IV სს. მასალაში დადასტურებული თევზის გამოსახულებიანი ბექედებიდან დღეს გამოქვეყნებულია 16 და ყველა სამარხშია აღმოჩენილი. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენი კვლევის საგანს ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს კრევეტის ან დელფინის გამოსახულებიანი გემები.

⁴ №15 ქვაყუთში (III ს.) დაკრძალული იყო 2 ზრდასრული მიცვალებული გულაღმა გამოტილი თავით W-სკენ. გარდა აღნიშნული სარდიონის თვლიანი ვერცხლის ბექედისა, სამარხში აღმოჩნდა: ხელადა; ნიჟარა-კაური; რგოლები ბრინჯაოსი; ბექედი ვერცხლისა იასპის ინტალიოთი, რომელზეც სამი ადამიანის პროფილა გამოსახული; ბექედი ვერცხლისა და ოქროსი კონუსურთვლიანები; ბექედი რკინისა; წყვილი საყურე ოქროსი ნიწიბოსებრი; ქოირის ფურცლები ოქროსი; დანა რკინისა; მახათი ძვლისა; აბზინდა ვერცხლისა; მძივები გიძრისა, პასტისა, აქატისა და სარდიონისა; სანელსაცხებლე მინისა; ავგუსტუსის დენარები და გოტარხეს დრაქმა [ნიკოლაიშვილი . . . 2000].

⁵ №2 ორმოსამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით დასავლეთისკენ.

3. ერთ მხარეს მიმართული ორი თევზისა და ღუზის გამოსახულება წარმოდგენილი სარდიონის თვალზე სვეტიცხოვლის III ს. დათარიღებულ №17 თიხის ფილასამარხში⁶ (სურ.2) [სურგულაძე. . . 1981: 741-744].

ყველა დანარჩენ შემთხვევაში მეცნიერთა მოსაზრებები თევზის გამოსახულებიანი გემ-ინტალიოების ქრისტიანულ სიმბოლოდ მიჩნევისა ერთმანეთს არ ემთხვევა⁷, რისი მიზეზიც ამ სამარხების არაქრისტიანული საკრძალავი ნესის – მიცვალებულთა პოზისა და სამარხული ინვენტარის არსებობა გახლავთ. ასეთი შემთხვევები დადასტურებულია: 1. არმაზისხევის №2 კრამიტსამარხში⁸, რომელშიც აღმოჩენილ თევზის გამოსახულებიან ბეჭედს მ. ლორთქიფანიძე III ს. რომაულ ნაკეთობად მიიჩნევს [აფაქიძე. 1955: 129-130; ლორთქიფანიძე 1958: 47-48], 2. სამთავროს №970 ქვაყუთში⁹ (სურ.3), 3. 1938 წ. შ №29 თიხის ფილასამარხში¹⁰ (სურ.4) [Максимова 1950: 259-260; ბიბილური 1983: 165-166], 4. 1939 წ. N №24 ქვაყუთსა,¹¹ (სურ.5) [Максимова 1950: 243; ნიკოლაიშვილი. 2000] და 5. 1939 წ. შ №83 ქვაყუთში¹² [Максимова 1950: 256], რომლებშიც აღმოჩენილი ერთი თევზის გამოსახულებიანი სარდიონის გემები ზოგადად III ს. თარიღდება [აფაქიძე. 2001: 27]. ანალოგიური ინტალიოები დადასტურებულია ყათლანისხევის №1 და №2 II-III სს. ორმოსამარხებში¹³, რომელთაგან პირველს II ს. ნახელავად მიიჩნევენ (სურ.6), ხოლო მეორეს — მ. ლორთქიფანიძე II-III სს. ათარიღებს (სურ.7) [ხახუტაიშვილი 1964: 90-91]. ასეთივე გამოსახულების ინტალიოები აღმოჩენილია ურბნისის №55 და №109 სამარხებში, რომლებიც II-III სს. განეკუთვნება. მათგან №55 სამარხის გემა წარმოადგენს სარდიონის თვალზე ერთი თევზის გამოსახულებას, №109 სამარხიდან მომდინარე სარდიონის გემაზე კი ერთმანეთის თავშეკცევით ორი თევზია მოცემული (სურ. 8) [ჯავახიშვილი 1972: 51,61].

⁶ სვეტიცხოვლის №17 თიხის ფილასამარხში (III ს.) დაკრძალული იყო დედა-შვილი გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთისკენ, ხელებით მკერდზე დაკრფილი. სამარხში ერთადერთი ნივთი დაფიქსირდა – ბეჭედი ვერცხლისა აღნიშნული გემით [ბიბილური 1983: 215].

⁷ მაგალითად, მ. მაქსიმოვამ და ქ. ჯავახიშვილმა თევზის გამოსახულებიანი გემების ნაწილი ზოდიაქოს გამოსახულებად მიიჩნიეს. ვ. ნიკოლაიშვილი მცხეთაში აღმოჩენილ მსგავსი გამოსახულების გემებს ქრისტიანობას უკავშირებს. მ. მშვილდაძე კი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ II-IV სს. დათარიღებულ თევზის გამოსახულებიან ინტალიოებს ქრისტიანული სიმბოლოს გამომხატველად მოიაზრებს [Максимова 1950: ჯავახიშვილი 1972: 8; ნიკოლაიშვილი. . . 2000; მშვილდაძე 2008: 67-72].

⁸ №2 კრამიტსამარხში მიცვალებული იყო მარჯვენა გვერდზე ფეხებმოკეცილი, თავით დასავლეთისკენ. სამარხში აღმოჩნდა: ორი ხელადა თიხისა; დანისპირი რკინისა; აბზინდა ბრინჯაოსი; მძივი პასტისა; ბეჭედი რკინისა სარდიონის ინტალიოთი, რომელიც გამოსახავს ცისტოფორს, საიდანაც გველი მოძვრება; ბეჭედი რკინისა სარდერის თვლით, პურის ორი თავთავის გამოსახულებით და განსახილველი რკინის ბეჭედი (სამივე ბეჭედს მ. ლორთქიფანიძე III ს. რომაულ გემებს განაკუთვნებს) [აფაქიძე . . . 1955: 129-130; ლორთქიფანიძე 1958: 45-47].

⁹ ქვაყუთი №970 (III ს. ბოლო — IV ს. დასაწყისი) დამხრობილი იყო N-S ღერძზე. მასში დაკრძალული იყო ორი ინდივიდი თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. ძვლების არეულობის გამო მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას იმის შესახებ, რომ მიცვალებულები უნდა დაესვენებინათ გამოტილ მდგომარეობაში. სამარხში აღმოჩნდა: კოჭობი და 2 ხელადა თიხისა; ბეჭედი ვერცხლისა ნეფრიტის თვლით, რომელზეც გაურკვეველი წარწერაა ამოკვეთილი; ბეჭედი ბრინჯაოსი ბერძნული წარწერით «ΖΟΗ» - „სიცოცხლე“; საყურე ოქროსი; ხეია ოქროსი; ყურძნის მტევნის იმიტაციის საკიდები ოქროსი და ბრინჯაოსი; 3 საკიდი ოპალისა და მინისა; ზარაკი ბრინჯაოსი; მძივები მინის, სარდიონის და პასტის; ჭურჭლის ფრაგმენტები მინისა; მონეტები ვერცხლისა გოტარზესი და ავგუსტუსისა და განსახილველი რკინის ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი [აფაქიძე . . . 2001 26-28].

¹⁰ ფილასამარხი №29 (III ს.) გამართული იყო ქალბატონისთვის, რომელიც დაკრძალული გახლდათ გულაღმა გამოტილი, თავით აღმოსავლეთისკენ. მარჯვენა ფეხის მუხლი გადადებული ჰქონდა მარცხენაზე. მარჯვენა ხელი მკერდს ოდნავ ქვემოთ, მარცხენა ბოქვენზე ჰქონდა დადებული. სამარხში აღმოჩნდა: ქოთანის თიხისა; სანელსაცხებლე მინისა; წყვილი საყურე ოქროსი წინიბოსებრი; ბეჭედი ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით; ილარი ბრინჯაოსი; სარკე ბრინჯაოსი (რომლის გამო ქალს ბერძენად მოიაზრებენ); საკიდები; მძივები და განსახილველი ვერცხლის ბეჭედი სარდიონის გემით [ბიბილური 1983: 165-166].

¹¹ №24 ქვაყუთში დაკრძალული გახლდათ სამი ინდივიდი, ამათგან ორის ძვლები არეული იყო, მესამე ესვენა გულაღმა, გამოტილი, თავით აღმოსავლეთისკენ, ხელები ტანის გასწვრივ ჰქონდა ჩამოშვებული. გარდა განსახილველი სარდიონის გემიანი ოქროს ბეჭდისა, სამარხში აღმოჩნდა: 3 სანელსაცხებლე მინისა; საკინძი ოქროსი; დანა რკინისა; ჯვრისებრი ფიბულა ბრინჯაოსი; მძივები გიმრისა [ტყეშელაშვილი 1955: 116; უგრელიძე 1967: 102; ნიკოლაიშვილი . . . 2000].

¹² №83 ქვაყუთში (III ს. მიწურული) დაკრძალული იყო 3 მიცვალებული: ქალი გამოტილი თავით W-სკენ, კაცი გამოტილი თავით O-სკენ და ბავშვი – თავით W-სკენ. გარდა თევზის გამოსახულებიანი ოქროს ბეჭდისა, სამარხში აღმოჩნდა: 4 სანელსაცხებლე მინისა; წყვილი საყურე ოქროსი; ბეჭედი ოქროსი; ბეჭედი ვერცხლისა ათენას გამოსახულებიანი სარდიონის თვლით; მონეტები ავგუსტუსისა და გოტარზესი; მძივები პასტისა და გიმრისა; ამათგან, თევზისა და ათენას გამოსახულებიანი ბეჭდები მამაკაცს ეკუთვნოდა [ნიკოლაიშვილი . . . 2000].

¹³ ყათლანისხევის ორმოსამარხი №1-ში მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ. სამარხში აღმოჩნდა: ლილაკები ოქროსი; 2 სარტყლის ბალთა ვერცხლისა; სარტყლის 3 საკიდი ვერცხლისა; მძივები მინისა და პასტისა; 2 საკინძი ვერცხლისთავიანი; ყელსაბამი გიმრისა და მინის თვლებით; სარდიონის გემა თევზის გამოსახულებით; მონეტები ტიტუსი, ავგუსტუსისა და გოტარზესი [ხახუტაიშვილი 1964: 89-90].

რაც შეეხება №2 ორმოსამარხს, მასში მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე თავით ჩრდილოეთისკენ. სამარხში აღმოჩნდა: 2 დოქი თიხისა; ყელსაბამი პასტის მძივებისა და რკინის ბეჭედი თევზის გამოსახულებიანი სარდიონის ინტალიოთი [ხახუტაიშვილი 1964: 91].

აღნიშნულ სამარხებში მიცვალებულთა პოზა წინაქრისტიანული ან წარმართულია¹⁴, რის გამოც, დაზუსტებით იმის თქმა, რომ ეს გემა-ინტალიოები ქრისტიანული სიმბოლოების გამომხატველია, რთულია. მით უფრო, რომ ისინი მხოლოდ თითო თევზის გამოსახულებითაა წარმოდგენილი, რომლის სიუჟეტი წინაქრისტიანულ სამყაროშიც გავრცელებული გახლდათ [Фрикен 1877: 103] და ხშირად აღიქმებოდა როგორც ზოდიაქოს ნიშნის გამოსახულება. ნიშანდობლივია, რომ მ. მაქსიმოვამ დაუშვა შესაძლებლობა სწორედ ამ სემანტიკის მატარებელი ყოფილიყო სამთავროს გემები. ხოლო ქ. ჯავახიშვილმა ზოდიაქოს ნიშნად მიიჩნია ურბნისის თევზის გამოსახულებიანი გემა-ინტალიოები, რომელთა ტარება თანავარსკვლავედთაგან მფარველობად აღიქმებოდა [Максимова 1950: ჯავახიშვილი 1972: 8].

მაგრამ მიცვალებულთა პოზა ყოველთვის განმსაზღვრელი რომ ვერ იქნება ამ კონკრეტულ შემთხვევებში თევზის გამოსახულებიანი გემების სიმბოლური ხოლო, მეორე მხრივ, მიცვალებულთა რელიგიური კუთვნილებისა, ამაზე მიუთითებს ქართლის სამაროვნებზე დადასტურებული ოთხი შემთხვევა: სამთავროს სამაროვნის IV ს. I ნახევრის 1976 წ. N უბნის №71 ქვასამარხი¹⁵ (სურ.9) [მანჯგალაძე 1985: 45-46], 1939 წ. N უბნის №533 ორმოსამარხი¹⁶ (IV ს. დასაწყისი), ჟინვალის სამაროვნის №156 მინაყრილიანი ორმოსამარხი¹⁷ [აფაქიძე. . . 1982: 191-192; მანჯგალაძე 1985: 89-90; ჩიხლაძე 1999: 79-80] და III ს. ურბნისის №183 სამარხი (სურ.10) [ჯავახიშვილი 1972: 77]. ამ სამარხებიდან პირველ სამში აღმოჩენილია თითო-თითო სარდიონის გემა-ინტალიო ჯვრის ფორმის ლუზისა და მისი პირისკენ მიმართული ორი თევზის გამოსახულებით, ხოლო მეოთხეში – სარდიონის თვალი, საკურთხეველზე დადებული თევზის გამოსახულებით [ჯავახიშვილი 1972: 77]. მიუხედავად იმისა, რომ სამთავროს ორივე სამარხში მიცვალებულები (სამარხები ინდივიდუალურია) დაკრძალულნი იყვნენ გულაღმა გამოტილნი, მაგრამ თავით აღმოსავლეთისკენ¹⁸, ხოლო ჟინვალის სამარხში დედა-შვილი დაკრძალული იყო თავით დასავლეთით, მაგრამ გვერდზე და კიდურებმოხრილი, აღნიშნული გემები იმდენად აშკარა ქრისტიანული სიმბოლოს გამომხატველებია (როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს სიმბოლური სიუჟეტი ახ.წ. II ს. ახლო აღმოსავლეთში შექმნილად მოიაზრება და იგი წმინდად ქრისტიანული არსის მატარებელია), რომ მიცვალებულები ქრისტიანებად უნდა მივიჩნიოთ. იგივე უნდა ითქვას ურბნისის №183 სამარხის შემთხვევაშიც. მსგავსი სიუჟეტები ადრექრისტიანულ სიმბოლიკაში საკმაოდ ცნობილი კატაკომბებიდან (მაგალითად, ტრაპეზზე დადებული თევზის სიუჟეტები, რომლებიც II-III სს. მიჯნით თარიღდება, მოცემულია კალისტეს კატაკომბაში [De Rossi 1867: ტაბ.XV,XVI]), რაც კატაკომბების სიმბოლოებზე მომუშავე მკვლევართაგან ახსნილია, როგორც ექვარისტის გამომხატულება [Фрикен 1877: 113-115]. ამიტომ, ვფიქრობთ, ეს გემაც ქრისტიანულ სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ.

¹⁴ ურბნისის ჩვენთვის საინტერესო სამარხები გამოუქვეყნებელია, ამიტომ ჩვენ დავყვარდებით ქალბატონ ქ. ჯავახიშვილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასწავებთ.

¹⁵ №71 ქვასამარხი (IV ს. დასაწყისი) დაკრძალული იყო ბავშვი გულაღმა გამოტილი თავით აღმოსავლეთისკენ. სამარხში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭლის ნატეხი; 3 სანელსაცხებლე მინისა; მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი ჭვინტიანი; ქოირის ფურცლები ოქროსი; რგოლი ოქროსი; საყურე რგოლი ოქროსი; მძივები ქვის, პიროპის და პასტის და განსახილველი ვერცხლის ბეჭედი [მანჯგალაძე 1985: 45-46].

¹⁶ ორმოსამარხი №533-ში (IV ს. დასაწყისი) დაკრძალული იყო მამაკაცი გულაღმა გამოტილი, თავით აღმოსავლეთისკენ. სამარხში აღმოჩნდა: 4 ბრინჯაოს ბეჭედი არამეული წარწერით; ფარაკიანი ბეჭედი ბრინჯაოსი; ბეჭედი ბრინჯაოსი კონუსური თვლით; ბეჭედი მინისა; მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი; სანელსაცხებლე მინისა; მძივები ქალცედონისა, პასტისა, მინისა, გიშრისა, პიროპისა და სარდიონისა და განსახილველი ბრინჯაოს ბეჭედი მინის ინტალიოთი [მანჯგალაძე 1985: 89-90; აფაქიძე. . . 1982: 191-192].

¹⁷ ორმოსამარხი №156 გამართული იყო დედა-შვილისთვის, რომლებიც დაკრძალულნი იყვნენ თავით დასავლეთით, კიდურებმოკეცილი, ერთი მარცხენა, მეორე მარჯვენა გვერდზე. სამარხში აღმოჩნდა: ხელადა თიხისა მსხლისებური, ყელნიბოიანი (იდო ბავშვის თავთან); რკინის ბეჭდის ნატეხები; ბრინჯაოს ბეჭედი ინტალიოთი, რომელიც გამოსახავს პურის თავთავებს; ბეჭედი ვერცხლისა სარდიონის ინტალიოთი, რომელზეც გამოსახულია ლუზა და ორი თევზი; მძივები მინისა, გიშრისა, სარდიონისა, ალუბასტრისა, ქარვისა და მინისებრი პასტისა (216 ც.); ვერცხლის მონეტა რომაული, გახვრეტილი და საკიდად გამოყენებული (ყველა ინვენტარი ქალს აღმოაჩნდა). სამარხი III-IV სს. მიჯნით თარიღდება [ჩიხლაძე 1977].

¹⁸ სამთავროს სამაროვნის IV-VIII სს. დათარიღებული სამარხების დამხრობა, ცალკეულ გამონაკლისთა გარდა მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. შესაბამისად, მიცვალებულები დაკრძალულნი არიან თავით აღმოსავლეთისკენ, იმ შემთხვევაშიც კი თუ გულაღმა, გამოტილი ხელების ნებისმიერი მდებარეობით ხასიათდებიან. სამთავროს სამაროვნის ეს „სპეციფიკურობა“, როგორც ვ. ნიკოლაიშვილმა აღნიშნა [ნიკოლაიშვილი. . . 2000], დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იქცევს. მათგან ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სამთავროს სამაროვანი „განკუთვნილი უნდა ყოფილიყო მცხეთის არაქრისტიანი მოსახლეობის განსასვენებლად; მათ შორის ებრაელების, როგორც იუდაიზმის, ასევე იუდაური ქრისტიანული თემების ნევრების“-თვისაც [ბიბილური 1994: 40-41].

თევზის გამოსახულებიანი გემების განხილვისას შევნიშნავდით კიდევ ერთ დეტალს, რის გამოც მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გემები ვერ ჩაითვლება ქრისტიანული სიმბოლოს გამომხატველად. ესაა აღნიშნულ სამარხებში სხვა ღვთაებათა გამოსახულებიანი ბეჭდების აღმოჩენის შემთხვევები. თვალშისაცემია ის, რომ ამ სამარხებში ღვთაებათა გამოსახულებიანი გემების არც თუ დიდი მრავალფეროვნებაა. დადასტურებულია მხოლოდ 4 შემთხვევა: ტიხე-ფორტუნას (სამთავროს სამარხი №29), ათენასა (სამთავროს სამარხი №83 და ურბნისის სამარხი №55) და რომელიღაც ქალღვთაების (ურბნისის სამარხი №183) გამოსახულებიანი ინტალიოებისა. დანარჩენ შემთხვევაში კი ან ბერძნულენოვანი (სამთავროს სამარხი №970) და არამეული წარწერები (სამთავროს სამარხი №533), ან პურის თავთავების თუ ცისტოფორის (ყინვალის №156 და არმაზისხევის №2 სამარხები) და ერთ შემთხვევაშიც სამი ადამიანის პროფილში მოცემული (მცხეთის სამარხი №15) გამოსახულებებია აღმოჩენილი [Максимова 1950: 256; ბიბილური 1983: 165-166; აფაქიძე . . . 2001: 26-28; ლორთქიფანიძე 1958: 45-47; მანჯგალაძე 1985: 89-90; ჩიხლაძე 1977; ნიკოლაიშვილი. . . 2000]. რაც მთავარია, მათგან ნაწილი სწორედ იმ სამარხებშია დადასტურებული, რომლებშიც ორი თევზისა და ღუზის და საკურთხეველზე დადებული თევზის გამოსახულებიანი გემები აღმოჩნდა.

ქრისტიანული სიმბოლოების გვერდით ბერძნულ-რომაული ან წარმართული რელიგიის სიმბოლოიანი ნივთების აღმოჩენა ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. განსაკუთრებით ეს ითქმის გემა-ინტალიოებიან ბეჭდებზე. როგორც ცნობილია, ძველ სამყაროში გემებს რამდენიმე დანიშნულება ჰქონდათ. მათ ერთ ნაწილს, მიაწერდნენ რა აპოტროფულ ძალას, ატარებდნენ როგორც ამულეტებს ავი თვალისა და ძალისაგან დასაცავად [Максимова 1950: 230]. ხოლო მეორე ნაწილს, გამოსახავდნენ რა მასზე ღვთაებებსა და მასთან დაკავშირებულ წმინდა არსებებს, ატარებდნენ ამ ღვთაებათა თაყვანცემისა და მფარველობის ნიშნად. ინტალიოების შემთხვევაში კი საქმე ეხებოდა პირველ რიგში საბეჭდავს ე.ი. ინსიგნიას და როგორც სამკაული მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობით იხმარებოდა. შესაბამისად, მასზე დატანილ გამოსახულებებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა [Максимова 1950: 238].

ახ.წ. III ს. ქრისტიანი მოსახლეობა ბერძნულ-რომაულ, წარმართულ ღვთაებათა და მათ იპოსტაზურ გამოვლინებებს რომ ისევ მიმართავდა, ამაზე კლემენტი ალექსანდრიელის შენიშვნა მიუთითებს. იგი წერდა, რომ ქრისტიანებს შეეძლოთ გამოეყენებინათ საბეჭდავები, მხოლოდ იმ გამოსახულებებით, რომლებიც შეესაბამებოდნენ ქრისტიანულ სწავლებებს (ასეთები იყო თევზი, მტრედი, გაშლილი იალქნიანი ნავი, ღუზა, ზღვის ნაპირზე მდგარი მებადური და სხვა) [Clément d'Alexandrie 1846: III,11].

მიუხედავად იმისა, რომ იმ სამარხებში, რომელშიც თევზის გამოსახულებიანი გემები აღმოჩნდა, მიცვალებულთა დაკრძალვის წესი არაა წმინდად ქრისტიანული (რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ახ.წ. პირველ საუკუნეებში მკაცრად კანონიზებული ქრისტიანული დაკრძალვის წესები ჯერ კიდევ არ არსებობდა), აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, არ გამოვრიცხავთ საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული თევზის გამოსახულებიანი გემების ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირს.

აღნიშნული საკითხის შესწავლისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია იმანაც, რომ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, თევზის სიმბოლოიანი გემები საქართველოში ძირითადად ახ.წ. II საუკუნიდან ჩნდებიან ვიდრე IV ს. ბოლომდე. შესაბამისად, თევზის გამოსახულებიანი გემების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები საქართველოში მთლიანად ემთხვევა ქრისტიანულ სამყაროში ამავე სიმბოლოს გამოსახულებიანი გემების გავრცელების პერიოდს.

ამდენად, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული თევზის გამოსახულებიანი გემა-ინტალიოები, ვფიქრობთ, ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებულ

სიმბოლოებად შეგვიძლია მოვიაზროთ, რომელიც ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, იქამდე, ვიდრე ქრისტიანობა გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდა, ფართოდ გავრცელებულ და ერთ-ერთ უმთავრეს ქრისტიანულ სიმბოლოს წარმოადგენდა მთელს ქრისტიანულ „სამყაროში“. IV ს. შემდგომ, მას შემდეგ რაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა საქართველოში, ამ სიმბოლომ ბეჭდებიდან საკულტო ძეგლებზე გადაინაცვლა (ბიჭვინთის მოზაიკა, ანაკოფიისა და მრამბის ეკლესიები).

ლიტერატურა:

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955: *მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები*. – აფაქიძე ა. (რედ.), მცხეთა. I. თბილისი.
2. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭილაშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., გავაშელი ე., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ლლონტი ნ. 1982: *დიდი მცხეთა 1979*. – აფაქიძე ა. (რედ.), მცხეთა. VI. თბილისი.
3. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ა., გიუნაშვილი გ., გავაშელი ე., ლლონტი ნ., კაპანაძე მ. 1999: *ნარეკვაი I*. – აფაქიძე ა. (რედ.), მცხეთა 1998. თბილისი.
4. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ა., გიუნაშვილი გ., გავაშელი ე., ლლონტი ნ., კაპანაძე მ. 2000: *ნარეკვაი II*. – აფაქიძე ა. (რედ.), მცხეთა 1999. თბილისი.
5. აფაქიძე ა., ყიფიანი გ., მანჯგალაძე გ., გიუნაშვილი გ., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა. 2001: *არქეოლოგიური გათხრები სამთავროზე 2000 წელს*. – მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია. 2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების ანგარიშები. თბილისი. გვ.24-29.
6. ბიბილური თ. 1983: *თიხის ფილასამარხები გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე*, საკანდიდატო დისერტაცია. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კვლევის ცენტრი.
7. ბიბილური თ. 1994: *ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება ქართლის (იბერიის) სამეფოში და დიდი მცხეთის ებრაული თემი*. – ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო. კონფერენცია მიძღვნილი ადრექრისტიანული არქეოლოგიის პირველი მსოფლიო კონგრესის 100 წლისთავისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბილისი. გვ.34-41.
8. ინაიშვილი ნ. 1993: *ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები*. – ხახუტაიშვილი დ. (რედ.), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XXI. თბილისი.
9. ლორთქიფანიძე მ. 1958: *არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები*. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამეფი. II. თბილისი.
10. მანჯგალაძე გ. 1985: *სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები*. კატალოგი. – აფაქიძე ა. (რედ.), მცხეთა. VII. თბილისი. გვ.43-108.
11. მიქელაძე თ. 1985: *კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები*. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. II. თბილისი.
12. მშვილდაძე მ. 2008: *ადრეული ქრისტიანობა საქართველოში*. თბილისი.
13. ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ. 2000: *სამარხეული ინვენტარი ქრისტიანული სიმბოლოებით დიდი მცხეთის სამაროვნებიდან*. – საერთაშორისო სიმპოზიუმი – ქრისტიანობა. წარსული, აწმყო, მომავალი, მოხსენებათა შინაარსები, თბილისი.
14. სურგულაძე თ., ბიბილური თ., ძნელაძე მ. 1981: *ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან*. – საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 3. გვ.740-744.

15. ტყეშელაშვილი ო. 1955: *ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან (ახ.წ. IV-VIII სს.)*. საკანდიდატო დისერტაცია. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი.
16. უგრელიძე ნ. 1967: *ადრეულ შუასაუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის*. თბილისი.
17. ფანცხავა ლ. 1988: *კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები*. თბილისი.
18. ჩიხლაძე ვ. 1977: *1977 წლის ჟინვალის სამაროვნის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში*. ხელნაწერი. ნაშრომი ინახება დუშეთის არქეოლოგიური მუზეუმის ბაზაზე.
19. ჩიხლაძე ვ. 1999: *არაგვის ხეობა ახ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში (ჟინვალის სამაროვნის მასალების მიხედვით)*. საკანდიდატო დისერტაცია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის კვლევის ცენტრი.
20. ხახუტაიშვილი დ. 1964 : *უფლისციხე*. I. თბილისი.
21. ჯავახიშვილი ქ. 1972: *ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები*. თბილისი.
22. Максимова М. И. 1950: *Геммы из некрополя Мцхеты – Самтавро (раскопки 1938-1939гг.)*. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XVI-В. გვ.221-274.
23. Покровский Н.В. 2000: *Очерки помиатников христианского искусства (Издание второе)*. Санкт-Петербург.
24. Уваров А.С. 2001: *Христианская символика*. ч.I. (дополненное и переработанное издание) Москва-Санкт-Петербург.
25. Успенский Л. А. 1997: *Богословие иконы прораславной церкви*. Москва.
26. Фон Фрикен А. 1877: *Римские катакомбы и памятники первоначального христианского искусства*. ч. II. Москва.
27. Bovini Giuseppe. 1974: *Les „sinopie” résemment découvertes sous les mosaïques de l’abside de Saint-Apollinaire-in Classe, à Ravenne*. - Comptes-rendus des séances de l’année. . .-Académie des inscriptions et belles-lettres. Volume 118, №1. pp.97-110.
28. Clement d’Alexandrie. 1846: *Le divin maitre ou le pedagogue*. - Défense du christianisme par les pères des premiers siècles de l’église, contre les philosophes, les païens et les juifs. Traductions publiés par M. de Genoude. Paris.
29. De Rossi Giovanni Battista. 1867: *La Roma sotterranea Christiana*. Tomo II, Roma.
30. Tertullien. 1852: *Du baptême*. - Ouvres de Tertullien. Traduites en Français par Eugène-Antoine de Genoude, Paris. [livre on-lain]. Le site: www.tertullian.org
31. Tran Tam Tinh. 1995: *Archéologie paléochrétienne et patristique*. - La documentation patristique: bilan et prospective. Edision de Presses Université Laval.
32. Tristan Frédérick. 1996: *Les premieres images chretiennes, Du symbole a l’icone: II-IV^e siècles*. Fayard.
33. Wilpert Joseph. 1903: *Die malereien der katakomben Roms*. Freiburg im Breisgau.

Ketevan Digmelashvili

Great Mtskheta Archaeology state museum-reserve

ON DISTRIBUTION OF THE CHRISTIAN FISH SYMBOL IN GEORGIA (As Exemplified by Gems)

SUMMARY

The paper deals with the question of distribution of the Christian fish symbol in Georgia, on the example of gem-intaglios.

The foundation for the establishment of the fish symbol in Christianity was laid by the miracles of Christ, whereas the Greek name of fish facilitated its becoming one of the main Christian symbols and its wide distribution. Fish for the Christians turned into a symbol of the Lord and became a sign of faith.

The image of two fish facing the top of an anchor was widespread in the early Christian world, which originated in the Near East and was a widespread symbol already in the 2nd c. AD. After the reign of Constantine the Great it begins to disappear, and does not occur from the 5th century.

Gems with the representation of fish were found in Georgia at a certain period of time - in the 2nd-4th centuries and can be grouped typologically in the following way: 1. representations of a fish, 2. two fish shown in parallel to each other, 3. two fish facing the top of an anchor, and 4. fish placed on an altar. They are recorded in burials arranged according to the Christian and pagan rites at Mtskheta, Zhinvali, Urnisi, Qatlanikhevi, Tsikhisdziri, due to which part of intaglios are regarded as expressions of a Christian symbol, and others as those of a zodiacal sign.

However, the fact that the posture of burying the deceased and grave goods cannot be always the determinant of their religious affiliation is indicated by instances recorded at Samtavro and Urnisi, where pagan burials contained, along with intaglios bearing representations of various deities, gems with the Christian fish symbol.

It should be noted that gems showing the fish symbol appear in Georgia mostly from the 2nd century AD, continuing until the end of the 4th c. Accordingly, the chronological boundaries of distribution of gems with the fish image in Georgia completely coincide with the period of distribution of gems with the same symbol in the Christian world.

Thus, gem-intaglios bearing the representation of fish, found on the territory of Georgia from the beginning of Common Era, in my view, should be interpreted as expressing a Christian symbol, which in the first centuries until Christianity became predominant, was a widespread Christian symbol in entire Christendom. After the 4th c. this symbol moved from rings to cult sites.



პირველი არქეოლოგიური ექსპონატები ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიდან

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში დაცულია 41000-მდე ექსპონატი. იგი მოიცავს თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს რეგიონს. ფონდში დაცული ნივთები წარმოადგენენ საკულტო, სამეურნეო და საოჯახო დანიშნულების უნიკალურ ექსპონატებს.

არქეოლოგიური არტიფაქტების შეგროვებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სამუზეუმო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ფასდაუდებელი მუშაობა გასწიეს არქეოლოგიური ნივთების მოძიების საქმეში: ტრიფონ ჯაფარიძემ, გიორგი ბოჭორიძემ, პეტრე ჭაბუკიანმა და სხვადასხვა რეგიონებში მიმაგრებულმა მუზეუმის რწმუნებულებმა.

აღნიშნულ სტატიამი შევეცდებით წარმოვაჩინოთ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში დაცული პირველი ექსპონატების როლი კოლხური კულტურის შესწავლის საქმეში. მრავალრიცხოვანი და მრავალფუნქციური ნივთებიდან გამოვყოფთ რამოდენიმე საინტერესო ექსპონატს (აქვე გავითვალისწინებთ ერთ ქრონოლოგიურ ნიუანსს, ყველა აღწერილი ექსპონატი საცავებში შემოსულია მუზეუმის გახსნამდე ან გახსნის პირველივე წლებში).

მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გვიანბრინჯაოს განძებს. მათი უმრავლესობა მუზეუმის ფუნქციონირების ადრეულ წლებშივეა შემოსული და განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება კოლხური კულტურაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ასპექტების სწორად გააზრების საქმეში. ამ ეტაპზე არ შევხებით განძების დეტალურ აღწერა-დახასიათებას. შემოვიფარგლებით მხოლოდ განძების სოციალურ-ეკონომიკური და საკრალურ-სარიტუალო ფუნქციის განხილვით. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მრავალრიცხოვანი განძებიდან გამოვყოფთ რამოდენიმე განძს, რომლის საინვენტარო დავთრების ინფორმაციულობა ნათლად მეტყველებს განძების ფუნქცია-დანიშნულებაზე.

„განძი“ წარმოადგენს კონკრეტულ ადგილზე გარკვეული მიზნით გადამალულ ერთი ან რამოდენიმე ერთგვაროვანი ან არაერთგვაროვანი ნივთების ერთობლიობას. ბრინჯაოს განძები საქართველოში ძირითადად დაფიქსირებულია ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე და მოიცავს კონკრეტულ ქრონოლოგიურ (XVIII-XVI სს-დან VIII-VII სს-მდე) ეტაპს [ლორთქიფანიძე ო., 2001, გვ. 185; ქორიძე დ., 1965, გვ. 99-120].

პირველი რომელიც გვინდა გამოვყოთ ეს არის დიმის განძი (ქიმ. 5462 A-54) ძვ. წ. XIV-XIII სს. (სურ. 1) [ლანჩავა ო., 2007, გვ. 22; დანვრ. აღწერილობა იხ. ჯიქია ლ., 1988, გვ. 36-40; ქორიძე დ., 1965, გვ. 14]. აღმოჩენილია სოფ. დიმში 1939 წელს და შედგება 12 ცალი ცულისაგან. საინვენტარო დავთარში ჩანერილია რომ ცულები ქვევრში ყოფილა ჩანყობილი (სამწუხაროდ ქვევრი მუზეუმში შემოტანილი არ არის).

მეორე წარმოდგენილია სოფ გორადან (ქიმ. 5412 A-10) ძვ. წ. XIV-XIII სს. (სურ. 2) აღმოჩენილია 1922 წელს (მუზეუმში შემოვიდა 1924 წელს) მინის დამუშავების დროს. შედგება 16 ნივთისაგან, აქედან 2 ცულია, 4 თოხი და 10 სეგმენტი [დანვრ. აღწერილობა იხ. ჯიქია ლ., 1988, გვ. 28-32; ქორიძე დ., 1965, გვ. 15-16].

მესამე ნაპოვნია 1925 წელს სოფ. ნოლაში (ქიმ. 5419 A-17) ძვ. წ. XIII-XII სს. განძი მოთავსებული ყოფილა ქოთანში და შედგება 5 ნივთისაგან [დანვრ. აღწერილობა იხ. ჯიქია ლ., 1988, გვ. 33-35].

მეოთხე განძი აღმოჩენილია სოფ. ოფშკვითის ტერიტორიაზე (ქიმ. 5429 A-27) ძვ. წ. XII-XI სს [ლანჩავა ო., 2007, გვ. 22; ჯიქია ლ., 2006, გვ. 79; ქორიძე დ., 1965, გვ. 23]. იგი შემოსულია 1926

წელს და შედგება 52 ცალი ნივთისაგან. აქედან 18 დაზიანებულია, 20 ფრაგმენტული სახისაა (სურ. 3). მათგან ორი ცული ყუაშია გატეხილი თანაც ისე რომ მათი ერთმანეთზე მიერთება შეიძლება (სურ 4). თითქმის ანალოგიური სიტუაციაა ნამგლებშიც. შემოსულობათა წიგნში ვკითხულობთ, რომ განძი შემოუტანია ტრიფონ ჯაფარიძეს, ხოლო მის არქივში რომელიც ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დასტურდება განძის შემოტანის დრო ასევე დამატებით დაცულია ძალიან საყურადღებო ნიუანსები: „...რიონის გადასაყვანი არხის გაჭრის დროს მუშამ ნახა მინაში მოზრდილი ქოთანი, რომელშიც ენყო ბრინჯაოს ხანის იარაღები...“ [E-192/955]

მეხუთე განძი წარმოდგენილია 1925 წელს ლაილაშიდან (ქიმ. 5415 A-13) ძვ. წ. XI-X სს. ნაპოვნია „მიქელაძის საყანეში“ ახოდ აღებულში (სოფ. სურმუშში) [დანვრ. აღწერილობა იხ. ჯიქია ლ., 1988, გვ. 32-33].

ბრინჯაოს განძების ფუნქციასთან დაკავშირებით ქართულ არქეოლოგიაში თითქმის ერთი აზრია გაბატონებული – „განძი“ მინაში ჩაფლულია რაიმე სამიშროების დროს ლითონის ხელოსნის ან ლითონით მოვაჭრის მიერ. თუმცა გამოთქმულია სხვადასხვა კომპეტენტური მოსაზრებები მაგ: ო. ლამბაშიძის აზრით „განძი წარმოადგენს დიდი, პატრიარქალური ოჯახის მიერ შიშინანობის დროს დაფლულ სამეურნეო იარაღების თავყრილობას და მასში შემავალი საგნების რაოდენობა მიახლოებით განსაზღვრავს ამ ოჯახის წევრთა რაოდენობასაც და მისი მეურნეობის სიმძლავრის ხარისხსაც. (იქვე დასძენს) ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ, რომ დღემდე ცნობილ ყველა განძს მოვეხსნათ თითქმის საყოველთაოდ აღიარებული – „მდნობელთა განძი“; ბევრი მათგანი უეჭველად ასეთია, ვინაიდან სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იქნებოდა თავმოყრა, ერთი მხრით, სპილენძის მძიმე ზოდებისა და მეორე მხრივ, ხმარებიდან გამოსული უამრავი საგნის ან მათი ნატეხებისა. ჩვენ მხოლოდ ვვარაუდობთ, რომ ბევრი სხვა უპირატესად ვარგისი სამეურნეო იარაღების შემცველი განძი წარმოადგენს საკუთრებას ცალკე ოჯახის, რომელშიც მდნობელი შეიძლება შედიოდა, როგორც მისი ერთ-ერთი სრულუფლებიანი წევრი“ [ლამბაშიძე ო., 1963, გვ. 84-86] (ამ მოსაზრების საპასუხოდ საკმაოდ კარგი არგუმენტი მოჰყავს ოთარ ლორთქიფანიძეს. „ცნობილია, რომ ზოგიერთ განძში, მხოლოდ ორი ან სამი ნივთია [ჩვენს მაგალითზე გოდოგნის განძი შედგება 3 ცალი ცულისაგან]) დაფიქსირებული. ასეთი სულადობის მქონე „დიდი ოჯახი“ ძნელად წარმოსადგენია...“ [ლორთქიფანიძე ო., 2001, გვ. 179].

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ლ. სახაროვას. იგი „განძებს“ ოთხ კატეგორიად ჰყოფს – მელითონეთა, ვაჭართა, საოჯახო და საკულტოდ. [სახაროვა ლ., თბ. 1976, გვ. 40-41]. განსხვავებული მოსაზრება აქვს თ. მიქელაძეს. იგი ამბობს, რომ „კოლხური განძები ასახავენ სიმდიდრის დაგროვების, დაცვისა და გადამალვის ტენდენციებს..“ [მიქელაძე თ., 1985, გვ. 156]. ამავე მოსაზრებას ემხრობა გ. ლორთქიფანიძე. ამათ საპასუხოდ ო. ჯაფარიძეს გამოთქმული აქვს საკმაოდ კომპეტენტური მოსაზრება; „განძების“ უმრავლესობა ხმარებიდან გამოსული და დაზიანებული ნივთებისაგან შედგება ამიტომ „მდნობელთა განძი“ არა გვგონია, რომ საგანგებო დამალვას საჭიროებდა და ისინი სიმდიდრის წყაროს წარმოადგენდა“ [ლორთქიფანიძე ო., 2001, გვ. 180; ჯაფარიძე ო., რეცენზია თ. მიქელაძის ნაშრომებზე თსუ შრომები 162 (არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია) 1975 გვ. 137-144]. არსებობს განძების სახელოსნობებთან გაიგივების მოსაზრებაც, რომელსაც აქტიურად ემხრობა ი. ვორონოვი. [Воронов Ю. Н. , 1969 г. ст. 73]. საყურადღებო მოსაზრებები აქვს ო. ლორთქიფანიძეს: „კოლხური კულტურის წიაღში გავრცელებული „განძები“, ჩვენი აზრით, ძირითადად საკრალური დანიშნულებისაა, ისინი ღვთაებებისადმი შეწირულობას უნდა წარმოადგენდნენ.“ [ლორთქიფანიძე ო., 2001, გვ. 185]. ამ მოსაზრებების გასამყარებლად მეცნიერს მოჰყავს საქართველოში არქეოლოგიურად დადასტურებულ ფაქტები, კერძოდ „განძების“ არსებობა ძვ. წ. VIII-VII საუკუნის შემდეგ აღარ დასტურდება და ეს ხომ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ VIII-VII

საუკუნიდან წყდება ბრინჯაოს ნივთების იზოლირებულად რიტუალური მსხვერპლმწიროვის წესი“. იქვე ნათქვამი აქვს, რომ „ძვ.წ. VIII საუკუნიდან კოლხეთში ჩნდება დოკუმენტურად დაფიქსირებული სამლოცველოები მრავალრიცხოვანი ნივთმწიროვით“ [ლორთქიფანიძე ო., 2001, გვ. 185]. „განძის“ საკრსლურ „ვოტივურ“ ნივთებთან გასაიგივებლად ო. ლორთქიფანიძეს იშველიებს ევროპელი მკვლევარების მოსაზრებებსა და გამოკვლევებს (ევროპაში „განძების“ კვლევას 150 წლის ისტორია გააჩნია) [დანვ. იხ. ლორთქიფანიძე ო., 2001, გვ. 180-183].

საქართველოს ტერიტორიაზე განძები ძირითადად გვხვდება: არადასახლებულ ადგილებზე, ტრიალ მინდვრებში, მიწის დამუშავების დროს, მდინარის პირას, ორმოს ამოღებისას, დიდ ლოდებთან და სხვ. რაც შესაძლოა იმას მოწმობდეს, რომ ისინი საგანგებოდ კიარაა დამალული, არამედ ღიად მიწის ზედაპირთან ახლოს არის ჩაფლული (ჩვენს მაგალითზე გორასა და ლაილაშის განძი – ნაპოვნია მიწის დამუშავების დროს). აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ზოგიერთი მათგანი ნაპოვნია თიხის ქურჭელში (ჩვენს მაგალითზე ოფშკვიტის, ნოლასა და დიმის განძები).

განძების უმრავლესობა შედგება დაზიანებული, გატეხილი ნივთებისაგან, ჩვენს მაგალითზე ოფშკვიტის განძში შემავალი ორი ცული ყუაშია გატეხილი (აღსანიშნავია, რომ ორივე ნაწილი ყუაც და ტანიც დაცულია განძის შემადგენლობაში [სურ. 4]). ამიტომ გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, აღნიშნული განძის თიხის ქოთანში დაფვლა და მასში შემავალი ერთი მთლიანი ნივთის ნატეხების სახით წარმოდგენა, ხომ არ მიუთითებს მის საკრალურ – ვოტივურ ხასიათზე.

და ბოლოს ჩვენს მიერ დახასიათებული განძების მეშვეობით გვინდა გამოვეხმაუროთ გვიან-ბრინჯაოს ხანაში „განძის“ როგორც სარიტუალო-ვოტივური ფუნქციის საკითხს. ასევე შევეცადეთ „განძების“ კვლევის ისტორიისათვის მიგვემატებინა სამეცნიერო წრეებისათვის რამოდენიმე ახალი (თუმცა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დიდი ხნის წინათ დავანებული) ინფორმაცია. ყველა ჩამოთვლილ „განძის“ სააღრიცხვო ბარათებში, თუ საარქივო მასალებში დაცულია მეტად საინტერესო და საყურადღებო ნიუანსები (მათი უმრავლესობა არ ყოფილა ცნობილი ფართო მკითხველისათვის), კერძოდ ასახული მისი განმარხვის ის დეტალები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას მოკრძალებული ვარაუდის გამოსატქმელად – გვიანბრინჯაოს ხანის კოლხურ კულტურაში „განძების“, როგორც ვოტივური ფუნქციის შესახებ. თუმცა ეს მოსაზრება ვერ შეეხება კოლხურ კულტურაში არსებულ ყველა „განძს“.

ამრიგად კოლხურ წიაღში აღმოცენებული „განძების“ ფუნქციის შესახებ არაერთგვაროვანი შეხედულებების ფონზე იკვეთება „განძის“ ორი ხასითი: I) „მდნობელთა“, „მოვაჭრეთა“, „საოჯახო თემის“ საკუთრებად მიჩნევის, რომელიც შიშიანობის გამოა დაფლული მიწაში და იგი დაბრუნებადია. II) საკულტო ხასითის, რომელიც შეწირულია ღვთაებებისათვის და იგი არადაბრუნებადია.

შემდეგი საკითხი, რომელიც გვინდა დავაყენოთ ეს არის ბრინჯაოს ქანდაკებები. მათ განსაკუთრებით დიდი სამეცნიერო ღირებულება გააჩნიათ კოლხური კულტურის შესწავლის საქმეში. აქაც, როგორც წინა საკითხში, ჩვენ არ მოვიყვანთ ექსპონატების დეტალურ აღწერილობას და შევეცდებით განვიხილოთ მათი ფუნქციები კოლხურ კულტურაში.

გასული საუკუნის 20-იან წლებამდე ფერსათში მთის ძირში მდინარის პირას სილაში იქნა ნაპოვნი ქანდაკება (ქიმ. 5668/A-254). ძვ. წ. VIII-VII სს. (H-32 სმ.) ფიგურა წარმოადგენს მამაკაცის ითიფალიკურ ქანდაკებას (სურ. 5), რომელიც დგას კვარცხლბეკზე (5X7,5სმ.). [არქეოლოგიის ფონდის პასპორტი; ლანჩავა ო., 2007; ბერძენიშვილი დ., 1988, გვ. 64-65].

მეორე ქანდაკება (ქიმ. 5524/A-114) ძვ. წ. VIII-VII სს. მუზეუმში შემოვიდა საჩხერიდან 1926 წელს ეს არის – ქალის ქანდაკება (H-5 სმ.) წარმოადგენს მჯდომარე ქალის მცირე ზომის სტატუეტკას (სურ. 6). [არქეოლოგიური ფონდის პასპორტი; ბერძენიშვილი დ., 1988, გვ. 62-63].

მესამე ქანდაკება (ქიმ. 5467/A A-59) ძვ. წ. VIII-VII სს. 1926 დღნორისის გაუქმებული ეკლესიიდან

– ხარის ქანდაკება-განეკუთვნება მცირე ზომის (L-5 სმ. H-8 სმ.) მრგვალი ქანდაკებების ჯგუფს, შესრულებულია მტკიცე ოსტატური ხელით (სურ. 7). ფეხები ოდნავ მოხრილია, გამოსახულია მოძრავ პოზაში, მაღალი ყელით და მოხრილი დიდი რქებით. კუდი მსხვილია და ბოლოსკენ ნაწვეტებული. [არქეოლოგიური ფონდის პასპორტი; ლანჩავა ო., 2007; ბერძენიშვილი დ., 2008, გვ. 7].

ძალის ქანდაკება (ქიმ. 5523/-113 [L-3,5 სმ.] ადრეანტიკური ხანა (სურ. 8). ნაპოვნია ქუთაისში „გორაზე“ გოცირიძის ეზოში 1926 წელს. ძალის ქანდაკება-ცხოველს ოდნავ განვრდილებული წელი, მოკლე კუდი, აცქვეტილი ყურები და ღია პირი აქვს, ფეხები წყვილ-წყვილად შეტყუებულია [არქეოლოგიური ფონდის პასპორტი; ლანჩავა ო., 2007, გვ. 53].

ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკებები ძალიან გავრცელებულია ადრერკინისა და რკინის ფართო ათვისების ხანის კავკასიაში. აგრეთვე მცირე აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუაზღვისპირეთში და სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაში. სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში მათი ასეულობით ეგზემპლარია დადასტურებული, რომელთა უმრავლესობა შემთხვევითაა აღმოჩენილი და მხოლოდ მცირე ნაწილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული. [კვიციანი რ., 2009, გვ. 128]. ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკებები წარმართული კერპებია. მათ შორის გამოკვეთილად შეიძლება გამოიყოს ნაყოფიერებისა და ომის მფარველი ღვთაებები.

რაც შეეხება ხარისა და ძალის ქანდაკებებს ესენიც ღვთაებებს, ღვთაებების მხლებლებს ან შესანიშნავ საკულტო ცხოველებს წარმოადგენენ. ხარის კულტს კავკასიელი, კერძოდ ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი. ძველ კოლხეთში ხარის კულტის არაპირდაპირი მითითებაა მოცემული „არგონავტიკაში“ [ბერძენიშვილი დ., 2008, გვ. 7]. ხარის კულტთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო ცნობაა დაცული არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ მონაცემებსა თუ წერილობით წყაროებში [დანვრილებით იხ. ბერძენიშვილი დ., ხარის კულტი წარმართულ საქართველოში 2008 წ]. ხარს, როგორც ღვთაებას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მზის, მთვარის, ნაყოფიერების და მიწათმოქმედების ღვთაებად წარმოსახავდნენ.

ძალის გამოსახულებები ყველაზე მრავალრიცხოვანია კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის დეკორში. [ფანცხავა ლ., 1988, გვ.48] ძალის ბევრ ქვეყანაში ღვთაებად იყო წარმოდგენილი. ის ხშირად სხვადასხვა ღმერთებისა თუ ქალღმერთების თანმხლები საკრალური ცხოველია. მაგ: ნადირობის ქალღმერთი დიანა უმეტეს შემთხვევაში ძალთან ერთად არის გამოსახული. ასევე ძალის თანხლებით დადის მეგრული მითოლოგიის ნადირთღვთაება „მესეფის“ – „...მესეფეები შავი ზღვიდან ამოდიან ძალების თანხლებით და გავლენას ახდენენ ამინდზე...“ „როდესაც მესეფეები და მათი თანმხლები ძალები ზღვიდან ამოვლენ ნადირი ფრთხება და მიუვალ ადგილებს ეტანება...“ [http://saunje.ge/index.php?id=550&lang=ka]. დაბოლოს ძალის დაკვირვებულია ცხოველების მფარველ ღვთაებებთან და იგი ხშირად მის ერთ-ერთ სახეცვლილებას წარმოადგენს.

ამრიგად ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ესქპონატები (ამ შემთხვევაში გვიანბრინჯაოს „განძები“ და ადრერკინისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ქანდაკებები) წარმოადგენენ კოლხური კულტურის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ამსახველი მეტად საინტერესო შტრიხების გააზრების საშუალებას. აღნიშნული არტეფაქტები თითქოსდა ერთ უწყვეტ ხაზს წარმოადგენს და საჭიროებს ფართო, სხვადასხვა მონათესავე სფეროების დახმარებით, უფრო დეტალურ და სკურპულოზურ აღწერა-გაანალიზებას.

ლიტერატურა;

1. ბერძენიშვილი დ., სამი ანთროპომორფული ქანდაკება ქუთაისის მუზეუმიდან, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები კრ. V, ქუთ. 1988 წ.
2. ბერძენიშვილი დ., ხარის კულტი წარმართული ხანის საქართველოში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები კრ. XVIII, ქუთ. 2008 წ.
3. კვიციანი რ., ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძვ. წ. VIII-VII სს.) დისერტაცია, თბ. 2009 წ.
4. ლანჩავა ო., ქუთაისის არქეოლოგია. ქუთ. 2007 წ.
5. ლორთქიფანიძე ო., „განძები“ კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში; კავკასია ნეოლით ბრინჯაოს არქეოლოგიის საკითხები 2001 წ.
6. მიქელაძე თ., კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ. 1985 წ.
7. სახაროვა ლ., ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბ. 1976 წ.
8. ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, „მეცნიერება“ თბ. 1965 წ.
9. ლამბაშიძე ო., თხმორის განძი; თბ. 1963 წ.
10. ფანცხავა ლ., კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები „მეცნიერება“ თბ. 1988 წ.
11. ჯაფარიძე ო., რეცენზია თ. მიქელაძის ნაშრომებზე თსუ შრომები 162 [არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია] 1975 წ.
12. ჯიქია ლ., ბრინჯაოს სამეურნეო იარაღები ქუთაისის მუზეუმიდან, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები კრ. V, ქუთ. 1988. წ.
13. ჯიქია ლ., კოლხური და უცხოური კულტურის ძეგლები „ქუთაისის ქვეყნიდან“, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი 2006 წ.
14. E-192/955 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი არქივი.
15. ქიმ. 5419 A-17; ქიმ. 5429 A-27; ქიმ. 5415 A-13; ქიმ. 5668 A-254; ქიმ. 5524 A-114; ქიმ. 5467AA-59; ქიმ. 5523 A-113; ქიმ. 5462 A-54; ქიმ. 5412 A-10.
16. <http://saunje.ge/index.php?id=550&lang=ka>
17. Воронов Ю. Н. Археологическая карта Абхазии. Сухуми. 1969.

Shalva Buadze

THE FIRST ARCHAEOLOGICAL EXHIBIT IN THE FROM KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

SUMMARY

There are approximately 41000 exhibits in the Archaeological Foundation of Kutaisi State Historical Museum. These unique exhibits have religious, economic and household functions.

The Museum-ethnographic Society has contributed much to the collection of archaeological artifacts. TrifonJafaridze, GiorgiBochoridze, PetreChabukiani and the museum curators in different regions did a lot to provide archaeological findings. The bronze sculptures (those of ox and dog)

typical of the Colchian Culture, the treasures of the Late Bronze Age and the Stone Age materials provided by PetreChabukiani from “Tetramitsa” carry vital scientific significance.

The treasures of the Late Bronze Age are distinguished among the exhibits of the museum. Most of them were delivered to the museum throughout the early years of its existence and are of considerable importance for the proper understanding of social-economic, material and spiritual aspects of the Colchian Culture.

The Treasure of Ofshkviti was delivered to the museum in 1926. It consists of 52 items. 18 items are damaged and 20 items have survived as fragments. Three of them are broken so that the parts can be rejoined. According to the Registration Book the treasure was provided by TrifonJafaridze. It was found in a clay container while building the Rioni Canal.

The treasure of Nogha was discovered in 1925 in a pot.

The treasure of Dimi consists of 12 axes found in a pitcher in 1939.

The treasures of the Colchian Culture dateback to XVIII/XVI - VIII centuries BC. Views on the essence of the treasures are controversial. The most common version implies the treasures of metal-workers and founders. In addition, there is a strongly supported opinion about the religious function of the treasures (we predominantly support the latter, without excluding the possibility of the existence of the treasures of metal-workers and founders).

It is worthy of note that the first exhibits of Kutaisi State Historical Museum reveal interesting details related to the transformation of Kutaisi from an ordinary settlement to a town as well as social-economic and spiritual aspects of the Colchian Culture.



თიხის პანალია

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქოლოგიის ფონდში დაცულია თიხისაგან დამზადებული გულსაკიდი ხატი – პანალია, ანუ ენკოლიპონი (5712/A-297/1). ადრეულ პანალიებზე, ერთ მხარეს, როგორც წესი ღვთისმშობელია გამოსახული (პანალია ბერძნულია და ნიშნავს „ყოვლანმინდა ღვთისმშობელს“ [Скабалланович М., 1915: 18]), ხოლო მეორე მხარეს მაცხოვარი ან წმინდა სამებაა [Никольский К., 1948: 51]. მოგვიანო პერიოდში – XVIII საუკუნიდან პანალიის ერთ მხარეს, მხოლოდ ღვთისმშობელია გამოსახული, ხოლო უკანა მხარე გლუვია [Энциклопедический Словарь 1992: 1755]. იგი ჯვართან ერთად ეპისკოპოსისთვის, მღვდელმთავრისა და არქიმანდრიტისთვის იყო განკუთვნილი. ცნობილია, რომ პანალია მზადდებოდა ხის, სპილოს ძვლისა და უმრავლეს შემთხვევაში ლითონისაგან, რომელიც ფერადი ქვებით იყო შემკული [Энциклопедический Словарь 1897: 680] და მინანქრით და სევადით [Энциклопедия, 1975: 134] დამშვენებული. ქუთაისის მუზეუმში დაცული პანალია, გამონაკლისის სახით, თიხისაგანაა დამზადებული. მუზეუმის შემოსულობათა ნიგნში პანალია გატარებულია, როგორც შტამპი (საბეჭდავი). მისი წარმომავლობა უცნობია.

გულსაკიდი ჯვრების ტარების ჩვეულება ქრისტიანულ სამყაროში VI საუკუნიდანაა ცნობილი [მაჩაბელი კ., 1998: 156] პანალია კი ბერძნულ და რუსულ მართლმადიდებულურ ეკლესიაში XIV – XV საუკუნეებში ჩნდება [Скабалланович М., 1915: 19]. ჩემი აზრით, ქართულ ეკლესიაში იგი ამ პერიოდიდანაა სავარაუდო და ძირითადი ფუნქციის გარდა, პირადი მორთულობის საგნადაც გვევლინება. საეკლესიო პირები პანალიას სამოსის – ბისონის ზემოდან ატარებდნენ. სხვაგვარად, ალბათ, გაუგებარი იქნებოდა ორნამენტულ გამოსახულებით შემკობის დანიშნულება. პანალიები სანაწილე ჯვრებთან ერთად [დოლიძე ი., 1993: 85], როგორც ჩანს, მთავარი განმსაზღვრელი ფუნქცია ენიჭებოდა იერარქიულად მაღალი საეკლესიო პირის სამოსის შესამკობად.

მუზეუმის ფონდში დაცული პანალია წრიული ფორმისაა (7,6 = 6,8 სმ.), დამზადებულია წვრილ ქარსმინარევიანი მონითალო ფერის თიხისაგან. ძლიერ გამომშრალია, მჩატეა და მხოლოდ 68 გრ. იწონის. პანალიაზე გამოსახულებანი ნედლ თიხაზეა შესრულებული და ტვიფრითაა დამზადებული. მას ირგვლივ ჩარჩო შემოუყვება, რომელიც ბოლოვდება გახვრეტილი საკიდი ყურით, რომლის ქვემოთ ამოკანვრით შესრულებული ბერძნული წარწერები შეიმჩნევა, რომელიც დაზიანებულია, თითქმის მთლიანად წაშლილია და ამჟამად მისი ამოკითხვა გაძნელებულია. პანალია ორ დამოუკიდებელ ხატადაა წარმოდგენილი და პირდაპირ თიხაზეა დანერგილი. ირგვლივ ჭედური ხატების მსგავსად გრეხილი ორნამენტი შემოუყვება, რომლის თავზე ღრმა, დაშტრიხული კონცენტრიკული ხაზებია. ორივე მხარის ბრტყელი ზედაპირის გამოსახულებანი და ფოთლოვანი ორნამენტი ზემოდანაა ჩაჭრილი, პლასტიკურადაა დამუშავებული და წვეტიანი იარაღის საშუალებით ღრმა კვეთით შესრულებული.

პანალიის ერთ მხარეს, წარწერის ქვემოთ (სურ. 1), წარმოდგენილია „გულის“ ფორმის ჩარჩოში გამოსახული ტახტზე დაბრძანებული მარიამ ღვთისმშობელი, რომელიც ოდნავ მარცხენა მხარესაა მიბრუნებული და ორივე ხელით უჭირავს ყრმა იესო. ღვთისმშობლის მზერა შვილისკენაა მიმართული. მათ გვერდით სქემატურად შესრულებული მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი უნდა იყოს წარმოდგენილი (შეიმჩნევა მთავარანგელოზ მიქაელის ფრთა და სტილიზებულად შესრულებული სახეები). ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით სამი მეოთხედით არის მობრუნებული (ასეთივე მობრუნება ღვთისმშობლის ყრმით გვხვდება ბრდაძორის ადრექრისტიანული ხანის სტელაზე [მაჩაბელი

კ., 2008: 118. სურ.21]) . ორივეს თავზე ოდნავ შესამჩნევი და სადად შესრულებული შარავანდედი შეიმჩნევა. ღვთისმშობლის შარავანდედი ჩარჩოს არშიაშია შეჭრილი. ღვთისმშობელი ტრადიციული მაფორიუმის ნაცვლად წარმოდგენილია ქართული თავსაბურით, რომელიც „ქინძისთავით“ არის შეკრული.

ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს ერთმანეთის მიმართ მზერას აერთიანებს რიტმული მოძრაობა და დრამატულ შთაბეჭდილებას გვიქმნის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ემოციურობით აღბეჭდილი ღვთისმშობლის მკაცრი, მჭმუნვარე სახე და ამავე დროს განონასნორებული, შთაგონებული გამომეტყველება. ეს მზერა წმ. მარიამს ღრმა სულიერებას ანიჭებს. დარჩენილი ზედაპირის მთელ ფონზე, მრგვალ პატარა ჩარჩოებში, გამოსახულია სტილიზებულად შესრულებული 26 წმინდანი. ზოგიერთ მათგანზე შარავანდედი შეიმჩნევა. მათი ფიგურები ერთმანეთს მარტივი სამკუთხა ცალყურიანი ფოთლოვანი ორნამენტით უკავშირდება. ისინი, წმინდანებისაგან განსხვავებით, რელიეფურ, რომბულ ჩარჩოებშია განლაგებული. ორნამენტი იწყება ქვემოდან, როგორც ჩანს, შემალღებული ბორცვიდან (გოლგოთის მთა(?)) ორი ღეროს განშტოების სახით, რომლის ხვეულებშია მოთავსებული ცალყურა, გამოყვანილი ფოთლები და წმინდანების სახეები, მაგრამ აქ გადამწყვეტ როლს ღვთისმშობლის გამოსახულება ასრულებს. პანალიის ზედაპირზე აქცენტი ძირითადად გადატანილია ერთიანი მხატვრული სურათის შექმნაზე, რაც მის შემქმნლს უდავოდ გამოუვიდა და ერთ სრულ კვანძად იკვრება.

ფიგურების კვეთა ღრმაა, მაგრამ არც თუ მკაფიო და პლასტიკური; გამოსახულებათა თავები სქემატურია, არ ჩანს სახის ნაკვთები, თუმცა წმინდანები, მიუხედავად მათი სიმცირისა, გულმოდგინედაა დამუშავებული და უმეტესად პროპორციულია. ისინი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ერთი მეორის ანალოგს წარმოადგენენ.

პანალიის მეორე მხარეს (სურ.2), წარწერის ქვემოთ, „გულის“ ფორმის ჩარჩოში ფრონტალურად გამოსახულია ქრისტე-პანტოკრატორი. მარჯვენა ხელი იდაყვიში მოხრილია, მკერდთანაა მიტანილი და კურთხევის ნიშნადაა ზევით აღმართული. მარცხენა ხელში სახარება უჭყრია. მაცხოვრის შარავანდედის ზედა ნაწილი მთლიანად ჩარჩოს ხაზშია შეჭრილი და ამის გამო მხოლოდ გვერდებზე შეიმჩნევა. სხეულზე დაშტრიხული ხაზები პირობითად ქრისტეს პერანგს გადმოგვცემს, ხოლო ყელთან ჩაღრმავებით საყელოს იმიტაციას ქმნის. მაცხოვრის თმაც და წვერიც პალეოლოგოსთა [ამირანაშვილი შ., 1980: 6] გავლენითაა შექმნილი. ქრისტეს მხრებს ზემოთ ქერობინთა გამოსახულება მაცხოვრის ზეციურ მნიშვნელობაზე მიუთითებს. მიღებულია პანალიის შემქმნელის ჩანაფიქრი – ქრისტე გიზიდავთ, გიპყრობთ თავისი გამოუცნობი ზეადამიანური ძალით.

ზედაპირზე კონცენტრულ წრეებში 12 მოციქულია გამოსახული, ხოლო ქრისტეს ჩარჩოს გარე გვერდებზე ტრადიციულად მოციქულები – პეტრე და პავლე უნდა იყვნენ წარმოდგენილი. ყველა მოციქულს თავისი საკუთარი ზუსტი ადგილი აქვს მიჩნეული.

12 მოციქულის გამოსახულების გამო, ოსტატმა ანგარიში გაუწია იმ გარემოებას, რომ მის განკარგულებაში იყო უფრო დიდი სივრცე და დარჩენილ ზედაპირს მთლიანად ფარავს დახვეწილი ფორმის მცენარეული ორნამენტით და ამით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პანალიის ეს ნაწილი დანარჩენებთან ერთ მთლიანობაში იქნეს აღქმული.

ორნამენტი იწყება ქვემოდან მოგრძო და მსხვილი ყლორტის სახით, რომელიც მიისწრაფის ზევით, უერთდება „გულის“ კონტურს. შემდეგ გადადის როგორც მარცხნივ, ასევე მარჯვნივ. თავისი ხასიათით და მოძრაობის ინტესივობით ხაზს უსვამს წვრილი ყლორტებისა და ფოთლების ხვეულებში ამოკვეთილ მოციქულებს, რადგან ზედაპირის შემკობის თვალსაზრისით ისინია მთავარი, ბუნებრივია, ქრისტეს გამოსახულების შემდეგ, რადგან მთელ კომპოზიციაში მაცხოვარი დომინირებს.

თუ მოციქულების გამოსახვის დროს ძირითადად ერთსახოვნებაა, მეტი თავისუფლება და დინამიურობაა მცენარეული მოტივის გადმოცემისას, ფოთლოვანი ორნამენტი განმეორებით რიტმს არ ემორჩილება, იგი თავისუფლად ვითარდება: ხან უფრო დიდი ხდება, ხან მცირდება შესაბამისი არეების განაწილების მიხედვით.

ყლორტების ცალკეული ღეროების წრიულ ჩარჩოებში, რომლებში, სამკუთხედებში მოთავსებულია თითქმის ერთიანი ზომის რელიეფური ფოთლები, რომელთა განლაგებაც მაცხოვართან და მოციქულებთან ერთად მიზნად ისახავს ერთიან მხატვრულ აღქმას და ავსებს ზედაპირის დეკორატიულ მთლიანობას.

უფლისა და ღვთისმშობლის დიდების გამოსახულებებზე აქცენტის გადატანით ოსტატმა ხატოვანი კომპოზიციით მხატვრულად და იდეურად გადმოგვცა ქრისტიანობის ორი უმნიშვნელოვანესი თემა, რომელიც ქრისტიანული რწმენის არსს განასახიერებს.

„გულის“ ფორმის ჩარჩოში ქრისტეს და ღვთისმშობლის გამოსახულებათა განთავსების გამო ოსტატმა ხაზი გაუსვა მათს განსაკუთრებულობას მედალიონის რელიეფურ დეკორში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პანალია მაღალი სასულიერო პირისთვის იყო განკუთვნილი.

ქუთაისის მუზეუმში დაცული პანალია ფაქტობრივად თიხის გრაფიკაა. გაკეთებულია გაბეჭდილად და მკაფიოდ. ოსტატს საკმაოდ დიდი სამუშაო შეუხსრულებია. იგი კარგად იცნობს ჯვარ-ხატებს, ილუსტრირებულ ხელნაწერებს, გულსაკიდ ჯვრებს, ბიზანტიური სპილოს ძვლის ნაკეთობებს და სხვ. სარგებლობს მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობით, რომელსაც, როგორც აღმოსავლეთში ასევე დასავლეთში ჰქონდა ფესვები გადგმული, ამავე დროს, აქ თვალნათლივია კომპოზიციის აგების ორგინალური გადაწყვეტა, ოსტატი ეყრდნობა ქართული ხალხური ხელოვნების უძველეს, თვითმყოფად, ადგილობრივ მხატვრულ ეროვნულ ტრადიციებს, რაც გამოიხატება პირობითობაში, რეალისტურ ხედვაში, ორნამენტული დეკორის გადაწყვეტაში. ამავე დროს დაცულია ფიგურების პროპორციულობა, გარკვეული ხერხია გამოყენებული პლასტიკური ფორმის გადმოცემისას და თითქმის ფილიგრანული ტექნიკითაა შესრულებული. მხატვრული ალლო და გააზრებული სისტემა ჩანს მაცხოვრის, ღვთისმშობლის, მოციქულების, წმინდანების და მცენარეული ორნამენტის შეფარდებაში, რომელთა განაწილება-განლაგებით იქმნება პანალის მხატვრული სახე. ოსტატი, როგორც ჩანს, კარგად იცნობს პანალიების დამზადების ხელოვნებას. იგი შემოქმედებითად, პროფესიულად უდგება მის შექმნას. მრავალფენოვნება და რთული ტექნიკა მიუთითებს იმაზე, რომ პანალის შემსრულებელი XVI საუკუნის განსწავლული ხატმწერი უნდა იყოს. ეს პერიოდი, მიუხედავად იმისა, რომ ქართული აღორძინების ეპოქის ხელოვნებას ვერ შეედრება, მაინც წარმოადგენს ქართული კულტურის ისტორიაში ერთგვარი გამოცოცხლების ხანას. აღმავლობას განიცდის მინიატურა, კედლის მხატვრობა, არქიტექტურა [ამირანაშვილი შ., 1961: 385], ლიტერატურა [კეკელიძე კ., 1958: 510], მხატვრული ნაქარგობა [ბერიძე ვ., 1983].

XVI საუკუნეში ქართულ ჭედურ ხელოვნებაში მრავალფენოვანი კომპოზიციები ჩვეულებრივი მოვლენაა [ჩხარტიშვილი ა., 1978: 54] ამის გავლენას განიცდის პანალის ოსტატიც, მაგრამ ამასთან ერთად ჩანს მისი დიდი განსწავლულობა, კომპოზიციის აგების ნიჭი, შემოქმედებითი ინტეგრეტაცია და გამორიცხული არ არის, რომ იგი გელათური მხატვრული სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყოს და მის მიერ შექმნილი თიხის პანალია ამდიდრებს და ავსებს ქართული ხელოვნების საერთო საგანძურს.

ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი შ., 1961: ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი
2. ამირანაშვილი შ., 1980: დამიანე. თბილისი
3. ბერიძე ვ., 1983: ქართული ნაქარგობა. თბილისი
4. დოლიძე ი., 1993: ხოფურისა და ვანის სანაწილე ჯვრები – ჟურნალი „ხელოვნება“ 5-6, 87-99 = ნ. გურაბანიძე (მთავ. რედ.), თბილისი
5. კეკელიძე კ., 1958: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. თბილისი
6. მაჩაბელი კ., 1998: ქართული ქვაჯვარები. თბილისი
7. მაჩაბელი კ., 2008: ადრეული შუასაუკუნეების ქვაჯვარები. თბილისი
8. ჩხარტიშვილი ა., 1978: მამნე ოქრომჭედელი. თბილისი
9. Большая Советская Энциклопедия, 1975: т. 19. = А. Прохоров (ред.), Москва
10. Энциклопедический Словарь, 1897: т. XXIIа 481-960. = издатель Ф. Брокгаузь. С.-Петербург
11. Никольский К., 1948: 2-я гл. Типикон. Москва
12. Полный православный богословский Энциклопедический Словарь, 1992: т. 2. 1130-2463 = Д. Булатова (ред.). Москва
13. Скабалланович М., 1915: Толковы Типикон, выпуск III. Москва

David Berdzenishvili**CLAY PANAGIA****SUMMARY**

The Archaeology Fund of N. Berdzenishvili State Historical Museum of Kutaisi preserves a clay pendant icon – panagia, that is, an engolpion (5712/A-297/1). As a rule, one side of earlier panagias depicts the Holy Virgin (it is a Greek word, meaning the *All-Holy*, and is one of the titles of Mary, the mother of Jesus, used especially in Orthodox Christianity), while another portrays either the Savior or the Saint Trinity. In the later period, beginning from the 18th century, one side of panagia portrays only the Holy Virgin, and the reverse is smooth. Together with a cross, it was designed for a bishop, a metropolitan or an archimandrite. It is known that a panagia was made of wood, ivory and, in most cases, of metal, decorated with colored stones, with enamel and incrustations. The panagia, preserved in Kutaisi Museum, is made of clay, as an exception. In the registration book of the museum, the panagia is registered as a stamp. Its origin is unknown. The custom of wearing of pendant crosses has been familiar in the Christian world since the 6th century. It appeared in the Greek and Russian Orthodox churches in the 14th-15th centuries. In my opinion, its occurrence in the Georgian Orthodox church should be assumed since that period, and, together with its main function, it was used for one's personal decorations.

The panagia, preserved in the museum, is of a circular shape (7,6 = 6,8 cm.), it is very much weazened, light and weighs only 68 grams. It is surrounded by a frame, ending in a pierced pendant ear, beneath of which engraved Greek inscriptions are observable, being almost erased and, hence, they

are hardly legible. The panagia is represented as two independent icons and is painted immediately on clay.

On one side of the panagia, beneath the inscription (Picture 1), heart-shaped Holly Virgin, sitting on a throne, has been portrayed inside a frame; she is turned to the left slightly and is holding young Jesus with both hands. Beside them, Archangels Michael and Gabriel might be presented (Archangel Michael's wing and the stylized faced are observable). Instead of a traditional maphorium, the Holly Virgin is wearing a Georgian headgear, joined by a pin. On the background of the remaining surface, the small round frames portray stylized images of twenty-six saints. A halo is observable above some of them. Their figures are joined by means of the simple triangular deciduous ornament. As different from the saints, they are placed within raised, rhombus-like frames. The ornament starts from beneath, as it seems, from a raised hill (Calvary (?)), as branching of two stalks, inside which deciduous, stylized leaves and saints occur, whose images, despite of their small size, are thoroughly processed and predominantly proportional. Notwithstanding minor exceptions, they are identical.

On the other side of the panagia (Picture 2), beneath the inscription, the heart-shaped frame frontally portrays Christ Pantocrator. His right hand bends at an elbow, is brought closer to his chest and raised as a sign of blessing. He is holding the Gospel in his right hand. The Savior's hair and beard have been performed under the influence of the Paleologos. The images of cherubs above Christ's shoulders indicate to the Savior's heavenly significance. Inside the concentric circles on the surface, twelve apostles are portrayed, and, on the outer sides of Christ's frame, traditionally, there must be Apostles Peter and Paul. All apostles are allocated their own accurate location.

Because of the images of twelve apostles, the master considered the circumstances that there was much more space at his disposal and covered the rest of the surface with a subtle plant-shaped ornament.

Because of placing the images of Christ and Holly Virgin in the heart-shaped frame, the master emphasized their particularity in the raised decor of the medallion.

The panagia, preserved in Kutaisi Museum, is, in fact, a clay drawing. It is created audaciously and saliently. The master has not spared his efforts. He is well aware of cross-icons, illustrated manuscripts, pendant crosses, Byzantine ivory handicrafts, etc. He exercises the rich artistic heritage, being circulated both in the East and the West; meanwhile, he relies upon the ancient, original, autochthonous national traditions of the Georgian folk art, being expressed in conditionality, realistic vision, resolution of an ornamental decor. A certain technique is applied for portraying a plastic shape and is performed virtually in a filigree manner. Artistic flair and a sensible system are readily observable in the conformation of the images of the Savior, Holly Virgin, apostles, saints, and of a plant-shaped ornament, the distribution of which makes up the artistic image of the panagia. The master seems to have been well aware of the art of making of panagias. His approach is creative. Diversity and complex technique demonstrate that its author was a well-educated icon-painter of the 16th century, and it cannot be ruled out that he was one of the representatives of the Gelati artistic school. The panagia, created by him, enriches and completes the common thesaurus of the Georgian art.



ლონდა ჯიძია

ქუთაისის მიდამოების უძველესი გორა-ნამოსახლარები

არქეოლოგიური კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს დასახლების ტიპები წარმოადგენს, რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით: მოსახლეობის ეთნიკური წარმოშობა, სოციალ-პოლიტიკური და სამეურნეო ვითარება, მხარის გეოკლიმატური პირობები: რელიეფი, ჰავა, აგრეთვე ნიადაგის ფენების შემადგენლობა, ჰიდროგრაფიული ქსელის განრიგება, ნიაღისეული სიმიდრეები, ფლორა და ფაუნა.

ქუთაისსა და მის მიდამოებში სხვადასხვა ეპოქისა და ტიპის ნამოსახლარებია აღმოჩენილი და არქეოლოგიურად შესწავლილი. ქუთაისის მიდამოებისათვის დამახასიათებელი სამოსახლოს ერთ-ერთ უძველეს ტიპს წარმოადგენს ხელოვნური გორა-ნამოსახლარები, ანუ „გორიკები“, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს.

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური სამოსახლოები, კერძოდ ხელოვნური გორა-ნამოსახლარები პირველად შეისწავლეს პროფესორმა გ. ნიორაძემ [7 : 132-344] და ნ. ხოშტარიამ [11, 12]. ნ. ხოშტარიას აზრით, დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაჭაობებულ ზოლში, მოსახლეობა გაჩენილა ჯერ კიდევ ძვ.წ. IV-III ათასწლეულში და მისი ცხოვრება გრძელდებოდა ახ.წ. I საუკუნეშიც. ჭაობში ჩაძირული მინაყრილები აუმაღლებიათ გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანაშიც, როცა პრიმიტიული ტექნიკა შეცვალა საკმაოდ განვითარებულმა ლითონის იარაღებმა. [11, 12].

1924-1932 წ.წ. ქუთაისის მიდამოების ხელოვნური გორა-ნამოსახლარები აღწესდა მხარეთმცოდნე ნ. ჭაბუკიანმა. ამ ბორცვებს იგი „ყურღანებად“ თვლიდა [1 : 448].

1937 წელს აღნიშნული ხელოვნური გორაკები მოუხილავს ნ. ივამჩენკოს. მას ცნობები პ. ჭაბუკიანისაგან მიუღია. მ. ივამჩენკოს მოუხილავს სოფელ ფარცხანაყანევში ორი ხელოვნური გორაკი: ერთი – ამიერკავკასიის რკინიგზის პლატფორმასთან, მეორე – მისგან 1 კმ დაშორებით (ამ „გორიკის“ არხში წყლის შროშანები ხარობს. „გორიკასაც“ შესაბამისად „შროშანები“ დავარქვით. ლ. ჯიქია). ფარცხანაყანევის მიდამოებში მ. ივამჩენკო კიდევ ორი „ყურღანის“ არსებობას აღნიშნავს: ერთს – ფარცხანაყანევიდან 3 კმ დაშორებით („ანარია“), მეორეს კი არ ასახელებს (შესაძლოა ეს ის „გორიკა“ იყოს, რომელსაც ჩვენ მივაკვლიეთ და დავაფიქსირეთ მისი სახელი „საბზიალო“, როგორც ადგილობრივი უწოდებენ, ანუ ბავშვების სათამაშო ადგილი). მ. ივამჩენკო „ყურღანების“ არსებობას ასახელებს, აგრეთვე, სოფლებში: საყულია, ბაში, მალლაკი, მესხეთი, კოპიტნარი, ხონთან. იგი ამ გორიკების ერთ ნაწილს ნამოსახლარებად თვლიდა და არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ ზოგი მათგანი, უფრო პატარები სამარხები იყოს. [5].

1960 წელს ქუთაისის მიდამოების „გორიკები“ მოიხილა აკად. ნ. ბერძენიშვილმა პ. ჭაბუკიანთან ერთად და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ მხარეში არსებული „გორიკების“ უმრავლესობა საცხოვრებელს წარმოადგენდა. [2:457].

1970-1971 წ.წ. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების მიერ მოეწყო რამდენიმე გასვლა სოფლებში: ფარცხანაყანევი, პატრიკეთი, საყულია, მალლაკი, ბაში, კოპიტნარი, ქვიტირი, მესხეთი. ჩვენ ხელახლა აღვწესეთ იქ არსებული „გორიკები“ (იმ დროისათვის ქუთაისის მიდამოებში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი რამდენიმე „გორიკა“ პატრიკეთში, საყულიაში, ფარცხანაყანევი („შროშანები“, „საბზიალო“), ხოლო ბაშში, მალლაკში, მესხეთში, ქვიტირში, კოპიტნარსა და ფარცხანაყანევი (რკინიგზის პლატფორმასთან) ნაშთების სახით არსებობდა. ჩვენს მიერ გაკეთდა „გორიკების“ აღწერილობები და გავრცელების რუკა, მოხდა მათი ფოტოგადაღება. „გორიკების“ ანაზომები გააკეთეს „საქქალაქმშენსახპროექტის“ ქუთაისის ფილიალის არქიტექტორმა

რ. გერენავამ და ვანის ექსპედიციის მხატვარმა ბ. მჭედლიშვილმა.

ქუთაისის მიდამოების „გორიკები“ სხვადასხვა სიმაღლისა და მოცულობის ხელოვნური ბორცვებია. ისინი განლაგებული არიან ქუთაისის სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ მიდამოებში. ეს ტერიტორია რიონისპირა დაბლობი ზოლია, სადაც განსხვავებული რელიეფის წყალობით, დასახლების განსხვავებული ტიპი წარმოქმნილა. ჭაობიანი ნიადაგის პირობებში ადამიანი იძულებული ხდებოდა, ამ ადგილების ათვისებისას, ხელოვნურად აემაღლებინა იგი მიწის დაყრითა და ხელოვნური ბორცვების აგებით. „გორიკის“ დანიშნულება იყო სამოსახლოს აგება და ხიფათისაგან თავის დაცვა. თითოეული „გორიკის“ ირგვლივ შემოვლებულ თხრილს არა მარტო სადრენაჟე, თავდაცვითი, ან სამეურნეო დანიშნულება ექნებოდა (თევზის მოშენება), არამედ ამასთანავე, იგი, ალბათ, მიმოსვლის საშუალებასაც წარმოადგენდა. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მდ. რიონთან სიახლოვეს, რომელსაც ეს თხრილები არხებით უნდა დაკავშირებოდა. გ. ნიორაძე აღნიშნავს: „მიმოსვლისა და ტვირთის გადასაზიდად უკეთესი საშუალება იქნებოდა ნაოსნობა, ვიდრე ჭაობიან ადგილებში ყამირგზების გაყვანა და მრავალრიცხოვანი ხიდების გაკეთება მდინარეებითა და ტბებით მდიდარ ქვეყანაში [8 : 326]. ნაოსნობის განვითარების შესახებ კოლხეთში ცნობებს გვანდის ჰიპოკრატე, იგი კოლხების შესახებ წერს: „ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია“ [10 : 45].

ქუთაისის სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ მიდამოებში არის ისეთი ადგილებიც, სადაც ერთ დროს „გორიკები“ ყოფილა, მაგრამ გამქრალა ან განადგურებულა სხვადასხვა მიზეზების გამო (მშენებლობები, „გორიკის“ ტერიტორიის გამოყენება სახნავ-სათესად, ზვინულის ნიადაგის გამოყენება სხვადასხვა საჭიროებისათვის და სხვა). ასეთ შემთხვევაში, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს „გორიკა“ მოკლებულია მატერიალურ შინაარსს და ადგილის გეოგრაფიულ სახელადაა დარჩენილი (გეგუთში „საგვალავო“, ოფშკვითში „ძველი ნანისქვილარი“, მალლაკში „ნაცხვართავი“ და სხვ.).

„გორიკები“, რომლებიც მე-20 საუკუნის 70-90-იან წლებამდე შემორჩა, ამჟამად გამქრალია. ამ გარემოების გამო, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კრებულში, მაშინდელი მდგომარეობით არსებული, „გორიკების“ აღწერილობები, ანაზომები, გავრცელების რუკა და ფოტოსურათები დაგვეფიქსირებინა, რათა ეს მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები არ მიეცეს დავიწყებას.

ფარცხანაყანევი. I „გორიკა“ მდებარეობს ამიერკავკასიის რკინიგზის პლატფორმასთან. იგი რკინიგზის ლიანდაგით გაჭრილია ორად. (ქუთაისის მკვიდრმა, რკინიგზის დამსახურებულმა მუშაკმა, პენსიონერმა ვ. კობრეიძემ, რომელსაც უმუშავია ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანაზე გვაცნობა, რომ „გორიკის“ გაჭრის დროს უნახავთ ოქროსა და სპილენძის მონეტები, რომლებიც II მსოფლიო ომამდე ინახებოდა მის ოჯახში. ლ. ჯიქია). ფარცხანაყანევის I „გორიკა“ სჭარბობს დანარჩენებს თავისი მოცულობით. მისი ფართობი უდრის 2,25 ჰა, დმ – 150 მ. „გორიკას“ შემოვლებული აქვს 20 მ სიგანის თხრილი, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში არის 5,5 მ. სიგანის კარი. „გორიკის“ სიმაღლე არ იზომება მისი სახნავ-სათესად გამოყენების გამო. არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოვიპოვეთ ზედაპირულად წარმოდგენილია დამწვარი ბათქაშებით, ქვის ხელსაფქვავის ფრაგმენტით და ძვ.წ. I ათასწლეულის დამახასიათებელი ნაბლისფერ და რუხზედაპირიანი ქოთნის კედლის ნატეხებით, რომლებიც შემკულია წნეხვით გამოყვანილი ზოლებით (ქიმ A-№81). (სურ. 1).

ფარცხანაყანევის II „გორიკა“ („შროშანები“) მდებარეობს სოფლის დასავლეთით, მისგან 1 კილომეტრის დაშორებით. იგი შედარებით პატარა ზომისაა და ელიფსის მოყვანილობა აქვს. ეს „გორიკა“ შედარებით უკეთ არის შემონახული. მას გარსშემოყვება ორი თხრილი და ორი მიწაყრილი (ყრილები ადგილ-ადგილ განყვეტილია) „გორიკის“ სიმაღლე 6-7 მეტრია, ფართობი 0,25

ჰა, დმ – 50 მ. | თხრილის განი უდრის 20-25 მ., მეორე თხრილის – 5,5 მ. „გორიკას“ სამხრეთით აქვს 10 მ სიგანის „კარი“. „გორიკის“ დასავლეთით ყანაში მოვიპოვეთ ზედაპირული მასალები: თიხის ჭურჭლის უფორმო ნატეხები, მათ შორის ერთი მოყავისფრო ზედაპირიანი ნატეხი შემკული ფოსოებისა და სავარცხლისებური ჭდეების ორნამენტით (ქიმ A-№87/3). (სურ. 2).

ფარცხანაყანევის III გორიკა („საბზილო“) მდებარეობს სოფლის სამხრეთ განაპირა მხარეს, სადაც ყანები და საძოვრებია. „გორიკის“ მინა მონახნავია. მისი დარჩენილი სიმაღლეა 1,5 მ, ფართობი 0,27 ჰა, დმ – 60 მ. მას ერთი 8 მ. სიგანის თხრილი და ერთი მიწაყრილი აქვს. მიწაყრილი შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. „კარის“ ნაკვალევი ნაშლილია. ეს „გორიკა“ გაქრობის პირასაა. (სურ. 3)

საყულია. „გორიკა“ სოფლის განაპირა ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. მისი სიმაღლე – 9 მეტრია, დმ – 50 მ, ფართობი – 0,25 ჰა; თხრილის სიგანე უდრის 5 მ. სამხრეთ-აღმოსავლეთით 4 მ სიგანის „კარია“ დატოვებული „გორიკაზე“ მისასვლელად. თხრილში ჩამდგარი წყალი დაჭაობებულია.

ადგილობრივმა მცხოვრებმა ს. სვანიძემ შეგვატყობინა, რომ „გორიკის“ წვერი მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გაუთხრია საყულიელ ზ. სვანიძეს. „გორიკის“ წვერს ემჩნეოდა მაშინდელი განათხარის კვალი. 1926 წელს საყულიელ პედაგოგს გ. კაკუშაძეს საყულიის „გორიკიდან“ ქუთაისის მუზეუმში წარმოუდგენია ელინისტური ხანის ბრინჯაოს ზურგმუხნეილი სამაჯურები (ზოგი მათგანი ორნამენტირებულია), მძივები – იოტები, პასტის, ლურჯი და შავნითელი ფერის – 10 ცალი და ძვლები. (ქიმ №5428). აღნიშნული კომპლექსი სამარხის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. „გორიკაზე“ რამდენიმე ადგილას სამხედრო დანიშნულების ორმოები იყო ამოღებული. ჭრილში ჩანდა წნულის ანაბეჭდიანი თიხის ბათქაშები, ნახშირის ფენით. ბორცვის ძირში შეგროვილი იქნა ელინისტური ხანის კრამიტის (სოლენის ტიპის, ზომები 4,7X2 სმ.), ჭურჭლის კერამიკული ფრაგმენტები ვარდისფრად, რუხად და მონითალო-შავად გამომწვარი, შემკული პარალელური ღარებითა და ფრჩხილისებური ორნამენტით.

1970 წელს საყულიის „გორიკა“ მოიხილა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ, მხატვარ-არქეოლოგმა ბ. მჭედლოშვილმა და ქუთაისის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ლ. ჯიქიამ. „გორიკის“ ირგვლივ, ყანაში, მოპოვებულ იქნა ზედაპირული მასალები, მათ შორის კოლხური ამფორის დამდიანი ყური, ქვევრის ნატეხები შავზედაპირიანი, შემკული წვრილი მიჯრილი ღარებით, ადრეანტიკური ხანის პირმოყრილი, შავად გამომწვარი ჯამის პირ-ყელის ნატეხი, მორუხო-ჩალისფერი ჭურჭლის ნატეხები შემკული კანელურებით, შევული ნაპრიალები ზოლებითა და ყელზე ირგვლივი ღარებით, ნამგლის კაყის ჩასართი, სანაყი ქვის ფრაგმენტი, სალესი და საავგაროზე ქვები (ქიმ A-58, 607).

საყულიის „გორიკაზე“ და მის ირგვლივ მოპოვებული წინარეანტიკური, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კერამიკული ფრაგმენტები, სხვადასხვა სახის სამეურნეო დანიშნულების წვრილი ნივთები, თიხის ბათქაშები წნულის ანაბეჭდითა და ნახშირის ფენით საყულიის „გორიკის“ ნამოსახლარობაზე მიუთითებს, ამასთანავე არის სამარხის ნაშთიც. (სურ. 4).

პატრიკეთი. „გორიკა“ სოფლის განაპირას 4 კმ დაშორებით მდებარეობს. იგი ოვალური მოყვანილობისაა, მისი სიმაღლე უდრის – 9 მ, ფართობი 2 ჰექტარია, დმ – 120 მ. „გორიკას“ შემოვლებული აქვს 20-25 მ სიგანის თხრილი, თხრილს გარედან ზვინული შემოუყვება.

ჯერ კიდევ 1946 წელს „გორიკა“ დაუზვერია და იქ მცირე გათხრები უწარმოებია სამარშრუტო არქეოლოგიურ ექსპედიციას ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით. მოპოვებული მასალები: ბათქაშის ნატეხები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთაგან ორს კანელურები და სავარცხლისებური ჭდეების ტვიფრული ორნამენტი დაუყვება ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, კოლექცია №12-61.

1971-1977 წლებში პატრიკეთის „გორიკა“ (სურ. 5) დაზვერა და საცდელი თხრილების „გორიკის“ მიმდებარე ტერიტორიისა და თვით „გორიკაზე“ გაავლო ისტორიის ინსტიტუტის ვარდციხის

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ვ. ჯაფარიძე, ნევრები: ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლები ლ. ჯიქია და ზ. ნიტაიშვილი). 1974 წელს გაიჭრა ორი თხრილი: ერთი „გორიკის“ თხემის ცენტრალურ ნაწილში (4X2 მ), მეორე – „გორიკის“ დასავლეთ ნაწილში ბორცვის ძირიდან არხისა და ზვინულის გადაკვეთით. „გორიკის“ თხემის ცენტრალურ ნაწილში გაჭრილ თხრილში *in situ* მდგომარეობაში აღმოჩენილი მცირერიცხოვანი კერამიკული ფრაგმენტები IX-XI ს.ს. თარიღდება. თხრილის დასავლეთ ზედა არეულ ფენაში და „გორიკის“ დასავლეთ ფერდობის ზედაპირზე აკრეფილ მასალებში აღმოჩნდა ძვ.წ. II ათასწლეულის კერამიკული მასალები. როგორც ჩანს, „გორიკაზე“ ცხოვრება გრძელდებოდა ფეოდალურ ხანაშიც და ამ დროს უნდა მომხდარიყო მისი ხელახლა მოზვინვა, ალბათ, არხიდან ამოღებული მიწით, რის გამოც ძველი მასალები ქვედა ფენებიდან მოხვდა ზევით.

მეორე თხრილში აღმოჩენილი კერამიკულ ჭურჭელთა ფრაგმენტები IV-V ს.ს. განეკუთვნება, ხოლო უფრო ქვედა ფენებში აღმოჩენილი მასალები ძვ.წ. I ათასწლეულით თარიღდება.

1977 წელს საგრძნობლად გაფართოვდა თხრილები და გაიჭრა ახალი, „გორიკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. გამოვლენილი მასალების ერთი ნაწილი ძვ.წ. I ათასწლეულის II ნახევრით თარიღდება, მეორე ნაწილი კი – ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარს განეკუთვნება.

ამრიგად, პატრიკეთის „გორიკაზე“ 1974-1977 წ.წ. წარმოებული გათხრების შედეგად გამოვლენილია მრავალრიცხოვანი კერამიკული მასალა, რომელიც ქრონოლოგიურად ძველ და შუა კოლხურ პერიოდებს განეკუთვნება. არის პროტოკოლხური და ფეოდალური ხანის მასალებიც. [9,13]. პატრიკეთის „გორიკაზე“ მოპოვებული მასალები ინახება ნყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

კოპიტნარი. „გორიკა“ მდებარეობს ქუთაის-სამტრედიის გზატკეცილის მეოცე კილომეტრზე, კოპიტნარსა და მდინარე გუბისწყალს შორის. „გორიკის“ დარჩენილი სიმაღლე 5 მ უდრის, ფართობი 0,25 ჰა, დმ – 50 მ. „გორიკას“ გარს უვლის ორი თხრილი და ორი მიწაყრილი. თითოეული თხრილის სიგანე 10 მეტრს უდრის. „კარის“ მხრიდან (სამხრეთიდან აღმოსავლეთისაკენ) მესამე 11 მ სიგანის თხრილი და ნახევარზვინული შემოუყვება „ოდრიკალას“ სახედ, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი უწოდებს და იქვე აღნიშნავს, რომ ეს ბანაკის გამაგრების ხერხია, ვინაიდან იგი „გორიკას“ რომაელთა ნაბანაკეად თვლიდა. [3 : 25]. როგორც ჩანს, უძველესი საცხოვრებელი ხელოვნური ბორცვი შემდეგ საგანგებოდ გაუმაგრებიათ და ამ მოგვიანო დანამატს უნდა წარმოადგენდეს მესამე ნახევარზვინული. თავდაპირველად მესამე ნახევარზვინულის ბოლოები გახსნილი არ იქნებოდა. იგი უერთდებოდა მეორე ზვინულს ჩრდილო-დასავლეთით, სადაც „კარია“ საგულისხმებელი. ამრიგად, იქმნებოდა „დერეფანი“, რომელსაც შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა. ამ „დერეფნით“ გრძელდებოდა მანძილი მეორე ზვინულის „კარამდე“, რათა მტერს „გორიკაზე“ იოლად ვერ შეეღწია. (სურ. 6).

ამჟამად, ზვინულების მთლიანობა დარღვეულია და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, „გორიკას“ რამდენიმე შესასვლელი „კარი“ ჰქონდა. ამის გამო ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ ამ ნახევარზვინულის შიგნით შესასვლელი, როგორც ჩანს, ერთი იყო და არა ორი ამ „ოდრიკალას“ ბოლოებზე. [4 : 53]. აქ „კარი“ უფრო რთულად არის მოწყობილი, ვიდრე პატრიკეთისა და საყულის „გორიკებზე“, სადაც „კარი“ უშუალოდ უერთდება „გორიკას“.

კოპიტნარის „გორიკაზე“ ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები: ადრეანტიკური ხანის დერგის პირის ორნამენტები ნატეხი, შავად გამომწვარი ჭურჭლის გვერდის კანელურებიანი ფრაგმენტი, თიხის ბათქაშები და ნახშირის ფენა (ნაგებობათა ნაშთი) „გორიკის“ დასახლებულობაზე მიუთითებს უფრო ადრეულ ხანაში, ვიდრე ის რომაელთა ბანაკად გადაკეთდებოდა.

მალლაკი. ბაში. სოფელ მალლაკში ასახელებენ ადგილს სახელწოდებით „ნაციხვართავი“. იქ ერთ

დროს ყოფილა სამი „გორიკა“, როგორც ადგილობრივებმა გადმოგვცეს, ამჟამად მათი ნაშთებია დარჩენილი. თხრილებში წყალია ჩამდგარი.

1981-1982 წ.წ. „ნაციხვართავის გორიკები“ დაზვერა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ვარდციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები: ლ. ჯიქია, დ. ბერძენიშვილი, თ. ხელაძე. ექსპედიციამ იმავდროულად მოიხილა ბაშის „გორიკა“ სათევზესთან. ეს „გორიკა“ ძალზე პატარაა და თითქმის გამქრალია. ზედაპირულად შეგროვდა ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კოლხური და იმპორტული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. (მასალები ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ფონდებში).

ქვიტირი, ქვედა მესხეთი. 1963 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის შემსწავლელმა დაზვერვითმა გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფესორი ოთ. ლორთქიფანიძე, მოადგილე პროფესორი ნ. ლომოური) მოიხილა ქვიტირისა და ქვედა მესხეთის „გორიკების“ ნაშთები. ადრეანტიკური ხანის კერამიკა ქვიტირის გორა-ნამოსახლარიდან ექსპედიციას გადასცა არქეოლოგმა გ. გობეჯიშვილმა. [6 : 42].

როგორც არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, ქუთაისის სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ მიდამოებში ზოგიერთ ხელოვნურ გორაკზე (პატრიკეთი) ცხოვრების კვალი ძვ.წ. II ათასწლეულში ჩანს და ძვ.წ. I ათასწლეულსა და ფეოდალურ ხანაშიც აგრძელებს არსებობას. ქუთაისის მიდამოების „გორიკებსა“ და მათ ირგვლივ ტერიტორიაზე აღმოჩენილი წინარეანტიკური, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებთან ერთად, სოლენის ტიპის კრამიტის ფრაგმენტი, ხის ნნულის ანაბეჭდებიანი ბათქაშები, სანაყი ქვა და ხელსაფქვავის ფრაგმენტი, ხოლო ერთ-ერთ „გორიკაზე“ (საყულია) ელინისტური ხანის სამარხის ნაშთი გვაფიქრებინებს, რომ რიონისპირა დაბლობში მცხოვრები მინათმოქმედი მოსახლეობა ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში „გორიკებს“ უფრო დროებით თავშესაფრად და მიცვალებულთა სამარხადაც იყენებდა. ამ დროისათვის გაუმჯობესებული იარაღების საყოველთაო გავრცელებამ ადამიანს თავდაცვის, უფრო მოხერხებული თავშესაფრის აგების და მეურნეობის საწარმოებლად დიდი ფართობის ათვისების საშუალება მისცა.

ლიტერატურა:

1. ნ. ბერძენიშვილი, ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 448
2. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 457
3. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25
4. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53
5. მ. ივამჩენკო, ექსპედიციის დღიურები და წინასწარი ანგარიში, ქიმ 192/4248²
6. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 42
7. გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე, ტ. X, გვ. 132-344
8. გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 326
9. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, მოკლე ანგარიშები, თბ., 1971-1973 წ.წ.
10. თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 45
11. ნ. ხომტარია, დიხა-გუძუბა კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, სმამ., ტ. V, 2, 1944
12. ნ. ხომტარია, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა, სმამ, ტ. VI, 1945

13. В.М. Джапаридзе, Д. Джагамая, Т. Берадзе, К. Мелитаури. Отчет о работе Вардцихской археологической экспедиции, ПАИ в 1974 году; краткие сообщения, Тб., 1976, ст. 81.

14. М. Джафаридзе, Т. Берадзе, Л. Джикиа. Об археологических разведках и раскопки в зоне строительства Вардциских ГЭС, ПАИ в 1976 году, краткие сообщения центра археологических исследований Академии Наук Грузии, 1972.

15. В.М. Джапаридзе, Т. Берадзе, З. Цитаишвили, Л. Джикиа. Археологияеская разведка и раскорки в зоне строительства Вардциских ГЭС, ПАИ в 1977 году, краткие сообщения, 1980 г.

Londa Jiqia

ANCIENT ARTIFICIAL HILL-SETTLEMENTS IN KUTAISI

(ABSTRACT)

For Kutaisi environment is typical artificial hill-settlements. They are called as “Giroka” (little or small hill). There are several factors for what such kind of settlements became popular near and in Kutaisi. One of them is geoclimate factor of the region. “Gorika” which is neither so high and nor so sized artificial hill has a ditch and a stack around it.


In 1923 year “Gorikas” was registrated by student of local lore Peter Chabukiani. Professors N. Berdzenishvili, G. Nioradze, O. Lortkiphanidze, B. Kuftin, M. Ivashchenko, N. Khoshtaria published several publications about those “Gorikas”. In opinion of archaeologist Nino Berdzenishvili in a boged up strip of Colkhети settlement was in even in IV-III millennium B.C. and life was continued till I centure A.D.

In 1970-1971 years Kutaisi State Historical Museum’s archaeological department described these hill-settlements in the villages Patriketi, Parckhanakhanevi, Sakhulia; rests of “Gorikas” in villages Meskheti, Kvitiri, Parckhanakhanevi, Maglaki, Bashi. Scientists described these hills and made photo albums too. Architect R. Gerenava and painter B. Mchedlishvili took measures of these hills.

In 1973-1977 years there was an archaeological survives and researches in the hill of Patriketi. The Head was V. Japaridze from Institute of History. In this expedition took part employers of Kutaisi State Historical Museum L. Jikia and Z. Tsitaishvili. Discovered pottery artifacts belonged to the old and middle Colkhian periods. There were also Protocolkhian and Feudal epoch artifacts.

For today “Gorikas” are allmost disappeared. People are using those places for several meanings: buildings and executive businesses and others. That’s why “Gorika”s has not any meanings, but only geographical name, which is still using.





სურ. №1

სურ. №2



სურ. №3



სურ. №4



სურ. №5



სურ. №6

ღავით ღვალიზვილი

თეთრამინის მასალები ქუთაისის მუზეუმიდან

ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა მხარეს, ქალაქის ჩრდილო დასავლეთით, ზღვის დონიდან 297მ. მდებარეობს ადგილი თეთრამინა. აქ, 1924 წელს მხარეთმცოდნე პ.ჭაბუკიანმა მიაკვლია პირველად ქვის ხანის ნაშთებს. 1924-1932 წლებში ის სისტემატურად აგროვებდა ქვის იარაღთა კოლექციას.[“ქიმ”,არქივების კატალოგი №42] ეს იყო ახალი ქვის ხანის ძეგლების პირველი აღმოჩენა საქართველოში. თეთრამინის მალლობზე მან შეაგროვა ქვისა და კაჟის იარაღები და ქუთაისის მუზეუმში წარმოადგინა.[მ.ნიკოლეიშვილი,1986:27] აღსანიშნავია, რომ თეთრამინა ქუთაისის ტერიტორიაზე უძველესი ძეგლია, რომელზეც ბინადარი მოსახლეობა დასტურდება. 1951 წელს ბ. კუფტინი გაეცნო აქ აღმოჩენილ მასალებს და მისი ხელმძღვანელობით და არქეოლოგ ს ნადიმაშვილის მონაწილეობით ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები, რის შედეგადაც აღმოჩენილ იქნა მნიშვნელოვანი სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულების იარაღები.[გაზ.“ინდუსტრიული ქუთაისი”, 15/XII-51წ.] 1977 წელს ამ ადგილზე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წყალტუბოს ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის, ლ. ნებიერიძის და კ. კალანდაძის მონაწილეობით.[კ.კალანდაძე,1994:8] მოპოვებულ იქნა დიდძალი არქეოლოგიური მასალა, როგორც ზედაპირულად, ისე ფენებიდან, ესენია: კერამიკა, ხელსაფეკვაები, მიკროლითები, ისრისპირები, შუბისპირები, ანატკეც-ანამტვრევები და სხვ. 1950-1951 წლებში თეთრამინის კოლექციის შესწავლა მოახდინა ნ. ბერძენიშვილმა. მისი აზრით თეთრამინელთა მეურნეობა უკვე დიფერენცირებულია დარგობრივად.[“მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის”,ნაკ.29, 1951] მის მიერ მოხდა დაყოფა ამ მასალების შინახელოსნობის, მინათმოქმედებისა და სამონადირეო ტიპებად. აქ მცხოვრები ადამიანი სერიულად აკეთებს აღნიშნული დარგებისათვის განკუთვნილ იარაღებს. შინახელოსნურ იარაღებს უკავშირდება კაჟის საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები, ხელსაფეკვაები, სალესი ქვები, სატეხები, საჭრეთლები. მინათმოქმედების იარაღებიდან აღსანიშნავია: რიყის ქვის თოხები, კაჟისა და კირქვის მაკროლითები, კაჟის დაკბილული იარაღები, ნამგლისპირის დეტალები. სანადირო იარაღებს წარმოადგენენ კაჟის ისრისპირი და შუბისწვერები. კოლექციაში არის გახვრეტილი ბრტყელი ქვები, გახეხილ გაპრიალებული იარაღი, მსხვილმარცვლოვან კვარციანი უხეში თიხის კერამიკული ფრაგმენტები, თიხის ბათქაშისა და ქვის სამაჯურის ფრაგმენტები. თეთრამინა, ეკუთვნის ე.წ. “მღვიმური კულტურის” წრეს,[კ.კალანდაძე,1994:7] რომელიც ენეოლითურად მიიჩნევა. თუმცა ერთიანობაში ეს არის მრავალფენიანი ძეგლი, სადაც ცხოვრების კვალი თავდაპირველად მუსტიეს ხანაში ჩანს, მოგვიანებით კვლავ განახლებულა გვიან ნეოლითში და შემდეგ მთელი ენეოლითის პერიოდში ეს ადგილი აქტიურად იყო დასახლებული. უნდა ითქვას, თეთრამინა რომ ენეოლითურია ამაზე აღმოჩენილ მასალათა დიდი ნაწილი მეტყველებს, მაგრამ, თავდაპირველად გაუგებრობა წარმოშვა საქართველოში ნეოლითური კულტურის ხელოვნურმა დაძველებამ და ასევე ნეოლითური და ენეოლითური მასალები, კვლევის იმ ეტაპზე ტიპოლოგიურად არ იყო სრულყოფილად შესწავლილი. მოგვიანებით, ახალი ძეგლების აღმოჩენის და შესწავლის კვალდაკვალ თეთრამინა და მასთან ახლოს მდგომი სხვა ძეგლები უფრო მოგვიანო ხანისად იქნა მიჩნეული.

საქართველოში “ნეოლითური” ანუ ახალი ქვის ხანის პერიოდის ხელოვნური დაძველება მოხდა, აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურის შულავერ-მომუთეფეს მიხედვით, რომლის ასაკი კალიბრირებული მეთოდით მე-6 ათასწლეულით განისაზღვრა, თავის მხრივ კი ის ენეოლითურად მიიჩნეეს, შესაბამისად ე.წ. ადრენეოლითის დას.კავკასიური არეალის ძეგლები, რომელსაც “პალურ-ნაგუთნის” “მთის ნეოლითად” იწოდებიან გაფორმდნენ, როგორც ნეოლითური,[კ.კალანდაძე,1986:63] როგორც დღეს შეიძლება ითქვას ეს წრე არ ეკუთვნის კლასიკურ ნეოლითს,

რადგან აქ არ დადასტურებულა მწარმოებლური მეურნეობის დამადასტურებელი ფაქტები. [“ძიებანი”, 2011, №20:13] აქ არის პრიმიტიული მიწათმოქმედებისთვის განკუთვნილი ნივთები, თუმცა ვერაფერი დაადასტურებს, რომ მათ წარმოებისათვის იყენებდნენ, მხოლოდ, დარკვეთის ეხის ადრენეოლითურად მიჩნეულ ფენაში აღმოჩნდა შინაური ცხოველების ძვლები, მაგრამ არ არსებობს ამ არტეფაქტების კალიბრირებული ანალიზი და ის ვერ ჩაითვლება მესაქონლეობის დამადასტურებლად.

ნეოლითი, არის ახალი ეპოქა ადამიანის ისტორიაში, როცა მითვისებითი მეურნეობიდან, იწყება გადასვლა მწარმოებლურ მეურნეობაზე. ეს პროცესი დაახლოებით ძვ. წ. IX ათასწლეულში დაიწყო და ქრონოლოგიური სხვაობებით მსოფლიოს მრავალ ადგილას მიმდინარეობდა. დღემდე არ არსებობს ერთი აზრი იმის თაობაზე, რას შეიძლება გამოენვია ასეთი აფეთქება, რომელსაც ნეოლითური რევოლუცია უწოდეს, მრავალ სხვა მოსაზრებათა გვერდით, რევოლუცია მოხდა მსოფლიოს მრავალ ადგილას, სხვადასხვა პერიოდში, მიიჩნევენ, რომ ამის ხელშემწყობი იყო საკვები რესურსების გამოლევა, თუმცა ახალ ეკონომიკაზე ბევრ ადგილას გადადის ადამიანი, სადაც დადასტურებულია საკვები რესურსების დიდი ოდენობა, ამასთან ბევრგან, სადაც ეკონომიკა ჰყვავდა, მოსახლეობა მძლავრად იწარჩუნებდა მონადირეობისა და შემგროვებლობის ძველ ტრადიციებს. [ქ.რ.ემბერი, მ. ემბერი, პ.ნ.პერეგრინი, 2009] დემოგრაფიული აფეთქება ხშირად თუ წინ უსწრებდა “რევოლუციას” ზოგან პირიქით, ჯერ მოხდა ახალ საწყისებზე გადასვლა და შემდეგ მოსახლეობის მატება. არ არის თითქოს ეს ყველა რეგიონისთვის ერთი. მაშასადამე, ახალ ეკონომიკურ საწყისებზე გადასვლა უნდა ეფუძნებოდეს საერთო ადამიანურ ფაქტორს, რამაც “ნეოლითურ რევოლუციამდე” მიიყვანა ის. ალბათ, ჰოლოცენის ეპოქის დადგომის შემდგომ, ფართოდ განსახლებული ადამიანი, შესაძლოა დემოგრაფიული მატების გამო ახდენს საკვები მარაგის მოხვეჭას, შეგროვებას, ფართო სპექტრის შემგროვებლობისას, დიდი რაოდენობის მარცვლეულის შეგროვება იწვევს სედენტარიზმს, ბინადარ ცხოვრებას, რადგან მარაგით გადაადგილება გაჭირდებოდა, ერთ ადგილზე მოგროვებულ, გადაყრილ, სამოსახლოსთან ახლოს ნიადაგში მოხვედრილ და აღმოცენებულ მარცვლეულს არ შეიძლებოდა საბოლოო ჯამში ადამიანი იმ აზრამდე არ მიეყვანა, რომ თავადაც შეეძლო დათესვა და მიწათმოქმედების გამართვა. ანალოგიურად წვრილფეხა რქოსნების დაჭერა და დამწყვდევა გახდებოდა აუცილებელი, რადგან ზედმეტი, არასაჭირო ხორცის მარაგი გაფუჭდებოდა და “გამოსაზოგად” დამწყვდეული ცხოველებიდან თანდათანობით მის მოშენების კულტურამდე მივიდოდა. არა აქვს მნიშვნელობა, რეგიონი ღარიბია თუ მდიდარი საკვები რესურსებით, ახალი ეკონომიკურ საფუძვლებზე გადასვლა უნდა მოეხდინა თავდაპირველად ფართო სპექტრის შემგროვებლობიდან და წვრილფეხა ცხოველების მონადირეობიდან მიღებულ მატერიალურ დოვლათს, განურჩევლად იმისა, იყო თუ არა საჭირო მათთვის ეს რაოდენობა, ალბათ განუსაზღვრელი რაოდენობით აგროვებდნენ ბუნების მზა პროდუქტს, აქედან ადამიანი იწყებს მცენარეთა და ცხოველთა მოშენებას, ანუ ველური ანალოგიების კვლავწარმოებას, მოგვიანებით კი მოჯიშებას, ანუ სახეობათა გაუმჯობესებას. მატერიალური დოვლათის დაგროვება უნდა იყოს სწორედ ამ ეპოქის აშკარად არამშვიდობიანი ხასიათი, რაზეც აღმოჩენილი ისრის და შუბისთავეების სიუხვე მეტყველებს. შესაძლოა, ადგილი ჰქონდა ქონების დატაცების მიზნით ბრძოლებს. საერთოდ, როცა საუბარი გვაქვს ნეოლითზე, არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ეს არ არის დროის მცირე მონაკვეთში მომხდარი ფაქტი. ნეოლითი ეს არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ათასწლეულების განმავლობაში, შეიძლება მას არც ახასიათებდეს ყველა ის მახასიათებელი რითაც ზოგადად ეს ეპოქა გამოირჩევა, ამასთან ნეოლითური რევოლუცია უფრო შედეგია, რომელსაც წინ უძღვის გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივი პროცესი. ზემოთ ნახსენებ “პალურ-ნაგუთნის” წრეში, რომელიც “მთის ნეოლითად” იწოდება, ახალი ეპოქის საწყისები ნაკლებად ჩანს. აქ არის პრიმიტიული ტიპის იარაღთა გავრცელება. ეს თითქოს “უკერამიკო ნეოლითის” პერიოდისაა, მაგრამ სწორი იქნებოდა გვეთქვა ე.წ. “ადრენეოლითი”, რეალურად

მეზოლითის განვითარებული საფეხურია უფრო "ეპიმეზოლითი". ჩანს, ეს ალბათ ზემოხსენებული ფართო სპექტრის შემგროვებლობაზე გადასვლის პერიოდია. ამასთან ძეგლების უმეტესი ნაწილი, რაც დღეისთვის არის ცნობილი, შესაძლებელია დროებითი სადგომები იყოს. მოგვიანებით, ოდიშის ტიპის ძეგლებზე წინააზიური კულტურის ძლიერი გავლენა, შეიძლება, ამ პერიოდში წინა აზიიდან დემოგრაფიული აფეთქებისას ჩრდილოეთისკენ დაძრული ტალღის გავლენის შედეგია, რომელსაც დას. ამიერკავკასიაში უნდა მოეტანა "ნეოლითური რევოლუციის" მიღწევები და შერწყმოდა ადგილობრივ კულტურას. აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო შულავერ-შომუთეფეს კულტურის კალიბრირებული რადიოკარბონული განსაზღვრით, რომელიც მე-6 ათასწლეულის დასაწყისში იწყება, თუ დავუშვებთ ოდიშის ტიპის ძეგლებთან მის სინქრონულობას, შეიძლება დას. ამიერკავკასიის ადრესი მინათმოქმედო კულტურის საწყისი პერიოდიც ამ დროით განისაზღვროს.

რაც შეეხება ჩვენს განსახილველ საკითხს, თეთრამინა და საერთოდ "მღვიმური კულტურა" უკვე ნეოლითური რევოლუციის შედეგების ხანაა. პრაქტიკულად ეს არის ენეოლითი, მაგრამ ადრესამინათმოქმედო კულტურის ამ ეტაპზე ჯერ კიდევ მძლავრადაა შენარჩუნებული ძველი ტრადიციები, რაც რელიეფის თავისებურებით და რესურსების სიმდიდრით უნდა აიხსნას. ამასთან, კოლხეთის ჰავის და ნიადაგის თავისებურებათა გამო, ნესტიანი გარემოს პირობებში, მინათმოქმედების წარმოება გაჭირდებოდა. ალბათ, ამით უნდა იყოს გამოწვეული შემგროვებლობის მაღალი ხვედრითი წილი ეკონომიკაში. აღსანიშნავია, რომ წინა აზიის ზოგიერთ ძეგლზეც, სადაც მოსახლეობა გადასულია ახალ ეკონომიკაზე, მითვისებით ტრადიციებს მაინც დიდი ადგილი ეჭირა (მაგ. ალი კომი). [ქ.რ.ემბერი,მ.ემბერი,პ.ნ.პერეგრინი,2009:173]

თავდაპირველად, აღმოჩენის დღიდან დიდი ხნის განმავლობაში თეთრამინა ქვის ხანის ძეგლად იყო მიჩნეული. ნ. ბერძენიშვილმა ის შუა ნეოლითით დაათარიღა დარგობრივად. ["მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკ.29, 1951] მოგვიანებით, თეთრამინის ნეოლითურ ასაკში ეჭვი იყო შეტანილი. ["მაცნე", №4, 71წ.] უნდა ითქვას, რომ თეთრამინაზე ხანგრძლივი არქეოლოგიური გათხრები თითქმის არ ჩატარებულა და შეგროვებული მასალა მხოლოდ ზედაპირზეა მოპოვებული, ამიტომ ძეგლის სტრატოგრაფიის შესახებ გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება, მხოლოდ ადრე მას ერთფენიან ძეგლად მიიჩნევდნენ [ო:ჯაფარიძე:1991, 45], მოგვიანებით მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი მრავალფენიანი ძეგლია. თავდაპირველად გაუგებრობა წარმოშვა ერთი მხრივ იმ ფაქტმა, რომ ის ერთფენიან ძეგლად მიიჩნიეს და ასევე, საქართველოსა და კავკასიის მასშტაბით ახალი ქვის ხანისა და ლითონის ხანის ძეგლების შესწავლის შედეგად, მრავალი ნივთი, რაც უნინ ნეოლითურად მიიჩნეოდა, მოგვიანებით კლასიფიცირდა ლითონის ხანის ნიმუშად. მკვლევართა მიერ მოხდა ძეგლების გადათარიღება. ლ. ნებიერიძემ თეთრამინა და საგვარჯილე შეადარა დას. ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებს, რის შემდეგაც დაასკვნა, რომ თეთრამინა ნეოლითად ვერ დათარიღდება. მისი თქმით ეს მახასიათებლებია: 1) თეთრამინას კოლექციას მაკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის ჩასართები არ ახასიათებს. აღნიშნული ელემენტები კი, ძირითადად დას. ამიერკავკასიის ნეოლითის ერთ-ერთი მახასიათებელია. მიკროლითური ტექნიკის დაცემა, გეომეტრიული ფორმის ჩასართების გაქრობა და რიყის ქვის იარაღების სიჭარბე ახასიათებს ლითონის ხანის ძეგლებს, 2) თეთრამინის იარაღთა უმრავლესობა დამზადებულია ანატკეცებზე მაშინ, როდესაც დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებში ისინი თხელ და ვიწრო, სწორწახნაგა ლამელებზეა ჩამოყალიბებული. 3) თეთრამინას საჭრისები არ ახასიათებს, ნეოლითურ ძეგლებში კი საჭრისების სიუხვე იქცევა ყურადღებას. 4) თეთრამინაზე, აღსანიშნავია ისრისპირთა სიმრავლე (34 ცალი). ნეოლითურ ძეგლებზე კი ისრისპირების მნიშვნელოვანი სიმცირეა. აღსანიშნავია, ტიპოლოგიური განსხვავებაც. აქ არ გვხვდება ლამელაზე დამზადებული, ცალმხრივდამუშავებული, მცირე ზომის ისრისპირები, რომლებიც გვიან ნეოლითს ახასიათებს, თეთრამინის ყველა ისრისპირი ანატკეცზეა ჩამოყალიბებული და ორმხრივდამუშავებულია. 5) თეთრამინის კომპლექსში აღსანიშნავია, რიყის

ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების სიმრავლე. თუმცა ისინი თავისი ფორმით განსხვავდებიან ნეოლითურისგან. რიყის ქვის იარაღებში წამყვანი ადგილი უჭირავს ტრაპეციის და სამკუთხედის განიკვეთის მქონე სათლელ-სატეხებს ხოლო ცულების რაოდენობა, შედარებით ნაკლებია. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებში კი პირიქით, წამყვანი ადგილი ცულებს ეკუთვნის. აქ გვხვდება ცალპირლესილი ცულები, რომლებიც ლითონის ხანაში ფართოდაა გავრცელებული. ზემოთ აღნიშნული ფორმის სატეხ-სათლელები დამახასიათებელია ლითონის ხანის ძეგლებისათვის, ნეოლითურ ძეგლებში კი ის ჩასახვის პროცესშია. 6) თეთრამინაზე ნაპოვნი ზოგიერთი თოხის ეგზემპლარი ახლოსაა ლითონის ხანის ძეგლებისათვის დამახასიათებელ ე.წ. "სოჭი-ადლერის" ტიპის თოხთან. 7) თეთრამინაზე ნაპოვნი მოგრძო ფორმის ხელსაფქვავეები, ნეოლითისათვის უპირატესად დამახასიათებელია ბრტყელი ოთხკუთხა ან მომრგვალო ხელსაფქვავეები შუაში ღრმულით. მოგრძო მოყვანილობის ხელსაფქვავეები გვხვდება კავკასიის ლითონის ხანის ძეგლებში. 8) კაჟის დაკბილული, ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები თეთრამინისა მასალების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამგვარი იარაღები არ ახასიათებს ნეოლითურ ძეგლებს. ნეოლითში მათ მაგივრობას წვეენ სწორწახნაგა ლამელები ან ლამელების განივი ნატეხები. 9) აქ აღმოჩენილია კვირისთავეები, რაც ენეოლითის ტიპური ნიშანია. 10) აღსანიშნავია, რომ თეთრამინაზე არის ნაპოვნი მერგელისაგან დამზადებული სამაჯურები, რაც აგრეთვე ენეოლითური მახასიათებელია. [ლ. ნებიერიძე, 1972, 84] თეთრამინაზე გვაქვს კარგად განვითარებული სოლისებური და გახვრეტილი ცულები, კაჟის დაკბილული ნამგლისპირები, კვირისთავეები, მოგრძო ხელსაფქვავეები, სამაჯურები, სხვადასხვა ფორმის, ძირითადად ლითონის ხანის ძეგლებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი, ყველა ის ნიშანი, რაც დამახასიათებელია ენეოლითისათვის. თეთრამინაზე აღმოჩენილი მინის დასამუშავებელი იარაღი ერთ-ერთი მდიდარი კოლექციაა ამ პერიოდის ძეგლებში. თეთრამინასთან ქრონოლოგიურად და ტიპოლოგიურად ახლო მდგომ საგვარჯილეზე ნაპოვნი თვითნაბადი სპილენძისაგან დამზადებული ოთხწახნაგა სადგისი და მცირე ზომის ანკესები რაც ასევე ენეოლითური მახასიათებელია. თეთრამინა მრავალფენიანი ძეგლია. იქ აღმოჩენილია მუსტიეური პერიოდის ქვის მასალა და ანტიკური ხანის კერამიკა. ასეთ ვითარებაში რასაკვირველია არ არის გასაკვირი ნეოლითური ელფერის მასალა. ნინო ბერძენიშვილმა მოგვიანებით, თეთრამინის მასალა ასევე ენეოლითურად მიიჩნია, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ მცირე ნაწილი ამ კოლექციის ნეოლითური პერიოდით უნდა დათარიღდეს.

კავკასიის გვიანნეოლითური და ადრეელითონის ხანის სამეურნეო სისტემის აღდგენა ჯერ კიდევ რთულია. საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების ამსახველი მასალა ძალზე მცირეა და მისი აღდგენა ძირითადად არაპირდაპირ ცნობებით შეიძლება. ბუნებრივი პირობების გამო მასალები-სამზარეულოს ნარჩენები, ნასუფრალი, ძვლისა და მცენარეულობის ნათშები თითქმის არ შემორჩენილა. სამეურნეო ცხოვრების მეტ-ნაკლებად რეალური სურათის აღდგენა ქვის იარაღის წყალობით შეიძლება.

აღსანიშნავია, რომ ადრეენეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელია, ცხოვრების გადანაცვლება გამოქვაბულებში 80% ნასახლარების მღვიმურია, 20% ღია ნამოსახლარები. ენეოლითში სამოსახლოდ უპირატესობა ენიჭება ბუნებრივ თავშესაფრებს: გამოქვაბულებსა და ეხებს. განსაკუთრებით ეს ეხება რიონ-ყვირილას ხეობას, სადაც თავმოყრილია ამ პერიოდის სამოსახლოების უმეტესი ნაწილი. ამ პერიოდის სადგომების შესწავლისას აშკარა განსხვავებანი გამოქვაბულებსა და ღია ცის ქვეშ მცხოვრებთა მეურნეობაში. ღია ტიპის ნამოსახლარებზე ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იარაღი, რაც მინათმოქმედების უპირატეს როლზე მიუთითებს. მღვიმურ საცხოვრებლებში კი აღმოჩენილია შინაური საქონლის.

თეთრამინასთან ამ პერიოდში დიდი რაოდენობით გვხვდება ქვის იარაღების დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნაშთები: ნამზადები, გულგულები, ანატკეცები და ა.შ. აღმოჩენილია ქვის საფხეკები, საჭრისები, სახვრეტლები, დანები, კომბინირებული იარაღები. საკმაოდ ხშირია გაპრიალებული, ბრტყელი და სოლისებრი ცულები, ტრაპეციისმაგვარი სატეხები და უროები.

მრავლადაა წარმოდგენილი კაჟის შუბისპირები და ისრისპირები. ღია სადგომებზე კი მრავლადაა მიწის დასამუშავებელი იარაღები. წერაქვისებური და თოხისებური მაკროლითები, მიწის სათხრელად, დისკოსებური თოხები, ნამგლის დაკბილული ჩასართები, დანები და სხვ. სამკაულებად არის გამოყენებული ქვის, თიხის, მერგელისაგან დამზადებული სამაჯურები. კვირისთავთა არსებობა მაგრამ უნდა ითქვას, აღნიშნულ მასალაზე აშკარა და ძლიერი გავლენა გვიანი ნეოლითისა. ენეოლითურ ხანაში არ ჩანს მაინცდამაინც მკვეთრი ცვლილება კულტურის ხასიათში. ნეოლითური ტრადიციები იმდენად ძლიერადაა შემორჩენილი, რომ დასავლეთ საქართველოს ძეგლებში საკმაოდ ძნელია ქვის ხანის ფინალური სტადიიდან ახალი ეპოქის, ლითონის ეპოქის საწყისი ეტაპის გამოყოფა. ერთგვარი კონსერვატიზმი კულტურაში განპირობებული უნდა ყოფილიყო ძირითადად მეურნეობის ხასიათით, სადაც გარკვეული ადგილი, ჯერ კიდევ მეურნეობის ძველ ფორმებს ეკავა. საერთოდ, რიონ-ყვირილას ხეობის ამ პერიოდის ძეგლებზე კარგადაა წარმოდგენილი ქვის ხანის დასასრული და ლითონის პერიოდის საწყისი საფეხური.

თეთრამიწის ანალოგიურია რიონ-ყვირილასა და სხვა მომიჯნავე რეგიონებში აღმოჩენილი ძეგლები, რომლებიც ნაწილი გამოქვაბულებშია წარმოდგენილი, ნაწილი კი ღია ცის ქვეშ. საგვარჯილე, [“მაცნე”, №4, 716.] თეთრი მღვიმე [კ.კალანდაძე, 1994], სამერცხლე კლდე, სამელე კლდე, ძუძუნა., მონამეთის ეხი, დარკვეთის ეხი, გუმბრინი, ორთვალა მღვიმე, ჩიხორი, საწურბლია, ოლასკურა [“ძიებანი” №15-16, 2005:22], ახალსოფელი [“ძიებანი” №8, 2001:23] და სხვ. ეს ძეგლები, მცირედი ქრონოლოგიური სხვაობებით ეკუთვნიან მღვიმური კულტურის წრეს და ხასიათდებიან დას. საქართველოს ტერიტორიაზე მეტნაკლებად კარგად გამოვლენილი ბინადარი ცხოვრებისა და წარმოებითი ეკონომიკის ძეგლებად. საინტერესოა, აგრეთვე ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის კედელთან აღმოჩენილი ამავე პერიოდის ნივთები, ქვის, კაჟის და კერამიკის ნიმუშები, რომელიც ალბათ თეთრამიწასთან შედარებით გვიანდელია, თუმცა სიახლოვეს იჩენს მღვიმური კულტურის წრის მასალებთან, თუმცა მასალა იმდენად ფრაგმენტულია, რომ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. ღია ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეს მასალა ფრიად მნიშვნელოვანია.

თუ გადავხედავთ “მღვიმური კულტურის” ძეგლების განლაგებას საწურბლიადან, სამხრეთ აღმოსავლეთით თეთრამიწამდე, დავინახავთ, რომ ამ კულტურის მიერ აქტიურადაა სამოსახლოდ გამოყენებული წყალტუბოს ტალღოვანი ვაკე, სადაც უამრავი მღვიმე, წკვარამი და კარსტული ძაბრია [ო.ჩხეიძე, 2003:231]. სამოსახლოები, სწორედ ასეთ მღვიმეებშია, მაგალითად, საწურბლია ან თეთრი მღვიმე. როგორც ჩანს, წყალტუბოს ტალღოვანი ვაკე, გვიან ნეოლითიდან ენეოლით-ადრებრინჯაომდე აქტიურად იყო დასახლებული. თეთრამიწა, ამ რეგიონის აღმოსავლეთ დაბოლოებაშია. უნდა აღინიშნოს, საგვარჯილე მღვიმესთან, მდებარეობს, ღია ნამოსახლარი ძეგრი, რომელიც მისი აღმომჩენის, ლ. ნებიერიძის აზრით, შესაძლოა, საგვარჯილეს მცხოვრებთა სეზონური, ღია სამოსახლო იყო [“ძიებანი” №15-16, 2005:55]. ამ კუთხით, საინტერესოა, რომ წყალტუბოს ტალღოვან ვაკეზე აღმოჩენილ, მღვიმური ძეგლების პარალელურად, ზედაპირზეც არის აღმოჩენილი ანალოგიური მასალა, მაგალითად ოლასკურა, ნაციხვარა, თეთრამიწა. შეიძლება ბაგრატის ტაძრის [“ძველი ხელოვნება” 2010, №1:5] და ქუთაისში, ივერიკოს გორაზე აღმოჩენილი მასალების გათვალისწინებაც [ო.ლანჩავა, 2007]. თუკი საგვარჯილესა და ძეგრის კონტექსტს გავითვალისწინებთ, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მღვიმურ კულტურაში, ძირითადი სამოსახლოები, ალბათ უსაფრთხოების გამო, მღვიმეებში იყო განლაგებული, ხოლო, იგივე ოჯახის საკუთრება იყო, მღვიმის პირას, ღია ნამოსახლარი. ადგილი ჰქონდა ალბათ სეზონურ დასახლებებს, ან იქნებ, რადგან ღია ნამოსახლარებში სამინათმეოქმედო იარაღები ჭარბობს, მღვიმურებში კი მესაქონლეობის ხვედრითი წილი მეტია, შესაბამისად, მღვიმეებში უპირატესად ძირითად საბინადროდ და საზამთროდ ცხოვრობდნენ, ღია ნასახლარებზე კი სეზონური მინათმეოქმედების ადგილი იყო. აღსანიშნავია, რომ თეთრამიწის ტერიტორიაზეც არის აღმოჩენილი მცირე ზომის

წკვარამი. შესაძლოა, აქ იყოს კარსტული რელიეფი, რაც თითქოს ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ეს ძეგლიც მღვიმური ნასახლარის პარალელურია.

თეთრამინას მასალები 20-იანი წლებიდან მოყოლებული, მოგვიანებით სხვადასხვა პერიოდში მონყობილი არქეოლოგიური დაზვერვებისას მიღებული მასალა, ზედაპირზე აკრეფილი და ძეგლის სტრატოგრაფიაზე გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. მომავალში, გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების შემთხვევაში, იმედია მივიღებთ უფრო სრულყოფილ ინფორმაციას, თეთრამინას სტრატოგრაფის, ქრონოლოგიისა და დას. ამიერკავკასიის ნეოლით-ენეოლითის პერიოდის ძეგლებში მისი ზუსტი ადგილის განსაზღვრისათვის.

ლიტერატურა:

1. “ქიმ”, არქივების კატალოგი
2. მ.ნიკოლეიშვილი: 1986: განძი და საგანძური, “საბჭოთა საქართველო”
3. ს.ნადიმაშვილი: ქუთაისის მიდამოებში ახლახან ჩატარებულ არქეოლოგიურ ძიებათა შესახებ, გაზ. “ინდუსტრიული ქუთაისი”, 19/XII-516
4. კ.კალანდაძე: 1994: “თეთრი მღვიმე”, “მეცნიერება”
5. თენგიზ მეშველიანი, აბესალომ ვეკუა, ნანა რუსიშვილი, ელისო ყვავაძე, რუსუდან ჩაგელიშვილი, ნინო ჯაყელი: სახელმწიფო გრანტის “მონადირე შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა საქართველოში” ფარგლებში 2008-2009 წწ. ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, “ძიებანი”, 2011, №20
6. ქ.რ.ემბერი; მ.ემბერი; პ.ნ.პერეგრინი: 2009, ანთროპოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
7. ნ.კილაძე: ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამინიდან მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29, 1951, თბილისი
8. დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნეზიერიძე: საქართველოს ზოგიერთი ნეოლითური ძეგლის დათარიღებისათვის “მაცნე”, №4, 1971 წ.
9. ო. ჯაფარიძე: 1991, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი
10. ლ.ნეზიერიძე: 1972, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი, მეცნიერება
11. კ.კალანდაძე: ოლასყურას ქვისხანის ნამოსახლარები, “ძიებანი” №15-16, 2005
12. ლ.ნეზიერიძე: „ქვერის ენეოლითური ნამოსახლარი“, “ძიებანი” №8, 2001
13. ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე: არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში “ძველი ხელოვნება” 2010, №1:5
14. ო. ლანჩავა: “ქუთაისის არქეოლოგია”, 2007 წ.
15. ო. ჩხეიძე: “იმერეთის გეომორფოლოგია”, I ნაწ., 2003.

David Dvalishvili

MATERIALS OF TETRAMITSA FROM KUTAISI MUSEUM

In Kutaisi, on the right bank of the River Rioni, to the north-west of the town, 297 m above from sea-level, is located the place Tetramitsa. In this place, in 1924, Petre Chabukiani, expert of regional geography was the first who discovered remains of Stone Age. In 1924-1932 years he systematically collected collection of stone tools. This was the first discovery of the monuments of new Stone Age. At a height of Tetramitsa he collected stone and flint tools and produced them at Kutaisi Museum. It's significant that Tetramitsa is the most ancient monument in the territory of Kutaisi where existence

of resident population is confirmed. In 1951 B. Kuftin examined discovered materials and under his leadership and with participation of archeologist S. Nadimashvili was performed exploration works. The foregoing works discovered important economy and fighting weapons. In 1977 in this place the Tskaltubo expedition of Archeological Center, with participation of N. Berdzenishvili, L. Nebieridze and K. Kalandadze, started archeological digs. There were discovered a lot of archeological materials as on the surface as well from the layers of the ground, they are: ceramics, manual grinders, microliths, arrowheads, spearheads, fragments and others. In 1950-1951 Tetramitsa's collection was studied by N. Berdzenishvili. In his opinion Tertamitsa economy had been already differentiated according to branches and he dated it as a new Stone Age, later, doubt was caste in its Neolithy and it was redated as Eneolith.

It's significant that early Neolith monuments are characterized with resettlements in the cave. 80% of sites of ancient settlement are in caves, and 20% - open sites of settlement. In Eneolith Age natural shelters and caves are mostly preferred. To this point of view Rioni-Kvirila ravine is the most important place where the most of part of the sites of ancient settlement are gathered. In the process of studying the sites of settlements of that period the economy of the cave and open settlements have many differences. In the sites of open ancient settlements there are found many agricultural tools which points out to preferential role of farming. In the cave dwellings there are found signs of domestic animals. If we look at the location of monuments of "cave culture" from Satsurbliia to South-east of Tetramitsa, we'll see that the culture actively used waved plain of Tskaltubo for dwelling. There are many caves and karst funnels. The sites of settlements are in those caves, for example, Satsurbliia and Tetri Mgvime. As it's seen from the archeological digs Tskaltubo weaved plain was actively settled from later Neolith to Eneolith-bronze Ages. Tetramitsa is in the east lowland of the region. At Sagvarjile cave is located open site of ancient settlements. In the opinion of its discoverer - L. Nebieridze, at this place are the signs of season, open sites of settlements of Sagvarjile residents. From this point of view, it is interesting that analogical materials are found on the surface in parallel of cave monuments found on weaved plain of Tskaltubo, they are: Ogaskura, Natsikhvara, Tetramitsa. If we consider context of Sagvarjile and Dzevri we may suppose that in the cave culture the dwellings were placed in the caves for the purpose of security and the open dwelling belonged to the family. Probably, there were season settlements or perhaps as there are found many agricultural tools in the open ancient settlements, and in the cave settlements - cattle breeding, we may suggest that the people lived in the cave in winter, but the open ancient settlements were for farming. It's significant that in the territory of Tetramitsa is also found small pit. Maybe there will be carts relief as if it confirms our opinion that the monument belongs to cave settlement either.

Since 20 years the materials of Tetramitsa is found on the surface and it's difficult to tell something on stratigraphy of the monument. In the future in case of systematic archeological digs we hope that we will receive more complete information in order to determine stratigraphy, chronology and exact place of monuments of West Transcaucasian Neolith and Eneolith periods.



ქუთაისის მუზეუმში დაცული მძივები

მძივები სილამაზისთვის განკუთვნილი აქსესუარია. მათი ისტორია შორეული წარსულიდან იწყება. ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანაში პირველყოფილმა ადამიანებმა მიაგნეს ძვლის გახვრეტის მარტივ ტექნოლოგიას და ასე პრიმიტიულად შექმნილი აქსესუარი გამოიყენეს სამკაულად. მისი დანიშნულება, გარდა სამკაულისა იყო პირველყოფილი რელიგიური რწმენის ამსახველი ნივთი – თილისმა, ანუ თავდაცვის საშუალება ბოროტი თვალისაგან. [სურ.1] პირველი მძივები ძვლისგან, ცხოველის კბილებისგან და ნიჟარებისაგან მზადდებოდა. ყველაზე ადრეული მძივი ძვ.წ. 22000 წლით ათარიღებენ, ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილ ძვლის მძივსა და ცხენის გახვრეტილ კბილს. [ძიებანი; №19] მოგვიანებით ისინი ბუნებრივმა ქვებმა და ძვირფასმა ლითონებმა ჩაანაცვლეს.

ფერადი ქვების სამკაულებად გამოყენების ისტორია ჯერ კიდევ ზედა პალეოლითიდან იწყება. თავდაპირველად ძვირფას ქვებს ატარებდნენ სამკაულებად ზუსტად იმ სახით, როგორაც მოიპოვებდნენ ბუნებაში, მოგვიანებით კი მათი დამუშავებაც დაიწყეს, მათთვის მეტი სილამაზის მისანიჭებლად.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მძივების მოპოვება არქეოლოგიური გათხრების შედეგად ხდება. დაკრძალვის ტრადიცია მოითხოვდა გარდაცვლილისათვის მისი პირადი ნივთების ჩაყოლებას სამარხში. ტანსაცმელთან და იარაღ-საჭურველთან ერთად ეს იყო მძივები, სხვადასხვა სამკაულები და ჭურჭლეულობა. მძივები უმეტესად ყელისა და გულმკერდის არეში ფიქსირდება, როგორც ჩანს მძივების გამოყენება ერთნაირად მოდური ყოფილა როგორც ქალებში ასევე მამაკაცებში [ქართველი ერის ისტორია]. თუკი შევთანხმდებით, რომ მძივები გამოიყენებოდა თილისმების სახით, მაშინ ადვილი წარმოსადგენია რატომ იყო ისინი ერთნაირად პოპულარული როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მძივები დამზადებულია მინისგან, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან და ძვირფასი ლითონებისგან, გვაქვს ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოსგან დამზადებული საუცხოო მასალები.

განვიხილოთ ქუთაისის მუზეუმში დაცული ძვ.წ. I ათასწლეულით დათარიღებული მძივები. თემის აქტუალობისთვის, თავდაპირველად, გამოვყოფდი მასალას. ესენია: სარდიონი, გიშერი, მინა და ქვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

სარდიონი ქალცედონის კაშკაშა ნითელი, ყავისფერი, ყვითელი ფერის სახესხვაობაა. სახელწოდება ლათინურიდანაა (კარნუმ-შინდი). ეს მინერალი ბიბლიაში სარდიონის სახელითაა მოხსენიებული. ქართულად ამ ქვას აყიყსა და იამანს უწოდებენ. სარდიონის ყავისფერ სახეს ხვაობას სარდერი (სარდი) ეწოდება. მკვეთრ ნითელ, ყვითელ-ყავისფერს, ნახევრად გამჭირვალე, გამჭირვალე სახესხვაობას კარნეოლი (სერდოლიკი) ეწოდება. სარდიონიქსში ერთმანეთს ენაცვლება ნითელი და თეთრი ფერები, ხოლო სარდონიქსი მურა და თეთრი ფერებისგან შედგება.

კაცობრიობის ისტორიაში სარდიონი ერთ-ერთი პირველი ქვაა ადამიანის მიერ ესთეტიკური თვალსაზრისით გამოყენებული. ბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით შუა ბრინჯაოს ეპოქიდან, სასამკაულე ქვებზე მოთხოვნილებათა მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია საიუვილერო და სანახვლო ქვების მასობრივი გამოყენება. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სარდიონი. საბადოებია: ინდოეთში, მონღოლეთში, მცირე აზიაში, ურუგვაიში, საქართველოში. ანტიკური ხანის სარდიონის მძივები ცნობილია საქართველოს სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლებიდან. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს სარდიონის საბადოს არსებობაზე საქართველოში. აღმოჩენილი მძივების რაოდენობაც ამის დასტურად უნდა ჩაითვალოს.

ქუთაისის მუზეუმში დაცულია სარდიონის რამდენიმე მძივი, ამათგან უშუალოდ სარდიონის მძივის რამდენიმე აცმაა. დანარჩენი კი შერეულია პასტის თვალად და სხვადასხვა მინერალებისგან დამზადებულ მძივებთან ერთად. მათგან ერთი 5659 A-245 აცმა პატარაა, 10 ერთეულისგან შედგება და ადრეანტიკური ხანითაა დათარიღებული. მათ კასრისებური მოყვანილობა და ნახევრად გამჭირვალე და ვარდისფერი შეფერილობა აქვთ. [სურ.2]

სარდიონის მძივი, ერთი აცმა, 72 ცალი, სხვადასხვა ზომის, დანამწვარი. [სურ.3] მუზეუმს შემოწირა რამაზ ობოლაძემ. მძივი თავისი დაზიანებების გამო საჭიროებდა სასწრაფო რესტავრაციას, რომელიც ჩაუტარდა მუზეუმის ლაბორატორიაში და მოხდა ამ დაზიანებების კონსერვაცია. კიდევ ერთი მძივი, რომელიც მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში ინახება 1928 წელსაა მუზეუმში შემოსული, იგი 14 ერთეული სარდერისა და სერდოლიკისაგან შედგება, ამათგან ერთი დიდია, დანარჩენები კი შედარებით მცირე მრგვალ და დაბრტყელებულ-მრგვალი ფორმებით არიან წარმოდგენილი [სურ.4]

დანარჩენი ერთეულების სახითაა სხვადასხვა მძივებთან ერთად წარმოდგენილი.

ქუთაისის მუზეუმის ფონდსაცავში დაცულია სარდიონის 3 ერთეული მძივი, რომლებიც სასანური წარმომავლობის უნდა იყოს და მათ ქ-ნი ლ. ჯიქია V-VII საუკუნეებით ათარიღებს. [სურ.5] ისინი 1926წ. ჭიათურის მღვიმევის მონასტრიდან წარმოუდგენია ივანე ჭუმბურიძეს. მათგან ერთი ცალი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ჩემი აზრით მას საბეჭდავის დანიშნულება უნდა ჰქონოდა, რის საფუძველსაც მძივზე გამოსახული ორნამენტი მაძლევს. მძივი მოვარდისფრო- ხორცისფერია და მრგვალ-ბრტყელი მოყვანილობა აქვს. ერთი გვერდი ოვალურადაა ჩამოჭრილი და მასში ამოკვეთილია გამოსახულება, რომელსაც ქ-ნი ლ.ჯიქიას აზრით სტილიზებული ლოტოსის ფორმა აქვს. მეორე ცალი მრგვალი, მუქი ყავისფერი სარდიონია, მასზე გულის ფორმის დეტალი უნდა იყოს ამოტვიფრული, რომელიც ბოლომდე დამუშავებული არ არის. [სურ.5.1]

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება სარდიონისა და სარდერის მძივების, როგორც განძების აღმოჩენის ფაქტებიც: სოფ. ფარცხანაყანევი (129ც), ნოსირი (200ც), ნაგვაზაოში (300ც). მსგავს მძივებს ადრე იმპორტულად მიიჩნევდნენ, თუმცა ფაქტია, რომ ისინი ადგილობრივი წარმოების არიან. [ძიებანი№19].

გიშერი ნამარხი ნახშირის ძლიერი შავი, ელვარე სახესხვაობაა. სახელწოდება გიშერი ქართულია; ჩვეულებრივ აგატს უწოდებენ. ქართულ ენაზე გიშრის მეორე სახელწოდებაა – სათი. საბადოები: ინგლისში, ესპანეთში, საფრანგეთში, რუსეთში და საქართველოში.

საქართველოში უხსოვარი დროიდან აწარმოებდნენ გიშერს. ამ მოსაზრებას ფაქტებითაც ადასტურებენ არქეოლოგები ბ. კუფტინი და გ. ნიორაძე. არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს რომ ბრინჯაოს ხანაში გიშრიდან მძივების დამზადებას უკვე მასობრივი ხასიათი ჰქონია. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული გიშრის მძივები შუა საუკუნეებითაა დათარიღებული და ამჯერად ისინი ჩვენი კვლევის ობიექტები არ არიან.

ფონდში უხვადაა წარმოდგენილი მინისა და პასტის მძივები, როგორც თვალადი პასტის, ასევე სხვადასხვა შეფერილობის პატარა იოტები. გვხვდება რამდენიმე ერთეული გოფირებული ფორმის მძივიც. [სურ.6]

მინის იოტებს შორის წარმოდგენილია მოვერცხლილი და მოოქრული ერთეულებიც. მძივების მოოქროვების ან მოვერცხლის ტექნიკა, როგორც ცნობილია, ჩნდება ეგვიპტეში, ძვ.წ. IVს., ხოლო ევროპაში ძვ.წ. III-II სს. ვრცელდება. მ. ივანჩენკო სამთავროს მასალების მიხედვით, ფიქრობდა, რომ მოოქრული მძივები საქართველოში ელინისტური ხანის ბოლოდან ვრცელდება, რაც დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი ძეგლების მიხედვით სარწმუნოდ არ გვეჩვენება. მოოქრული მძივების დასავლეთ საქართველოში გამოჩენის ყველაზე ადრეული შემთხვევა გვაქვს ეშერაში. სამარხი

ძვ.წ IV ს ბოლო, III საუკუნით არის დათარიღებული. ისინი ელინისტური ხანის ბოლოს ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოში (სამთავროს სამაროვანი), ხოლო ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ძვ.წ. II-III სს. სამარხეულ კომპლექსებშია წარმოდგენილი. მინის მძივებზე გადაკრულია ოქროს თხელი აფსკი, რომელსაც ზემოდან ფარავს მინისავე გამჭვირვალე თხელი ფენა. გვხვდება ყვითელი საღებავით დაფარული მინის მძივებიც, რომლებიც გარეგნულად მოოქროვილებსაგან არ გამოირჩევიან. [ნ. ვაშაკიძე] [სურ.7].

ქუთაისის მუზეუმის ფონდში გვხვდება მინის მძივები და მძივსაკიდები, რომელთაც ამფორისკისა და ცრემლის ფორმა აქვს. ამ მძივების სამშობლო ეგვიპტე უნდა იყოს და მკვლევარები ამ ნაწარმის მოხვდრას ჩრდილოშავი ზღვისპირეთში სინოპეს საშუალებით ვარაუდობენ, მდინარეების საშუალებით ისინი ვრცელდებოდნენ უფრო ჩრდილოეთით, საიდანაც აღწევდნენ ჩრდილოეთ კავკასიას და საქართველოს. მათივე მოსაზრებით, უკვე ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისში ეგვიპტური პასტის წარმოება ბერძენი ოსტატების ხელში უნდა ყოფილიყო. [ნ. მირიანაშვილი].

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ათასობით პასტის მძივი მოიპოვება. ტექნოლოგიური თვალსაზრისით პასტის თვალადი მძივები მრავალგვარია. მათ მახასიათებელ ნიშნად და ქრონოლოგიურ განმსაზღვრელად მიჩნეულია მძივის ბირთვის ფორმა, თვლების განლაგების სქემა და ამობურცვის ხარისხი. ითვლება რომ თვლების გამოყვანის რამდენიმე ხერხი არსებობდა. ქუთაისის მუზეუმში დაცული პასტის თვალადი მძივებიდან მოყვანილობისა და შეფერილობის მიხედვით შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე ვარიანტი:

1. ყვითელი ბირთვის მქონე პასტის თვალადი მძივი, რომელიც ერთ-ერთი კარგად შემონახულია. მასზე სიმეტრიულადაა განლაგებული თეთრ გარსში ჩასმული ლურჯი თვლები.

2. ლურჯი ბირთვის მქონე თვალადი მძივი.

3. ლურჯი მინის მძივები, რომლებსაც გეომეტრიული ან ფოთლოვანი ორნამენტები ამშვენებს

4. მინის ლურჯი ბიკონუსური ფორმის მძივები.

ფონდში დაცულია მინის გულის ფორმის რამდენიმე ერთეული მძივი და ერთი ცალი დელფინის ლურჯი მინის მძივი. მსგავსი ფორმის მძივებს ანალოგები უხვად მოეპოვებათ ანტიკური ხანით დათარიღებული ნამოსახლარებიდან. მაგალითისთვის ფიჭვნარს მოვიტანდი, სადაც მრავლადაა გამოვლენილი მსგავსი ფორმის მქონე მძივები. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ეს მძივები 1937 წელს შემოვიდა არქეოლოგ მ. ივაშჩენკოს მიერ, სოფ. ფარცხანაყანევი გათხრილი ქვევრსამარხებიდან და ძვ. წ. IV-III საუკუნეებითაა დათარიღებული.

ქვისგან ძირითადად დამზადებულია თილისმები. მათ მითიური და საკრალური დატვირთვა ჰქონდათ, ასეთი თილისმები ადამიანებს იცავდა ავი თვალისგან და ზოგ შემთხვევაში მათ სამკურნალო მნიშვნელობითაც იყენებდნენ. [მ. საჩკოვაი] ჩემი აზრით მუზეუმის ფონდში დაცული მინის გულის ფორმის მძივებს უფრო სილამაზისთვის და აქსესუარად გამოიყენებდნენ, ვიდრე საკრალური დანიშნულებით და ავი თვალისაგან დასაცავად.

მძივებისა და მძივსაკიდების საშუალებით ძალიან რთულია ისაუბრო დათარიღების პრობლემებზე, რადგან მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ დიდია; თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი გავრცელება შეინიშნება ზედა პალეოლითიდან მოყოლებული, გვიანი ფეოდალურ ხანით დათარიღებულ ყველა სამარხში. ისინი ქრონოლოგიურად ებმებიან ერთმანეთს და შეგვიძლია თვალი ვადევნოთ მათ უწყვეტ განვითარებას სხვადასხვა ეპოქაში. ქუთაისის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში დაცული მძივები, სამწუხაროდ ძალიან ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, იმისათვის რომ მათი ქრონოლოგიური ჩარჩო განვსაზღვროთ. მხოლოდ მ. ივაშჩენკოს მიერ ნაწილობრივ შესწავლილ ფარცხანაყანევის ქვევრსამარხების გათხრისას გამოვლენილი მძივების დათარიღება მოხერხდა ძვ.წ. III-II საუკუნეებით.

და ბოლოს, როგორც ცნობილია უძველესი მძივების შესწავლა ხდება გეოლოგიისა და მინერალოგიის მეცნიერებების ერთობლიობით, მათ კავშირს არქეოლოგიასთან კი სპეციალური ტერმინი – გეოარქეოლოგია უწოდეს. სწორედ გეოლოგებისა და მინერალოგების დამსახურებაა რომ 1990-1991 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინდა კვარც-აქატ-ქალცედონის 42 საბადო, რომელთაგანაც 36 მხოლოდ ახალციხის რაიონშია, დანარჩენი კი გაბნეულია მთელს საქართველოში. შესაბამისად ვარაუდი, რომ დიდი რაოდენობით მინერალებისაგან დამზადებული მძივები, ადგილობრივი ნაწარმი უნდა ყოფილიყო დადასტურდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად. 1982-1988 წლებში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ მარტვილისა და სენაკის რაიონებში გაითხარა მძივების საკმაოდ ძლიერი საწარმო-ნამოსახლარი (სოფ. მუხურჩის ადგილი “ნანისქვილარი”, სოფ. ოჩხომური, ნოქალაქევი ადგილი ნაქალაქარი) რომლებიც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდებიან [ძიებანი№19]. შესაძლოა, ქუთაისის მუზეუმში დაცული მძივებიც ამ საბადოებს ეკუთვნოდნენ, მაგრამ მასალების არასრულობის გამო, დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით. ამ ნივთების ფრაგმენტულობა უფრო მიმზიდველს და საყურადღებოს ხდის თემას, შემდეგი კვლევებისთვის.

ლიტერატურა:

1. დავლიანიძე ც.: – ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბილისი. 1983. გვ.89-107;151-159.
2. ვაშაკიძე ნ.: – ზემო ფარცხმის სამაროვანი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XIII. თბილისი. 1985. გვ.96-102.
3. ლეკაშვილი დ.: – ოქროფენილი და ვერცხლფენილი მინის მძივები მცხეთის ანტიკური ხანის სამარხებში. ძიებანი. № 15-16. თბილისი. 2005. გვ. 181-185.
4. მირიანაშვილი ნ.: – შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი. 1983. გვ:78-82; 99-100.
5. საჩკოვი მ. კაპანაძე მ. ჩუგუნავა რ.: – ოქროს სმალტების დამზადების ძველქართული ტექნოლოგია. ქუთაისის მუზეუმის მასალები. კრებული IX-X. ქუთაისი 1998.
6. საჩკოვი მ. ჩუგუნავა რ.: – სამკურნალო მიზნებით ქვების გამოყენების ისტორიისთვის. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები. კრებული XXI. ქუთაისი 2011.
7. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. №19. ელგუჯა გოგაძე, ციალა დავლიანიძე, გვილა ფანცხავა, დავით ლომიტაშვილი. ქვის მძივების საწარმო ნამოსახლარები კოლხეთიდან (მუხურჩის “ნანისქვილარი”, ოჩხომური, ნოქალაქევი). გვ. 160-165.
8. ჯიქია ლ.: – ქუთაისის მიდამოების ქვევრსამარხები. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები. კრებული IV. გვ. 60-86.

Qeti Uglava

BEADS FROM KUTAISI HISTORICAL MUSEUM

In ancient times people used different materials for beauty. One of these accessories were beads. Their history began from early past. Till from Early Paleolith origin population discovered how to make a hole in a bone and so, primitive hand-made accessories were used for decoration. Besides the decoration it was used like an amulet. First beads were made by bones, from animal teeth and different shells. The earliest beads discovered in Georgia were dated 22000years B.C. They were

found in Dzudzuana cave and were made by bone and holed horse tooth. Later originals begin to make beads from different minerals, precious stones and precious metals. Doing colored stones like accessories began from Late Stone Age. At first people were wearing them as original, how they were founding in nature, but later they begin to treat those minerals for more beauty and shine.

In Georgia ancient beads were found during archaeological excavations. There was a special tradition to bury a dead person with his/her personal things. From other materials such as clothes and armament they were buried with death his/her beads too.

During the archaeological excavations we are finding beads in the area of a head and a neck of a dead person. As seems, using beads was popular as among women, so among men as well.

Cornelian is one of the ancient mineral which was used for adorning. It is a variety of quartz. From Bronze Age, especially, from Middle Bronze Age, there was a great demand of adorning colored stones and they began mass using of jewellery stones. In this sight we have to mention using cornelian.

In Kutaisi State Historical Museum there are protected several units, others are mixed with glass beads, glass paste and with different minerals.

During the archaeological excavations archaeologists discovered more than thousand unit glassed eye beads and glass paste eye beads. By technological side there are several step of developing these beads. To their typical mark and chronological definition are considered the form of kernel of a bead, dispose of eyes and a scheme and a sort of a salience.

There was a several variety of encrust eyes on a glass beads. That's why we can divide several varieties from glass beads, which are protected in Kutaisi State Museum.

It's very difficult to solve dating problems by discovering beads in the burials, because their chronological range is very large. They are spreading in graves which are dating from Early Stone Age to Late Middle centuries. But attentive to them we can create a continuous chain and we can see how they are developing during the millenniums. Unfortunately bead materials which are came from Partskanakevi pitcher burials are dated III-II cc. B.C.

In 1990-1991 years in Georgia 42 deposit of quartz, jet and different minerals were founded. And for opinion, about that the doing beads in Georgia in several regions was local tradition was proved. For more clearly, in 1982-1988 years in West Georgia several settlements with beads factories dated in VIII-VII cc. B. C. were discovered during archaeological excavations.

Maybe beads, which are protected in Kutaisi Museum came from these factories but we can't prove this fact yet.



ირინე ქუთათელაძე

ქუთაისის მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი

100 წელი გავიდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დაარსებიდან. იგი დაფუძნდა 1912 წელს შექმნილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბაზაზე. ამავე საზოგადოების გადწყვეტილებით 1922 წელს დაარსდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. მუზეუმის პირველი ექსპოზიცია გაიხსნა 1923 წელს.

ქუთაისის მუზეუმის მრავალფეროვან განყოფილებებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს არქეოლოგიურ კოლექციას, რომელიც 40000 ერთეულზე მეტ ნივთს აერთიანებს. ნაწილი ამ მასალებისა შემთხვევით, უმეტესი ნაწილი კი ქუთაისსა და მის მიდამოებში გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის მოპოვებული. არქეოლოგიური მასალების შეგროვება ჯერ კიდევ 1912 წლიდან დაიწყო. ისინი მომდინარეობს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი), ხოლო ერთეული მონაპოვრები – აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან, ჩრდილო ოსეთიდან, ტრაპიზონიდან და რუსეთიდანაც შემოსულა. მასალები მოიცავს პერიოდს ქვედა პალეოლითიდან გვიანი საშუალო საუკუნეების ჩათვლით. [5, გვ. 5].....

ფონდში დაცულია კაჟის, ქვისა და ობსიდიანის უძველესი იარაღები, თიხის, ბრინჯაოსა და რკინის ნაწარმი, ცხენის აკაზმულობისა და ტანისამოსთან დაკავშირებული ნივთები, საკულტო-სარიტუალო საგნები და სხვადასხვა მასალისაგან (თიხა, ქვა, ბრინჯაო, რკინა, მინა, პასტა, ბუნებრივი და ნახევრადპირფასი თვლები) დამზადებული სამკაულები. აქვე, უნდა აღინიშნოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მელითონის განძები, ანტიკური ხანის ორმოსამარხებისა და ელინისტური ხანის ქვევრსამარხების სამარხეული ინვენტარი. ამ მასალების ნაწილი წარმოდგენილია მუზეუმის არქეოლოგიურ ექსპოზიციაში. ცნობილია, რომ გვიან ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება თავისთავადი, ბრწყინვალე კულტურა, რომელიც კოლხური კულტურის სახელითაა ცნობილი. ფონდში წარმოდგენილია კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ნაწარმის თითქმის ყველა სახეობა: კოლხური ცულები, შუბისპირები, ისრისპირები, სატევრები, ბრინჯაოს სამკაულები, ქანდაკებები, მინის მძივები.

მუზეუმის არქეოლოგიური ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ანტიკური ხანის მასალები, რომლებიც საყურადღებოა კოლხეთის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. [1, გვ. 51]

სხვადასხვა დროს მუზეუმის სამოქმედო ზონის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ბერძნულ-რომაული, წინა აზიური, ეგვიპტურ-სირიული და ირანული სხვადასხვა სახეობის ნაწარმი, რომელიც გარე სამყაროსთან ფართო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების მაუწყებელია. იმპორტული მასალებიდან აღსანიშნავია: მინის სანელსაცხებლები, ვერცხლის რიტონი, თიხის ჭრაქები, კანთაროსები, გუტუსი, ბრინჯაოს გრიფონის ქანდაკება.

ფონდში დაცული მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წინაქრისტიანული ხანის მხატვრული მელითონეობის უკანასკნელი ეტაპის ამსახველი ნიმუშები – ბრინჯაოს ჭვირული ბალთების სახით, რომელიც ძვ.წ. II და ახ.წ. III ს.ს. თარიღდება. მრავლადაა წარმოდგენილი ადრე და საშუალო საუკუნეების მასალები კერამიკული ნაწარმისა და რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღის სახით.

ქუთაისის მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი საგრძნობლად გაამდიდრა ქუთაისსა და მის

შემოგარენში სხვადასხვა დროს მომუშავე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციებმა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ლ.ჯიქია, დ. ბერძენიშვილი, თ.ხელაძე, მ.სტეფანია.

მუზეუმის არქეოლოგიური მასალები შესწავლილი და გამოქვეყნებულია: გ.ნიორაძის, მ.ნიორაძის, კ.კალანდაძის, ნ.ბერძენიშვილის, ბ.კუფტინის, მ.ივაშჩენკოს, ო.ჯაფარიძის, ო.ლორთქიფანიძის, ნ.ხომტარიას, ვ.ჯაფარიძის, გ.კვიციანიას, ვ.ლიჩელის, ო.ლანჩავას, ნ. ქარციძის, ლ.ჯიქიას, რ.ისაკაძის, დ.ბერძენიშვილის, მ. მინიშვილის, მ. ბარამიძის, გ. ფხაკაძის, ლ.სახაროვას, რ.ფუთურიძის, პ. ჭყონიას და სხვათა მიერ.

1914 წელს მდ. წყალწითელას ხეობაში საკაჟიასა და ორთვალას მღვიმეებში (თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანის მახლობლად) უცხოელმა არქეოლოგებმა რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ ქვის ხანის ძეგლების წარმატებული აღმოჩენები გააკეთეს და საფუძველი ჩაეყარა ქვის ხანის შესწავლის ისტორიას საქართველოს ტერიტორიაზე.

1934 წელს კი წყალწითელას პალეოლითური ძეგლები მოიხილა და მათ შესახებ საყურადღებო ცნობები გამოაქვეყნა პეტერბურგელმა არქეოლოგმა ს. ზამიატინმა. შემდგომში გ. ნიორაძის მიერ 1936 და 1937 წლებში საკაჟიას მღვიმეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა ზედაპალეოლითის მძლავრი კულტურული ფენები.

ქუთაისის „ქვეყნის“ ტერიტორიაზე ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობისაა ცნობილი ქუთაისელი მხარეთმცოდნის პეტრე ჭაბუკიანის მიერ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ უბანში, გორა თეთრამინაზე, 1924 წელს, აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები, რომლებიც ფონდშია დაცული.

1937 წელს არქეოლოგმა მ. ივაშჩენკომ, კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების დავალებით, გათხარა ელინისტური ხანის ქვევრსამარხები ფარცხანაყანეში.

1944 წელს მდ. რიონის ქვემო წელზე ძველ მოსახლეობათა დაზვერვა აწარმოეს ნ. ხომტარიამ და ი. გძელიშვილმა.

1949 წელს ჭოგნარში „ფარნალის გორაზე“ გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალები შეკრიბა და ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას გადასცა არქეოლოგმა გ. ლომთათიძემ.

1946 და 1951 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა სამარშრუტო ექსპედიციამ, რომელსაც ბ. კუფტინი ხელმძღვანელობდა, დაზვერვები ჩაატარა „თეთრამინაზე“, მღვიმე „სანვეთელაში“, ს. პატრიკეთსა და ს. ბანოჯის „ნაციხვარზე“.

1954 წელს ალ. კალანდაძემ ს. ფარცხანაყანეში გათხარა ე.წ. რეხისტყის ელინისტური ხანის სამაროვანი (ქვევრსამარხები).

1960 წელს ქუთაისის მიდამოების ზოგი ხელოვნური გორაკი („გორიკა“) მოიხილა და მათი შესწავლის აუცილებლობა აღნიშნა ნ. ბერძენიშვილმა.

1960-1962 წ.წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. ზ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით გათხარა მდინარე წყალწითელას ხეობაში მდებარე პალეოლითის ხანის ორფენიანი „დამარხული“ მღვიმე „ჭახათი“ და იაზონის გამოქვაბული.

1963-1965 წ.წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფესორ ოთ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ქუთაისისა და მის მიდამოებში. ექსპედიციის მიზანს შეადგენდა ქუთაისისა და მისი მიდამოების დაწვრილებითი არქეოლოგიური რუკის შედგენა, რომელზედაც აღნუსხული და დატანილი იქნებოდა წინარეანტიკური, ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ძეგლები.

1971-1977 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის

ინსტიტუტის ვარდციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ვ. ჯაფარიძე) რამდენჯერმე დაზვერა პატრიკეთის „გორიკა“, ხოლო 1982 წელს დაზვერვები ჩაატარა ბაშის და წყალტუბოს ზონის ს. მალლაკის ე.წ. „ნაციხვართავის“ „გორიკებზე“. გამოავლინა იქ ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კოლხური და იმპორტული კერამიკული მასალები. ექსპედიციაში მონაწილეობას ლეზულობდნენ ქუთაისის მუზეუმის თანამშრომლები.

ქუთაისის მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვნად გამდიდრდა ქუთაისის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის აღმოჩენებით, რომელიც განახორციელა ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის და აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფმა. 1986 წლიდან ამ ექსპედიციას ხელმძღვანელობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 2008 წლიდან ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი ომარ ლანჩავა. [5, გვ. 7]

XX ს. 90-იანი წლების პოლიტიკური პროცესების გამო 1993 წელს შეწყდა ქუთაისში არქეოლოგიური გათხრები და 10 წლის შემდეგ განახლდა. ექსპედიციამ 2003-2006 წწ., სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის და ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით, ბაგრატის ტაძარში ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები. ექსპედიციამ გამოავლინა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მატერიალური მასალა. ბაგრატის ტაძრისა და ქუთაისის ციხის მასალები გადმოეცა მუზეუმს და ინახება არქეოლოგიის ფონდში. ამ მასალებმა საგრძნობლად გაამდიდრა არქეოლოგიური ფონდი.

2005 წ. ქუთაისის ექსპედიციამ ქალაქის ტერიტორიაზე გრიშაშვილის ქუჩაზე (იქ, სადაც ამჟამად თბს ბანკის ფილიალი) აღმოაჩინა ანტიკური ხანის ძვ. წ. VI-IV სს-ის სამოსახლოს ხის ნაგებობის და სახელოსნოს ნაშთები. ექსპედიციამ მოიპოვა საყოფაცხოვრებო კერამიკა – ამფორები, ქოთნები, ქვაბები, სასმისები, დერგები და სხვა. ექსპედიციამ ამავე ნამოსახლარზე გამოავლინა ელინისტური ხანის ძვ.წ. III-II საუკუნეების ქვევრსამარხები.

2009 წ. ბაგრატის ტაძარში აღმოჩნდა VIII ს. წარჩინებული ქალბატონის სამარხი, რომელსაც თან ახლდა მდიდრული ინვენტარი. მასალა წარმოდგენილია მუზეუმის ექსპოზიციაში. [2, გვ. 39]

ქუთაისის მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში დაცული ნივთები სხვადასხვა დროს მუზეუმისათვის შექმნილია: მუზეუმის პირველი დირექტორის ტრ. ჯაფარიძის, მ. გოგსაძის, ნ. ბალანჩივაძის, მ. ნიკოლეიშვილის მიერ. არქეოლოგიური ფონდის გამდიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვით მუზეუმის რწმუნებულებს: გ.ბოჭორიძეს, გრ. გველესიანს, ი. ხმალაძეს, მ. ჩინჩალაძეს, ა. ქაროსანიძეს. 2010 წ. კი არქეოლოგიურ ფონდს ნივთები პირადი კოლექციიდან შემოწირა რამაზ ობოლაძემ.

არქეოლოგიურ ფონდს 40 წელი ხელმძღვანელობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. ჯიქია. მან სრულ წესრიგში მოიყვანა არქეოლოგიის ფონდი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრა მათი ადგილი სამუზეუმო მუშაობის დარგში. არქეოლოგიური განყოფილების თანამშრომლები პერიოდულად მონაწილეობდნენ ისტორიის ინსტიტუტის (ამჟამად არქეოლოგიური კვლევის ცენტრი) ექსპედიციებში: ვანში, ვარდციხეში, შორაპანში, საზანოში, წყალტუბოს ზონის სოფლებში და სხვა. არქეოლოგიური განყოფილების თანამშრომლებმა პ. ჭაბუკიანის და ნ. ბერძენიშვილის ნაკვალევზე აღრიცხეს, შეისწავლეს და გამოაქვეყნეს ქუთაისის მიდამოების ხელოვნური გორა-ნამოსახლარები („გორიკები“). დღეს ლ. ჯიქია ჩვეული კეთილსინდისიერებით ასრულებს კონსულტანტ-მეცნიერის მოვალეობას, ენერგიულად და საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომლებს. მისი ხელმძღვანელად ყოფნის პერიოდში არქეოლოგიური ფონდი დაათვალიერეს უცხოელმა არქეოლოგებმა: რობერტ ჰაიდენრაიხმა, ალინა ჰენდერსონმა, როლფი და გუდი შრადერებმა, ვლასოვმა, პეტროსიანმა, ვოლკოვმა და სხვა.

ამჟამად, არქეოლოგიის ფონდში მუშაობას აგრძელებს შალვა ბუაძე ფონდის კურატორი, დავით ბერძენიშვილი, ირინე ქუთათელაძე, ლონდა ჯიქია. მუზეუმს შეემატა ამირან კვერნაძე ისტორიის დოქტორი, ახალგაზრდა არქეოლოგები: დავით დვალისხვილი და ქეთევან უგლავა. არქეოლოგიურ ფონდში ვოლონტიორებად მუშაობდნენ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, მაგისტრები თეა ბოლქვაძე და მირანდა მარგველაშვილი.

100 წლის იუბილეს არქეოლოგიური განყოფილება, ისევე როგორც მთელი მუზეუმი მნიშვნელოვანი წარმატებით ხვდება ახალ შენობაში.

ლიტერატურა:

1. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, კრებული XIV, ქუთაისი 2004 წ.
2. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, კრებული XXI, ქუთაისი 2011 წ.
3. არქეოლოგიის ფონდზე მომუშავეთა და ფონდის დამთავარიელებელთა აღრიცხვის წიგნი
4. არქეოლოგებზე შედგენილი საცნობარო ბარათები
5. ხიდი წარსულსა და მომავალს შორის, ვოლონტერთა საგანმანათლებლო ცენტრის ჟურნალი, ქუთაისი 2009 წ.

Irine Kutateladze

ARCHEOLOGICAL STOCK OF THE MUSEUM

One hundred year has passed since establishment of Kutaisi State Historical Museum. The museum was founded in 1912 on the base of historical and ethnographic society. In 1922 by decision of the society was founded Kutaisi State Historical Museum. The first exposition of the museum was opened in 1923.

Among various department of Kutaisi Museum, archeological collection keeps a distinguished place which unites more than 40 000 things. Most part of materials is found by accident, and others are found by archeological digs at Kutaisi territory. Collection of archeological materials started in 1912. The materials are from different regions of West Georgia (Imereti, Racha, Lechkhumi, Svaneti, Guria, Samegrelo, Achara, Abkhazia). Several things are found in East and South Georgia, North Ossetia, Trabzon and Russia. The materials cover period from pre Palaeolithic to Feudal age.

At stock is saved ancient instruments made of flint, stone and obsidian, things of clay, bronze and iron, harness and clothes of a horse, ritual and worship things and adornments made of different materials (clay, stone, bronze, iron, glass, paste, natural and semiprecious stones). The metal treasure of Late Bronze Age to Early Iron Age, inventory of ancient graves and pitcher graves of Hellenistic Age are very significant. The part of materials is presented at archeological exposition of the museum.

At archeological stock is saved things dated by Aeneolithic, Bronze, Late Bronze, Early Iron Ages. It's known that a brilliant culture known as Colchian Culture was being developed in Late Bronze Age. At stock of museum is saved almost all kind of bronze things of Colchian culture as are: Colchian axe, spearhead, arrowheads, poniards, bronze adornments, monuments, glass beads.

The significant part of archeological stock of museum consists of materials of Ancient Age, which is important to social and economic, political and cultural standpoint.

In the territory of the museum is found different kind of Greek-Roman, pre-Asian, Egyptian-Syrian and Iranian things which reveals wide trade and economic contacts in the countries. Among imported

materials are distinguished glass anoints, silver rhyton, clay wick-lamps, kantharoses, bronze griffin monuments.

Among saved materials of the stock the most significant place is taken by iron things of the final stage of Iron Age of pre Christian Age presented by bronze buckles of II century B.C. and III century A.D. There are many ceramic, iron instruments of feudal Age for economy and battle purpose.

The archeological stock of Kutaisi Museum is enriched with expeditions of archeological research center in the territory of Kutaisi. The participants of expedition were D. Berdzenishvili, T. Kheladze, M. Stepania.

The archeological materials of the museum are researched and published by G. Nioradze, M. Nioradze, K. Kalandadze, N. Berdzenishvili, B. Kuptini, M. Ivashchenko, O. Japaridze, O. Lortkipanidze, N. Khoshtaria, V. Japaridze, G. Kvirkvelia, V. Licheli, O. Lanchava, n. Kartsidze, L. Jikia, R. Isakadze, D. Berdzenishvili, M. Mitsishvili, M. baramidze, G. Pkhakadze, L. Sakharova, R. Topuridze, P. Chkonia and others.

During last decades the archeological stock of Kutaisi Museum is being enriched by discoveries of Kutaisi permanent archeological expeditions by group of scientists of Ot. Lortkipanidze Archeological Research Center, Kutaisi State Historical Museum and Ak. Tsereteli State University. Since 1986 the expedition has been fulfilled under leadership of Omar Lanchava, Doctor of History, Professor, director of Kutaisi State Historical Museum since 2008.

The things saved at archeological stock of Kutaisi Museum are acquired by first director of the museum Tr. Japaridze, M. Gogsadze, N. Balanchivadze. M. Nikoleishvili. The attorneys of the museum played a great role in enrichment of the museum as are: G. Bochoridez, Gr. Gvelesiani, I. Khmaladze, M. Chinchaladze, A. Karosanidze. In 2010 Ramaz Oboladze donated things from his personal collection to the archeological fund of the museum.

For 40 years archeological stock has been leaded by Candidate of Science of History L. Jikia. He completely regulated archeological stock and defined its place in the working sphere of the museum according to modern requirements. The employees of archeological department participated in the expedition of the Institute of History (at present Archeological Research Center) in Vani, Vartsikhe, Tskaltubo villages and etc. The employees of archeological department made registration, research and publication of artistic hills in the territory of Kutaisi on the basis of archeological finds of P. Chabukianiu and N. Berdzenishvili. Today L. Jikia attends to duties of consultant -scientist of the museum and guides young employees of the museum. In the period of his leadership archeological stock was seen by foreign archeologists as are: Robert Heidenreich, Alina Henderson, Rolf and Gudi Schraders.

Today the employees of archeological stock are Shalva Buadze- curator, Irina Kutateladze, L. Jikia, D. Berdzenishvili. The museum has new employees: Doctor of History Amiran Kvernadze, young archeologists: David Dvalishvili and Ketevan Uglava. The volunteers of archeological stock are graduates of Kutaisi State University Tea Bolkvadze and Miranda Margvelashvili. The archeological department as well as the whole museum celebrates 100 years anniversary in the new building.





საქართველოს
ისტორია
HISTORY OF ART

ქართული ოქრომჭედლოვის აღრეული ეპოქის ნიმუშები ქუთაისის მუზეუმში

(ნაწილი I)

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები ლითონის მოპოვებასა და დამუშავებას ძვ. წ. VI ათასწლეულიდან მისდევდნენ. IV ათასწ. შუა ხანებიდან კი ნამდვილი მეტალურგიული წარმოების ხანა დგება. ლითონის დამუშავების ამ ხანგრძლივმა ისტორიულმა ტრადიციამ განაპირობა მასში ერთი მიმართულების-ლითონმქანდაკებლობის, ანუ ლითონის მხატვრული დამუშავების წარმოქმნა და განვითარება. საქართველოს სინამდვილეში ლითონმქანდაკებლობას (ძვირფასი ლითონების დამუშავებას დ.ს.) ათასწლეულთა მიღმა (ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახ. დ.ს.) ჩაეყარა საფუძველი. აქ მცხოვრები უძველესი ტომები ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან ქმნიდნენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც საყოველთაო აღტაცებას იწვევს მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით. აქედან მოყოლებული ლითონის მხატვრული დამუშავება ხელოვნების თვითმყოფად დარგად ჩამოყალიბდა და საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მთელი შუა საუკუნეთა მანძილზე ოქრომქანდაკებლობა ჩვენში ქრისტიანული რელიგიური მსოფლმხედველობით იყო ნასაზრდოები არა მარტო იდეური, არამედ მხატვრული თვალსაზრისითაც. სწორედ ამიტომ, ქრისტიანული ეპოქის ქართული ოქრომჭედლობა ძირითადად საეკლესიო-სარიტუალო დანიშნულების ნივთ-სამკაულს (ხატებს, სხვადასხვა ტიპის ჯვრებს, სანაწილეებს და ა.შ.) მოიცავს და მისი, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგის შესწავლის საგანიც ეს საეკლესიო საგანძურია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმსა და ზუგდიდის მუზეუმთან ერთად, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ამ საგანძურის მნიშვნელოვანი ნაწილია დაცული. ეს კოლექცია ქრონოლოგიურად და თემატურად მოიცავს ოქრომჭედლობის განვითარების ყველა ეტაპს შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნის ჩათვლით.

წინამდებარე სტატიაში ოქრომჭედლობის იმ ნიმუშებს განვიხილავთ, რომლებიც ამ დარგის საწყისი ეტაპის შემოქმედებით მიღწევებს განასახიერებენ.

ქართული ოქრომჭედლობის დღემდე მოღწეული, პირობითად უძველესი ნიმუშები იმ დროს შეიქმნა, როცა ჩვენი ქვეყანა არაბთა ბატონობისგან თავისუფლდებოდა და ერთიან სახელმწიფოდ ყალიბდებოდა. ქვეყნის ცხოვრებაში ეს პროგრესი, პირველ რიგში, კულტურულ-შემოქმედებითი სფეროს აღმავლობაში გამოვლინდა. სწორედ ამ პერიოდიდან არქიტექტურაში, მონუმენტურ მხატვრობასა, დეკორატიულ ხელოვნებასა და ოქრომქანდაკებლობაში უაღრესად საინტერესო, ნაყოფიერი, შემოქმედებითი ძიებით აღსავსე ხანა იწყება.

ამ დროის მანძილზე შექმნილი ჭედური ნაწარმოებების უმეტესი ნაწილი რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთის ეკლესიებში შემოინახა. ეს სიძველეები არა მარტო რაოდენობრივად შთამბეჭდავი, არამედ ბევრი მათგანი მაღალმხატვრული ღირსების ნიმუშია. თავისთავად ეს ფაქტი ადგილობრივი საოქრომჭედლო სკოლის ტრადიციათა სიმდიდრეზე მეტყველებს, ხოლო საგანძურის გადარჩენა ამ კუთხეების გეოგრაფიული მდებარეობით (ბუნებრივად დაცულობით დ.ს.) და ადგილობრივი მთის მოსახლეობის საეკლესიო სინმინდეებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით აიხსნება.

ისტორიული ძეგლებისა და საეკლესიო ნივთ-სამკაულის სიმრავლით რაჭა გამორჩეული კუთხეა საქართველოსი, ამიტომაც მან ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, რამაც, ძირითადად, ასახვა ჰპოვა მ. ბროსეს, პ. უვაროვას, მოდევნო საუკუნეში ე. თაყაიშვილისა და

გ. ბოჭორიძის სამეცნიერო შრომებში. მათი კვლევები გვაჩვენებს, რომ რაჭაში სიძველეთა სიუხვით გამორჩეული ყოფილა ღების მაცხოვრის ეკლესია. ეს გარემოება აიხსნება აქ დროთა განმავლობაში ორი ეკლესიის ქონების თავმოყრით: თვით ღების ძველი ღმრთისმშობლის და შოდის წმ. გიორგის ეკლესიების[თაყაიშვილი, 1963:8]. სამწუხაროდ, სიმდიდრით სახელგანთქმული ეს ეკლესია ავაზაკთა სამიზნე გამხდარა და ორჯერ გაძარცვულა. პირველად 1920 წლამდე პერიოდში. „ღების ეკლესიაში მრავალი ხატი და ჯვარი იყო წინეთ,- წერს ე.თაყაიშვილი,- ეხლა ზოგი დაკარგული, ზოგი გაფუჭებულია... ეკლესია გაუძარცვავთ და რაც საუკეთესო და უძვირფასესი იყო, წაუღიათ. მაგალითად: თეთრი ოქროს (პლატინის) დიდი ჯვარი 0,35 მ. ეს იშვიათი ნიმუში თეთრი ოქროს ჯვრისა საქართველოში. წაუღიათ აგრეთვე მეორე ოქროს ჯვარი და სხვა ნივთები. რაც დარჩენილა, გაფუჭებულია, მოძარცვული, ნაგლეჯებად შემონახული.. მრავალი ხელნაწერებიდან რომლებიც აქ ბროსეს დროს იყო, მართო ორი დაგვხვდა და იგიც სულ დამპალი“[თაყაიშვილი, 1963: 6, 8]. მეორედ სიძველეთა დატაცება გასაბჭოების შემდეგ მომხდარა, როცა საქართველოს რევკომის დეკრეტით „საეკლესიო ქონების ნაციონალიზაციის შესახებ“ ღების მაცხოვრის ეკლესია დახურეს და კლუბად გადააკეთეს. [ბოჭორიძე, 1994: 259] გადარჩენილი ნივთ-სამკაული ღების ეკლესიისა 1930 წ. გ. ბოჭორიძემ ქუთაისის მუზეუმს ჩააბარა[E-192, საბ. №2482] მათში ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული და მხატვრული ღირებულებით ჭედური და ფერწერული ჯვარ-ხატებია. ამ კოლექციას ეკუთვნის ღმრთისმშობლის ჭედური ხატი (ინვ.№3211/460). მუზეუმის მთავარ შემოსულობათა ნიგნში მის შესახებ აღნიშნულია: „№2631. ვერცხლზე ნაჭედი ჩვილადი ღმრთისმშობლის ხატი 57*40 სმ. აშიებიდან შერჩენილია მხოლოდ ნაშთი ზევით და მარცხენა მხარეს კუთხეებთან“. პ. უვაროვას პუბლიკაციაში მოცემულია ამ ხატის ფოტო (რაც საინტერესოა მისი ფიზიკური მდგომარეობის შეფასებისათვის. დ.ს.) და ავტორის მოკლე კომენტარი, სადაც ნივთი მხატვრული თვალსაზრისით მდარე ღირებულების ნაწარმოებად არის მიჩნეული.[Уварова, 1904: 112] რუს მეცნიერს ხატის დათარიღება არ უცდია. 1920წ. ღების ეკლესიის სიძველეები ე.თაყაიშვილმა აღწერა, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო ხატიც: „ხატი ღმრთისმშობლის ჩვილადი ვერცხლისა, გამობერვით ჭედილი, ტლანქი ხელობისა. ტანსაცმელი ერთობ ნაოჭიანია, ძის ფიგურა მეტად დიდია, მაგრამ ძველი საერთოდ მაინც საინტერესოა; აშია შემკობილია ყურძნის მტევნის სახის ჩუქურთმებით. წარწერა: „წ-ი ღთი მ-ში“[თაყაიშვილი, 1963:15] ავტორს ნივთის თარიღი არ განუსაზღვრავს. მოკლედ აქვს ეს ხატი აღწერილი გ. ბოჭორიძეს. მას აღნიშნული აქვს ხატის ტიპი, ზომები, მასალა, ფიზიკური მდგომარეობა და წარწერა. მან ხატი მე-17 ს-ით დაათარიღა.[ბოჭორიძე, 1994:263]

ხატი „ღმრთისმშობელი ჩვილადი“ წარმოადგენს მდგომარე ღმრთისმშობლის გამოსახულებას ყრმა იესოთი ხელში. ჭედურობა შესრულებულია ვერცხლის ფურცლოვან ლითონზე, დამუშავებულია ორმხრივად და დამაგრებულია ხის დაფაზე. ხატის ფონი სრულიად სადაა, გაფორმების გარეშე. მასზე გამოსახულების გარდა მხოლოდ განმარტებითი ასომთავრული წარწერაა რელიეფურად, საკმაოდ მოცულობითი ზომის. ქარაგმის გახსნით იკითხება: „წმი/წ/დაი ღმრთისმშობელი“. უორნამენტოა წმინდანთა შარავანდედებიც. მაცხოვრის ნიშზე, ჩვეულებისამებრ, ჯვარია გამოსახული. ღმრთისმშობლის ფიგურა ოდნავ გვერდულად დგას, მარცხნივ მიმართული ჩვილისაკენ, სახით პირდაპირ იმზირება. პირსახის მოყვანილობა მთლიანად ოვალურია, ნაკვთების გარეშე. ოდნავ შესამჩნევია წმინდანის ტუჩები, სანაცვლოდ ცხვირი დიდი ზომითაა მოცემული. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ღმრთისმშობლის ხელის მტევნები, უჩვეულოდ მასიური, მეტადრე მარცხენა, რითაც ყრმა უჭირავს. ამასთან, მათი აგებულება მოკლებულია ყოველგვარ რეალურ ფორმებს, დინამიურობას. დისპროპორციულია ყრმა იესოს ფეხის ტერფები, არაბუნებრივი პოზით დაყენებული და სხვადასხვაგვარად მოდელირებული. წმინდანთა სამოსელი (მანდილი, მაფორიუმი) მშრალი, ხაზოვანი ნახატითაა მოცემული. იგი რელიეფური ფიგურის ზემოდან დამუშავებით-

საჭრეთელის გამოყენებითაა მიღებული. მოჭედლობის ეს ძირითადი არე კარგადაა შენახული, არშიები კი ძალზე ფრაგმენტული სახით არის მოღწეული. პ. უვაროვას ფოტომასალიდან ჩანს, რომ ზედა არშია მარჯვნივ მიმართულებით ბოლომდე საღად იყო შენარჩუნებული. ამჟამად ხატზე ზედა და მარცხენა არშიების ნაწილებია შერჩენილი, რაზეც მკაფიოდ იკითხება ორნამენტული მოტივი: ბმული, ვაზის მრავალყურა სტილიზებული ფოთოლი შუაში ყურძნის მტევნით.

აღწერილი ხატის ქედურობის ტექნიკა, სკულპტურის დამუშავების, სამოსისა და ორნამენტის მოდელირების სახეები გვხვდება ადგილობრივი საოქრომჭედლო სკოლის არაერთ ნაწარმოებზე. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ წმ. მახარებელთა გამოსახულებები X ს-ის ვერცხლის სანინამძღვრო ჯვარზე გელათიდან, ამავე პერიოდის ღმრთისმშობლის ვერცხლის ხატი (გელათი), ყიბიანის მაცხოვრის ხატი და სანინამძღვრო ჯვარი, ჯახუნდერის ღმრთისმშობელი. [ყენია, ალადაშვილი, 2000:36-37]. დაბოლოს, ლების ღმრთისმშობლის ხატს მოეპოვება უახლოესი ანალოგი: ესაა ლაგურკას (ზემო სვანეთი დ.ს.) ღმრთისმშობლის ქედური ხატი. იგი ყველა ძირითადი ნიშნით: ფიგურის პროპორციებით, სახის ტიპაჟით, სამოსის ფორმების რელიეფური პარალელური ხაზებით გადმოცემით, შარავანდებით, ღმრთისმშობლის ფერხთსადგამით, ასომთავრული წარწერებითა და არშიათა ორნამენტული მოტივით ძალზე ახლოს დგას ლების ღმრთისმშობლის ქედურობასთან. აქედან გამომდინარე, ყველა ზემოთმხმობილი იკონოგრაფიული ნიშნის მიხედვით ლების ხატი X საუკუნის ოქრომჭედლობის ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

ქუთაისის მუზეუმში საინვენტარო ნომრით 3132 დაცულია წყვილ მთავარანგელოზთა მცირე ხატი, რომელიც 1925 წ. ხარაგაულიდან წარმოადგინა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, მუზეუმის რწმუნებულმა შორაპნის მაზრაში მიხეილ ჩინჩალაძემ. შემოსულობათა წიგნში ნივთის შესახებ ვკითხულობთ: „პატარა ხეზე გადაკრული ვერცხლის? ხატი მოყვითლული და ნახევრად ამძვრალი და მარცხენა ქვედა კუთხეში მოტეხილი. უკანა ზურგზე აქვს ამძვრალი ვერცხლის ფიცარი ასომთავრული წარწერით. 11*9 სმ.“ სამწუხაროდ, სხვა რაიმე ცნობა ხატის წარმომავლობის შესახებ არ მოგვეპოვება. იგი საკმაოდ შელახულა დროთა განმავლობაში და, როგორც ეტყობა, მისი საყრდენი დაფა შეუცვლიათ ოდნავ დიდი ზომის ხის ფიცრით, რაზეც ქედური ფირფიტა უხეშად დაუმაგრებიათ. ხატს ზურგზე ვერცხლის წარწერიანი ფირფიტა აქვს დაკრული.

მთავარანგელოზთა ფიგურები წარმოდგენილია ფრონტალურად, მთელი ტანით, თითოეული თალქვეშ ნიშნებით, ცალ ხელში გრაგნილით, მაკურთხევლის ჟესტით, ფრთებით, გრძელი სამოსელით. ანგელოზები ძალზე მცირე რელიეფითაა გამოკვეთილი. მათი თავები, ხელები, ფრთები, ფეხები პირობითადაა გადმოცემული, მოკლებული ყოველგვარ ელასტიურობასა და დინამიკას. ტანსაცმლის გამოსახვაში იგრძნობა შედარებით დეტალური დამუშავება, თუმცა მთლიანობაში ისინიც ხაზებისა და წერტილების რიგის ერთობლიობითაა შემუშავებული. თალები და ნიშნებიც სტილიზებული წერტილებითაა მორთული. თალების კოლონები ირიბი კონტურითაა გაფორმებული. ფიგურათა გარშემო თავისუფალი ფონი არ არის დარჩენილი. ორნამენტი ცალკეული მარტივი ყვავილის გვირგვინითაა შესრულებული. თითოეული მათგანის თავი ანგელოზებისკენაა მიმართული. ხატის არშიას საზღვრავს უწყვეტი გრეხილი კონტური. მარცხენა არშიის ნაწილი დაკარგულია. ფიგურები მოცემულია განმარტებითი წარწერის გარეშე, ასევე, დამახასიათებელია, რომ ერთ მთავარანგელოზს მაკურთხებლის ჟესტით აღმართული აქვს მარცხენა ხელი.

მთავარანგელოზთა ხატით სპეციალისტთაგან პირველად აკად. გ. ჩუბინაშვილი დაინტერესდა. იგი მას ქუთაისის მუზეუმში ყოფნისას გაეცნო. სახელოვანმა მეცნიერმა ეს ნაშრომი იმ ეპოქას (Xს.) დაუკავშირა, როცა ქართულ ოქრომჭედლობაში ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა სკულპტურულ ამოცანათა სრულფასოვანი გაგება და ქედურ ნაწარმოებთა უმეტესობა გრაფიკულ გამოსახულების ხასიათს ატარებდა [Чубинашвили, 1959:281].

X საუკუნით დაათარილა ხატი ხელოვნებათმცოდნე რენე შმერლინგმა. მ. ნიკოლეიშვილმა 2001წ. გამოაქვეყნა ამ ხატის მოკლე აღწერილობა, ასევე წარწერა, რაც წინამორბედ მკვლევართათვის არ იყო ცნობილი. მოგვყავს ტექსტი: „[წმიდაო] [გიორგ]ი ილო[რისაო] მეოხ დ[ა] მფ[არ]გ[ელ] ექმ[ენ] მოს[ა] ვსა დ[ა] მ[ამ]კ[ო]ბსა ხ[ა]ტისა შენისასაა მე ზოდ[ელ]სა ბაღ[ვა]შსა დღესა მას დ[ი]დსა“. ამ წარწერის მიხედვით მ. ნიკოლეიშვილმა ხატის თარიღად XII-XIII სს. მიუთითა.[ნიკოლეიშვილი, 2001:18] რადგან „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ბაღუაშთა კახაბერისძეთა ყოველი ნათესავი და სახსენებელი მოისპო და აღიხოცა XIII ს. 80-იან წლებში, ამიტომ მკვლევარი წარწერის ზედა ზღვარად სწორედ ამ ხანას იღებს: „წარწერა თუ X საუკუნის არაა, ყოველ შემთხვევაში XIIIს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს“.[ნიკოლეიშვილი, 2001:18].

შესრულების ტექნიკის მხრივ წარწერა განაფული ხელითაა გამოკვეთილი, ამასთან გამოყენებულია განკვეთილობის ნიშნები. ასოები კიდურწერტილოვანია, ზოგჯერ კიდურწერტილოვანიც. მთავარანგელოზთა ხატის შემქმნელი ფიგურათა სკულპტურული აგების, ორნამენტული მოდელირების დონით იმდენად სუსტი ოსტატის შთაბეჭდილებას ტოვებს, ნაკლებსავარაუდოა მას ასეთი შესანიშნავი წარწერა შეესრულებინა. ეს წარწერა არა თუ ხატის თანადროულია, არამედ, ვფიქრობთ, სრულიად სხვა ხატისთვისაა დამზადებული, კერძოდ კი წმ. გიორგის ხატისთვის, რომელიც ზუდეღი ბაღვაშის დაკვეთით შეიქმნა და ახლა აღარ არსებობს. ტექსტში ხომ ხაზგასმულია თაყვანისცემა, სასოება ერთი წმინდანის - წმ. გიორგისადმი, ხატზე კი მთავარანგელოზებია გამოსახული. თანაც, თუ აქ ილორის წმ. გიორგის ვგულისხმობთ, წარწერა არ შეიძლება XI ს-ზე ადინდელი იყოს, რადგან თვითონ ილორის წმ. გიორგის ეკლესია XI ს. I ნახევრის ხუროთმოძღვრული ძეგლია. ასე, რომ ეს წარწერა ხატის დასათარიღებლად არ გამოდგება.

გ. ჩუბინაშვილმა ეს ხატი შესრულების სტილის მიხედვით სალოლაშენის ლორფინთა, ასევე ილორის, ბედიის თასების და ცხუმარიშის საცეცხლურის ჭედური გამოსახულებების მსგავს ნაწარმოებად მიიჩნია[Чубинашвили, 1959:281]. მართალია, სალოლაშენის ლორფინებზე, ილორისა და ბედიის ბარძიმებზე წმინდანთა ფიგურები ცალ-ცალკე, თაღქვეშაა გამოსახული მაგრამ, როგორც სკულპტურული, ისე დეკორატიული გადანწყვეტის კუთხით აშკარად სჯაბნიან მთავარანგელოზთა ხატს. უფრო სწორი იქნება, თუ მხატვრული დონის მიხედვით პარალელს ცხუმარიშის თასთან გავავლებთ, რაზეც აშკარად იგრძნობა თვითნასწავლი თუ ჯერ ისევ გაუწაფავი ოქრომქანდაკების ხელწერა. ასე, რომ მთავარანგელოზთა ხატის სახით საქმე გვაქვს ქართული ოქრომქედლობის ადრეული ეპოქის (Xს) ერთ-ერთ ყველაზე პრიმიტიულ, არასკულპტურულ, დაბალი მხატვრული დონის ნაწარმოებთან, რაშიც ასახულია როგორც ოქრომქანდაკებლობის კონკრეტული ეპოქის ტენდენცია, ისე მისი ავტორის მწირი შემოქმედებითი შესაძლებლობები.

ქუთაისის მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში დაცულია 4 სამწერობელი. იგი წარმოადგენს გძელტარიან რიტუალურ მარაოს და როგორც საეკლესიო ნივთს, მრავალმხრივი დანიშნულება აქვს. მას იყენებენ ლიტურგიულ მღვდელმსახურებაზე ტრაპეზთან წმინდა ძღვენთა თასის სანიაველად (მწერების მოსაგერიებლად), მირონის კურთხევისა და დიაკვნის ხელდასმის საიდუმლოს შესრულების დროს. სამწერობელი მიღებულია როგორც სიმბოლო ქრისტეს მიერ სიკვდილის დაძლევისა, ამიტომ იგი გამოაქვთ დიდი შემოვლის დროს.[ყენია, ალადაშვილი, 2000:73]

ოთხიდან სამი სამწერობელი გელათის მონასტრის საგანძურს ეკუთვნოდა და 1923წ. გადაეცა მუზეუმს, ერთი კი გ. ბოჭორიძის მიერ იქნა გადმოტანილი ქუთაისში ზესტაფონის თემალმასკომის საწყობიდან 1925წ.[E-192/759] თავად თემალმასკომში კი ეს ნივთი შორაპნის მაზრის ერთ-ერთი ეკლესიიდან უნდა ყოფილიყო წამოღებული. მუზეუმის შემოსულობათა ნიგში ჩანერილია: „ №1705. სამწერობელი ვერცხლისა 21,5*22,5 სმ. შემკული ხატებით ორივე მხარეს, დაზიანებული.“

გელათური სამწერობლები ზომით, აგებულებითა და შესრულების სტილის მიხედვით იდენტურია

და გვიანი საშუალო საუკუნეების ოქრომჭედლობის ნიმუშებს განეკუთვნება. გ. ბოჭორიძის მიერ წარმოდგენილი რიპიდა კი ყველა ჩამოთვლილი მახასიათებლით განსხვავებულია.

რიპიდა (საინვ. №3400/1110) შედგება ერთი კვადრატული და ოთხმხრივ მასზე დამაგრებული მრგვალი მედალიონებისაგან. ქვედა და მკლავმედალიონებს გაკეთებული აქვს სპეციალური ნახვრეტები, მათგან ორში ახლაც შერჩენილია რგოლები, რაზეც ალბათ, ჯაჭვი იყო მიბმული. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ნივთს ტარი ქვედა მედალიონის ბოლოთურთ მოტეხილი და დაკარგული აქვს. ჯაჭვი მას ფუნქციური დანიშნულების აღსადგენად გაუკეთეს გვიან. სამწერობელს მოტეხილი ჰქონია მარცხენა მედალიონიც, მაგრამ ის თავის ადგილას დაუმაგრებიათ მოქლონებით არც თუ ისე ზუსტად, რადგან სრულყოფილი სახით არ ყოფილა შენარჩუნებული.

წრიული მედალიონები გაფორმებულია იდენტური თანმიმდევრობით. ცენტრში წმინდანთა გამოსახულებებით ოქროდაფერილ გლუვ ფონზე, რაც შემოსაზღვრულია ორმაგ გრეხილხაზოვან წრეში ჩასმული მსხვილი წერტილებით. მას საზღვრავს გარედან წრიულად განლაგებული უწყვეტი ყვავილოვანი დეკორი. მთლიანად მედალიონები ორმაგ კონტურულ რკალშია მოქცეული.

სამწერობელი გამოსახებოდა მოციქულთა ზიარებაში ქერობინთა ჰიმნის დასურათებისას და გარდამოხსნაში. (ქიმ. №6594; №6667). რადგან იგი აზრობრივად ქერობინთა ჰიმნთანაა დაკავშირებული, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში სამწერობლები ამ ანგელოზურ არსებათა გამოსახულებებითაა მორთული. ქუთაისის რიპიდაზეც ცენტრალური ფიგურა ქერობინია ლუკა, მარკოზ და იოანე მახარებელთა წმ. ცხოველების: ხარის, ლომისა და არწივის თანხლებით.

ცენტრალურ მედალიონში გამოსახულია ფრთოსანი ანგელოზი (ქერობინი) ხარით, ლომითა და არწივით. გარეთ, ოთხივე კუთხეში ანგელოზთა ფიგურებია. ზედა მედალიონში მიქელ და გაბრიელ, ქვედაში- რაფაელ და რასთაელ, მარჯვენაში- ურიელ და სურიელ, მარცხენაში-ანალოგიური წარწერის გარეშე. მეორე მხარეს წინას იდენტური გამოსახულებებია წარწერებით, გარდა მარცხენა მედალიონისა, სადაც მიზაელ და ზაზაელ ფრთოსანი ანგელოზებია წარმოდგენილი.

სამწერობლის ფიგურათა გამოსახულება, მათი აგების სტილი, სამოსელის გადმოცემის ფორმები სქემატური ხასიათისაა. ტლანქად დამუშავებული, მშრალი, ასკეტური სახეები, არადინამიური სხეული ხაზს უსვამს, ერთის მხრივ, პერსონაჟთა ზეციურ წარმომავლობას, ავტორის მიერ სკულპტურათა დამუშავებაში წმინდათ რელიგიური შინაარსის ჩადებას, მეორეს მხრივ, ფიგურათა მოდელირებაში დაბალმხატვრული ხერხების ფლობის ფაქტს. რიპიდა, როგორც მისი პარალელები სალოლაშენიდან, მესტიიდან და შემოქმედიდან ნაირგვარი დეკორატიული ელემენტებითაა მორთული. მედალიონების შესამკობად გამოყენებულია ერთგვაროვანი გეომეტრიული ფიგურები (კონტურული წრეხაზებისა და სტილიზებული წერტილების სახით. დ.ს.) და ორგვარი ყვავილოვანი ორნამენტი. სკულპტურული აგებულებისაგან განსხვავებით ეს მხარე ჭედური ნაწარმოებისა წარმოაჩენს ავტორის მეტ თავისთავადობასა და ოსტატობას[Чубинашвили, 1959:144]. ერთი მხარე მორთულია ოდნავ გაშლილი ყვავილების ბმულით, მეორე- მრავალყურა ყვავილოვანი ორნამენტით. (ეს უკანასკნელი სალოლაშენის ფირფიტების ორნამენტულ მოტივს ჰგავს. დ.ს.) ზომისა და აგებულების მიხედვით ქუთაისის რიპიდა ყველაზე მეტად მესტიის რიპიდონს უახლოვდება, თუმცა სკულპტურათა დინამიურობითა და ორნამენტული გაფორმების დონით მასზე დაბლა დგას.

რიპიდა, როგორც ჭედური ძეგლი, მეტად საყურადღებოა დამუშავების ტექნოლოგიით. მის ერთ თავისებურებას წარმოადგენს ფირფიტოვანი სახე, ის, რომ იგი ორი ფირფიტის ერთმანეთზე მირჩილვით არის მიღებული ისე, რომ მათ შორის ხე ან სხვა სადეები გამოყენებული არაა. დამუშავების პროცესი იწყება ფირფიტის ზურგიდან გამოსახულებათა გამოხაზვით. ჯერ საცურებელი თევით მიღებულია მთლიანი ფორმა, შემდეგ სხვადასხვა ფორმის თევებით შესაბამისი რელიეფური დეტალები, ხაზები და სხვა.[ანდრიაშვილი, 1971:30] მომდევნო ეტაპს წარმოადგენს მიღებულ

ფორმათა დეტალური დამუშავება წინა მხრიდან საცემი, საცურებელი, ბრტყელთავა, რგოლურთავა, წერტილოვანი, სანულე თეგებით[იქვე: 31-32]

თეგის შემდეგ წინა პირის დამუშავება ხდება საჭრეთელით. ფონის ჩაჭრით კეთდება წარწერები და ორნამენტა შიგა კონტურები. რჩილვის წესით დამუშავებულ კონტურებს ზურგით ერთმანეთზე დაამაგრებდნენ. ბოლო ეტაპი ოქროთი მისი დაფერვა უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, ქუთაისური სამწერობელი ჭედური ნაწარმოების სიბრტყობრივ-გრაფიკული გამოსახულების ტიპური ნიმუშია. რიპიდა ქართული ოქრომჭედლობის სკულპტურულ ამოცანათა გაგების სანყის ეტაპზე შექმნილი და ამავე პერიოდის სკულპტურული მოდელების, ორნამენტული გაფორმებისა და ტექნოლოგიური დამუშავების საერთო ტენდენციების გამომხატველია.

1934წ. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმს მისი ერთ-ერთი დამაარსებლის ტრიფონ ჯაფარიძის ძალისხმევით ამავე ქალაქის სასამართლოსაგან გადაეცა ეკლესია-მონასტრებიდან გატაცებული ხატების ფრაგმენტები, რაც მძარცველებს ჩამოერთვათ და იქ ნივთმტკიცების სახით ინახებოდა. შემოსულობათა ნიგში მათ შესახებ აღნიშნულია: „ხატებიდან ანაძრობი ვერცხლის ჩუქურთმიანი ანაძრობები (13-17სს. ხელობის) წონით 3 კილო და 180 გრამი, რომელიც მოთავსებულია წითელ, ზოლებიან ყუთში. ზომა 27*47სმ. სიმაღლე 17სმ.“

ამ ფრაგმენტების შესწავლა და რესტავრაცია (ქართული საეკლესიო საგანძურის აღწერილობებსა და ფოტომასალაზე დაყრდნობით. დ.ს.) მოახდინა პროფ. რ. ყენიამ. კვლევით დადგინდა, რომ მუზეუმისათვის გადმოცემულ მასალაში იყო სხვადასხვა ხატის ნაშთები ჩუკულისა და ჯახუნდერის ეკლესიათა საგანძურიდან. რთული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად აღდგენილი იქნა ქართული ოქრომჭედლობის ორი განსხვავებული ეპოქის ნაწარმოებების: ჩუკულის ტრიპტიქონის, წყვილ მთავარანგელოზთა და ჯახუნდერის მაცხოვრის ხატების ჭედური ფრაგმენტები[ყენია, 1979:41-49].

ჯახუნდერის მაცხოვრის ხატი ამავე სოფლის წმ. გიორგის ერთნავიანი ბაზილიკური ეკლესიის საგანძურს წარმოადგენდა. მისი აღწერა და ფოტოფიქსაცია მოხდა ორჯერ: პ. უვაროვასა და ე. თაყაიშვილის მიერ. პირველის აღწერილობა ძალზე მოკლეა, ე.თაყაიშვილისა კი დაწვრილებითი, (რაც ფოტოსთან ერთად ძეგლის თავდაპირველი მდგომარეობის წარმოსადგენად სავსებით საკმარისია). ხატს საკმაოდ შთამბეჭდავი, რომბული ორნამენტებით გაფორმებული არშიები ჰქონია და მთლიანობაში ზომით 54*42,5 სმ ყოფილა. არშიებზე მედალიონებში წმინდა მხედრებისა და მაცხოვრის გამოსახულებები იყო მოცემული. ზემოთ წმ. გიორგის სამი ფიგურა, მარცხნივ წმ. კვირიკე, მარჯვნივ წმ. თევდორე, ქვემოთ მაცხოვართან ერთად ორი წმ. გიორგი[თაყაიშვილი, 1937:108]. პ. უვაროვა ამ ხატს დაბალი მხატვრული ღირსების ნაწარმოებად თვლიდა და მას XV ს-ით ათარილებდა.[MAK, X:164] ე.თაყაიშვილს ხატი XVI ს-ის ძეგლად მიაჩნდა.[თაყაიშვილი, 1937:108]

ამჟამად ხატის არშიები აღარ არსებობს. თავად ხატი (ცენტრალური არე დ.ს) ვერცხლის ერთიან ფირფიტაზე შესრულებული მაცხოვრის გამოსახულება აღდგენილია. მაცხოვრის ეს იკონოგრაფიული ტიპი („აღსაყდრებული მაცხოვარი“) საქართველოში X ს-დანვე იწყებს გავრცელებას და ყველაზე უხვად ისინი სწორედ სვანეთის საოქრომჭედლო სკოლის ნიმუშებს შორის გვხვდება. იესო ქრისტე ზის მაღალ, გეომეტრიული ფორმებით მორთულ ტახტზე-„საყდარზე“, ცალ ხელში მუხლზე დაყრდნობილი სახარება უჭირავს, მეორე კი კურთხევის ჟესტით მაღლა აქვს აღმართული. წმინდანის ფიგურა წარმოდგენილია მთელი ტანით.

ხატის ფონი X ს-ის ჭედური ძეგლების უმეტესობისაგან განსხვავებით შემკულია ორნამენტებით. გაფორმებისათვის გამოყენებულია წრეები ჩასმული, გაშლილი მრავალყურა და ოვალური მარტივი ყვავილოვანი ორნამენტი. ქვემოთ, მაცხოვრის ფეხებთან სამ, წერტილოვანი ხაზებით შედგენილ წრეებში გამოსახულია სტილიზებული ჯვარი (ცენტრში დ.ს.) და ხალხური ორნამენტისათვის

დამახასიათებელი მნათობისებრი სიმბოლოები. ასეთივე დეკორი ერთეული სახით სკულპტურული გამოსახულების მარცნივ, ყვავილის ორნამენტის რიგშიც არის ჩასმული. მაცხოვრის თავის ირგვლივ შარავანდედია ჯვრით, ხოლო მის მკლავებს შორის ყვავილოვანი ორნამენტები. შარავანდედი ორმხრივად, მარჯვნიდან და მარცხნიდან მრავალყურა ყვავილოვანი ორნამენტითაა მორთული. დეკორაცია გრავირებითაა მიღებული. სკულპტურა და ცალკეული დეტალები ხატისა დამუშავებულია ორმხრივად. განმარტებითი ნარნერა გრძელი, კლაკნილი, კიდურნაისრული ქარაგმის ხაზებით ბერძნულ ენაზეა შესრულებული.

სკულპტურულ დამუშავებაში აშკარად იგრძნობა ოქრომქანდაკელობის ადრეული ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშნები: ფიგურის არაპროპორციულობა, მისი ზოგად ფორმებში გადმოცემა, აღსაყდრების პოზის არასრულფასოვანი ასახვა. სახის ნაკვეთების, თმების გამოსახვის მანერა, ტლანქად დამუშავებული თითები, ფართო ხაზებით დრაპირებული სამოსელი, არაბუნებრივად, განზე შეტრიალებული ფეხის ტერფები ცალსახად მიანიშნებს ამ ნაწარმოებში ოქრომჭედლობის სანყისი ეტაპის ტენდენციების არსებობაზე. ფიგურის დაყენების მანერით იგი ჩუკულის ტრიპტიქონის მოციქულთა და ნმ. მხედართა გამოსახულებებს ჰგავს, ორნამენტული მოტივით კი ზემოთხსენებულ X ს-ის გელათის ღმრთისმშობლის ჩვილედ ხატს და ქუთაისის მუზეუმში დაცულ ჯვარისას სტავროთეკის შიგა ზედაპირის დეკორს. ყველა ამ მონაცემით ჯახუნდერის მაცხოვრის ხატი მხატვრული ღირსების მხრივ აშკარად ჩამორჩება ოქრომჭედლობის განვითარებული ეპოქის (XI-XII სს) ანალოგიურ იოკნოგრაფიული ტიპის ნიმუშებს: იელის საკურთხევლისწინა ჯვრის მაცხოვრისა და სეტის აღსაყდრებული მაცხოვრის სკულპტურებს.[ყენია, ალადაშვილი, 2000:72].

ამრიგად, განხილული ნივთების სახით ქუთაისის ისტორიულ მუზეუმის სახვითი ხელოვნებისა და ძვირფასი ლითონების კოლექციას გააჩნია ქართული ოქრომჭედლობის ადრეული ეპოქის ნიმუშები, რომლებიც X საუკუნეშია შექმნილი.

ლიტერატურა:

1. ანდრიაშვილი ი. ქუთაისის რიპიდონის ტექნოლოგიური ანალიზი- ქუთაისის მუზეუმის მასალები II. ქუთაისი, 1971.
2. ბოჭორიძე გ. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. თბილისი, 1994.
3. თაყაიშვილი ე. მოგზაურობა რაჭაში. თბილისი, 1963.
4. თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, თბილისი, 1991.
5. ნიკოლეიშვილი მ. ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები- ქუთაისის მუზეუმის შრომები, კრებული XIII, 2001.
6. ყენია რ. X-XI საუკ. რამდენიმე ქედური ხატის აღდგენის საკითხისათვის- ძეგლის მეგობარი, №51, 1979.
7. ყენია რ, ალადაშვილი ნ. ზემო სვანეთი (შუა საუკუნეების ხელოვნება). თბილისი, 2000.
8. Уварова П. Материалы по археологии Кавказа, IV, Москва, 1904.
9. Чубинашвили Г. Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959.

David Sulaberidze

GEORGIAN GOLDSMITH SAMPLES OF EARLY PERIOD FROM KUTAISI MUSEUM

Medieval Georgian goldsmith work essentially comprises liturgical icons and other ecclesiastical items. Many of these objects, the number of which exceeds two thousand and five hundred, can freely compete with the world masterpieces of repousse art. So this branch of the Georgian art is a subject of special study.

In the essay we are discussing the earliest samples of Georgian goldsmith art.

The first model is the icon of the Virgin with child (ill.1), from Ghebi (Racha region) church, which was studied by researchers P. Uvarova, E. Takaishvili and G. Bochoridze, who supposed it as the XVIIc. goldsmith work. But the sculptural rendering shows its relation with some of the samples of the early period, such as – st. evangelists` figures on the Gelati processional cross of Xc., silver icon of the Most Holy Virgin from Zhibiani Saviour church, Our Lady of Jakhunderi icon, and at the end the closest example of Ghebi icon- Lagurka Holy Virgin of Xc. According to these examples and the sculptural rendering style of the Kutaisi museum icon can be dated from Xc.

The second small icon of paired archangels (ill. 2) was brought to Kutaisi museum in 1925y. from Kharagauli district. The whole, frontal figures are represented under an arcade. The signs of so-called "Sculptural Archaic" is seen in the rendering of the embossed figures. The icon was dated from Xc. by acad. G. Chubinashvili and R. Shmerling, and from XI-XIIcc. by M. Nikoleishvili.

In Kutaisi museum fond of Fine Arts is preserved the rhytidion (liturgical fan), which consists of one squared and four round medallions (ill. 3). It bears the chased figures of a cherub and four evangelists with the animal symbols. The sculptural modeling of the rhytidion reveals the graphical manner of drawing, slightly embossed figures are not volumetric. The decorative rendering is also strong in it, so it is a typical sample of the early period Georgian hammering art and has more in common with the chased plaques from Sagholasheni, Mestia and Shemokmedi.

Another important sample of Svaneti goldsmith school is represented in Kutaisi museum – The Saviour chased silver icon from Jakhunderi (ill. 4). It was twice photographed by E. Takaishvili and P. Uvarova and dated from XV-XVIcc. The silver plaque bears an embossed figure of the Enthroned Saviour. The unnatural postures and proportions and a rough treatment of the figure indicate on the early period (Xc.) of execution.

Thus, Kutaisi State Historical Museum collection of chased materials possesses the important samples of early period and exactly the Xc. models.



ვედრების ტიპის ღვთისმშობლის სატაბი

(ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მასალების მიხედვით)

საეკლესიო გარდამოცემის მიხედვით, პირველი სატაბი იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის სიცოცხლეშივე შეიქმნა, ხოლო პირველ სატაბმწერად მიჩნეულია წმ. ლუკა მახარებელი. მან შექმნა ყოვლადწმინდა მარიამის სამი ტიპის სატაბი: ოდიგიტრია - „გზის მაჩვენებელი“, ელეუსა - „მოალერსე“ და დეისუსი იგივე „მავედრებელი“. ვედრების სატაბზე გამოხატულია ღვთისმშობლის სრული ან ნელსზევითა ფიგურა ყრმის გარეშე, 3/4 —ით შეტრიალებული მარჯვნივ ან მარცხნივ, ხელები კი ვედრების ჟესტით აქვს წინ განვდილი. წმ. ლუკას მიერ დაწერილ სატაბებს ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა მალევე შეიქმნა მათი ასლები, რომლებსაც ისეთივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მორწმუნენი, როგორსაც თავად ორიგინალს. ბიზანტიურ წყაროებში დეისუსი პირველად VII.- დან იხსენიება, მაგ. თესალონიკის წმ. დიმიტრის ტაძრის VII. —ის მოზაიკა (არ არის შემორჩენილი). ვედრების ტიპის ღვთისმშობლის სატაბი განსაკუთრებით ვრცელდება სატაბებრძოლეობის პერიოდის დასრულების შემდეგ, IXს. —დან. 843 წლიდან, მართლმადიდებლობის ზეიმის დაწესების შემდგომ ე.წ. ვედრების რიგის სატაბი კანკელთა არქიტრაფზე იკავებს ადგილს. „ვედრების რიგი“ გულისხმობს სამ ან მეტ ფიგურაზე სატაბებს, რომლის ცენტრშიც წარმოდგენილია ქრისტე პანტოკრატორი (ყოვლისმპყრობელი), მის მარჯვნივ და მარცხნივ კი ცენტრისაკენ 3/4-ით შეტრიალებული მავედრებელი ღვთისმშობელი და წმ. იოანე ნათლისმცემელი. როგორც ჩანს, სწორედ IX — Xსს.—ში გახდა პოპულარული მავედრებელი ღვთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპი და ფართო გავრცელება ჰპოვა როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში. ბიზანტიაში ცნობილი იყო მავედრებელი ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი სახეები, მაგ. კონსტანტინეპოლში ე.წ. ხალკოპრატის მონასტრის „აგიოს სოროს“ სახელით ცნობილ ეგვიპტურში დაბრძანებული იყო ვედრების სატაბი, რომელიც საუკუნეების მანძილზე მლოცველთათვის დიდი თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა. ის „აგიოსორიტისას“ ან „ხალკოპრატის“ ღვთისმშობლის სახელით იყო ცნობილი. ბერძნული ტრადიციის მიხედვით ვედრების ტიპის სატაბს ასევე უწოდებდნენ „პარაკლესის“ - მვედრებელი (სურ.1)

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედომილ საქართველოშიც ღვთის დედის მრავალი სასწაულთმოქმედი სახე არსებობდა, რომელთა მიმართ ქართველ ხალხს დიდი სიყვარული და სასოება გააჩნდა და უამრავი შესანიშნავი შეხატვა ამკობდნენ. ასეთები იყო მაგალითად ხახულის, ვარძიის (სურ.2), ხობის ვედრების ღვთისმშობლის სატაბი. ცნობილია, რომ ხახულის სატაბს საუკუნეების მანძილზე წირავდნენ არა მხოლოდ ძვირფასეულობას, არამედ სოფლებს, გლეხებს, საძოვრებს [ყენია, 1972, გვ. 24-26]. მისი ასეთი პოპულარობის გამო, როგორც ჩანს, იქმნებოდა ასლები და დამკვეთნი მათ ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორსაც თვით ხახულის სასწაულთმოქმედ სახეს.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულია ღვთისმშობლის ვედრების იკონოგრაფიული ტიპის რამოდენიმე სატაბი. ერთ-ერთი მათგანი წარწერის მიხედვით უშუალოდ ხახულის სატაბის ასლია. სატაბი მუზეუმში წარმოადგინა გიორგი ბოჭორიძემ 1926 წელს თაბორის (ლეჩხუმი) ეკლესიიდან. ეს არის მცირე ზომის (16.2X12.5) კომბინირებული სატაბი (ქიმ. 3108 გ.553), რომელზეც ღვთისმშობლის მავედრებელი ნახევარფიგურა ფერწერით არის შესრულებული, ხოლო შარავანდი, ფონი და მოჩარჩოება მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით არის შემკული. აშიებს მიუყვება ჭედური გრეხილი, რომელიც შემოხაზავს ველებზე არსებულ რვა სადა მედალიონს, ცენტრალურ სასურათე სიბრტყეს

კი ჭედური თაღებისაგან შედგენილი ორნამენტი აჩარჩოებს. აშიებზე ორნამენტები სევადით არის შესრულებული. შარავანდზე ჩასმული იყო 7 ფერადი ქვა, ამჟამად 2 დაკარგულია. შარავანდის მარჯვნივ და მარცხნივ დაქარაგმებული ბერძნული განმარტებითი წარწერებია „დედა ღვთისა“. ჭედურობა დაზიანებულია, ფირფიტა აცლილია მარცხენა ქვედა ველზე და მარჯვენა ქვედა კუთხეში (სურ.3).

სტილის მიხედვით ჭედურობა XVI ს.-ში უნდა იყოს შესრულებული. სამწუხაროდ, აღარ შემორჩა თანადროული ფერწერული ფენა — დღევანდელი სახე XIX-XXსს. — ში უნდა იყოს გადაწერილი ზეთის საღებავებით. განახლება იმდენად უხეშადაა შესრულებული, რომ ლურჯი საღებავი გადასულია ქვედა აშიის ჭედურობაზე. დაუსრულებელია ღვთისმშობლის სამოსის ნახატი, მასზე არც კანონიკით გათვალისწინებული სამი ვარსკვლავი — უბინოების სიმბოლოა გამოსახული. შესაძლოა, ეს ნაწილიც ჭედურობით იყო დაფარული ან გათვალისწინებული პერანგისათვის და ხახულის ღვთისმშობლის ხატის მსგავსად მხოლოდ სახე და ხელები ჩანდა. მიუხედავად გვიანდელი გადაწერისა, დაცულია თავდაპირველი იკონოგრაფიული ტიპი - მარჯვნივ მიტრიალებული მავედრებელი ყოვლადწმინდისა, რომელიც ხახულის კარედის სათავო ხატის ტიპის ანალოგიურია (სურ.4). თაბორის ხატს ქვედა ველზე უცნობი დამკვეთის ან ოქრომჭედლის სამ სტრიქონიანი, სევადით შესრულებული ასომთავრული სავედრებელი წარწერა ახლავს. პირველი და მეორე სტრიქონები ჭედური მედალიონით ორად არის გაყოფილი, მესამე სტრიქონი ძლიერი დაზიანების გამო თითქმის აღარ იკითხება:

1. ქ. (ქრისტე) ხახულისა ღვთისმშ 0 ობელო მითხოვე ძ
2. ისა შენისგან სააქაო 0 დაცვაი და მუნ დ
3. . . . (დ) აუსჯელობაი ცოდვილსა ნიკოლოზს

წარწერაში „ცოდვილი“ ნიკოლოზი მიმართავს ხახულის ღვთისმშობელს. მსგავსი სავედრებელი მიმართვა უცხო არ არის ქართული ხატების საეტიტორო წარწერებისათვის, მაგ. უბისის XIVს.- ის მცირე კარედის სათავო ხატის წარწერაში შემწირველი აბაშიძე მიმართავს ვარძიის ვედრების ღვთისმშობელს და თხოვს შუამდგომლობას ძის წინაშე მეორედ მოსვლის ჟამს [ბურჭულაძე, 2006, გვ.51]. ამ შემთხვევაში, გამოიხატება ის ფაქტი, რომ ხატი შექმნილია მოხსენიებული სახის ასლად, მისი იკონოგრაფიული ტიპის განმეორებით. თაბორის ვედრების ხატიც ხახულის ღვთისმშობლის მიხედვით არის შექმნილი, ხოლო წარწერაში გახსნილია ამ იკონოგრაფიული ვარიანტის დოგმატური შინაარსი: ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მეოხი და მავედრებელია თავისი ძის წინაშე კაცთა მოდგმის სულის ხსნისა და სააქაო მშვიდობისათვის, ხაზგასმულია მისი შუამდგომლური როლი განკითხვის ჟამს საუკუნო მსაჯულის — ქრისტეს წინაშე.

ქუთაისის მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში ვედრების ტიპის კიდევ რამოდენიმე ხატია დაცული: სორის ხატი XVIIIს. /ქიმ.საინვ. №3121/, [სხირტლაძე, 2009, გვ.45, ილ.53], გელათის /ქიმ. 3878/, სოფ. ნითელხევის დევიძეების ეკლესიის ჭედური ხატი /7468/121/184/.

გელათის ვედრების ხატზეც /53X39.5/ (სურ.5) ყოვლადწმინდა მარიამის მავედრებელი ნახევარფიგურა ფერწერულად (ტემპერა) არის შესრულებული და ასევე იმეორებს ხახულის ღვთისმშობლის სათავო ხატის იკონოგრაფიულ ტიპს — მარჯვნივ მიტრიალებული ნახევარფიგურა, ვედრების ნიშნად ზემოთ მიმართული ხელებით. მოჭედილია ხატის ფონი, შარავანდი, აშიები და შემკულია 7 ფერადი ქვით და მარგალიტებით, მერვე თვალებზე ცარიელია. შარავანდის მარჯვნივ და მარცხნივ გლუვი ზედაპირის მქონე ფირფიტებია, როგორც ჩანს, განმარტებითი წარწერისთვის გათვალისწინებული და გაურკვეველი ვითარების გამო დაუსრულებელი. შესაძლოა, თავდაპირველად ხატი ფერწერული იყო და მოგვიანებით განუზრახავთ მოჭედვა. უცნაურია, რომ მოჭედილობას არ გააჩნია ერთიანი კომპოზიცია, ის შედგენილია რამოდენიმე ფირფიტისაგან, რომლებზეც გამოსახულია შვიდი სხვადასხვა სახის მქონე მცენარეული ორნამენტი, ჭედურობა შესრულებულია ერთი ოსტატის

ხელით. გელათის ხატის ზურგზე შავი საღებავით გამოსახულია გოლგოთის ჯვარი, რომელსაც ზედა ნაწილში ბერძნული დაქარაგმებული წარწერები ახლავს „იესო ქრისტე“, ხოლო ჯვრის ტანის ორსავ მხარეს იკითხება ქარაგმა „NIKA“ - „ძლევა“, რაც ხაზგასმავა ჯვრის ძალაზე, რომელიც მიენიჭა მას ქრისტეს გოლგოთაზე ვნებისა და მესამე დღეს დიდებით აღდგომის შემდეგ.

მცირე ზომის ჭედური ხატი /14.5X10.5/ სოფ. წითელხევის დევიძეების ეკლესიიდან (სურ.6) მუზეუმის ექსპედიციის მიერ 1962 წელს არის ჩამოტანილი. მასზეც ანალოგიური იკონოგრაფიული ტიპის ღვთისმშობელია გამოსახული და ახლავს დამკვეთის (ან ოქრომჭედლის) მხედრული წარწერა სამ სტრიქონად: „ქ. ღვთისმშობელს შეინყაღე ხატის ამის მოჭედი თაიმაზი შელია და მეუღლე მისი ა . . . ტ . “. ხატი ძლიერ დაზიანებულია, აცლილია ზედა აშია, გვერდითა ველებზე სხვადასხვა სახის ორნამენტებიანი ფირფიტებია (ემჩნევა სევადის კვალიც), რომლებიც დაუსრულებელი ან სხვადასხვა დროს ჩამატებული ჩანს. შარავანდის ნაცვლად შემოვლებულია მარგალიტები, შარავანდის ზემოთ კი 5 თვალბუდეა (ერთი ცარიელი), რომლებშიც ჩასმულია სხვადასხვა ფერის პასტა. ჭედური ხატი, რომელიც ოქროდაფერილი ვერცხლის ფირფიტებისაგან შედგება უნდა ეკუთვნოდეს გვიანი შუასაუკუნეების პერიოდს, XVIII — XIXსს.

ამგვარად, ვედრების ტიპის ღვთისმშობლის ხატები დიდად პოპულარული იყო საქართველოში, განსაკუთრებით პატივდებული კი ხახულის სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის სახე იყო, რომლის მიხედვითაც, როგორც განხილული მაგალითებიდანაც ჩანს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და სხვადასხვა პერიოდში მრავლად იქმნებოდა ანალოგიური იკონოგრაფიული ტიპის მქონე ღვთისმშობლის ჭედური თუ ფერწერული ხატები.

ლიტერატურა:

1. ბურჭულაძე ნ. უბისის მონასტრის ხატები და კედლის მხატვრობა, თბ. 2006წ.
2. ბოჭორიძე გ. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ. 1994წ.
3. სხირტლაძე ზ. სორის ეკლესია, თბ. 2009წ.
4. ყენია რ. ხახულის კარედი, თბ. 1972წ.
5. Кондаков Н. Иконография Богоматери, петроград 1915г.

Nino Sarava

IMAGES OF THE MOTHER OF GOD OF DEISIS

The first images of the Mother of God was already drawn in the first century by st. Luke the Evangelist, who painted the three types of the Most Holy Virgin Mary icons: odigitria, elleusa and deisis. These first icons have not reached our times, but during the centuries a lot of copies were made from them. The copies were also as famous as their originals. The first mention about the icons of deisis we find in byzantine sources from the VIc. e.g. the mosaics of st. Demetrios of Thessaloniki. Deisis icons especially spread after the iconoclasm period. From the 843 year they were mounted on the templons of the chancel barriers. From this period in the orthodox iconography Deisis represents a group of three persons: Jesus Christ in the center, with his Mother to his right and John the Forerunner to his left. It seems, that the iconographic type of Virgin Mary of Deisis became too much popular from IX-Xcc. And was widely spread in Byzantine as well as in Georgia. The miracle-working images of the Mother of God of deisis was known in byzantine, the

researchers also refer them to the type of Agiosoritissa – from the name of the chapel Agia Soros in Constantinople – one of the types of Virgin Mary usually shown at the turn three-quarters of prayer gesture of hands. In the Greek tradition such icons called Paraklesis “prayer”(ill. 1).

The miracle-working icons of the Most Holy Mother of God of deisis were already known in Georgia, e.g. Khakhuli triptych, Vardzia icon (ill. 2), Khobi icon. The Khakhuli triptych was so famous that as it seems, the copies were made of it and they were appreciated by Georgian people as much as their original image.

Some icons of deisis are saved in Fine Art’s Fond of Kutaisi State historical museum. One of them should be the copy of the major icon of Khakhuli triptych (ill. 4). The icon was brought to museum by G. Bochoridze in 1926y., from Tabori (Lechkhumi region) church. It is a small combined icon with the painted half-drawn image of Virgin Mary. The background, nimbus and the edges of the icon are made of gilded silver plates (ill. 3). The metalwork of the icon belongs to the XVIc. But the painted image is renewed in XIX-XXcc. It’s a quite rough work – the painting is not ended, may be the ktitor wanted to make silver covering for the figure of Virgin, except the face and the hands, by the analogue of Khakhuli icon. There is a three-line capital-letter inscription on the lower border of the icon, read as follows:

“ Christ, the mother of god of khakhuli urge your son for defence in this and inner lives, . . . save . . . the sinner Nikoloz”.

The third line is damaged, so its hard to restore the full text. Unfortunately, there is not mentioned any century or year of making the icon. The address to the original icon in the inscriptions of copied ones is common to Georgian sacred images, e.g. the major icon of Ubisi triptych (XIVc.) names the famous Vardzia image of Virgin Mary (the miracle-working) and thus makes it clear that the very icon is a copy (the same iconographic type) made after a famous icon. The Tabori icon inscriptions reveal the dogmatic meaning of the images of deisis: The Most Holy Virgin is interceding for people at doom day and can urge her son to forgive the human sins and get the salvation and heavenly life.

Several icons of deisis are also kept in Kutaisi museum: Sori icon (XVIIIc.), Gelati icon (XVIc.), the small silver icon (XVIII-XIXcc.).

Gelati icon (ill. 5) represents the painted image of the Mother of God of deisis. The borders, nimbus and the background are engraved of some silver plates, which are gilded and have plant ornaments of several faces embossed on the surface. The icon was decorated with seven colored gems and pearls. The great Golgotha Cross is painted on the backside of the icon. The Greek script by the both sides of the cross read as: “Jesus Christ Nika”, which indicates on the great power of the cross that was given to it after the death and the resurrection of Jesus Christ.

The small icon also shows the embossed half-figured image of the Most Holy Virgin in the gesture of prayer (ill. 6). The metalwork of the icon is damaged. On the lower board it bears the goldsmith’s inscriptions in Mkhedruli (civil) letters. He asks the Mother of God to protect him – the goldsmith Taimazi shelia and his wife, whose name could not be read.

Thus, the icons of the Mother of God of Deisis according to the mentioned examples were very popular in Georgia and the numerous copies were made during the centuries.

იან პაევსკის მოღვაწეობის ისტორიისათვის

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მასალებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სახვითი ხელოვნების ფონდში დაცული შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ მნიშვნელოვანი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების მქონე ფერწერული სურათების კოლექცია. აქ დაცული ნამუშევრების ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ქართული მხატვრობის განვითარების უწყვეტ ხაზს მე-19 საუკუნის მიწურულიდან ჩვენს დრომდე. სახვითი ხელოვნების ფონდში წარმოდგენილია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მხატვრების ტილოები. მათ შორის საყურადღებოა, ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, გ. ზაზიაშვილის, გ. მესხის, ა. ბაუბუქ-მელიქოვის, ი. პაევსკის, სოკოლოვის, ვ. კროტკოვის, ვ. ოსიპოვის, მ. ჩიგარევის, მამაჯანოვის და სხვათა ნამუშევრები.

მე-19 საუკუნის ბოლოდან საქართველოში ცხოვრებასა და მოღვაწეობას იწყებს ბევრი პოლონელი მოქალაქე, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, იძულებულნი გახდნენ, სამშობლო დაეტოვებინათ. ესენი ძირითადად სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის 1831 და 1863 წლებში მოწყობილი აჯანყებების მონაწილენი იყვნენ. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ექვსათასამდე პოლონელი ცხოვრობდა. ესენი იყვნენ სხვადასხვა დარგისა და სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. [იუსტინსკაია. 2004წ. გვ. 6]

განსაკუთრებით საყურადღებოა, პოლონელ მხატვართა წვლილი ქართული სამხატვრო სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. ქართველ კოლეგებთან ერთად ისინი 1922 წელს დაარსებული თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა პირველ პლეადას შეადგენდნენ. მათ შორის იყვნენ: ფ. ხოდოროვიჩი, ი. პაევსკი, ჰ. ჰრინევსკი, კ. ზდანევიჩი, ს. ჰორნო-პოპლავსკი და სხვები.

პოლონელ მხატვართა რამოდენიმე წარმომადგენელი ქუთაისში მოღვაწეობდა. მათ შორის ყურადღებას იმსახურებს: ი. პაევსკი და ვ. კროტკოვი. ქუთაისის მუზეუმში დაცულია მათი ნამუშევრები. ჩვენი ყურადღება მიიქცია ი. პაევსკის ფერწერულმა სურათებმა, რომლებიც აშკარად მიუთითებენ მის მაღალ პროფესიონალიზმზე. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში. იყო მხატვართა ურთიერთდახმარების კავკასიის საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზატორი. მის სახელთანაა დაკავშირებული 1911 წელს ქუთაისში სათავადაზნაურო გიმნაზიასთან ხატვისა და ფერწერის კურსების გახსნა, სადაც ტექნიკურ ინსტიტუტში ჩაბარების მსურველებს ხატვასა და ხაზვას ასწავლიდნენ. დიდი იყო ამ სკოლის მიმართ ახალგაზრდების ინტერესი. 1913 წლიდან იგი ხატვას აწავლიდა ქალთა გიმნაზიაში და სხვა სასწავლებლებში.

იან პაევსკის უდიდესი წვლილი მიუძღვის ქუთაისში ახალგაზრდა მხატვრების აღზრდასა და სრულყოფაში. მისი მოსწავლეები იყვნენ გამოჩენილი მხატვრები დ. კაკაბაძე, ვ. მახარობლიძე და სხვები.

ხანდაზმული მხატვარი და საზოგადო მოღვაწე მახარობლიძე მოწინებით იგონებდა თავის ყურადღებიან მასწავლებლებს, მათ შორის პოლონელ იან პაევსკის, რომელსაც ქუთაისში ბევრი ახალგაზრდისათვის ჩაუწერგავს სახვითი ხელოვნებისადმი დიდი სიყვარული. სწორედ მისი მზრუნველობით იყო, რომ ვ. მახარობლიძემ ჯერ კიდევ 1911 წელს 20 წლის ყმანვილმა მონაწილეობა მიიღო კლასიკური გიმნაზიის სააქტო დარბაზში მოწყობილ გამოფენაში და მისი ცხოვრების პროფესიად მხატვრობა აირჩია. [გაზ. „ქუთისი“ 1964წ. 27 მაისი, გვ. 3]

სამწუხაროდ ი.პაევსკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საარქივო და წერილობითი მასალები ძალიან მცირე ინფორმაციას გვანვძის. უცნობია მისი ურთიერთობის დეტალები კოლეგებთან, მისი ოჯახური გარემო, გარდაცვალებისა და დაკრძალვის დეტალები.

ჩვენი კვლევის მიზანს იმ მწირი ინფორმაციის პოპულარიზაცია წარმოადგენს, რომელიც გაბნეულია სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის საარქივო მასალებში. მისი 16-მდე ნამუშევარი, რომელიც სახვითი ხელოვნების ფონდშია დაცული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით შემოვიდა მუზეუმში. ეს კოლექცია თემატურად მრავალფეროვანია. გვხვდება როგორც ფერწერული, ასევე გრაფიკული ნამუშევრები. მნიშვნელოვანია მისი ორი დღიური, რომლებშიც სახელდახლოდ გაკეთებული ჩანაწერები და ჩანახატებია წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, შესაძლოა ისინი მომავალი ტილოების ესკიზებიც კი ყოფილიყო. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ის, რომ მაგალითად მის სურათზე „ცხაკაიას ქუჩაზე მდებარე სახლი“ ქიმ.5331/დ-5 და „მთავარმართველ გ. გალიცინის ჩამოსვლა“, რომელიც თბილისის ცისფერ გალერეაში ინახება, ფორმა და სტილი ემთხვევა, დღიურში მოცემულ ესკიზებს. [დღიურები: ქიმ.5432/დ-74 გვ. 8, ქიმ.5431/დ-73 გვ.10] (სურ.1)

დღიურის დეტალურად დათვალიერებისას აშკარად ჩანს, რომ მას უმოგზაურია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (1897-1907წწ.). ჩახატული აქვს ბათუმის, ყაზბეგის, ფასანაურის, ანანურის და იმერეთის ახლო სოფლების პეიზაჟები. ბევრია ფანქრით შესრულებული ადამიანთა გრაფიკული გამოსახულებები და ჩაცმულობათა ესკიზები, აგრეთვე საცხოვრებელი ოდა სახლების ხედები. ალბომებში მრავალჯერ მეორდება ერთი და იგივე ქალის გრაფიკული პორტრეტები. ქალბატონი გამოირჩევა არისტოკრატიული ჩაცმულობით, რამოდენიმე ესკიზში იგი ხელსაქმითაა დაკავებული. ჩვენი აზრით, შესაძლოა ის მხატვრის მეუღლე იყოს, მაგრამ საბოლოო დასკვნის გაკეთება, რასაკვირველია შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ეს დღიურები მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალაა, რომელიც აღგვიდგენს მეოცე საუკუნის საქართველოს ეთნოგრაფიულ გარემოს.

იან პაევსკი იყო ქუთაისში გამართული მისი პერსონალური გამოფენების ავტორი. პირველი გამოფენა 1908 წელს გამართულა. როგორც ჩანს, მას ქალაქის საზოგადოების დიდი ინტერესი გამოუწვევია. წინააღმდეგ შემთხვევაში მხატვარი მის რამოდენიმე წელში (1914 წ.) ხელახალ გამართვაზე აღარ იზრუნებდა.

მხატვრის ნამუშევრებისადმი ინტერესს მისი მრავალფეროვანი შემოქმედება იწვევდა. იგი ერთნაირი სიძლიერით ხატავს პეიზაჟს, პორტრეტს, მუშაობს გრაფიკაში.

მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქუთაისს. ცნობილია ტილოები: „ქუთაისის ყაფანი შუადღისას“ ქიმ. 5331/დ-1, „ქუთაისის ბალი ზაფხულში“ ქიმ. 5332/დ-2, (სურ. 2) „ცხაკაიას ქუჩაზე მდებარე სახლი“ ქიმ. 5333/დ-3, „წყალნითელას გვირაბი“ ქიმ.5337/დ-7, „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან, სადილობის დროს“ ქიმ. 5362/დ-32 და სხვები. საკმაო რაოდენობით გვხვდება ქუთაისის ხედები მის ზემოთ აღნიშნულ დღიურებშიც. სადაც ავტორი კიდევ უფრო აკონკრეტებს ქალაქის თითოეული უბნისა თუ მოქალაქის ყოველდღიურ ყოფას.

საინტერესოა ნახატი „წყალნითელას გვირაბი“ ქიმ. 5337/დ-7. აქ გამოსახულია ეგრეთ წოდებული „იაზონის მღვიმე“. მისი ადგილმდებარეობა და გასულ საუკუნეში არქეოლოგიური აღმოჩენები მიუთითებენ იმაზე, რომ მღვიმე დასახლებული უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში. [ჯიქია, 1993წ.გვ.30] როგორც ჩანს დიდი იყო მხატვრის ინტერესი ახალი აღმოჩენისადმი, მან მოინახულა მიმდებარე ტერიტორია და მასზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, გადაწყვიტა ნანახი სურათზე გადაეტანა. აქედან ისიც შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი ინტერესის სფეროს მხოლოდ მხატვრობა არ წარმოადგენდა. იგი დაინტერესებული იყო ყველა მეცნიერული და

კულტურული სიახლით, რაც მის რეალობაში ჩვენს ქალაქში ხდებოდა.

ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით ი. პაევსკის მიერ შექმნილმა პორტრეტებმა მიიპყრო. პორტრეტული ჟანრი ი. პაევსკის განსაკუთრებული ასპექტით წარმოადგენს. მას აინტერესებს ადამიანი, რომელიც მის გვერდით ცხოვრობს, მუშაობს. იგი ჩაცმულობას, ნაკვებებს ზედმინვნით გადმოსცემს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სახე განზოგადებულია. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: „გურული გოგონა“ ქიმ.5336/დ-6 (სურ.3), „ქალის პორტრეტი“ ქიმ. 8224/2/დ-64, „აჭარელი გლეხი“ ქიმ. 5335/დ-5, „იმერელი ებრაელი“ ქიმ. 5373/დ-43, „მათხოვრები“ ქიმ. 8224/დ-163. რადგან მისი შემოქმედების დიდი ნაწილი პორტრეტული ხასიათის ნამუშევრებს უჭირავს, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი როგორც მხატვრის ინტერესის სფეროს პორტრეტი წარმოადგენდა. იგი რეალისტი მხატვარია. მის მიერ შესრულებულ პორტრეტებში კარგად იგრძნობა თითოეული პერსონაჟის ხასიათი. ადამიანთა სახეებზე ჩანს (მაგ. „აჭარელი გლეხი“ ქიმ. 5335/დ-5) ის ემოცია, სევდა და განცდა რაც მათ ყოფით პირობებს შეესაბამებოდა. სწორედ აქ იკვეთება ი.პაევსკის ღრმა ფსიქოლოგიური წვდომის უნარი.

სოციალური გარემოსა და ყოფის ამსახველია ფერწერული სურათი „მათხოვრები“ ქიმ. 8224/დ-163, რომელშიც რეალისტურად ჩანს ადამიანთა მძიმე ხვედრი. მათი ტკივილი და რომანტიზმი.

იგივე შეიძლება ითქვას ფერწერულ ტილოზე „ყვავილების გამყიდველი“ ქიმ. 3430/დ-166. მიუხედავად იმისა, რომ ტილოზე ნამდვილი გაზაფხულია, გამყიდველის პოზაც და გამომეტყველება, სევდიანია და მასში დიდი პირადი ტკივილი და განცდაა გამოსატყული. ხოლო პორტრეტზე „გურული გოგონა“ ქიმ. 5336/დ-6 პერსონაჟის ხასიათში გურულებისათვის დამახასიათებელი სისხარტე და ხალისიანი განწყობა იკვეთება.

მისი ტილოების უმეტესი ნაწილი დაზგური ფერწერისათვის ყველაზე მახლობელ - ზეთის საღებავების ტექნიკაშია შესრულებული. თუმცა ის ასევე მაღალ დონეზე ფლობს ფანერსა თუ მუყაოზე მუშაობის ტექნიკას.

ამ მხრივ საყურადღებოა ფანერზე შესრულებული „იმერელი ებრაელი“ ქიმ. 5373/დ-43, „ქუთაისის ყაფანი შუადღისას“ ქიმ. 5331/დ-1 „ძველი ყაფანი“ ქიმ. 5353/დ-23 და სხვა.

ი. პაევსკი ასევე დიდი ინტერესით მუშაობდა როგორც ილუსტრატორი. მის სახელთანაა დაკავშირებული 1913 წელს გამოსული, ეგნატე ნინოშვილის ცნობილი ნაწარმოების „მაგდანას ლურჯას“ პირველი ილუსტრაცია. (სურ.4) ეს წიგნი ამჟამად თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკის უნიკალურ ფონდში ინახება. [ზაალიშვილი, 2007წ. გვ.14]

დიდია მხატვრისადმი ინტერესი თანამედროვე ხელოვნების მოყვარულებშიც. სულ რამოდენიმე წლის წინ „ie arten Price Database“ მსოფლიოს აუქციონზე გაიყიდა პაევსკის ფერწერული ნამუშევრები. ესენია: „საღამო ხანს, დათვებზე ნადირობიდან დაბრუნებული მამაკაცები, დიდ თოვლში“, „დათოვლილი პეიზაჟი, მარხილებში შებმული ცხენებით“ და „მოხეტიალე მუშა“.

აღნიშნული ფაქტი უდაოდ მიუთითებს მის მაღალ პროფესიონალიზმზე და მისი ტილოების მხატვრულ ღირებულებაზე.

გარდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში შემავალი პაევსკის ნამუშევრებისა, ჩვენთვის ცნობილია თბილისის გალერეებში დაცული ექსონატები, რომლებიც პაევსკის ფუნჯს ეკუთნის. ესენია „მოხუცი ყაბალახით“, „მეწვრილმანე“, „მთავარმართველ გ. გალიცინის ჩამოსვლა“, „გორი“, „შლაპიანი ბიჭი სიგარით“, „სოხუმი, ინტელიგენცია ბაზარზე, რევოლუცია აფხაზეთში“. ასევე პაევსკის ფერწერული სურათი „სასაფლაო“, ქუთაისის ფალიაშვილის სახელობის მუზეუმში ინახება.

მხატვრის ნამუშევრებისა თუ მცირედი საარქივო მასალის გაცნობის შედეგად, ჩემი აზრით შეიძლება დავაკონკრეტოთ აქამდე უცნობი მისი გარდაცვალების წელი.

მუზეუმში შემოსული მასალების გარკვეული ნაწილი ავტორის მიერ არის წარმოდგენილი. ბოლო

ნამუშევარი შემოვიდა 1933 წელს, ხოლო შემდგომ წლებში მისი ქვრივისაგანაა შეძენილი და იგი 1934 წლით თარიღდება. ამ წყაროზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იან პაევსკი გარდაიცვალა 1933-1934 წლებში. სამწუხაროდ უცნობია მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის დეტალები, ასევე საფლავი.

მხატვრის შემოქმედება საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მის ხელოვნებას ის რეალობა ასაზრდოებდა, რომელშიც ცხოვრობდა, მაგრამ ეს არ იყო რეალობის მარტივი გაგება. ერთი შეხედვით მარტივი სიუჟეტებით ახერხებს ქვეყნის რთულ ფსიქოლოგიურ შრეებში გაერკვეს. იგი უპირველეს ყოვლისა რეალისტი მხატვარი იყო, რომელიც ზუსტად აღწერს თავის დროს და თითქმის ყველა ნამუშევარში ცდილობს ის მცირედი იმედის მარცვალი ჩადოს, რომელიც ყოველ ჩვენგანს მომავლის რწმენით აღავსებს.

ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ მხატვრის შემოქმედების შემდგომი კვლევა, კიდევ უფრო ფართო მასშტაბით წარმოაჩენს მას, როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს და მაღალი დონის ფერმწერს.

ლიტერატურა:

1. ზაალიშვილი ნ., 2007წ. „ მხატვართა ქუთაისის ორგანიზაცია: ისტორია, პერსონები, ტენდენციები“, სახვითი ხელოვნების ქრონიკები. საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია. ქუთაისი.
2. იუსტინსკაია პ., 2004წ. „ პოლონელი მხატვრები საქართველოში“, თბილისი.
3. სტეფანია მ., 2004წ. „სახვითი ხელოვნების ფონდი“ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. კრებული XIV. ქუთაისი.
4. ჯაფარიძე ლ., 2009წ. „ფერწერული ნიმუშები“ ჟურნალი „ხიდი“. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. ქუთაისი.
5. ჯიქია ლ., 1993წ. „იაზონის მღვიმე“. ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები. ქუთაისი.
6. გაზეთი „ქუთაისი“. 1964წ. ქუთაისი.
7. ხუნდაძე ტ., 1965წ. ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან. თბილისი.
8. მასალები ინტერნეტიდან:

Salome Shalikiani

FOR THE HISTORY OF JAN PAEVSKY'S WORK FOR PUBLIC GOOD

Among the materials of N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum relatively small collection of paintings of much historical and artistic value that is stored in the Fine Arts foundation deserves special attention. The unity of unique works as well as the ones of an average level enables to carefully pursue the continuous line of the development of Georgian art (painting) from the 19th century until the present day. The Fine Arts Foundation presents the canvases of Georgian as well as foreign artists. Among the materials the works by L. Gudishvili, E. Akhvlediani, G. Zaziashvili, G. Meskhi, A. Bazhbeuk-Melikov, J. Paevsky, Sokolov, V. Krotkov, V. Osipov, M. Chigarev, Mamajanov and etc. are of note.

From the end of the 19th century a lot of Polish citizens start to live and work in Georgia who were forced to leave their homeland due to the existing political situation. They were mainly the participants

of the rebellion organized in 1831 and 1863 for the state independence. In the second half of the 19th century about six thousand Poles lived in Georgia. They were representatives of various fields and were actively involved in the political, economic and cultural life of our state [Iustinskaya. 2004. pg. 6]

The contribution of the Polish artists to the formation and development of Georgian art school is particularly noteworthy. Along with Georgian counterparts they were the members of the first pleiad of faculty staff of Tbilisi State Academy of Fine Arts founded in 1922.

Several representatives of Polish artists worked in Kutaisi. Among which J. Paevsky and V. Krotkov deserve special attention. Their works are preserved in Kutaisi State Museum. J. Paevsky's paintings which clearly indicate the high professionalism of the artist are of note. He was actively involved in the cultural life of Kutaisi and was one of the organizers of Caucasian Mutual Aid Society for Artists. Opening the courses of painting and drawing in Kutaisi Nobility Gymnasium in 1911 is closely connected with his name where young people willing to apply for Technical Institute were taught drawing and painting. From 1913 he taught painting in the Women's Gymnasium and many other educational institutions.

Jan Paevsky made greatest contribution to bringing up young artists and developing their artistic skills. Outstanding painters D. Kakabadze, V. Makharoblidze and many others were among his pupils.

An old artist and public figure Makharoblidze always recalled his attentive teachers with much respect including the Polish artist Jan Paevsky who inspired a lot of young people in Kutaisi. It was the result of his care that V. Makharoblidze, a 20-year-old boy, participated in the exhibition in 1911 held in the hall of Classical Gymnasium and chose painting as his lifelong profession. [Newspaper 'Kutaisi', 1964, 27 May, pg. 3].

Unfortunately, the archival and written materials provide very little information about the life and public work of J. Paevsky. There are no details of his relations with his colleagues, his family life, death and funeral.

Our research goal is to promote the limited amount of information that was collected from the archival materials of the State Historical Museum. About 16 works that are stored in Fine Arts Foundation have entered the museums at various times. The collection is thematically diverse. Various paintings as well as graphic works can be found. Two of his diaries which represent quick notes and sketches made by the artist are very important. In our opinion they could be the outlines for the future canvases. The conclusion can be drawn based on the pictures 'The House on Tskhakaya Street' K.H.M. 5331/d-5 and 'Arrival of the Governor-general G. Galitsin' that are stored in Blue Gallery of Tbilisi. The form and the style of these paintings are similar to the drafts given in the diary. [Diaries: K.H.M. 5432/d-74, pg. 8 K.H.M. 5431/d-73 pg. 10] (ill. 1-2)

When closely studying the diary it becomes apparent that he had traveled in various parts of Georgia (1897-1907). Jan had made the landscapes of the villages near Batumi, Kazbegi, Pasaauri Ananuri and Imereti. There are a lot of graphic images of men and cloths made in pencil as well as the views of the wooden houses. The graphic portrait of the same woman is repeated several times. A woman is aristocratically dressed. In several sketches she is busy doing handicrafts. In our opinion, she might be the artist's wife but for making final conclusion further research is required.

This diary is an important documentary material which revives ethnographic surroundings of Georgia of the 20th century.

Jan Paevsky was the author of his personal exhibition. The first exhibition was held in 1908. Supposedly, it might cause great public interest otherwise the artist would not care of holding the other exhibition several years later (1914).

The interest towards the works of the author was conditioned by the diversity of his creative work. He is equally mastered in drawing landscapes, portraits as well as creating graphical works.

Kutaisi occupies an important place in his creative work. His famous canvases 'Kutaisi in the Afternoon' K.H.M. 5331/d-1, 'Kutaisi's Garden in Spring' K.H.M. 5332/d-2. 'The House on Tskhakaya Street' K.H.M. 5333/d-3, 'The Tunnel of Tskaltsitela' K.H.M. 5337/d-7, 'At the Ruins of Bagrati Cathedral' 'During Dinnertime K.H.M. 5362/d-32 and others. The views of Kutaisi are quite frequent in the above-mentioned diaries where the author specifies each district and everyday life of its citizen. (ill. 3)

The painting 'The Tunnel of Tskhaltsitela' K.H.M. 5337/d-7 is very interesting. It shows so-called 'Jason's Cave'. Its location and recent archeological discoveries indicate that the cave must have been inhabited as early as the Paleolithic era. [Jikia, 1993, pg. 30] In fact, the artist showed great interest towards a new discovery. He visited the area and was so impressed that decided to paint a picture. So, we can judge that painting is not the only area of his interests. He was interested in all scientific and cultural novelties that took place during that period in the city.

Our attention was particularly attracted by Paevsky's portraits. Portrait genre reveals Paevsky from a different angle. He cares about the people who live and work next to him. Clothing, features are depicted very thoroughly but in many cases the faces are generalized. The following works can be taken as examples: 'Gurian Girl' K.H.M. 5336/d-6, 'The Portrait of a Woman' K.H.M. 8224/2/d-164, 'Adjarian Peasant' K.H.M. 5335/d-5, 'Imeretian Jew' K.H.M. 5373/d-43, 'Baggers' K.H.M. 8224/dd-163. Since the majority of his creative work is presented in the form of portraits and portrait-related paintings it can be concluded that a portrait was the sphere of his artistic interests. He is a realist painter. In his portraits the inner characters of the individuals are shown. On the human faces ('Adjarian Peasant' K.H.M. 5335/d-5) the emotion, grief and worry that are relevant to the everyday life can be observed. One can feel Paevsky's obvious ability of deep psychological perception.

'Baggers' K.H.M. 8224/d-163 is the picture describing social surroundings and life of those days. It realistically represents the fate of the people, their pain and romanticism.

The same can be said about the other painting 'Flower Seller' K.H.M. 3430-d-166. Despite the fact, that it is spring the seller's posture and expression shows great personal pain and grief. As for the 'Gurian Girl' K.H.M. 5336-d-6 the agility and cheerful spirit characteristic to Gurian people is revealed. (ill.4)

Most of his canvasses are performed in oil-paint techniques characteristic to easel painting. However, he also possesses an excellent technique of working on the veneer and cardboard.

J. Paevsky also worked as an illustrator with great interest. Egnate Ninoshvili's famous work 'Magdana's Donkey (Lurja)' was first illustrated by him. This book is stored in the unique foundation of the National Library [Zaalishvili, 2007, pg. 14]. (ill. 5)

The interest towards the artist among contemporary art lovers is enormous. Several years ago at the world auction _ 'Die Arten Price Database' Paevsky's paintings were sold: 'The Men Returning from Bear Hunt in the Evening in the Snow', 'Snowy Landscape with the Horses in the Sledges' and 'Wondering Worker'.

This fact undoubtedly indicates its high professionalism and artistic value of his canvasses.

Along with the works by Paevsky stored in the state historical museum there are some exhibits

that belong to Paevsky and are kept in the Galleries of Tbilisi: 'The Old Man with Balaclava Hat', 'Chandler', 'Arrival of the Governor-general G. Galitsin', 'Gori', 'A Boy in a Hat with a Cigar', 'Sukhumi, the Intelligentsia in the Market, the Revolution in Abkhazia' and also 'Cemetery' that is stored in Kutaisi Paliashvili State Museum.

After getting familiar with the artist's work from the archival materials, the date of his death can be specified. Some part of the materials that are stored in the museum were donated by the author. The last work entered the museum in 1933 and another work was purchased from his widow and is dated 1934. On the bases of this source it can be assumed that Jan Paevsky died in 1933-1934. Unfortunately, the details of his death and funeral are unknown.

After examining the creative work of the artist it can be concluded that Paevsky's art used the reality as the nourishment but it was not the reality in its simple connotation. He tried to understand complex psychological layers through simple pieces. First of all, he was a realist painter who precisely described his contemporary life and by means of almost every piece of his work tried to invest a little grain of hope that would give future faith to all of us.

We hope that further studies of the creative work of the artist will reveal him as a true creator and high-rank painter on a much larger scale.



ანა ღოღონაძე, თამარ მოსეშვილი

ქართული ეროვნული ხელთნაქსოვი ტექსტილი

საქართველო სამხრეთ კავკასიის უძველესი ისტორიისა და მდიდარი კულტურული ტრადიციების ქვეყანაა. საქართველოში უძველესი დროიდან ფართოდ იყო გავრცელებული მეცხვარეობა, მეაბრეშუმეობა, სელის კულტურა. ქსოვდნენ შალის, აბრეშუმის, ბამბის, სელის ქსოვილებს, სხვადასხვა დანიშნულების ქილობებს. ამის დასტურია მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალები – ქვის, თიხის თუ ძვლის თითისტრები, ქსოვილების ნიმუშები, საქსოვი დაზვის ნაშთები და სხვა. მხატვრული ტრადიციების შენარჩუნებით და განვითარებით ქართველმა ხალხმა ღრმად თვითმყოფადი, მდიდარი და შთამბეჭდავი ხალხური ხელოვნება შექმნა, რომელსაც ფესვები საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული.

ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგია საფეიქრო ნაწარმებისა და ქსოვილთა მორთვის ხელოვნება – ფარდაგების, ხალიჩების, დამზადება. ხალიჩების ხელით ქსოვა საქართველოში სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს.

ქართული ეროვნული ხალიჩა და ფარდაგი მრავალფეროვნებითა და შესრულების ოსტატობით გამოირჩევა. გარდა საერთო ეროვნულობისა, საქართველოს ცალკეულმა რეგიონმა შემოინახა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი რენვის ტრადიციები. ოსტატები თავიანთ შემოქმედებით ცოდნას თაობიდან თაობას გადასცემდნენ და იგი დღევანდლამდე შემონახული.

საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, თუშეთი) ფართოდ გავრცელებულმა მეცხვარეობამ, შალის ნედლეულმა, ბუნებრივ საღებავთა სიუხვემ განავითარა საფეიქრო საქმე. თვით კავკასიის მკაცრმა ბუნებამ განსაზღვრა მთიელ ოსტატთა ნაწარმის ხასიათი. დიდ სავაჭრო გზებისაგან მოშორებით მიუვალ მაღალმთიან ხეობებში მცხოვრები ადამიანები მოწყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს და საკუთარ თავზე იყვნენ მინდობილნი. ასეთ პირობებში მათ დიდხანს შეინარჩუნეს თავიანთი ადათ-წესები და კულტურული ტრადიციები. საფეიქრო საქმიანობით მხოლოდ ქალები იყვნენ დაკავებული.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდის თუში და ხევსური მოსახლეობის ოთახის მორთულობები – ხალიჩები და ფარდაგები, ტანსაცმლის ყველა აქსესუარი მზადდებოდა მატყლისგან. მათი გემოვნებით შესრულებული ორნამენტები, ფერთა დახვეწილი შეფარდება იმ ძველ საამაყო ტრადიციებს შეგვახსენებს, ოდითგანვე რომ მოსდგამდა ქართულ ხელსაქმეს. აღსანიშნავია, რომ თუშური ცხვრის მატყლი, რომელიც განეკუთვნება უხეში მატყლის სახეს, გამოირჩევა უნიკალური ტექნოლოგიური თვისებებით (სიგრძე, სიმსხო, ხვეულობა). სხვა უხეში მატყლის სახეობებისაგან განსხვავებით, იგი ნაზი და რბილია, რაც განაპირობებს გრეხვისა და გაჭიმვის მიმართ მის გამძლეობას. შალის ნართის შესაღებად ბუნებრივ საღებავებს იყენებდნენ. ქართულ ფერებად მიიჩნევა ლურჯი, შინდისფერი, შაბიამნისფერი, მუქი მწვანე.

თავისი სტილით, ფერადოვნებით ფორმითა და სიდიდით ქართული ხალიჩა აღმოსავლურ ტიპს მიეკუთვნება. მისთვის დამახასიათებელია თანაბარი ხაზები, გამოყვანილი მედალიონები, ეროვნული ორნამენტები. ხალხურ ოსტატთა თაობების შემოქმედებაში მხატვრული ხალიჩის ორნამენტი სულ უფრო სრულყოფილი, დახვეწილი და ლამაზი ხდებოდა. ხალიჩის ფონი ზოგჯერ თეთრი ძაფისაგან მზადდებოდა და ფერადი ორნამენტით ირთებოდა.

ფარდაგი ეროვნული ქართული გობელენია. ის იქსოვება ტილოს ხლართით, აქვს დამახასიათებელი კომპოზიციური წყობა. იგი შედგება სამი ნაწილისაგან: გულის, დეკორისა და არშიისაგან. მისი ზედაპირი სადა და გლუვია და ძირითად გამომსახველობით საშუალებას ერთი ფერის ფონზე

განლაგებული ორნამენტი წარმოადგენს. მისი მთავარი ფერებია: თეთრი, შავი, მწვანე, ლურჯი, მუქი წითელი და ყვითელი. ფარდაგი განსაკუთრებული თვითმყოფადობით გამოირჩევა, მეტად გამძლეა, აქვს ორიგინალური ორნამენტები, რომლებიც აღმოსავლურს სრულიად არ ჰგავს.

ტრადიციული, ხელით ნაქსოვი ხალიჩა და ფარდაგი ტექნიკური შესრულების მაღალი ხარისხით, სიმკვრივით, კვანძის საიმედო ჩამაგრებით, ხალხური ორნამენტების სირთულითა და ფერადონებით გამოირჩევა. მათში ფიგურებითა და სიმბოლოებით ქართული სულია ჩაქსოვილი, რაც ჩვენი ქვეყნის, როგორც უძველეს ცივილიზაციაზე საინტერესო რელიგიურ და რიტუალურ ინფორმაციას იძლევა. ქართული ხალიჩების (ხევსურულ) ორნამენტებში ჯვარი და გეომეტრიული სახეები დომინირებს. ჯვარი ხევსურებისათვის ბოროტის ძღვევის სიმბოლო გახლდათ. ქართული ხალიჩების და ფარდაგების კომპოზიციურ შინაარსში ასახვა პოვა გარემო სინამდვილემაც – ცხოველებმა, მცენარეებმა, სხვადასხვა ყოფითმა საგნებმა. ხშირად გვხვდება იმგვარი კომბინირებული ნახატი, როცა მცენარეულ ორნამენტში ოსტატურადაა ჩაქსოვილი ცხოველების, ფრინველების, ადამიანების სტილიზირებული ფიგურები. მიუხედავად სიბრტყობრივი ნახატისა, ეს ფიგურები თითქმის მუდამ მოძრაობაშია მოცემული.

ფარდაგების და ხალიჩების სახეების ნიმუშების ალბომი მთიულებს არ მოეპოვებოდათ. ისინი ნიმუშებს ძველი ფარდაგებიდან იღებდნენ ან ახალი ნიმუშების მხატვრულ კომბინაციებს თვითონვე ქმნიდნენ. მიუხედავად ორნამენტიკისა, სტილისტური იერის დაცვისა და შენარჩუნებისა, მათი ნიმუშები არასდროს მეორდება. თითოეული ოსტატი ცდილობდა გამოეყვინა შემოქმედებითი ფანტაზია და დეტალებში სიახლე შეეტანა, ამავე დროს არ დაერღვია კომპოზიციის არსი – ჯვარი, როგორც უფლის დიდება და მისი მფარველობის გამოსახულება. ამრიგად იქმნებოდა დეტალებისა და ვარიანტების გასაოცარი ნაირგვარობა.

ამჟამად საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მკვეთრადაა შემცირებული მოსახლეობის რაოდენობა, თუმცა იქ კიდევ არის დარჩენილი ოჯახები, რომლებიც არ ივინყებენ ხალიჩებისა და ფარდაგების ხელით ქსოვის ტრადიციას. ამ სფეროში მოღვაწე ფოლკლორისტები ოჯახებში აგროვებენ ხალიჩებისა და ფარდაგების ნიმუშებს, თავიანთ შემოქმედებაში მხატვარ-დიზაინერები იყენებენ ქართულ ორნამენტს და ინარჩუნებენ მის თვითმყოფადობას.

დღეს საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა ძველი ხალხური რენვის ტრადიციების აღდგენასა და შენარჩუნებას... ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი „მთიები“ (www.mtiebi.ge) დღიდან დაარსებისა ემსახურება მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს ტრადიციული ქართული ხელთნაქსოვი ტექსტილი და ამასთანავე, შეძლებისდაგვარად თანამედროვე მოთხოვნებს შეუხამოს ისინი. ფოტოებზე მოცემულია ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი „მთიები“ დიზაინერის ნინო ქუმსიაშვილის ესკიზებით შესრულებული ფარდაგები და ხალიჩები.

Anna Dogonadze, Tamar Moseshvili

GEORGIAN NATIONAL WEAVING

Situated in the southern Caucasus, Georgia is a country of ancient history and rich culture. Sheep breeding as well as silk farming has been widely-spread here since ancient times. There are various archeological artifacts which prove that fact: stone and clay thimbles, textile samples, parts of looms etc. The Georgians managed to create unique and astonishing art by preserving and then developing traditions. The roots of these traditions go far back to the old centuries.

One of the well-developed fields of old Georgian arts and crafts was weaving and textile decorating. The process of weaving carpets and rugs has been popular since the times immemorial.

Georgian carpets and rugs have always distinguished with their fascination and special coloring. Different regions of Georgia developed their own weaving traditions. Masters used to pass on the torch to future generations. That is how all that has reached the present days.

In mountainous parts of Georgia (Khevsureti and Tusheti) sheep breeding was very developed. Therefore, abundance of wool and various natural paints contributed to the development of weaving. Even the severe Caucasian climate helped and affected formation of characters of the masters. Living far from the main roads and trade centers, secluded in high mountains, they belonged to themselves. In these conditions they were creating what is now considered as Georgian national arts and crafts. The other interesting fact is that only women were involved in the weaving process.

Before the first half of XX century houses of Tusheti settlers were decorated with carpets and rugs. All parts of their clothes were made of wool as well. Their tasteful ornaments and color schemes remind us of our old culture and traditions we are so proud of. It should be mentioned that tushetian wool belongs to the category of tough wool but has some characteristic peculiarities. Unlike the samples of its category, tushetian wool was softer, neater and much stronger. For dying this material Tushetian settlers used only natural paints. Dark blue, wine-colored red, turquoise and dark green – are traditionally considered as Georgian colors.

By its style, color spectrum and shape the Georgian carpets belong to the Asian type. The characteristic features of this type are: equal parallel lines, subtle refined roundels, national ornaments. Looking through the woven samples of various periods, we can say for sure that their ornaments were becoming more and more perfect, exquisite and refined. Sometimes the ground of the carpet was made from white thread which was decorated with colorful ornaments. The carpets represent Georgian national tapestry. They were woven using a canvas weaving style and technique and had a characteristic compositional line. That line consists of three main parts: inner part or core, decoration and lace. The surface of the carpets was smooth and plain. Each of them mostly represents a composition of one colorful ornament on the monochrome ground. The dominant colors are: white, black, green dark blue and yellow. The carpets are strong and enduring, have fine ornaments which are quite different from the Asian ones.

Characteristic features of the Georgian national carpets are high quality of technical implementation, resiliency, multiplicity of ornaments and iridescence. Georgian soul is woven in these ornaments and symbols. They give us a lot of information about our religion, customs and traditions. Mountains and natural environment have also become reflected on the carpets: animals, plants and herbs, various common domestic items etc. Sometimes we can find combined ornaments on the carpets and rugs

as well. E.g. plants, animals, birds and a man are organically united in one composition. Mostly all the figures of the ornaments are represented in motion.

Mtiulian weavers did not have any special albums or collection of ornaments. They usually copied ornaments from the old carpets and rugs and at the same time thought out new compositional ornaments spontaneously right during the weaving process. Despite of the wholeness of the general style and stylistic of the work, the ornaments itself never repeated. Each master was eager to be distinguished, creative and originative. At the same time they remained the core, the main point of the composition- a cross, a symbol of respect to God, a sign of his power.

Nowadays we are observing a decrease of population in the mountainous parts of Georgia. Despite this fact, there are still some families there who keep and follow traditions of the ancient Georgian weaving. There are also a lot of folklorists, who travel in these regions and collect new and old carpets and rugs. Many Georgian designers use traditional ornaments in their oeuvre and therefore contribute to the preservation of their identity.

Great attention is being paid to the restoration of weaving traditions in Georgia nowadays. “Mtiebi” – an International Centre of Renaissance and Development of traditional Georgian Culture has been serving the present and future generations since the day of establishment in order to revive traditional woven textile and match it to the modern demands. In the photos you see carpets and rugs made according to the drafts of Nino Kumsiashvili.



ელისო ჩუბინიძე

ორნამენტული დეკორი და ქრისტიანული სიმბოლიკა საბუხარტა ქველ ქართულ ნაქარგობაში

გარდასულ საუკუნეთა ქართული კულტურის ერთ-ერთი დარგი — ნაქარგობა მრავალფეროვანი სახითაა დაცული ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ქსოვილების ფონდში. მათი დიდი ნაწილი ქრისტიანული საეკლესიო ხელოვნებით არის წარმოდგენილი. რელიგიური დანიშნულების მხატვრული ქარგვის ნიმუშთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბუხარტების კოლექციას. მრავალი მათგანი ყურადღებას იპყრობს სინატიფითა და შესრულების სრულყოფილებით, მწყობრად აგებული კომპოზიციით, დინამიურობით გამორჩეული ნახატი, განსხვავებული იკონოგრაფიით, გემოვნებით შეხამებული ფერადოვნებით და საინტერესო პალეოგრაფიული წარწერით.

მუზეუმის საინვენტარო ნიგნებში გიორგი ბოჭორიძის, ტრიფონ ჯაფარიძის, პეტრე ჭაბუკიანის, სიმონ ლორთქიფანიძის, კონსტანტინე ძონენიძის, ისიდორე კვიცარიძის და სხვათა მიერ შეგროვილ ნიმუშთა შესახებ მხოლოდ ზოგირთი მათგანის მოკლე აღწერლობაა მოცემული. არც დოკუმენტური მასალა არსებობს იმისა თუ სად და ვის მიერ იქმნებოდა ეგოდენ სრულყოფილი ნამუშევრები. მხოლოდ დღემდე გადარჩენილ ნიმუშთა უშუალო დაკვირვების მიხედვით შესაძლოა ვიმსჯელოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის ყველა დეტალზე: ამ ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სტილისტურ-იკონოგრაფიულ ნიშნებზე, ეპოქის სტილზე, ევოლუციის პროცესზე, რომელიც ორგანულად ერწყმის ქართული საეკლესიო ხელოვნების განვითარების ძირითად ხაზს.

მუზეუმის ფონდში საცული საბუხარტების კოლექცია ძრითადად მე-17 — მე-19 საუკუნეებისაა. მათ შესამკობად გამოყენებული მოტივები თავისი ხასიათით ქართული ორნამენტული ხელოვნების სფეროს განეკუთვნება, რომელიც თავისი ფესვებით ღრმად იჭრება საუკუნეების სიღრმეში, გამჯდარია ხალხის წარმოდგენაში და გამოყენებულია ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ძეგლებზე — ქვაზე, ხეზე, ლითონზე, ფრესკულ და მინიატურულ მხატვრობაში, რაც ქსოვილთა შემკობის ადგილობრივ ტრადიციაზე მეტყველებს [დ. აბუანდაძე 1972: 94].

მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა სამოსი, რომელიც იკერებოდა და შემდგომ იმკობოდა ნაქარგი სახეებით ცხადია ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდებოდა და ეკლესიური აზროვნებისა და ეკლესიური ცხოვრების ნაყოფი იყო. ამიტომაცაა, რომ სამოსის ფერი, მასალა, რითაც იგი იქარგებოდა და ამ მასალით შესრულებული მრავალფეროვანი სახეები თუ კომპოზიციები ქრისტიანული სიმბოლიკით არის განპირობებული, ეკლესიის ნიაღშია დავანებული და ფუნქციონალურ-რიტუალური დანიშნულება გააჩნიათ, რომელთა არსი ღვთისმსახურების აღსრულებისას იხსნება.

საბუხარი წარმოადგენს საეკლესიო შესამოსელის ერთ-ერთ დეტალს, რომლითაც იმოსება როგორც დიაკვანი, ისე მღვდელი და მღვდელმთავარი საეკლესიო მსახურების შესრულების დროს. მისი ფორმა და სახელწოდება მაცხოვრის მიწიერ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული და ცვალებადობის ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. საბუხარი, ბერძნულად — «ἑπιμαυικία» ეპიმანიკა, ლათინურად — «Manipulla» მანიპულა, რუსულად — «Паручи» პარუჩი ტრაპეციის მსგავსი სამაჯურია, რომელიც მაჯაზე იცმევა. მისი საშუალებით, ორ მხარეს დაკერებულ ლითონის რგოლებში „ხლათების“ (თასმების) გარდიგარდმო მჭიდრო მოხვევით შიგა სამოსის სახელოები მაღლა იწევა და ღვთისმსახურებისას სამოსის ტარება მოხერხებული ხდება. სიმბოლურად ეს ის თოკია, რომლითაც მაცხოვარს ხელები დაუბორკეს, როცა ის პილატესთან მიჰყავდათ. თეოლოგიური თვალსაზრისით — აძლიერებს ღვთისმსახურის ხელებს და შეახსენებს მას რომ იგი მსახურებისას ეყრდნობა არა მარტო საკუთარ ძალებს, არამედ მაცხოვრის ყოვლისშემძლეობას. [მლ. რ. გიგაუროვი 1875: 68].

საქართველოში საბუხარების უძველეს სახეობას მაჯაზე დახვეული ფესვედი სამოსის თასმები წარმოადგენდა. მას ადრეული პერიოდის რელიეფის, კედლის მხატვრობის თუ მინიატურის ნიმუშებზე ვხვდებით.

საბუხარების ტარების უფლება, როგორც სხვა საეკლესიო ნივთებისა შეზღუდული იყო, ითვალისწინებდა რა იერარქიულ საფეხურებს და გარკვეულ კანონს ექვემდებარებოდა. მისი შემოსვისას სასულიერო პირი წარმოთქვამს ლოცვებს, რომელთა ფრაგმენტები გარს შემოუყვება საბუხართა კიდეებს (ინვ. №6650, 6550). წარწერები იწყება კანონიკური ტექსტებით და მთავრდება საქტიტორო წარწერებით:

„მარჯვენა შენი უფალო დიდებულ არს ძალითა შენითა, მარჯვენამან შენმან, უფალო, მოსრნა მტერნი და სიმრავლითა დიდებისა შენისათა შემუსრა მხდომი იგი“ [გამოსვლა 15,6].

„ხელთა შენთა შემქმნეს მე და დამბადნეს მე, გულის ხმა მიყავ და ვისწავლნე მე სიმართლენი შენნი“ [ფსალმუნი 118, 73-74].

„მოიხსენე უფალო ... ამინ“ (სურ. 1. ა - ი).

ბერძნულ და ლათინურ ტერმინში საბუხარის საწყისი ფორმა ხელსა და ძალასთანაა დაკავშირებული. „ეპიმასამე“ ნიშნავს ირგვლივ შემოტარებას, გარს შემოხვევას. ლათინური „მანიპულა“ კი დაგრეხილ, დანულ თოკს. „მანიპულა“ წარმოებულია სიტყვა „მონიკადან“, რომელიც ნიშნავს სახელოს ხელის მტევნამდე. ასეთ სამოსს ატარებდნენ ქალები რომსა და საბერძნეთში. საბუხარის მეორე მნიშვნელობა — „ხელის ბორკილი“ მხოლოდ ქართულ სახელწოდებაში ჩანს. ქართული საბუხარის ძირი არის „საბელი“, რაც თოკს — ბანარს ნიშნავს. ეს ტერმინი ხშირად გვხვდება სასულიერო წიგნებში: **„საბელნი ცოდვისანი მომეხვივნეს მე“ [ფსალმუნი 39,6].** სულხან-საბას მიხედვით ტერმინი „საბრხე“ და „საფრხე“ ნიშნავს მახეს, ხაფანგს, საცდურს. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში „ბუხავი“ ნიშნავს ჯაჭვს, ბორკილს; იმერხეულ დიალექტზე — ფალვანდს. ეს კი იმ აზრს ადასტურებს, რომ სწორედ საბუხარის ქართულ სახელწოდებაშია გამომხატული ამ სამოსის არსი — მაცხოვრის ბორკილის სიმბოლო **[ქართული ნაქარგობა 2011: 230].**

ძველად საქართველოში საბუხართა ზედაპირზე ქარგავდნენ „ზიარების“, „მსხვერპლის თაყვანისცემის“, „ხარების“, „გველეშაპის ჯვრით დათრგუნვის“ და სხვა კომპოზიციებს. (ჩვენს ფონდში საბუხართა უძველესი სახოვან გამოსახულებიანი ნიმუშები არ მოგვეპოვება). ზოგიერთი მათგანი შემკულია მხოლოდ ორნამენტული დეკორით, ე. წ. „ჯვარი ალყავებული“. ჯვრის ირგვლივ ორივე მხარეს მცენარეთა მრავალფეროვანი სახეებია, რომელთაც გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვთ.

ქრისტიანობამ თავისი განსაკუთრებული ცხოვრებისეული პრინციპი, განსაკუთრებული მსოფლმხედველობა და განსაკუთრებული „სტილი“ შექმნა ხელოვნებაში. გამოსახულებათა თემატიკა, როგორც სუფთა სიმბოლური, ისე სიუჟეტური, უმეტესად წმინდა ტექსტებს — ძველ აღთქმისეულს, ახალ აღთქმისეულს, საღვთისმახუროს და წმიდა მამათას შეესაბამება. პირდაპირი გამოსახულებების გვერდით განსაკუთრებით გავრცელებულ როლს თამაშობდა სიმბოლოთა ენა. ეს სიმბოლოზში იმ აუცილებლობით აიხსნება, რომ ხელოვნების საშუალებით ცდილობდნენ გამოესახათ ის ჭეშმარიტებანი, რომლებიც პირდაპირ გამოსახვას არ ექვემდებარებოდა. ასეთი დატვირთვა ხელოვნებას ძველი აღთქმის მიხედვით დაუკანონდა, მაგრამ ახალმა რელიგიამ სხვა მოთხოვნებიც წარმოშვა...

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში საეკლესიო ხელოვნების სიმბოლიკა ძირითადად იკონოგრაფიული იყო, რომელიც როგორც გამომხატვის ფორმა, ერთხელ ნაპოვნი მთელი ეკლესიის მიერ და მიღებული, უკვე აღარ იცვლებოდა და მთელ ქრისტიანულ სამყაროში გამოიყენებოდა. იგი საერთო სიმბოლური ენის შემადგენლობაში შედიოდა და ყოველი ქრისტიანისათვის მისაწვდომი და

გასაგები იყო, მისი ეროვნებისა და კულტურისაგან დამოუკიდებლად [უსპენსკი ლ. 2010: 77].

ქრისტიანულ ხელოვნებაში გამოსახულებანი დეტალების მინიმუმამდე დაიყვანება და ეს ლაკონიზმი, გამობატვის საშუალების სიძუნწე შეესაბამება სახარებისეული თხრობის ლაკონურ და თავშეკავებულ ხასიათს. სახარებაში კაცობრიობის ისტორიის გადამწყვეტ მოვლენებს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ეძღვნება. ასევე წმინდა გამოსახულებაც მხოლოდ ძირითადს გვიჩვენებს, რითაც ნაწარმოები უმაღლეს უბრალოებამდე მიიყვანება, რომლის შინაარსის სიღრმე მხოლოდ სულიერი ხედვისათვის არის მისაწვდომი.

ქრისტეს უშუალო გამოსახულებების გვერდით მრავალ სიმბოლურ გამოსახულებებს ვხვდებით, როგორცაა კრავი, მწყემსი კეთილი, თევზი, ღუზა, კიდობანი, ვაზი და ა. შ. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფორმის, ფერისა და წმინდა რიცხვთა სიმბოლიკას.

მოცემულ სტატიაში ქრისტიანულ სიმბოლოთა მხოლოდ რამდენიმე მაგალითი განიხილება, რომელიც ქრისტიანული ხელოვნების დანიშნულების, მისი მნიშვნელობისა და შინაარსის გაგებაში დაგვეხმარება.

პირველ საუკუნეთა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლო **თევზი** იყო. ქრისტიანთა მიერ ამ სიმბოლოს მიღებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თევზი სახარებისეულ თხრობაში დიდ როლს თამაშობს. თვით მაცხოვარი არაერთხელ სარგებლობს თევზისა და თევზჭერის სახეებით: მეზადურებს „კაცთა მესათხვეველებს“ უწოდებდა, ცათა სასუფეველს ბადეს ამსგავსებს, რომელიც სავსეა ყოველგვარი თევზით [მათე 4,9; მარკოზი 1,17].

ქრისტიანობაში ამ სიმბოლოს გავრცელებას სხვა საფუძველიც ჰქონდა, კერძოდ, ხუთი ასოს მნიშვნელობა — რომლისგანაც ბერძნული სიტყვა „თევზი“ **ΙΧΘΥΣ** (იხთის) შედგება — „იესუს ხრისტოს თეუ იოს სოტერ“ — იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მაცხოვარი. (ნახ.1). თევზის სიმბოლიკა წყლის სიმბოლოსა და ნათლობის საიდუმლოსთანაცაა დაკავშირებული. ყველაზე მეტად ამ სიმბოლოს ევქარისტიული მნიშვნელობაა ხაზგასმული, როცა ტრაპეზზე პურის გვერდით თევზს გამოსახავენ. თუმცა თევზი არასოდეს გამოუყენებიათ საიდუმლოს აღსრულებისას, იგი მხოლოდ პურისა და ღვინოს მნიშვნელობაზე მიუთითებდა (ნახ. 2).

მაცხოვრის განსაკუთრებით გავრცელებული სიმბოლური გამოსახულება იყო მისი ძველალთქმისეული წინასახე — **კრავი**, რომელიც ქრისტიანულ ხელოვნებაში პირველი საუკუნიდან ჩნდება. მთის წყაროს მსმელი კრავები — სახარების მოძღვრების ცხოველი წყლით ადამიანთა სულების დარწყულებაზე მიუთითებდა. თუნ კრავი ორი იყო, ეს ისრაელის და წარმართთაგან შედგენილ ეკლესიაზე მეტყველებდა. ადრექრისტიანული ხელოვნების სიმბოლო „ტარიგი ღვთისა“, რომელმან აღიხვნეს ცოდუანი სოფლისანი“ საეკლესიო მხატვრულ ქარგულობაში შემოთავაზებულია ღრმადგააზრებული იკონოგრაფიული მეტყველებით. მქარგველები ნაცნობ თემატიკას ახალ-ახალი დეტალებით ავსებდნენ. მიუხედავად მე-7 საუკუნის ტრულის კრების დადგენილებისა, აღარ გამოესახათ კრავი, როგორც ძველი ალთქმის შესანიშნავი, კიდევ დიდხანს ენაცვლებოდა მაცხოვრის პირდაპირ ხატებს (ნახ.3).

„მწყემსი კეთილი“ გამოსახულება მჭიდროდაა დაკავშირებული კრავის სიმბოლოსთან და ბიბლიურ ტექსტებზეა დაფუძნებული. წინასწარმეტყველები ეზეკიელი (თავი34) და დავითი (22 ფსალმუნი) ისრაელს ცხვრის ფარად წარმოსახავენ, რომლის მწყემსი ღმერთია (ნახ.4). ქრისტეც ამ სახეს საკუთარი თავის მიმართ ხმარობს: **„მე ვარ მწყემსი კეთილი“** (იოანე 10.14) ან **„არა მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედელთა სახლისა ისრაელისათა“** (მათე 15, 24). ქრისტიანობამ ამ იკონოგრაფიული ტიპის მიღებისას გარკვეული დოგმატური შინაარსი ჩადო: მწყემსი კეთილი — განხორციელებული ღმერთი თავისი მხრებით დაკარგულ ცხვარს — დაცემულ ადამიანურ ბუნებას ატარებს და მას საკუთარ ღვთაებრივ დიდებასთან აწყვილებს [ლ. უსპენსკი 2010: 78].

ისეთი სიუჟეტებიც კი, რომელიც ერთი შეხედვით სუფთა დეკორატიულად ჩანს, დაფარულ შინაარსს ატარებს, როგორც მაგალითად „ვაზი“ . ეს მხატვრული ფორმაა, რომელიც მაცხოვრის სიტყვებს შეესაბამება: „**ვითარცა — იგი ნასხლევსა ვერ ხელ-ენიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თვისით, უკეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა. მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი, რომელ დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თვინიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი**“ (იოანე 15. 4.). ამ სიტყვების შესაბამის გამოსახულებას საკრამენტული მნიშვნელობა აქვს. ვაზისა და მისი რტოების გამოსახულება ქრისტესა და მის ეკლესიაზე მიუთითებს. ხშირად გვდება ვაზის გამოსახულება ყურძნის მტევნებთან ერთად; ხანაც ჩიტები კენკავენ მარცვლებს. ასეთი გამოსახულებებით მიუთითებდნენ ეკლესიის მთავარ საიდუმლოზე — ევქარისტიაზე. „**ყურძენი გვაძლევს ღვინოს, როგორც სიტყვამ თავისი სისხლი მოგვცა**“ [კლიმენტი ალექსანდრიელი]. მტევნების მკენკავი ჩიტები ქრისტიანებს წარმოადგენენ, რომლებიც ქრისტეს ხორცს ეზიარებიან. ვაზი დეკორატიული სიუჟეტის სახით ეკლესიაში დღემდე განაგრძობს არსებობას იგივე სიმბოლური მნიშვნელობით. (ნახ.5). ძველ აღთქმაში, ქანაანის მიწიდან მოსეს წარგზავნილების მიერ ყურძნის მოტანა აღთქმისეული მიწის სიმბოლო იყო. ამიტომ ახალ აღთქმაში იგი ასევე სამოთხის, იმ მიწის სიმბოლოდ ჟღერს, რომელიც აღთქმულია მისთვის ვინც ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარება [ლ. უსპენსკი 2010: 79]. „**და მოვიდნეს იგინი ხევამდე ტევნისა და განიმსტურეს და მოჰკუეთეს მიერ რქაჲ და ტევანი ყურძნისაჲ და წარიღეს იგი მხრითა აღებითა**“ (რიცხვთა 13-23). წმიდა იპოლიტე რომაელის თანახმად: „**სულიერი ვენახი მაცხოვარია, ტროები და ლერნები — მორწმუნე ადამიანები, მტევანი — მონამენი**“ [იპოლიტე რომაელი 1988. 314]. ეტვიფანე კვიპრელი მაცხოვრის შესახებ წერდა: „**რომელ არს წყარო ცხოვრებისაჲ და მშვიდობისა ჩვენისა სიხარული, ახლისა ვენახისა კვირტი, რომელმან ტევანი გამოიღო კურთხევისა და დაჰსხნა სალმობანი ჩვენნი დღითიდღენი სუმისა მის სისხლისა ქრისტესითა, რომელმან მოგვანიჭა ჩვენ ჭეშმარიტი**“ [ეტვიფანე კვიპრელი 1959: 47].

ქართველი ოსტატებიც თავისი ნაწარმოების შექმნისას კვალში მიჰყვებოდნენ მათ თანადროულ თეოლოგიურ აზროვნებას, ქრისტიანული ცენტრებიდან შემოსული ნიმუშების გამოყენებისას შესაშურ ნიჭსა და გამომგონებლობას იჩენდნენ და ზუსტად უფარდებდნენ ერთმანეთს მათ წინაშე მდგომ მხატვრულ-თეოლოგიურ ამოცანებს. [გ. ბარათაშვილი 2003: 111]. ვაზისა და ვენახის, იგივე „სიცოცხლის ხის“ თემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ორნამენტულ კამპანიაში. იგი გვხვდება როგორც ქვის რელიეფებზე (ბოლნისი, ნილკანი, საფარა, ბანა, ოჰკი, ბაგრატიის ტაძარი, ნიკორწმინდა, სამთავისი, სვეტიცხოველი, ანანური და ა. შ.) (სურ.2) ლითონზე პლასტიკის (ანჩისხატი, ხახულის კარედი, ვედრების ხატი მღვიმიდან, მაცხოვრის ხატი გელათიდან და ა.შ.), ხის მხატვრული კვეთის (აღსავლის კარები) და ნაქარგობათა ნიმუშებზე (დაფარნები, კრეტსაბმელები, ენქერები, სარტყელები, საბუხარები).

მე-17 მე-18 საუკუნეთა მიჯნაზე სხვა მართლმადიდებლური ქვეყნების (საბერძნეთი, რუსეთი, ბულგარეთი, მოლდოვა-ვლადიკავრნი, სერბეთი და სხვა) საეკლესიო ნაქარგობათა იკონოგრაფიის მსგავსად საქართველოშიც საეკლესიო მსახურთა სამოსის მხატვრული ქარგულობით შემამკობელ ოსტატთა ყურადღება ძირითადად წარიმართებოდა მხატვრულ ამოცანათა დეკორატიული გადაწყვეტის მიმართულებით. საეკლესიო დანიშნულების მთელ რიგ ძეგლებზე, მათ შორის საბუხარებზეც სიმბოლური მნიშვნელობის მცენარეულმა ორნამენტმა და ნიშნებმა მთლიანად შეცვალეს გამოსახულებანი. ითვალისწინებდნენ რა იკონოგრაფიაში მიმდინარე ცვლილებებს, ქართველმა ოსტატებმაც შეიმუშავეს დეკორატიული აღქმის საკუთარი მეთოდები სიუჟეტის გარდასახვისათვის და ახალ სიმბოლურ ენაზე აამეტყველეს მრავალსიუჟეტური ნაწარმოებები. ისინი არა მარტო ავითარებდნენ მათ მიერ შემუშავებულ ორნამენტულ მოტივებს და სქემებს, არამედ ეძებდნენ დეკორატიული გააზრების ახალ-ახალ გზებს. ასე იქმნებოდა ქართველ ოსტატთა

ორიგინალური აზროვნების, განუმეორებელი სილამაზის ნიმუშები, სადაც ყველა დეტალში გარკვეული სიმბოლური აზრია ჩადებული.

ორნამენტულ დეკორში ჩადებული სიმბოლიკის მიზანია „სიმბოლო-ნიშნებით“ გადმოსცეს „სიტყვა უფლისა“ და სრულიად განსაზღვრული, სარწმუნოების გამომხატველი ფორმებითა და სახეებით ნაქარგობათა მხატვრულ ნიმუშებში მართლმადიდებლური ეკლესიის არსი აამეტყველოს. მქარგველნი, კარგად დაუფლებულნი ქარგვის ტექნიკას, ასევე შესანიშნავად ერკვეოდნენ თეოლოგიასა და ქრისტიანულ სიმბოლიკაში. მცენარეული სამყარო განუსაზღვრელ საზრდოს იძლეოდა ახალ-ახალი ფორმების შესაქმნელად. მათი სტილიზაციის შედეგად ზოგჯერ ძნელია შეიცნო ორნამენტში ჩადებული ამა თუ იმ მცენარის სახე.

ორნამენტულ საბუხარებზე ეს „სიმბოლო-ნიშნები“ ჯვრის ირგვლივ განვითარებულ დეკორშია ასახული. ვერტიკალურად აღმართული ჯვარი წრმოადგენს ცენტრალური კომპოზიციის იდეურ ღერძს, რომლის ლოგიკური გაგრძელებაა ფიგურულ გამოსახულებიანი, მთლიანად სიმბოლური ხასიათის მცენარეული ორნამენტი, ისეთივე კანონიზებული, როგორც საბუხარის ფორმა, ფერთა გამა და ხმარების წესი. მცენარეთა სახეები ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წერილს უკავშირდება. ბრონეულის, შრომანის, მაყვლის, მიხაკის, უსუბის, მირტას, ლოტოსისა და სხვა მცენარეთა საშუალებით შედგენილ კომპოზიციებში ისევე სრულყოფილად წარმოჩინდება ესა თუ ის იკონოგრაფიული თემა ან სახარებისეული ტექსტის ილუსტრაცია, როგორც კომპოზიციათა სახოვანი გამოსახულებების გადაწყვეტისას. მთლიანობაში ორნამენტული დეკორი ზეცა-მინიერის ერთობლიობას განასახიერებს, სადაც ზეციურის სიმბოლო ჯვარია, მინიერის კი მცენარეული ორნამენტი.

ჯვარი ქრისტიანთათვის მუდმივმყოფობის და უცვლელობის სიმბოლოა, სიმბოლო კაცობრიობის ხსენისა. მისი ჰორიზონტალური მკლავი მაცხოვრის მინიერ ცხოვრებას განასახიერებს, ხოლო ვერტიკალური ღვთაებრივ ძალასა და ზეციურ მადლს. ჯვარი ქვეყნიერების სიმბოლოცაა, მისი ოთხი მკლავი დაკავშირებულია ქვეყნიერების ოთხ მხარესთან და წარმოადგენს ოთხი მიმართულებით გაშლილი სამყაროს ცენტრს. საბუხარებზე სხვადასხვა ტიპის ჯვრებია გამოსახული: **„გოლგოთის“** ანუ **„ვნების ჯვარი“** — სიმბოლო კაცობრიობის გამოსხენისა; **„ჯვარი ალყავებული“** — იგივე ხე ცხოვრებისა, როგორც განედლებული, განახლებული ცხოვრების სიმბოლო (ნახ.6). **„ჯვარი გაბრწყინებული“**, **„სხივანა ჯვარი“** — მკლავების გადაკვეთაზე გამოსული სხივები ღვთაებრიობის ბრწყინვალეობად მოიაზრება. საბუხართა ორ წყვილზე გამოსახულია ე. წ. **„თამარის ჯვარი“**, რომელიც **„სხივანა ჯვართა“** ტიპს მიეკუთვნება (ნახ.7).

„სამფურცლოვანი ჯვარი“ — ეს სახელწოდება ჯვრის მკლავების დაბოლოებების ფორმიდან მომდინარეობს, რომელიც სამყურა ფოთლებს გვანან. ქრისტიანულ სიმბოლიკაში ამ ფორმაში მოიაზრება წმიდა სამება (ნახ.8).

გვხვდება ჯვარი **„სამეუფო“** გვირგვინით — იგი უფლის მეუფების, მისი დიდების ნიშანია და იგი პირველად, როგორც წამებულის ჯილდო ქრისტეს ერგო, შემდგომ კი ქრისტიანთათვის იქცა მონამეობრივი ცხოვრების ჯილდოდ (ნახ.7).

საბუხართა ორ წყვილზე **„გაბრწყინებული ჯვრები“** შემკულია მარგალიტებით მარგალიტის უხვად გამოყენება მე-18 საუკუნისთვისაა დამახასიათებელი. **„მარგალიტის“** სიმბოლიკა მრავალმხრივია — კოსმიური სიცოცხლისა და ღვთიურობის სიმბოლო, იგი მხსნელის, მაცხოვრის სიმბოლოა, უფლის სიტყვაა, სიმბოლოა ასევე «ქალწულის შობისა», «ძვირფასი მარგალიტი» ადამიანის წყალში სანათლავად შთაფვლის გამოხატულებაა. კათალიკოსი ანტონ პირველი ასე განმარტავს: **«ძიება იგი უსასყიდლოსა მის მარგალიტისა არს უდიდესი ხმევაა სიბრძნისაა ფილოსოფოსობასა შინა უსალმრთესსა, ვითარმედ მაძიებელი იქმს...»** სახარებაში «უსასყიდლო მარგალიტი» სიმბოლოა

სასუფეველისა: **«მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებენ კეთილთა მარგალიტთა»** (მათე. 13,45). «სადაფის ნიჟარა» ორი ფრთით, რომელშიაც მარგალიტი «იბადება» ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლოა, ნიჟარაში მყოფი მარგალიტი მაცხოვრის, ხოლო სადაფი ღვთისმშობლის განსახიერებაა.

მცენარეული ორნამენტი სიმბოლოა სამოთხისა. სამოთხის, აყვავებული ბალის სახე განსაგნებულია უხვ მცენარეულ სამყაროსთან. ყვავილი მაცხოვრის ერთ-ერთი ეპითეტია: **«და მოვიდეს კვერთხი ძისაგან იესესა და ყვავილი ძირისაგან აღმოვიდეს»**. (ესაია 11.1) ქრისტიანულ, ხელოვნებაში «ბალ-ნალკოტის» გამოსახვის ძირითად წყაროდ «შესაქმეა» მიჩნეული (2.18-14). ღვთის ბალის აღწერას ვხვდებით დანიელ (4-9) და ეზეკიელ (31.6-8) წინასწარმეტყველებთანაც. ხოლო ცალკეული მცენარეები თავისი **აყვავებული და ნაყოფიერი** ტოტემით, აღნიშნავენ მაცხოვარს, ღვთისმშობელს, მახარებლბს, წმინდანთა დასს, რომელთა ამოქარგვა ცალკეულ კომპოზიციებში მათ თანდასწრებას გულისხმობს.

ორნამენტულ საბუხარებზე მცენარეთა სიმბოლო-ნიშნები ჯვრის ირგვლივ განვითარებულ დეკორში ასახული. ხეზე, რომელიც ორადაა განტოტვილი და ჯვარს შემოეველება, გამოსახულია ვაზის მტევნები, ბროწეულის ყვავილები, ლოტოსი, ზამბახი, შროშანი და სხვა. გამოსახვის ასეთი ფორმა უშუალო მინიშნებაშია აპოკალიფსში აღწერილი მრავალთესლა ხისა, რომელიც ზეციურ იერუსალიმში **«სიცოცხლის წყაროსთან»** ხარობს და **«ძელი ცხოვრებისას»** სახელითაა ცნობილი. იგი დაკავშირებულია **«მეორედ მოსვლასა»** და **«განკითხვის დღესთან»**. მრავალფეროვანი დეკორი საბუხართა ნაქარგობანზე «ბალ-ნალკოტის» გადმოსაცემად სხვადასხვა ვარიანტადაა გააზრებული: ა) დეკორი, რომელსაც ჯვრის ირგვლივ რომბებსაგან შემდგარ ბადეში ჩასმული აქვს მცენარეთა სახეები. ძირითადად ეს მცენარე სამყურა ფოთლების გამოსახულებას წარმოადგენს, რომელიც არცთუ იშვიათია ქართულ სინამდვილეში (ქ.5727/1-2); ბ) ერთ რტოზე განლაგებული ყვავილ-ფოთლოვანი მოტივი რომელიც ჯვრის ირგვლივ სიმეტრიულად იშლება და მთელ ფონს ფარავს (ქიმ. 6674, 6606, 6729 /1-2, ქ.6649/1-2). გ) დეკორი, როდესაც ჯვრის ირგვლივ გირლიანდებად შექმნილი რტო-ყვავილოვანი მოტივის რიტმულად განმეორება ხდება (ქიმ. 6739/1-2, 6621, ქ.6650, 6650/1).

საინტერესოა ცენტრალურ კომპოზიციათა გარს შემოვლებული ყვავილოვანი დეკორი, რომელიც ძირითადად შემდგარია სუროს რტოსა და უსუპის ღეროზე განლაგებული ყვავილებისა და ფოთლების მონაცვლეობით (6621). ზოგჯერ ეს დეკორატიული არშია სამყურასა და მაყვლის 6 სნ 8 ფურცლიანი გვირგვინის განმეორებებითაა შექმნილი (6650, 6651, 6674, 6606). (ნახ. 9).

ორნამენტად გამოყენებული ყვავილ-ფოთლოვანი გამოსახულებანი ნაზ, პლასტიკურ მოძრაობაშია მოცემული, რომელიც თითქმის კანონზომიერებას ემორჩილება, მაგრამ ამავე დროს ცალკეული დეტალების დინამიკა თავისუფალი და შეუზღუდავია. სხვადასხვა შეფერილობის ფონზე ფაქიზად შეხამებული ოქროსფერი და ვერცხლისფერი სახეები ანელებს ფონის სიმკვეთრეს და ნაქარგობებს სადღესასწაულო იერს აძლევს. როდესაც სიმბოლური ნიშნები მცენარეული სახეებით გამოგვცემს **«ლიტურგიკული მსხვერპლის»** «ზიარების», «მეორედ მოსვლის» და სხვა საიდუმლოთა იდეას, ფერის სიმბოლიკის გათვალისწინებით ოსტატი ხაზს უსვამს და მეტად ამყარებს თეოლოგიური პროგრამის ძირითად აზრს; ფერი საეკლესიო დანიშნულების ყველა ნივთზე თეოლოგიურ სიმბოლიზმს ემყარება. ქრისტიანულ ხელოვნებაში იგი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა. მე-6 საუკუნეში ბიზანტიის ფერთა კანონებში ჩამოყალიბებული იყო სპექტრის შვიდი ძირითადი ფერის გამოყენება. ამ ფერთა სტრუქტურაზე იქნა აგებული მთელი საქრისტიანოს ხელოვნება და მათ შორის ქართულიც:

ოქროსფერი და ვერცხლისფერი სიმბოლოა თვით ღმერთისა — „**მე ვარ ნათელ**“ (იოანე 8-12; 12-46) ფერთა შორის ოქრო თავისი ლითონური ბუნებით ყველაზე ახლო და პირდაპირი სიმბოლოა ღვთაებრივი ნათლისა. მისი ბრწყინვალება, ნათება, უფალზე პირადაპირი მინიშნებაა. სწორედ ამიტომ გამოიყენებოდა ოქრო შარავანდედების და ნაქარგობის ფონზე ზეციური საუფლოს აღსანიშნავად.

წითელი ფერის სიმბოლოებობა მრავალმხრივია: ხშირად უფლის მონამეობასა და მსხვერპლად გაღებულ სისხლზე მინიშნებს, ასევე უკავშირდება უფლის აღდგომას. ჟოლოსფერი, ენდროსფერი, წითელი ანუ ცეცლოვანი ფონი მეორედ მოსვლის, ცეცხლოვანი აღსასრულის მაუწყებელი ფერია.

ლურჯი, ცისფერი — მუდმივობის, სიმყარისა და ერთგულების სიმბოლოა. ამ ფერით ღვთისმშობლის ხსოვნისადმი მიძღვნილ დღესასწაულებში იმოსებიან.

მწვანე — სულიწმინდის, უფლის ცხოველმყოფელობის, სიცოცხლის, სიყმაწვილის, ახალი სიცოცხლის ფერია; დამამშვიდებელი, მაცოცხლებელი, აღორძინების მოლოდინის ფერი, რწმენის სიმბოლოა. ამ ფერის სტრუქტურა ცისფერის (ზეციურის სიმბოლო) და ყვითელის (ოქროსთან და სინათლესთან გატოლებული) ერთიანობაა. მწვანე ფერის სამოსით მაცხოვრის იერუსალიმში შესვლის, სულიწმინდის, მღვდელმთავართა და ეკლესიის ახალგაზრდა მოღვაწეთა მოხსენიების დღეებში იმოსებიან.

ლურჯისა და წითელის შერწყმა — ადამიანის განღმრთობის საიდუმლოებაა, ორი სხვადასხვა სამყაროს — მიწიერისა და არამიწიერის შეერთების სიმბოლოა. ამ ფერით (იისფერით) მაცხოვრისა და მისი ჯვარის მოხსენიების დღესასწაულებში იმოსებიან.

ყავისფერი ფერი — დედამიწის სიმბოლოა.

ნაქარგობათა მხატვრულ სახეებში ორნამენტის ასაგებად და კომპოზიციის გასამთლიანებლად ხშირად მიმართავენ გეომეტრიულ ელემენტებს, მასში ჩადებული ფორმათა სიმბოლიკით. რიტმული აქცენტების შესაქმნლად გამოყენებულია **სწორი და ტეხილი ხაზები** — მიწიერი ცხოვრების უარყოფის სიმბოლო. **წრე** — ფორმათა შორის ყველაზე სრულყოფილი და უნივერსალური სიმბოლოა. დაუსაბამობისა და უსასრულობის გამო ღმერთი წრესაა შედარებული: „**რომლის ცენტრი ყველგანაა, გარშემოწერილობა კი - არსად**“. წრის სიმბოლიკა წარმოადგენს ასევე თავის თავში ჩაკეტილ მეობას, სივრცის არ არსებობას „ზე“ და „ქვეს“ გარეშე. ორი წრის გამოსახვა კომპოზიციაში მაცხოვრის ორბუნებრიობის ნიშანია. **კვადრატი** — დედამიწის სიმბოლოა. **წრე და კვადრატი** - ზეცისა და მიწის ერთიანობაზე მიგვანიშნებს [ქართული ნაქარგობა 2011].

მზის, მთვარის, ვარსკვლავების გამოსახულებებს ასევე აქვთ სიმბოლოური დატვირთვა: სარწმუნოების მარადისობისა და უსასრულობისა. „**და სასწაული დიდი გამოჰსჩნდა ცათა შინა: და დედაკაცი რომელსა ემოსა მზე; და მთოვარე იყო ქვეშე ფერხთა მისთა**“ (გამოცხადება 12, 1). მზეში იგულისხმება ციური ძალები, ხოლო მთვარეში — ღვთიური ძალების ბატონობა მიწიერ ძალებზე, მიწიერ სიბრძნეზე.

ბეთლემის ვარსკვლავი სიმბოლოური განსახიერებაა ღმერთის განსხეულების სასწაულისა. იგი „შობის“ გარდა მაცხოვრის „ამაღლებასაც“ მინიშნებდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული **სამოთხის აყვავებული ბალის სახე განსახიერებულია** უხვ მცენარეულ სამყაროსთან, სადაც ცალკეულ მცენარეებს თავისი აყვავებული ტოტებით განსხავებული სიმბოლოური დატვირთვა აქვთ: ქრისტიანულ ხელოვნებაში **შროშანის** სიმბოლოებობა ძალზე ვრცელია: როდესაც საბუხარებს გარს უფლის შროშანებით შედგენილი ორნამენტული ზოლი, ამ შემთხვევაში იგი სიმბოლოა ღვთისმშობლის ყოვლადწმიდობისა, სისპეტაკისა, სუფთა უბინო სიყვარულისა.

შრომანი დაბლა დახრილი ფოთლებით მორჩილების სიმბოლოა, პირიქით თავანეული აღდგომის ზეიმისა. დანტე მას „რწმენის ყვავილს“ უწოდებს. ღეროდ აღმართული შრომანი — ღვთიური აზრის გამოსატყულებაა, სხვა ყვავილების ანალოგიურად, იგი სიმბოლოა „ზეციური სამოთხის“, ღვთისმშობლის საუფლო-სამყოფელისა. შრომანთა გამოსახულება საკმაოდ ხშირია ძველ ქართულ რელიეფურ პლასტიკაში და კედლის მხატვრობაში.

ზამბახის სიმბოლოურობა შრომანთანაა გაიგივებული.

ბროწეული — ეკლესიის სიმბოლოა. მისი წარმომავლობა ძველალექსისეულია, ჯერ კიდევ მოსემ უფლის ბრძანებით ამოაქარგინა მღვდელმთავრის სამოსზე, (გამოსვლა 39, 24, 66). ღმერთი ბროწეულის ნაყოფით თავის მონყალებას ავლენდა (ანგია 2-19) ამ აზრითაა გამოსახული ქრისტიანულ ხელოვნებაშიც.

ტიტა — მიღებულია, როგორც სამეუფო ყვავილი. ხშირ შემთხვევაში იგი გაიგივებულია ფარშევანგთან, რომელიც აღდგომისა და უკვდავების სიმბოლოა, მისი მრავალთვალისანი ბოლო ყოვლისმხილველი ეკლესიის გამოსატყულებაა.

ლოტოსის ყვავილი — ქრისტიანულ სიმბოლიკაში ლოტოსის ყვავილის ფურცელი და ფოთოლი წყაროა ყველა სულიერი შენევისა. სიმბოლო მზის, სინათლის და სულიერი აღორძინებისა, იგი კოსმიური სიცოცხლის წყაროს განასახიერებს. ქართულ ნაქარგობაზე მე-18 საუკუნიდან ჩნდება. მისი წარმომავლობა ეგვიპტურ კულტურას უკავშირდება, სადაც მზის ღვთაების „რას“ გამოსატყულება იყო. შლამიდან ამოსული სპეტაკი ლოტოსის ყვავილი სიმბოლოა ღმერთის უბინოდ შობისა. მისი სიმბოლიკა რენკარნაციასთანაცაა დაკავშირებული და ნიშნავს ჯერ დაკძალვას, შემდგომ აღდგომას. ქრისტიანობაში ლოტოსის ყვავილი ფორმის გამო იქცა ბარძიმის სიმბოლოდ.

უსუპი — მინიერი ცხოვრების ცოდვებისაგან განწმენდას გულისხმობს. „მასხურო მე უსუპითა და განწმინდენ მე, განმბანო და უფროს თოვლისა განვსპეტაკენ“ (ფსალმუნი 50). უსუპი არს ბალახი სუნნელი, უსუპით ასხურებდნენ ერსა განსაწმენდელად (სულხან-საბა). საბუხართა კომპოზიციაში უსუპის გამოსახვა გულისხმობს „კაცობრიობის ხსნას“, მის განწმენდას ცოდვებისაგან.

მაყვლის ყვავილი — „შეუწველი მაყვალის“, ღვთისმშობლის პიროვნებასთან დაკავშირებული და გაიგივებული სიმბოლო. ძველ აღქმაში მოსეს ქალწულის შობა ღვთის მიერ სინას მთაზე შეუწველი მაყვალის წინა სახედ ეჩვენა. ეს სიმბოლიკა ჰიმნოგრაფიაშიც არის ასხული: „**გისაროდენ ღვთისმშობლო სულიერო ტაძარო, რომელი ბუნებითა მაყვალსა მიემსგავსე**“ (ღვთისმშობლის დაუჯდომელი).

მიხაკი — ქრისტიანულ სიმბოლიკაში მონამეობის სიმბოლოა და მიჩნეული, რაც მისი ყვავილისა და თესლის ფორმითაა ნაკარნახევი. ამით მინიშნებულია „მხოლოდშობილის“ მონამეობრივი აღსასრული, რომელიც განსახიერებულია მაცხოვრის ვნების იარაღთან სამსჭავლთან კავშირში.

მირტა — სამეფურცლოვანი ბალახი, რომელიც გადმოცემით გოლგოთის მთაზე ამოვიდა მაცხოვრის ჯვარცმის დროს, სიმბოლოა წმინდა სამებისა.

გირლიანდა — ირგვლივ მოვლებული გირლიანდა ხაზს უსვამს ცენტრალური სცენის მნიშვნელობას, რომელიც ხან „საღმართო ლიტურგიაზე“ მიაწმენებს, ხანაც „ჯვრის თაყვანისცემას“, „ჯვრის დიდებას“, ხანაც მეორედ მოსვლასთან, უფლის გამოცხადებასა და განკითხვის დღესთანაა გაიგივებული.

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულ ნაქარგობაში შემთხვევითი ორნამენტული დეკორი არ გვხვდება. ეს ყველაფერი დაკავშირებულია იმ იკონოგრაფიასა და დოგმატიკასთან, რომელიც

ქრისტიანულ სარწმუნოებაში დევს. ორნამენტში ხშირად შევხვდებით სხვადასხვა სახის ორი ან სამი მცენარის შერწყმას, რაც ნცნობი ხერხია ქართული ხელოვნებისათვის. ეს მოვლენა გამოძახილს ნაქარგობაშიც პოულობს. მოჩარჩოებაში მაცვალის, მიხაკის, უსუპის, შროშანის, მირტას ყვავილები და ფოთლები მათში ჩადებული სიმბოლიკის გათვალისწინებითაა ამოქარგული, ესაა მაცხოვრის წამებისა და ამ მოვლენისას ღვთისმშობელის თანდასწრების წინასწარმეტყველების განცხადება. (ქ. 6674 ქიმ 6606) (ნახ.9. ა, ბ, გ). ერთ სიბრტყეში განთავსებული ასეთი დეკორატიული მოტივი მხატვრულ ქარგულობაში განიხილება, როგორც „მეტყველი“ ორნამენტული სახე, სადაც ასევე უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია წმინდა რიცხვთა სიმბოლიკა. ყვავილის, ფოთლის რაოდენობა და განლაგება შემთხვევითი არ არის: თუ **ორგზის** გამოსახულია — მინიშნებაა მაცხოვრის ორბუნებობაზე - ღვთაებრივსა და კაცობრივზე. რიცხვი **სამი** წმინდა სამების, ასევე მარიამისადმი სამგზის ხარების სიმბოლოურ გააზრებაზე მიგვინიშნებს. **„რადგან სამნი მოწმობენ ზეცად: მამა, სიტყვა და სულიწმინდა; და ეს სამნი ერთ არიან“** (იოანე 5; 7). რიცხვი **ოთხი** ქვეყნის ოთხი მხარის სიმბოლოა (ჯვრის ოთხი მკლავი, ოთხფურცელა ყვავილები). ოთხგზის ყვავილთა და ფოთოლთა გამოსახვა იდენტიფიცირებულია ოთხ ქერუბიმთან: ღვთის ტრაპეზის ანგელოზებთან, ახალი აღქმის ოთხი ავტორის, მახარებელთა სიმბოლოებთან. წმინდა მამები „იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში“ მახარებელთა სიმბოლოების გამოსახულებებთან დაკავშირებით ასეთ განმარტებას გვაძლევენ: **ხბოს გამოსახულება (მახარებელი ლუკა)** შეწირული მსაურების სიმბოლოა, რომელიც ქრისტეს წარმოგვიდგინებს მღვდელმთავრად. **მათე** ადამიანის სახით (**ანგელოზი**) მაცხოვრის გაადამიანურებული რწმენის, მასში ადამიანური სანყისის სიმბოლოა, რამდენადაც იგი სახარებაში ამტკიცებს, რომ იესო ქრისტე ნამდვილი ღმერთი და იმავდროულად ადამიანიცაა, აბრაამისა და დავითის შთამომავალი. **არწივი** — ღვთივმეგონებული რწმენის სიმბოლო (**იოანე მახარებელი**); გადმოსცემს ქრისტეს ამაღლებულ ზეციურ სწავლებას. **ლომი** — (**მარკოზი მახარებელი**) გამოსახავს მესიის მეფურ ძლიერებას, რამდენადაც მარკოზი მახარებელი აღწერს ქრისტეს მეფურ სამსახურს.

„და მსგავსება პირთა მათთაი: პირი კაცისაი და პირი ლომისაი მარჯვენით ოთხთასა და პირი ზუარაკისაი მარცხენით ოთხთასა და პირი არწივისაი ოთხთაივე ესრეთ არს — პირნი არიან ქმნულებისა მათისანი“ (ეზეკიელი 1, 10).

რიცხვი **შვიდი** — შვიდი საიდუმლოს მიმანიშნებელია, რომლის შესრულების უფლება მღვდელმთავარს ენიჭება.

რიცხვი **რვა** — წარღვნას გადარჩენილი მართალი ნოეს შთამომავალთა სიმბოლოა. რვა საკრალური რიცხვია. ყვავილებისა და ზეციური მნათობების სტილიზირებული გამოსახულებანი და მათი რაოდენობა ხშირად რვა რიცხვთან არის გაიგივებული. ვინაიდან უფლის მეორედ მოსვლასთანაა დაკავშირებული: **„ხოლო მერვე დღეს მოვიდეს ძე კაცისაი დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თვისისასა“** (მათე 25, 31). რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახვა შემთხვევითი არ არაა და კონკრეტულ მიზანს ემსახურება. ასეთი ვარსკვლავთა გამოსახულებანი ზეციური სასუფეველის დამყარების, ახალი მიწისა და ცის განსახიერებაა.

რიცხვი **ათორმეტი** — ათორმეტ დღესასწაულთა, ათორმეტ მოციქულთა მიმანიშნებელი სიმბოლოა.

რიცხვთა სიმბოლიკით **ოცდაოთხში** — აპოკალიფსის ოცდაოთხი მღვდელმთავარი იგულისხმევა. წმ. მამათა განმარტებით, მეორედ მოსვლის ჟამს მაცხოვართან ერთად ოცდაოთხი მღვდელმთავარიც

მიიღებს მონაწილეობას „ცხოველთა და მკვდართა“ განსჯაში

როგორც ვხედავთ, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ქსოვილების კოლექციაში დაცული მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო საბუხართა ნიმუშებზე გამოყენებულია ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი, სიმბოლიკით გაჯერებული ტრადიციული ორნამენტის სახეები. ქრისტიანულ იკონოგრაფიაში სიმბოლოთა ფორმულირების ჩამოყალიბება XI-XII სს.-ში დასრულდა და ახალი ძალით ამ პროცესმა XVII-XVIII სს.-ში იჩინა თავი. მქარგველი ოსტატები თეოლოგიურად უცვლელი სიუჟეტების გადმოსაცემად ახალი იკონოგრაფიული ფორმებითა და სახეებით იმეორებენ ადრექრისტიანულ ხელოვნებაში შექმნილ სახეებსა და დეტალებს. საბუხართა კომპოზიციებში მთავარ შინაარსობრივ და მაორგანიზებელ ელემენტს სიმბოლური დატვირთვის ორნამენტი წარმოადგენს, რომელიც მოჩარჩოებიდან გვიანი შუა საუკუნეების ხელოვნების სხვა ნიმუშთა მსგავსად ცენტრალურ ნაწილში გადავიდა და დეკორატიული მორთულობის სიმბოლო — ნიშის ფუნქციის პარალელურად პერსონაჟთა სახოვანი გამოსახულების ტოლფასი როლი დაეკისრა. საბუხრების კოლექციის მხატვრული სტილისტური ანალიზი ადასტურებს, რომ ქართველ ოსტატებს ორნამენტული დეკორის კანონიკური გააზრებით, ტრადიციული ნაქარგობისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების და ტექნიკის ვირტუოზული შესრულების მეშვეობით შეუქმნიათ დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების ინდივიდუალურ და განუმეორებელი იერსახის შესანიშნავი ნიმუშები.

ლიტერატურა:

1. აბუანდაძე დ. 1972. XV — XVIII სს. ქსოვილთა ორნამენტი ქართული მინიატურების მიხედვით, „მაცნე“
2. ბარათაშვილი გ. 2003. „ბატონიშვილი თამარის დაფარნის იკონოგრაფიული თავისებურებანი“, ნარკვევები VIII
3. გიგაუროვი რ. 1993. „სწავლა“, აღმოსავლური ეკლესიის ღვთისმსახურება №1.
4. ეტვიფანე კვიპრელი 1959. „ქალწულის მარიამისათვის“ სინური მრავალთავი.
5. თევზაია მ. 2009. ქართული ორნამენტი.
6. იპოლიტე რომაელი 1988, „ისააკისა და იაკობის კურთხევათა შესახებ“, საღვთისმეტყველო კრებული №3.
7. ჟურნალი „მრეველი“ 2007 №115. „მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა შესამოსელი“.
8. უსპენსკი ლ. 2010. „პირველქრისტიანული ხელოვნება“. „ფერისცვალება“ №2
9. უსპენსკი ლ. 2010. „ხატის ღვთისმეტყველება“. „ფერისცვალება“ №2
10. „ქართული ნაქარგობა“ 2011. ქარჩხაძის გამომცემლობა
11. „ძველი აღქმა“, „ახალი აღქმა“. 2000. საიუბილეო გამოცემა საქართველოს საპატრიარქო.
12. Луковникова Е. 2012: Древнехристианская изобразительная символика. „МАРС“.

Eliso Chubinidze

ORNAMENTAL DECORATION AND CHRISTIAN SYMBOLS ON 'SABUKHRE'- PIECES OF ANCIENT GEORGIAN EMBROIDERY

Embroidery has always been one of the important fields of Georgian culture. A lot of various samples of Georgian traditional needlework are kept in the Textile Fund of Kutaisi State Museum. The majority of them belong to the church sphere. Among the embroidery designs on religious motives very interesting is a collection of 'sabukhre' (a special kind of cuffs). The items attract your attention with their diversity, excellent mastery, perfect composition, dynamic pictures and ornaments, distinguished iconography, interesting paleographic inscriptions and tastefully combined colors.

An inventory book of the museum contains brief descriptions of some of these items made by GiorgiBochorishvili, TrifonDjaparidze, PetreChabukiani, SimonLortkipanidze, KonstantineDzotsenidze, IsidoreKvitsaridze and others. There are no documentary pieces of evidence about how these excellent masterpieces were created, no information about their origin. Only on the basis of the samples themselves can we judge about them, find answers to interesting questions and find out new details about such things as: stylistic/iconographic features of the whole field, about the 'style' of the epoch and, finally, about the evolution process, which merges with the development of the Georgian culture in a completely organic way.

The samples of old 'sabukhre' kept in the Fund of Kutaisi State Museum, mostly date back to XVII-XVIIIcc. The motives of their decorations are closely connected to the traditional Georgian ornamental art, which in its turn, takes root in ancient centuries. It has been kept in minds and imagination of the Georgians and can be seen on many real historical monuments of stone, wood, iron etc.

The garments of the Orthodox churchmen were first made and then decorated with embroidery on Christian motives. It was a part of the church life. Therefore, everything connected to the garments: colors, material from which they were made, the composition and decoration elements were determined by the Christian symbolism and completely corresponded functional/ritual aim of the church to serve the God.

'Sabukhre' represents one of the details of the church garments which is worn by deacons as well as by clergymen and priest during the religious ceremony. Its form and name are connected to the earthly life of Jesus Christ. If speaking symbolically, it is the rope, by which the Creator was tied when being taken to Pilate. From the theological point of view, this symbol strengthens the priest and reminds him that during the ceremony he depends not only on his own strength, but on God almighty.

In ancient times the following themes of composition were embroidered on 'sabukhre': 'Holy Eucharist', 'Holy sacrament', etc. Some of them were characterized only by an ornamental decoration, for which one characteristic feature – a cross in the center – was common. Around the cross a lot of various plants were represented and each of it had its symbolic meaning.

Generally speaking, Christianity has created its special principles, specific worldview and ideology and its own cultural style.

The theme of compositions (both symbolic and ideological) is based on the holy Texts: New

Testament, Old Testament, the texts of the Holy Fathers etc. So called symbolic language was very important. The necessity of the symbolism can be understood by the idea, that the masters were trying to represent by means of art something (i.e the truth),that was almost impossible to be expressed or shown or said directly.

Christian symbolism, as a form of expression , was accepted by the whole church unity. It had stopped changing by a certain period of time. It was a part of the whole symbolic language and became clear and acceptable for every Christian despite his nationality or culture.

In Christian culture the number of details in the picture comes to the minimalism. Everything looks very simple and laconic. That feature also corresponds to the Holy scripture and that laconism is completely identical to the laconic narration of the Holy Book. In it only several sentences and phrases are given to describe the crucial moments of history of the mankind. So does the Holy picture . It shows only what is the most important and essential. Such simplicity is in everything . It can be recognized only by spiritual inner vision.

Together with the face of Christ we can see various symbols e. x. lamb, shepherd, fish, anchor ,Noah's Ark, vine etc. Great attention was paid to the color, form and number of the symbols. For building ornaments on the ancient Georgian embroidery, many geometrical figures were used. For example a composition of a flower with leaves. It was a quite common type of ornament which seemed to correspond to the reality, nature. But in embroidery, all the separate details and elements were open for dynamics. The Paradise, The Blooming Garden were often represented sunk I the green with specific symbolic meanings.

Choosing and denoting of symbols in Christian iconography completed in XI-XII cc. This process was renewed in XVII-XVIII cc.

According to the stylistic analyses of 'sabukhre' collection, Georgian masters were able to create real masterpieces of the ornamental decoration, using various artistic ways and techniques, following all accepted canonic views and rules.



ელეონორა გომოლაშვილი

ვასილ ამაშუკელი — დიდი მკვლევარი

1912 წლის 21 ივლისიდან 1 აგვისტომდე დიდმა ქართველმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა, რაც ქუთაისელმა კინოოპერატორმა, ქართული კინოს პიონერმა და მსოფლიოს უხუცესმა კონემატოგრაფისტმა კინო-ფირზე აღბეჭდა.

საქართველოს იუსტიციის ეროვნულ არქივში დაცულ ხელნაწერში, რომელიც ვასილ ამაშუკელს ეკუთვნის და 1947 წლით თარიღდება, ვკითხულობთ: „1911 წელს ქუთაისში ტიხონ ასათიანმა და პავლე მეფისაშვილმა კინოთეატრის აშენება განიზრახეს. მათი მიზნებით შევუდექი ელექტრო გაყვანილობისა და კინოაპარატის მონყობას. შევაძენინე კინოგადამღები აპარატი და ვიღებდით ქუთაისის სანახაობებს, გამართულ აღლუმებს და ვდგამდით ჩვენს კინოში ასეთ სურათებს. ხალხი ბლომად ესწრებოდა.“

ძველმა პრესამ შემოგვინახა ცნობები სწორედ ამ კინოთეატრის მუშაობის შესახებ. როგორც ცნობილია იმ პერიოდში ქუთაისის თბილისის შემდეგ იყო საქართველოში კულტურული მოძრაობის მთავარი ცენტრი. იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, ტარდებოდა ლექცია-მოსხენებები ცნობილი ქართველი მწერლების აქტიურობით. ამ ღონისძიებათა მიზანი იყო საზოგადოების დემოკრატიული აღზრდა.

1912 წლის ივლისის თვეში ტიხონ ასათიანს პედაგოგებმა სამსონ დათეშიძემ და ლადო ბზვანელმა აცნობეს, რომ ეწყობოდა დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის მიწვევა რაჭა-ლეჩხუმში და რომ სასურველი იქნებოდა ეს ისტორიული მომენტები კინოლენტზე აღბეჭდილიყო.

„ტიხონ ასათიანმა გამომიძახა და მკითხა ვიკისრებდი თუ არა ასეთი საპასუხისმგებლო საქმის ხელის მოკიდებას. მე სიხარულით დავთანხმდი, გავიფიქრე: რა ბედნიერება მენვია, ჩვენს საქართველოში გადავიღებ ისეთ სურათს, სადაც ჩვენი დიდი მგოსანი იქნება აღბეჭდილი“ — იგონებს ვასილ ამაშუკელი.

„გამგზავრების დღედ დანიშნული იყო 21 ივლისი. შევადგინე გეგმა. ეს სურათი ერთ მთლიან პროგრამად უნდა შემექმნა, ჩემს განკარგულებაში კი აღმოჩნდა მხოლოდ 300მეტრი ლენტა, რითაც შესაძლებელი იქნებოდა, ქრონიკად გამეკეთებინა აკაკის საიუბილეო მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში და პროგრამის გარეშე დაგვედგა კინოში. მთლიან პროგრამას კი სჭირდებოდა არანაკლებ 1000მეტრი. დრო ცოტა რჩებოდა ლენტების გამოსაწერად, გამგზავრებამდე სულ 7-8 დღე იყო. ლენტებს ვინერდით კერძო აფთიაქრის მეპატრონე კოკოჩაშვილის მეშვეობით ქ. ვარშავიდან. შევუკვეთეთ ლენტები კოკოჩაშვილს იმედი კი ცოტა გვექონდა, რომ ლენტები მოგვისწრებდა.“

ლენტებმა მართლაც მოუსწრეს. ფირი ჯერ კიდევ იმერეთში გამოილია, რამაც ოპერატორი, გამცილებელი და თვით მგოსანიც დიდ მჭმუნვარებაში ჩააგდო. „ასე ვიცი იმერლებმა, დანყება ვიცი, მაგრამ ჩხირს იქ მოვატეხთ, სადაც საჭირო არ არის!“ - წყენით უთქვამს პოეტს. ფირები საზეიმო პროცესიას სოფელ ალპანაში ფოსტით დააწიეს, ასე რომ ვასილ ამაშუკელმა შეძლო ფირზე აღბეჭდა მთელი ის განწყობა და ემოცია, რაც მათ მოგზაურობას ახლდა თან.

1912 წლის 12 ივლისს, ქუთაისში საზეიმოდ მორთულ სასტუმრო „გრანდოტელის“ წინ სადაც იუბილარი იმყოფებოდა დილის 7 საათისთვის უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. საზეიმო პროცესია ქუთაისიდან 8 საათზე დაიძრა. ვასილ ამაშუკელის გარდა აკაკი წერეთელს მოგზაურობისას თან ახლდა იუბილეს მომწყობი კომისია და მისი თავმჯდომარე ვასილ პეტრიაშვილი; გაზეთ „თემის“ რედაქტორი გრიგოლ დიასამიძე, წიგნების გამომცემელი სოსო მერკვილაძე, გაზეთ „კოლხიდის“ კორესპონდენტი ჯაფარიძე, „სახალხო ფურცლის“ კორესპონდენტი ლადო ბზვანელი, მხატვარ-

ფოტოგრაფი კოტე ქავთარაძე, აკაკის მოურავი კოტე აბდუშელიშვილი, მგოსნის ძმისწული ვასილ წერეთელი და სხვ., ფოტოოპერატორი და კინოოპერატორი. საგანგებოდ მორთულ ეტლში მსხდარან: აკ.წერეთელი, საიუბილეო კომიტეტი და თემის რედაქტორი. ვ.ამაშუკელი ასე იგონებდა: „აკაკის მოგზაურობისა და მასში მონაწილე ხალხის გადაღება ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა, ამიტომ მომეცა თუ არა შესაფერისი შემთხვევა, მე მთელი ჩემი შემოქმედებითი შესაძლებლობითა და გამოცდილებით შევუდექი დიდი ხნის ნატვრის განხორციელებას..”

„გადაღების დროს დამხმარე არ მყოლია, მე ვიყავი ოპერატორიც, ასისტენტიც, მუშაცა და გადაღების ორგანიზატორიც. ძნელი იყო მოზღვავებულ ხალხში მუშაობა, ხან ობიექტის ეფარებიდნენ, ხან აპარატში იცქირებოდნენ, გზას მიღობავდნენ, არა ერთხელ გადავურჩი ცხენითა და ეტლით გათელვას, ფერდობზე დაგორებას, ხევში გადაჩეხვას, მდინარეში ჩავარდნას, მაგრამ არაფერს ყურადღებას არ ვაქცევდი. ვიღებდი წინასწარი გეგმის მიხედვით”.

ფილმის გადაღება დამთავრდა 1 აგვისტოს. დადგა გადაღებული მასალის გამომყლავნებისა და დაბეჭდვის საკითხი, ამის შესახებ ვ. ამაშუკელი იგონებდა, რომ დაიხარჯა 1500 მეტრი ფირი. „ტექნიკური მიზეზების გამო ქუთაისში მისი გამომყლავნება არ მოხერხდა. ჩვენს პატარა ლაბორატორიაში ამოდენა ფილმის გავლება და დაბეჭდვა შეუძლებელი იყო. მე კინოთეატრ „რადიუმის” მაშინდელ გამგესთან ი. მანუჩაროვთან ერთად სურათის დაბეჭდვასთან დაკავშირებით თბილისში მიმავლინეს, მოველაპარაკე იმ დროს კერძო თეატრისა და ლაბორატორიის მფლობელს სოფიო ივანიცკაიას.

„შევასრულეთ თქვენს დავალებას, - მითხრა მან, - მე მყავს ოსტატი დილმელოვი (შემდგომში ცნობილი კინოოპერატორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი) და მაქვს საბეჭდი აპარატი”. მოვურიგდი ფასზე, გადავუგზავნე დანომრილი ნეგატივი. რამდენიმე ხნის შემდეგ ივანიცკაიამ მაცნობა, „აკაკის მოგზაურობა” მზად არისო. წამოვიღე სურათი და მონტაჟი ქუთაისში გავაკეთე. წარწერებიც ქუთაისში ცნობილ ფოტოგრაფ ს. გეგეჭკორთან ერთად ჩვენს პატარა ლაბორატორიაში დავბეჭდე სურათი. დარჩა 1200 მეტრი”.

თბილისში ვ. ამაშუკელის ჩამოსვლის შესახებ „სახალხო გაზეთი” 1912 წლის 31 აგვისტოს წერდა: „ტფილისში ჩამოვიდა ვ. ამაშუკელი რომელმაც აკაკის მოგზაურობა სინემატოგრაფიულ ლენტზე გადაიღო, ბატონი ამაშუკელი ახლა უკვე საბოლოოდ ამზადებს ამ სურათს. ცოტა ხანში ქუთაისის „რადიუმის” სინემატოგრაფიაში აჩვენებენ. მერე ტფილისშიც ჩამოიტანენ საჩვენებლად.

თბილისში ფილმის დემონსტრირებასთან დაკავშირებით ლადო ბზვანელმა დაწერა ლიბრეტო „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში”. იგი დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე. მის შესავალში მოცემულია აკ. წერეთლის ბიოგრაფიული ცნობები. განმარტებულია ის მიზეზები, რამაც გამოიწვია აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. შემდეგ აღწერილია თვით მოგზაურობა ქუთაისიდან კვლავ ქუთაისში დაბრუნებამდე. ამრიგად პირველმა ქართულმა სრულმეტრაჟიანმა კინონარკვევმა „აკაკის მოგზაურობამ რაჭა-ლეჩხუმში” პირველი ქართული ლიბრეტოს შექმნაც განაპირობა.

ფილმი წარმატებით მიდიოდა იმავე წლის სექტემბრიდან კინოთეატრ „რადიუმში”, იმ კინოთეატრში, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე „კომუნა” ერქვა. ყოველდღე იმართებოდა 4 სეანსი, მაგრამ დარბაზი მაინც გადატვირთული იყო. დაბეჭდილი იყო მხოლოდ 1 ასლი, თუმცა ის აჩვენეს საქართველოს მრავალ კინოთეატრში, აგრეთვე რუსეთშიც. ფილმი დღესაც დიდ ინტერესს იწვევს მასში ასახული უნიკალური კადრების გამო.

ფილმმა კინოთეატრის მეპატრონეებს რამდენიმე ათასი მოგება მისცა. ბილეთები რამდენიმე დღით იყიდებოდა. ფილმით აღფრთოვანებული დარჩენილა თვითონ მგოსანი, გმადლობთ ფილმისთვის ყმანვილო — მიუმართავს ვასილ ამაშუკელისთვის, - განსაკუთრებით ბარაკონში

გამართული ფერხულის გადაღებით გამახარეთ. ეს ძველისძველი რაჭული ფერხულია. ძალიან კარგი გადაღებულია. მომავალ თაობას დარჩება.”

ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ გადაღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ კინოთეატრ „რადიუმის“ მფლობელებმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უსასყიდლოდ გადასცეს. (ნეგატივი 1921 წლამდე „რადიუმში“ ინახებოდა.)

დღესდღეობით ამაშუკელის მიერ გადაღებული კადრები სრულად არ შემონახულა. მისგან 300-320 მეტრია შემორჩენილი, რომლის ყველაზე სრული ნაწილი ეროვნულ არქივში ინახებოდა.

პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი დიდხანს იყო თაროზე შემოდებული. საბედნიეროდ ისტორიამ შემოგვინახა ქართველი კლასიკოსი მწერლის გამოსახულება და ხმა.

რამდენიმე წლის წინ „აკაკის მოგზაურობა“ ქართველმა კინომცოდნეებმა ავსტრიელი რესტავრატორის დახმარებით ციფრულ მატარებელზე გადაიტანეს, რომელსაც რესტავრაცია ავსტრიაში ჩაუტარდა, დამზადდა ფილმის ნეგატივი და დაიბეჭდა პოზიტივი, პირვანდელი მონტაჟის ნაკლები ტიტრები აღდგენილ იქნა და აღდგენილი ვერსიისთვის მუსიკაც დაინერა. (შესანახად გადაეცა საქართველოს კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების სახელმწიფო არქივს).

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იუსტიციის ეროვნულ არქივში ინახება ვასილ ამაშუკელის ხელნაწერი მოგონებები ფილმის „აკაკის მოგზაურობის“ გადაღების პროცესზე. ასევე დოკუმენტური ფილმების სტუდია „მატიანეს“ მიერ მომზადებულ 10 წუთიან პორტრეტულ ფილმს ვ. ამაშუკელზე. ფილმის ერთერთ ეპიზოდში კინოოპერატორი საკუთარ სახლში ხვდება ქუთაისელ სტუდენტებს და აკაკის მოგზაურობის დეტალებს იგონებს: „გადავიარეთ საირმის სახელგაქმული მთა, აქ გადავიღეთ იუბილარი თავისი მხლებლებით და დავეშვიტე ქრებალოს ჭალებისკენ. ქრებალოში რომ შევედი თვალწინ გადაგვეშალა დიდებული სურათი: პროცესია მწყობრად მოდიოდა უამრავი ცხენოსნით გარშემორტყმული გზის ორ ნაპირად, დედები ძუძუმწოვარი ბავშვებით, აუარება ხალხი „აკაკის გაუმარჯოს!“ - ძახილით ეგებებიან საყვარელ მგოსანს. ამბროლაურთან ახლოს შემოგვხვდა ავტო უცხო ტურისტებით. მსვლელობა შეჩერდა. ტურისტებიდან აკაკის მიესალმა სიტყვით ტურისტთა ხელმძღვანელი პროფესორი ონისიმოვი. მე ვიღებ ამ შემთხვევით მომენტს, ტურისტებს კი აკვირვებთ, რომ კინოაპარატი თან ახლავს ჩვენს მგოსანს.

გაკეთებული იყო დიდი თალი, ზედ აკაკის სურათით და წარწერით, თალს იქით აუარება ხალხი, რომელიც სიხარულით მოელოდა თავის მგოსანს, ბუნებაც კი ლალობდა, ქალებს ბავშვები აეტატებინათ და გზის ნაპირას ჩამწკრივებული იყვნენ. მე როგორც ოპერატორი, დავწინაურდი, რომ შესაფერისი ადგილიდან გადამელო ეს ზეიმი. მოვმართე აპარატი, ის იყო აპარატის სახელურს ხელი მოვკიდე, რომ ჩემს ზურგს უკან მომესმა ცხენების ფეხების თქარუნი, „ვაშა აკაკის!“ ძახილითა და თოფების გრიალით გამოჩნდა მხედართა რაზმი. ის იყო უნდა გადავეთელე ცხენებს, რომ მოვასწარი აპარატიანად განზე გახტომა. გონს, რომ მოვედი, მივხვდი, თურმე ტოლიდან ქრებალოსკენ მოხვეულ გზაზე დამიდგამს აპარატი, რასაც ვერ დაინახავდა ტოლიდან მომავალი, თუ ახლოს არ მოვიდოდა. მოვინაცვლე ადგილი და ეს სანახაობა უხიფათოდ გადავიღე. ეს ცხენოსანი რაზმი, როგორც გაირკვა, ზემო რაჭიდან იყვნენ ქრებალოში გამოგზავნილნი, რომ იუბილარი ზემო რაჭისკენ გაეცილებინათ”.

ბედნიერებაა, რომ ვ. ამაშუკელი სიცოცხლეშივე მოესწრო საყოველთაო სიყვარულსა და აღიარებას და ბედნიერებაა ასევე ის, რომ შემოგვრჩა თუმცა არასრული მაგრამ მაინც შესანიშნავი ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც თავისი იდეურ-პროფესიული დონითა და მეტრაჟითაც იმდროინდელი მსოფლიო დოკუმენტური კინოს უნიკალური ძეგლია. როგორც ცნობილი ფრანგი კინოისტორიკოსი მსოფლიო კინოხელოვნების ისტორიის 6 ტომიანი ნაშრომის ავტორი ჟორჟ სადული წერდა, 1912 წლამდე არსად არც ერთ ქვეყანაში არც ერთი საზოგადო

მოღვაწისადმი არ მიუძღვნიათ ამოდენა მეტრაჟისა და მნიშვნელობის ფილმი.

ვ. ამაშუკელის უპირველესი დამსახურება არის ის, რომ მან თავისი სრულმეტრაჟიანი ფილმი მიუძღვნა არა ე.წ. სამეფო ქრონიკას, რაც ესოდენ მოდაში იყო იმჟამად, არამედ ეროვნულ პოეტს და ამით ქართული კინო იმთავითვე ჩააყენა ხალხის სულიერ მოთხოვნილებათა სამსახურში.

დღესაც თანამედროვე მაცურებელზე მეტად საინტერესო შთაბეჭდლებას ტოვებს ვ. ამაშუკელის პროფესიული ოსტატობა, ის ამჟღავნებს იმ დროისთვის მაღალ პროფესიონალიზმს, როგორც ოპერატორი შესანიშნავად ფლობს კადრის კომპოზიციას, კამერის მოძრაობის მაშინდელ საიდუმლოებებს, სივრცის მასშტაბური და შთაბეჭდავი აღქმის უნარს, სხვადასხვა რაკურსულსა და პანორამულ ხერხებს.

მის მიერ შექმნილი მარტო ერთი „აკაკის მოგზაურობა“ უდრიდა საქართველოს იმდროინდელი ყველა თეატრის მუშაობას ერთად აღებულს და ყველა თეატრზე მაღლა აყენებდა კინოთეატრ „რადიუმს“, როგორც ერის კულტურის სადარაჯოზე მდგომ მხატვრულ ორგანიზაციას.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფოტო-ფონო ფონდში დაცულია „აკაკის მოგზაურობის“ ამხვეელი ფოტოსურათები - რაც ვფიქრობ უტყუარი დოკუმენტური მასალაა ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისა და დღესასწაულის.

ლიტერატურა:

1. ა. გვენცაძე - „ობიექტივით გაცოცხლებული დაუფინყარი მოგზაურობა“, ქუთაისი 1991წ, 14 თებერვალი
2. კ. გოგოძე - „რადიუმი“ , ქუთაისი 1976წ, 7 სექტემბერი
3. გ.დოლიძე- „აკაკის მოგზაურობა“, თბილისი 1982წ, 27 სექტემბერი
4. გ.დოლიძე - „ქართული კინოს პიონერი“, სამშობლო 1986წ, აპრილი №9
5. ბ.ჩეკურიშვილი - „აკაკის მოგზაურობიდან 100წლის შემდეგ“, 24საათი 2012წ, 25აპრილი
6. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფოტო-ფონო ფონდის მასალები.

Eleonora Gogolashvili

VASIL AMASHUKELI – THE GREAT HISTORIAN

In 1912 from 21 of July till 1 August the great Georgian poet Akaki Tsereteli has traveled in Racha-Lechkhumi and this trip had been memorialized as a film by a cameraman from Kutaisi, Georgian pioneer of cinema and later the great cinematographer Vasil Amashukeli.

The National Archives of the Georgian Ministry of Justice, which was created by Vasil Amashukeli himself is dated by 1947. We can read there : “In 1911, in Kutaisi Tikhon Asatiani and Paul Mepisashvili decided to build Cinema center.

So we began to conduct electricity and set up video equipment at their invitation. They bought the camera, at our insistence and thus we started filming everything interesting that was happening in Kutaisi and then presenting it to the people in our cinema. The fact was, that there were a lot of people. “

An old media has kept information about this theater. As we all know, in those days, Kutaisi was

the second city in Georgia after Tbilisi, for its cultural significance. Georgian writers were performing recitals and lectures in Kutaisi. The purpose of all this was the democratic education of the people.

In July of 1912 the teachers of Tikhon Asatiani told him that they were preparing the invitation of the great Georgian poet Akaki Tsereteli in Racha - Lechkhumi and they'd like this journey to be filmed by someone competent.

"Tikhon Asatiani called me and asked me if I could take such a responsible job. Of course I gladly accepted it. I was really happy to be able to make a movie about such a great poet" - recalls Vasil Amashukeli.

„The day of the departure was 21 July. I had planned every single detail. I wanted to film this journey like a holistic programme, but I had only 300 metres of cine –film reel to film and this was not enough for such a large programme. I needed about 1000 metres of it to create the whole journey movie. And I had only 7-8 days for ordering the new reel of cine-film. I remember, we ordered reels of film from Warsaw with the help of pharmacist Kokochashvili, but there was really a little hope to receive them in time.“

As was expected, the old tapes ended at a halfway of the journey. Even Akaki Tsereteli was very dissatisfied by this fact. Everyone already thought that the movie could not be finished, but suddenly arrived the ordered tapes. This happened in the village Alpana. Thank this Vasil Amashukeli had a possibility to film the whole journey event.

On July 12 of 1912 at 7 am there already were a lot of people in front of the "Grand Hotel" in Kutaisi, together with the hero of the day Akaki Tsereteli. The festive procession set off from Kutaisi at 8:00 am. Besides Basil Amashukeli, with Akaki Tsereteli was still a chairman of the commission of festival organization Basil Petriashvili. There also were: the editor of journal "Thema" - Grigol Diasamidze, publisher of books - Soso Merkviladze, correspondent of paper "Kolkhida" - Japaridze, chief photographer Kote Kavtaradze, the nephew of the poet Vasil Tsereteli and other photooperators and cameramen. In the beautifully decorated carriage were: Akaki Tsereteli, the entire committee and editor of the journal "Thema". Later Vasil Amashukeli recalled: "I felt obliged to film all those people, who took part in this journey and started to do it with great enthusiasm."

"During the filming I had no any assistants. I myself was the operator, assistant and organizer of the movie. It was very difficult to work surrounded by so many incompetent people. They did not know how to deal with the camera. They constantly created me problems, but I did not give up in spite of these difficulties. I was focused on filming in conformity of my predetermined plan.“

The film was finished in August. It was time to edit it. We used a 1500-meter of tape records. Because of technical problems, we could not do it in Kutaisi. It was impossible to mount a film in our little lab. So I had to go to Tbilisi and to negotiate with the director of the theater "Radium" and the owner of the private theater Sofia Ivanitskaya.

"I will fulfill your requests" - she told me. "I have a master and also a machine. We agreed on a price and I sent her the materials. After some time she told me that the film "The journey of Akaki" was ready to be mounted. I took the film and mount it in Kutaisi. Finally the movie was made and it took 1200 meters of tape record. „

About an arrival of Vasil Amashukeli in Tbilisi had wrote „The People's Newspaper“ August 31, 1912: „In Tbilisi came Vasil Amashukeli, who has filmed the journey of Akaki as a movie. Mr. Amashukeli practically completed work on the movie and soon it will be shown to the public in Kutaisi,

later it will be brought to Tbilisi to be presented in the cinema. „

In connection with this event Lado Bzvaneli wrote the libretto „Journey of Akaki in Racha Lechkhumi.“ Libretto was published in Georgian and Russian languages. In the introduction the author gave the biography of poet. Then he described the journey till Tsereteli's return in Kutaisi. Thus, the creation of the first Georgian feature film led to the birth of the first Georgian Libretto.

The film was a huge success from September at the cinema “Radium” . For many years this cinema was called “Commune.” Every day there were 4 sessions and in spite of this, each time the cinema hall was full of people. This film is still an enormous hit, because of the unique frames.

The owners of the Movie theaters got great benefit from this movie. All tickets had been sold before the screening. Even Akaki Tsereteli was admired by this movie. He personally thanked the author of it. “This film will be passed to the future generations” - he said.

A few years after the film “Journey of Akaki in Racha Lechkhumi” was created, the owners of the theater “Radium” granted it to the knowledge dissemination public association. (Before the 1912 film negatives stored in the cinema “Radium“.)

Unfortunately nowadays the film records, made by Amashukeli are not survived intact. There are only 300-320 meters remained. The most complete version of it was kept in the National Archives.

A long time Georgian first long documentary was kept on the shelf. Fortunately, history has preserved the image and voice of the writer.

Several years ago, the film “Journey of Akaki” had been restored in Austria by Georgian and Austrian experts. There were restored all the lost parts of the movie. The whole film had been revived and also had been written music for it. The movie had been transferred to the Georgian National Archives of documentaries.

As I already mentioned above , Georgian national archives of Justice contains the manuscripts of Vasil Amashukeli's memories, in which he writes about the movie “the journey of Akaki.” The documentary Film Studio “Matiane” prepared a 10 minute portrait film about Vasil Amashukeli. In this film, a cameraman meets students from Kutaisi in his own house and speaks with them about the details of the trip:

“When we entered in the Tsrebola, before our eyes stretched marvellous picture. There was great procession of people heading towards us. There were a lot of people in fact. There were the riders on their horses, mothers with small children in their arms and all they were shouting: “Long life to Akaki!”

Near the Ambrolauri we met a car filled with tourists. The procession has stopped. The supervisor of tourists professor Onisimov made a speech in honor of Akaki. The tourists were surprised to see a strange event .There was built a large arch with a photo of Tsereteli on it and near this arch there were even more people and they all wanted to welcome their beloved writer.

As an operator I stepped forward to film every single detail in a proper mode and suddenly I heard the sound of arriving horses and saw that a great number of riders were racing right on me. They all as well were shouting „ Long life to Akaki! „ and were shooting from their guns. I barely had time to jump to the side, along with my camera.

As soon as I felt safe, I realized that I had found myself in a such a danger because of my

distraction. It was my fault, because I had set the camera in the middle of the road and the riders that were racing on the road could not see me in advance. After that I continued filming everything from a safe place.“

It is a great happiness that Vasil Amashukeli enjoyed the love and respect of people in his lifetime. It is also great happiness, that we still have this magnificent film “The journey of Akaki.” From the point of view of its ideologic role, quality and professionalism, this film is a unique monument of the documentary.

The famous French film critic Georges Sadoul wrote : before year 1912 , in none of the countries , was dedicated to anyone such a marvellous full-length feature film.

The greatest merit of Vasil Amashukeli is that he has not devoted his first full-length film to the royal chronicles, as it was the fashion trends in those years , but to the national poet. Thus he put the movie in the service of Georgian people.

Even today, the film of Vasil Amashukeli makes an unforgettable impression on the audience with his professional skills . As an operator he had an excellent command of the composition frame, secrets of camera movement , and other professional tricks.

If we take the film “The journey of Akaki” then all works of art of all the theatres will be outweighed only by this movie. His movie staged the cinemacenter “Radium” on the pedestal of honor.

There are the pictures of the film “The journey of Akaki” in the historical photo-phono museum of Kutaisi and I think that this is the unshakable eternal memory of a very important event.






ქვისსატეხი სად. ნამახვანსა და სოფ. მექვენას შუა. მუშები დიდის ამბით და „ვაშას“ ძიხლით დაუხვდენ მგოსანს.



აკაკი და მისი თანამგზავნი დ. ლაილაშს. მარცხნიდან მარჯვნივ პირველ რიგში ვლ. ნაცვლიშვილი (ლადო ბზვანელი), იოსებ მერკვილაძე, სამსონ დათეშიძე. მეორე რიგში: გრიგოლ დიასმიძე, აკაკი, ვასილ პეტრიაშვილი, მესამე რიგში: ვას. ამაშუყელი (კინემატოგრაფის მოხელე), კონსტ. აბდუშელიშვილი, იობა ისაკაძე, მხატვარი კლუტე ქავთარაძე. აივანზე ზის აკაკის ძმისწული თავ. ვასილ წერეთელი.



აკაკის გამგზავრება ქუთაისიდან 21 ივლისს დილის 7 საათზე.



ღეჩხუმის და ქუთაისის მავრის საზღვარზე. ადგილი „საზღვარა“.



Handwritten text in a historical script, likely Georgian, on a parchment scroll. The text is written in dark ink and is partially obscured by the central graphic.

ისტორია

HISTORY

Handwritten text in a historical script, likely Georgian, on a parchment scroll. The text is written in dark ink and is partially obscured by the central graphic.



Handwritten text in a historical script, likely Georgian, on a parchment scroll. The text is written in dark ink and is partially obscured by the central graphic.

ბაგრატის ტაძრის ისტორიიდან¹

„... მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თალხითმოსილ ჭირისუფალივით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ: მოუარეთ საქართველოს!..“

ნიკო ლორთქიფანიძე

*„დიდი თამარის, დიდი დავითის დროშის ქვეშ ქართლის ყველა კუთხეა,
ეს კი ყოფილა სამეფო ტახტის ქუთათელისგან მხოლოდ კურთხევა!“*

ანა კალანდაძე

ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლა წარმატებით დამთავრდა X საუკუნის უკანსკნელ მეოთხედში. ბაგრატ III ბაგრატიონმა (978-1014წ.), რომელიც ინოდებოდა მეფედ „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“, თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა თითქმის ყველა ქართული მიწა, გარდა თბილისისა, სადაც ჯერჯერობით კვლავ მაჰმადიანი მმართველი იჯდა. როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, „ამასთან ერთად დასრულდა დიდი ხნის წინათ დაწყებული პროცესი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართველთა შერწყმა-გაერთიანებისა... ამ დროიდან წარმოიქმნა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა – ერთიანი ქართველი ხალხი, მისი ერთიანი სახელმწიფოებრივი, სამნიგნობრო და საეკლესიო ქართული ენით... ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების შედეგი იყო ამავე ხანებში ტერმინ „საქართველოს“ დამკვიდრება, რაც ერთ ხალხად ჩამოყალიბებულ ქართველთა ერთიან მიწა-წყალს, სამშობლოს აღნიშნავდა [21, გვ. 115]. ახალი ქართული სახელმწიფო არ ყოფილა არც მეფე ფარნავაზის (ძვ. წ. IV-IIIს.ს.) და არც ვახტანგ გორგასლის (V საუკუნის მეორე ნახევარი) ქართული სამეფო, რომელიც პოლიტიკურად აერთიანებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართულ ქვეყნებს. ბაგრატ III-ის სახელმწიფო იყო ერთიანი ქართველი ხალხის – საქართველოს სახელმწიფო. მისი შექმნით საფუძველი ჩაეყარა XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის სახელოვან ეპოქას – ოქროს ხანას, როცა ჩვენი სამშობლო კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ერთიანი საქართველოს დედაქალაქი 978-1122 წლებში იყო **ქუთაისი** ამიტომ ბაგრატ მესამემ ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ X-XI საუკუნეების მიჯნაზე სწორედ ქუთაისში ააგო გრანდიოზული საკათედრო ტაძარი, რომელსაც ხალხმა სიყვარულით და სავსებით სამართლიანადაც **ბაგრატის ტაძარი** უწოდა.

ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების „ვეფხისტყაოსანია“. განუზომელია მისი როლი ქართველი ხალხის სულიერ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ახალი ხუროთმოძღვრული ძეგლი მალე ქალაქის ორგანული ნაწილი გახდა და აგერ უკვე ათასი წელია ქუთაისი წარმოუდგენელია ბაგრატის ტაძრის გარეშე. ცნობილი ქართველი მეცნიერი სერგი გორგაძე წერდა: „უუხუცესი და უტურფესია ქუთაისი საქართველოს ქალაქთა შორის, თვალისა და გულის დამატყვევებელია თვისის საედემო მიდამოებით, მისი უუძველესი საისტორიო ნაწილი „უხიმერიონი“ ანუ „არქიელის გორაკი“, მაგრამ ყველაზე უფრო ტურფა, გულის წარმტაცია და გონების დამატყვევებელია ამ გორაკის ის ნაწილი, რომელსაც ციხე და ბაგრატის ტაძარი ამშვენებს. თუ შეიძლება ითქვას, „ვისაც ქუთაისი არ უნახავს, მას იმერეთი არ უნახავს“, მით უმეტეს

¹ მუზეუმის ღვანღმოსილ მუშაკთა შორის ბატონ პეტრე ვაჭრიძეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. მუზეუმის 100 წლისთავთან დაკავშირებით გვსურს პატივი მივაგოთ მის ნათელ ხსოვნას და ვაქვეყნებთ ბატონ პეტრეს სტატიას ბაგრატის ტაძრის შესახებ. მასალის მოწოდებისა და რედაქტირებისათვის მადლობას ვუხდით ქალბატონ მაია ქებულაძეს.

სამართლიანი თქმა იქნება: „ვისაც ბაგრატის ტაძარი არ უნახავს, მას არც ქუთაისი უნახავს“[6, გვ.4]

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ბაგრატი მესამემ ახლადგებულ ეკლესიაში „დასუა ეპისკოპოზი, მწყემსი იმერეთისა და გურიისა, თვინიერ რაჭა-ლეჩხუმისა“[2, გვ.761] – ე.ი. საკათედრო ტაძრად აქცია. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრა ბაგრატი III-ის დროს, XI საუკუნის დასაწყისში იქნა დაარსებული, მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანას ხელს უშლის ერთი ადგილი XI საუკუნის საისტორიო თხზულებიდან „მატიანე ქართლისაჲ“. ამ წყაროს მიხედვით „... დიდმან მეფემან (ბაგრატი მესამემ) აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა **საყდრად საეპისკოპოსოდ** (ხაზგასმა ჩვენია – პ. ვ.)... ამანავე აკურთხა ეკლესია ქუთაისისა განგებითა დიდითა და მიუნვდომელითა, რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელმძღვანრნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი“[18, გვ.281]. მოტანილი ტექსტიდან კარგად ჩანს შემდეგი – ბედიის ტაძრის აგებას ეძღვნება მხოლოდ ერთი წინადადება და მასშიც ხაზგასმულია, რომ მეფემ იგი „შექმნა საეპისკოპოსოდ“, ხოლო ქუთაისში ახალი ეკლესიის კურთხევა შედარებით ვრცლადაა აღწერილი, მაგრამ არაფერია ნათქვამი მისი საეპისკოპოსოდ დამკვიდრების შესახებ.

პავლე ინგოროყვას აზრით, ბიზანტიის პოლიტიკური გავლენისაგან გათავისუფლებული ეგრის-აფხაზეთის სამეფო (VII-IX სს.) ენერგიულად იბრძოდა საეკლესიო და კულტურული დამოუკიდებლობისათვის. ამ მიზნით აუქმებდნენ ძველ საეპისკოპოსო კათედრებს, რომლებიც ბერძნული ეკლესიისა და კულტურის კერებს წარმოადგენდნენ და აარსებდნენ ახალ, ქართულ საეკლესიო ცენტრებს. „...შეუცვლიათ, აგრეთვე, ძველი ცენტრები ლაზეთის მიტროპოლიაში – წერდა პ. ინგოროყვა, – როდოპოლისის (ვარდციხის) კათედრა გადატანილ იქნა დასავლეთ საქართველოს – აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქში – ქუთაისში; ამავე დროს გაუქმებულ იქმნა ზღვის სანაპირო ზონაში პეტრას (ბათუმის მხარის) კათედრა და ბათუმის მხარე დაკავშირებულ იქმნა ქუთათისთან“[11, გვ.248-249] პ. ინგოროყვას მიხედვით, როდოპოლისიდან საეპისკოპოსო კათედრა გადმოიტანეს ქუთაისში მაშინ, როცა ის ჯერ არ იყო გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი, ე.ი. ეს შეიძლება მომხდარიყო VIII საუკუნიდან X საუკუნის 70-იან წლებამდე, ბაგრატი მესამის გამეფებამდე.

დაახლოებით ასეთივე აზრისაა მარიამ ლორთქიფანიძეც: „ავტორი „მატიანე ქართლისაის“ არაფერს ამბობს ბაგრატი III-ის მიერ საეპისკოპოსო კათედრის დაარსებაზე და ეს გარემოება ხომ არ გვაძლევს იმის ვარაუდის უფლებას, რომ ქუთაისის საეპისკოპოსო უკვე ლეონ აფხაზთა პირველი მეფის (ან აფხაზთა რომელიმე სხვა მეფის) დროსვე შეიქმნა? მოვლენათა მთელი მსვლელობა და ლოგიკა თითქოს მოითხოვს ასეთი დასკვნის გამოტანას. ვაკე იმერეთი თავისი ქართული მოსახლეობით რომელი ბერძნული საეპისკოპოსოს სამწყსო შეიძლება ყოფილიყო, ამის თქმა ძნელია (როდოპოლისი?). ამასთანავე ქუთაისის დედაქალაქობა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით თითქოს აგრეთვე დასაშვებს ხდის ასეთ ვარაუდს. ამავე მოსაზრებას შეიძლება უჭერეს მხარს შიდა ციხის (ქუთაისის) შიგნით არსებული მე-5 საუკუნის ეკლესიის განახლება- გაფართოება მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში. რასაკვირველია, ციხის შიგნით ისევე როგორც ქალაქშიც, აფხაზთა სამეფოს არსებობის პერიოდში ქრისტიანული ეკლესიის აგება ან არსებულის განახლება სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი აქტია. მაგრამ ასეთი სამუშაოს ჩატარება სწორედ VIII საუკუნის მეორე ნახევარში, ჩვენს ვარაუდს უნდა უჭერდეს მხარს. ლეონმა (ან რომელიმე სხვა პირველ აფხაზთა მეფეთაგან) დაარსა ქუთაისში საეპისკოპოსო და აღადგინა და გააფართოვა ეკლესია... არ არის გამორიცხული, რომ ბაგრატი მესამემ ქუთაისის ახალი ტაძრის აგების დროს გააფართოვა

ქუთათელი ეპისკოპოსის სამწყსო და შეიძლება ვახუშტის ცნობა იმას გულისხმობს, რომ იმერეთს ახლა გურიაც მიუმატა [17, გვ116-117].

ქუთაისის საეპისკოპოსოს საკითხთან დაკავშირებით ნიკო ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ XVII საუკუნეში რუსმა ელჩებმა ბაგრატის ტაძარში ნახეს პალიასტომის ხატი. „ეს იმის ნიშანი უნდა იყოს, – წერდა ნ. ბერძენიშვილი, – რომ ფოთიდან (პალიასტომიდან), სადაც ეს ეკლესია მართლაც მოიპოვებოდა (ეს ჩანს ფოთის ომის აღწერილობიდან VII.), ეს ხატი ქუთაისში იქნა გადმოტანილი იქ მეტროპოლიის გაუქმებასა და ქუთაისში ლაზიკის სეკლესიო ცენტრის გადმოტანასთან დაკავშირებით. როგორც საფიქრებელია, ეს უნდა მომხდარიყო ბაგრატ III-ის დროს, რომელმაც ქუთაისი ჰყო საეპისკოპოსოდ (ხაზგასმა ჩვენია — პ. ვ.). ასე, რომ ჩვენი წინა ვარაუდი, რომ ფოთის მეტროპოლია ჭყონდიდში იქნა გადატანილი, ან პ. ინგოროყვას ვარაუდი, რომ ქუთაისმა ვარდციხის საეპისკოპოსო შეცვალა – მცდარია. ეს საეპისკოპოსოების ცვლა ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ეს ბერძნული კათედრების მარტივი ცვლილება იყო ქართულით, არამედ ისე, რომ ახალ (ფეოდალურ) ხანაში, ახალი ცენტრები (პოლიტიკური, ეკონომიკური) წარმოისახა, ახალი ადმინისტრაციული დაყოფა გახდა საჭირო და ახალი საეპისკოპოსოებიც ამისდა მიხედვით გაჩნდა, ხოლო ძველი, დრონასული და შინაარსმოკლებული, დაკნინებული – გაუქმდა.“ [5, გვ. 52]. ზვიად ჟვანიას აზრით, „ქუთაისის საეპისკოპოსო დაარსებული ჩანს VII საუკუნეში. სამწუხაროდ, ავტორი წყაროს არ მიუთითებს. [20, გვ66]

ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია – ბაგრატის ტაძარი XI საუკუნის დასაწყისიდან XVII საუკუნის 90-იან წლებამდე, ვიდრე მას ოსმალები დაანგრევდნენ, საეპისკოპოსო კათედრაა. შემდეგ ეს კათედრა მოიშალა და იგი სოლომონ პირველმა აღადგინა (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ბაგრატის ტაძარს, როგორც საეპისკოპოსო კათედრას, ვრცელი მამულები ჰქონდა, მრავალრიცხოვანი ყმა-გლეხი ჰყავდა. გაერთიანებული საქართველოს თუ იმერეთის მეფეები ნიადაგ ზრუნავდნენ ბაგრატის ტაძრის ფეოდალური სენიორიის განმტკიცებასა და გაფართოებაზე. XI-XV საუკუნეებში ქუთათელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა იმერეთი, გურია და ბათუმის მხარე. ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის მეორე ნახევარი) გურიის სამთავროში ადგილობრივი (საკუთარი) საეკლესიო ორგანიზაცია შეიქმნა და იგი საქუთათლოს ჩამოშორდა [26, გვ139]. XVI საუკუნეში აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს და საქართველოს ბათუმის მხარეც ჩამოსცილდა. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: ქუთაისში ეპისკოპოსი „ზის ანცა და არლარა ეგოდენითა სამწყსოთი“ [2, გვ761]

XIII საუკუნეში აღდგენილ თუ დაარსებულ იქნა აფხაზეთის საკათალიკოსო [3, გვ. 86], რომელიც ცალკეული წყვეტილებით თუ ნომინალურად XIX საუკუნის ათიან წლებამდე არსებობდა. ბაგრატის საკათედრო ტაძარი და ქუთათელის სამწყსოც აფხაზეთის საკათალიკოსოს ფარგლებში მოექცა. ამან ბუნებრივად დააყენა აფხაზეთის კათალიკოსისა და ქუთათელის ურთიერთობის საკითხი, განსაკუთრებით XV საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც დასავლეთ საქართველოს ეკლესია სავსებით და საბოლოოდ მოსწყდა მცხეთის საკათალიკოსო ტახტს და დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგა [4, გვ. 108]. ეს პროლემა თავისთავად იხსნებოდა მაშინ, როდესაც აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი ბაგრატის ტაძრის მღვდელმთავარს – ქუთათელ ეპისკოპოსს ეჭირა. კათალიკოსობისა და ეპისკოპოსობის შეთავსება, ნ. ბერძენიშვილის აზრით, მეტად საინტერესო მოვლენაა საეკლესიო ცხოვრებაში და იგი დამახასიათებელია, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოსათვის [4, გვ108].

ბაგრატის ტაძრის მღვდელმთავარ-ქუთათელ ეპისკოპოსებიდან „ყოვლისა საიმერეთოსა და აფხაზეთის კათალიკოსები იყვნენ: სვიმონ ჩხეტიძე (1669-1666 წლებში), მაქსიმე აბაშიძე (1776-1792 წლებში) და დოსითეოს წერეთელი (1792-1815 წლებში) [4, გვ. 201-205; 14; 15, გვ. 201-205; 27,

გვ. 3-37]. 1740-1742 წლებში ქუთათელი მიტროპოლიტი იყო ცნობილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი ანტონ I (ერისკაცობაში თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონი), რომელიც 1744 წელს საქართველოს კათალიკოსად აირჩიეს [2, გვ. 521]

ბაგრატის ტაძარსა და მის მღვდელმთავარს იმთავითვე მეტად საპატიო, ისტორიული მისია დაეკისრათ – ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქუთათელი ასრულებდა მეფის კურთხევის წესს. ქართულ საისტორიო წყაროებში ცნობები იმის შესახებ, თუ როდის შემოიღეს საქართველოში მეფეთა კურთხევა და დაგვირგვინება, არ მოიპოვება [31, გვ. 148]. ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს მოხდა X საუკუნის მეორე ნახევარში და „მატიანე ქართლისაის“ ცნობა, რომ აფხაზთა დიდებულმა ბაგრატ მესამე „შთაგზავნეს აფხაზეთს“ და დალოცეს მეფედ” (978წ.), სწორედ კურთხევას უნდა ნიშნავდეს.

მეფის კურთხევის წესის სრული აღწერილობა მხოლოდ XIII საუკუნის მეფედ კურთხევის განგებაშია დაცული. იყო თუ არა მეფეთა კურთხევის თავდაპირველ „წესსა და განგებაში“ აღნიშნული, რომელ ტაძარში უნდა შეესრულებიათ მეფის ცხება და კურთხევა, საისტორიო საბუთებში არ ჩანს [31; გვ.: 149, 151, 197]. ასევე არ გვქვს პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, რომ მეფის კურთხევის წესს ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქუთათელი ასრულებდა, მაგრამ არაპირდაპირი მონაცემები ამის უტყუარი დადასტურებაა. ასე, მაგალითად, გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ 1184 წელს თამარის მეორედ კურთხევას „ისტორიანი და აზმანი შარავენდეთანი“ ასე აღგვინებს: „... აღმყვანებელთა საყდართა და საჯდომთა მამაპაპეულთა აღსუეს მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა. და მოიღეს გვირგვინი და აღიღეს ხმა მგალობელთა და ძლევიტ გვირგვინოსნობისა და მძლედ-მფლობელობისა და მოახსენეს მთასა ზეთისხილთასა ჯუარი გამოჩენილი კონსტანტინესთვის და ამას ესვითარსა შესხმას და გალობასა შინა, **ვინათგან ლიხთ-იმერითგან იყო წესი დადგმად გვირგვინისა თავსა სამეუფოსა, აწვიეს ღირსი და მადლმემოსილი, მთავარეპისკოპოზი ქუთათელი ანტონი საღირისძე მიღებად გვირგვინისა** (ხაზგასმა ჩვენია –პ.ვ.), და ცალისკერძისა კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა და სრულ ყვეს მოხელეთა სვიანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მოდება და დადება ხრმლისა [24; გვ. 26-27].

ამ მონათხრობში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ მეფისათვის გვირგვინის დადგმა ქუთათელისა და ლიხთ-იმერეთის დიდგვაროვან აზნაურთა ისტორიულ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ 1184 წელს თბილისში, სადაც სრულდებოდა თამარის მეორედ კურთხევა „აწვიეს მთავარეპისკოპოზი ანტონი“ და სხვა დიდებულებიც. ცხადია, როდესაც სამეფო კარი ქუთაისში იმყოფებოდა, მეფის კურთხევის წესს საკათედრო ტაძარში ქუთათელი ასრულებდა. საერთოდაც, ბაგრატის ტაძრის წინამძღვრის – ქუთათელის როლი ქართულ პოლიტიკაში XII საუკუნის ბოლოს უაღრესად მნიშვნელოვანი იყო... 1191 წელს თამარის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულებმა აჯანყება მოაწყვეს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალები. მათ მოიყვანეს ექსორიაქმნილი გიორგი რუსი და „დასუეს ქუთათისს“. [2, გვ.177] საქართველოსათვის ამ რთულ დღეებში, როცა ქვეყანას ძმათამკვლელი ომის საშიშროება დაემუქრა, ბაგრატის ტაძრის წინამძღვარი და მისი მრევლი თამარის, ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების ერთგული დარჩნენ. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „გარნა კათალიკოსი აფხაზეთისა და ქუთათელი არა შეერთებულ იყვნენ ზრახვასა მას ბოროტს და წინაშე იყვნენ თამარისა“ [2, გვ.177] თამარის დავალებით ანტონ ქუთათელი მოლაპარაკებას აწარმოებდა აჯანყებულებთან.

დროთა განმავლობაში მეფის კურთხევის წესში სერიოზული ცვლილებები მოხდა. XIV საუკუნის ქართული სამართლის ბრწყინვალე ძეგლში – „ხელმწიფის კარის გარიგება“ ვკითხულობთ: „... დაისარჩლნეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოვანე. ქუთათელმა ასე თქუა : „თუ აწ

ორჯელ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცვილან და არ მემართლები, გვირგვინი ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა“ [30, გვ. 456]. ცენტრიდან ლიხთ-იმერეთის ეკლესიის კავშირის განსამტკიცებლად საქართველოს მთავრობამ, როგორც „კარის გარიგებიდან“ ჩანს, ქუთათელს დაუჭირა მხარი – სამეფო გვირგვინისა და სკიპტრის შესანახ ადგილად **ქუთაისის საკათედრო ტაძარი დაადგინეს**. კარის გარიგების მიხედვით, „...მერმე ვეზირთ და ერთობილთ ლაშქართა თქვეს, თუ „ქუთათელი უმართლეა“ და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს და მოანება აფხაზეთის კათალიკოსმა“ [30, გვ. 456] დარბაზმა უპირატესობა ქუთათელს მისცა იმ საბუთით, რომ მას ეს უფლება პრაქტიკით თითქმის მოპოვებული ჰქონდა, „იქ მეფეები ორჯელ-სამჯერ დალოცვილანო“. იქვე ჩამოთვლილია ქუთათელის მიერ ნაკურთხი მეფეები: აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ვახტანგ ნარინის ძე (1289-1293 წლები), ლიხთიმერეთის მეფე კონსტანტინე ნარინის ძე (1293-1327 წლები) და მესამე, ნაგულისხმევია დავით ნარინი რუსუდანის ძე (1245-1293 წლები). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქუთათელს დარჩა მხოლოდ სკიპტრა, გვირგვინი კი აფხაზეთის კათალიკოსმა შეინარჩუნა (პ. ინგორიყვა). ასეთი დასკვნა, ნერს ბ. ლომინაძე, „კარის გარიგების“ მოღწეული ტექსტის ნაკლოვანებით არის გამოწვეული. [22, გვ.654]

ამ საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი უთითებს, რომ მსგავსი დავა ქუთათელსა და ქართლის კათალიკოსს შორისაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაშინ ქუთათელს, როგორც ეტყობა, წაუგია: „XIII საუკუნეში შედგენილ „მეფედ კურთხევის განგებაში“ **გვირგვინს წინანდებურად ქუთათელი მთავრავისკოპოსი კი აღარ ადგამდა**, არამედ ქართლის კათალიკოს პატრიარქი“. [31, გვ.154]

აღსანიშნავია ისიც, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, გიორგი პირველის (1014-1027 წლები) ქუთაისის საკათედრო ტაძარში დასაფლავების [30, გვ.155] მაგალითის საფუძველზე, ქუთათელი დარბაზმა სრულიად საქართველოს მეფეთა „მოსაფლავედ“ დაამტკიცა („მოსაფლავედ“ დადგენა ნიშნავდა მეფის საფლავზე მწირველი ეპისკოპოსის დადგენას, რაც გარდა საპატიო მოვალეობისა, გარკვეულ მატერიალურ სარგებლობასაც გულისხმობდა). ამავე დროს მოუხდენიათ ქუთაისის ტაძრის შემკობა და ქუთათელის დანიშნაურება იმხნელის სწორი პატივით. ყოველივე ეს ბრწყინვალედ წოდებული გიორგი V-ის (1314-1346 წლები) შორსმჭვრეტელური და ღრმად ეროვნული მოღვაწეობის შედეგი იყო.

ზემოთმოტანილი მსჯელობის მიხედვით უდავოა, რომ გაერთიანებული საქართველოს მეფის კურთხევის წესის შესრულება XI-XIII საუკუნეებში და შიგადაშიგ შემდეგაც ქუთათელის მოვალეობაა, ხოლო მისი საკათედრო ტაძარი XI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, ე.წ. სობოროს აგებამდე, ბაგრატის ტაძარია. XV-XVIII საუკუნეებში საკათედრო ტაძარში ხდებოდა იმერეთის მეფეების კურთხევა. მეფედ კურთხევის წესს ახლა აფხაზეთის კათალიკოსი ასრულებდა, მაგრამ მასში ქუთათელიც მონაწილეობდა. მართალია, როგორც უკვე ითქვა, წყაროებში არ გვაქვს კონკრეტული და პირადპირი ცნობები საქართველოს თუ იმერეთის მეფეები, სახელდობრ რომელ ტაძარში ეკურთხებოდნენ, მაგრამ **ყველგან, სადაც ნახმარია გამოთქმა „ქუთაისის საყდარი“, ჩვენი აზრით, იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ ბაგრატის ტაძარი**.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველი მეფე, რომელიც ქუთაისის საკათედრო ტაძარში აკურთხეს, გიორგი I იყო. ეს მოხდა 1014 წელს. 1027 წელს იგი თრიალეთში გარდაიცვალა, წამოიყვანეს და „დამარხეს საყდარსა ქუთაისსა“. „შემდგომად მიცვალებისა დიდისა გიორგისა, მასვე ჟამსა მეფედ იქმნა“ მისი ვაჟი 9 წლის ბაგრატ IV (1027-1072 წლები) – ნათქვამია „მატიანე ქართლისაიში“ [18, გვ. 291]. ეს ცნობა გვაძლევს საშუალებას, რომ გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა – გიორგი პირველი დამარხეს ქუთაისის საყდარში და იმავე დროს იქვე მეფედ აკურთხეს მისი მცირეწლოვანი მემკვიდრე – ბაგრატი.

1054 წელს, ბიზნტიაში წასვლის წინ, ბაგრატ მეოთხემ თავისი ძე გიორგი „დაუტევა ქუთაისის მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“ [18, გვ.291]. ჩვენი აზრით, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ბაგრატ მეოთხემ ქუთაისში მეფედ აკურთხა გიორგი მეორე (1072-1089 წლები). იქნებ, ამ აზრს ისიც განამტკიცებს, რომ განდიდებულმა და განდგომილმა ფეოდალმა, კლდეკარის ერითავთ-ერისთავმა –ლიპარიტმა ბაგრატ მეოთხის ბიზნტიაში ყოფნის დროს დედოფლისა და დიდებულებისაგან გამოითხოვა ქუთაისში დატოვებული გიორგი, წაიყვანა „საყდარსა რუისისა და აკურთხეს მეფედ“ [18, გვ. 304]. ამით ზვიადმა ფეოდალმა ხაზი გაუსვა იმას, რომ იგი არ ცნობდა ქუთაისში – ცენტრალური ხელისუფლების რეზიდენციაში გიორგის მეფედ კურთხევას და ხელმეორედ აკურთხა იგი თავისი ზედამხედველობის ქვეშ, ერთიანი საქართველოს დედაქალაქისაგან მოშორებით – რუისის საყდარში.

უცნობი ავტორის თხზულებაში არაფერია ნათქვამი, სად აკურთხეს მეფედ დავით აღმაშენებელი. შესაძლოა. ეს მოხდა ქუთაისის საკათედრო ტაძარში (1089 წელს).

ქუთაისში ორჯერ აკურთხეს მეფედ დავით VI ნარინი, რუსუდანის ძე: 1230 წელს – ვითარცა სრულიად საქართველოს მეფე, ხოლო 1259 წელს – როგორც დასავლეთ საქართველოს მეფე.

1230 წელს „მეფე რუსუდანი იყო რა ქუთაისის და ყოველსა აფხაზეთსა, და იქმნა ძე მისი დავით, ვითარცა წლისა ხუთისა, ინება მეფედ ყოფად ძისა მისისა... მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, აფხაზთა, დადიან-ბედიანთა, რაჭის ერისთავსა, კათალიკოზსა აფხაზეთისასა და დასუეს მეფედ დავით ძე რუსუდანისა, აკურთხეს ქუთაისის და დაადგეს თავსა მისსა გვირგვინი, დასვეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისაებრ. სრულყო კათალიკოზმან წესი კურთხევისა“.

1259 წელს მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებული დავით ნარინი იძულებული გახდა ქუთაისში გადმოსულიყო. „... ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანმან, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ იმერელთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფედ-ყვეს დავით აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე.“ [19, გვ. 64-65, 110].

1360 წელს გამეფდა ბაგრატ V დავითის ძე. იგი მეფობდა 1393 წლამდე. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მისი მეფედ კურთხევა ქუთაისში შემდგარა, ალბათ, ძველი წესის მიხედვით, რადგანაც ქართული წყაროების და, აგრეთვე, ტრპიზონელი ისტორიკოსის ცნობების მიხედვით, სრულიად უცილობელია, რომ ბაგრატი გაერთიანებული საქართველოს მეფე იყო. [29, გვ.180].

1414 წელს ქუთაისში მეფედ აკურთხეს ალექსანდრე პირველი კონსტანტინეს ძე, დიდად წოდებული (მეფობდა 1412-1442 წლებში). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ქუთაისში მყოფი ალექსანდრე პირველი „შემოკრებული იმერ-ამერთა დიდებულთა და კათალიკოზთა და ეპისკოპოსთაგან ეკურთხა მეფედ მუნ“ [2, გვ.278]

ეს უაღრესად საინტერესო ფაქტია. ალექსანდრე პირველი გამეფდა 1412 წელს და ბუნებრივია, მეფედაც მაშინ აკურთხებდნენ. მეფე დასავლეთ საქართველოში გადმოვიდა თავისი ჯარით ურჩ მთავრათა თვითნებობის ასალაგმად. მათი დამორჩილების შემდეგ მას საჭიროდ ჩაუთვლია მეფედ კურთხევის /ცერემონიის ჩატარება ქუთაისში... —

ბატონი პეტრე ვაჭრიძის ნაშრომი წყდება ამ ადგილზე (სამწუხაროდ, მომდევნო დაკარგული ფურცლის მოძიება არ მოხერხდა.) და გრძელდება ფრაგმენტით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან. სავარაუდოდ, გამოკვლევის ეს ნაწილი, ალბათ ასე დაიწყებოდა: „როგორც დავით აღმაშენებლის უცნობი ისტორიკოსი წერს, „ჟამთა შინა გიორგი მეფესა, ყუელს გარე-მდგომსა, დაესხნეს უგრძნულად თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო აჰმად, ამირა ძლიერი და მაგრიად მოისარი, რომელსა მას ოდენ ჟამსა აელო კარი. მოვიდეს ესენი შინა-განცემითა ქრისტიანეთა, აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხვ. ხოლო საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი, ბაგრატიულნი სასმურნი და სამწდევონი პატიოსანნი, კარავნი

სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს იავარად და წარვიდეს. ხოლო გიორგი მეფე წარვიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად. მათ უკუე ლაშქართა, ესევეთართა ალაფითა სავსეთა მიმავალთა, წინ დაემთხვნეს ამირანი დიდნი, იასი ვინ-მე და ბუჟღუშ, და მათ თანა სიმრავლე ურუცხვ თურქთა, საბერძნეთს მიმავალთა, რომელთა იხილეს რა ესე-ოდენი სიმრავლე ოქროსა და სიმდიდრისა რომელი ჰქონდა და ცნეს მეოტობა გიორგისი, და ესმა-ცა მათგან, ვითარმედ: „რად წარხვალთ საბერძნეთად? აჰა ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესე-ვითართა სიმდიდრითა“. ხოლო მათ მყის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი. და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი/ ზღვის-პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი. და მას-ვე ერთსა დღესა **დანუეს ქუთათისი** (ხაზგასმა ჩვენია – პ.ვ.) და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი.” [28, გვ159] ცხადია, ქუთათისის დანვის დროს მტერმა დააზიანა ბაგრატის ტაძარიც,

XIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ქუთათისი დაარბიეს მონღოლებმა, ხოლო 1403 წელს – თემურ ლენგის ურდოებმა. ამ შემოსევების დროს მტრის მახვილი, რალა თქმა უნდა, ბაგრატის ტაძარსაც მისწვდა.

ბაგრატის ტაძრისათვის ისე, როგორც მთელი ქართველი ხალხისათვის, კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა XVI-XVII საუკუნეები. გაძლიერდა ოსმალთა აგრესია, ქვეყანა ფეოდალურ შინაომებში ჩაიძირა, ზოგჯერ ანარქია წაღეკვით ემუქრებოდა ყოველივეს, რაც საუკუნეების მანძილზე დიდი შრომითა და რუდუნებით შეექმნა ქართველ ხალხს. 1510 წელს, იმერეთში ბაგრატ მესამის მეფობის დროს (1510-1565 წლები), ოსმალთა დიდი ლაშქარი სამცხეს მოადგა. „ამას მიეგება ათაბაგი მზეჭაბუკ, მოუძღვა და ჩამოიყვანა ფერსათსა ზედა იმერეთს. ხოლო ბაგრატ მეფე ვერ წინაღუდგა და უკურიდა სიმაგრეთა შინა და დახიზნა იმერეთი. გარნა მოსრულთა ოსმალთა დანუეს ქუთათისი და გელათი“ – წერდა ვახუშტი ბატონიშვილი [2, გვ. 810]. მტერმა, უთუოდ, ბაგრატის ტაძარს კიდევ ერთი ჭრილობა მიაყენა.

ბაგრატის ტაძარი XVII საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც ერთმანეთს ებრძოდნენ სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წლები) და იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639-1660 წლები), საომარი ოპერაციების არენად იქცა. 1645-1647 წლებში ლევანი რამდენჯერმე დაესხა თავს ქუთათისს. ალექსანდრემ დახმარებისათვის მიმართა ოსმალეთს, რომელიც შეშფოთებული იყო დადიანის ესოდენი გაძლიერებით. თვით ლევან დადიანი მისი ბრძანებით მოჭედილი მთავარანგელოზების ხატის წარწერაში ქუთათისზე ლაშქრობას 1646 წელს ასე აღწერს: „მთავარ ანგელოსნო მიხაილ და გაბრიელ სახელითა ღვთისათა და ძალითა შენითა ჩუენ ხელმწიფემან დადიანმა პატრონმან ლევან გავილაშქრენით მეფესა ალექსანდრესა და მის ძმასა მამუკაზედ და მოვედით ქუთათისის ციხის საბრძოლად. თვით მეფე, სრული იმერელნი და სხუანი და საფარ ფაშის მეთოფეები ბევრი ახლდა და ციხესა და ჯებირებიდან იდგენ. ჩუენ მივედით და **სოფია წმინდის საყდარი** (ბაგრატის ტაძარი) მეთოფეებით აევსო და გაემაგრებია. უყავით ლამით იერიში და **საყდარი წავართვით** (ხაზგასმა ჩვენია), რაცა მეომარი მეთოფეები იდგა ყველა გამოვასხით და ჯებირის გარეთ ორი დიდი ქვის პალატი იყო ძველთაგან ნაშენები და ის მეთოფითა და მეომრის კაცით აევსო და გაემაგრებინა. **სოფია დიდის საყდართანა** დიდი ზარბაზანი მივიტანეთ და იქით დაღმა დაუწყეთ სროლა და ცემა იმ ქვის სახლებსა და დავამტვრიეთ ზარბაზნებითა და მრავალი კაცი იმაშიგ მდგომი დავხოცენით. მერმე იერიში უყავით და იქეთ მეფემ გამოაშველა ლაშქარი. დაუშინეთ ერთმანეთსა თოფებითა სროლა. საკვირველნი ომი შეიქმნა. მრავალნი კაცნი დაიხოცა იქითაც და აქეთაც [13]/

ბაგრატის ტაძარმა გაუძლო ამ განსაცდელს და გადრჩა. იგი მთელი თავისი სიდიადით ნახეს და დანვრილებით აღწერეს რუსმა ელჩებმა ალექსი იევლევემა და ნიკიფორე ტოლოჩანოვმა. ისინი

რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის დავალებით 1650-1652 წლებში იმერეთში იმყოფებოდნენ და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ კახეთის მეფე თეიმურაზ პირველსა (რომელიც მტრებს ქუთაისში გამოქცევდა) და იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამესთან. ელჩებმა არა მარტო დიპლომატიური მისია შეასრულეს, არამედ იმერეთის დანვრილებითი აღწერაც დაგვიტოვეს, რაც ძვირფასი ისტორიული წყაროა.

აი, რას მოგვითხრობს ალექსი იევლევი ბაგრატიის ტაძრის შესახებ: „1651 წელი, ივლისის 15. ალექსანდრე მეფემ თავისი აზნაური პაატა გამოაგზავნა ჩვენთან... და მეფის დანაბარები ასე გადმოგვცა: ჩემი სატახტო ქალაქი დიდი ქუთაისი, იქ არსებული საკრებულო ტაძარი, ციხე-გალავანი და სასახლე დაათვალიერეთ და აღწერეთ (ელჩები ქუთაისის ვაკე ნაწილში იყვნენ დაბინავებული). გავემგზავრეთ და დავათვალიერეთ. ქუთაისის ციხე გალავანი ქვის არის... ქუთაისის ამ დიდ ციხე-გალავანში საკრებულო ტაძარია ერთგუმბათიანი, **საუცხოოდ აგებული** (ხაზგასმა ჩვენია – პ. ვ.). გუმბათი გადახურულია სპილენძით, თექვსმეტ ნახნაგად, საყდარი დიდი თლილი ქვებით არის აგებული, საყნინით და ზოგჯერ მეტი სიდიდის. ამ საკრებულო ტაძრის საერთო გარე წრის ზომა ოთხმოცდაექვსი „დიდი საყნინა“.

საკრებულო ტაძრი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. შიგ წინათ კედლის მხატვრობა ყოფილა. საყდარში მრგვალად თლილი რვა სვეტია. საყდარში ამ სვეტებზე, იქეთ-აქეთ გვერდებზე თალებს ქვემოთ პატრონიკვა შესანიშნავად გაკეთებული. ამ პატრონიკვებ ასავალი შიგნიდან, საყდარში არის. გვიამბეს, რომ როცა დღესასწაულებია და მეფე-დედოფალი მწუხრს, ცისკარს და წირვას ესწრება, მაშინ დედოფალი სხვა დიდებულთა მეუღლეებითურთ ამ პატრონიკვებ იმყოფება, დედოფალს გალობა ესმის, იქ მყოფს ყველას ხედავს, მაგრამ ხალხი მას ვერ დაინახავს. საყდარში, მარჯვენა მხარეს, სვეტთან ქვისგან გაკეთებული მეფის ადგილია, ზედ მეფეებია დახატული. როცა მეფე იმ საკრებულო ტაძარში მოდის, იმ თავის ადგილას დგება. ამ ადგილას პირდაპირ საკურთხევლის კედელზე, ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ადგილობრივი (ქართული) ხატია წელს ზემოთ გამოსახული. ხატის გვირგვინი ოქროსია, გვირგვინის სამკაულები მინანქრით არის გაკეთებული. ღვთისმშობელს და მაცხოვარს სამოსელი, სახატე და მისი კარები ოქროთი დაფერილი ვერცხლით აქვს მოჭედილი. სამოსლის მოჭედილობაზე საღვთო დღესასწაულებია და წმინდანებია ამოტვიფრული. ადგილი საგანგებოდ მოწყობილია, ხატი თავის ბუდით ქვით არის ამოშენებული და ისეთ სიმაღლეზე დგას, რომ ხელით თუ მიწვევა კაცი, ამიტომ ხატის ბუდეზე სამი ქვის საფეხურია ასასვლელი, რათა ხატის მთხვევა შესაძლებელი იყოს. ამ ხატიდან აღმოსავლის კარებამდე ორი ხატი დგას, მაცხოვრის და ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის, წელს ზევით გამოსახული. გვირგვინები, შუა ნაწილი და არშიები ოქროთი დაფერილი ვერცხლითაა მოჭედილი. არშიებზე წმინდანებია ამოტვიფრული. ხატებს შუა ვერცხლისაგან ჩამოსხმული არშინიანი ჯვარი დგას, ჯვარედინი არშინის სამი მეოთხედი იქნება, ფირუზისა და ბრონეულის ფერი ძვირფასი ქვებით არის შემკული. შუაზე ჩამოსხმული ჯვარცმია. ჯვარცმის ზემოთ პატარა ოქროს კიდობანია გაკეთებული. კიდობანში კი, როგორც გვიამბეს, უფლის ძელი-ცხოვრების ნაწილია მოთავსებული, ჟოლოსფერი იაგუნდისა და მარგალიტებისაგან შემკული.

ჯვარცმას კვარხლებზე ვერცხლის პატარა კიდობანი აქვს. კიდობანში, გვითხრეს, ძელი-ცხოვრებისაგან გაკეთებული პატარა ჯვარიან.

აღსავლის კარების მარცხენა მხარეს ბლაქერნის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატია მარადიული ყრმით, ადგილობრივი ხელოვნებისაა. გვირგვინი და შუა ნაწილი ოქროთი მოჭედილი, გვირგვინის სამკაული მინანქრით არის შემკული. ღვთისმშობლის გვირგვინში ლაჟვარდისფერი დიდი იაგუნდებია ჩასმული. გვერდებზე მიმაგრებულია ოქროს ორი პატარა კიდობანი. გვითხრეს, რომ შიგ წმინდა თომა მოციქულის ნაწილებიაო. ხატს არშიები, ბუდე და ბუდის კარები ამოტვიფრული

ვერცხლით აქვს მოჭედილი. კარებზე სუფლო დღესასწაულებია. ბუდეზე, აგრეთვე, დღესასწაულებია და წმინდანებიც. მოჭედილობა ოქროშია დაფერილი. გვიამბეს, რომ ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატი კონსტანტინეპოლიდან არის მოტანილი და წინათ ზლაქერნის საყდარში იდგაო...

მარცხენა მხარესვე ადგილობრივი, ქართული ხელობის ღვთისმშობლის ხატია მარადიული ყრმით. ღვთისმშობლის და მაცხოვრის გვირგვინები ოქროსია, რომელიც მინანქრით არის მოხატული. გვერდებზე ოქროს სამკაულია, ზომით არშინის მეოთხედი, ზედ მიქელ და ჩგაბრიელ მთავარანგელოზებია გამოსახული მინანქრით. ხატს შუა ნაწილი და არშიები, აგრეთვე, ბუდე ვერცხლით აქვს მოჭედილი. სახატესა და მის კარებზე უფლის დღესასწაულებია და წმინდანებია გამოსახული. მოჭედილობა ოქროშია დაფერილი (ეს არის პალიასტომის ცნობილი ხატი, რომელიც ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული –პ. ვ.)

იმავე საკრებულო საყდარში, საკურთხეველში, ტრაპეზზე ოქროქსოვილი ხავერდის კვართია. ჯვარი მსხვილი მარგალიტებით და ძვირფასი ქვებით არის გამოსახული. ტრაპეზზე სახარებაა, რომლის ფიცრები ოქროთია მოჭედილი... საეკლესიო ჭურჭელი ყველა ოქროსია”...[10, გვ 136-140,]

კიდევ უფრო საყურადღებოა ელჩების ცნობა იმის შესახებ, რომ იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამის სურვილით, ამ დიპლომატიურ მოლაპარაკებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის საბოლოო გაფორმება და ხელმოწერა მოხდა სწორედ ბაგრატის ტაძარში. ალექსი იეველესის „... საანგარიშო აღერილობაში” ნათქვამია: „9 ოქტომბერს ალექსანდრე მეფემ ფემანგ მდივანი გამოგზავნა ჩვენთან და შეგვატყობინა ქუთაისის ციხე-გალავანის საკრებულო ტაძარში გამოვცხადებულიყავით, ალექსანდრე მეფეც იქ იქნებო, ხელმწიფის საქმეს სრულყოფს, ფიცის წიგნებს დაბეჭდავს და ელჩებს ჩაგაბარებთო.

ნიკიფორე და ალექსი ციხე-გალავანში საკრებულო ტაძარში მივედით. ცოტა ხნის შემდეგ იქ ალექსანდრეც მოვიდა, ილოცა ხატის წინაშე, გამოვიდა საყდრიდან, გალავანში საჩდრილობის ქვეშ დადგა და ჩვენ მიგვიწვია. ჯერ ჯანსაღობით მოგვიკითხა და შემდეგ გვითხრა: თქვენ კაცი გამოგიგზავნეთ ხელმწიფის საქმის გამო, ხელმწიფის საქმე აქ **საკრებულო ტაძარში** (ხაზგასმა ჩვენი –პ. ვ.) მინდა სრულყო, ფიცის წიგნები ჩემი ახალი ბეჭდით მინდა დავბეჭდო, რომელიც თქვენი თანდასწრებით და თქვენი მითითებით გავაკეთებინეო.

ჩვენც, ნიკიფორემ და ალექსიმ, მეფეს ფიცის წიგნები მივართვით. მეფემ მიიღო რა საბუთები, თავის მორდალს გადასცა და ბეჭდების დასმა უბრძანა. როდესაც საბუთებს ბეჭდები დაუსვეს, მორდალმა საბუთები მეფეს მიაართვა. მიიღო რა მეფემ საბუთები, სიტყვით მოგვმართა ჩვენ ელჩებს...

დაასრულა რა საუბარი, მეფე საკრებულო ტაძრისაკენ გაემართა. როდესაც ალექსანდრე მეფე საკრებულო ტაძრის დასავლეთის კარებთან მივიდა, ზღურბლთან შეჩერდა და თავყანი სცა სამჯერ... შემდეგ, ალექსანდრე მეფემ ჩვენ, ნიკიფორე და ალექსი, აგრეთვე, ჩვენი მხლებელი ხელმწიფის ხალხი ხელზე სამთხვევად მიგვიწვია. როდესაც ჩვენ ყველამ ხელზე ვემთხვიეთ, ალექსანდრე მეფემ ელჩებს ასეთი სიტყვებით მოგვმართა: გაემგზავრეთ მეფის უდიდესებულობასთან... ალექსი მიხეილის ძესთან და გადაეცით დიდ ხელმწიფეს: რომ მე – ალექსანდრე მეფეს, მის ხელმწიფურ წყალობაზე თავი დამიკრავსო, დაბლა თავი დახარა. შემდეგ კეთილი მგზავრობა გვისურვა და წავიდა სასახლეში, ჩვენ კი ელჩები ჩვენს ბინაზე დავბრუნდით. მეფემ სასულიერო ხელისუფლებას და თავის თავადებს, რომელნიც იმ დროს იქ იყვნენ, უბრძანა, წამოგვყოლოდნენ ჩვენ ბინაზე იქ ფიცის წიგნებზე ხელის მოსაწერად. მიტროპოლიტებმა, არქიეპისკოპოსებმა და თავადებმა, რომლებიც იმ დროს ქუთაისში იყვნენ, ფიცის წიგნზე ხელი მოაწერეს, ხოლო ალექსანდრე მეფის ფიცის წიგნი ზაქარია და დავით მიტროპოლიტებმა ძირითადად მიამაგრეს. [10, გვ.162-166]

ხელშეკრულება, რომლის ძალითაც პატარა ქრისტიანული იმერეთის სამეფო ძლიერი ქრისტიანული რუსეთის მფარველობაში შედიოდა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო და ამიტომ მასზე ხელმოწერა განსხვავებულ პირობებში უნდა მომხდარიყო. ჩვენი აზრით, ალექსანდრე მესამის ჩანაფიქრით, ამ აქტის საკათედრო ტაძარში – ღვთის სახლში სრულყოფით ხაზი ესმებოდა იმ ფაქტს, რომ ქრისტიანული რუსეთის ხელმწიფე ღმერთის წინაშე იღებდა უდიდეს პასუხისმგებლობას ქრისტიანული პატარა სამეფოსათვის მაჰმადიან მტრებთან უთანხმოო ბრძოლაში დახმარების აღმოჩენაზე. რამდენად გაუმართლდა ალექსანდრე მესამეს ეს იმედები, სხვა საკითხი და ცალკე საინტერესო თემაა.

ბაგრატიის ტაძრისათვის საბედისწერო გამოდგა XVII საუკუნის 60-იან–90-იანი წლები. გაძლერდა ფეოდალური ანარქია, რასაც თან ახლდა არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური გაჩანაგება, არამედ საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი დეფორმაცია. ამ ძნელბედობის ფაშს ქუთაისის საკათედრო ტაძრის სათავეში იმყოფებოდა სვიმონ ქუთათელი. ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, „ესე სვიმონი იყო ძე სეხნია ჩხეიძისა და განდიდებული. გარნა თუ იყო მღუდელთმთავარი, არამედ ტყვის მყიდველი, მეძავ-მემრუშე, კაცის-მკვლელი, ცრუ-ფიც, უწირავ-ულოცავი, ვითარცა განდგომლი ივლიანე...“ [2, გვ.851]. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. სწორედ ამ სვიმონის მამის – სეხნია ჩხეიძის დახმარებით ოსმალებმა ჯერ კიდევ 1666 წელს ხელთ იგდეს ქუთაისის ციხე, ხოლო 1691 წელს, როდესაც მეფე არჩილის მეთაურობით ქართველებმა სცადეს მისი გათავისუფლება, დამპყრობელმა სხვა რომ ვეღარ გააწყვეს რა, ციხის ტერიტორიაზე არსებულ საკათედრო ტაძარს ოთხივე კუთხეში ჩაუწყვეს თოფის ნამალი და ასე ააფეთქეს იგი [33, გვ.139-140]. ესეც შინაური ლაღატის შედეგად მოხდა. როდესაც ცნობილი გახდა, რომ ქართველთა შორის უთანხმოებაა, „...გამოვიდნენ ციხიდან ოსმალნი და შემუსრეს ქუთაისის ეკლესია ყოვლად წმიდისა, დიდ შეუნიერად გებული და წარიღეს სუეტნი მისნი და მარმარილოსნი სამცხეს“ – წერდა ვახუშტი ბაგრატიონი.[2, გვ 761, 857]

ბაგრატიის ტაძრის დანგრევა ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელია ქუთაისის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მან შემადრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მოსახლეობაზე. მაგრამ მტერმა ვერ შეძლო ტაძარი აღეგვა პირისაგან მიწისა. დარჩა გრანდიოზული ნანგრევები და დაუოკებელი სურვილი ოსმალთა ბატონობისაგან ქუთაისის გათავისუფლებისა.

ტაძრის დანგრევის შემდეგ ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრა მოიშალა. მაგრამ როდის მოხდა ეს? ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, რომ ქუთაისში ეპისკოპოსი „ზის ანცა“ და „არლარა ეგოდენითა სამწყსოთი“ . ვახუშტის შრომა დაიწერა 1742- 1745 წლებში. მისი ავტორი 1725 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა და მასალები საქართველოს ისტორიისათვის ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნის დროს ჰქონდა შეკრებილი. ასე, რომ ვახუშტის ცნობის მიხედვით ქუთაისის საეპისკოპოსო XVII საუკუნის 20-იან წლებამდე მოიშალა. მალე იმერეთის მეფის სოლომონ პირველის (1752-1784 წლები) ენერგიული ღონისძიებების შედეგად და 1759 წლის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით იგი აღდგენილ იქნა. [12, გვ. 4-6]. განახლებული კათედრის წინამძღვრად აკურთხეს ცნობილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე – მაქსიმე აბაშიძე.

ოსმალებისაგან ქუთაისის ციხის გათავისუფლების დროს სერიოზულად დაზიანდა ბაგრატიის ტაძარი, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ კედელი. სოლომონ პირველს ციხისათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული, როდესაც მის დასახმარებლად მოვიდა რუსთა კორპუსი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. ბრიყვა გენერალმა არ გაიზიარა ციხის ალების გეგმა, რომელიც სოლომონ პირველს ჰქონდა შემუშავებული და ქალაქის გაძარცვის სურვილით შეპყრობილმა გადაწყვიტა მისი იერიშით ალება. ზარბაზნები განალაგეს მწვანეყვავილას კონცხზე და ციხეს ტყვიები დაუშინეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს, სამაგიეროდ საფუძვლიანად დაზიანეს ბაგრატიის ტაძრის აღმოსავლეთ კედელი. იოანე ხუცესი თავის დღიურებში 1770 წელს წერდა: „8 მკათათვე. ქუთაისის ციხეს

რუსებმა ზარბაზნების სროლა დაუწყეს მწვანეყვავილათგან...

9 მკათათვე. რუსები ზარბაზანს და ყუმბარას ესროდნენ ციხეს დღეში ასზედ მეტსა...

14 მკათათვე. რუსებმა შუალამისას მრავალი ყუმბარა და ზარბაზანი ესროლეს ციხეს”[17, გვ.129-130; 24 გვ. 58]

1770 წლის 6 აგვისტოს მოიერიშეები ციხეში შევიდნენ, მაგრამ იქ არავინ დახვდათ. ოსმალები ღამით გაპარულიყვნენ. ასე ძვირად დაუჯდა ქართულ ხუროთმოძღვრებას გენერალ ტოტლებენის „გულმოდგინება“.

სოლომონ პირველმა იმის შიშით, რომ ოსმალები კვლავ არ მობრუნებულიყვნენ, საფუძვლებამდე დააქცია ქუთაისის ციხე.

1772 წლის აგვისტოში ქუთაისში ჩამოვიდა გერმანელი მკვლევარი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ნატურალისტი, მედიცინის დოქტორი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი.

კოლხეთისა და იმერეთის ოდესღაც ბრწყინვალე დედაქალაქი ისე იყო გაპარტახებული ოსმალთა 150 წლიანი ბატონობისა და ფეოდალური შინაომებისაგან, რომ გერმანელ მეცნიერს დანგრეული და მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად დაცარიელებული დახვდა. გერმანელი სტუმარი წერდა: „11 აგვისტო... დღეს მე დავათვალიერე ქუთაისი... ქალაქის კედლის შიგნით... დგას დანგრეული ქრისტიანული ეკლესია, რომელიც სიდიდით მცხეთის ეკლესიის ტოლია...”[8, გვ. 139-143]

1819 წელს ბაგრატის ტაძარი ინახულა თბილისიდან იერუსალიმში მიმავალმა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, დიპლომატმა და მწერალმა გიორგი ავალიშვილმა. „ფრიად მაღალსა კლდესა ზედა – წერდა იგი – არს ძუელი ტაძარი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლის მიძინებისა თეთრისა თლილითა ქვითა ნაშენი და **ღიადთა შორის შერაცხული**”(ხაზგასმა ჩვენი – პ. ვ.) [1; გვ.22]

1822წელს ქუთაისში სტუმრად იყო საფრანგეთის მეფის კონსული გამბა. იგი წერდა: „აქ არის ქვით ნაგები **ძალზე ლამაზი ეკლესიის ნანგრევები**” (ხაზგასმა ჩვენია – პ.ვ.)[7, გვ.132]

1830 წელს ბაგრატის ტაძრის ნანგრევების რამდენიმე სურათი დახატა ცნობილმა რუსმა მხატვარმა ნიკანორ ჩერნეცოვმა.

ბაგრატის ტაძრის ნანგრევებმა აღტაცებაში მოიყვანა ცნობილი ფრანგი მოგზაური დიუბუა დე მონპერე, რომელიც ქუთაისში იმყოფებოდა 1833 წელს. იგი წერდა: „ბაგრატის ტაძარი არის ყველაზე შესანიშნავი ძეგლი საქართველოში. იგი კიევის სოფიის ტაძრის თანამედროვეა, მაგრამ სილამაზითა და დიდებულებით ბევრად აღემატება. [9, გვ.:412]

ბაგრატის ტაძარი მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა XIX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში. დაისვა საკითხი მისი მთლიანი დანგრევისა და ნანგრევებით დაკავებული ტერიტორიის გასუფთავების შესახებ. საქმე შემდეგში იყო: 1837 წლის შემოდგომაზე საქართველოში იმოგზაურა ნიკოლოზ პირველმა. საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის ხელმძღვანელობამ იმპერატორთან შესახვედრად სამზადისი დაიწყო. დასავლეთ საქართველოში გამოიგზავნა სინოდის კანტორის არქიტექტორი რიპარდი. მას დაევალა, დაეთვალიერებია ფოთიდან ქუთაისისაკენ მომავალ გზაზე (ასეთი უნდა ყოფილიყო იმპერატორის მარშრუტი) არსებული ისტორიული ძეგლები და წარედგინა მათი შეკეთების შესახებ მოსაზრებანი ხარჯთაღრიცხვასთან ერთად. რიპარდი იყო ქუთაისში, ნახა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. 1837 წლის 20 ივლისს საქართველოს ეგზარქოსი იმერეთის ეპარქიის მმართველს წერდა: „...არქიტექტორმა რიპარდმა რაპორტით მოგვახსენა, ქუთაისში სობორო სრულიად არ არის, ხოლო წოდებული აწინდელს სობოროდ ქუთაისსა შინა არის არა სხვაი რამე, ვითარცა კარიბჭე ძველისა მოხრებულისა ოსმალთა მიერ დიდისა სობოროისა, რომლისაგან აწ დაშთენ მხოლოდ კედელნი თლილი ქვისაგან აღშენებული, სიმაღლით ცამეტ საყენზე, რომელიცა სიძველისა გამო ფრიად საშიშ არიან და მოითხოვენ დაქცევას. დაქცევა ესე, მის, არქიტექტურის ანგრიშითა ეღირება შვიდას მანეთად თეთრ ფულად. გარნა წარმოება ამა დაქცევისა განგრძობასა

შინა ნამდვილისა ზაფხულსა ვერ შესაძლო არს. ამიტომ ძველ კარიბჭეში არსებული ეკლესია შეაკეთეთო. “[25; ფურცელი 1-38]

კავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებას პეტრბუტგიდან ცოტა ადრე რომ მიელო ცნობა საქართველოში იმპერატორის მოსალოდნელი მოგზაურობის შესახებ, ხოლო ეგზარქატს სათანადო თანხები ჰქონოდა, ბაგრატის ტაძარს მთლიანად დაანგრევდნენ. ის ამჯერად გადაარჩინა მისმა გრანდიოზულობამ, მაგრამ უკეთესი დრო არც შემდგომ დადგომია. უყურადღებოდ მიტოვებული ძველი ლამის ქვის სატეხ კარიერად იქცა, მაგრამ ტაძარი, თუმცა დანგრეული, მაინც იდგა. „ბაგრატის საკრებულო ტაძრის დიდებული ნანგრევები” – ასე იტყვის მის შესახებ 1846 წელს ცნობილი რუსი მწერალი და მოგზაური ა. ნ. მურავიოვი. [33; გვ.146-149]. მიხეილ სელეზნიოვის მიერ 1847 წელს შედგენილი „სახელმძღვანელო კავკასიის შეცნობისათვის” ბაგრატის ტაძარს ასე წარუდგენდა მკითხველს: „... ციტადელის ახლოს არის ნაშთები გრანდიოზული ტაძრისა, რომლიც აგებულია X საუკუნის ბოლოს. ტაძარი თავის სიდიადით აოცებს ყველა მნახველს”[35, გვ: 72-74]

1875 წელს ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ჩანახატები გააკეთა პეტრბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, იტალიელმა მხატვარმა ლუდვიგ ოსიპის-ძე პრემაციმ.

1876 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ცნობილი რუსი მეცნიერის, კავკასიოლოგის – ნ. პ. კონდაკოვის შრომა „საქართველოს ძველი არქიტექტურა”, რომელშიაც ავტორი ხაზს უსვამს ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმის ორიგინალურ ხასიათს. მეცნიერი წნულ ორნამენტს, რომლითაც ასე მდიდარია ქუთაისის ტაძარი და რომელიც აოცებს მნახველს თავისი მრავალფეროვნებით, სინატიფითა და დახვეწილობით, „ქართულ წნულს” უწოდებს.[32, გვ79]

1879 წელს ბაგრატის ტაძრის ნანგრევები დაათვალიერა რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარის, კავკასიოლოგის, გრაფ ა. ს. უვაროვას მეუღლემ პ. ს. უვაროვამ და მას „**მსოფლიოში უმშვენიერესი ტაძრის ნანგრევები**” უწოდა.[36, გვ145]

1881 წელს ბაგრატის ტაძრის სტუმრები იყვნენ რუსეთს არქეოლოგთა V ყრილობის მონაწილეები, ცნობილი მეცნიერები: ვირხოვი, კოსტომაროვი, ილოვაისკი, ხვოსონი, დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი და სხვა (ყრილობა ჩატარდა თბილისში). მათ ხაზი გაუსვეს ამ უნიკალური ძეგლის დაცვის აუცილებლობას.

1893 წელს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების გამოცემაში „**материалы археологии Кавказа**” დაიბეჭდა აკადემიკოს პ. მ. პავლინოვის შრომა, რომელშიაც ავტორი ბაგრატის ტაძარს კავკასიის არქიტექტურის ყველაზე მდიდარ ძეგლს უწოდებს. [34, გვ.45]

XIX საუკუნის 80-90-იან და 900-იან წლებში საქართველოს პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა წერილები ბაგრატის ტაძრისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და მოსახლეობის მიერ მისი დაზიანების შესახებ. XX საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში იმერეთის ეპისკოპოსის თაოსნობით ქუთაისში შედგა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა ბაგრატის ტაძრის დაცვაზე ზრუნვა. ამ ჯგუფის თხოვნით ქართულ სიძველეთა ცნობილმა მკვლევარმა ს. გორგაძემ 1911 წელს გამოსცა მცირე მოცულობის წიგნი „ბაგრატის ტაძარი”. ეს იყო ამ ძეგლისადმი მიძღვნილი, ქართულ ენაზე დაწერილი პირველი შრომა.

დიდმა მამულიშვილებმა 1912 წელს დაარსეს ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება და მუზეუმი. ისინი მოგვევლივნენ ბაგრატის ტაძრის უპირველეს გულშემატკივრებად, მაგრამ მათი ძალიან მცირე მატერიალური შესაძლებლობა იმის საშუალებას არ იძლეოდა, რომ ძეგლის დაცვისა და გამაგრების საქმე რადიკალურად გაუმჯობესებულიყო.

ბაგრატის ტაძრის მეცნიერული შესწავლა 20-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ამ დიდებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს მიეძღვნა გ. ჩუბინაშვილის, ვ. ციცცაძის, ნ. სევეროვის, ვ. ბერიძისა და სხვათა შრომები.

ბაგრატის ტაძარი მარტო ქვათა გასაოცარი სიმფონია როდია. იგი ქართველი კაცის სულის ნაწილია. ამიტომ ედო გალაკტიონს საწერ მაგიდზე ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმის ფრაგმენტი. პოეტი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღმერთკაცის ხედვით ჭვრეტდა მჭიდრო კავშირს ქართულ ჩუქურთმასა და თავის გენიალურ პოეზიას შორის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატის ტაძრის განუმეორებელმა ჩუქურთმებმა შთააგონეს გალაკტიონს ეს სტრიქონები:

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“.

საუკუნეებისა და მტერთაგან შელახული ბაგრატის ტაძარი განსაკუთრებულ რომანტიკულ განცდას ბადებს – წერს აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე. ტაძრის დათვალიერებისას სწორედ ასეთი განცდა დაუფლებია ცნობილ რუს მწერალ ქალს ვერა ინბერს, რაც შემდეგნაირად გამოხატა:

„ტაძრის ნანგრევები ბინდის ქსელში გახვეულია,
მას ქარიშხალი რომაული ახსოვს იმდენი,
მის თავზე იმდენ ჭექა-ქუხილს გადაუვლია,
თითქოს სავანე ყოფილიყოს იუპიტერის.
დიახ, ასეთი მოგვეჩვენა დაღამებისას
ეს საოცარი ნახელავი ბაგრატი მეფისა.
თითქოს ეწვიმოს ქვების წვიმას, ისე ბევრია,
მოზაიკების კვალიც, ალბათ, მალე მოცვდება,
ერთი კედლისთვის დროს საყრდენი შეუნგრევია
და მას ამაგრებს მხოლოდ სურო და საოცრება,
სუფევს ღუმილი... მწვანე მოლი კედელს ეხება,
სუნთქვს მეთაე საუკუნე – თავბრუ მეხვევა“

(თარგმნა რუთა ბეროძემ)

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ტაძრის მიდამოებში ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. აღმოჩნდა სხვადასხვა დროის მნიშვნელოვან ნაგებობათა ნანგრევები, რომელთა შორის ამაყად დგას ცადაღმართული ფეოდალური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საოცრება – ქუთაისის საკათედრო ტაძარი, დგას და მოგვიწოდებს – მ ო უ ა რ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს !

ლიტერატურა და წყაროები:

1. დ. ავალიშვილი, 1967 წელი: მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი.
2. ვახუშტი ბაგრატიონი, 1973წელი: აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი
3. ნ. ბერძენიშვილი, 1971 წელი: „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება. აფხაზეთის კათალიკოსი XIII-XV ს.ს.“, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბილისი
4. ნ. ბერძენიშვილი, 1971 წელი: „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება XIV-XVIII ს.ს. (საკათალიკოს საზღვრები),“ საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბილისი
5. ნ. ბერძენიშვილი, 1990 წელი: საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ. 1990წ.
6. ს. გორგაძე, 1913 წელი: ბაგრატის ტაძარი, ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერა, ტფილისი
7. ჟაკ ფრედერიკ გამბა, 1987 წელი: მოგზაურობა საქართველოში, თარგმნა მზია მაგალობლიშვილმა, თბილისი
8. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962 წელი: თარგმანი და რედაქცია გ.

გეგელაშვილისა, ტ. I თბილისი

9. დიუბუა, 1839 წელი: მოგზაურობა კავკასიაში, ტ. I, პარიზი, ფრ. ენაზე
10. ალექსი იველევი, 1969 წელი: 1650-1652 წ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, პროფ. ი. ცინცაძის თარგმანი და რედაქცია, თბილისი
11. პ. ინგოროყვა, 1954 წელი: გიორგი მერჩულე, თბილისი
12. ს. კაკაბაძე, 1913 წელი: საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს, ტფილისი
13. კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, დიმიტრი მელვინეთუხუცესის ფონდი, №15
14. მ. კეზევაძე, უკანასკნელი ქუთათელი, ხელნაწერი
15. ბ. ლომინაძე, 1966 წელი: ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბილისი
16. შ. ლომსაძე, 1979 წელი: გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბილისი
17. მ. ლორთქიფანიძე, 1994 წელი: „ქუთაისი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი“, კრებულში – ქუთაისი უძველესი დროისან XIII საუკუნემდე, თბ-ქუთ.
18. მატიაწე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955 წელი,
19. ჟამთა აღმწერელი, ასნლოვანი მატიაწე, რ. კიკნაძის გამოცემა, თბ. 1987 წელი,
20. ზ. ჟვანია, 1994 წელი: საქართველის კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთაისი.
21. საქართველოს ისტორია, 1990 წელი: საკითხავი წიგნი, შედგენილი აკად. ს. ჯანაშიას და აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების მიხედვით აკად. გ. მელიქიშვილს მიერ, თბილისი
22. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ. 1979 წელი.
23. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, თბილისი, 1985 წელი
24. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ. 1959 წელი
25. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 21. საქ. 1465, ფ.1-38
26. ქ. ჩხატარაიშვილი, 1990 წელი: ქართული საეკლესიო ორგანიზაციის ისტორიიდან, კრებულში – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბილისი
27. ზ. ცეციტიშვილი, 1980 წელი: საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი (XVIII ს. მეორე ნახევარი - XIX ს. დამდეგი) თბილისი
28. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა (უცნობი ავტორი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, თბილისი 1992 წელი.
29. ივ. ჯავახიშვილი, 1982 წელი: ქართველი ერის ისტორია, ტომი III, თბილისი
30. ივ. ჯავახიშვილი, 1967 წელი: ხელმწიფის კარის გარიგება – წიგნში ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისი
31. ივ. ჯავახიშვილი, 1984 წელი: ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, თხზ. ტ. VII, თბილისი.
32. Н. Кондаков, 1876 г.: Архитектура Грузии, Москва.
33. А. Н. Муравьев, Грузия и Армения, ч III, СПб
34. Павлинов, 1893г.: »Храм Баграта«, в периодическом издании: »материалы археологии Кавказа«, III.
35. М. Селезнев, 1847г.: руководство к познанию Кавказа, СПб.
36. П. Уварова, 1887г.: Кавказ, Москва.

ბურამ ბაბუნია, ლია ბაბუნია

ქუთაისი და „ქუთათისის სამოქალაქო“ --- ქართული კულტურის უნივერსალოვანესი ცენტრი, მისი ისტორიულ-კულტურული პროფილი

ნებისმიერი *კულტურა წარმოუდგენელია ეკონომიკის გარეშე*. იგი თითქმის ყოველთვის მის შესაბამის და შესაფერის *სამეურნეო შესაძლებლობებს*, მის სათანადო ეკონომიკურ უზრუნველყოფას გულისხმობს. ცხადია, ამ მხრივ არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი. ქვეყნის „ეკონომიკური სიძლიერის გარეშე წარმოუდგენელიც იქნებოდა ის გრანდიოზული მშენებლობანი“, რომლებსაც გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეები ახორციელებდნენ.¹[გურგენიძე, „ქუთაისი“, 1995, 20-23.]

X საუკუნის დასასრულიდან ქართული განათლების, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობის საერთო ფონზე, განსაკუთრებით დაწინაურდა *ქუთაისი* და „*ქუთათისის ქვეყანა*“, მისი *კულტურული ცხოვრება*. ამისათვის ხელსაყრელი ნიადაგი და პირობები უკვე მომზადებული იყო. როგორც *ვახუშტი ბაგრატიონი* ბრძანებს --- „ქუთათისი, რიონის გაღმა-გამოღმა, ჰავითა და წყლითა მშუენი² [ქართლის ცხოვრება, IV, 1973, 761/ 6-7.] ქალაქი იყო. იგი *ერთიანი საქართველოს დედაქალაქობის ხანაში* ღირსეულად მოთავეობდა არამარტო ეკონომიკური და პოლიტიკური, არამედ ზოგად-ქართული ხასიათისა და მასშტაბის კულტურულ ღონისძიებებსაც. ბუნებრივია, ამ ხანაში ქუთაისის განათლების და საერთოდ, კულტურული მიღწევები თვალსაჩინოდ წარმოჩნდა. არსებითად შეიცვალა ქალაქის გარეგანი იერსახეც.

ამ პერიოდში ქუთათისის *სამეფო კარზე და ბაგრატის ტაძართან* შემოკრებილი იყვნენ მწიგნობრები, მთარგმნელები, მწერლები, პოეტები, ფილოსოფოსები, ხელოვნების მოღვაწენი --- მხატვრები, მუსიკოსები, ხუროთმოძღვრები, ოქრომჭედლები, ფერწერის, ჩუქურთმის, სამშენებლო საქმის, მინიატურისა და მოზაიკის ოსტატები, წიგნების გადამწერი კალიგრაფები. ისინი დიდ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ. შემოქმედებით საქმიანობას საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში ერთხანს სათავეში („მწერალთა ზედა მთავრად“) ედგა გიორგი მთაწმიდელის ბიძა --- *გიორგი მწერალი*.

აღსანიშნავია, რომ თვით მეფე *ბაგრატ მესამის* (975/978-1014) მიერ, თუ მისი დავალებით (?) 1008-1014 წლებში უნდა იყოს შედგენილი „*აფხაზეთის მეფეთა დივანი*“ („*ქუთათის დივანი*“), ანუ „აფხაზეთის ისტორია“ ბაგრატ მეფისა. იგი აღნიშნული ეპოქის უნიკალური ქართული საისტორიო და სამართლის ძეგლია. მასში მოთავსებულია ეგრის-აფხაზეთის მთავრებისა და მეფეების საკმაოდ ვრცელი და სანდო ნუსხა და მოცემულია ეგრის-აფხაზეთში ბაგრატ ბაგრატიონის მეფობის ლეგიტიმიზაციის ცდა.³ [თაყაიშვილი, „ძველი საქართველო, II, 1911-1913, 28-54].

ბევრი მეცნიერის აზრით, თავის დროზე არსებობდა *ბაგრატ მესამის* (ბაგრატ „კურაპალატი“ და „მეფეთ მეფე“) *სამართლის წიგნისათვის*-ე.წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“⁴ [ჯავახიშვილი, VI, 1982, 85-95.] ამ განათლებული ქართველი მეფის ინიციატივითა და დაკვეთით არის *თარგმნილი* ზოგიერთი ჰაგიოგრაფიულ-აპოკრიფული თხზულება და ა.შ.⁵ [მენაბდე, 1994, 170. გაბუნია, „ქუთაისი“, 1973, 50. სურგულაძე, I, 1989, 112-113.]

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე დიდ სამშენებლო საქმიანობას ეწეოდა ქუთაისსა და მის მიდამოებში („ქუთათისის სამოქალაქო“). უახლესი *არქეოლოგიური* გათხრებით დადასტურებული ფაქტია, რომ X-XI საუკუნეებში ქალაქის ძველ დედაციხესა და ზღუდე-გალავანზე მნიშვნელოვანი სარესტავრაციო და გაფართოება-გამაგრებითი ხასიათის სამუშაოები ჩატარდა; აშენდა დამატებითი

მძლავრი თავდაცვითი დედაბურჯები, კოშკები, კარიბჭეები, სხვა საფორტიფიკაციო ობიექტები; აიგო საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, წყალგაყვანილობისა და წყალმომარაგების ახალი და ურთულესი სისტემები, ღვინის მარნები, მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების შესანახი სათავსოები. შესრულდა სერიოზული სამუშაოები დიდი ქალაქის სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის მიზნით.

ქართველ მეცნიერ-არქეოლოგთა აზრით, ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება ჯერ კიდევ **ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისიდან**. ეს ის ხანაა, როდესაც საქართველოში **ქრისტიანობა** სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა და მის დასავლეთ ნაწილში ახალი, საკმაოდ დიდი პოლიტიკური გაერთიანების---**ეგრის-ლაზეთის სამეფოს** ჩამოყალიბება-გაერთიანების პროცესი დასრულდა. როგორც ჩანს, მის თავდაპირველ პოლიტიკურ ცენტრს, „ლაზეთის მეფეთა“ მთავარ სატახტო რეზიდენციას წარმოადგენდა **ქუთაისი**. შემდეგში, ერთხანს, იგი აქედან „ერთი დღის სავალზე“ მდებარე **ციხეგოჯმა** (უფრო სწორად: „ქუჯისციხე“, არქეოპოლისი) ჩაანაცვლა..

IV საუკუნის დამდეგიდან დაწყებული, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე, იშვიათი სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეულ **უქიმერიონის** კლდოვან მთა-კონცხზე, შენდება გრანდიოზული მასშტაბის ციხადელი --- **ქალაქის დედაციხე** („აკროპოლისი“) --- ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ძლიერების სიმბოლო. იგი ქუთაისში, მდინარე რიონთან ერთად, ქალაქთმშენებლობის მთავარი დომინანტი გახდა. შემდეგში ხდება ციხე-ქალაქისა და მისი დედაციხის თანდათანობითი სრულყოფა.

VI საუკუნის დასაწყისიდან --- VII საუკუნის დამდეგამდე ეგრისის მინა-წყალზე ბიზანტია-ირანს შორის გაჩაღებული ხშირი „დიდი ომიანობის“ და შემდეგში --- ბიზანტიელთა მიერ ეგრისში მეფობის გაუქმების, მათ მიერ ქვეყნის ოკუპაციისა და არაბთა გამაჩანაგებელი შემოსევების წყალობით ქუთაისს **მძიმე ხანა** დაუდგა...

როგორც ირკვევა, **VII საუკუნის 20-იანი წლებიდან** ეგრისის ძველი „დედაქალაქი“ ქუთაისი „შეთავსებით“ **ქართლის ერისმთავართა** დასავლურ რეზიდენციად გვევლინება. უკვე ამ პერიოდში იგი, დროდადრო, თბილისისა და მცხეთის „მაგიერობასაც“ კი ასრულებდა. ქალაქი საბოლოოდ **იბრუნებს პირველობას** დასავლურ ქართულ სამყაროში.

VIII-X საუკუნეებში (778/786---978) ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქად იქცა. **ეგრის-აფხაზეთის** პირველი მეფის **ლეონ მეორის** (დაახლოებით 753-798) დროს ქალაქში უმნიშვნელოვანესი მშენებლობანი ჩატარდა. დაიწყო ქუთაისის ხელახალი აღმავლობა-ამაღლება-მისი „ახალქალაქობისა“ და „დედაქალაქობის“ ხანა.

კიდევ უფრო მასშტაბური იყო **978 წლის** დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აქტი, მისი რეალური შედეგები და ისტორიული მნიშვნელობა. **ქუთაისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად** გადაიქცა. მისი დიდი პოლიტიკური და კულტურული **აღზევება** კვლავ გრძელდებოდა. ამ პერიოდს ქუთაისის მრავალათასწლოვან ისტორიაში ყველაზე სახელოვანი ფურცლები განეკუთვნება. უძველესი ქალაქის ცხოვრებაში განვითარების **ახალი ეტაპი** დაიწყო. იგი 144 (თუ 147) წელიწადს (975/978-1122) გრძელდებოდა.

როგორც ცნობილია, XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ ოცნლეულში საქართველოს თავის მრავალათასწლოვან ისტორიაში ყველაზე სახელოვანი << **დიადი ასწლეული** >> (1122-1220) **ედგა**. საქართველოს სამეფო წინა აზიის გადამწყვეტ პოლიტიკურ ძალად და მაშინდელი **მსოფლიოს ერთ-ერთ** (ხორეზმ-შაჰების დიდ სახელმწიფოსთან ერთად) **ზესახელმწიფოდ იქცა!**

.1121 წლის აგვისტოში, დიდგორში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებიდან („ძღვევა ოსაკვირველი“) მომდევნო, 1122 წელს, საქართველოს დედაქალაქის თბილისის 400 (ჩვენი გამოთვლით, არანაკლებ 300-წლოვანი) ტყვეობიდან თავდახსნის შემდეგ-ვიდრე ახალი, საქართველოსა და საერთოდ ახლო აღმოსავლეთისათვის **თურქ-სელჯუკებზე** კიდევ უფრო უცხო მტრის **თათარ მონღოლთა შემოსევების**

დანყებამდე, ჩვენი სამშობლო ეშმარიტად დიადი ქართული ასწლეულით „ნებივრობდა“.....

ამ, თითქმის 245-წლოვან ეპოქას, თავისი სიძველითა და ისტორიული მნიშვნელობით, შეიძლება შეედაროს მხოლოდ უძველესი **აია-კოლხეთის** ლეგენდარული მბრძანებლის **აიეტის მეფობის ხანა (ძვ. წ. XIV ს.)**



შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს სატახტო ქალაქ ქუთაისში, კერძოდ, მისი მთავარი ციტადელის ყველაზე მაღალ და გამორჩეულ ადგილზე, აიგო ახალი, ქვითკირის ორსართულიანი გრანდიოზული **სამეფო სასახლე**. ბაგრატიონთა სრა-სასახლეს, რომელიც მართკუთხა გეგმარებისაა, დაახლოებით 600 კვ.მ. ფართობი ეჭირა. სასახლის კედლები სუფთად გათლილი შესანიშნავი საპირე ქვებითაა ამოყვანილი, [ლანჩავა, 1995, № 4, 28. 1996, 225.]

რაც შეეხება ქუთაისის **დედაციხეს** (მთავარი ციტადელი) და ქალაქის ზღუდე-გალავანს, როგორც ჩანს იგი, ლეონ მეფის (VIII საუკუნის დასასრული) შემდგომ, რაიმე კარდინალურ ცვლილებებს ჯერ კიდევ არ მოითხოვდა. აქ IX-XI საუკუნეებში, ალბათ, მხოლოდ სარესტავრაციო-გამაგრებითი ხასიათის სამუშაოები თუ ტარდებოდა.

აქვე, უქიმერიონის მთაზე, აიგო ეპოქის ხელთუქმნელი ძეგლი-საოცარი **„ბაგრატი“-ს გრანდიოზული ტაძარი!**

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამ დროიდან (1013) უქიმერიონის პირდაპირ მდებარე ისტორიული **მწვანეყვავილას** ბუნებრივად დაცული გორაკის დასავლეთი კონცხი დაამშვენა ბაზილიკური (უგუმბათო) ტიპის ეკლესიამ. ქუთაისის მახლობლად განაახლეს ციხე-ქალაქი **ვარდციხე, გეგუთში** გააფართოვეს მეფეთა **„სანადირო სახლი“** ...

ცხადია, ზემოჩამოთვლილ საკულტო, თავდაცვით და საქალაქო-კომუნალურ ნაგებობათა გარდა, ერთიანი და დიდი სახელმწიფოს **დედაქალაქსა და მის სანახებში („ქუთათისის სამოქალაქო“)** შენდებოდა სხვადასხვა დანიშნულებისა და მასშტაბის სხვა ობიექტებიც.

ბაგრატი III-ის გამეფებიდან ვიდრე დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის გათავისუფლებამდე ქუთაისში, როგორც ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქში იმყოფებოდა ქართველ ბაგრატიონ მეფეთა მთავარი რეზიდენცია, ანუ **„სამეფო კარი“** (თავისი --- ახალი **დიდი სასახლით**, კარის ეკლესიით, საცხოვრებელი სახლებით, შიდა ზღუდე-გალავნით, სახელოსნოებით, წყალსადენითა და სხვა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა მთელი ინფრასტრუქტურით, „საძუალეთი“). აქვე ფუნქციონირებდა სატახტო ქალაქისათვის საჭირო და დამახასიათებელი ერთიანი ქვეყნის ყველა უმთავრესი ცენტრალური დაწესებულება, სახელდობრ --- **სახელმწიფო დარბაზი** (შემდეგში --- ალბათ, **სავაზიროც**), **სამეფო ხაზინა**, **სახელმწიფო საჭურჭლე** (განძთსაცავი), **ზარაფხანა**, დიდი საკათედრო **ტაძარი**, სამეფო **„საძუალე“** („ნეკროპოლისი“). ქუთაისი საიმედოდ იყო დაცული „მეტად მაგარი“ **დედაციხითა** („აკროპოლისი“) და ქვის დიდი **ზღუდე-გალავნით**. ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ დედაქალაქში „ანარმოებდნენ საქართველოს მეფეები სამართალს, იგეგმებოდა და აქედან ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი საომარი ოპერაციები“, [ლორთქიფანიძე, 1994, 118-125] საზეიმო თუ ოფიციალური მიღება-შეხვედრები და სხვ.

როგორც ცნობილია, სპეციალისტთა შორის მრავალსაუკუნოვანი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში ზოგადეროვნული და ეპოქალური მნიშვნელობის, მისი კლასიკური ეტაპის დამაგვირგვინებელ ძეგლებად ითვლება **ოშკის, ქუთათისის (ბაგრატი), მცხეთისა (სვეტიცხოვლი) და ალავერდის** მონუმენტური საკათედრო ტაძრები ისინი, აღმოსავლეთ, დასავლეთ, და სამხრეთ, ე.ი. სრულიად საქართველოს ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და მთლიანობის სიმბოლოებად აღიქმებოდა. ნიშანდობლივია, რომ ამ **„დიდი ოთხეულიდან“** უშუალოდ

ბაგრატ მესამის გამეფებამდე ცოტა ხნით ადრე დამთავრდა ოშკის ტაძარი, დაიწყო და გასრულდა ქუთათისის კათედრალი, ხოლო ამავე მეფის ზეობის ბოლო წლებში დაიწყო სვეტიცხოვლის ახალი და ალავერდის ტაძრების მშენებლობანიც.

აკად. შალვა ამირანაშვილის აზრით, ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ახალ ეტაპს საფუძვლად დაედო დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში აგებული ოშკისა და ხახულის ტაძრების ძირითადი კმპოზიცია.⁸ [ამირანაშვილი, 1971, 229.]

ბაგრატ III-მ, დასავლეთ საქართველოს სხვა, წინამორბედი მეფეების მსგავსად, თავისი თაოსნობით აგებულ **ბედიის** მონასტერში ახალი საეკლესიო ცენტრი დააარსა --- გუდაყვიდან აქ გადმოიტანა საეპისკოპოსო კათედრა.

მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში ახლადაგებულმა **დიდმა ტაძარმა** და მისმა მნიშვნელობამ. აშკარად ჩანდა, რომ მისი ფუნქცია და „დანიშნულება“ სულ სხვა იყო. ახალი, ერთიანი და დიდი ქვეყანა და ყოველთა ქართველთა ეროვნული ერთიანობის იდეის გამომხატველ ახალ და დიდ სალოცავ ტაძარს, სულიერების სულ სხვა მასშტაბის სავანეს საჭიროებდა. და, ეპოქის „დაკვეთაც“ აღსრულებულ იქმნა!..

ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლი, ყოველთა ქართველთა ეროვნული ერთიანობის სიმბოლოდ ჩაფიქრებული ქუთათისის საკათედრო ტაძარი დიდხანს (სავარაუდოა, არანაკლებ 20 წელი) შენდებოდა. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ტაძრის მშენებლობა ორ ეტაპად განხორციელდა. X საუკუნის დასასრულიდან ტაძრის „მშენებლობას მეფის მეორე ხუროთმოძღვარი აგრძელებს“ (პროფ. ვ. ცინცაძე). იგი ძირითადად **1003 წელს** გასრულდა. ამ სასიხარულო ფაქტს თვით ტაძრის ჩრდილოეთ კედლის ქვის ფილაზე გამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა გვაუწყებს: „ოდეს გ[ა]ნმტკიცნა იატ[ა]კი ქ[რონი]კ[ონ]ი იყო 223“, ე.ი. 1003 წელი (780+223=1003).⁹ [ლორთქიფანიძე, 1994, 132-133, 134-136.]

ქუთათისის კათედრალი **ბაგრატ მესამისა** და მისი დედის-ეგრის-აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის ასულის **გუარანდუხტ დედოფლის** შენევნით აშენდა. ამის შესახებ გვამცნობს ამავე ტაძრის კედლებზე ამოკვეთილი არაერთი წარწერა¹⁰. [სილოგავა, 1980, 52-54. მოამბე, 1995, №4 55-85.] ჯვარგუმბათოვანი ტიპის ქუთათისის დიდებული საყდარი **ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელზე** აკურთხეს. უქიმერიონის ისტორიულ მთაზე, დედაციხის დასავლეთით დაფუძნებული საოცარი ტაძარი საქართველოს და მის მაშინდელ დედაქალაქს დიდ ეროვნულ სამრეკლოდ და ნამდვილ გვირგვინად დაადგა თავს.

ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის ამ ისტორიულ მოვლენას-ახალი ტაძრის დაბადებას, ძველი ქართველი მემკვიდრე, ვერ ფარავს რა თავის საზეიმო განწყობილებას, დიდი აღფრთოვანებითა და ოსტატობით გადმოგვცემს: ბაგრატ მეფემ „აკურთხა ეკლესია ქუთათისა [ქუთათისი] განგებითა დიდითა და მიუნდომელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი,“¹¹ [მატიანე ქართლისა, 1955, 281_{გ-12}] ჭ ლ

ამ **საერთაშორისო მასშტაბის ზეიმს**, უპირველეს ყოვლისა, ზოგადეროვნული მნიშვნელობა და დანიშნულება ჰქონდა (აკად. ვ. ბერიძე). არ შეიძლება, შემთხვევითი იყოს ბაგრატ მეფის თაოსნობით აგებული, დედაქალაქის ამ ახალი და დიდი ტაძრის ასეთი განსაკუთრებული ზეიმით კურთხევა, აღმავლობის გზაზე შემდგარი ახალგაზრდა ერთიანი სახელმწიფოს ძალისა და შესაძლებლობების ასეთი **აშკარა დემონსტრირება**. ყოველივე ეს ბაგრატ მესამეს ესაჭიროებოდა, როგორც ახალი სამეფო დინასტიის --- ბაგრატიონების და თავისი საკუთარი მეფობის ძლიერების, დიდებისა და ღირსების, ასევე, ერთიანი საქართველოს პირველი დედაქალაქის მნიშვნელობის წარმოჩენისა და

ამაღლებსათვის.

ქუთაისის ტაძარი ყველა დროის მხილველში თავისი გრანდიოზულობით, არქიტექტურულ-მხატვრული გადანიჭებითა და ორიგინალური, ეროვნული სტილით, ალტაცების, საზეიმო-სადღესასწაულო, პოეტური ამაღლებულობის განწყობილებას ჰქმნიდა „მხატვრული ზემოქმედების ძალით --- წერს აკად. ვ. ბერიძე --- ბაგრატის ტაძარი ერთი უპირველესი ძეგლთაგანია მთელ ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში“.

ბაგრატის კათედრალი თავისი გეგმით **ტრიკონქის ტიპის ჯვარგუმბათოვან ტაძართა** ჯგუფს განეკუთვნება. იგი ყველაზე ახლოს დგას ოშკის ტაძართან. ქუთაისის სიონი წაგრძელებული მოხაზულობის ნაგებობაა, რომელიც სივრცეში გრანდიოზული ჯვრის სახეს ქმნის. ჩვენთვის უცნობმა ხუროთმოძღვარმა კომპოზიციის ცენტრი ოთხ უზარმაზარ ბურჯზე დაყრდნობილი მაღალი გუმბათით დააგვირგვინა. ძეგლს ჩრდილო-დასავლეთისკუთხეში სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი მიაშენეს, სადაც, როგორც ვარაუდობენ, **ქუთათელი ეპისკოპოსები** ცხოვრობდნენ. ცოტა მოგვიანებით დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან ტაძარი გრანდიოზულმა და მდიდრულად მოჩუქურთმებულმა საპარადო კარიბჭეებმა დაამშვენეს. კარიბჭეებს შორის საუცხოოდ ორნამენტული თაღოვან-სვეტებიანი ღია სტოა-გალერეები აიგო. ტაძრის კედელ-კამარები ფრესკებითა და მოზაიკით იყო შემკული. იატაკიც ფერადი მოზაიკით ყოფილა დაფარული. მდიდრული და მრავალფეროვანი იყო ტაძრის შიდა მორთულობა და „სამკაული“... ამ დროისათვის უნდა იყოს აგებული ტაძრის ქვის გალავანიც.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს ქუთაისის ტაძარს: „აქა აღაშენა მეფემან ბაგრატ ყოვლად წმიდისა ეკლესია შუენიერი, გუმბათიანი, სრულიად სოფიის კენჭით შინაგან ქმნილი და მარმარილოთა სპეტაკითა, ნითლითა და ჭრელითა, და სუეტებითა მისითავე, და ყოვლითა შემკობილებითა სრული, და ფრიად დიდი“¹². [ქართლის ცხოვრება, IV, 281₈₋₁₂.]

ბაგრატის ტაძარი მსხვილ **საეკლესიო-ფეოდალურ სენიორიას** წარმოადგენდა. იგი მრავალ სოფელს, დიდძალ მამულსა და სიმდიდრეს ფლობდა. მრავალრიცხოვანი იყო მის უმუშალო დაქვემდებარებაში მყოფ მსახურთა რაოდენობა.

ბაგრატის ტაძარი **საეპისკოპოსო კათედრალი** იყო. იგი წარმოადგენდა დიდი უფლებების მქონე ქუთათელი ეპისკოპოსის რეზიდენციას. ამიერიდან აქ ტარდებოდა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეების (მოგვიანებით --- ლიხთ-იმერეთის ყველა მეფის!) **მეფედ კურთხევის** საზეიმო ცერემონიალი, რომელთაც ქუთათელი მღვდელმთავრები უძღვებოდნენ: ტახტის პრეტენდენტს ისინი ადგამდნენ სამეფო გვირგვინს. **ქუთათელი მთავარეპისკოპოსი** ქართულ ეკლესიაში მცხეთის კათალიკოს-პატრიარქის შემდეგ, მეორე იერარქის პრეტენზიას აცხადებდა.

როგორც ცნობილია, **ბაგრატ მესამის** სამუდამო განსასუენებელი ადგილი **ბედია** გახდა. ბაგრატის ტაძარში **დაკრძალულია** ერთიანი საქართველოს მეორე მეფე **გიორგი I** (1014-1027). ვარაუდობენ, რომ აქვე უნდა იყოს ჰერეთის სახელგანთქმული დედოფლის **დინარასა** და ბაგრატ IV (1027-1072) პირველი მეუღლის, ბიზანტიის იმპერატორის ასულის **ელენეს** საძულენიც. საკათალიკოსო ტაძარში განისვენებენ **ქუთათელი მღვდელმთავრები**.

ჯუანშერის (უფრო სწორად, ფსევდოჯუანშერის) ცნობით, უფრო ადრე, კერძოდ, VIII საუკუნის დასაწყისში „ქუთათისის საყდარში დაჰფლენ“ ქართლის დევნილი ერისმთავარი **სტეფანოზ II**, ცნობილი მეფისა და მონამის არჩილის მამა.

მადლიერი ქართველი ხალხის შემდგომმა თაობებმა, სავსებით სამართლიანად, ქუთათისის კათედრალს მეფე-გამაერთიანებლის სახელი --- **„ბაგრატის ტაძარი“** უწოდეს. ღვთის ნებამ, ქართველი ხალხის, საქართველოსა და ბაგრატის ტაძრის, როგორც ერის, ქვეყნისა და მისი მთავარი სალოცავი ტაძრის „ბედი ასე დაუკავშირა ერთმანეთს“¹³ [მჭედლიძე, 1996, 6.]

ქუთაისი ძველთაგანვე „სამეუფო („საუხუცესო“) ქალაქად“ ითვლებოდა. ამიტომ მის მართვა-გამგეობას სამეფო ადმინისტრაცია (მოსალოდნელია, მეფის დიდმოხელე --- „ამირა“, რომელიც გვიანდელ ხანაში „მოურავმა“ შეცვალა) ახორციელებდა. ხოლო, როდესაც ქუთაისი საერისთავოს ცენტრი იყო, მას, ე.ი. ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანეს სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს, ასევე მეფის დიდმოხელე --- ერისთავი (თუ ერისთავთ-ერისთავი) განაგებდა. სამეფო ქალაქი ქუთაისი, ისევე როგორც თბილისი (და მცხეთა) საფეოდალოდ არ გაიცემოდა¹⁴. [ლორთქიფანიძე, 1994, 149-150.]

გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად აღზევების შემდეგ ქუთაისში ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულია, როგორც „სახლი სამეფოB“ „სახლი სამკვიდრებელი მეფეთა“ ან კიდევ-„სამეუფო ქალაქი“¹⁵. [„ტფილისი“] ამ სახელწოდებათა მნიშვნელობის დამაჯერებელი ახსნა-განმარტება მოგვცა აკად. მ.ლორთქიფანიძემ¹⁶. [ლორთქიფანიძე, 1994, 119-120, 126-128] მისი აზრით, ეს ტერმინები აქ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იხმარებოდა როგორც სახელმწიფოს სატახტო ქალაქის, ანუ ქვეყნის დედაქალაქის, აღმნიშვნელი ზოგადი სინონიმური სახელწოდებანი.

X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ქუთაისი იყო ერთიანი საქართველოს სამეფო დინასტიის ბაგრატიონების --- „სახლი მათი“, „სახლი თვისი“, „ქალაქი მათი“, „სახლი სამკვიდრებელი ჩუენი“. ე.ი. ქუთაისი გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალთა „სახლი სამეფო“, „სამეუფო ქალაქი“.

ქალაქი ქუთაისი, თავის „ქვეყანასთან“ („ქუთათისის სამოქალაქო“, „ქუთათისის ქვეყანა“, „შიდა ეგრისი“) ერთად, უფრო ადრეც და, ალბათ, ყოველთვის, მეფის დომენს („სამეფო ქალაქი“ და „სამეფო ქვეყანა“) წარმოადგენდა¹⁷. [მატიანე ქართლისა 1955, 290⁷⁻⁸, 304¹³, 385¹⁸.] როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი მკვლევარის (ქ. ჩხატარაიშვილი, გ. მელიქიშვილი, ა. ბოგვერაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. გაბუნია) აზრით, აქედან, როგორც სამეფო დომენიდან, გამოდიოდა საქართველოს ჯარის საგანგებო დანიშნულების შენაერთი --- „შიდა ლაშქარი“ („შიდა სპა“).

1122 წლის შემდეგ, როდესაც სრულიად საქართველოს დედაქალაქი თბილისში იქნა გადატანილი, ქუთაისის თავისი დიდი მნიშვნელობა ქვეყნისათვის მაინც არ დაუკარგავს. იგი საქართველოს მეორე სატახტო ქალაქად („მეორე დედაქალაქი“, აქ იყო სამეფო ტახტიც.) რჩებოდა...

ლიტერატურა და წყაროები:

1. ვ. გურგენიძე, ბაგრატი III და ღრტილის საეკლესიო კრება: გაზ. „ქუთაისი“, 1995, № № 20-23.
2. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ 761⁶⁻⁷.
3. ე. თაყაიშვილი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფ., 1911-1913, გვ. 28-54.
შდრ. მ. ნიჟარაძე, „ქუთათის დივანის“ გადამწერის კალიგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ: ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, ქუთაისი, 1971, გვ. 62-64.
4. იხ. ი. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VI, თბ., 1982, გვ. 85-94.
განსხვავებული თვალსაზრისი და საკითხის ისტორიოგრაფია იხ. ე. ხომტარია-ბროსე, ე.წ. „ბაგრატი კურაპალატის სამართლის“ შესწავლისა და საქართველოში მოქმედი ფეოდალური კანონმდებლობის საკითხისათვის: ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1987, 1, გვ. 45-64.
5. იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნ. II, თბ., 1967, გვ. 38-100; დ. მენაბდე, მწერლობა: ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბილისი-ქუთაისი, 1994, გვ. 170; მისივე, ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება მე-18 საუკუნეში: გაზ. „ქუთაისი“ 1969, № 240; გ. გაბუნია, ქუთაისის ისტორიული წარსულიდან: ძველი და ახალი

ქუთაისი, თბ., 1973, გვ. 50; *ასურგულაძე* – ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები, ნ. I, თბ., 1989, გვ. 112-113.

6. *ო. ლანჩავა*, არქეოლოგიური ქუთაისი: ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, ქუთაისი, 1995, №4, გვ. 28; შდრ., *მისივე*, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში (IV-X სს.), ქუთაისი, 1996, გვ. 225.

7. *მ. ლორთქიფანიძე*, ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი: ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბილისი-ქუთაისი, 1994, გვ. 118-125.

8. აკად. *შ. ამირანაშვილი*, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 229.

9. *მ. ლორთქიფანიძე*,... ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბილისი-ქუთაისი, 1994, გვ. 132.-133, 134-136.

10. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ვ. სილოგავამ*, თბ., 1980, გვ. 52-54; *მისივე*, ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან: ქუთაისის უნივერსიტეტის „მოამბე“, ქუთაისი, 1995, №4, გვ. 55-85.

ქუთაისის ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში ბაგრატი მოხსენიებულია თავის მამასთან, დედასთან და ძესთან ერთად. აქვეა მოხსენიებული მისი მეუღლეც, ოღონდ სახელდების გარეშე --- „დედოფალი“.

11. *მატიანე ქართლისაB*: ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 2818-12.

12. იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 76114-18.

13. *გ. მჭედლიძე*, ბაგრატ მესამის საქართველო, ქუთაისი, 1996, გვ. 4-5.

14. *მ. ლორთქიფანიძე*, დასახ ნაშრომი, გვ. 149-150; *მისივე*, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, გვ. 144; *დ. მუსხელიშვილი*, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 206-207, 217, 220-221.

15. ასე იწოდებოდა თბილისიც („*ტფილისი*“) მას შემდეგ, რაც იქ გაერთიანებული საქართველოს სამეფო ტახტი გადაიტანეს. თბილისი-ქუთაისი, 1994, გვ. 120-126-128

16. *მ. ლორთქიფანიძე*, ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბილისი-ქუთაისი. 1994, გვ. 119-120, 126-128.

17. იხ. *მატიანე ქართლისაB* და სუმბატ დავითის-ძე: ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 2907-8, 30413, 38518; სიგელი ბაგრატ IV-ისა ოპიზარ და მიჯნაძორელ მამებისადმი: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 32.

ასე უნდა ყოფილიყო აია-ეგრისის, ეგრის-კოლხეთის, ეგრის-ლაზეთის, ეგრის-აფხაზეთის, ლიხთ-იმერეთისა და გაერთიანებული საქართველოს სამეფოების (აგრეთვე „ყოველი ქართლის“ მეფეების --- ფარნავაზის, ვახტანგ გორგასალის, არჩილ მეორის და სხვ.) არსებობის ხანაში.

Guram Gabunia, Lla Gabunia

KUTAISI AND “KUTAISI CIVIC COUNCIL” AS AN IMPORTANT CULTURAL CENTER, ITS HISTORICAL AND CULTURAL PROFILE

(Theses)

Since the end of the X century, against the background of general educational, scientific and cultural boom in Georgia, cultural life of Kutaisi and of so-called “country of Kutaisi” had especially come to the fore. At that time the cultural achievements of Kutaisi were noticeably demonstrated and besides, the exterior of the city was considerably changed.

At the head of the creative activity in the country’s capital then at one time there was Giorgi Mtserali, the uncle of Giorgi Mtatsmindeli. It is necessary to note that in 1008-1014, by King Bagrat III himself or by his order, there was composed the Divan of the Abkhazian Kings (the Kutaisi Divan), i.e the History of Abkhazia by Bagrat III. It is a unique monument of history and law of Georgia in that epoch. The Divan contains quite wide and reliable list of rulers and kings of Egrisi-Apsueti.

According to Georgian scientists, a new stage in the Kutaisi city life had begun already since the beginning of the IV century of Christian era. It was the time in which the Christianity had been declared as the State religion and completed the process of unification of large political aggregation such as formation of the Egrisi-Lazeti Kingdom. Evidently, at first its political center and main metropolis of “Kings of Lazians” was represented by Kutaisi. Later on, it was replaced by Tsikhe-Goji (or rather Kujistsikhe), which was located at two-day walking distance away from.

Starting from the very beginning of the IV century, there were constructed on the right bank of the Rioni River the grand-scale citadel - the mother-castle of the city (“acropolis”), which was distinguished by rare strategic location on Ukimerioni Rocky Hill-Cape and represented the symbol of country’s independence and power. It became a major town building dominating structure of Kutaisi along with Rioni River. Even from time to time, Kutaisi was “replacing” the Tbilisi and Mtskheta.

In VIII-X centuries, Kutaisi became a capital of West Georgia. Under the Leon II, first King of Egrisi-Abkhazeti, there were carried out very important construction works. By this time, an era of its history as a new and capital city had begun.

Even more ambitious was a National Official Act of the year of 978 as well as its historic significance. Kutaisi became a capital of unified Georgia. To this period of time, which lasted for 144 or 147 years (975/978-1122) belong the most glorious pages of history of Kutaisi. Approximately since the year of 245, there has begun a new stage of city development. As is generally known, the twenties of the XII and XIII centuries was the most glorious time in the centuries-old history of Georgia known as “the great century” (1122-1220). Georgian Kingdom became a decisive political force in Western Asia and one of the super-states (along with the large state of Horezmshahs) of those times world.

With its historic significance it is possible to compare with this epoch only the times under the legendary Ayety, King of Aia-Kolkheti (the XYI century B.C.).

Since the accession of Bagrtati III to the throne, before the liberation of Tbilisi by King David the Builder, the main residence of Georgian kings of Bagrationi dynasty, i.e. the Royal Household with its infrastructure and brilliancy, was located in Kutaisi, as in the capital of a single state.

Such monumental cathedrals as Oshki, Kutaisi (Gelati), Mtskheta (Svetitskhoveli) and Alaverdi are

considered by experts as monuments of nationwide and historic significance in the development of the centuries-old Georgian architecture that culminates the classic stage of it. They were considered as the symbols of national-cultural and state unity and integrity of Georgia. It is noticeable that shortly before the accession of Bagrat III to the throne, out of this “Great Four”, the construction of Oshki castle was completed, the construction of Kutaisi cathedral was started, but during the final years of his reign there had been started the construction of new cathedrals of Svetitskhoveli and Alaverdi. Thus and so, the stated monuments are closely associated with the name of King Bagrat and his epoch.

Under the Bagrat III, in those times capital of Georgia – Kutaisi, on Ukimerioni Hill there was erected not of human making monument – the grand cathedral. It exceeded all kind of expectations. It was building almost for 20 years and completed in 1003.

Succeeding generations of grateful Georgian people absolutely fairly named this cathedral after the name of King-Liberator – the Bagrati Cathedral. It was obvious that it had absolutely different function and mission. New integrated and large country as well as large cathedral, which were expressing the national unity idea for each Georgian, needed the cloister of absolutely different scales. And there had been executed an “order” of the epoch! A new stage in the life of the oldest city had begun.

Kutaisi cathedral was built under support of Bagrat III and his mother, the princess Gurandulht. A cross-domed majestic church was sanctified with the name of the Dormition of Mother of God and Ever-Virgin Mary. A miraculous church erected on historic Ukimerioni Hill, just west of mother-castle, headed over capital of those times Georgia as a grand national church tower and real crown.

The birth of a new church was celebrated as an international scale event. All this was essential for Bagrat III to show and increase the power, greatness and dignity of a new royal dynasty of Bagrationi as well as of first capital of Georgia.

The Kutaisi Cathedral with its grandiosity, architectural-artistic creative solution, singularity and national style had always aroused in comers at all times a delight, holiday spirit and extremely poetical feeling.

The so-called Kutaisi Sioni creates an image of a grandiose cross in the space. The center of this architectural composition was crowned with a grandiose high dome by unknown architect. The church was adorned with grandiose and richly ornamented front gates. In the space between the gates there were constructed the arched-columned ornamental terraces. The walls and vaults inside the church were covered with wall paintings and mosaic. The floor was covered with color mosaic as well. Internal decoration and “adornment” of the church were rich and various.

Vakhushti Bagrationi describes the Kutaisi Cathedral as follows: “Here was erected by King Bagrat the most holy church, beautiful and domed, by using the Sophia pebble, pure red and varicolored marble, with columns and adornments, completed and grandiose” (See the Georgian Chronicles, Vol. IV, 1973, p. 761, 145-18).

The Bagrati Cathedral represented large clerical-feudal estate. It possessed many villages, numerous fortune and large means. There were employed numerous subordinated servant people.

The Bagrati Cathedral was a bishop cathedral. It represented the residence of Georgian Bishop, who had a large power. It is supposed that Kutaisi bishops lived in the three-floored tower attached to the north-west corner of the church.

Since this time, there were held in the Bagrati Cathedral the solemn sanctifying ceremonies of the united Georgia’s first kings (all kings of Imreti), which were conducted by leading clergymen of Kutaisi.

They were wearing a crown on pretender to the throne. The Kutaisi Archbishop aspired to the second position in the Georgian Church hierarchy after the Catholicos-Patriarch of Mtskheta.

As is known, the Bagrat III gravesite is Bedia village, but his son, the second king of the united Georgia Giorgi I was interred in Kutaisi, in Bagrati Cathedral. There are lied in the Catholicos Cathedral the relics of leading clergymen of Kutaisi.

Long since Kutaisi was considered as “a royal city”. Thus and so, it was ruled by royal administration (“emir”, “mouravi” i.e. manager)). However, when it was a center of Eristavi (rulers of old Georgia), as a most significant military-administrative unit of the country, it was ruled royal official – Eristavi. Kutaisi as a royal city as well as Tbilisi and Mtskheta was not intended for feudal purposes (M. Lordkipanidze).

City of Kutaisi along with its so-called “country” (“Kutaisi Civic Council”, “Country of Kutaisi”, “Shida (Internal) Egrisi”) even much earlier and perhaps always represented the King’s domain (“Royal City” and “Royal Country”). According to some researchers (K. Chkhatarashvili, G. Melikishvili, A. Bodzgeradze, M. Lordkipanidze, G. Gabunia), from this place as from the King’s Domain, there were set out the special-purposed contingent of Georgian Army – “Internal Forces”.

After the 1122, when the capital of whole Georgia has been moved to Tbilisi, Kutaisi became the second metropolis of Georgia (“the second capital” of country, here had been remaining the throne).



ბაგრატის ტაძრის ნანგრევები



ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. ფოტო ი. ლუცენკოსი



ბაგრატის ტაძრის ნანგრევები.



ბაგრატის ტაძრის ქვის ჩუქურთმა



ბაგრატის ტაძრის ნანგრევები დიუბუას ალბომიდან

განათლების ისტორიას პიროვნებები ქმნიან

(მელიტონ კელენჯერიძე)

ცნობილი ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი-მეთოდისტი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ქართველი განმანათლებელი, კულტურული ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენელი მელიტონ კელენჯერიძე დაიბადა 1864 წლის 5 თებერვალს, ყოფილ შორაპნის მაზრის სოფელ ტაბაკინში. მამამისი სპირიდონ ეგნატეს ძე კელენჯერიძე წარმოშობით ლარიზი გლეხის შვილი იყო, მან განათლება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო და შემდეგ მთელი შეგნებული ცხოვრება ემსახურებოდა საკუთარ სოფელსა და მრევლს, როგორც სოფლის დიაკვანი. ამ დროისათვის სასულიერო განათლების ერთ-ერთ ძირითად კერას საქართველოში სასულიერო სასწავლებლები წარმოადგენდნენ. ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის არსებობა 1861 წლის 6 თებერვლიდან დაიწყო, იმერეთის ეპისკოპოსის სოფრონის ინიციატივით. სასულიერო სასწავლებელში დიდხანს სუფევდა არაჯანსაღი ატმოსფერო, ეს ნათლად ჩანს იმ კურსდამთავრებულთა მოგონებებში, რომელთაც აქ უსწავლიათ. ყოველივე ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის 50-იან წლებში აღნიშნულ სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სათანადო დონეზე არ იდგა. რასაც თბილისის სასულიერო სემინარიის მიმართაც ადასტურებს. (საბუთი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო არქივში, რომელსაც აქ გარკვეული მიზეზის გამო არ წარმოვადგენ).

მდგომარეობა სასულიერო სასწავლებელში მხოლოდ მას შემდეგ გაუმჯობესდა, როცა ეპარქიას სათავეში ჩაუდგა გაბრიელ ეპისკოპოსი. მისი თაოსნობით 1863 წელს განთავისუფლდა ზედამხედველი გიორგი ხელიძე და მისი ადგილი კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულმა გერასიმე კალანდარიშვილმა დაიკავა. **[გაბუნია ლ. 2004, 109].**

ექვსი წლის იყო მელიტონი როცა დედა გარდაეცვალა. დასევდიანებული პატარა თავის თავში ჩაიკეტა და სრულიად წიგნების სამყაროში აღმოჩნდა, ამით ცდილობდა დაევიწყებინა დედის სიკვდილით გამოწვეული გაუსაძლისი სევდა. წიგნები რომლებიც მათ ოჯახში მრავლად იყო, გახდა მისი დედაც, მამაც და მეგობარიც. თუმცა მისი აღზრდა დეიდებმა იკისრეს, ისინი პატარა მელიტონს დღედაღამ თავს დასტრიალებდნენ, ცდილობდნენ ბავშვს არ ეგრძნო უდელობა, ამას განსაკუთრებული სიფაქიზით აკეთებდნენ, რადგან ხედავდნენ, რომ მელიტონი სრულიად განსხვავდებოდა სხვა ბავშვებისაგან, ასევე გრძნობდნენ მელიტონის წიგნებისადმი სიყვარულსა და მიდრეკილებას სწავლისადმი, რაც სიბრალულის გარდა პატივისცემასაც იწვევდა მათში. ეს დიდი მიზეზი იყო იმისათვის, რომ ოჯახს თავი გადაედო მის დასახმარებლად და არ მორიდებოდნენ არანაირ ეკონომიურ დატვირთვას, რათა საჭირო სწავლა - განათლება მიეღო მელიტონს.

1884 წლის 19 ივლისის დოკუმენტში [კელენჯერიძე მ. ჟურნალი „მოამბე“, № I-VI, IX-XII;] ვკითხულობთ, რომ მელიტონი სასულიერო სასწავლებელში შევიდა 1876 წლის სექტემბერში და პირველი ხარისხით (მეორე მოწაფედ თვით მელიტონის სიტყვით) დაამთავრა-1884 წელს და სასწავლებლის მმართველობის მიერ განწესებულ იქნა სემინარიაში. მონაშობაში მელიტონს ყველა საგანში „წარჩინებული“ \5\ უწერია. **[კვაჭაძე ლ. 1968, გვ; 141]**

1884 წლის 25 აგვისტოს მელიტონი ქუთაისს დაემშვიდობა და თბილისს მიაშურა, თუმცა ის ქუთაისს თვლიდა თავის მშობლიურ ქალაქად და აქედან ნასვლა დიდად არ სიამოვნებდა, მაგრამ იმ დანაკლისის შევსება, რომელიც სასულიერო სასწავლებელში ვერ მოახერხა, ამჯერად თბილისის სასულიერო სემინარიაში ენადა. აღნიშნულ წელს მელიტონმა საბუთები შეიტანა და ჩაირიცხა კიდევ პირველ კლასში. სემინარიაში მელიტონი ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. მან სე-

მინარია დაასრულა 1890 წლის გაზაფხულზე პირველი ხარისხით. 1890 წელს კი კიევის სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა.

„ქართველი სტუდენტობა რუსეთის ქალაქებში აარსებდა სათვისტომოებს, არ წყვეტდა სულიერ კავშირს თავის მშობლიურ ხალხთან და მომავალი მოღვაწეობისათვის ემზადებოდა.

ასეთი სათვისტომო არსებობდა კიევიც.. მათ გადაწყვიტეს, რომ საქართველოს ისტორიიდან და ლიტერატურიდან დაემუშავებინათ საკითხები და ჩაეტარებინათ ლექციები. ლექციების წაკითხვა დაკისრებული ჰქონდა მელიტონსაც. იგი ამ საქმეს სიამოვნებით ასრულებდა. ამას დავალებად კი არა, თავის მოვალეობად თვლიდა.

მელიტონ კელენჯერიძის სტუდენტობის პერიოდთან არის დაკავშირებული მისი შრომა - „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო-საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ (1894წ., №№9-1-12, 1894წ., №№ I-VI) და შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა ქუთაისში 1896 წელს. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს შრომა დაწერილია მეორე კურსზე ყოფნის დროს. ეს ფაქტი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ ფოლკლორისადმი ინტერესი მასში ადრე იღვიძებს. ეს ინტერესი არ შეწყვეტილა შემდეგშიც, მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე.“

[კვაჭაძე ლ. 1968, გვ: 142].

მელიტონ კელენჯერიძე არაჩვეულებრივად მოწესრიგებული სტუდენტი აღმოჩნდა. კიევის სასულიერო აკადემიაში ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. უკვე მეორე კურსზე მყოფმა მელიტონმა დისერტაციაც მოამზადა დაცვისათვის.

სადისერტაციო თემა: „საქართველოს ეკლესია მე-18 საუკუნეში“ აღმოჩნდა მაღალ დონეზე წარმოდგენილი ნაშრომი, რომელიც ცნობილი გახდა ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსისა და საქართველოს სამღვდლოებისთვისაც. ყველანი დიდი სიხარულით მიესალმნენ მელიტონისათვის ამ სამეცნიერო ნაშრომში ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მინიჭებას. ასეთი წარმატებებით დაასრულა მელიტონმა კიევის სასულიერო აკადემია 1894 წელს და სამშობლოში დაბრუნდა.

ამავე წელს გაიხსნა ქუთაისის სასულიერო სემინარია, რომელზე ზრუნვაც გაბრიელ ეპისკოპოსმა (გერასიმე ქიქოძემ) 1867 წელს დაიწყო. მას ჯერ კიდევ 1872 წელს აღუძრავს საკითხი უწმინდესი სინოდის წინაშე ქალაქ ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის თაობაზე.

„XX საუკუნის 30-იან წლებში აღიძრა საკითხი ქუთაისში სასემინარიო კლასების გახსნის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის სემინარიის გამგეობამ 1830 წლის დასაწყისში წარუდგინა ეგზარქოს იოანეს შუამდგომლობა, რომელშიც დასაბუთებულია, რომ სიმორისა და სიძვირის გამო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულები თბილისში ჩამოსვლას და ცხოვრებას ვერ ახერხებენ. მაგრამ მხოლოდ ექვსი ათეული წლის ლოდინის შემდეგ მოხერხდა ამ საქმის აღსრულება.“ **[გაბუნია ლ. 2004, გვ. 95]**

ამ დროს ასწავლიდა სასულიერო სემინარიაში ქართულ ენას მელიტონ კელენჯერიძე. მისი დანიშვნა მოხდა 1894 წლის 4 ნოემბერს. მასვე თავისი განსწავლულობის გამო შეუთავსეს მათემატიკის მასწავლებლობაც. სწავლის დასაწყისშივე მას აგრეთვე დაევალა ისტორიისა და საღმრთო წერილის სწავლება, ამავე დროს ის აირჩიეს სემინარიის საბჭოს მდივნად.

საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ „სემინარიაში პედაგოგიურ-მეცნიერული მუშაობის წარმართვისათვის რამდენიმე კათედრა არსებობდა. აქ უმეტესწილად ირჩეოდა სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების საკითხები.“ რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მელიტონ კელენჯერიძეც. **[გაბუნია ლ. 2004, გვ. 105].**

„1898 წელს 1 სექტემბერს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში გაიხსნა მეხუთე კლასი, სადაც სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა დაწყებულიყო პედაგოგიკის სწავლება. საჭირო გახდა სემინარიასთან გახსნილიყო სანიმუშო სკოლა. სემინარიის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დაადგინეს,

რომ შუამდგომლობა აღედრათ სინოდის წინაშე სემინარიასთან სანიმუშო სკოლის გახსნის შესახებ. სინოდმა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ამგვარად, 1898 წლიდან ქუთაისის სასულიერო სემინარიასთან გაიხსნა ე. წ. სანიმუშო სკოლა. სკოლის გახსნის და მის მოწყობა- გამართვაში გარკვეული ღვაწლი მიუძღვის მელიტონ კელენჯერიძეს.“ **[გაბუნია ლ. 2004, გვ. 105]**

ქუთაისში ამ დროს ფუნქციონირებდა ქალთა წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზია. 1847 წლის 14 მაისს, წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების დიდი მეცადინეობითა და მონდომებით, რომლის თავმჯდომარედ იმ პერიოდში ელისაბედ ვორონცოვა იყო და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის უშუალო ნებართვით, ქუთაისში დაარსდა რიგით პირველი ქალთა სასწავლებელი. მისი მიზანი იყო „კეთილი ცოლებისა და ოჯახის კარგი დედების აღზრდა“ ამ სასწავლებელს მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში უხდებოდა არსებობა. 1903 წლის ნოემბრის თვეში მელიტონი ქალთა გიმნაზიაში დაინიშნა საღვთო სჯულის მასწავლებლად.

„1903 წლის მარტში მელიტონი აირჩიეს იმერეთის ეპარქიალური სასწავლო საბჭოს წევრად. ეს დიდი პატივისცემა და ნდობის გამოჩენა იყო, მაგრამ წლების განმავლობაში მელიტონმა დაიმსახურა ქალაქისა და განათლების ხელმძღვანელთა სრული მხარდაჭერა და თანადგომა“. **[კვაჭაძე ლ. 1968, გვ. 143].**

დაიწყო რევოლუციის საშინელი დღეები (ისტორიამ შემდეგში გადააფასა, რაც თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებმა მოიტანა და ამ მხრივ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა),

იმას, რისთვისაც მელიტონი მთელი ცხოვრება იბრძოდა, 1905 წლის თებერვალში სხვაგვარი ინტერპრეტაცია მიეცა. ასეთი ღვაწლმოსილი ადამიანი სინოდმა უცერემონიოდ გაანთავისუფლა, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობიდან. დაიწყო დევნა-შევიწროების შეუძონებელი და დაუკონკრეტებელი ბრალდებების სერიალები.

ცნობილია, რომ 1907-1917 წლებში მელიტონ კელენჯერიძე მასწავლებლობდა ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში. ძნელია მისი წარმოდგენა, რომ ეს ნაბიჯი ნებაყოფლობით აერჩიოს მას. ვფიქრობთ, რომ ეს უკვე პოლიტიკური დევნის ნაწილია.

1917 წლის 10 აგვისტოს ქუთაისის რეალური სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს სხდომამ ქართული ენის მასწავლებლად ერთხმად აირჩია მელიტონ კელენჯერიძე, სადაც მუშაობას აგრძელებს 1922 წლის სექტემბრამდე.

„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1932 წლამდე) მელიტონ კელენჯერიძე მოღვაწეობდა სხვადასხვა ტიპის სკოლებში (ქუთაისის ყოფილი რეალური სასწავლებელი, პირველი ჰუმანიტარული ტექნიკუმი, მეორე შვიდწლედანი, რკინიგზის ათწლედანი, მე-12 შვიდწლედანი, რკინიგზის ტექნიკუმი და სამშენებლო სასწავლებელი). **[კვაჭაძე ლ. 1968, გვ. 143]**

აღსანიშნავია, რომ მარტო სკოლებით არ შემოიფარგლებოდა მელიტონის სამსახურებრივი დატვირთვა. ის აგრეთვე იყო ნამდვილი საზოგადო მოღვაწე.

1932 წელს მელიტონი საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, სადაც იგი რამდენიმე თვე საქართველოს სსრ განათლების კომისარიატის მეთოდ - სექტორში მუშაობდა მთარგმნელად, ამის შემდეგ მას აღარ უმსახურია ავადმყოფობის გამო. იღებდა პერსონალურ პენსიას.

1918 წლიდან 1931 წლამდე მელიტონი ცნობილი, საინტერესო და ახალგაზრდებისათვის საოცნებო, ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციის წევრია. რამდენიმე ხნის შემდეგ კი საქართველოს მწერალთა კავშირისა.

1934-1936 წლებში საქართველოს სსრ პედაგოგიკის ინსტიტუტის დავალებით იგი მუშაობდა ქართული პედაგოგიკის ისტორიის საკითხებზე. ხანგრძლივი შრომით მოქანცული, დაავადმყოფებული მელიტონი გარდაიცვალა 1942 წელს.

მელიტონს ბავშვობიდანვე იზიდავდა ხალხური შემოქმედება – ზღაპრები, შაირები, სიმღერები,

ზმები, ანდაზები, გამოცანები, საგმირო მოთხრობები, ძველი ისტორიული ამბები, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ მან თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვებას, მის გამომზეურებასა და შესწავლას. თავისი პირველი სერიოზული შრომა მან სწორედ ხალხური შემოქმედებას, ხალხური პოეზიის ნიმუშების გამოქვეყნებას მიუძღვნა. ის თავის ნაშრომებს ბეჭდავდა და აქვეყნებდა იმ პერიოდის პრესაში.

განსაკუთრებულ ინტერესს მელიტონი იჩენდა „ვეფხისტყაოსნისადმი“. ამ მხრივ საყურადღებოა მისი საკმაოდ დიდი შრომა „ვეფხისტყაოსნის ტიპები“, რომელიც 1921 წელს ქუთაისში დაიბეჭდა სალიტერატურო ჟურნალ „კრებულში“.

1899 წელს მან გამოაქვეყნა „სიტყვიერების თეორია“, ასეთი სახელმძღვანელოებით კი იმ პერიოდის საგანმანათლებლო სივრცე განებივრებული არ იყო.

მელიტონ კელენჯერიძის „სიტყვიერების თეორიასთან“ უშუალო, ორგანულ კავშირშია მისივე წიგნი „ქართული ქრესტომათია ანუ კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა“. აგრეთვე აღსანიშნავია მელიტონ კელენჯერიძის საყურადღებო შრომა „დამოკიდებულება რუსთა და ქართველთა შორის“ (1915 წელი), რომელიც მიმოიხილავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XI- XIX საუკუნეებში.

მისი ავტორობით გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებს შორის უნდა აღინიშნოს „ქართული პრაქტიკული გრამატიკა“, რომელიც პირველად 1920 წელს დაიბეჭდა, მეორედ კი -1925 წელს გამოვიდა და დაამშვენა ქართული განათლების სისტემა. ეს ის დრო იყო, როცა მეფის რუსეთის „ლირსეულ“ წარმომადგენლებს ეგონათ, რომ ქართველ პედაგოგებს არ შეეძლოთ ქართული სახელმძღვანელოების შექმნა, ეს ის დრო იყო როცა ქართულ ენას „ძალის“ ენა უწოდეს, ეს ის დრო იყო, როცა ამდენი შეურაცხყოფისაგან ქართველ მოწინავე ახალგაზრდობა რევოლუციისათვის მზადებას შეუდგა.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის განათლების ფონდს ამშვენებს 1913 წელს მელიტონ კელენჯერიძის ავტორობით გამოცემული წიგნი - „გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა“. (მისი დრო, ცხოვრება და მღვანეობა). მელიტონმა ამ წიგნის მასალების მოძიებისათვის მისი შეგროვებისა და სისტემაში მოყვანისათვის, დიდი შრომა გასწია. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია დიდმა ფილოსოფოსმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ. წიგნი ქუთაისში გამოიცა. აგრეთვე აღსანიშნავია მელიტონ კელენჯერიძის საყურადღებო შრომა „დამოკიდებულება რუსთა და ქართველთა შორის“ (1915 წელი), რომელიც მიმოიხილავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XI- XIX საუკუნეებში.

განათლების ფონდში დაცულია აგრეთვე სამი ფოტოსურათი. (ქიმ. შ. წ. №9170, ს.გ. ფ. 211\566\567\574.) რომლებიც გვაცნობს მელიტონ კელენჯერიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეპიზოდებს.

ასეთია, ქართული განათლებისა და კულტურის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლის, მელიტონ კელენჯერიძის ცხოვრება და მოღვაწეობა რომელიც ათეული წლის განმავლობაში გულმოდგინედ, გულწრფელად, პატივისცემითა და სიყვარულით ემსახურა ქართველი ხალხის ინტერესებს.

სწორედ ასეთი ადამიანები ქმნიან ისტორიას.

ლიტერატურა:

1. ლ. გაბუნია „ქუთაისი დიდი საგანმანათლებლო ცენტრი“ 2004 წელი, „სასულიერო სასწავლებელი გვ.95, 105, 109“;
2. მ. კელენჯერიძე, მოგონებანი; ჟურნალი „ მოამბე“, № I- VI, IX- XII;
3. ლ. კვაჭაძე, „მელიტონ სპირიდონის ძე კელენჯერიძე“ სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული მესამე, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი-1968, გვ; 141, 142;
4. ნ. პაპავა წიგნში „სახალხო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში“;
5. ქიმ. შ. ნ.№9170, ს.გ. ფ. 211\ 566\567\574.

შემაჯავებანი

1. ქიმ. – ქუთაისის ისტორიული მუზეუმი;
2. ს.გ.ფ. – სახალხო განათლების ფონდი.
- 3.შ.ნ —შემოსულობათა წიგნი

Lia Gabunia**PERSONALITIES MAKE HISTORY OF EDUCATION***/Meliton kelenjeridze/*

Famous Georgian pedagogue, methodologist, researcher, public figure, Teacher Emeritus of Georgia, Georgian educator and distinguished representative of Georgian culture – Meliton Kelenjeridze was born on the 5th of February, 1864 in Tabakini village of the former Shorapani district. His father, Spiridon Egnate Kelenjeridze was a son of poor farmhand. He was educated in Kutaisi Religious School and then for his entire adult life he has served his own village and parish as a village deacon. By that time, one of the main hearths of religious education in Georgia was represented by religious schools. Kutaisi Religious School has begun its existence since February 6, 1861 on Pontiff Sofron's initiative.

Meliton was 6 years old when his mother died. Saddened by this fact, little boy had withdrawn further into himself found himself in the world of books. As the little orphan boy recalled afterward, he tried to forget inexpressible sorrow, caused by his mother's death. The books, which were so many in their family, became his mother, father and friends as well.

We can read in the certificate (N14) of Kutaisi Religious School, which is issued in July 19, 1884, that Meliton entered religious School on the 19th September, 1876 and completed it with a highest grade certificate.

In August 25, 1884 Meliton has said goodbye to Kutaisi and went to Tbilisi. However, he always considered Kutaisi as his hometown and never felt happy when he left this town. However, he wanted to make up for that deficiency that he had in the Religious School, in Tbilisi Theological Seminary.

That year, Meliton brought his documents and he was enrolled in the first grade. In the Seminary, Meliton was considered as one of the best seminarians. In spring of 1890, he graduated from the

Seminary with a highest grade certificate (diploma). Members of his family were rather pleased by Meliton's behavior, they were very glad that the expenses incurred by family have not been wasted. Despite this fact, Meliton was not pleased by himself. This time, his dream would have been to receive a superior education. He was satisfying this dream shortly and in 1890 he has moved to the Kiev Ecclesiastical Academy.

With this period of study of Meliton Kelenjeridze there is concerned his work "The Folk Poetry and its Pedagogical-Aesthetic Value", which was printed for the first time in the magazine "MOAMBE" (1894, №№9-1-12, 1894, №№ 1-VI) and then published as independent book in 1896 in Kutaisi. Author notes that this book was written when he was a second year student. Also, this fact is noticeable because the interest in folklore is aroused in his mind very early. This interest was continued afterward, through the whole his life. Meliton turned out a very organized student. He maintained an excellent reputation in the Kiev Ecclesiastical Academy. When he was a second year student, he has prepared a thesis for defense.

The dissertation topic "Georgian Church in 18th Century" was presented at the high level, and it became known to Pontiff Gabriel and Georgian priesthood. All of them were pleased by awarding the candidate's academic degree of theology to Meliton. With such successes Meliton has completed his study at the Kiev Ecclesiastical Academy in 1894 and he returned to his native country being already educated and aware of various problems of life.

In that year, there has been established the Kutaisi Theological Seminary, which was set up under the patronage Pontiff Gabriel (Gerasime Kikodze) in 1867.

This time, Meliton Kelenjeridze has been invited as a teacher. He was appointed on the 4th of November in 1894, first as a Georgian language teacher, and then due to his education level, he has been allowed to hold a one more position of mathematics teacher. Simultaneously, already at the beginning of study, he has been obliged to teach history and Holy Writ. Meanwhile, he became a member of Seminary Council.

This time, there was functioned in Kutaisi the girls' classical school named after Saint Nino. In the month of November in 1903 Meliton has been appointed as a Scripture teacher in the girls' classical school.

In the month of March in 1903 Meliton became a member of Eparchial Educational Council. In the second half of XIX century and twenties of XX century the primary and public schools (religious school and seminary, classical and Georgian gymnasiums named after Saint Nino, agricultural and real schools, numerous private and boarding and other schools) have been established in the center.

In 1932 Meliton moved to Tbilisi and for several months he worked as a translator in the method-sector of Education Commissariat of Georgian Soviet Socialist Republic. Thereafter, he had not been worked anymore due to his illness. He received a merit pension.

During the period of 1918-1931 Meliton is a member of Kutaisi Writers' Organization, of which many young people had dreamed. After a while, he became a member of Georgian Writers' Union.

In 1934-1936 on assignment from the Institute of Pedagogies of Georgian Soviet Socialist Republic he worked on the issues of the History of Georgian Pedagogy. Being physically exhausted after a prolonged work Meliton passed away in 1942.

In 1899 he published "The Theory of Literature", and it is noticeable that our school suffered from deficiency of such kind of textbooks. Another book "Georgian Reading Book or Collection of the Best Examples of Georgian Literature" by Meliton Kelenjeridze is directly and organically related to "The

Theory of Literature”. The “Reading Book” is accorded with “The Theory of Literature”, and they complement each other.

The folklore takes a place of honor in the manuals compiled by Meliton Kelenjeridze. There are published and considered in these books numerous examples of amateur and folk arts.

“The Theory of Literature” and “Georgian Reading Book” by Meliton Kelenjeridze became the important acquisition for those times Georgian school. Among his textbooks the emphasis must be put on “Georgian Practical Grammar”, which was printed first in 1920, and then in 1925 it was issued again and adorned Georgian educational system.

The Educational Foundation (EF) of the Kutaisi Historical Museum (KHM) is adorned by book “Imereti Pontiff Gabriel (His Time and Life)” issued under the authorship of Meliton Kelenjeridze, and also it is necessary to emphasize the significant works of Meliton Kelenjeridze “Relationship Between Russians and Georgians” (1915), which reviews Russia-Georgia relations in XI-XIX centuries.

There are held in the Educational Foundation three photographs (10. KHM, incoming mail book. №9170, EF 211\ 566\567\574). On the first, second and third photographs there are Mariam Kauhchishvili and Meliton Kelenjeridze with students and other guests. The photographs are mainly dated 1923.


Meliton Kelenjeridze was one of the well-known representative of Georgian Educational and Cultural workers, who over the ten years with his pedagogical and literary activities faithfully, honestly, respectfully and with love served the interests of Georgian people.

Exactly such personalities make history.





ნინდა ნინოს სასწავლებელი, საღმრთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე, 1906-1907 წლები.



„გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა“. მელიტონ კელენჯერიძის ავტორობით გამოცემული, 1913 წელი.



მელიტონ კელენჯერიძე
(ზის პირველი), 1903 წელი

მელიტონ კელენჯერიძე
(ზის მარჯვნიდან პირველი).



მელიტონ კელენჯერიძე ზის
შუაში ქალბატონ მარიამ ყაუხჩიშ-
ვილთან ერთად.

ჯამბულ ქაშიბაძე

სვანთა „ავად მოხარკულოზის“ საკითხისათვის ფეოდალური ხანის საქართველოში

როგორც ფეოდალური ხანის საისტორიო წყაროები ადასტურებენ, ბუნებრივად კარგად დაცული, ამასთან, დიდი სამხედრო პოტენციალის მატარებელი საქართველოს მთიანეთი, კერძოდ სვანეთი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შინაგანი რესურსების უკმარისობას განიცდის ბარის სისუსტის შემთხვევაში ხშირად ერთვება მატერიალური არსებობისათვის ბრძოლის ისეთ პროცესში, როგორცაა კოლექტიური აბრაგობა და მეკობრეობა.

შ. ბადრიძის სამართლიანი შენიშვნით: „ფეოდალური ხანის ქართული საისტორიო წყაროების ხშირი მითითება ქართველ მთიელთა თუ სხვა, სოციალურად პრიმიტიულ დონეზე მდგომი ჯგუფების ასეთი საქმიანობის (მკვლევარი გულისხმობს კოლექტიური აბრაგობასა და მეკობრეობას – ჯ.ქ.) თაობაზე, რაც სახელმწიფოს ცენტრალური აპარატის გაძლიერება-დასუსტების კვალობაზე, ინტენსიურობის თვალსაზრისით, შესაბამის ცვლილებებს განიცდის, სავსებით რეალისტურ ინფორმაციას შეიცავს“ [შ. ბადრიძე, 1983: 19].

ჩვენი ვარაუდით, ის ფაქტი, რომ სვანთა თუ საზოგადოდ მთიელთა კოლექტიურ აბრაგობასა და მეკობრეობაზე ფეოდალური ხანის ქართული საისტორიო წყაროები ხშირად უთითებენ, წინარე (ანტიკური) ხანის ავტორთაგან განსხვავებით, ამასთან იგი სახელმწიფოს ცენტრალური აპარატის გაძლიერება-დასუსტების კვალობაზე, ინტენსიურობის თვალსაზრისით, შესაბამის ცვლილებებს განიცდის, შემდეგი ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული; კერძოდ, ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ბარში მდებარე ცალკეული მხარეები თუ ქვეყნები გაცილებით მძლავრი ეკონომიკური ბაზისით ხასიათდებიან, ვიდრე კავკასიის მთიანეთის მხარეები. აღნიშნული გარემოება კი, თავის მხრივ, განაპირობებდა აქ (ამიერკავკასიის ბარში) მაღალგანვითარებული სოციალური ურთიერთობების არსებობას. რაც შეეხება კავკასიის მთიანეთს, ის უძველესი დროიდანვე რამდენადმე ჩამორჩებოდა ბარს, მაგრამ თუ ადრეულ ხანაში ეს განსხვავება შედარებით უმნიშვნელო იყო, უკვე ფეოდალური ხანის დადგომასთან ერთად, როცა სოციალურ-პოლიტიკური უპირატესობის უზრუნველყოფა დამოკიდებული ხდება ბუნებრივ-გეოგრაფიულ, არსებითად სასოფლო-სამეურნეო პირობებზე (ეკონომიკური ძლიერების ძირითადი საფუძველი მინათმოქმედება ხდება), თანდათან თავს იჩენს მკვეთრი განსხვავება ამ ორ აღნიშნულ რეგიონს შორის, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით.

აღნიშნულმა გარემოებამ (განსხვავების გაღრმავებამ კავკასიის მთასა და ამიერკავკასიის ბარს შორის) თავის მხრივ მკვეთრი დალი დაასვა მათ შორის არსებულ ტრადიციულ ურთიერთობებს – მთა ბარის მიმართ უფრო და უფრო აგრესიული, „მუდამ ავად მოხარკული“ შეიქმნა და მისი (ტრადიციული ურთიერთობების), დროის შესაფერისი მოწყობა მოითხოვა. კერძოდ, გარკვეულ პერიოდში მაინც, ვიდრე მთას, ფეოდალიზმმა „კიდები არ შემოაჭამა“, სასიცოცხლო მნიშვნელობა მიენიჭა კავკასიელ მთიელებზე კონტროლის დანესებას.

ჩვენი აზრით, სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოების (კავკასიელ მთიელებზე კონტროლის დანესების აუცილებლობამ, მათი „ავად მოხარკულობის“ თავიდან ასაცილებლად, რომელიც „ორ ხეცს“ – მთასა და ბარს შორის განსხვავების გაღრმავების პარარელურად მწვავე ხასიათს იღებდა) გათვალისწინებით, გასაგები ხდება მკვლევარ ქ. მუშკუდიანის მიერ შენიშნული ის ფაქტი, რომ „ლეჩხუმში, ამ შედარებით პატარა კუთხეში, იშვიათად ნახავთ სოფლებს შორის დამაკავშირებელ გზებს, სადაც აგებული არ იყოს ციხე-სიმაგრე“ [ქ. მუშკუდიანი, 2001: 22].

თუ ბარის სიძლიერის (ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცის) შემთხვევაში მთიელები (ჩვენს შემთხვევაში სვანები), ქვეყნის სამსახურში (ძირითადად სამხედრო სამსახურში) დგანან და, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია შენიშნული, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ წარმატებაში. „ირკვევა, რომ სვანებს „თამარ დედოფალი“ დაუმსახურებლად კი არ მიუთვისებიათ, არამედ შესაფერისი საქვეყნო დამსახურების შედეგად შექმნილან ისინი ღირსეული მონაწილენი საერთო სამშობლოს აყვავებისა“ [ნ. ბერძენიშვილი, 1990: 425-426; მისივე 1971: 69]. ბარის (ცენტრალური ხელისუფლების) სისუსტის შემთხვევაში მწარე რეალობის წინაშე მდგომი მთიელი, თავისუფალი მოლაშქრე (ჩვენს შემთხვევაში სვანები), ბარისათვის მეკობრედ იქცა და საკუთარ ქვეყანას სამსახურის განევის ნაცვლად სერიოზული პრობლემები შეუქმნა თავისი „ავად მოხარკულობით“. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ასეთი ეპოქისაა „მთაში ალაღდა სვანია“, ე. ი. ბარი შესუსტდა და „მუდამ ავად მოხარკული“, ე. ი. მუდამ სარბევად მზადმყოფი შეიქმნა (ასეთი იყო მისი ეკონომიკა, მისი სოციალური წყობა, ასეთივე იყვნენ ყველა მთიელები, „ლეკები“, „ვაჟკაცები“) ... სვანი სულ უფრო და უფრო მეტის გაბედულობით მოდიოდა ბარის სარბევად, ქუთაისიც კი დაურბევიათ, მაგრამ ეს მაინც რბევა იყო და არა დაპყრობა“ [ნ. ბერძენიშვილი, 1990: 428-429].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიად გასაგები ხდება ფეოდალური ხანის ქართული საისტორიო წყაროების ხშირი მითითება, წინარე ხანის ავტორებისაგან განსხვავებით, სვანთა თუ საზოგადოდ მთიელთა კოლექტიურ აბრაგობასა და მეკობრეობაზე.

აქვე გვინდა დავსძინოთ, თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობის ყოფილა სახელმწიფოსთვის მთიელთა „ავად მოხარკულობის“ შეკავება, კარგად იგრძნობა ლაშა – გიორგის დროინდელი მემატიანის თამარის მოღვაწეობის სიღიადის წარმოსაჩენად ნახმარ შემდეგ ფრაზაში; თამარის მოღვაწეობისას ქვეყანაში ისეთი სიმშვიდე დამყარდა, წერს მემატიანე, რომ: „საყდართა და მონასტერთა დალენასა ვერვინ იკადრებდა. ქარავანსა ვერვინ ძარცვავდა ამიერი და იმიერი. ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკლვოდა: მპარავი. ავის-მომქმედი აღარ იყო. ოვსმან, მთიულმან, და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“ [ქართლის ცხოვრება, I 1955: 369].

მოყვანილი ფრაზიდან, გარდა ზემოდ აღნიშნული მომენტისა, რომ ლაშა – გიორგის მემატიანე თამარის უმთავრეს დამსახურებად იმ ფაქტს მიიჩნევს, რომ „ოვსმან, მთიულმან, და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“, იკვეთება მეორე ნიშანდობლივი გარემოებაც, კერძოდ ის, რომ, როგორც საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში ისე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მთიელთა (მწირ ბუნებრივ – სამეურნეო პირობებში მცხოვრებთა) დამოკიდებულება „ავად მოხარკულობისადმი“ თანაბარია; „ოვსმან, მთიულმან, და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“, – ხაზს უსვამს მემატიანე.

საქართველოში მონღოლთა გაბატონებამ, მკვლევარ თ. ბერაძის შენიშვნით, „სვანთა წარჩინებული ნოდების ქონებრივ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა. შეწყდა ქართველთა წარმატებული ლაშქრობანი მეზობელ ქვეყნებში, რამაც საქართველოს ყველა კუთხის ფეოდალთა შემოსავალი მნიშვნელოვნად შეამცირა. დავით ნარინმა სპეციალური გამოსაღებიც „სასვანოც“ კი დაანესა, რათა სვან წარჩინებულთათვის ამგვარი დანაკლისი ნაწილობრივ მაინც შეევსო“ [თ. ბერაძე, 1983: 29].

ჩვენი აზრით, მკვლევარის ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებაში ერთი ნიშანდობლივი კორექტივია შესატანი, კერძოდ, ვთვლით, რომ საქართველოს ისტორიაში ფრიად საინტერესო ფაქტი – დავით ნარინის მიერ ე. წ. „სასვანო“ გამოსაღების დაწესება, არა მარტო სვან წარჩინებულთათვის დანაკლისის შესავსებადაა მეფის მიერ დადგენილი, არამედ ფეოდალიზირებულ ბარს, რომელსაც უკვე თავისუფალი მდაბიო-მოლაშქრის სამხედრო სამსახურით უზრუნველყოფა აღარ ძალუძს,

ამასთან გაზრდილი საგარეო საფრთხის პირობებში, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა გაბატონების შემდეგ დავით ნარინის მიერ ახლად შექმნილ სამეფოს მუდმივად ახლავს თან, სამეფო ხელისუფლებას სახელმწიფო (სამხედრო-პოლიტიკური) ინტერესები აიძულებდა, რომ მთის თავისუფალ მოლაშქრეთა ფენას გაფრთხილებოდა და მის შენარჩუნებაზე ეზრუნა. ამდენად ჩვენი აზრით სამეფო ხელისუფლებას სპეციალური გამოსაღების „სასვანოს“ დაწესებით სურს, არა მარტო ის რომ თავიდან აიცილოს სვან თავისუფალმოლაშქრეთა „ავად მოხარკულობა“, არამედ ამ გადასახადის შემოღებით იგი ცდილობს, გაზრდილი საგარეო საფრთხის პირობებში შეინარჩუნოს საზოგადოების ეს ფენა. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ შეიძლება განვაცხადოთ, რომ „სასვანო“ გამოსაღები სვანეთში მცხოვრები ფართო მასების „დაკვეთა“ სამეფო ხელისუფლებისადმი და არა – სვან წარჩინებულთა მიმართ სამეფო ხელისუფლების მიერ გაღებული „კომპენსაცია“.

ამგვარად ესმის ეს საკითხი ნ. ბერძენიშვილსაც „სასვანო „ხარკი“-ც კი რომ გვექონდეს დამონმებული, მაინც არ დავიჯერებდი“, – წერს ბატონი ნიკო და იქვე დასძენს: „იმ დროს, როცა სასვანო გადასახადი იხსენიება, სვანეთი იმ ძალისა არ იყო, რომ მას ბარის საქართველოს დახარკვა შეეძლებოდა. სვანებს, სვან ვაჟკაცებს, სვანი ერისთავის „ბელადობით“ შეეძლოთ ბარი მოერბიათ, არბევდნენ კიდევაც, თუ ბარის წინააღმდეგობა შესუსტდებოდა“ [ნ. ბერძენიშვილი, 1990: 428-429].

ყოველივე ზემოდ აღნიშნულთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბატონ ნ. ბერძენიშვილის მიერვე შენიშნული, „ძეგლის დების“ შესავალ ნაწილში დაცული ცნობაც იმის შესახებ რომ, გიორგი ბნყინვალის წინაპრებს, ქართველ მეფეებს თავიანთ სასარგებლოდ მიაჩნდათ მთიელთა „აღრევით ყოფნა ერთმანეთსა შიგან“ [ი. დოლიძე, 1963:23; ნ. ბერძენიშვილი, 1974: 189].

„ძეგლისდების“ მოყვანილ ცნობასთან დაკავშირებით თავად ბატონი ნიკო წერს, რომ; „მეტად საინტერესო ცნობაა, თუ სწორადაა დაცული და ჩვენს მიერაც სწორადაა გაგებული, ძეგლის შესავალში რომაა დაცული. გიორგი ბნყინვალე აღნიშნავს, რომ მის დრომდის მთას ძეგლით გაჩენილი სამართლის წიგნი არ ჰქონდა და ეს იმიტომ, რომ ზოგ მეფეს (გიორგის წინაპარს) „ჰპრიანებოდათ“ მათი „აღრევით ყოფნა ერთმანეთსა შიგან“ და „ეს საქმისა რომლისათვისმე“, ე. ი. რაღაც გარკვეული მიზეზის გამო (რომელიც გიორგიმ იცის და არ ასახელებს) ქართველ მეფეებს თავიანთის სასარგებლოდ მიაჩნდათ მთიელთა „აღრევით ყოფნა ერთმანეთშიგან“. ზოგ მეფეს კიდევ ასეთი კანონის დადება აღარ შეეძლო „სხვის ჟამისა შემოსრულობისათვის“, ე. ი. თავი ხელად არ ქონდათ. ჩვენ ყურადღებას პირველი მომენტი იპყრობს. სამწუხაროა, რომ მეფე არ ასახელებს იმ კონკრეტულ მიზეზს, რომელიც მისი აზრით იყო „რომელიმე საქმე“ ან რომელიმე მიზეზი, რაისთვისაც მეფეები თავისთვის სასარგებლოდ სცნობდნენ მთის აღრევით ყოფნას“ [ნ. ბერძენიშვილი, 1974: 189].

ბატონი ნიკო მიიჩნევს, რომ „მეფის მიერ ნავარაუდები მიზეზი შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი ყოფილიყო, მაგრამ არა მთავარი და ერთადერთი“ [იქვე]. ამასთან თვლის, რომ „ასეთი მიზეზი ჩვენ სხვაგან უნდა ვეძებოთ“ [იქვე].

სამწუხაროდ, პატივცემული მკვლევარი, მართალია სამართლიანად შენიშნავს, რომ: „კარგა ხანია, როგორც ჩანს, მთაში აღრევა ყოფილა, ციხეთა დაქცევა, სიკვდილი, ცოლის ნაგვრა, უბრალოდ დაგდება, ღალატად დასხმა და მრავალფეროვანი უღუსობა“ [იქვე: 189-190], მაგრამ თავისი მოსაზრების შესახებ იმ მიზეზთა გამო, თუ რატომ მიაჩნდათ გიორგი ბნყინვალის წინაპრებს, ქართველ მეფეებს, თავიანთ სასარგებლოდ მთიელთა „აღრევით ყოფნა ერთმანეთსა შიგან“, არაფერს წერს [იქვე: 190].

ჩვენის მხრივ გვინდა, წარმოგიდგინოთ ის შეხედულება, რომელიც აღნიშნულ საკითხთან (თუ რატომ მიაჩნდათ გიორგი ბნყინვალის წინაპრებს – ქართველ მეფეებს, თავიანთ სასარგებლოდ მთიელთა „აღრევით ყოფნა ერთმანეთსა შიგან“) დაკავშირებით გაგვაჩნია.

პირველ რიგში, გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ბატონ ნიკოს, როცა პატივცემული მკვლევარი წერს „მეფის მიერ ნავარაუდები მიზეზი შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი ყოფილიყო, მაგრამ არა მთავარი და ერთადერთი“ [ნ. ბერძენიშვილი, 1974: 189] რადგან ვთვლით, რომ მონღოლთა შემოსევების შედეგად დასუსტებულ ბარს (გიორგი ბნყინვალის წინაპრების პერიოდის საქართველოს) აღარ ძალუძდა („თავი ხელად არ ქონდათ“) ქვეყნის სამსახურში ჩააყენებინა არახელსაყრელ ბუნებრივ სამეურნეო პირობებში მცხოვრები – „მუდამ ავად მოხარკული“ კავკასიის მთიელები. პირიქით, იგი (ბარი) თავად განიცდის კავკასიის მთიანეთის იმ რეგიონის მაცხოვრებელთა შემოტევას, რომელთაც შეძლეს კონსოლიდაციის გარკვეული ხარისხისთვის მიეღწიათ, ან კიდევ, ადრე არსებული კონსოლიდაცია შეინარჩუნა (გავიხსენოთ ადრეულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში რა მწვავედ იდგა ოსთა საკითხი, ხოლო დასავლეთ საქართველოში, როგორც ზემოთ უკვე შევნიშნეთ, მეფე დავით ნარინმა, რომელსაც სვანი თავისუფალი მდაბიომოლაშქრეების სამხედრო სამსახურით უზრუნველყოფა უკვე აღარ ძალუძდა, სურდა რა თავიდან აიცილებინა ამ საზოგადოების „ავად მოხარკულობა“, „სასვანო“ გადასახადი დაანესა).

ამ მოტივით ბარისთვის (ცენტრალური ხელისუფლებისთვის), სანამ თავად იგი სუსტია, მისთვის ხელსაყრელია არაკონსოლიდირებული, ურთიერთბრძოლით დაკავებული მთა, რათა თავიდან იქნას აცილებული, მწირ საარსებო – ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში მცხოვრები მთიელების კოლექტიური მეკობრეობა. ამდენად სრულიად გასაგებია, თუ რატომ მიაჩნდათ ხელსაყრელად ქართველ მეფეებს, გიორგი ბნყინვალის წინაპრებს, მთიელების „აღრევით ყოფნა ერთმანეთსა შიგან“.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ, ძეგლის მიხედვით, კანონმდებელი – გიორგი ბრწყინვალე კრძლავს მთიელებს (ქსნისა და არაგვის ხეობის მცხოვრებთა) შორის „სალაშქრო“ დ „სასაურო“ ურთიერთობებს: „ამიერნი ხევისბერნი და ჰაეროვანნი იმიერთ ნუ ოდეს მიუდგებიან, ნურცა სალაშქროდ, ნურცა სასაუროდ ისაქმებენ ერთმანეთთანა თავის თავისა საერისთავოსა კიდე“ [ი. დოლიძე, 1963: 23-24].

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის არსებობის ხანაში, სვანეთის ფეოდალიზირებული საზოგადოების შიგნით წონასწორობის შენარჩუნების უმთავრეს ფაქტორად თვით სამეფო ხელისუფლება გამოდის. რადგან, ერთის მხრივ, სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები ქმნიდა საჭიროებას მთაში თავისუფალ მოლაშქრეთა ფენის შენარჩუნებისა, მეორის მხრივ; მთაში სახელმწიფო ვალდებულებათა რეალიზაცია ითხოვდა რა გარკვეულ ორგანიზაციას და სამეფო ხელისუფლებაც იძულებული ხდებოდა, ამ, ორგანიზაციული ფუნქციის მქონე ზედა ფენისათვის ერთგვარი პრივილეგიები დაენესებინა. მაგრამ როცა ეს უკანასკნელი აქტივობას იჩენდა, სამეფო ხელისუფლება უყოყმანოდ დგებოდა თავისუფალ მოლაშქრეთა მხარეზე. აქედან გამომდინარე, ადრეულ პერიოდში სვანეთი პოლიტიკური თვალსაზრისით მთლიანობას, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სიძლიერეს, ხოლო სოციალური თვალსაზრისით ერთფეროვნებას ინარჩუნებდა.

ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემის და ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ სვანეთის საზოგადოების პრივილიგირებულ გვარეულობათა წარმომადგენლების სოციალურ-პოლიტიკური უპირატესობის უზრუნველყოფა დამოკიდებული ხდება საკუთრივ სვანეთის ფეოდალური ექსპლოატაციის (არსებითად ბუნებრივ-სამეურნეო) პირობებზე, რომელიც აქ (სვანეთში) ასეთი სახის ექსპლოატაციისათვის ერთობ არახელსაყრელი იყო (მინათმოქმედების განვითარების უმთავრესი პირობის სახნავ-სათესი ფართობების სიმცირეს თან ერთვოდა საზამთრო საძოვრების არქონა და სათიბების ნაკლებობა, რაც მნიშვნელოვანწილად აფერხებდა აქ მესაქონლეობის განვითარებასაც). ამასთან, აღნიშნულ პირობათა მიხედვით, გამოიკვეთა განსხვავებანი სვანეთის ცალკეულ მხარეთა შორის, რამაც მთლიანობაში განსაზღვრა გვიანი შუასაუკუნეებისათვის ერთიანი სვანეთის შიგნით სოციალური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ცალკეული ადმინისტრაციულ-

პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბება, კერძოდ ერთიანი სვანეთის შიგნით, ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილში, სვანეთის მცირე სამთავრო (სადადიშგელიანო) ჩამოყალიბდა, ხოლო ბალსზემო ნაწილში იქაურმა საზოგადოებამ შეძლო თვითორგანიზაცია თემის ფარგლებში. რაც შეეხება ქვემო სვანეთს, ლაშხეთისა და ჩოლურის თემებში გელოვანთა და გარდაფხაძეთა ფეოდალური სახლები გაბატონდნენ, ლენტეხის თემს კი დადიანები დაეუფლნენ (ერთ დროს ერთიან ეთნოპოლიტიკურ ერთეულს – სვანეთის საერისთავოს ფეოდალიზმა „კიდები შემოაჭამა“). აღნიშნულმა გარემოებამ, თავის მხრივ მნიშვნელოვანწილად დაასუსტა იგი სამხედრო – პოლიტიკური თვალსაზრისით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით კი, სავსებით გასაგები ხდება არა მხოლოდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში შენიშნული ის გარემოება, რომ სვანეთის მონაწილეობა თითქმის არ ჩანს გვიანფეოდალური ხანის საქართველოში მიმდინარე გაუთავებელ შინაომებში, მაშინაც კი, როცა საქმე მის მოსაზღვრე მხარეებს (მაგ., ლეჩხუმს) ეხება [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV: 470], არამედ ის ფაქტიც, რომ აღებულ პერიოდში (გვიანი შუასაუკუნეები) შეწყდა ბარის მიმართ სვანთა „ავად მოხარკულობის“ გამოვლინება და იგი მხოლოდ ამ მხარის არაფეოდალიზირებული ნაწილისათვის (ბალსზემო სვანეთისათვის) დარჩა დამახასიათებელი, და ისიც უკვე, ამ უკანასკნელთა მიერ გასაგებ მიზეზთა გამო, მხოლოდ მცირე მასშტაბებით ხორციელდება.

ამდენად, როგორც საისტორიო წყაროების ანალიზის შედეგად დასტურდება, საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მთიანი რეგიონი – ბუნებრივად კარგად დაცული, ამასთან დიდი სამხედრო პოტენციალის მატარებელი სვანეთი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შინაგანი რესურსების უკმარისობას განიცდის ბარის სისუსტის შემთხვევაში ფეოდალური ხანის თითქმის მთელ სიგრძეზე (ვიდრე მას „ფეოდალიზმმა კიდები არ შემოაჭამა“ – სოციალური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ცალკეულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულებად არ დაიშალა) აქტიურად ერთვება მატერიალური არსებობისათვის ბრძოლის ისეთ პროცესში, როგორიცაა კოლექტიური აბრაგობა და მეკობრეობა.

ლიტერატურა და წყაროები:

1. შ. ბადრიძე, 1983; შ. ბადრიძე, მთიური კომპონენტების საკითხისათვის „აფხაზთა სამეფოს“ პოლიტიკურ სტრუქტურაში, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, IV (საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში), თბილისი.
2. თ. ბერაძე, 1983; თ. ბერაძე, რაჭა, თბილისი.
3. ნ. ბერძენიშვილი, 1971; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბილისი.
4. ნ. ბერძენიშვილი, 1974; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბილისი.
5. ნ. ბერძენიშვილი, 1990; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი.
6. ი. დოლიძე, 1963; ქართული სამართლის ძეგლები, ტესტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, I, თბილისი.
7. ქ. მუშკუდიანი, 2001; ქ. მუშკუდიანი, ლეჩხუმის ისტორიიდან, ქუთაისი.
8. სინ, IV 1973; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი.
9. ქართლის ცხოვრება, I 1955; ქართლის ცხოვრება, ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი.

Jambul Qashbadze

FOR MARAUDING ISSUE OF SVANETI IN FEUDAL PERIOD SUMMARY

We fully agree with the idea expressed in Georgian historiography that in time of united feudal monarchical state Svaneti was culturally advanced region and inherently connected with the low land; however, the deepening of feudal relationships was restricted by the low economic potential and the monarchy's internal policy conducted in according to its military interests.

In addition, we consider that even in "golden age" of Georgian feudal state the region of Svaneti didn't reach the highest level of feudalization. On the one hand Svaneti possessed considerable military potential, but on the other hand it suffered from deficiency of local agricultural resources. It was the reason why in case of weakness of low land regions Svans got engaged in such process of material survivor as collective marauding and piracy.

The fact that Georgian historiographic sources of feudal period quite often mentioned collective marauding and piracy of Svans and generally highlanders may be explained by the following. As it is known, some regions and states located in low land Transcaucasia were economically far more powerful than highland regions, which resulted in formation of highly developed social relationships in low land regions. As for highland regions they had always been undeveloped in comparison to the low land. In early periods this backlog was not critical, but following the development of feudal relationships, when social and political advantage depends on natural and geographical conditions and agricultural resources, the difference became more significant, which resulted in aggressive behavior of highland regions. In its turn, it became almost vital to obtain control over or at list increase influence on highlanders. To consider all the abovementioned, it becomes clear why the facts of collective marauding and piracy of Svans and generally highlanders are more frequently indicated in Georgian historic sources of feudal period than in the earlier ancient sources.

Considering all mentioned above it becomes clear why one can hardly find a road connecting local villages in relatively small province Lechkhumi (Lower Svaneti) without fortress built for its protection. Consequently, as it is indicated in Georgian historical sources of feudal period the inhabitants of Svaneti, which was naturally protected and possessed significant military potential, but suffered from the deficit of agricultural products, in case of weakness of low land regions got frequently engaged in such process of material survivor as collective marauding and piracy.



ნალი უბრაქალიძე

XII-XIII საუკუნეების ქართველ მეფეთა მონეტები ქუთაისის მუზეუმში

საქართველომ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში, მიაღწია XII-XIII საუკუნეებში დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის დროს. ამ პერიოდში ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მთელ წინა აზიაში უძლიერეს სახელმწიფოდ, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ცხოვრებაში და მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა საქართველოს ქალაქების აღმავლობამ და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ. ამ მხრივ, განსაკუთრებული როლი შეასრულა ქალაქმა თბილისმა როგორც გაერთიანებული საქართველოს ეკონომიკურმა და კულტურულმა ცენტრმა. მას მჭიდრო სავაჭრო კავშირი ჰქონდა ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან. სავაჭრო მაგისტრალების საშუალებით საქართველოს დედაქალაქი დაკავშირებული იყო როგორც ახლო მდებარე ქვეყნებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი), ისე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის

ქალაქებთან (რეი, ქაშანი, ზენჯანი), აგრეთვე, ბიზანტიასთან, ინდოეთთან, ჩინეთთან, რუსეთთან. ასევე, თბილისზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზებით (თბილისი-ბარდავი-ზენჯანი და თბილისი-დვინი-მარალა), საქართველოს დედაქალაქი უკავშირდებოდა ირანის სხვადასხვა ქალაქებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში საქართველოში დიდად იყო განვითარებული ხელოსნობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვაჭრობის განვითარებას. ამავე დროს, საქართველოზე გადიოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელი ანტიკური ეპოქიდანვე ცნობილი დიდი სავაჭრო გზა, რომელიც აადვილებდა უცხო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობას. ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლებაც. მათ კარგად ესმოდათ ქალაქების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისათვის. ამიტომ ისინი აგებდნენ ხიდებს, კეთილანდობდნენ გზებს, აშენებდნენ ქარვასლებს, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამისთევა. ეს კი უცხო ქვეყნებთან დაკავშირების საშუალებას აძლევდა ქვეყანას. ფართოდ იყო გაშლილი საქარავნო ვაჭრობაც. მუსლიმანური ქვეყნებიდან და ბიზანტიიდან საქართველოში შემოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი: ქსოვილები, ნელსაცხებლები, ცხენის აკაზმულობა, შაქარი და სხვა. [ნარკვევები, III: 108]. სააღმშენებლო საქმიანობაში გარდა თბილისისა, ჩაბმული იყო საქართველოს სხვა ქალაქებიც. ყველაფერმა ამან, პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერებასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს, რაც, უპირველესად, მონეტების რეგულარულ მოჭრასა და მის მყარ, ინტენსიურ მიმოქცევაში გამოიხატა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში საქართველოსთვის მნიშვნელობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას მიენიჭა და დავით აღმაშენებელმა როცა სამონეტო რეფორმა გაატარა, ქართული მონეტა თავისი ფორმით აღმოსავლურ მონეტას დაუახლოვა [კაპანაძე, 1969: 69].

დავით აღმაშენებელს ეკუთვნის სპილენძის მონეტა, რომელიც დაცულია ქუთაისის მუზეუმის ნუმისმატიკის ფონდში. მონეტა საკმაოდ დაზიანებულია. მისი წონა 2,20 გრამია, ზომა 19 მმ. შუბლზე მოთავსებულია მარჯვნივ მიმართული მხედრის გამოსახულება, რომელიც ნაწილობრივ წაშლილია, მაგრამ გარკვევით ჩანს ცხენი დინამიკურ მოძრაობაში. მხედარს მარჯვენა ხელში ალვირი უჭირავს. ზურგზე მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, რომელიც

ფრაგმენტულად იკითხება: ./ حسام المسه / ... كير ... / ملوك ... / - . . . მეფეთა / . . . გიორგი . . . / მესიის მახვილი.

აღნიშნული მონეტა მიმოქცევაში იყო არა მარტო ჩვენი ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დავით აღმაშენებლის მონეტის ტიტულატურაში ჩნდება ტერმინი - "მესიის მახვილი" (حسام المسيح), რაც დავითის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის გამოხატულებაა. ამით ის აცხადებს, რომ მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს და მეფის წინაარმდეგ მოქმედება ღმერთის წინააღმდეგ მოქმედებაა. ეს განცხადება მიმართული იყო როგორც საშინაო, ისე გარე მეტრების წინააღმდეგ. ეს იყო ფორმულა, რომლითაც მეფე ამართლებდა თავის აშკარად გამოხატულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. თავის მეტრებს დავითი ამით ეუბნებოდა, რომ ის მესიის მახვილია, ქრისტიანთა მცველი და ქომაგია. [ნარკვევები, III, 257]. ეს ამაყი ეპითეტი გიორგი III-ისა და ლაშა გიორგის მონეტებზეც ჩნდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ საქართველოს რეალურ მდგომარეობას ასახავდა.

ამ პერიოდის უაღრესად მნიშვნელოვან ნუმისმატიკურ ფაქტს წარმოადგენს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ე. წ. "ვერცხლის კრიზისი" როცა ვერცხლის საფასე ქრება და სამაგიეროდ სპილენძის ფული შემოდის. ამიტომ ვერცხლის საფასის ნიშნების გაქრობა საერთო მოვლენად უნდა ჩაითვალოს მთელი აღმოსავლეთისათვის და ერთსა და იმავე მიზეზსაც უნდა გამოენვია ყველა სახელმწიფოში [ჯავახიშვილი, 1925: 48-49]. ანალოგიური ვითარებაა საქართველოშიც, სადაც XII-XIII ს.ს. ქართველი მეფეები ჭრიდნენ მხოლოდ სპილენძის მონეტებს. უნდა აღინიშნოს, რომ "ვერცხლის კრიზისის" პერიოდში სპილენძის ფულის ნომინალი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მისი რეალური ღირებულება.

აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული ეს "ვერცხლის კრიზისი" მეცნიერთა შორის კამათს იწვევს. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს კრიზისი აღმოსავლეთის ქვეყნებში ვერცხლის საბადოების გამოფიტვით იყო გამოწვეული. ზოგი ამ აღმოსავლური მონეტების დასავლეთ ქვეყნებში და ჩრდილოეთში მასობრივ გაზიდვას უკავშირებს. ზოგი კი თურქ-სელჩუკთა მომთაბარე ტომების შუა აზიიდან სპარსეთისაკენ მოძრაობას აბრალებს. დ. კაპანაძის აზრით, არც ერთი ეს მოსაზრება დამაჯერებელი არ არის და დღემდე გარკვეული არ არის ამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენის ნამდვილი მიზეზი. [კაპანაძე, 1950: 44]

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ნუმისმატიკის ფონდში, გარდა დავით აღმაშენებლის მონეტისა, დაცულია ამ პერიოდის მეფეების - გიორგი III-ის, თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის სახელით მოჭრილი სპილენძის მრავალი მონეტა. ისინი ქუთაისში და მის მიდამოებშია ნაპოვნი.

გიორგი III-ის "ნესიერად" მოჭრილი სპილენძის მონეტის შუბლზე მოთავსებულია მეფის გამოსახულება სამეფო ტანსაცმლით, რომელიც ფეხმორთხმით ზის. მარცხენა გაშლილ ხელზე შევარდენი უზის, მარჯვენა ხელით დოინჯი აქვს შემოდებული. მარცხენა მკლავთან ქართული მხედრული წარწერაა "გი". ზურგზე მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

حسام المسيح / كيرى بن ابيطرى / ملك الملوك - "მეფე მეფეთა, გიორგი ძე დემეტრესი, მესიის მახვილი". აღსანიშნავია, რომ გიორგი მესამის ეს მონეტა ქართულ ნუმისმატიკაში მხედრული დამწერლობის პირველ ნიმუშადაა მიჩნეული.

მუზეუმში დაცულია თამარის სახელით "ნესიერად," და "არანესიერად" მოჭრილი მრავალი მონეტა. პირველი მრავალი ფორმის და გარკვეული წონისაა, ხოლო მეორე სხვადასხვა ფორმის და წონის. ეს მონეტები საკრედიტო მონეტების ფუნქციას ასრულებდა და "ვერცხლის კრიზისის" პერიოდში ვერცხლის მიმოქცევის სფეროს ემსახურებოდა. საფიქრებელია, რომ "უნესოდ" მოჭრილ მონეტებს ალებ-მიცემის დროს იღებდნენ წონის და არა თვლის ანგარიშით.

თამარის სახელით მოჭრილი მონეტების შუბლზე მოთავსებულია თამარის ვენზელი (ფაქსიმილე). გარშემო ასომთავრული ზედწერილია: “სახელითა ღვთისათა იქნა ქედაი ვერცხლისა ამის ქორონიკონსა ქზ.” ზურგზე კი სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილია მოთავსებული: **المكة العظمة / جلال الدنيا و الدين / تامار بنت كيركى ظهير المسيح** - “დედოფალი დიდებული, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი.” მუზეუმში ინახება აგრეთვე 1200 წელს “წესიერად” მოჭრილი სპილენძის მონეტები, რომლებზეც თამარისა და მისი მეუღლის - დავით სოსლანის სახელები იკითხება. მონეტების შუბლზე მოთავსებულია დროშის თავის მსგავსი ფიგურული ნიშანი, რომელიც ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანს წარმოადგენს. მარჯვნივ და მარცხნივ ასომთავრულად დაქარაგმებულია თამარისა და დავითის სახელები. ზურგზე ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილია მოთავსებული:

ملكة الملكات / جلال الدنيا و الدين / تامار ابنة كيركى / ظهير المسيح

“დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოების, თამარ ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი”.

როგორც ვხედავთ, ეს წარწერა მხოლოდ თამარს ახსენებს და ადიდება. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეთა შორის მშვიდობა და სიყვარული სუფევდა და დედოფლის მეუღლე დავით სოსლანი ტახტის მემკვიდრის ლაშა გიორგის მშობელი იყო, აქ სრულებით არ არის მოხსენიებული. აქედან აშკარა ხდება, რომ დავით სოსლანს საქართველოს მეფისა და დედოფლის თანასწორობის პრეტენზია არ ჰქონდა. ამავე დროს, თუ დავით აღმაშენებლის მონეტას ამაყი ეპითეტი ამშვენებდა (**მესიის მახვილი**), რაც თავისთავად გულისხმობდა დავითის მზადყოფნას — მახვილი მუდამ აღმართული ჰქონოდა ქრისტიანობის დასაცავად, თამარის მეფობის დროს ეს აღარ იყო საჭირო, რადგან მეზობელი მუსლიმანური ქვეყნები უკვე აღიარებდნენ საქართველოს ძლიერებას. ამიტომაც, რომ თამარის მონეტებზე სულ სხვა წარწერაა: **ظهير المسيح** — “**მესიის თაყვანისმცემელი**”. ამით მხოლოდ საქართველოს სიძლიერის რეალობა აისახებოდა და, თანაც, სახელმწიფოს მმართველის შემწყნარებლური ხასიათი წარმოჩინდებოდა. აქვე ისმის კითხვა, თუ რას უნდა გამოეწვია ქართულ მონეტებზე საქართველოს პოლიტიკური აღმავლობის ხანაში არაბული წარწერის გაჩენა. ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს, მაგრამ ყველაზე უფრო მისაღებია ივ. ჯავახიშვილის აზრი, რომ ეს ღონისძიება ითვალისწინებდა საქართველოს სამეფოს ეკონომიკურ ინტერესებს და ხელს უწყობდა არაბულ ზედწერილიანი ფულის გავრცელებას მუსლიმანურ სამყაროში. [ჯავახიშვილი, 1907: 31]. ალბათ ამის გამოც იყო, რომ თამარის სახელით მოჭრილი მონეტები, ისე როგორც სხვა მეფეთა მონეტები, მიმოქცევაში იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ხშირად წვრილი ფულის საჭიროების შემთხვევაში ქართული მონეტები ქუცმაცდებოდა სხვადასხვა ზომის ნაჭრებად. პრაქტიკაში იყო ფულის თანაბარ ნაწილებად დაჭრა მცირე ნომინალების მიღების მიზნით. ეს წესი, მონეტის ამ გზით “დახურდავება,” XIII საუკუნის შუა წლებამდე არსებობდა. ცნობილია თამარის ამგვარად მოჭრილი “ნახევრიანი” და “მეოთხედისანი” მონეტები [კაპანაძე, 1969: 74]. ჩვენი ვარაუდით, ადვილი შესაძლებელია მონეტა კი არ ქუცმაცდებოდა, არამედ ასეთი მცირე ზომის ნომინალები ჩვეულებრივ იჭრებოდა. მსგავსი წვრილი ნომინალები დაცულია ქუთაისის მუზეუმში,

თამარის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს საჭეთმპყრობელი გახდა მისი ძე ლაშა გიორგი. ქუთაისის მუზეუმში დაცულია როგორც “წესიერად”, ასევე “უნესოდ” მოჭრილი მისი მონეტები, რომლებიც თამარის სპილენძის მონეტების მსგავსია. “უნესოდ” მოჭრილი მონეტის შუბლზე მოთავსებულია ორსტრიქონიანი ასომთავრული ზედწერილი, რომელიც ჩასმულია წნულ ორნამენტულ ჩარჩოში: “გიორგი ძე თამარისა”. ზურგზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: **الملك المعظم / جلال الدنيا و الدين / كيركى بن تامار / حسام المسيح**. “მეფე უმაღლესი,

შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი ძე თამარისა, მესიის მახვილი.”

მუზეუმში დაცულია აგრეთვე, ლაშა გიორგის “წესიერად” მოჭრილი სპილენძის მონეტა, რომლის შუბლზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ზედწერილი: “გიორგი მეფისა, თამარის ძისა, ჯავახთ უფლისა”. ზურგზე კი ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილია:

./ الملك المعظم / جلال الدنيا و الدين / كيركى بن تمار / حسام المسيح ./

“ მეფე უმაღლესი, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი ძე თამარისა, მესიის მახვილი.”

როგორც ამ ზედწერილებიდან კარგად ჩანს, ლაშა გიორგის მიერ მოჭრილ მონეტებზე შთამომავლობის აღსანიშნავად დაფიქსირებულია დედის - თამარის სახელი და არა მამის. ასეთივე წარწერა გვხვდება რუსუდანის მიერ მოჭრილ მონეტებზეც. დ. კაპანაძის აზრით, მსოფლიო ნუმიზმატიკაში ეს უნიკალური მოვლენად უნდა ჩაითვალოს [კაპანაძე, 1969: 79].

მუზეუმში დიდი რაოდენობითაა დაცული რუსუდანის მიერ მოჭრილი სპილენძის მონეტები., რომლებიც სხვადასხვა სიქით არის მოჭრილი, მაგრამ უცვლელია მონეტის ტიპი. რუსუდანის სამონეტო საქმიანობით ქართული ფულის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება: შეწყდა “უნესოდ” მოჭრილი სპილენძის ფულის ემისია და განახლდა ვერცხლის ფულის მოჭრა. აქვე შევნიშნავთ, რომ რუსუდანის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტების წონა სხვადასხვაა. შუბლზე რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის ასომთავრულად დაქარაგმებული სახელი “რსნ”. მის გარშემო ორნამენტული სახის წნულია, რომლის ხვეულებში დაქარაგმებული მხედრულით აღნიშნულია თარიღი: “ ქორონიკონსა 447” (= 1227წ.). ზურგზე ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: الملكة الملكات و الملوك / جلال الدونيا و الدولة و الدين / روسدان

بنب تمار ظهير المسيح / اعز الله انصاره

“დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, შვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმა ძლევანი მისი”.

დ. კაპანაძის აზრით, თარიღი, რომელიც რუსუდანის მონეტაზე პირველად 1227 წელს გაჩნდა, მისი დედოფლობის ბოლომდე უცვლელი დარჩა და უფრო გვიან მოჭრილ მონეტებზეც ისეთივე თარიღს წერდნენ, როგორც პირველზე [კაპანაძე, 1969: 81].

ასეთია XII-XIII საუკუნეების ქართული სამონეტო სისტემა, რომელიც კარგად ასახავს საქართველოში სამონეტო საქმის მდგომარეობას და ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერეს, ხოლო ქუთაისსა და მის მიდამოებში აღმოჩენილი ქართველ მეფეთა მონეტები იმაზე მეტყველებს, რომ ქუთაისში საკმაოდ განვითარებული იყო საქალაქო ცხოვრება და ქუთაისი ჩართული იყო არა მარტო ადგილობრივ, არამედ მსოფლიო ვაჭრობაშიც.

ლიტერატურა:

1. გაბაშვილი მ.: 1981: საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში, თბილისი
2. კაპანაძე დ.: 1950.: ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი
3. კაპანაძე დ.: 1969.: ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები III, 1979: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა (რედ). თბილისი.
5. ჯავახიშვილი ივ.: 1907: საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბილისი.
6. ჯავახიშვილი ივ.; 1925: ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. თბილისი.

Neli Ugrekhelidze

**COINS OF THE 12TH-13TH CENTURY GEORGIAN KINGS I
N KUTAISI MUZEUM**

Both in the political and economic and cultural areas, Georgia reached its highest stage of development in the 12th-13th centuries under the reign of David the Builder and Queen Tamar. In that period, our country became the most powerful state in the Near East, taking an active part in the international life and having tight economic links with countries in the East and the West. Together with other factors, the political, economic and cultural development of Georgia was conditioned by the advancement of Georgian cities and the development of urban life. With this respect, a particular role was played by the city of Tbilisi, as an economic and cultural center of united Georgia. It had close trade links with the countries of the Trans-Caucasus and Middle East. By means of trade routes, the capital of Georgia was connected both with closer countries (Armenia, Azerbaijan) and with cities of Middle East and Central Asia (Rei, Kashan, Zenjan) and with Byzantium, India, China, Russia. Besides, by means of the significant trade transit routes (Tbilisi-Bardavi-Zenjan and Tbilisi-Dvin-Maraga), the capital of Georgia was connected to various cities of Iran.

It should be noted that, in that period, craftsmanship was well-developed in Georgia, this facilitating the improvement of both domestic and international trade. Meanwhile, the great trade road, having been known since the Antiquity times, crossed Georgia, joining the East and the West, making it easy to have trade relations with foreign countries. The royal authorities did their best to support the development of trade. They were well aware of the significance of cities for the economic strength of the country. Therefore, they constructed bridges, improved roads, built caravanserais, where merchants from various countries could stay overnight free of charge. These enabled the country to have close relations with other ones. Caravan trade from Muslim countries and Byzantium was also wide-spread. Together with Tbilisi, other Georgian cities were also involved in trade. All these, together with political and military power, established a foundation for the economic sustainability of the country, being primarily expressed in regular minting of coins and their stable, intensive circulation. It seems that, in that period, Georgia preferred trade with oriental countries, and, thus, when David the Builder implemented the monetary reform, he had the Georgian coin made to resemble its oriental counterpart.

A copper coin, belonging to David the Builder, is preserved in the Numismatic Fund of Kutaisi Museum. The coin is rather damaged. Its weight is 2,20 grams, its size is 19 mm. On the obverse, there is a reflection of a horseman, looking rightward, which is partially erased, however, a horse in dynamic movement is clearly visible. The horseman is holding a bridle in his right hand. The reverse has a three-line inscription in Arabic which is legible in fragments: "Kings ... George... /the sword of the Messiah."

The coin circulated not only in Georgia, but also outside it, specifically, in the countries of the Middle East.

The term "The Sword of the Messiah" appeared in the title of the coin of David the Builder, being an expression of David's internal and external policies. With this, he told his enemies that he was the Sword of the Messiah, a protector of Christians. That proud epithet occurred on the coins of

George III and Lasha Giorgi. It can be assumed that it reflected the actual position of Georgia

A rather significant numismatic fact of that period was the so called “silver crisis” in Middle Eastern countries, when silver was substituted by copper coins. Therefore, the disappearance of silver should have been treated as a common phenomenon for the East at large. The similar situation was in Georgia where the 12th -13th centuries Georgian kings minted only copper coins.

Beside the coin of David the Builder, the Numismatic Fund of Kutaisi Museum preserves the copper coins, minted on behalf of the kings George III, Tamar, Lasha Giorgi, and Rusudan.

This is the Georgian monetary system in the 12th -13th centuries, well reflecting the situation with monetary issues in Georgia and the political and economic strength of the country in the period in question, while the coins, discovered in Kutaisi and its surroundings disclose that urban life was rather developed here and Kutaisi was involved both in local and international trade.



მანია სარკოვი

მეფე ერეკლე II-ისა და აკად. ი. ა. გიულდენშტედტის თანამშრომლობის ისტორიისათვის

საქართველოში სამთო და მეტალურგიული წარმოების აღორძინების ინიციატორი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1744-1798წწ) ძალღონეს არ იშურებდა, რათა სამეფოს ეკონომიური და სამხედრო სტრატეგიული მდგომარეობა მძლავრი სამთო-მეტალურგიული ცენტრის ჩამოყალიბებით განემტკიცებინა. მეფის ამ მიმართულებით მცდელობის ნათელ სურათს იძლევა მისი ურთიერთობა პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსთან იოჰან ანტონ გიულდენშტედთან (1745-1781წწ). აკადემიკოსი ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ექსპედიციას, რომელსაც საქართველოში საბუნებისმეტყველო დარგების (განსაკუთრებით კი ბოტანიკასა და ზოოლოგიაში) შესახებ ცნობების შეგროვება ევალებოდა. (ამასთან ერთად საიდუმლოდ და შეძლებისდაგვარად ი. ა. გიულდენშტედტს მინერალური წიაღისეულიც უნდა დაეზვერვა).

საქართველოში ექსპედიცია 1771 წლის სექტემბრის II ნახ.-ში შემოვიდა, ხილო ი. ა. გიულდენშტედტი მეფე ერეკლეს მცხეთაში 15 ოქტომბერს შეხვდა. ამ უკანასკნელმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა ექსპედიციის ჩამოსვლის გამო და დაპირდა მას ყოველგვარ დახმარებას, რაც კი ექსპედიციას დასჭირდებოდა. მეფის დაპირება ლიტონი სიტყვები რომ არ იყო, ეს მაშინვე გამოჩნდა. ერეკლე ხერთვისის დალაშქვრას აპირებდა და ნება დართო აკადემიკოსს მის ლაშქარს გაჰყოლოდა. (ვინაიდან „ლეკიანობის“ გამო ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი დაცვის გარეშე გადაადგილება ძალზე სახიფათო იყო. ეს ნებართვა საშუალებას აძლევდა ი. ა. გიულდენშტედტს ჩამოსვლისთანავე დაეწყო ქვეყნის შესწავლა). გარდა ამისა ერეკლეს ბრძანებით ექსპედიციის თორმეტივე წევრი ქალაქის კარგ სახლებში დააბინევეს, ხოლო ექსპედიციის დაცვის რაზმის კაზაკები მათი და ექსპედიციის წევრების ცხენებითურთ მახლობელ სოფლებში დააყენეს. ი. ა. გიულდენშტედტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მათი შენახვა ერეკლემ თავის თავზე აიღო. ამ დახმარების გარეშე კი მისი სიტყვებით „ეს საწყალი ხალხი ჩავარდებოდა დიდ გაჭირვებაში, რაც მათ ახლა, ჩემდა სასიხარულოდ არ განუცდიათ.“ [გ. გელაშვილი, 1962, გვ. 5; გელაშვილი 1964, გვ. 133].

ლაშქრობიდან თბილისში დაბრუნებულმა ერეკლემ 15 ნოემბერს კვლავ მოიწვია ი. ა. გიულდენშტედტი და გულთბილ ვითარებაში უკვე კონკრეტულად გაეცნო მის გეგმას და მიზნებს. ასეთ შეხვედრებს შემდგომშიც ხშირად ჰქონდა ადგილი, რამაც აკადემიკოსს ათქმევინა: „მისი მეფური უმაღლესობა მე ყოველდღიურად მიწევდა აქ მფარველობას, ზრუნავდა და ხელს უწყობდა ყველა ჩემი გეგმის განხორციელებას“ [გ. გელაშვილი, 1962, გვ.7]. ასეთ თითქმის ყოველდღიურ შეხვედრებზე უნდა შემუშავებულიყო ერთობლივი კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელშიც ცენტრალური ადგილი სრულიად მოულოდნელად ქვეყნის წიაღისეულის შესწავლას დაეთმო.

ექსპედიციის გეგმაში ასეთი მოულოდნელი შემოტრიალება ი. ა. გიულდენშტედტიდან კი არ მომდინარეობდა (მას არც კი გაუმხელია ერეკლესათვის მისი საიდუმლო დავალების შესახებ) არამედ მეფე ერეკლესაგან, რომელმაც პირველსავე შეხვედრებზე ექსპედიციის მთავარ დანიშნულებად ქვეყნის მინერალური რესურსების გამოკვლევა წამოაყენა.

ამის შესახებ საინტერესო ცნობა თვით ი. ა. გიულდენშტედტს მოჰყავს თავის ნაწერებში: „ჩემთვის მოცემული ინსტრუქციის მიხედვით, მინერალებს თავდაპირველად მხოლოდ მალვით ვაქცევდი ყურადღებას და მცენარეებისა და ცხოველთა შესწავლას ყოველთვის ვაცხადებდი ჩემი მოგზაურობის მთავარ მიზნად. ხოლო როცა მე ერეკლე მეფესთან მოვილაპარაკე, მან ნათლად

გამაგებინა, რომ მას საქართველოში ჩემი ყოფნის მთავარ მიზნად საბადოების გამოკვლევა მიაჩნია და ამიტომ ის ამაში ყოველთვის მიწყობდა ხელს და არა მარტო დამათვალეიერებინა ზოგი ადგილი, სადაც საბადოებია, არამედ მოითხოვდა ჩემგან გამომეკვლია და დნობის პროცესი ჩამეტარებინა“. [გ. გელაშვილი, 1964, გვ.145].

ცხადია, რომ ექსპედიციის დანიშნულების მიმართ ერეკლეს ასეთმა დამოკიდებულებამ მნიშვნელოვანი ცვლელბები შეიტანეს თავდაპირველ გეგმაში. წინა პლანზე სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა იქნა წამოწეული და ფაქტობრივად შემუშავდა სრულიად ახალი სამოქმედო გეგმა, რომლის მთავარი ავტორი ი. ა. გულდენშტედთან ერთად თვითონ ერეკლეც იყო.

ექსპედიციის მუშაობის პირველი ეტაპი თბილისთან და მის შემოგარენთან იყო დაკავშირებული და ის გრძელდებოდა 15 ნოემბრიდან 20 თებერვლამდე. ამ პერიოდის განმავლობაში ი. ა. გულდენშტედს შემდეგი სახის სამუშაოები ჩაუტარებია:

1. სამეფოს სხვადასხვა კუთხის მმართველებთან ერეკლეს მიერ გაგზავნილი იქნა წერილები, რომლებშიც მოითხოვდა მათგან ცნობების გამოგზავნას მიტოვებული საბადოების ან მადნის შემცველი ადგილების შესახებ. წერილობით ცნობებთან ერთად „მმართველებს ევალეობდათ აღნიშნული ადგილებიდან მადნების თუ მადნებად მიჩნეული ნაერთების სინჯების გამოგზავნა. მიღებულ კორესპოდენციას ი. ა. გულდენშტედტი სათანადოდ ანალიზებდა, ხოლო მიღებული სინჯების იდენტიფიცირების მიზთით ორგანულეპტიკურ ანალიზთან ერთად ქიმიური ანალიზის ზოგიერთ მეთოდსაც იყენებდა. („ მთელი ზამთრის თვეები მოვანდომე. . . სხვადასხვა მინერალების შესწავლას, რომლებიც მეფის ბრძანებით მოაქვთ შორი ადგილებიდან“) ერთ-ერთ კერძო შემთხვევას ამგვარ სამუშაოებთან დაკავშირებით მკვლევარი ასე მოიხსენიებს: „ მეფემ გამომიგზავნა მე პატარა, თიხით დაფარული მარილების ბელტები ამ და სხვა ხეობებიდან, რათა გამომეკვლია ისინი“. კვლევის პროცესში ი. ა. გულდენშტედტი ქიმიურ მეთოდებსაც რომ იყენებდა ეს ჩანს მისი შემდეგი ცნობიდან: „ ყოლელმხრივი გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა გლაუბერის მარილი ცოტა კირიანი მიწით“ [გ. გელაშვილი, 1962, გვ. 9; გელაშვილი 1964. გვ. 15]. კიდევ უფრო მეტად დაინტერესდა ი. ა. გულდენშტედტი ნიმუშით, რომელიც მას დამბლუტიდან გამოუგზავნეს. ანალიზის შედეგად ეს მადანი იმდენად პერსპექტიული აღმოჩნდა, რომ უკვე ამ საწყის ეტაპზევე მკვლევარმა გადაწყვტა მისი შესწავლა გაზაფხულზე ადგილზევე განეხორციელებინა. [გ. გელაშვილი, 1962, გვ. 79].

ი. ა. გულდენშტედტის ჩანაწერებში მოიპოვება ერთი ცნობა, რომელიც უშუალოდ გვიჩვენებს, რომ გამოგზავნილ მინერალებს ა. გულდენშტედტი ქიმიური მეთოდებით სწავლობდა. საქართველოდან რუსეთში გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში (1772 წლის 24 ივნისი) ის აღნიშნავს, რომ სოფ. დამბლუტთან არსებული მადნის ძარღვი ვერცხლის შემცველ ტყვიის კრიალას წარმოადგენს. [გ. გელაშვილი, 1964, გვ. 147]. ვინაიდან ტყვიის კრიალაში ვერცხლის შემცველობის დადგენა მხოლოდ რამდენიმე ქიმიური ოპერაციის ჩატარების საფუძველზე იყო შესაძლებელი (ტყვიის სულფიდიდან ჯერ მეტალური ტყვიის მიღება იყო საჭირო, ხოლო შემდეგ ამ ტყვიის დაჟანგვით მისგან მეტალური ვერცხლის მაგოყოფა), ცხადია, რომ მათ გარეშე მკვლევარი მადნის შედგენილობის შესახებ დასკვნას ვერ გამოიტანდა.

ჩანაწერებში გვხვდება სხვა მინერალებიც, რომლებიც ი. ა. გულდენშტედტის სიტყვებით „მისმა მეფურმა უმაღლესობამ შორი მიდამოებიდან მოატანინა, დასახელებულია „ტყვიის კრიალა, თუთიის მატყუარა, ვერცხლის მადანი, ყვითელი სპილენძი, და სპილენძის ლაჟვარდი“. მათ შესახებ საბოლოო აზრის გამოტანას მკვლევარი ამ მინერალების ადგილზე დათვალეიერების შემდეგ აპირებს. [გ. გელაშვილი, 1964, გვ. 135].

2. პარალელურად ი. ა. გულდენშტედტი ექსკურსიებს ატარებდა თბილისსა და მის შემოგარენში, სადაც ლეკების თავდასხმის საშიშროება არ არსებობდა და ამიტომაც ასეთი ექსკურსიები

მრავალრიცხოვან დამცველ რაზმებს არ საჭიროებდნენ. ამ ექსკურსიების შედეგად, ჩანაწერების თანახმად, ექსპედიციას ფლორისა და ფაუნის მრავალრიცხოვანი ნიმუშები მოუპოვებია, მაგრამ ჩვენ ყურადღებას მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულთან დაკავშირებულ საკითხებზე გავამახვილებთ ი. ა. გიულდენშტედტის მიერ მოპოვებული მასალების თანახმად „ თბილისის ახლოს, ირგვლივ ამ ქვიშაქვიშიან მთებში არის რკინაქვა, შაბიანი ფიქალი, ქვანახშირი, სელენიტი და სხვადასხვა კირიანი შპატი., არის აგრეთვე რკინის აჯასპი. ისევე როგორც გოგირდის ალმადანი“ .[გ. გელაშვილი, 1964, გვ. 135].. ამ ჩამონათვალის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ჩატარებული ერთ-ერთი პირველი გეოლოგიურ- მინერალოგიური კვლევების მონაცემებთან.

3.. სანყისი ეტაპის კვლევებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ი. ა. გიულდენშტედტის ანალიზურ სამუშაოს, რომელიც მან თბილისის გოგირდოვანი წყლების შედგენილობის დასადგენად ჩაატარა. მრავალსახოვანი რეაქტივების (არაორგანული მჟავების, ღვინის ქვის მარილის, ტყვიის აცეტატის, კალციუმის კარბონატის და ა. შ.), გამოყენების საფუძველზე მან დაადგინა, რომ თბილისის აბანოების წყალი შეიცავს ტუტე და ტუტე მინათა მეტალების მარილების და სულფიდების ნარევეს. თუმცა ეს მონაცემები მკვლევარს თვისებითი ანალიზის მეთოდებით აქვს მიღებული, მაგრამ მათი მნიშვნელობა ძალზე დიდია, ვინაიდან ამ სამუშაოთი ჩაეყარა საფუძველი თბილისის წყლების (და საერთოდ საქართველოს მინერალური რესურსების) ქიმიურ კვლევებს. [ჯიდაშელი А, Чагунава Р, Гахокидзе Р, Шенгелия Р. 2001 . გვ 150]

ჩატარებული სამუშაო იმ მხრივაც იქცევს ყურადღებას, რომ მის საფუძველზე მკვლევარს გამოუტანია დასკვნა ამ წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ. ვინაიდან ამ მიზნით ადგილობრივი მოსახლეობა უხსოვარი დროიდან იყენებდა აბანოს წყლებს, აკადემიკოსის განცხადება - „მე პირველად შემოვიღე მისი სამედიცინო თვალსაზრისით გამოყენება“ - აშკარად გადამეტებულია და ის მხოლოდ იმ მხრივ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს, რომ მან ერთი-ორი ევროპული მკურნალობის მეთოდით გაამდიდრა თბილისურ პრაქტიკაში გამოყენებული სამკურნალო მეთოდები.

4. ი. ა. გიულდენშტედტის უშუალოდ თბილისში განხორციელებული ექსკურსიები მიზნად ისახავდა ქალაქში მოქმედი ერეკლეს ფაბრიკა —ქარხნების დათვალიერებას.

1 დეკემბერს ის გაეცნო მარილსახდელი ქარხნის მუშაობას, ხოლო 3 დეკემბერს მას უჩვენეს „ ზარაფხანის მოწყობილობა და ასევე გამოდნობის პროცესი მეფის ქარხნებში“.

ამ ობიექტების შესახებ ი. ა. გიულდენშტედტი მეტს არაფერს არ ამბობს, თუ არ ჩავთვლით ჩანაწერების სხვა ადგილას მოყვანილ შემდეგი სახის ცნობას: „ თბილისსა და ზოგიერთ სხვა ადგილებში არის მცირე რაოდენობა პატარა, ცუდი, ყოველმხრივ უმნიშვნელო ფაბრიკებისა“ .[გ. გელაშვილი, 1962, გვ. 9; 229].. ჩვეულებრივ აკადემიკოსი გარკვეულ კომენტარებს აკეთებს მის მიერ აღწერილი ობიექტების შესახებ. და ამ შემთხვევაში კი მისი დუმილი გარკვეული მიზეზებით უნდა იყოს განპირობებული. ჩვენი აზრით , გამოყენებული ტექნოლოგიების გასაუხეჯობესებლად ქართველი მეწარმეებისთვის ი. ა. გიულდენშტედტს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები უნდა გაეწია. ეს მას უნდა გაეკეთებინა ერეკლესადმი წმინდა ადამიანური სიმპატიების დონეზე და ამ საქციელით რუსეთის მთავრობა, რომ არ გაელიზიენებინა ის აღნიშნული სანარმოების მხოლოდ დათვალიერების ცნობით შემოიფარგლა.

ი. ა. გიულდენშტედტის მიერ თბილისში გატარებული პირველი თვეები, მიუხედავად იმისა, რომ ის ქალაქის შემოგარენს არ გასცდენია მაინც ძალზე ნაყოფიერი გამოდგა. სხვადასხვა კუთხეებიდან გამოგზავნილი მადნების სინჯების შესწავლის საფუძველზე მისთვის უკვე წინასწარ იყო ცნობილი, თუ რომელ საბადოებზე და მადნების გამოვლინებებზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება. ამ საქმეში მას უდაოდ დიდი დახმარება ერეკლემ გაუწია, რომლის სახელიც ამასთან დაკავშირებით მუდმივად ფიგურირებს მეცნიერის ჩანაწერებში. მაგალითისათვის აქ შეიძლება რამდენიმე ასეთი ჩანაწერი

მოვიყვანოთ: „ [მეფე] ხშირად და არაჩვეულებრივად თავაზიანად მესაუბრებოდა მე“, „ მეფემ, მიმინვია და მელაპარაკა ძალიან თავაზიანად ჩემს გეგმებსა და მიზნებზე“, „ხშირად მიხმობდა კარზე, მიჩვენებდა ხოლმე მინერალებს, ეცნობოდა მათი დამუშავების ხერხებს“. „ მისი მეფური უმაღლესობა მიგზავნიდა დრო და დრო სხვადასხვა მინერალებს,“ „აქ ყოველდღე ვსარგებლობ მისი მეფური უმაღლესობის მფარველობით, წინასწარი ზრუნვით და მთელი ჩემი გეგმებისათვის ხელშეწყობით“. და ა. შ. .“ [გ. გელაშვილი, 1962, გვ. 7; 13. გელაშვილი 1964. გვ. 131].

ერეკლეს ი. ა. გიულდენშტედტისათვის შემდგომშიც რომ არ დაუკლია თავისი მზრუნველობა, ეს ასევე ნათლად ჩანს მეცნიერის შემდეგი ჩანაწერებიდან: „ ველისციხეში მე დავტოვე ერთი სტუდენტი და სამი კაზაკი, ავადმყოფები, აგრეთვე რამდენიმე ცხენი დაზიანების გამო. მეფემ, როგორც კი გაიგო ამ ამბის შესახებ, მაშინვე ბრძანა, რათა უფასოდ მიეცათ ავადმყოფებისათვის ღვინო, პური და ქათმები, ხოლო ცხენებისათვის ქერი და თივა“, „ მეფემ მომცა 100 კაცისაგან შემდგარი რაზმი მცველების,“ „ რადგან მეფემ იცოდა ჩემი დაბრუნების შესახებ, აქ მე დამხვდა 300 კაცისაგან შემდგარი მცველთა რაზმი,“ „ქსნის ერისთავმა დავითმა ითავა გამყოლოდა 30 კაცით, მეფემ ბრძანა, რომ ამათ შემატებოდა კიდევ 40 კაცი.“ [გ. გელაშვილი, 1962, გვ. 29; 43; 57; 65].

1772 წლის 21 თებერვალს ერეკლე მრავალრიცხოვანი ამალით გაემგზავრა თელავში და თან გაიყოლა ი. ა. გიულდენშტედტი, რომელსაც საშუალება ეძლეოდა სრული უშიშროების პირობებში შეესწავლა კახეთი. აქ მაისის მიწურულამდე ექსპედიციის კვლევის ობიექტს ძირითადად ფლორა და ფაუნა წარმოადგენდა, თუმცა მკვლევარის ჩანაწერებში, ზოგიერთი ნიაღისეულიც არის აღწერილი. (მაგ. ნავთობის წყარო მდ. კვეტერასთან, გოგირდის წყაროები ლორწობნის მთასთან, წისქვილის ქვები სარკინეთიდან და ა. შ. [გელაშვილი 1962 გვ. 39;51].

23 მაისს ი. ა. გიულდენშტედტი გაემგზავრა ქვეყნის სამხრეთ პროვინციებში იმ მიტოვებული მაღაროებისა თუ მადნების გამოვლინებების ადგილების შესასწავლად, რომლითაც ცნობილი იყო ეს მხარე. ექსპედიციის დაცვას 100 კაციანი რაზმი შეადგენდა, რომელიც მეცნიერის სიტყვებით „ თუმცა არა ყველგან, მაგრამ მაინც სრულიად საკმარისი იყვნენ თავდასხმათა უმეტეს შემთხვევაში“. ექსპედიციის 36 წევრისათვის ერეკლემ 15 დღიან სანოვაგედ გასცა: 150 ბათმანი პური, 2 ბათმანი ცხვრის ხორცი, 30 ბათმანი საქონლის ხორცი, 50 ბათმანი ღვინო, 15 ბათმანი ბრინჯი, 10 ბათმანი ყველი, 5 ბათმანი კარაქი, 1 1/4 1/4 ბათმანი მარილი, და 6 ქონის სანთელი“ . [გელაშვილი 1962 გვ. 65].

მეტალოგენური პროვინციის შესწავლა ი. ა. გიულდენშტედტმა სოფ. მისხანის გაცნობით დაიწყო. მან აქ დაათვალიერა მიტოვებული მაღაროები და დანგრეული სპილენძისა და რკინის სადნობი შენობები. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა იქვე ახლოს მდებარე მიტოვებული სოფლების ვარდისუბნის და შელოგინოს სამთამადნო მეურნეობა [გ. გელაშვილი, 1962, გვ. 71-73; . გელაშვილი 1964. გვ. 11; 13].

მადნეულით განსაკუთრებით გამორჩეული სოფ. ახტალა ი. ა. გიულდენშტედტის ცნობით ჯერ კიდევ 10 წლის წინ ყოფილა მიტოვებული. (ეს ძალზე საინტერესო ცნობაა, რომელიც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ აქ მოქმედ საბადოში 60-იან წლებზე ადრე აწარმოებდნენ მადნის მოპოვებასა და გადამუშავებას). მისივე ცნობით 3 საბადოდან ერთ- ერთი შეიცავდა კაჟიანი სპილენძის, სპილენძის ლურჯასა და რკინა-ქვის შერეულ მადანს. მსგავსი მინერალებით წარმოდგენილი იყო მეორე საბადო, ხოლო მესამეში სპილენძის მწვანა შერეული იყო ვერცხლის შემცველ სპილენძთან. (კიდევ ერთი მონაცემი, რომელიც ი. ა. გიულდენშტედტის მიერ მადნების შემოწმებას ქიმიური მეთოდებით ადასტურებს, ვინაიდან სხვა გზით სპილენძში ვერცხლის მინარევის არსებობის დადგენა გამორიცხული იყო) [გ. გელაშვილი, 1962, გვ. 11; . გელაშვილი 1964. გვ. 77].

ი. ა. გიულდენშტედტის ყურადღება მიიქცია დამბლუტის საბადომ, რომლითაც ის ჯერ კიდევ

თბილისში დაინტერესდა, როდესაც ამ საბადოდან გამოგზავნილი მადნის სინჯები შეისწავლა. ადგილზე ამ საბადოს დათვალიერების შემდეგ ჩანანერებში ის აღნიშნავს, რომ ამ საბადოს მადნის ძარღვები შეიცავენ ტყვიის კრიალას, სპინელის ლაჟვარდს და დიდი რაოდენობით სპილენძის ალმადანს. [გ. გელაშვილი, 1962, გვ. 79-81, . გელაშვილი 1964. გვ. 35]. ასევე საინტერესოდ თვლის მკვლევარი დამბლუტიდან 5 საათის სავალზე დაშორებულ ტაშირის გადაბურებულ მხარეს, სადაც მისი ცნობით „ბევრი რკინის და სპილენძის საბადოები უნდა ყოფილიყო. [გ. გელაშვილი, 1962, გვ. 81].

სამხრეთ პროვინციებიდან ი. ა. გიულდენშტედტი 2 ივლისს დაბრუნდა თბილისში და 19 ივნისამდე ის იქ იმყოფებოდა. (20 ივნისს მან საბოლოოდ დატოვა ქართლ-კახეთის დედაქალაქი და კვლევების გასაგრძელებლად დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა). ამ პერიოდში უნდა ჰქონოდა მას ერეკლესთან შემაჯამებელი თათბირები, რომლებზედაც ექსპედიციის მიერ მოპოვებული შედეგები უნდა განეხილათ.

ი. ა. გიულდენშტედტის ჩანანერებიდან ჩანს, რომ ის დარწმუნებულია ქართული მეტალურგიული პროვინციების პერსპექტიულობაში და ეს მოსაზრება მეფისათვის წარუდგენია. მაგრამ მას არც იმ ნაკლოვან მხარეებზე დაუხუჭავს თვალი, რომელიც ამ პერსპექტიულობას ეჭვქვეშ აყენებდა. კერძოდ, ი. ა. გიულდენშტედტს მეფის ყურადღება იმ გარემოებისათვის მიუქცევია, რომ აღნიშნული პროვინციების „მთელი გარშემო მიდამო 50 ვერსზე გადაბურებულია და მათგან თურქული ციხეები ახალ-ქალაქი, აწყვარი და ხერთვისი მხოლოდ ერთი დღის სავალზეა დასავლეთით მოშორებული. აღმოსავლეთით ყველაზე ახლოს არიან ბორჩალოს და ბაიდარის თათრები, რომლებიც მეფეს ემორჩილებიან“. [გელაშვილი 1964; გვ. 147].

ერეკლემ როგორც თურქულ ციხეებთან სიახლოვით, ისე 50 ვერსიანი გადაბურებული სარტყლების არსებობით გამოწვეული გართულებები გადაულახავ დაბრკოლებად არ მიიჩნია და ამ საქმის მოგვარებას აღნიშნულ მხარეში ციხის აშენებით და რამოდენიმე სოფლის გადმოსახლებით კისრულობდა. თავის მხრივ ი. ა. გიულდენშტედტი არც რუსული ხელისუფლების დახმარებას გამორიცხავდა, თუ ერეკლეს თხოვნით ის ყიზლარში ორი წლის განმავლობაში უსაქმოდ მყოფ ციმბირის მალაროელთა რაზმს გამოაგზავნიდა მარკშეიდერის ხელმძღვანელობით [გელაშვილი 1964; გვ. 147-149].

სამწუხაროდ ერეკლე- ი. ა. გიულდენშტედტის ერთობლივ პროექტებს ასრულება არ ეწერა, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც იმპერიამ ქართლ-კახეთის მეფეს დახმარების ხელი არ გამოუწოდა. მიუხედავად ამისა, ექსპედიციის საქმიანობას ქართული სინამდვილისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი რომ ამ ექსპედიციის საშუალებით განხორციელდა ქართლის ტერიტორიის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფართო მასშტაბიანი მინერალოგიურ- გეოლოგიური შესწავლა, რომლის შედეგებიც 1787-1791 წლებში გამოაქვეყნა აკად. პ. პალასმა. ამ ზოგადმეცნიერული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად ქვეყნის მინერალური რესურსების ძირითადი სპექტრის დადგენით, მომავლისათვის შესაძლებელი გახდა მათი ათვისება მეცნიერულ მეთოდებზე დაფუძნებული გეგმაზომიერი სქემით განხორციელებულიყო.

ერეკლემ რამოდენიმე წლის შემდგომ თავის სამეფოში შეძლო სამთო- მეტალურგიული წარმოების საგრძნობად გაფართოება. ამ საქმეში კი უდაოდ თავისი წვლილი შეიტანა იმ გამოკვლევებმა, რომელიც ერეკლეს თხოვნით და დახმარებით 1771-1772 წლებში ჩაატარა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ექსპედიციამ აკად. ი. ა. გიულდენშტედტის ხელმძღვანელობით.

ლიტერატურა:

1. ი.ა. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში ტ, I , ტექსტი გამოსცა გ. გელაშვილმა თბ. 1962წ.
2. ი.ა. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში ტ, II , ტექსტი გამოსცა გ. გელაშვილმა თბ. 1964წ.
3. Хидашели А, Чагунава Р, Гахокидзе Р, Шенгелия Р. Об истории первого химического анализа Тбилисских термальных вод. Georgian Engineering News. 2001,#10. p. 146-151

Maya Sachkova

FOR THE HISTORY OF THE COOPERATION BETWEEN KING EREKLE II AND ACADEMICIAN I. A. GIULDENSHTEDT

The initiator of reviving mining and metallurgical industry in Georgia the King of Kartli-Kakheti Erekle II (1744-1798) made every effort to strengthen economic and military strategic condition of the kingdom by establishing a large mining and metallurgical center. Relationship with academician Johan Anton Giuldenshtedt (1745-1781) from the St. Petersburg Academy can be taken as the proof of the King's endeavour in this respect. The academician headed the expedition that aimed at collecting information about natural sciences (particularly, botany and zoology) in Georgia. (Besides, I. A. Giuldenshtedt had to secretly inspect mineral resources and act as confidentially as possible).

The expedition entered Georgia in the second half of September in 1771 while I. A. Giuldenshtedt met King Erekle on the 15th of October in Mtskheta. The latter expressed great satisfaction concerning the arrival of the expedition and promised all the assistance the researcher might need. The King's promise was not mere words. It was confirmed by Erekle's proposal offering the academician to accompany his army to Khertvisi.

After returning to Tbilisi on the 15th of November Erekle invited I. A. Giuldenshtedt again and gave him a warm welcome. The king got familiar with all his plans and objectives in details. Further similar meetings took place several times and the academician claimed: 'His majesty protected, supported and assisted in fulfilling all my plans every day' [G. Gelashvili, 1962, pg. 7]. It is supposed that during daily meetings specific mutual action plan was worked out where the study of the minerals of the country took a central role quite unexpectedly.

The first part of the expedition was connected with Tbilisi and its surroundings and lasted from the 15th of November to the 20th of February. During this period I. A. Giuldenshtedt carried out the following works:

1. King Erekle sent letters to the rules of different parts of the Kingdom where they were asked to collect and send back the information about abandoned mines and areas containing ores. Along with the written materials the governors had to send the samples of ores or ore-like compounds. I. A. Giuldenshtedt properly analyzed the received correspondence. In order to identify obtained samples along with organoleptic analysis he used several methods for chemical analysis as well. ('It took me all winter months to study various minerals that are brought to me from distant areas according to the king's order'). The researcher refers to one particular case as follows: 'the king sent me little clay covered salt clods from this and other valleys in order to examine them'. During the research I. A.

Giuldenshtedt used chemical methods that can be confirmed by the following note: 'After thorough examination it turned out to be Glauber's salt with a little lime containing soil' [G. Gelashvili, 1962, pg. 9; Gelashvili 1964, pg. 15]. I. A. Giuldenshtedt showed much interest towards the sample that was sent to him from Dambluti. After analysis the ore seemed so promising that the researcher decided to study it on location in spring [G. Gelashvili, 1962. pg. 79].

In the records by I. A. Giuldenshtedt an interesting reference can be found. It directly shows that A. Giuldenshtedt analyzed the sent salts using chemical methods. In one of the reports sent from Georgia to Russia (1771, 24 June) he states that the mining seam found near the village of Dambluti is silver containing lead-glance [G. Gelashvili, 1964, pg. 147]. The silver content in the composition of lead glance can be determined only through several chemical procedures (it was necessary to obtain metallic lead from lead sulfide and then to separate metallic silver through lead oxidation). It is clear that without using the chemical reactions the researcher would not be able to reach the right decision.

We came across other minerals in his records. I. A. Giuldenshtedt states that 'among the minerals that were brought according to his Majesty's command from different places there were: lead-glance, zinc cheater, silver ore, yellow copper and azure copper'. The researcher was going to draw a final decision about the minerals when examining them on location [G. Gelashvili, 1964, pg. 135].

In parallel I. A. Giuldenshtedt conducted tours in Tbilisi and its surroundings in the locations where he was secure from Avars attacks. Therefore, security units were not required to accompany the expedition. As a result of these excursions, according to the records, the expedition obtained a number of samples of flora and fauna. However, we will focus only on the issues of useful minerals. According to the materials collected by I. A. Giuldenshtedt nearby Tbilisi, in sandy mountains there is ironstone, alum shale, coal, selenite and different lime spars, there is also iron vitriol as well as sulphur mispickel [G. Gelashvili, 1964, pg. 135]. These records present the data of one of the first Geological-mineralogical researches carried out on the territory of Kartl-Kakheti.

3. Among the initial studies the analytical works carried out by I. A. Giuldenshtedt in order to determine the composition of sulphur waters in Tbilisi were of much importance. Using various chemicals (inorganic acids, lead acetate, calcium carbonate and etc.), he determined that Tbilisi bath waters contain the mixture of salts and sulphides of alkaline and alkaline earth metals. The researcher obtained these results using the method of qualitative analysis but their role is still very significant since they laid the basis for the future chemical research of Tbilisi bath waters (and generally mineral resources of Georgia) [Хидашели А, Чагунава Р, Гахокидзе Р, Шенгелия Р. 2001. pg. 150].

It is also of much interest that according to his studies the researcher made the conclusion about the medical properties of the waters. The academician's statement that 'he was the first to introduce the medical usage of the waters _ is a bit exaggerated as since the ancient times the local population used bath waters. The thing that he introduced European treating method and combined it with the methods that were applied in Tbilisi is considered to be true.

4. The tours conducted by I. A. Giuldenshtedt particularly in Tbilisi were aimed at visiting the factories and plants of King Erekle.

On the 1st of December he got familiar with the working process of salt producing plant and on the 3rd of December he was shown 'the mint equipment and the melting procedure in King's plants'.

I. A. Giuldenshtedt does not provide any additional information about the above-mentioned establishments except the following note: 'In Tbilisi and in some other parts there is a small amount of

small, bad, useless plants' (G. Gelashvili, 1962, pg. 9, 229]. As a rule the academician makes certain comments about different places he has visited, but in this case his silence should be conditioned by certain reasons. We consider that for advancing the technology, that the entrepreneurs were using, I. A. Giuldenshtedt suggested important recommendation. He should have done this due to his personal sympathy towards King Erekle. In order not to cause irritation in Russian government he provided only the description of his visit in these plants.

The first months spent by I. A. Giuldenshtedt in Tbilisi despite the fact that he did not visit its surroundings still were very useful. On the bases of the study of the samples sent from different parts of the state he knew beforehand what deposits and ores were to be focused on. In this respect he was greatly assisted by King Erekle whose name is always mentioned in his scientific records. We can provide some other examples as well: 'the King frequently and with unusual courtesy speaks with me', 'the King invited me and spoke with much courtesy about my plans and goals', 'the King often summoned me, showed the minerals, got acquainted with the processing methods', 'his majesty sent me different minerals from time to time', 'I feel the protection, care and assistance concerning all my plans from his majesty every day' and etc. [G. Gelashvili, 1962, pg. 7, 13; Gelashvili 1964, pg. 131].

It is obvious that such type of attitude expressed by King Erekle towards the purpose of the expedition made significant changes in the initial plan. The study of minerals was taken to the foreground and in fact, a new action plan was worked out. Along with I. A. Giuldenshtedt King Erekle was the co-author of the plan himself.

Unfortunately, the mutual project was unlikely to be fulfilled as the Empire did not assist the King of Kartl-Kakheti. Even though the expedition played a significant role in Georgian reality. Firstly, by means of the expedition the first large-scale mineralogical-geological research of the territory of Kartli was conducted. The results were published in 1787-1791 by Acad. P. Pallas. From general scientific point of view, it became available to determine the main range of the state mineral resources. It enabled the country to work out new mining action plans based on the scientific methods.

After several years Erekle managed to considerably expand mining metallurgic industry in his Kingdom. In this respect the research carried out by the expedition of Russian Academy of Sciences in 1771-1772 headed by I. A. Giuldenshtedt that was officially requested and greatly assisted by the King Erekle played a significant role.



რუსუდან მიქაუტაძე

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ქუთათური პრესა “ქალთა საკითხის” შესახებ

ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ქალი “ეროვნული ორგანიზმის დედაბოძად და შემნახველად” განსაკუთრებით “სამოციანელთა” ეროვნულ-განმანათავისუფლებელმა პროგრამამ დასახა. ქართველი ქალის მოქალაქეობრივი უფლებების აღმოფხვრა “თერგდალეულთათვის” ქართველ ხალხთა ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების და მომავალი სახელმწიფოებრივი დემოკრატიზმის აუცილებელი წინაპირობა იყო. ამ ურთულესი მისიის განხორციელებისათვის ისინი ხშირად სატირასაც მიმართავდნენ. აკაკი წერეთელი დაუფარავად აკრიტიკებდა “უმანკოების ვაზებად” წოდებულ “კნიაჟების” ერთი ნაწილის მსოფლმხედველობას. თუმცა სამოციანელებმა ქალთა უფლებრივი საკითხებისადმი დამოკიდებულება განათლებისაკენ, ოჯახის ზნეობრივი საფუძვლის შენარჩუნებისაკენ მიმართეს.

იგივე ტენდენცია ჩანს მე-20 ს-ის 10-იან წლებში, როცა გაზ. „კოლხიდაში“ ვასილ წერეთელი წერს: „ჩვენი გადაგვარების მიზეზი ორგვარია: შკოლა და ოჯახი. .. გაუნათლებელ დედებს სასახელოდ მიაჩნიათ თუ მათმა შვილებმა ქართული ენა არ იციან. სწორედ ქალმა უნდა დაუდოს საფუძვლად შვილების აღზრდას დედა ენა“ /1. №11. 1912/ ამას დამატება გაზ. „კოლხიდაში“ ს. ხუნდაძის წერილების მთელი სერია ე. წ. „კარტველი კალების“ შესახებ, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ქალების, ისე მამაკაცების მხრიდან და ჩნდება იპ. ვართაგავას, ნ. თავდგირიძის, აკ. წერეთლის და სხვათა სტატიები, რომლებიც ცდილობენ მახვილი იუმორით და მწვავე გამონათქვამებით იმოქმედონ ქალების თავმოყვარეობაზე და გამოიყვანონ ისინი საზოგადოებრივ ასპარეზზე, ისინი მოუწოდებდნენ ქალებს შეექმნათ ქალთა ორგანიზაციები. თუმცა მამაკაცებს აქცენტი გადატანილი ჰქონდათ ქალთა ისეთი ორგანიზაციების დაარსებაზე, რომლისთვისაც მთავარი იქნებოდა საგანმანათლებლო, კულტურული და საქველმოქმედო საკითხები. ასეთ წრეებს ქუთაისში საფუძველი 1911 წლის იანვარში ჩაეყარა. მანამდეც ეწყობოდა ქალთა შეკრებები, სადაც ისინი ახერხებდნენ სხვადასხვა კულტურული საქმის წამოწყებას. “ეს ორგანიზაციები დიდხანს ვერ ძლებდა, მაგრამ მათ არსებობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ხან რიგიანი წიგნები გამოსცეს, ხან “კრებული”, ხანაც საკვირაო სკოლას მოაბეს თავი /2. №71 1 1912/

პირველი ოფიციალური ქალთა საზოგადოება ქუთაისში 1912 წლის 29 მაისს ჩამოყალიბდა. მან შეიმუშავა 34 პუნქტისაგან შემდგარი წესდება, რომელიც აქცენტირებული იყო თვითგანათლებისა და ქველმოქმედებისაკენ. ქუთათური ინტელიგენცია დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ ფაქტს. აკაკი წერეთელი იმედს გამოთქვამდა, რომ “ჩვენი გაუნათლებლობის მიზეზი ქალების გაუნათლებლობაა და სანამ ეს საკითხი სასურველ ნიადაგზე არ დადგება, მანამ ქვეყნის წინსვლა შეუძლებელია”. /3. №157. .1912/ საზოგადოების დაარსებაში მონაწილეობდნენ ივ. ანჯაფარიძე, კიტა აბაშიძე, სამსონ ყიფიანი, სიმონ ქვარიანი. შეკრებები ყოველ კვირაში ტარდებოდა, სადაც ქუთათური საზოგადო მოღვაწეები კითხულობდნენ ლექციებს ჩვენი ქვეყნის წარსულის ისტორიასა და ლიტერატურაზე, სამედიცინო საკითხებზე, იშვიათად ქალთა უფლებებზე. ქართველ ქალთა საზოგადოებრივი მოძრაობა მიჰყვებოდა ზუსტად იმ გზას, რაც გაიარა ქალთა მოძრაობამ რუსეთში, განსხვავებით იმისგან, რომ რუსეთში აღნიშნული საკითხები ჯერ კიდევ მე-19 ს-ის 70-იანი წლებიდან წამოაყენეს ქალებმა და აქტიურად იბრძოდნენ მისი განხორციელებისათვის, საქართველოში კი ამ კუთხით ქალთა განათლების დონე ძალიან დაბალი იყო და ამიტომაც ქალთა პირველი ორგანიზაციებისათვის გზის

მაჩვენებლად მამაკაცები მოიაზრებოდნენ, ისინი კი ცდილობდნენ წინ წამოეწიათ ქალთათვის განათლების მიცემის აუცილებლობის საკითხები და ნაკლებად ფემინისტური, რადგან მათი აზრით, მთავარი იყო ქალი-დედის როლი და არა ქალი სუფრაჟისტის, რომელიც მოწყვეტილი იქნებოდა ოჯახს და შვილების აღზრდას.

1913 წლის დასაწყისში ქალთა საზოგადოებამ ჩაატარა პირველი საანგარიშო კრება და დაბეჭდა წლიური ანგარიში. ერთი წლის განმავლობაში საზოგადოების წევრთა რაოდენობა 70-დან 347-მდე გაიზარდა. არჩეულ იქნა ახალი გამგეობა, რომელიც სამ კომისიად დაიყო: სასკოლო, საპარასკევო კრების მომწყობი და საფინანსო. აქედანაც ჩანს, რომ საზოგადოებას არ აქვს პოლიტიკური მიმართულება და შემოიფარგლება საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საკითხებით, თუმცა ამავე წლიდან ქალთა საზოგადოებაში იწყება საუბარი ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, საპარასკევო შეკრებებზე აქტიურად განიხილავდნენ ქალთა უფლებების დაცვის, ქალთა ემანსიპაციის საკითხებს, ევროპული სუფრაჟისტული მოძრაობის პრობლემებს. სამწუხაროდ, ეს საკითხები არ სცილდებოდა საპარასკევო შეკრებებს და ის არასოდეს გამხდარა საგაზეთო მსჯელობის საგანი, უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როცა გაზეთები არასწორ ინტერპრეტაციას აძლევდნენ სუფრაჟისტულ მოძრაობას და დასცინოდნენ კიდევ მას.

ამავე პერიოდის ქუთათური პრესიდან ირკვევა, რომ როგორც ბევრ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ქალთა საზოგადოებამაც შეიჭრა პოლიტიკური და პარტიული საკითხები. იქ თავი იჩინა ნოდებრივმა დაპირისპირებამ. გაზ. “სამშობლო” იუწყებოდა, რომ “შენ-ჩემიანობამ იჩინა თავი საზოგადოებაში. ზოგიერთი ქალი ბრალს დებდა საზოგადოებას, რომ გამგეობა “თავკერძ იქცეოდა, ერთმანეთს ირჩევდნენ, სხვებს კი დასცინოდნენ და აზრის გამოთქმის უფლებას არ აძლევდნენ” /4. №36. 1915/ აქვე გამოქვეყნდა ლუბა თვალჭრელიძის სტატია, რომელიც საუბრობდა ქალთა საზოგადოებაში არსებული არაკოლექტიური ურთიერთობების შესახებ. იგი შენიშნავდა, რომ “არჩევნების დღეს გამგეობამ შედეგები მაშინვე არ გამოაცხადა, ამ ჯგუფმა ყუთები წაიღო კერძო სახლში და მეორე თუ მესამე დღეს, ამომრჩევლების დაუსწრებლად თავი ამორჩეულად გამოაცხადაო.” იგი მოუწოდებდა ქალებს დასწრებოდნენ საზოგადოების კრებებს და და ნუ მისცემდნენ უმცირესობას საშუალებას გამგეობაში აერჩიათ უმოქმედო და არასასურველი ადამიანები”/5. №63. 11915/ აშკარაა, რომ ქალთა საზოგადოებაში ერთსულოვნება არ არის. თავდაპირველად, ქალთა საზოგადოებაში წარჩინებული გვარის ქალები ჭარბობდნენ, მაგრამ წევრთა გაზრდასთან ერთად, ისინი უმცირესობაში მოხვდნენ, რამაც გამოიწვია დაპირისპირება და ქალთა საზოგადოება გაიყო. მას გამოეყო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან არსებული ქალთა წრე და ჯარში განვეულთა დამხმარე კომიტეტთან არსებული ქალთა წრე საფიქრებელია, რომ ამ განხეთქილებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ქალთა საზოგადოების წევრმა მამაკაცებმაც, რომელთა უმეტესობა ეროვნულ-დემოკრატებს ემხრობოდა და იგი სხვა საზოგადოებების მსგავსად /მაგ. ნკვს-ის ქუთაისის ფილიალი/ დაპირისპირების საგანი გახდა.

ქალთა საზოგადოების დარჩენილმა ნაწილმა გადაწყვიტა საზეიმოდ აღენიშნათ ქალთა საერთაშორისო დღე აღმანახის გამოცემით. არჩეულ იქნა სარედაქციო კოლეგია გაზ. “სამშობლოს” 1916 წლის 14 იანვრის ნომერში დაიბეჭდა მოწოდება ქალთა საზოგადოებისა წერილობითი მასალების მოწოდების მიზნით. მაგრამ ეს მოწოდება სასტიკად გააკრიტიკა სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთმა “მეგობარმა”, რომელმაც მას პარტიული უწოდა და აშკარად გაილაშქრა აღმანახის გამოცემის წინააღმდეგ. ავტორთა უმეტესობამ უკან წაიღო თავისი სტატიები, ამას დაემატა

ქალთა შორის დაპირისპირება კოლეგიაში და როგორც პრესა იუწყებოდა, “ქალებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს და ეს ქალებისათვის დიდმნიშვნელოვანი საქმე თვითონვე დაასამარესო/სამშობლო № 394. 2.07.1916/

თუ გადავხედავთ ქუთათურ პრესას 1916 წლის ბოლოდან, აშკარად შეიმჩნევა მკვეთრი ნახტომი ქალთა ცნობიერებაში. წინა პლანზე გამოდის სუფრაჟისტული იდეები. იმხანად, სუფრაჟისტული მოთხოვნებით ქალები გამოდიოდნენ ევროპასა და ამერიკაში, რუსეთის იმპერიაში. ამ მოძრაობის მთავარი მიმართულება იყო ქალთათვის მამაკაცთა თანასწორი სამოქალაქო უფლებების და არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება. იგი მიზნად ისახავდა ქალთა ცნობიერების ამაღლებას სქესთა შორის არსებული უთანასწორობის და დისკრიმინაციის გამომწვევი ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ირგვლივ.

ქალთა სუფრაჟისტულ მოძრაობას ქუთაისში სათავეში უდგას კატო მიქელაძე, რომელსაც განათლება ბრიუსელში ჰქონდა მიღებული და კარგად იცნობდა ევროპულ ქალთა ფემინისტურ მოძრაობას. 1917 წლის 12 იანვარს იგი ქალაქის თეატრში გამოდის მოხსენებით: “ქალთა უფლებების მომხრეები თუ მოწინააღმდეგეები”. კატო მიქელაძე სათავეში უდგას ქალთა კლუბის და ქალთა სწორუფლებიანობის ლიგის დაარსებას. /6. № 580. 1917/

1917 წლის აპრილის თვეში, კატო მიქელაძის ინიციატივით ქუთაისში დაარსებული იქნა ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი “ხმა ქართველი ქალისა”, რომლის გამომცემელი იყო ქალთა კლუბი. იგი მთელს ამიერკავკასიაში ქალთა ერთადერთი გაზეთი იყო. სამწუხაროდ, დღეისათვის ამ გაზეთის მხოლოდ ათიოდე ნომერია შემორჩენილი, თუმცა მის ფურცლებზე კარგად ჩანს, როგორ დაიწყეს ბრძოლა ქართველმა ქალებმა თავიანთი უფლებების მოპოვებისათვის და რა წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ ისინი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან.

გაზეთის პირველივე ნომერში გამოქვეყნებული იქნა მონოღება ქალებისადმი, რომ მათ მოეთხოვათ საარჩევნო ხმის უფლება /7. № 2, 1917/ კატო მიქელაძე მოუწოდებს ქალებს გამოფხიზლდნენ და ბრძოლით მოიპოვონ თავიანთი უფლებები. ისინი უნდა დადგენ პარტიულ ინტერესებზე მაღლა, გაერთიანდნენ და მოითხოვონ საარჩევნო ხმის უფლება, რადგან ქალთა სწორუფლებიანობის საკითხი ზეპარტიული საკითხი იყო.

1917 წლის მარტში ქუთაისში იქმნება ქალთა ლიგა, რომლის წესდება გამოქვეყნდა აპრილის თვეში გაზეთში “ხმა ქართველი ქალისა”. კლუბი მიზნად ისახავდა გაეკეთებინა ყველაფერი იმისათვის, რომ აღდგენილი ყოფილიყო ქალთა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები, მან აირჩია გამგეობა აღმასრულებელი ბიურო, სარევიზიო კომისია და საფინანსო კომისია. ქალთა კლუბის პროგრამა შედგებოდა 17 პუნქტისაგან. წესდებაში გაცხადებული იყო, რომ ქალთა პოლიტიკური კლუბი სხვა რევოლუციურ პარტიებთან ერთად მხარს უჭერს ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას და მის მოქალაქეობრივ უფლებას. მმართველობის სრულყოფილ ფორმად ის მიიჩნევს რესპუბლიკას. წესდების მიხედვით ქალები დამფუძნებელი კრებისაგან მოითხოვდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის უფლებით განურჩევლად სქესისა”. წესდება მოითხოვდა ქალებისათვის ხმის უფლების მინიჭებას და პარალელურად უფლებას, ყოფილიყო არჩეული საკანონმდებლო კრებაში, პროვინციულ და სათემო მმართველობაში. პარტიებს, თუკი ნამდვილად აღიარებენ თანასწორობას განურჩევლად სქესისა, შეეცანათ ქალები საარჩევნო სიებში. პუნქტი 10 მოითხოვდა სამოქალაქო და სისხლის

სამართლის კანონების გადახედვას და გაუქმებას მამრობითი სქესის პრივილეგიისას და სქესთა სასჯელის სხვადასხვაობის გაუქმებას ერთიდაიგივე დანაშაულისათვის. პუნქტი 13 ითვალისწინებდა მემკვიდრეობითი პრივილეგიის გაუქმებას, რათა ქალებსა და ვაჟებს ერთნაირი წილი ქონოდათ დედ-მამის ქონებაზე. პუნქტი 14 - ცოლ-ქმრის ერთნაირი უფლება შვილებზე და ოჯახის შინაურ საქმეებზე. პუნქტი 15- აღზრდა-განათლების თანაბრობა ორივე სქესისათვის. პუნქტი 16 — სქესთა თანასწორი ანაზღაურება ერთი და იგივე შრომისათვის.

ქალთა ლიგა რომ ზეპარტიული ორგანიზაცია იყო, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ, იგი ნებას რთავდა მის წევრ ქალებს, “ეკონომიკურ ნიადაგზე ატეხილ ბრძოლაში ემოქმედა თავის ძმებთან ერთად შესაფერისად მათი კლასობრივი ნიადაგისა”. /8. №6, 1917/ თუმცა მოგვიანებით, ზოგიერთმა ადგილობრივმა გაზეთმა ბრალი დადო კატო მიქელაძეს, რომ ქალთა კავშირი მხარს უჭერდა ესერებს, რაზეც მან უპასუხა, რომ ადგილობრივ არჩევნებში მათი მხარდაჭერა განაპირობა მათმა პოლიტიკამ ქალთა მიმართ, რომელიც ბევრად სრულყოფილი იყო სხვა პარტიებთან შედარებით, თუმცა იქვე დასძენს, რომ გვცოდნოდა, ეს მხოლოდ ქალაღზე დაწერილი დარჩებოდა, მათ მხარს არ დავუჭერდით. /9. № 6 1917 ამიტომაც არასწორად მიგვაჩნია, ზოგიერთი ისტორიკოსის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ იგი ესერი იყო.

ქალთა გაზეთის გამოსვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქუთათურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მამაკაცებში. ისინი შენიშნავდნენ, რომ ქალებისათვის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩართვა არ იყო მიზანშეწონილი. ეს შეუთანხმებელი იყო დედის მოვალეობასთან და რომ დედაკაცისა და მამაკაცის შრომის გათანაბრება ჩაკლავდა ქალურ სინაზეს. 10. № 6, 1917/ ამას გარდა, ქალთა გაზეთს პარტიული კუთხიდანაც დაესხნენ თავს და აღნიშნავდნენ, რომ ასეთ დაძაბულ სიტუაციაში გაზეთი უპარტიო არ ინდა იყოს ან საერთოდ რა საჭირო იყო გაზეთი, ხომ შეიძლებოდა რომ სხვა გაზეთები გამოეყენებინათო. ნინო ნადირაძე პასუხს ცემს მათ, და წერს, რომ “ქალთა ეს გაზეთი უნდა იყოს სწორედ უპარტიო, რადგან ქალებისათვის ახლა მთავარი იყო ქალთა საკითხის გადწყვეტა მათ სასარგებლოდ და სწორედ ამ საკითხის გარშემო უნდა გაერთიანებულიყო ყველა ქალი განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა. 11. № 7 1917 აქედან გამომდინარე, ხშირი იყო შემთხვევები, როცა სხვადასხვა პარტიებში გაერთიანებულ ქალებს უკრძალავდნენ ქალთა ლიგაში გაერთიანებას, ლიგაში ხშირად ფარულად აგზავნიდნენ ქალებს, რომლებიც აღრიცხავდნენ თუ იქ მიდიოდა მათი პარტიის წარმომადგენელი ქალები და ამის გამო პარტიიდანაც რიცხავდნენ ხქქ № 24/ ბევრი ქალი, ვისაც განათლება საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული, პარტიული კუთვნილების გამო თავს არიდებდა ქალთა ლიგაში გაერთიანებას.

“ხმა ქართველი ქალისა” გამოდის ინიციატივით / 12. № 15. 1917/ შეიქმნას ქალთა კავშირები და მოითხოვონ საარჩევნო ხმის უფლება, სწორუფლებიანობა მამაკაცებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მამაკაცებთან თანაბარი ჩართულობა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, იგი მოუწოდებდა ქალებს მოეთხოვათ დაქორწინება ნოტარიალური წესით, ჯვრისწერის უფლება კი თვითონ წყვილს გადაეწყვიტა, გაადვილებულიყო გაყრის წესი. მშობლებს უნდა ესარგებლათ თანაბარი უფლებით შვილებზე, თანასწორი უფლება უნდა ჰქონოდათ ოჯახის ქონებაზე. დაენესებინათ მფარველობა იმ ბავშვებზე, რომლებიც ქორწინების გარეშე იყვნენ დაბადებულნი. ქალთა კავშირების შექმნის მიზნით კატო მიქელაძე და ქალთა ლიგის წევრები დადიოდნენ დაბა-ქალაქებში სადაც ატარებენ ლექციებს ქალთა საკითხების შესახებ და ქმნიან ადგილობრივ

ორგანიზაციებს. პრესის მასალებიდან ჩანს, რომ ორგანიზაციები შეიქმნა ზესტაფონში, ხაშურში, ოჩამჩირეში, დაბა სუჯუნაში, ლეჩხუმში. /13. №125 1917/

ქალთა გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პროსტიტუციასთან ბრძოლის საკითხებს და მოითხოვდა იმ პირების დასჯას, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ საქმეში, საროსკიპოების აკრძალვას, პროსტიტუტ ქალთა ძალდატანებითი შემომნების აკრძალვას / 14. № 15. 1917/

1917 წლის 19 ნოემბრის ნომერში კატო მიქელაძე გამოდის ინიციატივით შეეცვალოს სახელწოდება ქალთა სწორუფლებიანობის ლიგას, შეიქმნას ქუთაისის საგუბერნიო ინტერპარტიულ ქალთა კავშირი და მონვეულ იქნას საგუბერნიო ქალთა კონფერენცია. /15. №32 1917 /თუმცა შემდგომ ნომერებში არაფერია ნათქვამი კონფერენციის მონვევა-არმონვევის შესახებ.

ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფონის გამო გაზეთის რედკოლეგიის წევრები ცდილობდნენ სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით გაემჯობესებინათ გაზეთის მატერიალური მდგომარეობა. მაგრამ როგორც თვითონ შენიშნავდნენ, მენშევიკებმა მოახერხეს რომ დაექსაქსათ ქალთა მოძრაობა და სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ამიერკავკასიის სეიმზე ქალთა ორგანიზაციებს თავიანთი წარმომადგენელი არ ყავდათო. / 16. №4 1918 /

კატო მიქელაძე გაზეთის ფურცლებიდან აკრიტიკებს თბილისის ქალთა ორგანიზაციებს, რომელთაც მხარი არ დაუჭირეს დასავლეთის ქალებს, არავითარი მატერიალური დახმარება არ გაუწიეს მას, უფრო მეტიც, საერთოდ არ გამოინერეს ქალთა გაზეთი, მაშინ როცა ისეთ ძლიერ გაზეთს, როგორც “საქართველოა” 3 ათასი მანეთი გადაურიცხესო. ამ გაზეთთან მხოლოდ საფო მგელაძე და მარიამ გარიყული თანამშრომლობდნენო. /17. №26 .1918/ მატერიალური გაჭირვების გამო ქალთა გაზეთი შეფერხებებით გამოდიოდა. როგორც გაზეთის ფურცლებიდან ჩანს, ამ საქმეში მამაკაცების ხელიც ერია. მამაკაცებმა მათ ჩამოაშორეს დამტარებელი ბიჭები, გაუძვირეს ქალადი, მაშინ როცა სხვებს 2-3 წლის მარაგი ჰქონდათ, ქალებს 2 კვირის მარაგიც არ მისცეს, ჯიხურებში, სადაც გაზეთი იყიდებოდა, ნავაჭრ ფულს არ აძლევდნენ ან საერთოდ არ ლებულობდნენ გაზეთს გასაყიდად. ამიტომ გამგეობამ ჩათვალა გაზეთი დროებით დაეხურა და დალოდებოდნენ უკეთეს დროს. კატო მიქელაძე შენიშნავდა, რომ “ არსად ისე მტრულად არ შეხვედრიან ქალების ამ დამოუკიდებელ ნაბიჯს, ისეთი სიძულვილით, როგორც ქართველი კაცებო” 18. № 26. 1918

საბჭოთა პერიოდში ქალებისა და მამაკაცების გათანაბრება სახელმწიფოს დეკლარირებული პოლიტიკის ნაწილი იყო, ამიტომ იგი ქალთა მოძრაობის მიღწევად არ შეიძლება ჩაითვალოს. ამით ფაქტიურად დასრულდა ქალთა მოძრაობის ერთი ეტაპი და ეს მოძრაობა მიყუჩდა, განსაკუთრებით საქართველოში. თუმცა მას აქ დიდი მხარდამჭერები არც არასდროს ყოლია.

რაც შეეხება კატო მიქელაძეს, მას ძნელი ცხოვრება ერგო. 1925 წელს გარიცხეს მწერალთა კავშირიდან. პირადი დრამით დატანჯულმა და ყოველგვარ სახსარს მოკლებულმა მარტოობაში დალია სული. 1942 წლის იანვარში მხოლოდ ოთხმა მეგობარმა გააცილა უკანასკნელ გზაზე: ირინე და ნიკოლო იუშკოვებმა, ანდრო თევზაძემ და მარიამ გარიყულმა.

დღეისათვის ბევრს საუბრობენ გენდერულ თანასწორობაზე, ქალთა ჩართულობაზე სახელმწიფო მართვასა და დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში, არსებობს ქალთა უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ საკითხი გადაჭრისაგან ჯერ კიდევ შორსაა.

ლიტერატურა:

1. გაზ. "კოლხიდა" 07. 04. 1911. №11/
2. გაზ. "კოლხიდა" №71 18. 06. 1912/
3. გაზ. "კოლხიდა" № 157. 12.09.1912/
4. გაზ. "სამშობლო" № 36 15. 03. 1915/
5. გაზ. "სამშობლო" № 63. 30.07.1915/
6. გაზ. "სამშობლო" № 580 25.03.1917/
7. გაზ. "ხმა ქართველი ქალისა" № 2, 17. 04. 1917/
8. გაზ. "ხმა ქართველი ქალისა" № 6, 18.05.1917/
9. იქვე
10. იქვე
11. გაზ. "ხმა ქართველი ქალისა" 7 25. 05. 1917
12. გაზ. "ხმა ქართველი ქალისა" №15 20.07.1917
13. გაზ. "ჩვენი ქვეყანა" №125 13(26) 09.1917/
14. გაზ. "ხმა ქართველი ქალისა" № 15. 20.07. 1917
15. გაზ. "ხმა ქართველი ქალისა" № 32.1917
16. გაზ. "ხმა ქართველი ქალისა" №4 1917.
17. გაზ. "ხმა ქართველი ქალისა" №26. 1918
18. იქვე

Rusudan Miquatadze

KUTAISI PRESS ABOUT WOMEN'S ISSUES

In the second half of the 19th century representatives of the national-liberation movement in Georgia began speaking about women's rights. They thought that firstly it was necessary for women to get education in order to keep moral basis of Georgian families. Georgian public figures spoke much about women's role in the development of the future generation and in the preserving national language. They encouraged women to establish cultural, educational and charitable organizations.

On May 29, 1912 the first women organization was established in Kutaisi. Their program announces main goals of the organization: to make women more educated and to found vocational school for them. Georgian men met this initiation with satisfaction. Male members of this organization conducted lectures about Georgian history and literature, about different medical issues, but they rarely spoke about women's rights. They tried to give desired direction for this organization and not political color. But from 1913 female members of the organization began speaking about women's rights problems. They conducted lectures on women's movement in Europe, USA and Russia. They introduced to the other members the real goals of suffrage movement though the problems discussed inside the organization rarely became known to the public. Local newspapers led by men preferred not to speak about women's rights movement. Some correspondents even laughed at suffragists and gave wrong interpretation of this movement.

When women organization gained strength in Kutaisi women from aristocrat families became in the minority. This caused confrontation inside the organization and it split under the leadership of

different parties. There were formed different small women organizations which were mostly focused on social problems.

From 1916 women organization members began to propagate suffrage ideas. The leader of suffrage movement in Kutaisi became Kato Mikeladze who studied in Brussels and was well-known in the women's movement. In Kutaisi she established Women's Club and then Women Civil Rights League.

In April 1917 came out the first newspaper for women "Voice of Georgia's Women". The editor was the Women's Club and it clearly showed the first steps of suffrage movement in Georgia and particularly in Kutaisi. Articles of Kato Mikeladze encouraged women to establish women's unions throughout the country. Members of the league travelled in different parts of Georgia and conducted lectures on women's rights problems and their goals. They demanded both gender equality and right for women to vote. They addressed women in spite of party affiliation to consolidate round the women's issues because women's rights were the very special and distinguished problem.

Nowadays some historians believe that Kato Mikeladze was the member of the Socialist-Revolutionist party because she voted in favor of them in the local elections. But she explains the reason of this saying that they had the best program for women and it was all. She believed that women liberation movement had to be above party affiliation.

The "Voice of Georgian Women" published the program of the Women's League where they listed their main goals: personal freedom, rights to vote, equality with men, participation in legislative and executive organizations, changing civil and criminal laws, changing hereditary system, equal rights in education and equal pay for equal work.

In November 1917 Women's League was transformed into Kutaisi Gubernia Women Union. they set their political demands but male members from different parties did everything to break up this Union. Kato Mikeladze blamed Menshevik Party for splitting the Union. The collapse was the result of the fact that in Transcaucasian Seim women didn't have their representatives.

Kutaisi press materials demonstrate that women in West and in East Georgia acted separately. Their ties were very weak sometimes even hostile. K. Mikeladze accused them that they didn't help West Georgian women in the implementation of their initiations, even more, they hadn't prescribed the women's newspaper. She spoke about various main hindering factors against women movement in Georgia from various parties which reduces the organization's financial resources. So women were forced to close down the newspaper.

In 1918 The Democratic Republic of Georgia announced equality of both sexes, but it didn't happen as a result Georgian women's movement. It was the government's policy. We can say that in Georgia women's movement have never had deep roots due to women's indifference to public affairs.



ანტირელიგიური მოძრაობა ქუთაისის მაზრაში XX საუკუნის 20-იან წლებში

1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ხელისუფლებისათვის, განსაკუთრებულად საშიში ძალა ქართული ეკლესია გახლდათ, როგორც ყველაზე მასობრივი და ტრადიციულად ეროვნული ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე, ათეისტ ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ, რომ ვიდრე ასეთი ავტორიტეტული და მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე — მორწმუნეებზე დიდი სულიერი გავლენის მქონე ფენომენი იარსებებდა საქართველოში, ხალხის მხრივ, მათი ხელისუფლების მხარდაჭერასა და ნდობაზე საუბარი ფუჭ ოცნებას წარმოადგენდა. ამით იყო გამოწვეული ის გააფთრებული შეტევა, რაც ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ განახორციელეს **[მჭედლიძე, კეზევაძე 2010 : 434]**.

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი №21 „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“, რომელიც, თითქოს მხოლოდ სინდისის თავისუფლების გარანტიებს ეძღვნებოდა, მაგრამ შეიცავდა მეტად მზაკვრულ მუხლებს. კერძოდ, არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არ ქონდა უფლება ქონოდა საკუთრება. მათ ერთმეოდათ იურიდიული უფლებაც. ქვეყანაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებული იყო სახალხო კუთვნილებად **[კანონთა ქრონოლოგიური კრებული 1959 : 13]**. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონგარეშედ გამოცხადებას. ქართული ეკლესიის მსახურები, რიგით მედავიტონით დაწყებული კათალიკოსით დამთავრებული, ყოველგვარი ქონებისა და სახსრების გარეშე დარჩნენ.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია წინ აღუდგა იმ უგნურ პოლიტიკას, რასაც ქართველი კონდოტიერები და უცხოელი ოკუპანტები ახორციელებდნენ. სწორედ ამან გამოიწვია 1922 წლის თებერვალში, საკათალიკოსო საბჭოს თანხმობით, კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციისათვის მემორანდუმის გაგზავნა. ამ დოკუმენტმა, რომელიც, ფაქტობრივად, იყო საბჭოთა ხელისუფლების დანაშაულობებში მხილება, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის მონაწილეებზე. მასში ნათქვამი იყო : „გალატაკებულ ერს — პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მონეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან, ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უზღუდავენ წმიდათაწმიდას, — სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისს. თავისუფლების დროშის ქვეშ ნებას არ აძლევენ დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება, მისი სამღვდლოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია — ეს ძველისძველთავე ფაქტორი საქართველოს სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა — დღეს უფლება აყრილია... ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველა დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუნყი მე, მისმა სულიერმა მამამ და, დღესდღეობით, ერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და, რომელსაც, უშუალოდ, ესმის მისი კვნესა და ვაება“ **[ვარდოსანიძე 2001 : 73-74]**.

ასეთი სულისკვეთებით შედგენილმა მემორანდუმმა მძიმე დღეში ჩააგდო კონფერენციის მონაწილე საბჭოთა რუსეთის დელეგაცია. როგორც ქართველ ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი ბუდუ მდივანი ამბობდა, აღნიშნული დოკუმენტი დიდი ვნების მომტანი იყო. დაიწყო მკაცრი რეპრესიები კათალიკოს-პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრთა მიმართ. ქუთათელი

მიტროპოლიტი ნაზარი იმდენად შეავიწროვეს, რომ იძულებული გახდა ეპარქია მიეტოვებინა. იგი შეხვდა და დახმარება სთხოვა ხელისუფლების წარმომადგენელს ს. ქავთარაძეს. შედეგად, სიტყვიერი დახმარება მიიღო, რეალურს კი ვერაფერს ეღირსა [იქვე].

საქართველოს საგანგებო კომისიამ („ჩეკამ“) კათალიკოს-პატრიარქზე აშკარა ფსიქიკური ზეწოლა დაიწყო. 1923 წლის 12 იანვარს ჩეკამ მიიღო გადაწყვეტილება კათალიკოს-პატრიარქის და საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაპატიმრების შესახებ. დაპატიმრებულთა შორის იყო ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი, რომელსაც „ბრალი ედებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციასა და სიონისა და სეგტიცხოვლის საეკლესიო ქონების გაფლანგვაში მონაწილეობის მიღება“ [ასათიანი 1995 : 16].

საქართველოს საგანგებო კომისიის განცხადებით, ჩეკისტებმა, თავიანთი აგენტების საშუალებით, ქუთაისში, „არქიელის გორაზე“, მეუფე ნაზარის სახლის აივნის ქვეშ, მინაში აღმოაჩინეს ოთხი ყუთი საეკლესიო საგანძური, რომელიც სიონის და მცხეთის ტაძრებიდან ყოფილა წამოღებული. ყუთებში, აღწერის შედეგად, აღმოჩნდა 97 დასახელების საეკლესიო ნივთი, ამასთანავე, 15-მდე ნივთი, რომელიც არ იყო სიაში შეტანილი. საეკლესიო განძის თბილისიდან ქუთაისში გადმოტანაში მონაწილეობა მიუღიათ იმდროინდელ კათალიკოს-პატრიარქს ლეონიდს (ოქროპირიძე) და საეკლესიო საბჭოს წევრებს, მღვდელმთავრებს — იასონ კაპანაძეს, მარკოზ ტყემალაძეს, დიმიტრი ლაზარევილს და სიონის საყდრის მთელ საკრებულოს. განძი, უშუალოდ, ჩაუბარებიათ არქიმანდრიტ პავლე ჯავახიძისა და ეპისკოპოს დავით კაჭახიძისათვის. ქუთაისში, განძის ჩამოტანის შემდეგ, ე. თაყაიშვილის და ბ. ჩხიკვიშვილის ნებართვით, საგანძური სადგურიდან ქუთაისის „სობოროში“ გადაუტანიათ, ხოლო იქედან, მეუფე ნაზარის სახლში. განძის მინაში ჩაფლვის შემდეგ ლეონიდე ჯერ გელათს, შემდეგ თბილისში წასულა, ხოლო არქიმანდრიტი პავლე – მცხეთის ტაძარში. საგანგებო კომისია აცხადებდა, რომ „მთელი ეს „ისტორია“ კარგად სცოდნია ეხლანდელ კათალიკოს ამბროსის, რომელიც სდუმდა აღნიშნული განძის აღმოჩენამდე“ [გაზ. „კომუნისტი“, 1923, №112].

მიტროპოლიტი ნაზარი, ორწლიანი პატიმრობის შემდეგ, 1924 წლის აპრილში ამნისტიით, პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ თითქმის ყველა უფლება ჩამოართვეს. იგი საკუთარ რეზიდენციაში არ შეუშვეს და იძულებული გახდა ძმის ოჯახისათვის შეეფარებინა თავი.

1923 წლის 13 იანვრის განკარგულებით, კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის და საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაპატიმრების შემდეგ, საქართველოს ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. რაიონის კომუნისტი ხელმძღვანელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოქმედი ეკლესიების დახურვასა და საეკლესიო ქონების დატაცებაში. დამკვიდრდა ნამდვილი ანტირელიგიური ისტერია. ეკლესიას კი საერთო ხელმძღვანელობა აღარ ჰყავდა. ვითარებიდან გამოსავალი იმით მოინახა, რომ უმაღლესი საეკლესიო ხელმძღვანელობა თავისთავზე აიღეს პატიმრობასგადარჩენილმა საკათალიკოსო საბჭოს წევრებმა. მათ, დროებითი მმართველობის თავმჯდომარეობა მიანდვეს ურბნელ ეპისკოპოსს ქრისტეფორეს (ციციშვილს), წევრები კი იყვნენ ეპისკოპოსები — დავით კაჭახიძე, სვიმეონ ჭელიძე, ნესტორ ყუბანიშვილი; საერო პირები: პარმენ გოთუა, ივანე რატიშვილი და იპოლიტე ვართაგავა [ვარდოსანიძე 2001 : 78].

საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებული სისასტიკით გააჩაღა ქუთაისის მაზრაში. 1923 წლის იანვარში, ქუთაისის თეატრში, მოაწყო სარწმუნოების გასამართლება, „რომელიც მეტად დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. თეატრი ხალხით სავსე იყო და მრავალი მსურველი ვერ დაესწრო გასამართლებას. ბრალმდებლად სარწმუნოების წინააღმდეგ გამოვიდნენ მეცნიერების წარმომადგენელი, მუშები, გლეხები და მუშა ქალები. პროცესის ბოლოს სარწმუნოების და მისი ქურუმების წინააღმდეგ გამოვიდა ადგილობრივი მღვდელი ბუაჩიძე, რომლის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე“ [გაზ. „კომუნისტი“, 1923, №39]. ამ პროცესზე

მიიღეს გადაწყვეტილება, ქუთაისის მაზრაში, საფუძველი ჩაეყრდა ანტისარწმუნოებრივ კამპანიას. მართლაც, მაზრის ყველა მსხვილ რაიონსა და თემში გაიმართა ანტირელიგიური ღონისძიებები **[ტყეშელაშვილი 2009 : 70].**

პირველი სამიზნე, ეკლესია-მონასტრების დახურვის გზაზე, მონამეთის მონასტერი გახდა. 1923 წლის 22 თებერვალს, სამაზრო აღმასკომის მიერ დანიშნულმა კომისიამ დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილების ლუსკუმი გახსნა: „აი, შედის საყდარში კომისია და დელეგატები. დიდი ხანი არ აგვიანდება. გამოაქვთ გარეთ, სადაც ყველას შეუძლია ნახოს ის „უხრწნელი“ გვამები, რომლითაც ის გარყვნილი სამღვდელოება, საუკუნეების განმავლობაში, ჩვენს მამა-პაპათ შეუბრალებლად ატყუებდა და ძარცვავდა ხალხს. რას ვხედავთ „უხრწნელი“ ნეშთის მაგივრად, ცარიელი ძვლები, რომელსაც ხორცის ნატამალი არა აქვს. ის გამოიტანეს და უჩვენეს მათ, ვინც ეკლესიაში შესვლა ვერ მოასწრო. მაღლობ ადგილზე ჩნდება ამხ. ვ. ბახტაძე. მას ხელში უჭირავს თავის ქალა „წმინდანის“ და მიმართავს საზოგადოებას სიტყვით, რომლითაც ხაზს უსვამს, თუ რა ხერხს მიმართავდა სამღვდელოება ხალხის მოსატყუებლად და რას უწოდებდა ის „წმინდანს“. ხალხი მას ტაშისცემით და ხმაურით ხვდება : „ძირს მატყუარები, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს“, გაისმის ხმები.

სიტყვის დამთავრების შემდეგ, ხალხი მატარებლით წამოვიდა ქუთაისისკენ. „ნაშთებიც“ თან წამოიღეს. გზაზე მატარებელი ნელა მიდიოდა და ყველას უჩვენებდნენ „წმინდანების“ ძვლებს.

აუარებელი ხალხი დახვდა მატარებელს ქუთაისის სადგურზე. ყველას უნდოდა „წმინდანების“ ნახვა. სადგურის წინ, მოედანზე ზღვა ხალხს მიმართა ამხ. ვ. ბახტაძემ. შემდეგ კი „ნაშთები“ წაიღეს პროფკავშირებში. გზაში, ხალხს ტევა აღარ ქონდა. ყველა სამღვდელოებაზე ლაპარაკობდა. პროფკავშირის წინ გაიხსნა მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. სიტყვები სთქვეს ამხ. ვ. ბახტაძემ და ი. ხარაბაძემ.

მათ ფართოდ განმარტეს დამსწრეთა წინაშე, თუ როგორ ტყუილდებოდა ხალხი რამდენიმე ასი წლის განმავლობაში... ხალხი აღფრთოვანებული ტაშისცემით შეხვდა მათ გულწრფელ სიტყვებს“ **[გაზ. „კომუნისტი“, 1923, №45].**

სამაზრო აღმასკომის ორგანიზებით, ამ ანტირელიგიურ მანიფესტაციას დაესწრნენ საქართველოს რაიონებიდან და სოფლებიდან მონვეული დელეგატები, რამაც ბიძგი მისცა ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოში გაეჩაღებინა ფართო ანტირელიგიური მოძრაობა. ამ მიზნით, მონამეთის მონასტრის წმიდათა ნაწილები ჩამოატარეს სხვადასხვა რაიონებსა და სოფლებში, იმართებოდა მიტინგები და ხელისუფლების წარმომადგენელთა წინადადებით ხდებოდა ეკლესიების დახურვა და მათი გადაცემა სასოფლო საბჭოების ხელში სხვადასხვა დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით **[ტყეშელაშვილი 2009 : 71].**

ანტირელიგიური მოძრაობის მთავარი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ვ. ბახტაძე სწორედ ამის გამო იკვეხნიდა, რომ „საქართველოში, მგონი, პირველად, ჩვენ მივეცი ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე საკითხს ხასიათი მასიური კამპანიისა და მასიური ბრძოლისა. მონამეთის მონასტერში „მოთავსებულ“ დავით და კონსტანტინეს დამტვრეული ძვლების „გამოფენა“ ეს იყო მართლაც, რამდენიმე ათას და ათიათას ხალხის წინაშე ცოცხალი „გამოფენა“. ამ „წმინდანებს“ რამდენიმე ათეული და ასეული წლების განმავლობაში არ გაუწევიათ იმდენი სამსახური სამღვდელოებისათვის, რამდენიც გაგვიწიეს ჩვენ რამდენიმე წუთში — ამ ეკლესია-სამღვდელოების წინააღმდეგ. ქ. ქუთაისის „მორწმუნეთა“ იმ წმინდა ნაწილს, რომლისთვისაც ღმერთი მხოლოდ ძველი წესწყობილებაა და მისი მოციქულებაა აქ ამბროსი და ნაზარი. ამ ნაწილს. დღესაც (და, ალბათ, კიდევ დიდხანს) შიშის ჟრუანტელით აგონდებათ ეს, მართლაც იშვიათად ნახული თავისი სიდიდით „გამოფენა“ ძველი ქვეყნის უწმინდურობისა და სიბინძურისა“ **[გაზ. „მუშა და გლეხი“, 1923, №42].**

აღსანიშნავია, რომ თავად ვ. ბახტაძე იმდროინდელ ქუთაისის მოსახლეობას შემდეგნაირად ახასიათებდა: „რა არის ქუთაისი, ანდა ვინ არის ქუთაისელების უმრავლესობაში? ტიპიური ქალაქი ქართველი მეშჩანების, კუდმოჭრილ პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენტებისა და წვრილფეხა, აგრეთვე, მამულიშვილურად მოაზროვნე სპეკულიანტებისა. აი, ქუთაისი (ძველებურად ქუთათისი) თავის მცხოვრებთა 60 პროცენტში მაინც“ **[გაზ. „კომუნისტი“, 1922, №42]**.

წმინდანთა ნაწილებს, მართლაც, განადგურება ემუქრებოდა, მაგრამ სამოქალაქო გმირობა ჩაიდინა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა და საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს რწმუნებულმა ქუთაისში, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ტრიფონ ჯაფარიძემ. მისი თხოვნა დააკმაყოფილა ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა და ამ ორგანოს 1923 წლის 23 ივნისის საფუძველზე, დავითისა და კონსტანტინეს ნეშტი ქუთაისის მუზეუმს გადასცეს დასაცავად.*¹

1954 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის (1952-1960) მხარდაჭერით, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ გაბრიელის (ერისკაცობაში გაბრიელ ზაქარიას ძე ჩაჩანიძის), დეკანოზ ნაუმი შავიანიძისა და მღვდელ ტრიფონ სულაკაძის ენერგიული მცდელობით მოხერხდა მონამეთის ტაძარში წირვა-ლოცვის აღდგენა და ძველ კუთვნილ ადგილზე დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილების ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან გადასვენება **[გაგაჭკორი 1991 : 23]**.

„უღმერთოთა კავშირის“ წევრებს მონამეთა წმიდა ნაწილები ცხენების დროგით შემოუტარებიათ. ბავშვობაში ამ მკრეხელური და სამარცხვინო ამბის თვითმხილველი, არქიმანდრიტი თორნიკე მოსეშვილი იგონებდა, რომ დროგზე შემდგარნი დიდმონამეთა თავის ქალებს ერთმანეთს უკაკუნებდნენ და ქილიკობდნენ: „გვავნოს ამ ძვლებმა, თუკი რამე შეუძლიათო“ **[იხ. ტყეშელაშვილი, 2010 : 50]**.

მონამეთიდან წმინდანთა ნაწილების გატანის შემდეგ იგი კარგავდა თავის მნიშვნელობას, რაზედაც გულისტკივილით წერდა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე, სამაზრო აღმასკომისადმი გაგზავნილ მოხსენებაში. არქიმანდრიტის თქმით, დიდი ხნის წინ აგებული მონასტერი, ისტორიულ გარემოებათა შეცვლის გამო, ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას. ხელსაყრელ ადგილზე მონამეთის მდებარეობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო იქ რაიმე სახის კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულების გახსნა. სოფლებს დიდი მანძილით დაშორებული და უდაბურ ადგილზე, ციცაბო კლდეზე აგებული მონასტერი სკოლისთვისაც ვერ გამოდგება. არქიმანდრიტი მოითხოვდა, რომ მონასტერი კვლავ დარჩენილიყო იმათთვის, ვინც ძველ რწმენას არ განშორებია, ხოლო მისი ეზო კვლავ გამოყენებულიყო სასაფლაოდ. დროთა განმავლობაში დაგროვილი ისტორიული სიძველენი ჩაბარებოდა მთავრობას ან თვით წინამძღვარს. ამასთანავე, მონამეთაში შემცირდებოდა საეკლესიო კრებულის რიცხვი, მოისპობოდა ახალი საბერო, კაცის მიღება და ბერად კურთხევა. აქ დარჩებოდნენ ის სასულიერო პირები, რომელთაც წასასვლელი არსად ჰქონდათ. დარჩენილ ბერებს გამოეცხადებოდათ, რომ არ გაენიათ არავისთან მთავრობის სანინააღმდეგო პროპაგანდა **[გაზ. „ჩემი ქუთაისი“, 2005, №5; მსჯელობისათვის იხ. ტყეშელაშვილი 2010 : 51-52]**.

1923 წლის ანტირელიგიურ ისტერიას ვერც ქუთაისის საკათედრო ტაძარი გადაურჩა. ცნობილი რუსი მხატვრისა და არქიტექტორის — გ. გაგარინის პროექტით 1851 წელს დაწყებული ტაძრის მშენებლობა 1871 წელს დასრულდა. ის იდგა ახლანდელ ბალისკიდის ტერიტორიაზე. თავიდან იკურთხა ალექსანდრე ნეველის სახელზე, ხოლო დანგრევამდე რამდენიმე წლით ადრე – დავით აღმაშენებლის სახელობის გახდა. ამ დროისთვის (1919 წლის 2 ოქტომბრიდან) ტაძრის წინამძღვარი

¹ მოგვიანებით, სუკმა ეს დამსახურება „არ დაუვიწყა“ პოლიტპატიმარ ტრიფონ ჯაფარიძეს. მას იგი ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად წაუყენეს 1937 წელს. უფრო ვრცლად **იხ. ც. მუმლაძე, 1993, გვ. 44.**

ვასილ დოლაბერიძე იყო. 1923 წლის 8 მარტს ჯვარი ჩამოიხსნა, თვით ტაძარი კი კომკავშირს გადასცეს. ბოლშევიკური ვანდალიზმით შეძრწუნებულმა ქართული სიძველეებისა და საქართველოს ისტორიის დიდმა მოამაგემ ტრიფონ ჯაფარიძემ ტაძრის გადარჩენის მიზნით სამაზრო აღმასკომს „სობოროში“ საეკლესიო მუზეუმის მოწყობა შესთავაზა. ამით იგი შენობის შენარჩუნებასა და საეკლესიო ნივთების ერთ ადგილზე დაცვა-თავმოყრას ფიქრობდა. ტრ. ჯაფარიძე 1923 წლის 14 მარტს სამაზრო აღმასკომს წერდა : „საეკლესიო მუზეუმის შესახებ გთხოვთ სასწრაფოთ მოიფიქროთ, რადგან ეკლესიები იკეტება. იქ დიდძალი სიმდიდრე და განძეულობაა, მათ შორის ისეთი ნივთები, რომლებიც არქეოლოგიურ განძს წარმოადგენს. საეკლესიო მუზეუმი ძვირფასი განძეულობით უნდა იქნეს ცალკე დანესებულება, სადაც თავს მოიყრის დიდძალი სიმდიდრე-განძი, რაც სახელმწიფოსთვის სასახელო და სასარგებლო იქნება, თანაც კაცობრიობის ყურადღებას მიიპყრობს. იმ მუზეუმში დაგროვდება სიძველენი, რომელნიც სხვადასხვა ადგილებშია, თუმცა დღემდე დაცულია, მაგრამ ვინ იცის რა ხიფათი მოელის...

„სობორო“ საეკლესიო მუზეუმისთვის საუკეთესო და შესაფერისი ადგილია. იგი ქალაქის ცენტრში განცალკავებული შენობაა, გარშემო ბალით შეზღუდული და შიგნით მხატრულად მორთული. თუ ამ შენობას ეს დანიშნულება მიეცემა ქუთაისის ექნება ისეთი რამ, როგორც თბილისს აქვს – „ხელოვნების ტაძარი“ – „Храм слави“. მე ასეთი მუზეუმის მოწყობა და სამსახურიც მევალება და შრომას არ დავზოგავ“**[ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (შემდგომი ქიმ), ხელნაწერთა განყოფილება, საბუთი №192/245]**. მაგრამ მის ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა.

ქუთაისის „სობოროს“ დანგრევის თვითმხილველი და აქტიური მონაწილე ს. უგლავა იგონებდა : „1923 წლის შემოდგომაზე ტაძრიდან გამოტანილ და ბალისკიდის წინ დაყრილ ხატებზე ფეხებით დავდიოდით კომკავშირლები. ამ საქმეს „იარლი კომუნისტი“ ვალია ბახტაძე და ვანო სტურუა ხელმძღვანელობდნენ. სამრეკლოზე მდგარი ვ. სტურუა ძირს შეკრებილ ხალხს უყვიროდა : ნაცრად ვაქცევთ აქაურობას ; თუ ღმერთი არსებობს, მოვიდეს და გვეჩვენოს, თუ რაიმე შეუძლიაო“.

„სობოროს“ მაღალგუმბათიანი სამრეკლოს თავზე აღმართული ჯვრის ღეროს ნაწილი, ადრე ქვის კეცის მთელად მომუშავე ონისიმე ხობუამ გადაჭრა. შეეცადა ბოლომდე მისი გადატეხვა, მაგრამ რომ ვერ მოახერხა, იფიქრა, გადავლუნავ და გადმოვარდებო. ჯვარი მაინც არ მოტყდა და „სობოროს“ სრულ დანგრევამდე ასე გადალუნული დარჩა“ **[თავბერიძე, 2005 : 331-334]**.

მისი საბოლოო ბედი გადაწყდა 1924 წლის 30 იანვარს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, სადაც ვკითხულობთ: „დაირღვეს საკათედრო ტაძარი (სობორო). მასალა გამოყენებული იქნეს ძმათა სასაფლაოს შემოსაღობად, იმ ადგილზე კი გაფართოვდეს მოედანი და ტაძრის ადგილზე დაიდგეს ამხ. ლენინის ძეგლი“. ხელისუფლება თავს იმით იმართლებდა, რომ ცენტრიდან მიღებულ სიაში ქუთაისის საკათედრო ტაძარი არ იყო აღნიშნული, როგორც არქეოლოგიური მნიშვნელობის ძეგლი, ამასთანავე, კულტურული დანესებულებისთვისაც მისი გამოყენება შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან, სხვა ეკლესიების მსგავსად არის აშენებული. „პარიზის კომუნის გაფართოების მიზნით“ 1924 წლის 3 ივნისს დაწყებული ტაძრის დანგრევა აგვისტოსთვის დაუსრულებიათ, ხოლო მისი ქვები გამოყენებულ იქნა ძმათა სასაფლაოს გალავანისათვის **[ვრცლად იხ. კეზევაძე, 1989, №3 ; მჭედლიძე, კეზევაძე, 2008 : 439]**.

კრიტიკოს ე. თავბერიძის თქმით, ტაძარი, რომელიც „თვრამეტ წელიწადს შენდებოდა, ოთხ თვეში მიწასთან გაასწორეს“ **[თავბერიძე, 2005 : 336]**.

მართალია, გელათის მონასტერს დანგრევა არ შეხებია, მაგრამ მისი, როგორც სულიერი

ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ცენტრის ლიკვიდაცია, მიჩნეულია სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთ ვანდალურ აქტად დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. გელათის, როგორც მართლმადიდებლური ქრისტიანობის უძველესი ცენტრის ფუნქციონირებას, საბჭოთა ხელისუფლება, რასაკვირველია, ვერ შეეგუებოდა, ამიტომ შეუდგნენ ისეთი „ნაკლის“ გამოძებნას, რაც გახდებოდა საუკეთესო მიზეზი მისი ლიკვიდაციისათვის. ასეთ მიზეზად დასახელდა აბსურდული ბრალდება — საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სასტიკად აკრძალული და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ქმედება — გელათელი ბერების მიერ თითქოს სხვისი შრომის ექსპლოატაცია და დაქირავებული მუშახელის გამოყენება. ბერებს ევალეობდათ, რომ მათთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები თვითონ დაემუშავებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეს ადგილები ჩამოერთმეოდათ.

1923 წლის 11 აპრილის დადგენილებით, სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმი შეუძლებლად მიიჩნედა გელათელი ბერებისათვის მცირე ნაკვეთების დაბრუნებას, ხოლო 1 ივნისის დადგენილებით, გელათის მონასტერი დახურულად გამოცხადდა. 5 ივნისის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯგუფმა დაკეტა და დალუქა მონასტრის ყველა ეკლესია, ხოლო მონასტრის კრებულს მიეცა წინადადება, ერთი კვირის ვადაში დაეტოვებინათ გელათის მონასტრის ტერიტორია.

სამაზრო აღმასკომმა მონასტრის კრებულის 6 ივნისის წერილობითი თხოვნა, რითაც ისინი ითხოვდნენ შემოდგომამდე მონასტერში დატოვებასა და მოსავლის ალების უფლებას, 13 ივნისს განიხილა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა: მოსავლის ასაღებად ერთ სენაკში დარჩენის ნება დართეს ორ ბერს, დანარჩენები კი იძულებულნი გახდნენ, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ მონასტერი **[იხ. მჭედლიძე, კეზევაძე 2008 : 444-447]**.

დასავლეთ საქართველოში შექმნილ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებით, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის დირექტორი ტრიფონ ჯაფარიძე ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ვუკოლ ბერიძეს 1923 წლის 18 მაისს წერდა : „რადგან ქალაქშიდაც და სოფლებშიდაც დაიწყეს ეკლესიების კეტვა და ნივთების გამოტანა, მე ვაცნობე აღმასკომს ჩემი მოვალეობა, დანიშნულება და მოვსთხოვე მთელ მაზრაში ყველა თემისათვის ეცნობებია, რომ ნივთები პასუხისმგებელ პირებს ჩაბარებოდა და ჩვენს უნახავათ არაფერი დაკარგულიყო. დაუფსახელე ეკლესიები, სადაც დასაცავია ნივთების გარდა თვით შენობები ... გელათის არქიმანდრიტს მივეცი დასაცავი ქალაქი. მონამეთის ნივთები ჩამოიტანეს პროფკავშირში. იქ მივედი კონდაკოვის წიგნით ხელში და მოვსთხოვე ყოველივე ჩემთვის გადასარჩევად ეჩვენებინათ, თან მახლდა გ. კოკოჩაშვილიც, (ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე — **კ. ქ**) მაჩვენეს და გარდა იმისა რაც კონდაკოვში არის აღწერილი (სულ ექვსი ნივთი) სხვაც არის ბევრი სამუზეუმოთ საჭირო და უარი არ უთქვამთ გადმომცეს. კონდაკოვის სიიდან აკლდა ერთი პატარა საცეცხლურის ჯვარი... რაც სამუზეუმო არ იყო, დაბეჭდილი ყუთით ხაზინაში წაიღეს. ყველაფერ სამუზეუმოს ვათავსებ ცალკე შკაფში.

მივსწერე გაფთხილება შორაპნის მაზრის კომისარს და აღუნიშნე მონასტრებიც და ეკლესიებიც, სადაც რა უნდა დაიცვას. შემთხვევით ვინახულე მისი მოადგილე მონამეთის ნივთების გადარჩევის დროს და მითხრა ყველაფერს თქვენი ჩვენების თანახმად შევინახავო. დამამშვიდა, თანაც მითხრა შორაპნის მაზრაში ცალკე გვინდა მუზეუმიო. მე ვუთხარი თუ ნივთებს არ გააბნევთ, დაიცავთ, გეახლებით და მოგიწყობთ მუზეუმსთქო. რაჭაში მივსწერე ძვირფასეულის დაცვა მასწავლებელ სხირტლაძეს და იმედი გვაქვს. გურია-სამეგრელოს მაქედან უშველეთ რამე, თუ ზუგდიდის მუზეუმის გამგის იმედი არ კმარა.

ამ დღეებში შევუდგებით საკათედრო ტაძრის („სობორო“-კ.ქ) ნივთების გადარჩევას და იქაც აღწერის დროს აღვნიშნე სამუზეუმო ყველაფერი და იმედი მაქვს უარს არ მეტყვიან“ **[ქიმ, ხელნაწერთა განყოფილება, საბუთი №192/168].**

გაზეთ „მუშა და გლეხის“ კორესპონდენტი, ვინმე „დამსწრე“ იუნყებოდა ქუთაისში ეკლესიების დახურვისა და ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ჩამორთმევის შესახებ: „ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ გრძელდება. ანტირელიგიური მიმდინარეობა ღებულობს მასიურ ხასიათს. ანტირელიგიური დემონსტრაცია იერიშით იკავებს ეკლესიებს — ამსხვრევს ჯვრებს და მის მაგიერ აფრიალებს წითელ დროშებს — სიმბოლოს გამარჯვებისა. ქუთაისში ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ მიმდინარეობს ჩქარი და ნაყოფიერი ტემპით. კვირას, 22 აპრილს, „პეტრე-პავლეს ეკლესიის გარშემო თავი მოიყარა ზღვა დროშებით წითელმა ქართულმა ჯარმა, კომკავშირის, კომპარტიისა და პროფესიონალური ორგანიზაციის წევრებმა, ქალთა განყოფილებამ და უამრავმა ხალხმა. დემონსტრაცია აღგზნებული იყო სიხარულით“. პროფკავშირების სახელით ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს ი. კობახიძეს, რომლის სიტყვასაც „რელიგიის და მათი მსახურის — მღვდლების მოლაღატური, დამმონებელი როლის შესახებ კაცობრიობის ისტორიაში“ თურმე, ხანგრძლივი ტაში გამოუწვევია. ანტირელიგიური განცხადებები გაუკეთებიათ ა. კეკელიას, მ. შარაბიძეს, გ. დევდარიანსა და კ. ჭკუასელს. საბოლოო სიტყვა წარმოუთქვამს ყოფილ მღვდელს — ვ. ჩაგანავას. სტატიიდან ირკვევა, რომ მიტინგის დასრულების შემდეგ, პეტრე-პავლეს ეკლესია ჩაუბარებია ქართულ წითელ ჯარს კულტურული საქმიანობის გამოყენების მიზნით **[იხ. „მუშა და გლეხი“, 1923, №18].**

1923 წლის 29 აპრილს გაზეთ „მუშა და გლეხის“ ცნობით, წმინდა გიორგის ეკლესია დაუხურავთ ქუთაისში, არქიელის გორაზე. „დამსწრე“ აღნიშნავს, რომ ეკლესიის ეზოში გამართული მიტინგი გაუხსნია და სიტყვით გამოსულა ახალგაზრდა კომკავშირის წევრი გ. ძიგრაშვილი, რომელსაც განუცხადებია: „ეკლესიების დახურვა აუცილებელია, რათა სიბნელის ცენტრები გადაიქცნენ კულტურის გამავრცელებელ ცენტრებად“. აქვე, სიტყვა წარმოუთქვამთ კობახიძეს, ჯიჯაძეს, დევდარიანს, მიქაძეს, შარაბიძეს და სხვ. მიტინგის დასასრულს, ეკლესიის გუმბათზე წითელი დროშა ააფრიალეს **[„მუშა და გლეხი“, 1923, №21].**

ეკლესიები მასიურად იხურებოდა ქუთაისის მაზრის სოფლებშიც. ლანირ-ქვიტირისა და ცხუნკურის თემებში კრებამ დაადგინა ეკლესიების დაკეტვა და მღვდლების განთავისუფლება. „დამსწრეს“ ცნობით, ასევე, მოხდა ამალღების თემშიც, სადაც დაიკეტა ოთხი ეკლესია, გორდის თემში დაუხურავთ ათი ეკლესია, ხოლო სადემეტრიანოს თემში კი სამი მოქმედი ეკლესია. ასეთივე ბედი ეწია ტყიბულის, მუხიანის, ბაშის, ფარცხანაყანევის, როდინაურის, ქვედა სიმონეთის, კინჩხის, ოფურჩხეთის და სხვ. ეკლესიებს. საბჭოთა ხელისუფლება აიძულებდა სასულიერო პირებს, თვითონვე უარი ეთქვათ მღვდლობაზე. პრესაში გამოქვეყნდა ბაღდათის რაიონის ყოფილი მღვდლების — მ. ჩიქვინაძის, დ. კარგარეთელის, ა. კელენჯერიძის, ა. თვალავაძის, ნ. კაშიას, ი. ცხადაძის განცხადებები მღვდლობაზე უარისთქმის შესახებ.

მღვდლობაზე ასევე უარი თქვეს : მუხიანის თემიდან – ა. ჭიპაშვილმა, ბაშის თემიდან – გ. ნაცვ-ლიშვილმა, ფარცხანაყანევის თემიდან – ლ. ფხაკაძემ, და ტრ. ფხაკაძემ, ხოლო დეკანოზობიდან გადადგა გ. ფხაკაძე **[იქვე].**

სამტრედიის დახურული 15 ეკლესიიდან შვიდი ადგილობრივ ბოლშევიკურ ხელისუფლებას გადაეცა. პატრიკეთის თემში დაუხურავთ 7 მოქმედი ეკლესია. გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული

კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ მღვდლობაზე უარი განუცხადებიათ ცხუნკურის თემის მღვდლებს – ისაია ხაჭაპურიძესა და ილარიონ ჩინჩალაძეს. ხელისუფლების ტერორით შეშინებული სასულიერო პირები იძულებულნი გახდნენ, რომ პრესით შემდეგი განცხადება გაეკეთებინათ : „ამ ბოლო ხანებში ხალხმა ზიზლით დაგვიწყო მზერა. ზოგი მათგანი მატყუარას გვინოდებდა, ამიტომ ვარჩიეთ პატიოსანი შრომა, რომლითაც შეგვიძლია ჩვენი თავი და ოჯახი დავაკმაყოფილოთ“ **[იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1923, №81 ; მსჯელობისათვის კ. ნენგუაშვილი, 2008 : 102].**

„კომუნისტის“ კორესპონდენტი იმედოვნებდა, რომ თუკი სარწმუნოებასთან ბრძოლა ასეთი ტემპით გაგრძელდებოდა, ახლო მომავალში მთელს მაზრაში არ დარჩებოდა არც ერთი ეკლესია და არც ერთი სასულიერო პირი **[გაზ. „კომუნისტი“, 1923, №81].**

დახურვას ვერ გადაურჩა, ვერც ხონის წმინდა გიორგის ეკლესია. მოგვიანებით იგი საწყობად გამოიყენებოდა. დაანგრეს მთავარანგელოზისა და მაცხოვრის სახელობის ეკლესიები. ასევე სასოფლო ეკლესიების უმრავლესობა, დაამტვრიეს ქართული ჭედური ხელოვნების ისეთი იშვიათი ძეგლი, როგორც იყო ხონის წმინდა გიორგის ხატი **[ვაჭრიძე, 1998 : 252-253].**

ქუთაისის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე იგონებდა, რომ ქუთაისის მაზრაში ეკლესიების მასიური დაკეტვა მიმდინარეობდა. მთელ მაზრაში 1923 წლისათვის სამი-ოთხი ეკლესია თუ მოქმედებდა. ეკლესიების დაკეტვის შემდეგ ხელი მიჰყვეს მის ნგრევას. საუკეთესო ეკლესიები დააქციეს, ბევრი მათგანი კი თეატრად და სამკითხველოებად გადააქციეს. განიავდა ქვედა მალაკის „ოქონის“ ეკლესიის ქონება. როცა ჯერი ზედა მალაკის მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ეკლესიების ქონების განიავებაზე მიდგა, ხალხმა ხმა აღიმალა ამ უმსგავსო საქციელის წინააღმდეგ და თორმეტი კაცი მიუჩინეს ეკლესიებს სადარაჯოდ **[იხ. ყურ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2006, №3].**

საბჭოთა ხელისუფლება, როგორც აღინიშნა, არნახულ რეპრესიებს ანხორციელებდა საეკლესიო პირთა მიმართ. „გასაბჭოებისთანავე, ქართული ეკლესია უმძიმესი, ჯერარნახული განსაცდელის წინაშე დადგა, — ნერდა ცნობილი დისიდენტი მერაბ კოსტავა, — იმხანად რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა როდი ამოიწურებოდა ანტირელიგიური პროპაგანდითა და მატერიალიზმის ქება-დიდებათ. იდეოლოგიის, პრესისა და ტრიბუნის გარდა, მთელი ძალით მოქმედებდნენ დამსჯელი ორგანოები, ღვთისმსახურთა ფიზიკურ განადგურებასაც რომ არ ერიდებოდნენ. ზოგჯერ, რელიგიასთან ბრძოლის ლოზუნგით, ისინი აწამებდნენ მღვდელთმსახურებს, ცხვრის საკრეჭი მაკრატლით აჭრიდნენ ცხვირს, ყურებს, უვსებდნენ თვალებს“ **[კოსტავა, 1994, №2-3].**

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში – „აღდგომა“ ახლოვდება“, ავტორი ვინმე ა. მთიელი სიამაყით აცხადებდა, რომ საქართველოში არ იყო დარჩენილი თითქმის არც ერთი მიყრუებული სოფელი, სადაც არ დაეწყოთ ბრძოლა ეკლესიისა და სასულიერო პირების მიმართ **[გაზ. „კომუნისტი“, 1923, №75].**

რეპრესიების სუსხი იწვნია ქუთათელ — გაენათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ერისკაცობაში — ნესტორ ლეჟავა). იგი 1868 წელს დაიბადა სოფელ დიდ ჯიხაიში. სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. 1901-1905 წლებში სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქ. ველენსკისა და ქ. კლევანის სასულიერო სასწავლებლებში. 1918 წლის 14 ოქტომბერს, ნაზარი ქუთაისის ეპისკოპოსად აკურთხეს, ხოლო მომდევნო წელს, მიტროპოლიტის წოდება მიანიჭეს. სწორედ, მისი მიტროპოლიტობის პერიოდს დაემთხვა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია **[იხ. მჭედლიძე, კეზევაძე 2008 : 430-431; ჟვანია 1994 : 69].**

საბჭოთა ხელისუფლება მიტროპოლიტ ნაზარს ბრალს სდებდა საეკლესიო განძის გადამალვასა და გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი 1922 წელს გაგზავნილ მიმართვაში მონაწილეობას. ამ ბრალდებით დააპატიმრეს კიდეც. 1924 წლის აპრილში, ამნისტიის საფუძველზე განთავისუფლებული მიტროპოლიტი დაუბრუნდა თავის ეპარქიას, მაგრამ სამიტროპოლიტო რეზიდენციაში არ შეუშვეს და როგორც აღვნიშნეთ, იძულებული გახდა თავის ძმას შეეკედლებოდა.

რეპრესირებულ მღვდელმთავარს ლანძღავდნენ და ამცირებდნენ ახალგაზრდა კომკავშირლები და ურწმუნო მოხელენი. ერთხელ, ბზობის დღესასწაულზე, ეკლესიის ეზოდან, ბავშვებთან ერთად, ანთებული სანთლებით გამოსული მიტროპოლიტისათვის კომკავშირლებს ლანძღვა-გინება დაუწყიათ. მიტროპოლიტს გზა დინჯად გაუგრძელებია, ისე, რომ გამლანძღველთათვის პასუხი არ გაუცია **[მსჯელობისათვის იხ. მელიქიშვილი 2010 : 10]**.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით საშიშ პიროვნებად მიჩნეული ნაზარისა და მისივე კრებულის დაპატიმრების მიზეზი გახდა „ნებადაურთველი კრების მოწყობა“. კერძოდ, 1924 წლის 2 აგვისტოს ვინმე „მეთვალყურე“ სვირის რაიალმასკომისადმი გაგზავნილ განცხადებაში იუწყებოდა, რომ „როდინოულის თემში, მოვიდა ვიღაც გადაცემული მღვდლები, ახთენენ კრებებს ამელამ და მიაქციეთ სასწრაფოთ ყურადღება“-ო. აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის — ჯუღელის დავალებით, დატყვევებულ იქნა 11 პირი და საქმე გამოსაძიებად გადაეგზავნა ქუთაისის მაზრის პოლიტბიუროს ბრალდებით - „მთავრობის საწინააღმდეგო არალეგალური კრების მოწყობა და ადგილობრივი მმართველობის დაუმორჩილებლობა“. დატყვევებულთა შორის იყვნენ: მიტროპოლიტი ნაზარი, დეკანოზები — გერმანე ჯაჯანიძე, ვასილ დოლაბერიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდლები — სიმონ მჭედლიძე, პოლიევეტი ვარდოსანიძე, დომენტი გიორგაძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე და მთავარდიაკონი ისიდორე სვანიძე.

მილიციის უფროსის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მიტროპოლიტი ბანრით შეუკრავთ და ურემზე შიშველი დაუსვამთ. გზაში ყვიროდა თურმე: „მე ვარ ქრისტე ღმერთის მორწმუნე, მანამებენ ურჯულო კომუნისტები, როგორც აწამებდნენ ურჯულოები თვით ქრისტესო“. მღვდელმთავარი სვირის კანცელარიაში მიიყვანეს და დანარჩენ მღვდლებთან ერთად, კანცელარიის ერთ პატარა ოთახში დაამწყვდიეს. გამთენიისას, სიცივისაგან აკანკალებულ ნაზარის, სასულიერო პირთა თხოვნით, სამოსელი მოუტანეს. გამოძიების დასრულების შემდეგ გამოტანილ დადგენილებაში ვკითხულობთ: „მე, ქუთაისის მაზრის პ/ბპ/პ რწმ. თანამემნემ, შონიამ, განვიხილე რა საქმე №590 ბრალდების გამო ქუთათელი მიტროპოლიტი ლეჟავა ნაზარის, დეკანოზ ჯაჯანიძის გერმანესი, მღვდელ ვარდოსანიძე პოლიევეტისა, პროტოდიაკონი კუხიანიძე ბესარიონისა, მთ/დ. მღვდელ სვანიძე ისიდორესი, ბრალდებები: სვირის რაიონის როდინოულის თემის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე წინააღმდეგობის განევის, ხელისუფლებისა და კომპარტიის ლიდერების გინებაში, რა წინააღმდეგობით აიძულეს მთავრობის პირები ჩაედინათ ნებადაურთველი და გადაჭარბებული მოქმედებები მთავრობის წარმომადგენლებს, რა საქმეც კვლევა-ძიების და წინასწარი გამოძიებით გამორკვეულია სავესებით, დავადგინე: მოწმეებისა და ბრალდებულის დაკითხვის გაგრძელება შეწყდეს და იქნეს გამოტანილი ბრალდებულის მიმართ დადგენილება“. 1924 წლის 1 სექტემბერს დამნაშავედ სცნეს 5 სასულიერო პირი — მიტროპოლიტი ნაზარი, დეკანოზები — გერმანე ჯაჯანიძე და იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე და არქიდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე და მათ, საგანგებო სამეულის გადაწყვეტილებით, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს..... განაჩენი იმავე დღეს იქნა აღსრულებული — გამთენიისას, წყალწითელას ზემოთ, ებრაელთა სასაფლაოს მახლობლად, საფიჩხიაზე ხუთივე სასულიერო პირი დახვრიტეს **[მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ამყოლაძე 2008 : 3-45 ; მელიქიშვილი 2010 : 10-14 ; მჭედლიძე, კეზევაძე 2008 : 440-442 ; ამყოლაძე 1998 : №11 ; ასათიანი : 1995]**.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევის თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს გაზეთ „მუშა და გლეხი“ 1923 წლის 28 ოქტომბრის №44-ში გამოქვეყნებული ცნობა ქუთაისში საქართველოს კომპარტიის V კონფერენციის ჩატარების შესახებ, სადაც ერთ-ერთ საკითხად განხილულ იქნა ხელისუფლების მიერ განეული ანტისარწმუნოებრივი აგიტაცია — პროპაგანდის შედეგები და „მომავალი ტაქტიკა ეკლესიის საკითხებში“. მომხსენებელი ვალთა ბახტაძე აღნიშნავდა, რომ კმაყოფილი იყო ანტირელიგიური აგიტაციის შედეგებით და მიაჩნდა, რომ ამ მიმართულებით თავიდანვე სწორი ხაზი იყო აღებული. ვ. ბახტაძის აზრით, დახურული ეკლესიები უნდა გამოეყენებულყო კულტურული საქმიანობისათვის [„მუშა და გლეხი“, 1923, №44].

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის განდევნისა და ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა სასტიკი ბრძოლა წამოიწყეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც ეროვნული და სულიერი ფასეულობის დამცველი ორგანიზაციის წინააღმდეგ. მათ მიზანს შეადგენდა ჯერ დაესუსტებინა, ხოლო შემდეგ საერთოდ გაეუქმებინათ იგი. 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტით საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩამოერთვა იურიდიული პირის სტატუსი, რაც ნიშნავდა, რომ დადგა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებული სისასტიკით გააჩაღა ქუთაისში, სადაც დაანგრეს საკათედრო ტაძარი (სობორო), დახურეს ათეულობით ეკლესია და სალოცავი. გაანადგურეს დიდძალი საეკლესიო ქონება. მოწამეთიდან გამოიტანეს და შეურაცხვევს წმინდა მოწამენი: დავითისა და კონსტანტინეს ნეშთი. არნახული რეპრესიები განხორციელდა სასულიერო პირთა მიმართ, რის გამოც ბევრი მათგანი ჩამოსცილდა წირვა-ლოცვას.

ანტირელიგიურ მოძრაობას ბევრი ღირსეული მამულიშვილი შეენირა. სიცოცხლის მსხვერპლად გაღებთ, მათ მომავალ თაობებს შეუნარჩუნეს ქრისტიანული რწმენა, ეკლესია კი ვერ იხსნეს ბოლშევიკთა მარწუხებისაგან. ეს მომავლის საქმე იყო. სამოცდაათწლიანი საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მეთაურობით წარმატებით დაადგა განახლება-აღორძინების გზას.

ლიტერატურა:

- ასათიანი, გ 1995:** ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი, თბილისი.
- ამყოლაძე, თ 2008:** ერთტომეული, ქუთაისი.
- ამყოლაძე, თ 1998:** მიტროპოლიტ ნაზარის უკანასკნელი დღეები, ჟურ. „ცისკარი“, №11.
- გეგეჭკორი, გ 1991:** მოწამეთა, ქუთაისი.
- ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, 2005:** საქართველოს საეკლესიო კრებები, თბილისი.
- დოლაბერიძე, ვ 2006:** ჩვენი ეკლესიის ტრაგიკული ფურცლები, ჟ. „საპატრიარქოს უწყებანი“, №3.
- ვარდოსანიძე, ს 2001:** საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბილისი.
- ვაჭრიძე, პ 1998:** ხონის ისტორიიდან, თბილისი.
- თავბერიძე, ე 2005:** სანიტარული დღე, ქუთაისი.
- კანონთა ქრონოლოგიური კრებული 1959:**, თბილისი.
- კეზევაძე, მ 1989:** 1924 წელი ქუთაისის ეპარქიაში, ჟ. „განთიადი“, №3.
- გაზ. „კომუნისტი“, 1923 :** №112.
- კოსტავა, მ 1999:** მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში, ჟ. „არტანუჯი“, №2-3

მელიქიშვილი, დ 2010: წმინდა მღვდელმონაშენი – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდლო კრებული, კრ. „დიდაჭარლობა“, ხულო.

გაზ. „მუშა და გლეხი“, 1923 : №44.

მჭედლიძე გ, კეზევაძე მ. 2010: ქუთაის-გაენათის ეპარქია, ქუთაისი.

ტყეშელაშვილი, გ 2009: 1923 წლის საეკლესიო რეფორმა ქუთაისში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XIX, ქუთაისი.

ტყეშელაშვილი, ლ 2010: მონამეთა, ქუთაისი.

ჟვანია, ზ 1994 : საქართველოს კათალიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთაისი.

გაზ. „ჩემი ქუთაისი“, 2005: №5.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, საბუთი №192/245, №192/168.

კ. ნენგუაშვილი, 2008: ტოტალიტარული სახელმწიფოს ათეისტური პოლიტიკისა და პრაქტიკის პირველი ეტაპი, წიგნი – მ. ნათელაძე, ალ. დაუშვილი, მ. ჯაფარიძე, კ. ნენგუაშვილი, საქართველოში ტოტალიტალური რეჟიმის დამკვიდრების პირველი ეტაპი (1921-1923), თბილისი.

Kaxaber Kebuladze

ANTIRELIGIOUS MOVEMENT IN KUTAISI MAZRA IN THE TWENTIES OF 20TH CENTURY

The Georgian church as one of the most traditional and national organization, became the most frightening power for the government after 1921 year's Soviet occupation. So , the a theist Bolshevik's knew well enough that before this authorized spiritual phenomenon existed in Georgia, they would not even dream about the support of the people. This was the real reason of the Bolshevik an party and the Soviet Union's furious attack on the Georgian Orthodox church.

The Georgian revolution committee made a decision #21 about. The separating church from the country and the church from the educational system. This just seemed to be dedicated to only the independence of conscience, but it really included insidious plans, for example: "The religious organizations are allowed to own prosperities, they don't have the legal rights, the whole property of the church belongs to the society. Actually, this was an announcement that the Georgian church became outlaw. The servants of the Georgian church, beginning from the psalm readers ending to the patriarch were left without any property.

Georgian Orthodox church got against this imprudent politics was being fulfilled by the Georgian coordinators and foreign occupants. This caused sending the memorandum letter of the Georgian patriarch Ambrosi to Genua international conference in February, 1922. This document what actually was the evidence of the Soviet government's in the crimes, greatly impressed the participants of the conference.

Soviet Russian delegation had tough time while the conference. According to Georgian Bolshevik Budu Mdivani, the document mentioned above became a matter of the huge concern. That is why the repressions began against the members of the catholicon counsel and the patriarch. Qutatel Metropolitan Nazari was so oppressed that he had to leave the eparchy. He met and asked for a help

the representative of the government. S. Qavtaradze who promised to help but didn't keep it.

Georgian Extraordinary Committee began vivid mental suppress on the patriarch. It decided to arrest the patriarch and the members of the catholicon counsel in January 12, 1923. There was Qutatel metropolitan Nazari was amongst the prisoners. He was accused in the agitation against the Soviet Government and taking part in spending the ecclesiastical property of Sioni and Svetistskhoveli".

According to an announcement of Georgian Extraordinary Committee, the "Chekists" with the help of their agents, had discovered the ecclesiastical treasure from Sioni and Mtsketa churches under the balcony of Meufe (sovereign) Nazari's house on "Arkieli's hill" in Kutaisi. According to the description 97 different kinds of church things appeared in the box. Also 15 things too that were not listened. Catholicos patriarch Leonidze (Okropiridze) and the members of the soviet bishops – Iason Kapanadze, Markos Tkemaladze, Dimitri Lazarishvili and all the members of Sioni Church took part in removing treasury from Tbilisi to Kutaisi. It was handed to vicar Pavle Japaridze and bishop David Kachakhidze.

After bringing the treasury in Kutaisi E.Takaishvili and B.Chkhikvishvili allowed to move it to "sobori" and then to bishop Nazari's house. After hiding the treasury under the ground Leonide went to Gelati then Tbilisi but archimandrite Pavle moved in the monastery of Mtskheta Special commission announced that "the whole history was known to the present Catholicos Ambrosi who didn't say anything until treasury was discovered.

Mitropilit Nazari being two years in prison was discharged earlier but he had no rights. He was not allowed to enter his own resident and he was forced to live in his brother's family.

In 1923, 13 January was arrested Catholicos patriarch and the members of their soviet members. After this Georgian church appeared in the worst condition. The communist leader of region complete each other to close the living churches and to take the property of them. The antireligion situation dominated. The church didn't have one leader. The way out was that the member of soviet became the church leader.

Unborn bishop Kristophore (Tsitskishvili) was trusted on to be Chairman of Provisional Government, the members were bishops David Kachakhidze, Svimeon Chelidze, Nestor Kubaneishvili layman Parmen Gotua, Ivane Ratishvili and Ipolite Vartagva.

The Soviet Government began to fight very strictly against church in Kutaisi Mazra. In January 1923 was held the judgment of the faith in Kutaisi Theatre " which was held well." The building was full of people and many volunteers couldn't manage to attend it. Scientists, workers, peasants, farmers accused the farther. At the end of the process the local priest Buachidze made a report against the forth and followers whose speech was the greatest impression for audience." This process got decision to form the antireligion campaign in Kutaisi Mazra .And so ant religion activities were held in main part of region.

The first target became the monastery of Motsameta. On the 2-nd of February in 1923 the commission assigned by administrative committee opened tomb of saint David and Konstantine's holy parts.

This antireligion manifestation was attended by the invited delegations from different religions and villages of Georgia. It was organized by the committee and it gave the strength to the government of the west Georgia in fighting of antireligion movement. For this purpose the saint pieces of Motsameta Monastery were shown to the people of different region and villages. There were held meetings and the representatives of government proposed to close churches, also they gave right churches to use

for various purposes.

The main leader and organizer of the anti-religion movement V. Bakhtadze boasted that „They were the first to make this major item the structure of massive companies massive fights.~

The holy parts were in danger of disappearing, but the direction of the historical Museum of Kutaisi and the main chairman of the committee of scientist organization of Georgia Republic, the well-known public figure Tripon Japaridze tried to save them. His desire was fulfilled and on the 23 –rd of June in 1923 the remains of David and Konstantine were given to the museum of Kutaisi to keep and preserve.

In 1954 Catholicos Patriarch Melkisedek III Kutatel-Gaenatel, metropolitan Gabriel (Gabriel Zakaria Chachanidze) archpriest Naumi Shavianidze, priest Tripon Sulakadze managed to renew services in Motsameta Monastery and to return the holy pieces of David and Konstantine to the Ethnographical Museum in Kutaisi.

Archimandrite Tornike Moseshvili remembers the days of his childhood when the members of „Union of people without any belief” by horses, how they knocked the skull of saints to each other and giggled.

Kutaisi cathedral was not saved also in 1923. The building began in 1851 and it was finished in 1871. It was designed by the Russian artist and architect C. Gagarini. It stood near the territory of garden. It was blessed and got name Aleksandre Nevel; and several years before its demolish it got the name of David the Builder. In 1923 8- th of March the cross was taken and the building was given to the Young communist League. And at last in 1924, 24-th of January according to the resolution of presidium of Kutaisi Communist Party the church was destroyed we read: “To destroy the cathedral to use materials for the gate of the grave of brothers. To broaden the place and to put the statue of Lenin on that place.” The Government protect itself saying that the list they had got was not mentioned the Kutaisi Cathedral as an archeological monument. And also it was different for cultural organization to use it like another churches as they were built the same way. “To broaden” Paris Commune” on the 3-rd of June in 1924 they began to demolish the temple, it was ended in August and the stones were used for building the gate of the grave of brothers.

It’s true that Gelati Monastery was not destroyed but it was vandalism to liquidate the spiritual life of major centre in the west Georgian history. Also the existence of Gelati as the strongest Orthodox Center was not suitable for Soviet Government. That’s why they began to find the “felt” which would be the best reason.

From the decision of the 11-th of April, in 1923 the presidium of Mazra refused to return small debts to Gelation monks. From the decision of the 1-st June Gelaty Monastery was closed. On the 5-th of June the group of government closed and sealed this monasteries all churches. All people who were there would leave the territory of Monastery. They asked the government to stay there till harvest. They agreed to stay only two persons not more.

The correspondent of the newspaper “Worker and peasant” wrote about it.

There was an article in the newspaper “Worker and peasant” in 1923 on the 29-th of April where was written that the church “St. George” was closed. There hold a meeting where a young Communist G. Dzigrashvili told that to close churches were important. There were Kobakhidze, Jijadze, Devdariani, Mikadze, Sharabidze and others.

The churches were closed everywhere. In Ghanir-Kvitiry, Tskhunkury, Tkibuli, Mukhiany, Bashi and Partskanakanevi. The Soviet government obliged to refuse to their work.

Merab Kostava wrote: "As soon as Georgia entered the Soviet Empire began depressions, They torture priests. They cut their noses, ears and pulled out eyes".

Nazar studied at Kutaisi theological seminary. In 1901-1905 he studied at the theological academy of Kiev. He taught at the theological schools of Valenski and Klevan. On October 14, 1918, Nazar was consecrated the bishop of Kutaisi. The following year he was awarded the title of metropolitan. It was during the period of his being a metropolitan that Georgia was annexed by the Soviet Russia.

As it was mentioned above, the Soviet government accused Metropolitan Nazar in hiding the treasure of the church and his application to participate in the international conference of 1924 held in Genoa. Because of these he was arrested.

In April of 1924, after being granted the amnesty and his release from prison, Nazar returned to his diocese but since the metropolitan was not allowed to go in, he was obliged to stay at his brother's place.

The representatives of the Young Communist League and the ungodly officials vituperated and humiliated the oppressed bishop all the time. Once, on the Palm Sunday, when coming out of the church yard with lit candles, accompanied by children, Metropolitan Nazar came across a group of young Communists who started abusing him immediately. But the clergyman continued his way calmly without paying any attention to the misbehavior in his direction.

Nazar and several more clerics were announced as especially dangerous people for the country and were arrested by the government because of "holding the unpermitted meeting". It happened on August 2, 1924. Some "observer" in his application to the regional executive committee of Sviri informed the addressees that "some priests in civil clothes came to the Rodinouli Community. They are arranging meetings tonight and it needs immediate reaction from your side". According to the order of the deputy head of the executive committee, Jugheli, eleven people were arrested and accused in "arranging illegal anti-government meeting and disobeying the local rulers". The case for the further investigation was sent to the political bureau of Kutaisi Mazra. Among the arrested people were the metropolitan Nazar, the archpriests-Germane Jajanidze, Vasil Dolaberidze, Domenti Giorgadze, protodeacon Besarion Kukhianidze and senior archpriest Isidore Svanidze.

The testimony of the police chief clarifies that the metropolitan was tied up way he shouted: "I am the believer of Christ, the God. The godless Communists are torturing me just as the ungodly people tortured our God centuries ago". The high priest was taken to the Sviri government office and locked up in one of the small office rooms together with the other clerics. The clothes were brought to the Shivering priest only at dawn, after the request of other captured clergymen. The resolution passed after the end of the investigation says: "I, the assistant attorney of Kutaisi Mazra, Shonia, considered the case #590 against the Metropolitan of Kutaisi Nazar Lezhava, archpriest Germane Jajanidze, priest Politevtus Vardosanidze, protodeacon Besarion Kukhianidze, priest Isidore Svanidze. They were accused of disobedience to the officials of the Rodinouli community of Sviri, region.

The government persons were obliged to do unlicensed actions. Ascertained: stop the examination of bystanders and a faulter. In 1924 on the 1-st of September were faulted five clerics.

Metropolitan Nazari, archpriests _ Germano Jajanidze and Ieroteoz Nikoladze, priest Simon Mchedlidze and archdeacon Besarion Kukhianidze. On the decision of three special persons they had been condemned to death...executed the sentence was been done on the same day. In down, above, on Sapichkhia these five ecclesiastic persons were shooed.

In searching point of view about interesting things for us take care published notification in newspaper “Worker and Peasant” #44, 28 October 1923 about helping Georgian comparty’s V conference in Kutaisi, where the main topic was discussed about Government’s work which they did against antireligious agitation – The result of propaganda and “future tactics in church items”.

Reporter Valia Bakhtadze remarked that she was pleased with the results of antireligions adaptation and she considered that right decision was chosen. As Bakhtadze said: closed churches might be used for cultural business.

After the expelling of legitimate government of Georgia democratic republic and occupation of the country the bolsheviks as new government began to fight against Georgian Orthodox churches, as it was national and spiritual values defending organization. Their aim was to weaken and abolish it .

According to 15 April 1921 decree Georgian Orthodox church was taken the status of juridical person that meant, it was placed the question to be or not.

Soviet government began fighting against the church with special cruelty in Kutaisi’ s Mazra where the cathedral of Soboro was destroyed and 160 churches and sacred image were annihilated. They were destroyed enormous property of church. From Motsameta they took out and insulted Holy martyrdoms: the remains of David and Konstantine.

Undreamed repressions were effected against ecclesiastics, whereupon many of them delivered from the services and prays.

Many worthy Patriots devoted antireligious movement. Immolated their life, they vindicated Cristian belief for the future generations, but they weren’t’ saved from bolshevik tongs. This was future things. After overturned.

Georgia Orthodox churches with the help of Katholikos-patriarch, saint and blisfullest Ilia II successfully raised the woy of renewal and regeneration.



ციცინო მუხლაძე

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაერთა ფონდი

მიმდინარე 2012 წელს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმს დაარსებიდან ასი წელი შეუსრულდება. განვლილი ასი წლის მანძილზე იგი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად ჩამოყალიბდა. დღეს მის ფონდებში 200 000-მდე სამუზეუმო ნივთია დაცული, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია არამარტო იმერეთის რეგიონის, არამედ საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების სოციალ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის კვლევა უძველესი დროიდან დღემდე. მუზეუმის ფონდებში დაცულია არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ეთნოგრაფიული, ქართული ოქრომჭედლობის, ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების უმნიშვნელოვანესი კოლექციები.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერები მათი სახეობების, ქრონოლოგიის, თემატიკის, გეოგრაფიული არეალის, შესრულების დონისა და მათი ადგილის განსაზღვრით მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან წერილობით ძეგლთა შორის. ვიდრე უშუალოდ აღნიშნულ საკითხებზე გადავიდოდე, რამდენიმე სიტყვით თვით მუზეუმის დაარსებისა და ხელნაწერთა ფონდის შექმნის თაობაზე.

1881 წელს ქუთაისში რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა ჩატარდა. ყრილობის მონაწილენი გაეცნენ ქუთაისის ღირსშესანიშნაობებს, ეწვივნენ გელათის მონასტერს და გაოცებული დარჩნენ იქ დაცული ძველი ხელნაწერებითა და ოქრომჭედლობის ნიმუშებით, რომლებიც ფაქტობრივად უცნობი იყო გარესამყაროსათვის. სწორედ მაშინ წამოიჭრა საკითხი ქუთაისში მუზეუმის დაარსების შესახებ. 1911 წლის 4 დეკემბერს გაიმართა ინტელიგენციის წარმომადგენელთა კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისში საისტორიო — საეთნოგრაფიო დამოუკიდებელი საზოგადოების დაარსების შესახებ. 1912 წლის 17 ივნისს მთავრობამ დაამტკიცა წესდება და ქუთაისში დაარსდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება მუზეუმის განყოფილებით. საისტორიო საზოგადოებამ, რომლის დამფუძნებლებიც იყვნენ იოსებ და სიმონ ოცხელები, ტრიფონ ჯაფარიძე, სამსონ ყიფიანი, კონსტანტინე ჯორჯიკია დაარსებისთანავე იწყო ზრუნვა ქუთაისში ეროვნული მუზეუმის დაარსებისათვის სამუზეუმო ბაზის შესაქმნელად. ძველი ხელნაწერების, ეთნოგრაფიული მასალებისა და ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშების მოსაძიებლად და მოსაპოვებლად, საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის ტრიფონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, დასავლეთ საქართველოში მოეწყო ეთნოგრაფიული ექსპედიციები. მუზეუმის ფონდის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებიც უფასოდ გადასცემდნენ სამუზეუმო მასალებს საისტორიო საზოგადოებას. შეგროვილი სამუზეუმო მასალების ბაზაზე 1922 წლის დეკემბერში ქუთაისში დაარსდა საისტორიო მუზეუმი, სადაც ეროვნული მემკვიდრეობის სხვა ნიმუშებთან ერთად გადატანილი იქნა საისტორიო საზოგადოების მიერ შეგროვილი უნიკალური ძველი ხელნაწერი წიგნები.

1923 წელს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დეკრეტი ეკლესია — მონასტრების დახურვისა და იქ არსებული ძველი ხელნაწერებისა და ხელოვნების ნიმუშების მუზეუმებისათვის გადაცემის შესახებ. ამგვარად, 1923-1926 წლებში დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული ძველი უნიკალური ხელნაწერი წიგნები გადმოტანილი იქნა ქუთაისის მუზეუმში. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის შექმნაში, ტრიფონ ჯაფარიძესთან ერთად, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ცნობილმა მხარეთმცოდნემ გიორგი ბოჭორიძემ, რომელმაც 1925 წელს სპეციალური

მინდობილობით – საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მანდატით, იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, მიაკვლია და აღწერა სიძველენი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ძველი ხელნაწერების ჩათვლით, ქუთაისის მუზეუმს გადასცა [მ.ნიკოლეიშვილი. 1986 : 5-21].

ხელნაწერთა ფონდს ერთ–ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს მუზეუმში არამარტო აქ დაცული მასალების სიმრავლით, არამედ მათი კულტურულ-მეცნიერული ღირებულებითაც. ფონდში დაცულია 728 ხელნაწერი წიგნი და 65 000-მდე ისტორიული დოკუმენტი, რომელთაგან 3000 -- მდე სიგელ - გუჯარია. ფონდში დაცული მასალების ქრონოლოგიური ჩარჩო X–XX ს.ს.

ხელნაწერთა ფონდში სახეობების მიხედვით წარმოდგენილია: ხელნაწერი წიგნები, ისტორიული დოკუმენტები, გრაგნილები, ეკლესია-მონასტრებისა და საზოგადო მოღვაწეთა არქივები. დასახელებულ სახეობათა მნიშვნელობა, როგორც წერილობითი წყაროსი, განუზომებელია საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის კვლევის ამათუიმ სფეროსათვის, მაგრამ ამ მიმართებით მუზეუმის ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები, რომელთა შორის რაოდენობრივად და მეცნიერული ღირებულებით გამოირჩევა გელათური ხელნაწერები [მ. ნიკოლეიშვილი, 1986: .38]. აღსანიშნავია, რომ ფონდში დაცულია ქართული ანბანის (დამწერლობის) განვითარების სამივე საფეხურის შესატყვისი მასალა: ასომთავრულით, ნუსხურითა და მხედრულით გადწერილი სასულიერო თუ საერო დანიშნულების წიგნები. შუა საუკუნეების ქართულ თუ საზღვარგარეთულ საგანმანათლებლო კერებში შეიქმნა ძირითადად ხელნაწერები, რომლებიც დღეს დავანებულია ქუთაისის მუზეუმში, მათ შორისაა ნათარგმნი და ქართული ორიგინალური თხზულებები. ქართულ ხელნაწერებთან ერთად ფონდში დაცულია არაბულ, ბერძნულ, სპარსულ, სომხურ ენებზე შესრულებული წიგნები.

გეოგრაფიული არეალი მუზეუმში დაცული ხელნაწერებისა მეტად მრავალფეროვანია. იგი არამარტო იმერეთის რეგიონისა და რაჭა-ლეჩხუმის ეკლესია-მონასტრებს, არამედ შავი მთის ქართულ სავანეს - კალიპოს ღვთისმშობლის მონასტერსა [ქიმ №76] და პალესტინაში დერთუფას ღვთისმშობლის მონასტერსაც [ქიმ № 181] მოიცავს.

მუზეუმში ხელნაწერები ძირითადად შემოსულია გელათის, მონამეთის, ბაგრატიის, კაცხის, ჯრუჭის, თაბორის, სევას, ჭალატყის, ჭელიშის, ხონჭიორის, ვანის და სხვა ეკლესია - მონასტრებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი არ შექმნილა იქ, საიდანაც, არსებული აქტებისა და ოქმების საფუძველზე, მუზეუმში მათი შემოსულობა დასტურდება /იხ. მუზეუმის E — 192 ფონდის აღწერილობა/, ისინი მაინც ბოლო ადგილ-სამყოფელის სახელით მოიხსენიება. მაგალითად: № 19; 20; 21 „იოანე ოქროპირის თარგმანებაჲ მათეს და იოანეს სახარებისაჲ“ – ეგზეგეტიკური თხზულებები მანგლისა და აწყურში იქნა გადწერილი, შემდეგ კაცხის მონასტრისათვის შეწირული, მაგრამ ჟამთა ვითარების გამო გელათის მონასტერში მოხვედრილან და დღეს გელათური ხელნაწერის სახელითაა შესული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ფონდში დაცული მასალებიდან ყველაზე ადრინდელია სახარება -- სამოციქულო [ქიმ 176], გადწერილი X საუკუნეში, ეტრატი, ასომთავრულით, შატბერდული სკოლა. შემოსულია სოფელ სევადან.

ლიტერატურული თვალსაზრისით მსოფლიო მნიშვნელობისაა ხუთ ტომიანი [ქიმ 1; 2; 3; 4; 5] აგიოგრაფიული მეტაფრასული კრებული XI საუკუნის ბიზანტიელი მწერლის იოანე ქსიფილინოსისა, ორიგინალი ამ თხზულებისა ბერძნულ ენაზე დაკარგულია, ამიტომ ბიზანტიურმა მწერლობამ არაფერი იცოდა არც მეტაფრასის და არც მისი ავტორის შესახებ. საბედნიეროდ XII საუკუნეში ქართულად უთარგმნიათ ეს კრებული გელათში. ახლანდელი ნუსხა XVI საუკუნისაა და გელათში გადაუწერიათ ევდემონ ჩხეტიძის (დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი) დაკვეთით. 1912 წელს კრებულის პირველ წიგნში ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ აღმოაჩინა

იოანე ქსიფილინოსის ანდერძი, საიდანაც გაირკვა, რომ კრებულში წარმოდგენილი აგიოგრაფიული ტექსტებიდან ხუთი თვის (სექტემბერი – იანვარი) საკითხავები გაკეთებული იყო სვიმონ ლოლოთეტის მიერ, დანარჩენი შვიდი თვე (თებერვალი – აგვისტო) იოანე ქსიფილინოსს გადაუმეტაფრასებია. ამ აღმოჩენამ დიდი სენსაცია გამოიწვია საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. გაირკვა, რომ სვიმონ ლოლოთეტის მიერ დაწყებული საქმე 100 წლის შემდეგ იოანე ქსიფილინოსს გაუგრძელებია [კ.კეკელიძე. 1951: 480-481].

ხელნაწერთა ფონდში დაცულია ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი იოანე ოქროპირის ეგზეგეტიკური ნაშრომი „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“ – 2 წიგნი № 19 (1047 წ.), (1048 წ.) და № 21 „თარგმნებაჲ იოანეს სახარებისაჲ“ (1053 წ.), სამივე წიგნი გადაწერილია გაბრიელ კოტაის მიერ ერისთავთ ერისთავის ლიპარიტის /ლიპარიტ IV ბაღვაში - კლდეკარის ერისთავი XII-ის 30-60-იან წლებში/ დაკვეთით. გადაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით, სამივე ეტრატია. № 20 დართული აქვს ექვთიმე ათონელის მამის იოვანეს ვრცელი ანდერძი, რომელიც მეტად საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ექვთიმესა და მისი მნიგნობრული მოღვაწეობის შესახებ: „... დიდი ხარკებაჲ და მოღვაწება ვაჩვენე და შვილი ჩემი ეფთიმე განუსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულად და გადმოთარგმანებაჲ წარვმართე წიგნთა ბერძულისა ენისაგან ქართულად...“ წერს იოვანე თავის ანდერძში. აქვეა მოცემული ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი წიგნების სია [ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. I. 1951: 96-97].

ქართველი მართლმადიდებელი მრევლის ინტერესი ახალი აღთქმის უპირველესი წიგნის - ოთხთავისადმი ყოველთვის დიდი იყო. ამაზე მეტყველებს იმ ხელნაწერი ოთხთავების სიმრავლე, რომლებიც საუკუნეების წინათ შეიქმნა და, რომლებმაც ჟამთა სიავის მიუხედავად დღევანდელობამდე მოაღწია. ხელნაწერ ოთხთავთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს ქუთაისის მუზეუმშია დავანებული. როცა ვამბობთ მნიშვნელოვანი ნაწილი, ამით ხაზს ვუსვამთ არამარტო მათ სიმრავლეს, არამედ ისეთ ასპექტებს, როგორცაა: ხელნაწერის გადაწერის დრო, რედაქცია, კალიგრაფია და მხატვრული გაფორმების დონე. ასევე ის ფასდაუდებელი ინფორმაცია, რომელიც მინაწერების სახით შემოუნახავს ძველ ხელნაწერებს.

ქუთაისის მუზეუმში დაცულ ხელნაწერ ოთხთავთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლეჩხუმიდან, კერძოდ, თაბორის ეკლესიიდან ჩამოტანილი XI საუკუნის უნიკალური ოთხთავი /№76/, რომელიც შავ მთაზე, ანტიოქიაში, კალიპოს ღვთისმშობლის სახელობის მონასტერშია გადაწერილი /1060წ./. მისი უნიკალურობა განპირობებულია იმით, რომ იგი გიორგი მთაწმინდელის რედაქციის დღემდე ცნობილ და მეტნაკლებად შესწავლილ ოთხთავთაგან ერთადერთია, რომელიც უშუალოდ მისი ავტოგრაფიდანაა გადაწერილი. ამდენად, ამ მომენტისათვის მას ორიგინალის მნიშვნელობა ენიჭება.

ოთხთავი № 76 ინტერესს იწვევს გაფორმების თვალსაზრისითაც, იგი შავი მთის ხელნაწერთათვის დამახასიათებელი დეკორითა და საღებავების ფართო, პასტოზური გამით გამოირჩევა სხვა ქართული გაფორმებული ხელნაწერებისაგან [ოთხთავი 1060წ. 2008: .3].

ჰიმნოგრაფიის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ხელნაწერი წიგნი № 22 საგალობელნი, XIII ს. ეტრატია, ნუსხური. მასში შესულია მეტად საყურადღებო ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები, კერძოდ, ეფრემ მცირეს მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნილი „ასმუხლელი“ - გრიგოლ ნაზიანზელისა. ხელნაწერში წარმოდგენილია აგრეთვე XII საუკუნის პოეტის იოვანე შავთელის აკროსტიხული ლექსი – „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისადმი“ და დავით აღმაშენებლის პოეტური შედევრის – „გალობანი სინანულისანის“ ერთ - ერთი ყველაზე ადრინდელი ტექსტი.

ხელნაწერთა ფონდში ინახება XII საუკუნის ქართველი მოაზროვნის არსენ იყალთოელის მიერ გელათის აკადემიაში ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნილი დიდი სჯულის კანონის ოთხი

ხელნაწერი. აქედან № 25 გადანერილია XIIIს. გადამწერი გრიგოლ ჩაბრუხაისძე. არსენ იყალთოელისავე თარგმნილია № 23 ხელნაწერი წიგნი – დოგმატიკონი, ანუ დოგმატიკურ – პოლემიკური კრებული – XIII საუკუნის ნუსხა, ეტრატი.

მკვლევართა ინტერესს იწვევს XII საუკუნის დიდი ქართველი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მიერ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი იოსიპოს ფლავიუსის „წიგნი ჰურიისაჲს“ [ქიმ №10] დღემდე მოღწეული ყველაზე ძველი და სრული ნუსხა, გადანერილი XVI საუკუნეში, დამკვეთი აფხაზეთის კათალიკოსი ეფთვიმი.

ფონდში დაცულია VI–VII საუკუნეების ბიზანტიელი მწერლის მაქსიმე აღმსარებლის თხზულებანი (№14) – XII საუკუნის ნუსხა. ეს არის ქალაღზე შესრულებული ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი ქუთაისის მუზეუმში. აღსანიშნავია, რომ სათაურები და მრავალრიცხოვანი მინაწერები შესრულებულია სინგურით. მკვლევართა ინტერესი აღნიშნული ხელნაწერისადმი განპირობებულია იმით, რომ “მაქსიმე აღმსარებლის მონოფიზიტთა და მონოთელიტთა საწინააღმდეგო ტრაქტატები ქართულად მხოლოდ ამ ხელნაწერშია შემორჩენილი. კერძოდ, იგი მოიცავს მაქსიმეს ორი თხზულების თარგმანს, რომლებიც ადრე ეფთვიმე ათონელს უთარგმნია: “კითხვა-მიგება თალასესადმი” და “პიროსთან სიტყვისგება”. ამავე ხელნაწერის 275 — 310 გვერდებზე მოთავსებულია დოგმატურ-პოლემიკური ტრაქტატები და ეპისტოლეები.” [ი.კაკოიშვილი. 2001: 172].

მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გელათური გრაგნილი №657, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნუსხას წარმოადგენს ქართულ კონდაკებს შორის, იგი შედგება 12 კეფისაგან. დაწერილია ოქროს მელნით თხელ პერგამენტზე. ილუსტრირებული კეფები (1, 2, 7, 9) შეიცავენ ქრისტესა და მოციქულთა გამოსახულებებს. გამოირჩევა მე-2 კეფზე შესრულებული მინიატურა, მაგიდასთან მჯდომი მაცხოვარი თავის მოწაფეებს მარცხენა ხელით ღვინით სავსე თასს, მარჯვენათი კი პურს აწვდის. ბერძნული მინაწერი მინიატურაზე ასე ითარგმნება: „ სუთ ამისაგან თქუენ ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი “ და „ მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი “.

კონდაკი გადანერილია ორ სვეტად. შიდა მხარეზე წარმოდგენილია ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ჟამის წირვები პარალელური ტექსტების სახით, მეორე მხარეზე მოცემულია გრიგოლ დიალოგონის სინმინდის განახლება.

დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა გელათური გრაგნილის დათარიღების მხრივ. კონდაკოვი და ბაქრაძე ნაწერის ხასიათისა და მინიატურების მიხედვით მას XII–XIII საუკუნეებით ათარიღებენ, გ. წერეთელი – XI საუკუნით, კ.კეკელიძე და ნ. ქაჯაია კი მათე კეფის მარცხენა აშიაზე არსებული ცოცხალთა დიპტიქის – მინაწერის საფუძველზე გრაგნილს XVI საუკუნეს მიაკუთვნებენ [ნ.ქაჯაია. 1999: .336-343].

ხელნაწერთა ფონდში მრავლადაა დაცული მინიატურებით შემკული ხელნაწერები, რომელთაგან გაფორმების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს: № 182 (XI–XII ს.ს.); № 76 (1060 წ.); № 375 (1502 წ.); № 74 (XI–XII ს.ს.); №263 /XVII ს./, № 357 (XVII ს.), №358 (XVIII) ხელნაწერი წიგნები. როცა ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა გაფორმებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს მათში წარმოდგენილი მინიატურები, კამარები, მხატვრულად გაფორმებული ასომთავრული, თავკაზმულობისა და ხშირად ხელოვნების რანგში აყვანილი ნატიფი ხელწერა – კალიგრაფიის ნიმუშები.

ცნობილია, რომ ქართულ ხელნაწერთა გაფორმების დონემ განსაკუთრებულ სიმაღლეს შუა საუკუნეებში მიაღწია. ამის დასტურია იმ პერიოდის ქართულ თუ საზღვარგარეთულ მნიგნობრულ კერებში გადანერილი და შემკული ხელნაწერი წიგნები, რომლებიც საქართველოს სიძველეთა საცავებში და მათ შორის ქუთაისის მუზეუმშიცაა დაცული.

უპირველესად უნდა შევეხოთ თაბორის /ლენჩხუმი/ ეკლესიიდან შემოსულ ოთხთავს, რომელიც

1060 წელს ანტიოქიაში, შავი მთის ქართულ სავანეში – კალიპოს მონასტერში გადაინერა. ოთხთავი გაფორმებულია შავი მთის ხელნაწერთათვის დამახასიათებელი ფერთა გამით შეზავებული კამარებითა და თავსამკაულით. თუ თავსამკაულსა და კამარებში ბიზანტიური ფერები /ლურჯი, ოქროს და მწვანე/ სჭარბობს, თვით მახარებელთა მინიატურები ადრეული ხანის ქართული მინიატურული მხატვრობისათვის დამახასიათებელი ფერებითაა გაჯერებული და აშკარაა მათი სიახლოვე ადიშის /IX ს../ ოთხთავის მხატვრობასთან .

გაფორმების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს K-182 ხელნაწერი ოთხთავი /XIII ს./ მონამეთიდან. წიგნი შემკულია კამარებით, თავსამკაულით, მახარებელთა მინიატურებითა და მხატვრული ასომთავრულით. ხელნაწერის გაფორმების საერთო დონე გვაფიქრებინებს, რომ იგი მოხატულია პროფესიონალის, მაღალი ტექნიკის მხატვრის მიერ. ოქროსა და პასტოზური საღებავების შეხამებით შესრულებული მახარებელთა მინიატურები და გაფორმების სხვა ატრიბუტიკა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. K-182 ღირსეული ადგილი უნდა მივუჩინოთ ალავერდის, გელათისა და ვანის მოხატულ ოთხთავთა შორის. თავკაზმულობისა და ასომთავრულის გაფორმების თვალსაზრისით გამოირჩევა ასევე K-74 /XI-XIII ს./ ოთხთავი ხონჭიორის ეკლესიიდან /რაჭა/.

მკვლევართა ინტერესს იწვევს №357, 358, 263, 375. . . მოხატული ხელნაწერი წიგნები. ისინი შეიცავენ დიდი ოსტატობით შესრულებულ მახარებელთა გამოსახულებებს, კამარებს, თავსამკაულებს, საზედაო ასოებსა და სიუჟეტური ქარგიდან გამომდინარე მინიატურებს, რომლებიც მრავალშრიანი საფერწერო ტექნიკითაა შესრულებული. მათი კოლორიტი ძირითადად ოქროსა და ფერადი საღებავების შეხამებაზეა აგებული.

გაფორმების თვალსაზრისით გამოირჩევა XVIII ს. გადაწერილი „ღვთისმშობლის დაუჯდომელი“ (№258), რომელშიაც 72 მინიატურაა. ინტერესი წიგნში წარმოდგენილი მხატვრობისადმი განპირობებულია იმით, რომ მომკაზმველი ფრესკული, კედლის მხატვრობის მანერით -- აკვარელის ფერებითა და ვარაყის შეხამებით ქმნის წმინდანთა ხატებსა და ახალი აღთქმის სიუჟეტების ამსახველ მინიატურებს, რომლებიც საშემსრულებლო ხელოვნების მაღალი დონით მკვეთრად განსხვავდება ამ პერიოდის სხვა მინიატურული ხელნაწერებისაგან.

ქუთაისის მუზეუმში დაცული მოხატული ხელნაწერები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქართული და არა მარტო ქართული მინიატურული მხატვრობის კვლევისათვის. ამიტომ მათ თავისი კუთვნილი ადგილი უნდა მივუჩინოთ მინიატურული მხატვრობით გამორჩეულ მსოფლიოს ხალხთა ხელნაწერებს შორის [ც.მუმლაძე. 2010: .2].

ფონდში დაცული რამდენიმე ხელნაწერი ვერცხლის ბუდეშია ჩასმული. ამათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს № 182 ოთხთავის ბუდე, რომელიც მოოქროვილი ვერცხლისაგან არის დამზადებული და შემკულია მცენარეული ორნამენტებით, ბუდის ზედა მხარეს წარმოდგენილია მაღალი ოსტატობით შესრულებული ჯვარცმა ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის გამოსახულებებით, ქვედა ნაწილზე მოცემულია ვედრების კომპოზიცია იესო ქრისტეს, ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებით, შესაბამისი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტებით. ცნობილია, რომ ვედრების კომპოზიცია ნაციონალურ ტრადიციებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, XII საუკუნეში ბექა და ბექენ ოპიზართა მიერ შექმნილი ჭედური ყდების მეორე მხარეს ყოველთვის ვედრების კომპოზიციაა გამოსახული, რაც მას იმავე პერიოდის ბიზანტიური ჭედური ყდებისაგან განასხვავებს – მათზე, ტრადიციულად, ქრისტეს ამაღლების კომპოზიციაა წარმოდგენილი [ე.მაჭავარიანი. 2001: 52].

ფონდში დაცულია მცირე ზომის მინიატურული ხელნაწერები, რომლებიც ძირითადად XV-XVI საუკუნეებშია შექმნილი, რამდენიმე მათგანი ვერცხლის ბუდეშია ჩასმული.

სასულიერო მწერლობის გარდა, ფონდში ინახება ასევე საერო დამწერლობის ნიმუშები, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ფონდში

პომის რვა ნუსხაა, ამათგან სამი № 205; 215; 383 - XVII საუკუნეშია გადაწერილი.

ხელნაწერთა ფონდში დაცულია სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ მეექვსეს, ანტონ კათალიკოსის და სხვათა შრომები ლექსიკოლოგიის, სამართლისა და ენათმეცნიერების დარგში, მრავლადაა კარაბადინები, რომლებიც ამათუიმ დაავადებებისაგან განკურნებისათვის საჭირო მზა რეცეპტებს შეიცავს, ეს ხელნაწერები შესანიშნავი მასალაა ხალხური მედიცინის კვლევით დაინტერესებულ პირთათვის.

საქართველოში ყოველთვის შემწყნარებლობას იჩენდნენ სხვა რელიგიის – აღმსარებლობის წარმომადგენლებისადმი. სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ერთად ცხოვრებამ და ისტორიულმა პერიპეტებმა განაპირობა ქართველი ხალხის ინტერესი უცხოური კულტურისადმი. ეს უპირველესად დამწერლობას შეეხო. ამიტომ არის, რომ ქართულ მნიშვნობრულ კერებში ითარგმნებოდა ბერძნულ, არაბულ, ოსმალურ, სომხურ და სხვა ენებზე შესრულებული საღვთო და ზოგჯერ წმინდა მეცნიერული ხასიათის ნიგნები.

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში უცხო ენებიდან ნათარგმნ ხელნაწერთან ერთად დაცულია ამ ენებზე შესრულებული რელიგიური და საერო ხასიათის ლიტერატურის ნიმუშები. კერძოდ: ბერძნულ, არაბულ, ოსმალურ, სომხურ ენებზე გადაწერილი ხელნაწერები. მათ შორის: ბერძნულ ენაზე შესრულებული ლიტურგიკული კრებული, სომხურ ენაზე – ჟამისწირვის ლიტურგიკული ტექსტი და საგალობლები, თურქულ ენაზე – არაბული რელიგიური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი და კანონთა კრებული, სპარსულ ენაზე – მინიატურებით გაფორმებული დივანი – ლექსების კრებული. განსაკუთრებული სიმრავლითაა წარმოდგენილი არაბული ხელნაწერები. მათ შორის: ყურანი, სამართლის ნიგნები, ლექსიკონები და სხვა.

უცხო ენებზე გადაწერილი ნიგნების არსებობა ქუთაისის მუზეუმში მიმანიშნებელია ქართველი ხალხის ინტერესზე მსოფლიო ხალხების კულტურისადმი.

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ხელნაწერი ნიგნების თემატიკის გაცნობითაც კი ცხადი ხდება, რომ ქართველებს ოდითგანვე ჰქონდათ დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება, როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობის ნიმუშების თარგმნისა თუ ორიგინალური ქართული თხზულებების შექმნის თვალსაზრისით.

ხელნაწერთა ფონდში ინახება ასევე ისტორიული დოკუმენტები – ძველი სიგელ-გუჯრები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს შუა და გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის / იხ. ისტორიული დოკუმენტების კატალოგი I-II./.

ფონდში დაცულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა – კირილე ლორთქიფანიძის, გიორგი ზდანოვიჩის, დიმიტრი ნაზარიშვილის, ალექსანდრე გარსევანიშვილის და სხვათა პირადი არქივები. 1917 წლის რევოლუციამდელი პერიოდის კულტურულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო საზოგადოებათა და სხვადასხვა საუწყებო დაწესებულებათა საქმიანობის ამსახველი მასალები / იხ. მუზეუმის არქივების კატალოგი №12 /.

აღნიშნულ არქივთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურულ არქივს, სადაც წარმოდგენილია უძვირფასესი მასალები ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. არქივში ინახება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, კირილე ლორთქიფანიძისა და სხვათა ავტოგრაფები.

გამორჩეული ადგილი უჭირავს ხელნაწერთა ფონდში დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების, კერძოდ: გელათის, მონამეთის, ჯრუჭის, კაცხის და სხვათა არქივებს. უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით გაიზარდა, საერო და სასულიერო პირთა ინტერესი სამონასტრო-საეკლესიო

არქივებში დაცული მასალებისადმი, რაც, უდაოდ, ქართული სულიერების აღმასვლით უნდა აიხსნას.

ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერები ჯერ კიდევ მუზეუმში შემოსვლამდე მოექცა ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა ინტერესის არეალში. ეს ინტერესი დღემდე არ განელეზულა. მუზეუმში დაცული ხელნაწერების გათვალისწინებით არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი შეიქმნა ენათმეცნიერების, ისტორიის, ფილოსოფიის, საღვთისმეტყველო და სხვა მეცნიერებათა სფეროში [ც.მუმლაძე. 2006: 14].

ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერების ამ მცირე მიმოხილვიდანაც აშკარაა, რომ მათი მნიშვნელობა, სხვადასხვა ასპექტით, სცილდება ვინრო ეროვნულ ჩარჩოებს და ამდენად, იგი მსოფლიოს ხალხთა კულტურის საგანძურის მნიშვნელოვან ნაწილად უნდა განვიხილოთ.

ლიტერატურა:

1. ი.კაკოიშვილი – მაქსიმე აღმსარებლის ანტიმონოფიზიტურ-ანტიმონოთელიტური ტრაქტატების ძველი ქართული თარგმანი; მრავალთავი, ტ.XIX; 2001წ.
2. კ.კეკელიძე – ძველი ქართული მწერლობის ისტორია; ტ.I, 1951წ.
3. ე.მაჭავარიანი – შავი მთის მწიგნობრული სკოლის მხატვრული ტრადიციების ასახვა XIII. გელათის ოთხთავში; მრავალთავი, ტ.XIX; 2001წ.
4. ც.მუმლაძე – გელათური ხელნაწერები; ქუთაისის მუზეუმის შრომების კრებული XVI; 2006წ.
5. ც.მუმლაძე – ქართული ხელნაწერების ფერთა ჰარმონია; მხატვრული ალბომი; 2010წ.
6. მ.ნიკოლეიშვილი – განძი და საგანძური; 1986წ.
7. ოთხთავი — 1060წ. – ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ციციანო მუმლაძემ; 2008წ.
8. ნ.ქაჯაია – გელათური ილიტარიონისა და “კათალიკოზთა სამართლის” დათარიღებისათვის; მრავალთავი, ტ.XVIII; 1999წ.
9. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა; ტ.I; 1953წ.

Tsitsino Mumladze

MANUSCRIPTS OF KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

SUMMARY:

Kutaisi State Historical Museum is one of the important cultural and scientific centers in Georgia. More than 200 000 artifacts are protected in its funds and depositories. The types of artifacts preserved in museum are truly diverse: Archaeological, Numismatic, Ethnographical, Georgian Goldsmith, Manuscripts and Old printed books collections. Some of these artifacts are unique.

Manuscripts, which are protected in the Fund of Kutaisi Museum, have one of the most important artifacts among the collections. There are about 800 manuscripts and 65 000 historical documents preserved, among them about 3000 deeds and charters. The chronological frame of those materials lies between X-XX centuries.

In the fund are represented different varieties of manuscripts: hand written books [X-XIX cc], historical documents [XV-XX cc], scrolls [XV- XVIII cc], and several archives from churches and

monasteries and common persons [XVII-XX].

Importance of those documents is truly great for researching the history of Georgia and neighbouring countries. But in this case manuscripts which are protected in Museum are nothing short of a treasure. We have to mention, that in museum are preserved all three step-by-step manuscripts that depict the developing Georgian alphabet. Ecclesiastical and secular books are rewritten in Capital (Asomtavruli), Small (Nuskhuri) and Military (Mkhedruli) letters. Among them: Egzegetic, Ascetic, Hymnography, Dogmatic, Polemical and other manuscripts, which were translated from Greece and are written in leather. Also there are Arabic, Greece, Persian and Armenian manuscripts. In Kutaisi Museum we have protected Georgian and foreign manuscript collections tracing their origins from various Medieval educational centers both in Georgia other countries.

Among other depositories, a manuscripts fund is situated in the Kutaisi State Historical Museum. In 1881 in Kutaisi took place the Vth Archaeological congress. Participants visited Kutaisi's architectural monuments, Gelati Cathedral and goldsmith samples and manuscript artifacts which were protected there. In December 4, 1911 in Kutaisi's high school was arranged the meeting, where it was decided to create an independent historical and ethnographical society in Kutaisi. T. Jafaridze, G. Gvelesiani, A. Toradze, S. Kvariani and G. Jorjikia created guidelines of this society. In June 17, 1912 government affirmed this charter and in Kutaisi was founded historical and ethnographical society with museum department. A special community dedicated to history was created by Ioseb and Simon Otskheli, Trifon Jafaridze, Samson Kipiani, Konstantine Jorjikia, which orchestrated the initiative and resulting establishment of scientific base for Kutaisi State Historical Museum. At the same time government began to collect the archaeological, historical and ethnographical materials, which were dispersed among the population. During the creation process national museum was assisted by Georgian Intelligence. In December 1922, in Kutaisi was founded Historical Museum, where subsequently many unique manuscripts found their place.

In 1923 Georgian government published special edict, stating that churches had to be closed down and all protected manuscripts and St. Icons were to be transferred to Museum. According to this, in years 1923-26 most of the unique manuscripts secured in churches were transferred to Kutaisi State Historical Museum.

Nowadays, about 800 ancient manuscripts are secured in Kutaisi State Museum, all of them registered in inventory books, with advanced catalogue system which sorts them by chronological frame, geographical origin and branch wise. The catalogue on these ancient Georgian manuscripts is issued in two tomes and is available in many libraries worldwide.

Manuscripts which are keeping in Kutaisi's Museum came from different places of Georgia, among them from Black mountain_ Calipo's St. Virgins monastery (K-N76) and from Palestine _ Dertufa's Virgins monastery (K-N181). Basic part of those manuscripts came from Gelati, Motsameta, Bagrati, Kackhi, Jruchi, Tabori, Seva, Chalatke, Chelishi, Khonchiori, Vani and other monasteries. Significant part of manuscripts was gifted to museum by Kutaisi ethnographic society and families of intelligence.

Manuscripts in Museum are protected in a special depot, sustained through special moisture and temperature (temp.+17C;+18C. mo. 60-65%). Restoration of different hand written papers takes place in local laboratory. As for leather manuscripts, they are treated with proper preventative measures.

In museum there also functions a Digitization Laboratory that always digitizes important manuscripts. There is an electronic base of those books, which contains 70 books.

Even as we briefly look at manuscripts preserved in museum, it becomes clear that Georgians can proud themselves with refined literary ancestry dating back from ancient times, equally artful in both translating the foreign and creating their own.

Among reserved manuscripts, earlier is apostolic gospel (N176), rewritten in X century (Shatberdian School, parchment from village Seva).

There are also books in five tomes depicting the lives of saints, which, judging by the fact that the original is lost, has the importance of original. Its author is Byzantine scholar Jovan Ksifilinos.

In fund are also protected books of Jovan Chrysostom _ “Translations of the Gospel of Matthew” N19 (1047year); #20 (1048year) and “Translation of the Gospel of John” N21 (1053year) Georgian translation by Eqvtime Atoneli.

One of the interesting manuscripts is the unique K-76. It is unique, because it was rewritten in Black Mountain from the book, which was redirected in XI century from famous Georgian scholar George Mtatsmindeli.

Manuscript K-22, which in fact is a hymn from XIII century, Parchment, is also a very interesting artifact, written in small letters alphabet (Nuskhuri) This manuscript contains very important hymnography rhymes.

Among others, the fund also preserves four manuscripts_ Didi Sjulis Kanoni. Greek translated after Arsen Ikhaltoeli, from these manuscripts number K-25 was rewritten in XIII century after Grigol Chakhrukhaisdze. Arsen Ikhaltoeli also translated Dogmaticon, list is dated XIII century, parchment.

In fund we also have Iosipis Flavius “Book of Hurii”, translated after Jovan Petrits, book’s number is K-10, and the oldest list dated with XVI century.

Here are also tales by Maximus the Confessor dated VI-VII cc. and it is one of the earliest hand writings in paper among those preserved in Kutaisi Museum.

Gelatian scroll manuscript K-657 (X-XIIcc) contains 12 chapters and is written with golden ink on the thin parchment. An illustrated chapter of manuscript contains images of Christ and Apostles (1, 2, 7, 9 chapters). Scroll is rewritten in two lists and there are represented liturgies and mass servings of Basil Great and Jovan Chrysostom on one side and the Cleansing by Grigol Dialogon on another.

There are a lot of miniature manuscripts decorated with diminutive adornments kept in the fund. They are decorated with different colored ornaments and images with evangelist scenes. Most interesting are manuscripts K-182 (X-XII), K-76 (1060), K-375 (1502), K-74 (X-XII), K-258 (XVII), K-263 (XVIII).

While speaking about the design of manuscripts we take into account the miniatures, vaults, artistically designed with Capitol Letters Alphabet (Asomtavruli) subtle manuscript _ patterns of calligraphy often ascending up to the art level.

It is known that design level of Georgian manuscripts achieved its special height in the middle centuries. Confirmation of this fact are manuscript books rewritten and designed in the Georgian and foreign educational centers. Nowadays these manuscripts are preserved in the depositories of Georgian antiquities and in the Kutaisi Museum.

First of all we should speak about the four chapters of the Lechkhumi, Tabori Church which were rewritten in the Calipo Monastery on the Black Mountain of Antiochia In 1060 year. The gospel is designed with the color range vaults and adornments typically to the Georgian cloisters of the Black Mountain. While the vaults and adornments are prevailed with Byzantium colors (dark blue, gold and green) the evangelist miniature is saturated with colors typical to the early ages of the Georgian diminutive art and its likeness with the art of Adishi (IXc) gospel is obvious.

Standpoint of design attracts special attention to the manuscript gospel from Motsameta (XII) which is made with K-182. The book is designed by vaults, adornments, evangelist miniatures and other attributes of designed executed by combination of gold and paint make indelible impressions on the visitors. K-182 should be placed suitably among the painted gospels of Alaverdi, Gelati and Vani.

Among the manuscripts, adornments and Capitol letters design of Kutaisi Museum the K-74 gospel from Khonchiori church (XI-XII) can be distinguished.

The K-375 gospel, rewritten by order of Kvarkware II, son of Atabaki- Mzetchabuki is the only one from the gospels preserved in the museum, in which side by side with evangelist icons the miniatures reflecting subjects of gospel.

The Manuscript fund of Kutaisi Museum of XV-XVII centuries is distinguished by the richness of so called diminutive books _ small format manuscripts. The most important among them are gospels: NN 377-XVc; 376-XVc; 378-XVc, which are written in Capitol Letter alphabet. The prayer book decorated by the miniatures of gospel subjects, which was rewritten in XVII c. takes interest: NN358, 357, 258... in which the painter greatly takes advantage of gold colors and broad pallet of water-color paints. The above mentioned manuscript miniatures invoke an association of frescos on the visitors.

Apart of the ecclesiastic books in the fund are kept secular books as well. Most important one is indeed "Vepkhistaosani" / The Knight in the panther's Skin/ with its 8 list. Among them three K-205;215;383 was rewritten in XVII century. There also are manuscripts of Sulkan-Saba Orbeliani, King Vakhtang the sixth, Anton Catholic and others editions in different scientific field.

During the centuries in Georgia had to face different adversaries and different nations and cultures too and that is what explains the abundance of manuscripts which written in foreign languages and that is why Georgian scholars translated those books from Greek, Persian, Arabian, Armenian and Turkish. In particularly great quantity there are Koran books, poem collections, law codes and dictionaries in Arabian language. This abundance of rewritten and translated foreign books which are protected in Kutaisi Museum reveals Georgians great interest about other countries and their culture.



ეკატერინე ყელაშრაძე

რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებში რომ ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი მასალებია დაცული, ამაზე დღეს არავინ დაობს. ისიც ცნობილია, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მასალებისა უკვე დიდხანია მოექცა ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა კვლევის არეალში. მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ მუზეუმში დაცულია ასევე საკმაოდ მდიდარი ფონდი რუკებისა და ტექნიკური ნახაზებისა, რომლებსაც თუ ერთეულ შემთხვევებს არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, რომ მკვლევარის ხელი ჯერ არ შეხებია. ფონდში ძირითადად წარმოდგენილია: ტექნიკური ნახაზები ქუთაისის ძველი შენობა-ნაგებობებისა პროექტების სახით, რომელთა შორისაა: ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის, ქუთაისის მიხაილოვის სამინათმოქმედო - სათავადაზნაურო ბანკის შენობისა და სხვა ნაგებობების ტექნიკური მონაცემები. ფონდში მრავლადაა სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რუკები, კერძოდ: საგზაო, საფოსტო, ადმინისტრაციული, არქეოლოგიური, გეოდეზიისა და სხვა, მათ შორის: რუკები სხვადასხვა ქვეყნების – საფრანგეთის, ყირგიზეთის, დაღესტნის, ჩერქეზეთის, სომხეთისა, თურქეთის. . . და რაც მთავარია საქართველოსი., ფონდში დაცულია: რუკა ევროპის - საფოსტო - 1812წ., რუკა საგზაო კავკასიის მხარის - 1858წ., რუკა კავკასიის ცალკეული გუბერნიების, ოლქების, მაზრების, საპოლიციო უბნების, ივანე ჯავახიშვილის მიერ ძველი წყაროების მიხედვით შედგენილი რუკა VII–XIII სს. საქართველოსი. რუკა - ხმელთაშუა ზღვის 1723წ. გარკვეულ ინტერესს იწვევს იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი რუკა ამიერკავკასიისა.

სრულიად ორიგინალური და ცალკე აღნიშვნის ღირსია ფონდში დაცული რუკა „ამიერკავკასიაში ციების გავრცელებისა“, რომელიც ექიმ ტოროპოვის მიერ არის შედგენილი 1864წელს. მასზე დატანილია მთლიანად კავკასია, სადაც მეტად თუ ნაკლებად გავრცელებული იყო ციება. მუქი მწვანე ფერით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც უფრო მეტად მძვინვარებდა ეს მძიმე სენი, ხოლო ღია მწვანე ფერით აღნიშნულია ის რაიონები, სადაც ციება ნაკლებად იყო გავრცელებული. რუკის მიხედვით იმ პერიოდში ციება ყველაზე მეტად გავრცელებული ყოფილა გურია-სამეგრელოს ტერიტორიაზე, ხოლო იმერეთში – ნაკლებად ყოფილა მოდებული. ის გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს გავრცელებულ დაავადებათა მკვლევართ, ასევე საინტერესო უნდა იყოს იგი დაავადებათა სტატისტიკით დაინტერესებულ პირთათვის.

ფონდში ფართოდაა წარმოდგენილი ატლასები, კერძოდ: გეოგრაფიული: ევროპის სახელმწიფოთა — მ. ბლოკისა 1867წლის, ატლასი დიდი უნივერსალური ენციკლოპედიური ტიპის რუკების კოლექციისა /40/ რუკა — ფრანგულ ენაზე; ატლასი ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა /24 რუკით/ - ფრანგულ ენაზე; ატლასი გეოგრაფიული /40 რუკით/ გერმანულ ენაზე; ატლასი – მოგზაურობა კავკასიაში დიუბუა დე მონპერესი, ფრანგულ ენაზე და სხვა.

რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდში დაცული მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილი ატლასი – „მოგზაურობა კავკასიის ირგვლივ“ – 242 ჩანახატით, რომელიც შესრულებულია ფრანგულ ენაზე და თარიღდება 1843 წლით. რამდენიმე სიტყვა თვით შვეიცარიელი მოგზაურის ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს შესახებ: დაიბადა 1798 წელს. ის იყო სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი, ნევმატელის აკადემიის პროფესორი. 1831–1834 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის სანაპიროზე, ყირიმსა და ამიერკავკასიაში. შედეგები გამოაქვეყნა 1839–1845 წწ. ექვსტომიან ნაშრომში /დიდი ატლასის დართვით/, რომელშიც თავმოყრილია ძვირფასი ფაქტობრივი მასალა ქვეყნის ბუნებისა და სიძველათა შესახებ. დიუბუა დე მონპერე საქართველოს გეოლოგიის პირველი მკვლევარია. მან შენიშნა კავკასიონის კრისტალური სუბსტრატის

გამოსავლები დარიალის ხეობასა და აფხაზეთში, აღნიშნა კავკასიონის ნაოჭა სისტემის ახალგაზრდა (გვიანმესამეული) ასაკი და სიმეტრიული აგებულება გარდიგარდმო ჭრილში. აღწერა საქართველოს დანალექი წყებების განამარხებული ფაუნა და შეადგინა საქართველოს პირველი გეოლოგიური რუკა [ვიკიპედია, თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია].

მიუხედავად დაცულ დიუბუა დე მონპერეს ალბომიდან ჩანს, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხთა ისტორიის საკითხებს, ქართულ და სომხურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. გამოთქვამდა მოსაზრებებს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების თავისებურებათა და ისტორიის განვითარების შესახებ. მისი აზრით, ქართული ხუროთმოძღვრება ბიზანტიური და სომხური ხუროთმოძღვრების განშტოება ან ანარეკლი იყო. დიუბუა დე მონპერეს თეორიის სიმცდარე დაამტკიცეს ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ შემუშავებული კონცეფცია არასწორი იყო, მისი ნაშრომები მნიშვნელოვანია, რადგან მათში მოცემულია შემდგომში დაღუპული ან სახეშეცვლილი ძეგლების აღწერილობები და ჩანახატები. [ვიკიპედია, თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია]. დიუბუას მიერ გაკეთებული ჩანახატები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის არამარტო საქართველოს, არამედ იმ პერიოდის კავკასიაზეც. ამ მიმართებით ინტერესს იწვევს მის მიერ შესრულებული ჩანახატები: ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები, ანანურის ციხე, რაჭის ხედები, გურია /ნატანები/ და სხვა კუთხეები საქართველოსი. ყველა ეს ნახატი დიდი პასუხისმგებლობით არის შესრულებული და ნათლად ატყვია პროფესიონალის ხელი. ქუთაისის მიუზეუმში, საქართველოს სხვა საცავებთან შედარებით, დიუბუა დე მონპერეს ნაშრომი სრული სახით არის დაცული.

ასევე საინტერესოა ფონდში დაცული ფრანგულ ენაზე შედგენილი დიდი უნივერსალური ენციკლოპედიური ტიპის რუკების კოლექცია, რომელიც 40 რუკისაგან შედგება. ატლასი – ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა ფრანგულ ენაზე შედგენილი და გეოგრაფიული ატლასი – გერმანულ ენაზე.

ცნობილია, რომ ქართული მეცნიერული გეოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ვახუშტი ბატონიშვილს, რომელმაც მოგვცა საქართველოს ტერიტორიის პირველი დეტალური აღწერა. „ვახუშტისეული „საქართველოს გეოგრაფია“ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სრული აღწერის პირველი ცდა და ქართული გეოგრაფიული მეცნიერების უძველესი, ყველაზე სრულყოფილი, ენციკლოპედიური შინაარსის ორიგინალური გეოგრაფიული ნაწარმოებია. თხზულება დამყარებულია უმთავრესად ვახუშტისავე რუკებზე, საკუთარი დაკვირვებების მასალებსა და სხვადასხვა გზით მოპოვებულ ცნობებზე. ვახუშტის გეოგრაფიული კონცეფციები თავისი დროის მსოფლიო მეცნიერების სიმაღლეზე იდგა და მთლიანად ნაშრომმა დღემდე შეინარჩუნა არა მარტო თეორიულ-მეცნიერული, არამედ პრაქტიკული დანიშნულება“ [ვახუშტი ბაგრატიონი, „საქართველოს გეოგრაფია“, 1997: 9:]. აღნიშნულ შრომაში ვახუშტის განსაკუთრებული ოსტატობით აქვს მოცემული მდიდარი მასალა საქართველოს გეოგრაფიის შესახებ: საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, მისი ბუნებრივი საწარმოო ძალები, მოსახლეობა, დასახლებული პუნქტები, სამეურნეო საქმიანობა და სხვ. „ძველ საქართველოს არ დაუტოვებია მეორე ასეთი წიგნი, სადაც მსგავსი სისრულითა და სიღრმით იყოს აღწერილი ჩვენი ქვეყანა. ამიტომ ეს შრომა, როგორც საქართველოს სრული აღწერის პირველი ცდა, უდიდეს ისტორიულ განძს წარმოადგენს. ასევე ძვირფასია იგი, როგორც ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ერთერთი უძველესი და ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლი. ცნობილია, რომ ვახუშტის შრომა, კერძოდ მისი რუკები, დიდი ხნის განმავლობაში ძირითად წყაროს და მისაბად მაგალითს წარმოადგენდა საქართველოს და საერთოდ კავკასიის გეოგრაფიული აღწერისა და რუკების შედგენისათვის, როგორც რუსეთში, ასევე დასავლეთ ევროპაშიც“ [იქვე: 7:].

მანვე შეადგინა 2 გეოგრაფიული ატლასი, სადაც მოცემულია კავკასიის ერთი ნაწილის

თავისი დროისათვის ზუსტი კარტოგრაფიული გამოსახულება. პირველი რუკების კრებული მან 1735 წელს შექმნა, რომელიც 8 რუკისაგან შედგებოდა. მეორე რუკების ნაკრები კი 1742-1745 წლებში, რომელიც 19 რუკას მოიცავდა და მის გაუმჯობესებულ ვარიანტს წარმოადგენდა. ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასი“ ჩვენი ერის კულტურული წარსულის უძვირფასესი განძია, რომლისთვისაც ასეთი სიტყვები აქვს წამძღვარებული – „...დავსახენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდნენ მცირეთ და არაჯეროვნად, და ჩვენ სრულიადი წინა დავდევი...“. კარტოგრაფია არის მეცნიერება ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კონკრეტული სივრცის და მისი დროის მიხედვით ცვალებადობის შესახებ, კარტოგრაფია იყენებს სპეციფიკურ ხელოვნურ ნიშნობრივ სისტემას – „რუკის ენას“ [ვიკიპედია, თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია]. „ვახუშტის ატლასებში მოთავსებული რუკები როგორც ტოპოგრაფიული, ისე ისტორიული რუკების ტიპს მიეკუთვნება. სამიმოხილვო რუკები ზოგად წარმოდგენას იძლევა გამოსახული ტერიტორიის ბუნებრივი გარემოს (ლანდშაფტის) ცალკეულ ელემენტებსა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფაზე, ხოლო რეგიონულ რუკებზე მოცემულია ფრიად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული შინაარსის შემცველი ინფორმაცია, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ქართველ მკვლევარს ერთნაირად აინტერესებდა ქვეყნის როგორც ბუნებრივი, ისე სოციალურ-ისტორიული ვითარება“ [ვახუშტი ბაგრატიონი; „საქართველოს ატლასი“, 1997: 10:]. მისი რუკები ორიგინალურია, დეტალურობითა და სიზუსტით მნიშვნელოვნად აღემატება ყველა იმ კარტოგრაფიულ გამოსახულებებს, რომლებიც შედგენილი იყო მანამდე. ვახუშტი ბატონიშვილის რუკებმა მისსავე სიცოცხლეში მოიპოვა პოპულარობა და მაღალი შეფასება როგორც რუსეთში ასევე დასავლეთ ევროპის მეცნიერულ წრეებშიც. „ცნობა ვახუშტის პირველი ატლასის შესახებ ლაიფციგის გაზეთმა 1737 წლის 5 დეკემბრის ნომერში დაბეჭდა. გაზეთმა მაღალი შეფასება მისცა „თბილისელი პრინცის“ მიერ შედგენილ „კავკასიის მთების შესანიშნავ რუკებს“. 1737 წელს, ცნობილმა ფრანგმა კარტოგრაფმა, აკადემიკოსამა იოსებ დელილმა სანკტ-პეტერბურგში ვახუშტის პირველი ატლასის რუკების ასლები გადაიღო და პარიზში გააგზავნა. 1766 წელს იმავე დელილმა გამოაქვეყნა ვახუშტის 1735 წლის ატლასის პირველი რუკის ასლი ფრანგულ ენაზე“ [იქვე: 11:]. ვახუშტი ბაგრატიონზე შედარებით ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ 2010 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა ქუთაისის მუზეუმს გადმოსცა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ატლასი“ და „საქართველოს გეოგრაფია“, რომელიც ამავე ინსტიტუტის მიერ იქნა გამოსაცემად მომზადებული და დაიბეჭდა 1997წელს. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს გეოგრაფიის“ პირველი გამოცემები განახორციელეს მარი ბროსემ 1842 წელს სანკტ-პეტერბურგში, მოსე ჯანაშვილმა 1904 წელს, თამარ ლომოურმა და ნიკო ბერძენიშვილმა კი 1941 წელს.

ფონდში ვრცლადაა წარმოდგენილი რუკები, რომლებიც გეოდეზიის სფეროს განეკუთვნება. ცნობილია, რომ გეოდეზია ბერძნული სიტყვაა და დედამიწის დაყოფას ნიშნავს. ის საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებათა დარგია, რომელიც დედამიწის გეომეტრიული ელემენტების ასტრონომიულ-გეოდეზიური, გრავიმეტრიული და წმინდა ასტრონომიული გაზომვებისა და დაკვირვებების, განაზომთა მათემატიკური დამუშავებისა და გამონათვალთა გრაფიკული გამოსახვის (გეგმები, რუკები, პროფილები) საშუალებით შეისწავლის დედამიწის ნამდვილ სახესა და ოდენობას დროთა ვითარებაში მათი ცვალებადობის გათვალისწინებით: განსაზღვრავს დედამიწის ტოპოგრაფიულ ელემენტთა სივრცულ განლაგებას და ზომას; გეომეტრიულად სწორი გადანყვეტის თვალსაზრისით ამოხსნის სახალხო მეურნეობისა და სამხედრო საქმის ისეთ ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია საინჟინრო ნაგებობათა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა კვლევა-ძიება-ტრასირებასთან, მშენებლობასთან, ექსპლუატაციასა და სამხედრო სტრატეგიასთან [ვიკიპედია,

თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია]. აღნიშნულიდან გამომდინარე, გეოდეზიის მკვლევართათვის, მნიშვნელოვან ცნობებს უნდა შეიცავდეს ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს მიერ დამზადებული საქართველოს რეგიონების რუკები, რომლებიც მუზეუმის ფონდშია დაცული და, რომელთა რაოდენობა 685 ერთეულია.

2011 წელს ფონდს საინტერესო მასალები შეემატა ქალაქ ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის I ეტაპის არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებების პროექტის სახით. მასალები მუზეუმს გადმოსცა ქუთაისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურმა. მასში წარმოდგენილია ყველა იმ სახლის გეგმა-პროექტი, რომელიც ქუთაისის ძველ უბანში იქნა რეაბილიტირებული. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ თავის მხრივ მუზეუმის რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდში არსებულმა საპროექტო მასალებმა დიდი დახმარება გაუწია ქალაქის ძველი უბნის რეაბილიტაციის პროექტებზე მომუშავე არქიტექტორებს.

ჩემს მიერ წარმოდგენილი მასალებით მინდოდა გარკვეული წარმოდგენა შემექმნა ქუთაისის მუზეუმის რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდზე. ფონდის შესწავლა დამუშავება გრძელდება.

ლიტერატურა და წყაროები:


- 1) რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდი: M-1¹; 4; 5; 6; 10; 11; 12; 13; 15; 16; 19; 20; 21; 23; 27; 31; 34 ; 36; 38; 39; 40; 41; 42; 43; 44; 45; 62²; 62³; 62⁴; 63; 65; 75; 77; 78¹; 78²; 84; 85.
- 2) ვახუშტი ბაგრატიონი, 1997, საქართველოს გეოგრაფია.
- 3) ვიკიპედია, თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია.

Ekaterine Kelauridze

THE FUND OF MAPS AND TECHNICAL DRAUGHTS

There are many important national inherited materials saved in Kutaisi Historical Museum. Many of these materials are in the center of attention of foreign and Georgian scientists. Many of them are not aware that there are huge fund of maps and technical draughts saved in the Museum, which except some people have not been touched by any researcher. In the fund there are: technical draughts of the projects of old buildings of Kutaisi presented. Among them are: Kutaisi count gymnasium, Kutaisi Mikhailovi agricultural – count building of bank and other technical documents. There are many different types of maps for example: road, postal, administrative, archeological, and geodesic and others. Maps of other countries: France, Circassia, Armenia, Turkey and others. It should be noted that in fund is saved the map of Europe- postal- 1812, the map road of Caucasian part -1858, the map of different provinces, regions, districts, police stations of Georgia. Based on Iv. Javakhishvili materials there is the Georgian map- Mediterranean sea created in 1723. The map created by Iakob Gogebashvili is also very interesting.


ფრაგმენტები დიუზუს ალზომიდან



ანანურის ციხე



იმერეთის ეკლესიების ფრესკები, რელიეფები, მანუსკრიპტები




FAÇADE DE DEVANT.




ნანგრევები ტაძრის ბაგრატის

ფრაგმენტები დიუბუსას ალბომიდან



გლოლა - რაჭის ხედი



ოზურგეთი - გურია

ნიწო კუხიანიძე

ზაქარია ქვარიანის სიბელი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის წერილობითი წყაროების ფონდში ათასობით ისტორიული დოკუმენტი დაცული, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესწავლაში ქართული სახელმწიფოს არსებობის ამა თუ იმ ეტაპზე. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს გვიანი და შუა საუკუნეების საბუთები. მათ დიდი ხნის წინათ მიიპყრეს სპეციალისტთა ყურადღება და ეს ინტერესი დღითი დღე ძლიერდება. დღეს ძნელია დაასახელო დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომი, რომელშიც ქუთაისის მუზეუმის ისტორიული საბუთები არ იყოს გამოყენებული [მ. ნიკოლეიშვილი, 1986: 44-45].

სიგელ-გუჯარის, როგორც წერილობითი წყაროს მნიშვნელობა, ძალიან დიდია. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ სრულყოფილ გამოცემას, რითაც იქმნება იმის საშუალება, რომ იგი მისანვდომი გახდეს სიგელ-გუჯარის შინაარსით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

ქუთაისის მუზეუმში დაცული სიგელებიდან ერთ-ერთი გამორჩეულია №139, რომელშიაც საუბარია მწვანეყვავილას ციხე-კოშკისა და მთავარ-ანგელოზის ეკლესიის აგების შესახებ. წინამდებარე სტატიის მიზანია ამ საბუთის სრული სახით გამოქვეყნება. იგი წარმოადგენს ზაქარია ქვარიანის შეწირულობის სიგელს ხახულის ღვთისმშობლისადმი (გელათის მონასტერი). თვით ზაქარია ქვარიანი იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639-1660) სულიერი მოძღვარი და მისი მრჩეველი იყო პოლიტიკურ საკითხებშიც კი. იგი აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათალიკოს პატრიარქი (1657-1660წ.) და იმავდროულად გელათის ეპისკოპოსი იყო მიტროპოლიტის წოდებით. კერძოდ: 1639წ. იგი გახდა გელათის ეპისკოპოსი, მოგვიანებით მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა მისმა წინამორბედმა კათალიკოსმა მაქსიმე I (1639-1657). 1675 წლიდან კი „აფხაზეთისა დედაქალაქისა კათალიკე სამოციქულო ეკლესიისა ბიჭვინთისა საქეთმპყრობელი კათალიკოზია“ [რ. მეტრეველი, 2006: 11].

მუზეუმში დაცული საბუთიდან ირკვევა, რომ ზაქარია ქვარიანმა ჯერ კიდევ გენათელობის პერიოდში მწვანეყვავილაზე, სადაც მას საგვარეულო მამულები ჰქონდა, ააშენა მთავარანგელოზის ეკლესია და ციხე. საბუთში მოცემულია არა მარტო ამ ეკლესიის, არამედ ხსენებული ციხე-კოშკის აგების თარიღიც. სიგელში ვკითხულობთ: „...ბრძანებითა, თავად ღვთისათა და მერმე მეფეთ-მეფისა ალექსანდრესითა და დედოფალთ დედოფლისა კახთა მეფის ასულისა ნესტან-დარეჯანისათა ჩუენ... მონამან და მოსავმან ძისა და ღვთისა შენისამან გენათელმან ქვარიანმან ზაქარია... მას ჟამსა ოდეს ჩუენის მკვიდრის მამის მამულითა აბშიძის პატასაგან ქუთათისს ალაგი ვიყიდეთ და მაგიერი გლეხი და პარტახტი გეგუთს მივართუით და დავესახლეთ ქუთათისს და მერმე შეგვიწყალა და შეგვიბრალა ჩუენმა ღვთიულად მონყალემა და მობრალულმა ჩუენმა გამზდელმა მეფეთ მეფემ პატრონმა გიორგიმ და უშვილოს კაცის აბესალამ მასხარაშვილისსეული ადგილი, ტყე და მიწა გვიბოძა ქელბაქიანის საზღურამდის და აღვაშენეთ ეკლესია მთავარანგელოზთა და ციხე და სახლ-კარი და შევექენით სოფლად უშენი ადგილი.“ [ქიმ №139].

საბუთის ტექსტიდან ირკვევა, რომ ზაქარია ქვარიანის მამას პ. აბაშიძისგან შეუძენია ადგილი, რომელიც იმერეთის მეფის გიორგი III-ის ნაბოძები ადგილით კიდევ უფრო გაუფართოებია. ამ ტერიტორიაზე ზაქარია ქვარიანს ციხე, მთავარანგელოზის ეკლესია და სახლ-კარი აუშენებია. ამ უკანასკნელის მამა აქ მე-16-მე-17 სს-ის მიჯნაზე დასახლებულა, რომლის მემკვიდრეს, ადგილის გაფართოების შემდეგ მეფისგან ნაბოძები გლეხები ჩაუსახლებია. სიგელში ჩამოთვლილია იმ

გლეხების გვარები, რომლებიც აქ დაუსახლებიათ, მათ შორის: ქელბაქიანი, ქვაშიძე, ჩლაიძე, ქაშიბაძე, ჩივაძე, ლაიყმაძე, ბერეჩიკიძე, მამალაძე, სულაქველიძე, კახიძე.

როგორც ზემოთაღნიშნულიდან ირკვევა მწვანეყვავილას მთავარ-ანგელოზის ეკლესია და ციხე-კოშკი იმერეთის მეფის გიორგი III-ის (1609-1631) დროსაა აგებული. ამ მიმართებით სიგელი შესწავლილ იქნა პროფესორ მ. ნიკოლეიშვილის მიერ, მაგრამ მისი სრული ვერსია დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ამიტომ საბუთი რომ მისაწვდომი გავხადოთ მკვლევართა ფართო წრისათვის, ქვემოთ წარმოვადგენთ მის სრულ ტექსტს. სიგელს ვაქვეყნებთ სრული სიზუსტით. კერძოდ: არ ვხსნით ქარაგმებს, სიტყვებს ვაქვეყნებთ ისე, როგორადაც ტექსტშია და არ ვახდენთ მათ შეცვლას მათი თანამედროვე შესატყვისებით; ნიშნით / მითითებული იქნება თითოეული სტრიქონის დასასრული.

თვით სიგელი №139 მოყვითალო ფერის კარგად შენახულ ქალაღბზეა დანერილი, ზ. 322 X 21,5 სმ; შედგება 8 კეფისაგან; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი და სამი წერტილი; ტექსტი წარმოდგენილია Ⴀ და Ⴁ -ზე. სიგელი დანერილია იმერეთის სამეფოს მდივან-მწიგნობრის გიორგი ქართველის მიერ ქორონიკონს 332წელს [1312 + 332 = 1644წ.]. სიგელს ამტკიცებს მეფე ალექსანდრე ნუშისებური მურის ბეჭდით. აქვეა დედოფალ ნესტან დარეჯანის ხელრთვა [იხ. ფოტო].

ქიმ №139

Ⴀ

ქ ქ: სახელითა: სახიერისა: არსება: დაუბადებელისა: დაუსაბამ / ოსა: სამარადისოსა: გარე: შემოუნერელისა: მოუ / გონებელისა: უხილავისა: ურბამოსა: არა: არსისაგან: / არსად: მოყუნებულისა: უკვდავისა: მალ: განუზომელისა: / ყოველთა: დამბადებელისა: მარტივისა: უნივთოსა: მიუახ / ლებელისა: შეუხებელისა: რომელი: იყო: არს: და: იყოს / ლთისა: მამისა: და : თანა: არსისა: დაუსაბამოსა: ნათლი / საგან: ნათლისა: წყაროსა: ცხოვრებისა: უკვდავებისა: / მაგალითისა: შეუძურელისა: ბეჭედისა: უცვალებე / ლისა: ხატისა: და: საზღუარისა: ლთისა: ძისა: და: თანა: ა / რსისა: და: თანა: დაუსაბამოსა: ცხოველს: მყოფელისა: სიბ / რძნის: მომცემელისა: ყოველთა: აღმავსებელისა: და: განმა / ნათლებელისა: უხილავისა: დაუტევნელისა: უსახოისა: შე / უხებელისა: თვით: მოძრავისა: თვით: ჳელმწიფისა: თვით: ნათ / ლისა: და: ნათლის: მომცემელისა: და: ლთ: მყოფელისა: ლთ / ისა: სულისა: წმინდისათა: შეწევნითა: და: მეოხებითა: ყდ / წმიდისა: ყდ: ბინ: შეუხებელისა: და: უხრწნელისა: და: უფ / როსად: კურთხეულისა: დედოფლისა: ჩუენისა: ლთის: მშო / ბელისა: და: მარადის: ქალწულისა: მარიამისათა: რომელი: / წინასწარმეტყველთა: პირველითგან: მრავალ: სახედ: ჳჳადაგ / ეს: და: მასწავნეს: ხოლო: სოლომონ: სიბრზნესა: შინ / ა: თვისსა შვიდ: სვეტ: სიბრძნისა: სახელ: სდვა: მეოხებითა: / და: თანა: დგომითა: წმიდათა: უარულითა: და: მცუელთა: ცხ / ოვრებისა: ჩუენისათა: მიქაელ: ძალთა: მთავრისა: და: გაბ / რიელ მახარებელისათა: რომელნი: ბრწყინვენ: ნათლისა: მ / ისგან: სამარადისოსა: და: მყისსა: შინა: ელვის: სახედ: აღას / რულეებენ: ბრძანებასა: მეუფისა: თვისისასა: შეწევნითა: / და: მეოხებითა: პატიოსნისა: და: მეფეთა: საჭურველისა: / და ლთ: მყოფელისა: ჳუარისათა: რომელსა: ზედა: განკვართულ: იქმნა: ქრისტე: ლთი: ჩუენი: ჳსნისათვის: ჩუენისა: და / მენამულობითა: სისხლითა: მაცხოვარისათა: გვიჳსნა: ჩუ / ენ: ყოველნი: კერპთა: საცთურისაგან: მეოხებითა: და: თანნა: / დგომითა: წმიდისა: წინასწარმეტყველისა: წინა: მორბე / დისა: და: ნათლის: მცემელისა: იოვანესითა: რომელი: უ / მეტეს: იქმნა: ყოველთა: ნაშობთა: დედათასა: რომელმა / ნ: იკადარა: დადებად: ყოველი: ჳელი: თავსა: მას: საუფლოსა: და: ჩუე / ნ ყოველნი: სინანულად: მიგინოდა: ხესა: თანა: დადებითა: / ცულისათა: და: სეხნისა: მეტობისა: მისისა: იოვანე: / ლთის: მეთქვისა: და მკერდსა: მას სალთოსა: მიმყრდნობ / ელისა: რომელმან: დასცნა: ბომონი: და კვინოჳ: დიდი / პეტრე: რიტორისა: რომელი: სინანულსა: პირმშ: / ექმნა: და: კლიტენი: იგი: სასუფეველისანი: მას ჳკიდა / ვენ : და: შეკრა: და: განხსნა: მიენიჭა: მას: და: პავლე: სამ: /

ცამდე: აღწევნულისა: რომელსა: ესმნეს: სიტყვანი: / უთქმელნი: და საღ-თონი: და: ჭურად: რჩეულად: ინო / და: და: იქმნა: ყოვლისა: სოფლისა: მოძღვარ: და: სხვათ / ა: ათ: ერთა: მოციქულთა: რომელთა: მიიღეს: ბრძანე / ბა: მეუფისაგან: თვისისა: და: დასხდომა: საყდართა; ზედა: და: / განსჯა: ათ: ორთა: ტომთა: ისრაელისათა: და: სხვათა: / სამეოცდა: ექვსთა: მონაფეთა: რომელთა: მოიმონაფნეს: / ყოველნი: წარმართნი: სახელითა: წმიდისა: სამებისათა: / შეწვენითა: და: მეოხებითა: წმიდათა: წინასწარ: მეტყვე / ლთათა: რომელთა: პირველ: მასწავნეს: ზეცით: გარდმო / სლვა: ღ-თისა: და: განკაცება: და: განიცდიდეს: არა: პირის / პირ: არამედ: იქმნეს: მხილველ: თვალითა: გონებისათა: და: / სარკითა: მეოხებითა: წმიდათა: მღდელთ: მოძღვართა; ბასილი: / გრიგოლი: და: იოვანე: ოქროპირისათა: რომელთა: გან / ფხურეს: ძირი წვალეებისა: და: მის: წილ: დასთესეს: თეს / ლი: ღ-თის: მსახურეებისა: და: იღუნიან: ჩუენთვის; წინაშე / ე: სამებისა: მეოხებითა: წმიდათა: მამათა: ჩუენთა: პახუმი: / ანტონი: მაკარი: ეფთვიმი: არსენი: ონოფრი: პავლე: / გერასიმი: საბა: სვიმიონ: დანიელ: და: დავით: გარეჯელი / სათა: რომელთა: თვით გამისაჭურისნეს: თავნი: თუის / ნი: იქმნეს: სოფლისაგან: და: დაიმკვიდრეს: ანგელოზებ / რივ: ცხოვრება: აღებითა: პატიოსნისა: ჯუარისათა: / იქმნეს: მკვდართა: აღმადგინებელ: და: ეშმაკთა: წარმდეგ / ნელ: მეოხებითა: წმიდათა: მათ: დედათა: ანნა: ივდით: დ / ებორა: კასია: რომელი: იქმნა: სახე: სინანულისა: მარია / მ: მეგვიპტელისა: რომელი: იქმნა: მოძღვარ: და: წინოსით / ა: რომელმან: განათლა: ქვეყანა: იგი: ქართლისა: სასწაუ / ლითა: მრავალითა: მოქმედებითა: მეოხებითა: წმიდათა: და: ნე / ტართა მონამეთა: გიორგი: დიმიტრი: თევდორე: პრო / კოპი: მერკვირისათა : რომელთა: ჯვარს; აცუნეს: ხორცნი: / მათნი: და: თვით სახითა: ტანჯვითა: განიცადნეს: და: იოხ / ნეს: სარწმუნოებითა: მევედრებელთათვის: მეოხებითა: / და: თანა: დგომითა: წმიდათა: ქალწულთა: მონამეთა: ირინე / და: ირინისითა: ეკატერინე: თეკლა: და: პარასკევით / ა: რომელთა: დასთხიეს: სისხლნი: თუისნი: სიძისა: მისუე / უკ / უდავისათა: და იხარებენ: ნათლითა: შემოსილნი: სასმ / ლითა: მით: წინაშე: ღ-თისა: და: მიელიან: სიმართლისა: / გუირგვინისა: მეოხებითა: და: შუა: მდგომელობითა: ყოვე / ლთა: წმიდათა: ღ-თისათა: ზეცისა: და: ქვეყანისათა: ჯორ / ციელთა: და: უწორცოთა: თავად: ღ-თისა: და: მერმე: ა / მათ: წმიდათა: ყოელთა: თავდებობითა: მინდობითა: და: / შუა: მდგომელობითა: ესე: აუარებელი: და: საბოლო / დ: გასათავებელი: და: მეორედ: მოსულამდის: მოუშლ / ელი: და: ყოვლის: ადამის: ტომისა: კაცისაგან: უც / ილებელი: და: უსარჩლავ: მიუდევარი: შეწირუ / ლობისა: ფიცი: პირი: და: ნიშანი: დაგიდევთ: ბრძან / ებითა: თავად: ღ-თისათა: და: მერმე: მეფეთ: მეფისა: აღე / ქსანდრესითა: და : დედოფალთ: დედოფლისა: კახთა: მეფისა: / ასულის: ნესტანდარეჯანისათა: ჩუენ: უღირსმან: 7და: ყ / ოელთა კაცთა: უცოდვილესმან: მონამან: და: მოსავმ / ან: ძისა: და: ღ-ვთისა: შეწინამან: გენათელმან: ქვარიანმა / ნ: ზაქარია: თქვენ: საშინელსა: და; შესაძრწუნებე / ლსა: და: თვალთაგან: მიურულებელსა: გელათისა: / ხახულისა: და: საკურთხეველისა: ღ-თის: მშობელსა: / და: ტაძარსა: თქვენსა: გენათს: და: საძუალესა: ღ-თივ: / ცხებულთაგან: და: ღ-თივ: გვირგვინოსანთაგან: პანგრატ / ონიანთასა: მას: ჟამსა: ოდეს: ჩუენის: / მკვიდრის: მამი / ს: მამულითა: აბაშიძის: პატასაგან: ქუთათის: ალაგი ვიყიდეთ: / და მაგიერი: გლენი: და: პარტახი: გეგუთს: მივართუით: და: / დავესახლეთ; ქუთათის: და: მერმე: შეგვინყალა: და: შეგვიბრალა: / ჩუენმა: ღ-თულად: მონყალემა: და: მობრალულმა: ჩუენმა: გამზდელმა: მე / ფეთ: მეფემ: პატრონმა: გიორგიმ: და: უშვილოს: კაცის: აბ / ესალომ: მასხარაშვილის: სეული: ადგილი: ტყე: და: მიწა: გვიბოძა: / ქელბაქიანის: საზღუარამდის: და: აღვაშენეთ: ეკლესია: მთავა / რ: ანგელოზთა: და: ციხე: და: სახლ: კარი: და: შევჭქენით: სრუ / ლად: უშენი ადგილი: ასრე: რომე: ამაზედ: მინდღემი: კაცი: არ: / არ: სახლებულიყო: არის: ვაჭარი: ქუთათის: ნასყიდა: იორ / დანაშვილი: კომლი: ერთი. მისის: ალაგით: და: ძმებით: მეფეთ / მეფის: პატრონის: აღექსანდრეს: წყალობა: ფიჩხაძე: დანიელა: ურ / ია კვამლი: ერთი: ლომთაძე: გოჩია: და მისი შვილი: დათუ / ნა: ჩუენი მკვიდრი: ყმა: იყო: და აქ: დავასახლეთ: კვამლი: ერთი: / ქავშიძე:

დათუკა: მისის ცოლ: შვილით: კვამლი: ერთი: / ჩლაჩიძე: დათვია: და: მისი: შვილები: კვამლი: ერთი: გორია: ქ / აშიბაძე: და: მისი: შვილები: კვამლი: ერთი: ჩირაძე: მამულა: / და: მისი შვილები: გორია: ლომინა: პატია: და მათი: შვილე / ბი კვამლი: ერთი: ნანუა: ობოლაძე: და: მისი: ძმის: ნუ / ლი: მამუკა: კვამლი: ერთი: ჩივაძე: ხახუტა: და: მისი: ძმ /ის: ნული: ნასყიდა: კვამლი: ერთი: გორია: ლაყმაძე: და: მისი: შ / ვილი: დათუკა: კვამლი ერთი: სასახლეში: მოჯალაბე: დათვია: / ბერეჩიკიძე: და: მისი: შვილები: კვამლი: ერთი: ამას: გარეთ: / ხუციას: ქელბაქიანისაგან: და: მისის: განაყოფებისაგან: ადგ / ილები: ვიყიდეთ; იქით: ქვერაულას: ღელე: მლაშეს: იქით: რ / ომ: ღელეა: და: იმას: აქათ: ქორტიკელაურას: ღელემდი: ზე / ით: დამცვივანას: დალმა: ვიდრე: რიონამდე: და: გავაკეთეთ / ტუფურიშის: ქალა: ზუარათ: ამას: გარეთ: ნოლას: ერთი: პარტახტი: გაბადაძის: სეული: ვიყიდეთ: და: ლომთაძეს: გორიასა / აქვს: ამას: გარეთ: გალმა: კვურსებს: საკათალიკოზო: ადგილი: / საბჭალანგრიძეო: ჟამთა ვითარებისაგან: გაოწრებულები: და: V / ჩუენ: მაქსიმე: კათალიკოზმა: ფიცით: და: ფეშქაშით: გუიბოძა / საჭალანგრიძეო: და: კაკაბაური: პარტახტი: რაც: იყო: და: ჩ / უენ: იმაზედ: დავასახლეთ: ჟოჟუა: ჭიჭნაძე: ამას: გარეთ: ვიყიდე /თ: ქოლევს: ბიძინას: ჩხეიძისაგან: სამი: გლეხი: მათის: მამუ / ლითა: და ცოლშვილითა: შოშიტა: ოყერემლიძე: კვამლ / ი: ერთი: ხახუტა: ოყერემლიძე: კვამლი: ერთი ჩუჩხუნა / ძე: გორია: და: ზაზუტა: კვამლი: ერთი: ჭიჭნაძის: გორიასა: და: ს / ულთამას: სეული: პარტახტები: და ჩუჩხუნაძის: სეული: პარტა / ხტები: ამას: გარეთ: კიდევ: გვიბოძა: ჩუენმა: გამზდელმა: ბატონმა: / მეფეთ: მეფემ: გიორგიმ: ფეშქაშითა: იქვივ: ქოლევს: გამსახუ / რდი: ოყერემლიძე: / და: მისი: ძმის: ნულები: გიორგას: შვილ ე/ ბი: კვამლი: ერთი: ამას: გარეთ: დიდებულისაგან: ვიყიდე: ბატონი / ს: ბრძანებით: ჯანიას: ახესალაძე: ოსია: მისის: შვილებით: და: მამულ / ით: კვამლი: ერთი: ეს: ხუთი: კვამლი: კაცი: და კვურსებს: საჭ / ალანგრიძეო: რაც: არის: სრულად: და: კაკაბაური: პარტახტი: ჭიჭნაძე / ს: ჟოჟუასა: და: მის: შვილებს: თამაზასა: ბეჟასა: და: დათუნას: მივე / ბასილი: მახულოძე: ადგილი: ხახულისა: ღ-თის: მშობლისა: / იყო: და კაცი: ჩუენ: დავასახლეთ: აგრევე: მანაველ: ჭიჭნაძე: ქოლ / ევს: ბატონიშვილს: გენათელს: ეშოვნა: ნიშანსა: და: სანირავში: გომ / ქათელიანისაგან: და: ერთი: ბარათი: ხახულისა: ღ-თის: მშობლ / ისათვის: დაედვა: და: მას: უკან: ჩუენ: გვიბოძა: და: ჩუენ: კიდევ: ახლა: ხ / ახულისა: ღ-თის: მშობელს: შევსწირეთ: ამას: გარეთ: შუყერს: ერ / თი: გლეხი: ლომსაბერიძე: დათვია: და მისი: შვილი: გორია: ვიყიდ / ეთ: მისის: მამულით: დიდებულისაგან: მამუკასაგან: კვამლი: ერ /თი: ამას: გარეთ: არგუეთს: ალის: უბანს: ვიყიდეთ: დიაკონიძი / ს: სეული: პარტახტი: პატას: კარგალეთელისაგან: და: კიდევ / სულაქველიძის: სეული: პარტახტი: და: დავასახლეთ: ჩუენი: გაზ / დილი: მახარობელი: კახიძე: ეს: რაც: ამ სიგელში: სწერია: / ანუ: სასახლე: ანუ: ეკლესია: ანუ: ციხე: ანუ: აზნაურშვილი: ანუ: გლეხი: ანუ: პარტახტი: ანუ: ზვარი: ანუ: მიწა: ანუ: ალაგი: / ანუ: წყალი: და: ტყე: მათითა: სახლ: კართა: ეკლესიითა: ციხ / ითა: ჭურ: მარნითა: კალო: საბძლითა: სასაფლაოთა: მითითა: ბარ / ითა: წყლითა: ნისქვილითა: ველითა: ვენაჯითა: საწნავ: სათესითა: შე / ნითა: და: ოჭრითა საძებრითა: და: უძებრითა: სანადიროთა: საძო / ვართა: ქალითა: სათიბითა: შესავალ: გასავალითა: და: მათის: / მართლის: სამართლიანის: მზლუართა: და : საქმით: ყოვლითურ / თ : უნაკლულოდ: მკვიდრად: და: სამამულედ: ყოვლის: ადამის: ტომის: კა / ცისაგან: მიუდევრად: და: უსარჩლავად: თქვენთვის: შემოგვიწირ / ავს: ცოდვათა: ჩუენთა: შესანდობელად: და: მეფეთ: მეფის: ალექსანდრე / სა: და: დედოფალთ დედოფლის: კახთა: მეფისა: ასულის: ნესტანდარეჯანის: / სადღეგრძელოდ: და ცოდვათა: მათთა: მოტევებად: რათა: კეთილად: / დაიცო: და: მცუელ: და: მფარველ: ექმნა: ორსავე: ცხოვრებასა: / შინა: უწყის: მოწყალემა: და ძვირ: უხსენებელმან: ღ-თმან რომე: ამა / ში: რაც: ბატონის: წყალობა: და მართლის: სამართლიანის: საქმით: / და: ალაღის: თეთრით: ნასყიდი: და: მონაღვანები: არაარის: / სხუა: უსამართლო: და: არამი: არა: ურევიარა: ანე: შეინ / ირე: კინი: და: მცირე: შესანიწავი: ესე: თქვენ: საშინელო: / შვიდთ: ცათ: უმაღლესო: და: ქერაბინთა: უზეშთაესო: ხახ / ულისა: და:

საკურთხევლის: ღ-თის: მშობელი: და: მე: უღირსა: და: ყოველთა: / კაცთა: უცოდველეს: მოსავსა: ძისა: შენისასა: და: მონა / სა: შენსა: ქვარიანს: ზაქარიას: მეოხ: მცუელ: მფარველ: და: ცო / დვათა: მომტვევებელ: და: აღმომწოცელ: მექმენ: აქა: და: დღესა: მას: / დიდსა: განკითხუისასა: წინაშე: ძისა: შენისა: და: ღ-თისა: ჩუენ / ისა: და: განსულასა: მას: სულისა: ჩემისასა: მიწსენით: ბნელ / თა: აერის: მცუელთა: ჴელისაგან: და: ძალნი: იგი: უჩინოის: მტერისა / ნი: შორს: გამიოტნეთ: აწე: ვინცა: და: რამანც: და: ამის: მო / ნათესავემ: ძემან: კაცისამან: ანუ: დიდმან: ანუ: მცირემ / ნ: ანუ: მაღალმან: ანუ: მდაბალმან: ან მდიდარმან: და: ანუ: გ / ლახაკმან: ამა: ჩუენგან: ნაშრომსა: და: სამართლიანად: შენ / ირულსა: ეკლესიისა: ციხესა: სასახლესა: აზნაურიშვილსა: გლესს / ა: მიწასა: და: ალაგს: და: სიგელს: შლად: ქცევად: და: არა: გათავებად: / ჴელყოს და: ეს: ჩუენგან: შეწირული: გამოაწოს: ტაძარსა: თქვენსა: / გენათს: მეუფეო მეუფებათაო: იესო: ქრისტეო: ღ-თო: და ყოველ / ად: წმიდაო: ღ-თის: მშობელი: მარადის: ქალწული: მარიამ: თქვენ: გა / უარისხდით: და ჴკითხეთ: საქაოსა: დღე: მოკლობითა: და საიქაოს: / წაწყმედითა: და ჯოჯოხეთს: გაენაში ჩაგდებითა: შეჩუენებუ / ლ: წყეულ: და კრულ: იყოს: პირველ: ღ-თისაგან: და მერმე: ყოელთ: მისთ: / წმიდათაგან: ზეცისა: და: ქვეყანისაგან: ჴორციელთა: და უწორცო / თაგან: იერუსალემისა: და: ყოელთა: პატრიარქთა: მადლთაგან: / და: საქრისტიანოს: ჯვარხატთაგან: მასმცა: ედების: კეთრი: / გეზისი: შიშთული: იუდასი: ძრწოლა: კენისა: მეხთა: დატ / ეხილობა: დეოსკორესი: ცოცხლივ: დანთქმა: და: თან: და: აბ / ირონისი: და მისიმც: სული: ნურას: სინანულით: ნურც: ნი / რვით: ნურც ლოცვით: და ნურც: გლახაკთ: მიეცემით: ნუ: / იხსნების: საუკუნოსა: სატანჯველისაგან: ხოლო: დამამტკიცებელნ / ი: და მართლიად: მპყრობელნი: ამისანი: და: არის და მკლებელნი: ღ-თნ და: წმიდამან: ღ-თის: / მშობელმან: და: ყოელმან: წმიდამან: / ღ-თისამან: კეთილად: დაიცოს: ორსავე: ცხოვრებასა: შინა: / ამინ: ა-ნ: და: კირიალესონ: დაინერა: წიგნი: და სიგელი: ესე: / ქ-კსა: სამას: ოცდა: თორმეტსა: თუესა: ივნისსა: ხუთსა: / ჴელითა: ყოელთა: კაცთა: უნარჩევსისა: და უცოდველეს / ისა: მწუალებელთაგან: ახლად: მოქცეულისა: და: ნათლის-ღებულისა: / მეფის: კარის: მდივან: მწიგნობარის: გიორგი / ს: ქართველისათა: აგრევე: ამას: გარეთ: ქუთათის: ვაჭარი / ბეშქენის: შვილი: პაპუა: გვიბოძა: მეფემ: ქრთამიც: მივართვით: და: შეგვინ / ირავს: გაენათისა: ხახულისა: და სა-კურთხევლისა: მღ-თისმშობლისათვის: / მეფის: ალექსანდრეს: სადღენგრძელოდ: და: სულისა: ჩვენისა: საოხად: შეიწირე / შენ: საშინელო: და: ცათა: მბაძავო: ხახულისა: გაენათისა: და: საკურთხევლისა: ღ-თის: მშობელი: / ქ: ნებითა: და: შეწევითა: ღ-თისათა: და: წყალობითა: ყოვლად: წმიდ / ისა: ღ-თის: მშობელისათა: ჩუენ: ღ-თივ: გვირგვინოსანი: მეფეთ: მეფე: პატ / რონი: ალექსანდრე: და თანა: მეცხედრე: ჩუენი: დედოფალთ: დედოფალი: კახთა: / მეფისა: ასული: პატრონი: ნესტანდარეჯან: ჩუენად: სადღეგრძელოდ: / და: მეფობისა: ჩუენისა: წარსამართებელად: და: სულისა: ჩუენისა: საოხად: და: / ცოდვათა: ჩუენთა: შესანდობელად: ვამტკიცებთ: სიგელსა: ამას / ა: ამინ:

ლიტერატურა და წყაროები:

1. რ. მეტრეველი – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები; გამ. "ნეკერი", თბ. 2006 წ.
2. მ. ნიკოლეიშვილი – განძი და საგანძური; გამ. "საბჭოთა საქართველო"; 1986წ.
3. მ. ნიკოლეიშვილი – მწვანე ყვავილას ისტორიული ძეგლები; გამ. "საბჭოთა საქართველო"; 1966წ.
4. ქიმ № 139 — ზაქარია ქვარიანის სიგელი

CERTIFICATE OF ZAQARIA QVARIANI

Thousands of historical documents are protected in State Historical Museum of Kutaisi, which have a great importance in studying of economical and political history of any stage of existing of Georgia. There is represented especially large number of middle and late century's documents of West Georgia. They attracted a great attention of specialists a long time ago and it growing day by day. It is difficult to name such work, dedicated to the learning of history of East Georgia, where documents of State Historical Museum of Kutaisi are not used (M. Nikoleishvili, 1986: 44-45).


One of the distinguished certificates which are protected in the museum of Kutaisi is №139. The certificate tells us about the building process of the tower of Mtsvanekvavila and Archangel church. The aim of this article is to publish the document fully. The document is Zaqaria Qvariani donations certificate to the Virgin of Khakhuli (Gelati monastery). Zaqaria Qvariani himself was the spiritual parent of Imeretian king Alexandre III (1639-1660) and also his counselor in political issues.

The protected document shows that Zaqaria Qvariani while being archbishop, built the church of Archangel and the tower in Mtsvanekvavila where he had lands. We have not only the date of building of the church in the document but the date of tower building.

From the text of the document we learn that father of Zaqaria Qvariani bought the land from P. Abashidze and he expands his homeland by the estate presented by the Imeretian king Giorgi III. Zaqaria Qvariani built the tower, the church of Archangel and the house on this territory. The

latter's father settled here at the boundary of XVI-XVII centuries, and his heir after the expanding of his homeland allowed to settle to peasants who were also presented by the king. Of course we have surnames of those peasants: Qelbaqiani, QvaSidze, Chlaidze, QaSibadze, Civadze, Laikmadze, Berechikidze, Mamaladze, Sulaqvelidze, Kakhidze.

As we found out from the above the church of Archangel and the tower were built in the period of Imeretian king Giorgi III. This certificate was investigated from this point of view by Professor M. Nikoleishvili, but full version of it hasn't published until now. To make the document available for the wide range of researchers, we represent the full text of the document. We publish the certificate with absolute accuracy.



მანია ძეგულაძე

უნიკალური მინიატურა ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერში

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული იბაკონი და ლოცვანი — K 258 (XVII ს.) კარგა ხანია ჩვენი ყურადღების ცენტრშია. ვირტუოზული ნუსხა-ხუცური კალიგრაფიით დანერგილი და არაერთი საინტერესო მინიატურით შემკული ეს წიგნი, როგორც ანდერძი ცხადყოფს, „ცოდვითა შებლალული“ მიქელის შემოქმედების ნაყოფია. გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ის არის პირველი ბეჭდური „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორი, „მესტანბეთ უფროსი“, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი, სასტამბო ნუსხა-ხუცური შრიფტის ხელნაწერი ნიმუშის ავტორი [17; გვ.119-120], „დიდად განათლებული მნიგნობარი, ქართული სტამბის მესაძირკვლეთა წრის წარმომადგენელი, ხელნაწერთა გადამწერი და ისტორიულ დოკუმენტთა, მათ შორის სამეფო სიგელთა შემდგენელი, გამორჩეული ზნეკეთილობითა და განსწავლულობით, პოლიტიკურ სარბიელზე ვახტანგ VI-ის უერთგულესი, ქვეყნის ჭირისა და უბედურების საკუთარ თავზე გარდამსახველი“ [15, გვ.113].

ღვთისმშობლის დაუფლომელი — K 258 შემოსილი არ არის XVII-XVIII საუკუნეებისათვის ნიშანდობლივი ტვიფრული ტყავით დაფარული ხის დაფების ყდით, მაგრამ იბაკონში მოცემული მინიატურების გათვალისწინებით, მუყაოს ყდის წინა ფრთის ფორზაცად გამოყენებული ფურცელი, რომელზედაც გამოსახულია კომპოზიცია ზოდიაქოს ნიშნებითა და სხვა სიმბოლოებით, წიგნის შექმნის თანადროულია და მოხატვა გადამწერის შესრულებული უნდა იყოს.

K 258-ში ზოდიაქოს 12 სიმბოლო წარმოდგენილია კონცენტრულ წრეში. ამ წრის გარეთ, მინიატურის ოთხივე კუთხეში ქერუბიმები ხატია, რომელთა შორისაც ზემოთ მზეა ჩასმული, ქვემოთ კი — მთვარე. ცენტრში ცეცხლოვანი, მზიური წრეა, ორმაგი შრითა და გველის მთლიანი სხეულით (დახვეული სახით). პირღია ქვენარმავალს მზერა მიპყრობილი აქვს მალლა. ამ მინიატურას მოსდევს მეორე სიუჟეტი: ფარშევანგებით დამშვენებულ ხის ვარჯზე შემდგარია ჭაბუკი. იგი ხელებით მცენარის ორ განშტოებას არის მოჭიდებული. ხის ფესვებში ხატია გველი. მკაფიოდ ჩანს მისი ღია პირი და ნითელი ენა (იხილეთ სურათი დანართში.). ჩვენი აზრით, ეს ორი მინიატურა ქმნის ერთ მთლიან კომპოზიციას, რომელიც თავისი შინაარსით სრულებითაც არ მოდის წინააღმდეგობაში მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან.

დეკანოზი ბიძინა გუნია ციურ სხეულთა მიმართ მართლმადიდებლური ქრისტიანობის დამოკიდებულების შესახებ ღრმად და ამომწურავად მსჯელობს წიგნში: „ასტროლოგიურ ცრუსწავლებათა მხილება“ [8]. ის ამ თემას განიხილავს სვეტიცხოვლის ფრესკის ფრაგმენტის - „ზოდიაქოს რკალისა“ და მცხეთური დავითნის (A - 38 ხელნაწერის) მიხედვით. ნაშრომში ხაზგასმით არის მითითებული, რომ მართმადიდებლობა ზოდიაქოს ნიშნებს კი არ უარყოფს, არამედ მკითხაობას. ეკლესია გმობს და ამხელს ციური მნათობების მეშვეობით ადამიანთა ბედზე ცრუბრძნობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის წინააღმდეგი ხილული ცის თანავარსკვლავედად დაყოფისა და სხვადასხვა ასტრონომიული და, მათ შორის, ზოდიაქური გამოთვლების. არაერთი ქართული ხელნაწერი (A 85, H 1670, S 34, S 38) შეიცავს ქრონოლოგიურ-პასქალურ გამოთვლებს. მცხეთურ დავითნში (A 38) სხვადასხვა გამოთვლათა ამსახველი 21 ფრაგმენტი და 2 ცხრილია წარმოდგენილი, რომლებსაც პირობითად 4 ჯგუფად ყოფენ. მესამე ჯგუფის ოთხი ფრაგმენტი სწორედ ზოდიაქურ გამოთვლებს ეხება[8], მაგრამ იქ მინიატურა ზოდიაქოს წრით არსად გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენ ვერსად მივაკვლიეთ ისეთ სასულიერო ხელნაწერ ან ბეჭდურ წიგნს, რომელშიც ფერწერული ნიმუშის სახით რომელიმე კომპოზიციაში მოცემული იქნებოდა 12 თანავარსკვლავედი. დეკანოზი ბიძინა გუნია წერს, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებშიც, როგორც

გამონაკლისი, ზოდიაქოს გამოსახვის მხოლოდ ორი შემთხვევაა ცნობილი: 1) ათონის მთაზე, დიდი ლავრის მონასტერში უფლის დიდების ფრესკაზე (XVIII ს.) და 2) სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ განფენილი მხატვრობის ცენტრალურ ნაწილში (XVII ს.) [8]. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ზოდიაქოს ნიშნებიანი მინიატურის არსებობა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ იბაკონსა და ლოცვანში (K 258) გამორჩეულად საყურადღებოს ხდის ამ ისედაც უზომოდ საინტერესო წიგნს.

სამყარო თვითმყოფადი არ არის, იგი ღვთის მიერაა შექმნილი. მზე, მთვარე და ვარსკვლავები ღმერთმა მეოთხე დღეს დასხა ცაზე. წმინდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ „ციური მნათობები ადამიანთა კეთილდღეობისათვის გააჩინა უფალმა და ამით გვიჩვენა, თუ როგორ აფასებს იგი ადამიანთა მოდგმას და გვასწავლის იმას, რომ ჩვენ, ამით ძღვანებულებმა, მისი სადარი პატივი მივაგოთ შემოქმედს. და როგორი უგნურება იქნებოდა, ციურ ქმნილებათა სილამაზით მოხიბლულნი, მათზე რომ შევჩერდეთ, და არ აღვაპყროთ გონიერი მზერა უფლისაკენ.“ [23, გვ. 10] ციური სხეულები მორწმუნე ადამიანს ღვთის სიტყვის მორჩილ აღმსრულებლადაც წარმოუდგება. ისინი „რჩებიან საკუთარ საზღვრებში, არასოდეს გადადიან დადგენილ მიჯნას და ამასთანავე ღვთის სადიდებელსაც აღავლენენ.“ [23, გვ.10].

წმ. ბასილი დიდი წერს „ადამიანთა ცხოვრებისათვის აუცილებელია მნათობთა ნიშნები, რადგან თუკი ვინმე მათი გამოძიებისას ზომას არ გადავა, ხანგრძლივი გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგად მრავალ სასარგებლო რამეს აღმოაჩენს. ბევრ რამეს ისწავლის თავსხმა წვიმებზე, ბევრსაც გვალვებსა და როგორც ადგილობრივ, ისე იმ ქართა აღძვრის თაობაზე, რომელნიც ყველგან ქრიან.“ [2. გვ 270].

ვარსკვლავთმისნობას დიდ ცოდვად მიიჩნევს წმინდა წერილი, სჯულის კანონი, მართმადიდებელ წმინდა მამათა სწავლება.

სატანით ცდუნებულ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ზოდიაქოს ნიშნებით შეიძლება ადამიანის მომავალი ცხოვრების წინასწარმეტყველება. გ. მესხიშვილი ამის თაობაზე წერს: „ეშმაკი უძღურია ყოვლისშემძლე შემოქმედის წინაშე და თავიანთ მზაკვრობას ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის შესაცდენად მიმართავს, რათა ისიც უფლის წინააღმდეგომი და თავისი მსგავსი გახადოს; ის ზოგს ამკარა ბოროტებას შთააგონებს, სხვებს კი თაფლით შეზავებულ სანამლავს სთავაზობს“.

ზოდიაქოს ნიშნებით ადამიანის ბედის განსაზღვრის შესახებ და ასტროლოგიური „წინასწარმეტყველების“ ახდენის თაობაზე წმინდა იოანე ოქროპირი მიუთითებს: „როგორ იტყვი შენ, განა რაც იწინასწარმეტყველეს ასტროლოგებმა, მრავალი მათგანი არ ახდაო? და რადგან შენ თვითონ განიშორე ღვთის შეწევნა, უგულებელყავ ღვთიური სწავლება (და მათ შორის ისიც, რაც ყოველგვარი მისნობის უარყოფას ეხება) და საკუთარი თავი ადამიანთა ხსნის საღვთო განგებულების მიღმა დააყენე, ეშმაკი თავისი ნებით მართავს და განკარგავს შენს საქმეებს, მაგრამ ის (ანუ ეშმაკი) არ იქმს ამას წმინდანებთან მიმართებაში და თუნდაც ჩვენ, ცოდვილების მიმართ, რადგან ერთობ გვძაგს და განვეშორებით ამგვარ წინასწარმეტყველებებს“. [22; გვ758]

VIII საუკუნეში მოღვაწე უდიდესი წმინდა მამა იოანე დამასკელი წერს: „ელინები ამბობენ, რომ ვარსკვლავებისა და, აგრეთვე, მზისა და მთვარის ამოსვლის, ჩასვლისა და მათი თანშეყრის შედეგად განეგება ყოველივე ჩვენეული. ამის შესახებ არსებობს ასტროლოგია. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ის ნიშნები, რაც მათგან ხდება, ეხება წვიმასა და უწვიმრობას, სიგრილესა თუ სითბოს, სინოტივესა თუ სიმშრალეს, აგრეთვე ქარს და სხვა ამგვარს, მაგრამ არანაირად – ჩვენეულ საქმეებს; თვითუფლებრივნი დავიბადეთ ჩვენ შემოქმედისაგან, რის გამოც ჩვენეულ საქმეთა უფროსები ვართ.“ [9, გვ 352-352].

ქართულ სინამდვილეში ზოდიაქოს გამოსახვის პრეცედენტი მხოლოდ მცხეთის ფრესკისა

და ქუთაისის მუზეუმში დაცული იბაკონის ილუსტრაციის სახით, ჩვენი აზრით, შემთხვევითი დამთხვევა სულაც არ არის. ფ. დევდარიანის გამოკვლევით, სვეტიცხოვლის აღმშენებლობა XVII საუკუნეში დაკავშირებულია კათალიკოს ნიკოლოზ იოთამის ძე ამილახორის სახელთან. [7] თავისი ეპოქის ეს თვალსაჩინო ფიგურა მიკუთვნებოდა ქართველ მოღვაწეთა იმ დასს, რომლის უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა მაჰმადიანური აგრესიის პირობებში ქვეყნის სულიერი, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების წინსვლა. იგი საქართველოს კათალიკოსი იყო 1678-1688 და 1691-1704 წლებში [13, გვ 68-69]. გარდაიცვალა 1704 წელს და პ. კარბელაშვილის ცნობის თანახმად, დამარხულია სვეტიცხოველში „საკურთხეველის ჩრდილოეთით ეკვდერში შესავლის მარცხნივ“ [11, გვ.129]. კათალიკოს ნიკოლოზის მოღვაწეობა იყო მრავალმხრივი. განსაკუთრებული ინტენსიური ხასიათი მის საქმიანობას სწორედ სვეტიცხოვლის ტაძარში ჰქონდა. მან ტაძარს შესწირა ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ბევრი რელიგიურ-რიტუალური ნივთი, ოქრომკედით ნაქარგი ძვირფასი საეკლესიო ქსოვილები. [10, გვ 65-67]. დღემდე არსებული წარწერის თანახმად, კათალიკოს ნიკოლოზის სახელს უკავშირდება უწმინდესი სვეტის - „სვეტიცხოველისა“ და მის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ტაძრის ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო კედლის მოხატვა [10, გვ. 65]. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ კათალიკოს ნიკოლოზის თაოსნობით იქნა აღდგენილი სამხრეთის კედელი, რომლის ფრესკაზეც აისახა საქართველოში და მთელს მსოფლიოში უიშვიათესი კომპოზიცია ზოდიაქოს ნიშნების წრით. ამავე კედელზე არის 1685 წელს შესრულებული წარწერა, რომელიც გვაუწყებს: „ჩვენ ქართლისა კათალიკოსმან ამილახორის იოთამის ძემან ბატონმა ნიკოლოზ განგიახლე მეორედ კედელი ესე...“ [14, გვ. 504]

სვეტიცხოველს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავდა ადგილზე შექმნილ ორიგინალურ ნაწარმოებებს და აქვე გადაწერილ ხელნაწერებს, აგრეთვე, სხვადასხვა პირთა მიერ შემონიშნულ წიგნებს. კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორმა დიდი ამაგი დასდო ამ ბიბლიოთეკის გამდიდრებას და იზრუნა იქ დაცულ ხელნაწერთა რესტავრაციაზე: „ძველ წიგნებს რა გაახლება, ჩამატება და შეკურა უნდოდა ყუელა გავაკეთებინე თვით თვისა შიგან სწერია“ [10, გვ. 67]. საყურადღებოა, რომ კათალიკოსის მიერ შეწირულ წიგნთა შორის, როგორც ანდერძები ცხადყოფს, არის მისი დაკვეთით გადაწერილი გულანი (A 30-31-32) და ლეთისმშობლის დაუფდომელი (H 98). პირველი, რომელიც დიდი ზომის ნუსხაა, მიქელისა და საბას ერთობლივი ნაღვანია, ხოლო მეორე მთლიანად მიქელის მიერაა გადაწერილი და მოხატული. ამ წიგნთა მინიატურებზე დაკვირვების შედეგად ფ. დევდარიანი წერს: „მიქელისა და საბას ილუსტრაციებს სტილისტურად უკავშირდება მონუმენტური მხატვრობის ძეგლებისა და მინიატურების ჯგუფი, რომელიც შესრულებულია ქართლში XVII საუკუნის მეორე ნახევარში.“ [7, გვ.60]

წიგნები H 98 (დღესდღეობით ის დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) და K 258 მიქელის მიერაა გადაწერილი. რამდენიმე წლის წინ ამ ორი ხელნაწერის შედარებისას დადასტურდა კალიგრაფიის იდენტურობა და, აგრეთვე, გამოვლინდა, რომ ეს ორი ხელნაწერი თითქმის ორეული წიგნებია. მსგავსება იმდენად დიდია, რომ ზერელე დაკვირვებით ამ ორი იბაკონის ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელია. [17, გვ. 119]

ყოველივე აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ K 258-ისა და სვეტიცხოვლისათვის ნიკოლოზ ამილახორის მიერ შეწირული წიგნების გადამწერ-მხატვარი მიქელი მიეკუთვნება იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთა შესახებ პ. კარბელაშვილი წერს: „ნიკოლოზმა მოუყარა თავი საუკეთესო მხატვართ და წიგნთა გადამწერ კაცებს და აწერინებდა მხატვრობიან საელესიო წიგნებსა.“ [11, გვ.108]

ნათელია, რომ XVII საუკუნის ოთხმოციან წლებში მიქელი მოღვაწეობდა სვეტიცხოველში. ხელნაწერ წიგნსა და ტაძარში მოცემული ზოდიაქოს ნიშნების გამოსახვაში იდენტურობა არ იკვეთება,

მაგრამ მაინც შეიძლება ვარაუდი იმისა, რომ მიქელი უშუალოდ მონაწილეობდა სამხრეთის კედლის ფრესკის შექმნაში. მას ხომ თავისი ეპოქის ერთობ საინტერესო მხატვრად მიიჩნევენ: ნ. კონდაკოვი [12], რ. შმერლინგი [18], შ. ამირანაშვილი [20], ვ. ბერიძე [4] და ფ. დევდარიანი [7]. ფ. დევდარიანის აზრით, მისი მინიატურები სტილისტურად სწორედ ფრესკული ფერწერის გავლენას ამჟღავნებს. [7, გვ 60]. რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია, მაგრამ იმ შემთხვევაშიც თუ K 258-ის გადამწერს ზოდიაქოს მონუმენტურად გამოსახვის მიზნით ფუნჯი არ მოუსვია, აშკარაა, რომ სვეტიცხოვლის სამხრეთ კედლის ფრესკის ავტორი და მიქელი ერთიდაიგივე სულისკვეთების მოღვაწეები არიან და, რომ კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორის მიერ ჩამოყალიბებული მნიგნობარ-შემოქმედთა ჯგუფის მაღალი სამეცნიერო ცოდნა და ღრმა სასულიერო განცდები დაედო საფუძვლად ზოდიაქოს ნიშნების ყოველმხრივ გამართლებულ გამოსახვას როგორც ქრისტიანულ ტაძარში, ასევე იმ ხელნაწერ ნიგნში, რომელიც ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული. აქვე გვინდა გამოვთქვათ ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ზოდიაქოს ნიშნების (მართლმადიდებლური ფერწერისათვის ამ იშვიათი სიმბოლოების) ეკლესიაში გამოსახვის გამოცდილება საქართველოში XVII საუკუნემდეც არსებობდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, სვეტიცხოვლის სამხრეთ ფრესკის წარწერაში კათალიკოსი უთითებს: „განგაიხლე მეორედ კედელი ესე“ [14.გვ. 504]. შესაძლოა, კედლის გაახლებაში ანუ რესტავრაციაში იგულისხმება ძველი, დროთა განმავლობაში იავარქმნილი ფრესკის აღდგენაც.

ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი ფრიად განსწავლული მოღვაწე იყო. პირველი ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგ მეექვსემ და მან ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერულ რუსთველოლოგიას. ცხადია, რომ მას მრავალმხრივი განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ იგი არ მოქცეულა წარმართული ხანისა თუ თავისი თანამედროვე სხვა რჯულის წარმომადგენლების ცრუსწავლებათა გავლენის ქვეშ. მიქელი მოღვაწეობდა XVII-XVIII საუკუნეებში. ეს პერიოდი მცირე რენესანსად წოდებული ეპოქაა საქართველოსათვის. ამ დროს დიდი წინსვალა განიცადა ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგმა და მათ შორის ასტრონომიამაც. მაგრამ ამავე დროს სპარსულიდან ითარგმნებოდა ისეთი თხზულებებიც, სადაც ერთმანეთში აღრეული იყო ასტროლოგია და ასტრონომია. მიქელის აზროვნებაზე ფსევდომეცნიერული ნაშრომების შემოქმედების კვალი არ ასახულა. ამ მოღვაწეს კარგად მიესადაგება გიორგი მერჩულის მიერ გრიგოლ ხანძთელთან მიმართებით დაწერილი სიტყვები: „სიბრძნეცა იგი ამა სოფლისა ფილისოფოსთაჲ ისწავლა კეთილად, რომელი იპოვის სიტყუაჲ კეთილი, შეინწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის.“ [6. გვ.133] დაუფდომელში ზოდიაქოს ნიშნებით მიქელმა გამოსახა ცის სფეროს ფონი. მართლმადიდებლური ქრისტიანობა მოცავს ზეცას, ცას და დედამიწას. არქიმანდრიტი რაფაელი წერს: „რადგანაც ადამიანების გონება სიმბოლური აზროვნებისაკენ იყო მიმართული, ამიტომ ცის სფეროს ზოდიაქოს ნიშნებით გამოსახავდნენ. ალეგორიული გამოსახვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს ასტროლოგიასთან, მით უმეტეს, რომ თვით ზოდიაქოს ნიშნებს ძალიან პირობითი ხასიათი აქვს. ასტრონომიული სიმბოლიკა არ გულისხმობს ასტროლოგიურ აზროვნებას. ჩვეულებრივ, ანბანის შესასწავლ ნიგნებში, ასოების უფრო იოლად დასამახსოვრებლად, ანბანს სხვადასხვაგვარი საგნებისა და ფიგურების სახით გამოსახავენ, ამგვარად მყარდება ასოციაციური კავშირი პირობით ნიშანსა და გრაფიკულ გამოსახულებას შორის. ზოდიაქოს თორმეტი ნიშანი აღნიშნავს დედამიწიდან, როგორც წარმოსახვითი ცენტრიდან, დანახულ ცის თაღს.“ ამ ცის თაღის მაღლა არის ზეცა, სასუფეველი. 181-ე ფსალმუნი გვამცნობს: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღვთისასა და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო“. მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურების ციკლებში ცხადდება, რომ ეკლესია კოსმიური ღვთისმსახურების თანაზიარია; ცისკრის ჟამნის ლოცვები, როგორც დეკანოზი ბიძინა გუნია უთითებს, იწყება 148-ე ფსალმუნის 1-3 მუხლებით: „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა. აქებდით მას ყოველნი ძალნი მისნი, აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი

მისნი, აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ყოველნი ვარსკვლავნი”. [8] ზოდიაქოს ნიშნების წრის არსებობა იბაკონში უფლის დიდებისა და მეორედ მოსვლის გასააზრებლად მოცემული. ამ კომპოზიციაში ქერუბიმთა გამოსახვა შემთხვევითი, რა თქმა უნდა, არ არის. სახელი ქერუბიმი ნიშნავს სიბრძნის გარდამოსვლას, განათლებას [24]. გრიგოლ ღვთისმეტყველი ამ დასის ანგელოზებს უწოდებს არა მარტო ქერუბიმებს, არამედ „გონისმიერ ძალებს” ანუ „გონებანს” [32]. ნებისმიერი მეცნიერული ცოდნა და მათ შორის ასტრონომიულიც, უპირველეს ყოვლისა, დაფუძნებული უნდა იყოს ღვთიურ სიბრძნეზე. ამ სულისკვეთებით ავსებენ ქერუბიმები მორწმუნეთა გულებსა და გონებას. მინიატურაზე მოცემული მათი გამოსახულებები ღვთისშვილთა მზერას მიმართავენ ცათა სასუფევლისაკენ, ანგელოზთა უკლებლივ ყველა დასისაკენ. ამ დროს კი მორწმუნეთა ფიქრები უკავშირდება მეორედ მოსვლას, დიდებით მოსილ ქრისტეს: „რა ჟამს მოვიდეს ძვ კაცისა დიდებითა თვისითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თვისისათა (მათეს სახარება, 25. 31 [5; გვ.])”.

k 258-ის მინიატურის კომპოზიციაში გველის გამოსახულება ორჯერ გვხვდება. ამ ქვენარმავლის სახისმეტყველება ძალიან რთულია. მინიატურის შინაარსის აღსაქმელად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიმბოლოთა წვდომას. „სიმბოლო უძირითადესი ენაა ქრისტიანობაში. იგი გამოიყენება ფაქტებზე, რომლებიც იყო, რომლებიც მიმდინარეობს და რომლებიც მოვა... სიმბოლო უმთავრესია მთელს ლიტურგიაში, წირვა სიმბოლოთმეტყველებაა მთლიანად, რომელიც საოცრად ერწყმის ექვარისტიულ რელობას. სიმბოლოებითაა სავსე ძველი აღთქმა, რომელიც ახალ აღთქმაზე იუნყება და ახალი აღთქმა, რომელიც უფლის მეორედ მოსვლისათვის გვამზადებს... ეს ამოუწურავი თემაა, ძალიან საინტერესო, ძალიან სავსე. სიმბოლო ამოძრავებს ხატმწერს, სიმბოლოთი გალობს მგალობელი, სიმბოლოებით იქარგება საეკლესიო შესამოსელი. სიმბოლოა ყველაფერი ეკლესიაში: სანთელი, კანდელი, საკურთხეველი, სანათლაგი, ზარი, საკმეველი... სიმბოლოა არქიტექტურა (გუმბათი, ნავი, სვეტები...), ფერწერა ტაძრის კედელსა თუ სასულიერო ხელნაწერ ნიგნში. სიმბოლო ქრისტიანობაში ცოცხალია, ისაა არა მხოლოდ რაიმე ნიშანი რაიმეს გამოსახატავად ან რაიმეს გასახსენლად, არამედ ესაა მადლმოსილი ნიშანი”[31].

გველი ძველ აღთქმაში სატანაა, რომლის ძალისხმევითაც ადამიანი მოკვდავი გახდა და დაეხშო ის ბჭე, საიდანაც ღვთებრივ სიბრძნეს შეიმეცნებდა (დაბადება; 3; 1 — 24 [5; გვ 3]). მეორე მხრივ, ამ ქვენარმავლის სიმბოლიკას აქვს პოზიტიური მნიშვნელობაც. ძველ აღთქმაში, დაცემიდან კარგა ხნის შემდეგ, ღმერთმა ისრაელის ძეთ გველი მიუვლენა თავდაპირველად დასასჯელად, შემდეგ კი – მხსნელად: „და მოუვლინა უფალმა ხალხს შხამიანი გველები და დაკბინეს ხალხი, და დაიხოცა მრავალი ისრაელიანი. და მივიდა ხალხი მოსესთან და უთხრა: „შეეცოდეთ, რადგან ვილაპარაკეთ უფლისა და შენს წინააღმდეგ. ილოცე უფლის მიმართ, მოაშოროს ჩვენგან გველი” და ილოცა მოსემ ხალხისათვის. და უთხრა უფალმა მოსეს: „გააკეთე შენთვის გველი და დაამაგრე კეტზე, და ყოველი დაგესლილი, ვინც მას შეხედავს, ცოცხალი დარჩება”. და გააკეთა მოსემ სპილენძის გველი და დაამაგრა იგი კეტზე. და თუ დაგესლავდა გველი კაცს და შემდეგ შეხედავდა იგი სპილენძის გველს, ცოცხალი რჩებოდა.” (რიცხვთა; 21. 5-9 [5; გვ. 156]). ამ ბიბლიური პასაჟის სახისმეტყველება განიმარტება იოანეს სახარებაში თვით იესო ქრისტეს ფრაზით, რომელსაც იგი ეუბნება იუდეველთა მთავარს, ფარისეველ ნიკოდემოსს: „როგორც მოსემ აღამალა გველი უდაბნოში, ასევე უნდა ამალდეხ ძე კაცისა”(იოანე; 3. 14 [5; გვ. 112]). უფრო მეტი პოზიტივი გველთან მიმართებით წარმოუდგენელია. როგორც ვხედავთ, იოანეს სახარებაში იგი სიმბოლოურად იესო ქრისტეს უკავშირდება. შატბერდის კრებულში დაცულია ბასილი დიდის „მწვეცთათვის სახის სიტყუა”, სადაც ამ ქვენარმავლის შესახებ ვკითხულობთ: „სახისმეტყუელმან თქუა: სამი სახვ არს გუელისაჲ. პირველი სახვ: რაჟამს დაბერდის და თუალთა მოაკლდის და ჰნებავნ განჭაპუკებაჲ, მარხვად დგის და მწნდის,

და იმარხის გუელმან მან ორმოც დღე და ორმოც ღამე, ვიდრე ტყავი განეველტის და განუთხნის. იძიის ნაპრალი და პოვოს კლდისაჲ იწროჲ და შექდის იწროდ და გააგდის ტყავი იგი მისი ძუელი და განჭაპუკნის. ისმინეთ, რომელმან იგი თქუა: „ისწრაფედ შესლვად იწროსა მას კარსა და ძნელსა, რომელნი მიავლინებენ ცხორებად საუკუნოდ“. მეორც სახც გუელისაჲ რაჟამს მივიდის მდინარედ სუმად, არა მიიღოს გესლი იგი მის თანა, არამედ მუნ ქუბასა ანუ ჭურელსა დადვის. ეგრეცა ჩუენდა ღირს, რაჟამს შევკრბეთ ეკლესიად სმენად და სუმად წყლისა ცხოველისა სამარადისოჲსა, სმენად საღმრთოჲ სიტყუაჲ ეკლესიასა შინა, და არცალა ჯერ — არს ჩუენ თანა მიღებად გესლი იგი ქუეყანისაჲ ამის, ბილნად სავსც, თხლც შეზავებული, გულის თქუმაჲ და ზრახვაჲ უკეთურებისაჲ.” [5. გვ. 181] ლ. გაბრიელაშვილი თავის ნაშრომში „ცხოველთა პარადიგმული სახე-სიმბოლოები ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ნიგნთა ძველ რედაქციებში“ განიხილავს ზემოთ მოტანილ ციტატას და წერს, რომ გველის ტყავის გამოცვლა, ანუ გაახალგაზრდავება აღიქმება ქრისტიანულ განწმენდად და ძველი ცხოვრების ახლით შეცვლად, ხოლო მდინარეში უშხამოდ ჩასვლის ჩვეულება სიმბოლოურ აზროვნებაში გადატანილია ადამიანზე, ეკლესიაში სალოცავად შესულ ქრისტიანზე, რომელიც ცხოვრების წყაროს ენაფება და ცდილობს განწმენდილი, ყოველგვარი ვნებისაგან დაცლილი წარსდგეს უფლის სახლში. [28]

გველს უკავშირდება ცდუნებაც და სიბრძნეც. „იყავით გონიერნი, როგორც გველნი, და უმანკონი, როგორც მტრედნი“ – ეუბნება მაცხოვარი თავის მოწაფეებს (მათეს სახარება, 10.16 [5; გვ.12]) სიმბოლოთა ელექტრონული ლექსიკონის მიხედვით, „დახვეული სახით გველი არის სიმბოლო მუდმივი მოძრაობის, მოვლენების ციკლურობის, დინამიურობის, სიბრძნის.“[34] ამ დატვირთვითაცაა გველი გამოსახული ზოდიაქოს წრის ცენტრლოვან ცენტრში. იგი მიაწმენებს იმაზე, რომ უფლის მიერ ზოდიაქოს თანავარსკვლავედს ადამიანის საკეთილდღეოდ მინიჭებული აქვს ციკლური ცვლილებების უნარი და ამ მოვლენების სწორად შეცნობა აუცილებელია. სიბრძნე და მეცნიერება სულიწმინდის ნიჭის შვიდეულში შედის. სიბრძნის სიმბოლოა გველი. ამ ქვეწარმავლის ძველებრაული სახელწოდებაა „ნაჰამ“, რომლის ძირიც „ჰამ“ ქართულად ნიშნავს ძიებას, წვდომას, საიდუმლოს ახსნას. [38] უიშვიათესი მინიატურა ზოდიაქოს ნიშნების, გველის გამოსახულებებითა და სხვა სიმბოლოებით ავტორმა ღვთისმშობლის დაუფდომელში ჩართო, რაც წინასწარგანზრახვის გარეშე, რა თქმა უნდა, არ მოხდებოდა. ქალწულმა მარიამმა შობა მაცხოვარი. ადამის პირველქმნილ ცოდვას, რომელიც დაბადებისთანავე თან დაჰყვება ყოველ ადამიანს, ამარცხებს ნათლობისა და აღსარების საიდუმლო, მონანიება, ქრისტესთან ზიარება. საბერძნეთში, კუნძულ კეფალონიაზე, სოფელ მარკოპოლოს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაბრძანებულია ხატი, რომელსაც ეწოდება „პანალია ფედუსა“, რაც ქართულად ნიშნავს გველებიანი ღვთისმშობლის ხატს. ნელინადში ერთადერთხელ, დედათა შორის უწმინდესის ხსენების დღეს, შხამიანი გველები აღარ არიან გესლიანები. შედიან ტაძარში, ეხვევიან, თაყვანს სცემენ პანალია ფედუსას და მშვიდად დასრიალებენ მორწმუნეთა ხელებზე [36]. ეს სასწაული, რომელიც უკავშირდება წარსულში ამ ეკლესიაში მოღვაწე მონაზვნებს, არის ნათელი მინიშნება იმისა, რომ ყოველთვის და, მით უმეტეს, ღვთისმშობელთან მიმართებაში, გველი ბოროტებას არ განასახიერებს. ციური სამყაროდან ღვთისმშობლის სიმბოლოებია ცისარტყელა და მზე. სიმბოლოთა ელექტრონული ლექსიკონების მიხედვით, გველი დადებითი შინაარსით, როგორც სიმბოლო, შეიძლება ნიშნავდეს ცისარტყელასაც („ციური გველი ეს იგივე ცისარტყელაა, რომელიც ხიდია მინიერი და ზეციური სამყაროსი.“ – [34]) და მზესაც („გველი, როცა ეხვევა ღვთისმშობელს, არის მზის ემბლემა“ – [35]). შესაძლოა, იბაკონის მინიატურაზე მზიურ გარსში ჩასმული გველის გამოსახულებით მუდგანდება ამ ქვეწარმავლის პოზიტიური ბუნება, რომელიც დაკავშირებულია ღვთისმშობელთან. გველის დადებითი სახისმეტყველების მიუხედავად, ის მაინც ასოცირდება უარყოფითი შინაარსის მატარებელ სიმბოლოდ. ამის გათვალისწინებითაც,

მინიატურაზე გველის ყოველგვარი აგრესიულობა და ბოროტება დაძლეულია. იგი ცეცხლოვანი ორმაგი წრითაა შემოსაღვრული, ჩაჭერილია მანათობლის შეკრულ სივრცეში. ამ მზიური წრით ნაჩვენებია ყოვლადწმიდა მარიამისა და მაცხოვრის მეოხება, სატანისა და სიკვდილის დამარცხება, ეშმაკის უძღურება ყოვლისშემძლე შემოქმედის წინაშე. ახალი აღთქმის ბოლო წიგნში წითელი გველეშაპის ანუ ძველი, დასაბამის გველი-სატანას მიერ იდევენება ფეხმძიმე ქალი. იბაკონის ზოდიაქოებიანი მინიატურა გონებაში აცოცხლებს აპოკალიფსში ამ ქალის წარმოჩენის პირველ პასაჟს: „გამოჩნდა ცაში სასწაული დიდი: ქალი, რომელსაც ემოსა მზე. მის ფერხთით იყო მთვარე და მის თავზე გვირგვინი თორმეტი ვარსკვლავით.“ ეშმაკმა ვერ ჩაყლაპა ამ ქალის მიერ ნაშობი ვაჟი. ბავშვი „ატაცებულ იქნა ღმერთთან და მის ტახტთან.“ მან „უნდა მწყემსოს ყველა ხალხი რკინის კვერთხით“. გადარჩა ქალიც. იგი ვერ დაღუპა სატანამ. (გამოცხადება, 12. 1-17 [5; გვ 308-309]).

იბაკონის დასაწყისიდანვე იკითხება ფრაზები: „გიხაროდენ დაცემულისა მის ადამის აღდგომას, გიხაროდენ ცრემლთა ევახსთა განმაქარვებელს“, „გიხაროდენ ვარსკულავს, მომფენელო მზისას“, „გიხაროდენ კიბეო ზეცისას, რომლისა მიერ გარდამოჴდა ღმერთი, გიხაროდენ ჳიდო ნიაღმეყვანებელო ქუეყანისათაო, ცად მიმართ,“ „გიხაროდენ ეშმაკთა მრავალსაგოდებელო წყლულებას“, „გიხაროდენ ბრძენთასა ზემთაქმნილო მეცნიერებასა“, „გიხაროდენ მორწმუნეთა განმაბრწყინებელო მცნობელობასა“. ყოველივე ეს ნათელყოფს, თუ რა მიზნით შეიძლება იყოს მოცემული ამ ტიპის მინიატურა ღვთისმშობლის დაუფდომელში. ხილული და უხილავი ციური სამყარო უფლისაგან არის შობილი და კაცთა მოდგმისათვის ამ სამყაროსთან სულიერი კავშირის მეოხი და სიმბოლური კიბე დედალღვისაა. ღვთისმშობლის დაუფდომელი და ყველაფერი, რაც დაკავშირებულია დედათა შორის უწმინდესთან, უპირველეს ყოვლისა, ფიქრის მოძრაობით მიემართება ვედრების ღრმად გაცნობიერებისაკენ. ვედრება უკავშირდება ამაღლებული, დიდებით მოსილი, ყოვლისმპყრობელი ქრისტე-მსაჯულის გამოცხადებას. ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ყველა ლოცვა სანინდარია საშინელ სამსჯავროზე ჩვენი სულების შევედრებისა და ეს გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ არ გვობიძგოს ეშმაკმა ცოდვებისაკენ და, მათ შორის, ასტროლოგიური ცრუმეცნიერების გზისაკენ. როგორც გველის სიმბოლიკა არის დუალისტური, ასევე დუალისტური შეიძლება იყოს ადამიანის დამოკიდებულება ციური მნათობებისადმი. ზოდიაქოს ნიშნებისათვის ადამიანის ბედ-იღბლის წინასწარ გამოცნობის ან ცხოვრების განგების მისიის მინიჭება არის ცოდვა, რომელსაც საერთო არა აქვს ასტრონომიულ ცოდნასთან. შესაქმის მეოთხე დღის ნაყოფი – ხილული ცის სამყარო: მზე, მთვარე, ზოდიაქოს თანავარსკვლავედი და ყველა მნათობი უხილავ ზეციურ (ანგელოზთა დასთა) სასუფეველთან ერთად ემორჩილება და ადიდება უფალს. მორწმუნე ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება არის სამზადისი ამ ზეციურ ჰარმონიაში ადგილის დასამკვიდრებლად. ეს არის ამ მინიატურის უმთავრესი სათქმელი. ორი სიუჟეტისაგან შემდგარი კომპოზიციის პირველ ნაწილში ქერუბიმები საყვირებით და ცეცხლოვანი მნათობი ოცდაოთხი ქიმით გვაკავშირებს აპოკალიფსის სცენებთან და, უპირველეს ყოვლისა, შეგვახსენებს ოცდაოთხი უხუცესის სიტყვებს: „შენ ღირსი ხარ, უფალო და ღმერთო ჩვენო, რომ მიიღო დიდება, პატივი და ძალა, ვინაიდან შენ შექმენი ყოველივე და შენი ნებით იყვენ და იქმნენ (გამოცხადება – 4.11 [5; გვ. 303])“ როგორც გამოცხადებაში წერია, ეშმაკი და ცრუწინასწარმეტყველი ჩავარდებიან ცეცხლისა და გოგირდის ტბაში და დაიტანჯებიან უკუნითი უკუნისამდე. ცეცხლისავე ტბაში ჩაიყრება სიკვდილი და ჯოჯოხეთი, ყველა, ვინც არ იყო ჩანერილი სიცოცხლის წიგნში. ეს არის მეორე სიკვდილი, ცეცხლის ტბა (გამოცხადება – 20. 10,14,15 [5 გვ.: 315-316])

მინიატურის მომდევნო ნაწილი მორწმუნეთა ფიქრებს წარმართავს ახალი ცის, ახალი დედამიწის, ახალი იერუსალიმის, სიცოცხლის წყლის მდინარისა და სიცოცხლის ხისაკენ (გამოცხადება – თავები: 21; 22 [5; გვ.: 315-318]), მინიატურაზე მოცემული ხეს, რომლის ფესვებშიც გველია ჩაბუდებული, არ ასხია აკრძალული ნაყოფი, არც მასზე მდგარი ჭაბუკია შიშველი; ეს უკვე ახალი აღთქმის სამყაროა. წმინდა ბასილი დიდი წერს: „მესამე სახე გუელისა: რაჟამს იხილის შიშველი, ეტრფიალის, და თუ

იხილის შემოსილი, ზედა მიუწდის. და ჩუენ ესე გამოჩინებულად გულისხმა-ვყოთ. მამაა ჩუენი ადამი ვიდრე შიშუელ იყო სამოთხესა შინა, მუნ ვერ ჰკადრა ზედა-მისვლად ბოროტმან ეშმაკმან.” [3. გვ.181] მინიატურის ავტორის გადაწყვეტა, ჩემი აზრით, ცხადყოფს, რომ მან „გამოჩინებულად გულისხმა-ჰყო“ გველის მესამე სახისმეტყველება. მხატვრმა აჩვენა, რომ სამოსის ალეგორია პირდაპირ კავშირშია სატანასთან და მის დამარცხებასთან. პირველი ორი ადამიანი, როცა შეუმოსავი იყო, გველის არა თავდასხმამ, არამედ ცბიერებამ დალუბა. სასუფეველში მათ მოსანანიებელი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ცოდვით დაცემის შემდეგ სამოთხიდან რომ არ გამოძევებულიყვნენ, სინანული იყო საჭირო. უფალმა მათთან ურთიერთობისას ამას ვერ მიაღწია. ადამი და ევა დაწყველილი ტანსაცმლით შეიმოსნენ. მათ უკვე მუდმივად თან სდევდათ გველის არა მარტო ცბიერების, არამედ აშკარა აგრესიის – თავდასხმისა და დაგესვლის შიში. ასე გრძელდებოდა თაობიდან თაობაში. იესო ქრისტეს წამებით განხორციელდა კაცობრიობის ცოდვების მოინანიება. უფალმა ახალი აღთქმით ადამიანის მოდგმას ძველი სამოსი მოაშორა და მაცხოვრებელი სამოსით შემოსა, რომელიც სატანის წინააღმდეგ აღმართული ფარი და მახვილია. ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული ეშმაკის უკუგდება. იგი ჩასაფრებულია და საჭიროა გონიერება, წრფელი ლოცვა-ვედრება, რომ თავს არ მოგვახვიოს ლტოლვა ცოდვებისაკენ. წმინდა ბასილი დიდი იმავე ნაშრომში უთითებს: „... შენ კაცო, ძუელი იგი თუ ქმნულებაჲ გაქუნდეს სამოსლად, ეკრძაღე, ნუუკიე დაგიბრმენ თუალნი გულისა შენისანი და თუ – გიბრმენ, იძიე ადგილი საგონებელი, ვინაჲგამობრწყინდეს შენ ზედა ახალი მწსნელი ჩუენი იესუ ქრისტე, რომელსა ეწოდების მზჭ აღმოსავალი წინასწარმეტყუელისაგან. მზისთუალმან მან სიმართლისამან აღგიხილეს ორნივე თუალნი შენნი, ძუელისა მის წილ გეყოს შენ ახალი სამოსელი.” [3; გვ. 175] ახალი სამოსის სიმბოლიკა ღვთის რწმენისა და მაცხოვრებელი სიბრძნის ალეგორიაა. ბოროტება, ვნებების დაუოკებლობა, მკითხაობა და ცრუმეცნიერული სწავლებები ბადებს დაცემით მოპოვებული ტანსაცმლით ხელახლა შემოსვისა და გველის „მიჯდომის“ საშიშროებას. მინიატურის მიხედვით, ხეზე მდგარი ჭაბუკი გასულია გველის გავლენის არეალიდან. მისი სამოსი ახალია, წყევლა აღარ ახლავს თან. ამიტომაც ველარაფერს დააკლებს მას ეშმაკი ვერც ცბიერებით და ვერც თავდასხმით. აშკარად ჩანს, რომ მიწა და, მით უმეტეს, ქვესკნელი ამ ადამიანს არ აინტერესებს: თავი მაღლა აქვს მიბრუნებული და ზეცისაკენ იმზირება. ყოველივე ამით გაცხადებულია მორწმუნის მუდმივი ფიქრი სამოთხეში ადგილის დამკვიდრებაზე. აქ იხატება „საბოლოო გაფრთხილება და კურთხევა“ იოანეს გამოცხადებიდან: „ნეტარ არიან, რომლებიც რეცხავენ თავიანთ სამოსელს, რომ ჰქონდეს უფლება სიცოცხლის ხეზე და კარიბჭეთი შევიდნენ ქალაქში“ (იოანეს გამოცხადება, 21. 14 [5; გვ]). ხეზე მდგარი ადამიანი განასახიერებს ჭეშმარიტ მორწმუნეს, რომლის მთავარი საზრუნავია, ამქვეყნად ღვთისნიერი ცხოვრებით დაიმსახუროს ადგილი სასუფეველში, სადაც „დაწყველილი აღარაფერი იქნება.....ლამე არ იქნება და აღარავის დასჭირდება არც სასანთლის შუქი და არც მზის სინათლე, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებთ მათ, და იმეფებენ უკუნითი უკუნისამდე“(გამოცხადება – 22. 3-5 [5, გვ.317]).

ხე, რომელზეც ჭაბუკი დგას, არ არის ხე ცნობადისა. იგი სიცოცხლის, უკვდავების ხეა. გველის, როგორც სიმბოლოს განმარტებისას, უთითებენ, რომ „ხე ცნობადთან გველი არის ეშმაკის, ბოროტების სიმბოლო, სიცოცხლის ხესთან კი – სიბრძნის, აგრეთვე, ქვესკნელის, მიწისა და ცის კავშირისა“ [35]. ეს აზრები გარკვეულწილად ეხმიანება K 258-ში მოცემულ მინიატურას. სხვადასხვა ხალხების და, მათ შორის, ქართველთა მითოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკრალური ხის სიმბოლიკას. განიხილავს რა ამ საკითხებს ნ. აბაკელია, წერს: „ხე, როგორც სიმბოლო, აერთიანებს სამ კოსმიურ ზონას – ცას, მიწას და ქვესკნელს; იგი იმავე დროს კომუნიკაციის საშუალებაცაა დედამიწასა და ცას შორის“.[27] მითოლოგიაში დამკვიდრებული კოსმიური ხის ერთ სქემას მსგავსება აქვს მინიატურაზე წარმოდგენილ ხესთან: „მისი ტოტები ცაშია და მასზე მითიური ფრინველი ბინადრობს. ტანი მიწას შეესაბამება, უფრო გვიანდელ ტრადიციებში კი – ადამიანს. ხის ფესვები ქვესკნელში ჩადის. ხშირად მის ფესვებში მითიური გველი ბინადრობს. ზოგიერთ ნახატზე ხის ფესვებს პირდაპირ დაგრაგნილი გველების გამოსახულება ცვლის.“[30] მითოლოგიური სამყაროს წარმოდგენებთან

ერთგვარი პარალელების გავლება საინტერესოა, მაგრამ იბაკონის ფორზაცზე მოცემული ხის სახისმეტყველება უკავშირდება ბიბლიური სიცოცხლისა და უკვდავების ხეს. ძალიან საინტერესოა ძველი აღთქმის ის პასაჟი, სადაც ხმელი ხისაგან გაკეთებული კვერთხი იძენს სიცოცხლეს სწორედ გველთან მიმართებაში და თანაც იმ მიზნით, რომ ისრაელის შთამომავლობამ ირწმუნოს მოსეს წინაშე უფლის გამოცხადება: „და თქვა მოსემ: „არ დამერწმუნებინ და არ მოისმენენ ჩემს ხმას, რადგან მეტყვიან, არ გამოგცხადებიაო უფალი“. და თქვა უფალმა: „რა გაქვს ხელში?“ თქვა: „კვერთხი“. და თქვა: „დააგდე მინაზე!“ და დააგდო ის მინაზე და იქცა გველად, და გაიქცა მოსე მისგან. და უთხრა უფალმა მოსეს: „გაინოდე ხელი და დაიჭირე იგი კუდით“ და მან გაინოდა ხელი და დაიჭირა იგი, და გადაიქცა კვერთხად მის ხელში. „ეს იმისთვის, რათა ირწმუნონ, რომ გამოგცხადა შენ უფალი, მათი მამების ღმერთი, ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისაკისა და ღმერთი იაკობისა.“ (გამოსვლა. 4. 1-5 [5; გვ.56]). ფარაონთან დაპირისპირების უამსაც ღმერთის ნებით აარონის უსიცოცხლო ხის კვერთხი იქცა გველად (სიმბოლოდ სიმართლისა და სიკეთის გამარჯვებისა), რომელმაც დაამარცხა ეგვიპტელი ჯადოქრების მიერ კვერთხების გარდასხვით გაჩენილი გველები (უსამართლობის, ძალმომრეობისა და ბოროტების სიმბოლო): „და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: „თუ გეტყვით თქვენ ფარაონი: „სასწაული მოახდინეთ“, მაშინ ეტყვი აარონს: „აიღე შენი კვერთხი და დააგდე ფარაონის წინაშე“ და იქცევა იგი გველად“. და მივიდნენ მოსე და აარონი ფარაონთან და გააკეთეს ისე, როგორც უფალმა უბრძანა. და დააგდო აარონმა თავისი კვერთხი ფარაონისა და მის მსახურთა წინაშე. და იქცა იგი გველად. მოუხმო ფარაონმა ბრძენკაცებს და ჯადოქრებს და გააკეთეს მათაც, ეგვიპტელმა გრძნეულებმა, იგივე თავისი გრძნეულებით. და დააგდო თითოეულმა თავისი კვერთხი და გადიქცნენ ისინი გველებად და შთანთქა აარონის კვერთხმა მათი კვერთხები“ (გამოსვლა. 7. 8-13 [5; გვ. 60]).

სიცოცხლის ხის ხატება ძველ აღთქმაში მკაფიოდ გამოჩნდა მაშინ, როცა ხმელი ხის – აარონის კვერთხის განედლებითა და აყვავებით უფალმა ისრაელის ჭირვეულ ძეთ უჩვენა, რომ ერის ამოხოცვაც და სიცოცხლაც მასზეა დამოკიდებული: „და უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი ისრაელის ძეთ და აიღე მათგან თითო კვერთხი თითო ტომიდან, მათი ტომების ყოველი მთავრისაგან, თორმეტი კვერთხი და თითოეულის სახელი წაანერე მის კვერთხზე. ხოლო სახელი აარონისა წაანერე ლევის კვერთხს, რადგან ერთი კვერთხია მათი მამისსახლის მეთაურისათვის. და დაანყვე ისინი საკრებულო კარავში გამოცხადების კიდობნის წინ, სადაც მე გამოგცხადები თქვენ. და რომელსაც ამოვირჩევ, კვერთხი აუყვავდება და ასე დავაცხრობ ჩემს წინაშე ისრაელის ძეთა დრტვინვას... და დაანყო მოსემ კვერთხები უფლის წინაშე მონმობის კარავში. და მეორე დღეს შევიდა მოსე მონმობის კარავში და აჰა, აყვავდა აარონის კვერთხი, აყვავდა, გაიფურჩქნა ყვავილი და გამოისხა ნუში. და გამოუტანა მოსემ ყველა კვერთხი უფლის პირისაგან ყოველ ისრაელის ძეს და მათ იხილეს და აიღო თითოეულმა თავისი კვერთხი და უთხრა უფალმა მოსეს: „დააბრუნე აარონის კვერთხი მონმობის კარავის წინ შესანახავად, ნიშნად ჭირვეულ ძეთათვის და შეწყდება მათი დრტვინვა ჩემზე და აღარ განყდებიან.“ (რიცხვნი. 17. 1- 13 [5; გვ.149-150]). აარონის აყვავებული, სიცოცხლემინიჭებული კვერთხი სიმბოლური მინიშნებაა სიცოცხლის ხეზე, რომელიც ძველ აღთქმაშივე მოგვიანებით მრავლობითი ფორმით ჩნდება „საწმიდრიდან“ გამომდინარე წყლის ორივე ნაპირზე: „და ხევზე, მისი სანაპიროს ორივე მხარეს ამოვა ყველანაირი ხე საჭმლის მომცემი, მისი ფოთლები არ დაჭკნება და მისი ნაყოფი არ მოილევა. ყოველ თვეს დამნიფდება ახალი ხილი, რადგან მისი წყლები საწმიდრიდან გამოდიან. და იქნება მისი ნაყოფი საჭმელად და მისი ფოთლები წამლად.“ (ეზეკიელი, 47.12 [5; გვ.839-840]) ძველი აღთქმა ახალი აღთქმის წინასწარმეტყველებაა. ორივე ერთად მორწმუნეს ამზადებს სასუფეველში შესაბიჯებლად, გამოცხადების შესახვედრად. იოანეს გამოცხადებაში აღწერილია ზეციურ სამოთხეში სიცოცხლის წყაროსთან მდგარი ძელი ცხოვრებისა, რომელიც მინიატურაზე მოცემული ხის მსგავსად ორდაა განტოტვილი. სასუფეველის ძელი ცხოვრებისა მთელი წლის მანძილზე ყოველ თვეში ანუ ზოდიაქოს ყოველ თანავარსკვლავედში ისხამს სხვადასხვა, თორმეტნაირ ნაყოფს. (გამოცხ., 2.7 [5; გვ. 317]) რიცხვი თორმეტი ძველი და

ახალი აღთქმის, ხილული და უხილავი ცის, მიწიერი და კოსმიური ეკლესიის მთლიანობის ერთგვარი გამოხატულებაა: ისრაელთა 12 ტომი, 12 მსაჯული, 12 მოციქული, 12 საუფლო დღესასწაული, ხუთი ქერის პურის ნარჩენებით ავსებული 12 გოდორი, აპოკალიფსის ფეხმძიმე ქალის გვირგვინი 12 ვარსკვლავით, ახალი იერუსალიმის 12 კარიბჭე-მარგალიტი 12 ანგელოზით, ამავე ქალაქის 12 სხვადასხვა ქვით მოპირკეთებული 12 საძირკველი, ცის თაღზე უფლის მიერ მიწის გასანათებლად შესაქმის მეოთხე დღეს დასხმული მნათობები 12 ზოდიაქოს თანავარსკვლავედით და ზეციური სასუფეველის 12-ჯერ მსხმოიარე მარადიული სიცოცხლის ხე.

მინიატურაზე მცენარის ტოტებს ორი ფარშევანგი ამშვენებს. მეცნიერები, რომლებიც ქართული ქრისტიანული ნაქარგობის ისტორიასა და მხატვრულ თავისებურებებს იკვლევენ, მიიჩნევენ, რომ „ფარშევანგი აღდგომისა და უკვდავების სიმბოლოა. მისი „მრავალთვალა“ ბოლო ყოვლისმხილველი ეკლესიის გამოხატულებაა.“ [16; გვ.151] „რატომ ითვლება ფარშევანგი აღდგომის სიმბოლოდ?“ – სვამს კითხვას ნ. აბაკელია თავის ნაშრომში „მარადიულობასთან ზიარების მოტივი ქართულ ტრადიციაში (იკონოგრაფიული პროგრამებისა და საკრალური პოეზიის მიმართების საკითხი)“ და იქვე პასუხობს: „ერთი მხრივ, მისი ხორცის უხრწნელობის გამო, რაც ძველ ავტორთა გაცემას ინვეცდა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი მეტამორფოზული ბუნების (გაქუცვა და თავიდან შემოსვა) ან შვიდფერობის გამო“ [26]. ფარშევანგის სიმბოლიკას განიხილავს რა ა. პ. გოლუბცოვი, იმონებს ნეტარ ავგუსტინეს და ასკვნის, რომ ფარშევანგით ალეგორიულად გამოიხატება ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ ადამიანისათვის მკვდრეთით აღდგომისა და სამარადისო სიცოცხლის მინიჭების მადლი. [33]. ვ. პოხლენიკს ამ ულამზესი ფრინველის ქრისტიანულ ხელოვნებაში დამკვიდრების ასახსნელად დამატებით მოჰყავს კიდევ ერთი მიზეზი, კერძოდ, ის, რომ „ფარშევანგი არ მიეკუთვნება მტაცებელ ფრინველთა ოჯახს და, მიუხედავად ამისა, უპრობლემოდ კლავს გველს, რომელიც მორწმუნეთა აზროვნებაში, უპირველეს ყოვლისა, ეშმაკის სიმბოლოა“ [37]. ყოველივე ეს იგაფურად ძალიან კარგადაა ნაჩვენები იბაკონის მინიატურაზე, სადაც ამ ქვეწარმავლის ნეგატიური შინაარსი დაძლეულია უკვდავების სიმბოლოდ ქცეული ფრინველების ზედა რეგისტრში წარმოჩინებით. ფარშევანგების გამოსახვით აშკარად დასტურდება, რომ მინიატურაზე მოცემული მცენარე სიცოცხლის ხეა. სიცოცხლის ხე აყვავებული ჯვარია. სიკვდილის დამარცხება და ადამიანის უკვდავებასთან ზიარება ჯვართანაა დაკავშირებული. მაცხოვრის ჯვარი განედლდა, აყვავდა და მორწმუნეთათვის სამარადისოდ გაიღო სამოთხის კარი. ფარშევანგებით დამშვენებული განედლებული ჯვარი გვხვდება არაერთი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლის კედლებზე, მაგალითად: ბოლნისის სიონის (Vს.) [1; გვ.109], აკაურთის (VIს.) [21; გვ.90], აკვანების (VI-VIIIსს.) [19; გვ. 29.], პარხლისა (IX-Xსს) [19; გვ.43] და ზედა თმოგვის (Xს.) [21; გვ.91] ტაძრებზე. ცხოველები და მცენარეები მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ექსტერიერსა თუ ინტერიერში, ღვთისმსახურთა შესამოსელზე თუ ხელნაწერ ნიგნში გამოსახულია იმ მიზნით, რომ მორწმუნე ადამიანი იგაფური ფორმების გააზრებით ეზიაროს ღვთაებრივ ჭეშმარიტებას.

ღრმად განსწავლული და უზომოდ ნიჭიერი მიქელის ამ ტევად, ბევრისმთქმელ მინიატურაში სიმბოლოებით ლაკონურად და ალეგორიურად არის გამოხატული წმინდა ნიგნებში მოცემული მაცხოვრებელი სიბრძნე, რომელიც გადმოგვეცა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და წმინდა მამათაგან, უპირველეს ყოვლისა კი ახალი აღთქმის ბოლო თავის – იოანეს გამოცხადების შინაარსი. ეს თემა სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ქვეყნის ფერმწერთათვის უცხო არ არის, მაგრამ მასში ზოდიაქოს ნიშნების ჩართვა, ნამდვილად, იშვიათობაა. მიქელმა გამოცხადების სრულიად ორიგინალურ გადანტვეტას მიაგნო. K 258-ის ფორზაცის ფერწერული ნიმუში მარავალი თვალსაზრისით საინტერესოა არაერთი დარგის მკვლევართათვის.

XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწე დიდი მნიგნობრის - მიქელის მიერ შექმნილი ხელნაწერის – K 258-ის წყალობით ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი უერთდება მსოფლიო მართლმადიდებლური ქრისტიანობის იმ უნიკალურ მოვლენას, რომელიც გულისხმობს ზოდიაქოს ნიშნების წრის ყოველმხრივ გამართლებულ გამოსახვას. ათონის მთის დიდი ლავრის მონასტერი,

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერი ნიგნი – K 258 ის სამეულია, სადაც 12 ზოდიაქოსა და სხვა სიმბოლოების ფერწერით გაცხადებულია ხილულ და უხილავ ციურ სამყაროსთან მართლმადიდებელი ქრისტიანის მიმართება და ჭეშმარიტი ღმერთის უზენაესობა.

ლიტერატურა:

1. შ. ამირანაშვილი. 1961წ.: „ქართული ხელოვნების ისტორია“, ხელოვნება, თბილისი.
2. ნმ. ბასილი დიდი: ჰომილიები ექვსი დღისათვის (თარგმნა გ. კოპლატაძემ), თბილისი, 2002წ.
3. ნმ. ბასილი დიდი: „მწეცათავს სახისა სიტყუაჲ წიგნთაგან თქმული წმიდისა ბასილი ებისკოპოსისა კესარიელისაჲ“, – ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, I, შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979წ.
4. ვ. ბერიძე. 1967წ.: ძველი ქართველი ოსტატები. თბილისი.
5. ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმა, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, 2002წ.
6. გიორგი მერჩულე: „შრომაჲ და მოღუანებაჲ ღირსად-ცხოვრებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი:, ჩენი საუნჯე, ტ.1, თბ. 1960წ
7. ფ. დევდარიანი. 1981წ.: „ანჩისხატის გულანის შემკვეთი“ – კათალიკოსი ნიკოლოზ ამილახორი – „ძეგლის მეგობარი“ №57
8. დეკანოზი ბიძინა გუნია, 2006წ.: „ასტროლოგიურ ცრუსწავლებათა მხილება“, თბილისი.
9. წმინდა იოანე დამასკელი, 2000წ.: მართმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევენიტი გადმოცემა (თარგმანი ვ. ჭელიძისა), თბილისი, თსა.
10. ს. კაკაბაძე, 1913წ.: ისტორიული საბუთები. ნიგნი IV, თბილისი.
11. პ. კარბელაშვილი, 1900წ.: იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, ტფილისი.
12. ნ. კონდაკოვს იმონებებს თავის ნიგნში თ. ჟორდანიას [17, გვ. 5]
13. ბ. ლომინაძე, 1951წ.: მასალები საქართველოს XVII-XVIIIსს. ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., ნაკვ. 29
14. თ. ჟორდანიას, 1897წ.: ქრონიკები, II, ტფილისი
15. რ. ფირცხალაიშვილი. 1984წ.: „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მბეჭდავი მიქელი – ჟურნალი „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია.
16. ქართული საგანძური, 2011წ.: ქართული ნაქარგობა, ქარჩხაძის გამომცემლობა
17. მ. ქებულაძე, 2008წ.: „XVII საუკუნის იბაკონისა და ლოცვანის (K 258) გადამწერის ვინაობისათვის“ – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XVIII
18. შმერლინგი რ. 1940წ.: ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, ალბომი 32 ტაბულით. თბილისი.
19. რ. შმერლინგი. 2003წ.: ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. ტექსტი, მასალის შერჩევა და ნახატები რენე შმერლინგისა. ტაბულები შეადგინა ა. კრავჩენკომ. თბ. 1954წ., რეპრინტული გამოცემა, ტრიადა, თბილისი.
20. Амиранашвили Ш, 1966г: Грузинская миниатюра. Москва.
21. Т. Вирсаладзе, 2007г.: Избранные труды, Тбилиси.
22. Жордания Ф., 1902г.: Описание рукописей Тифлисского церковного музея Картлино-Кახетинского духовенства, кн. II.Тбилиси.
23. Св. Иоанн Златоуст, 1889-1906 гг.: Творения, т 2, С. Петербург

ელექტრონული რესურსები:

24. ანგელოზთა იერარქია (ანგეოლოგია): – URL: <http://www.ucnauru.com/172537/>
25. არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი): „რა აქვს საერთო ასტროლოგიას ქრისტიანობასთან“ – URL: <http://martlmadidebloba.ge/sacdurebi20.html>
26. ნინო აბაკელია, 2007წ.: „მარადიულობასთან ზიარების მოტივი ქართულ ტრადიციაში (იკონოგრაფიული პროგრამებისა და საკრალური პოეზიის მიმართების საკითხი)“, ივ. ჯავახიშვილის ისტ. და ეთნ. ინსტიტუტის ვებგვერდი (დამხმარე ბლოგი), მასალები საქართველოს ისტორიისათვის (ბმულები) – URL: <http://ijhei.wordpress.com>
27. ნინო აბაკელია, 2010 წ.: სიცოცხლის ციკლთან დაკავშირებული საკრალური ხის სიმბოლიკა ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში – URL: <http://semiotcsjournal.Wordpress.com>
28. ლელა გაბრიელაშვილი: „ცხოველთა პარადიგმული სახე-სიმბოლოები ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველ რედაქციებში“, კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, 2005წ., №8 – URL: <http://www.nplg.gov.ge/.../libery>
- ჩ29. გიორგი მესხიშვილი: „ქრისტიანი რატომ ვერ იქნება ოკულტიტი“ (თეოსოფია, ანთროპოსოფია, იოგა – მართლმადიდებლური თვალთახედვით) — URL: <http://www.martlmadidebloba.ge/sacdurebi18.html>
30. ქართული მითოლოგია – URL: <http://GoL.GE Forum/index.php?showtopic=50649>
- 31 ქრისტიანული სიმბოლიზმი, საეკლესიო ბიბლიოთეკა, მართლმადიდებლური ფორუმი: URL: <http://church.ge/index.php?showtopic=5268>
32. ედიშერ ქელიძე, 2008წ.: 166-ე სქოლიო წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე. „საეკლესო ბიბლიოთეკის“ I ტომი. გამომცემლობა „ახალი ივირონი“. თბილისი, – URL: <http://www.library.church.ge/index.php>
33. Голубцов А.П.: Из чтений по Церковной Архиологии и Литургике – mystudies. URL: <http://Narod.ru/lirary/g/golubtsov/a/-22/8>
34. Змея: Словари и энциклопедии на Академике, Словарь символов –URL: [http://dic.academic.ru/dic.nsf/simvol/275 di](http://dic.academic.ru/dic.nsf/simvol/275%20di)
35. Змея: Символы>Символы животных – URL: <http://www.symbolist.ru/animals/zmeya.html>
36. Панагия Федуса - икона Божией Матери: Чудотворные иконы Пресвятой Богородицы –URL: http://www.vidania.ru/icony/icon_panagiya_fedusa.html
37. Похлёбкин В.: Словарь международной символики и эмблематики – URL: http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/pohl/15.php
38. Символ змеи: URL: [http://www.Ereading.Org.ua/chapter.php/90875/127/Elford bogi novogo tsysacheletiya](http://www.Ereading.Org.ua/chapter.php/90875/127/Elford_bogi_novogo_tsyacheletiya).

P.S.: 2009 წელს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომების XIX კრებულში ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „ვახტანგ VI-ის პორტრეტი და გერბი 1712 წლის დავითნში“ დაშვებული გვაქვს შეცდომა, რომელსაც ახლა ვასწორებთ და ვუთითებთ: 43-ე გვერდზე ზემოდან 15 სტრიქონზე ნაცვლად „იმერეთის მეფის ბაგრატ III-ისა“, უნდა ეწეროს „მამუა გურიელის“.

Maia KEBULADZE

UNIQUE MINIATURE IN KUTAISI MUSEUM SCRIPT

The Ibakion and prayer –book's (K 258- XVII c.) defended in Kutaisi Historical Museum and the sheet right after the hard cover of the book are portrayed with zodiac signs. In accordance with miniature these signs were created together with the prayer book and the author of them should be the most well- known person of that time Mikel.

Zodiac circle miniature can't to be found in any Georgian scripts. There are only two cases of zodiac representation in Christian architectural monuments as an exception: 1) on the fresco glory of God in the big Lavri's Monastery, Athon Mountain (XVII c.) and 2) in the south wall of Svetitskhoveli Cathedral, in the center of painting (XVII c). In Georgia zodiac representation only on Mtskheta fresco and on the Ibakoni prayer-book illustration saved in Kutaisi Historical Museum are not coincidence.

The building of Svetitskhoveli in XVII century is related to Nikoloz Amilakhori (patonymic: lotami). He managed to restore the south wall of the cathedral in 1685, where there was represented the unique composition of circle of zodiac signs, which is rare in Georgian and the rest of the world. Among the books presented to the cathedral by Nikoloz Amilakhori are: Gulani (A 30-31-32) and Ibakoin. (H-98). A 30-31-32 was rewritten and repainted by Mikel and Saba, H 98 was done by Mikel. Books H 98 (saved in national centre of manuscripsts) and K 258 are nearly identical. In XVII centuries 80-years Mikel was activity in Svetitskhoveli . It can be said that Mikel was taking part in creating the south fresco by himself.

There are 12 symbols represented in the centre of K-258. Around the circle there are painted cherubs, there is the sun among them and the moon below them. In the centre the there is the burning sun, with double layers and the body of a snake (wounded). The snake has its mouth open and looks above. There is the attached sheet among the cover and the text, that together with the sheet right after the hard book cover makes a composition with correlation to miniature. There is a boy standing on a tree bunch which is decorated peacock. He is catching the two branches of tree. There is the image of snake below the tree in the center of the tree roots, it has its mouth open with red tongue and looking above.

Zodiac symbolic rare miniature was put into the Ibakion and prayer book by the author. The purest among mothers first of all starts with the deep understanding of the prayer. The existence of the circle of zodiac signs in the prayer-book means people to realize the second advent of God: "When the Son of man comes in his glory, and all the angels with him, then he will sit on his glorious throne."(gospel of Matthew XXV, 31). This should be taken into consideration in order people not to confess mortal sins including astrological superstitious.

Manuscripts created by Mikel in XVII-XVIII centuries that are saved in Kutaisi Historical Museum are the unique thing in Orthodox Christian world. The circle of zodiac signs is proved religiously and scientifically. Monastery of big Lavra, Mtskheta cathedral and the script saved in Kutaisi Historical Museum book – K 258 are the num tree that shows the interrelationship of visible and invisible world and the true supreme of God.

პაპუნა წერეთლის ფოტოკოლექცია

მუზეუმის ფოტოფონდში თავისი მნიშვნელობითა და მრავალფეროვნებით გამორჩეული ადგილი უჭირავს კოლექციას, რომელიც პაპუნა წერეთლის ფოტოკოლექციის სახელითაა ცნობილი. აღნიშნული კოლექცია მფლობელის მიერ ორ ეტაპად იქნა შემოწირული ქუთაისის მუზეუმისათვის. პირველი ნაწილი შემოსულია 1972 წლის 20 დეკემბერს, (მუზეუმის ძირითადი შემოსულობათა ნიგნი № ქიმ.8275/G202), ხოლო მეორე - 1978 წლის 18 აპრილს). (მუზეუმის ძირითადი შემოსულობათა ნიგნი № ქიმ.8869/2/G285). (ნარმოადგინა მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა ბატონმა მიხეილ ნიკოლეიშვილმა).

ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ხელოვნებისა და კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი პაპუნა ალექსანდრეს ძე წერეთელი, სამწერლობო-შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად იყო ცნობილი კოლექციონერიც, რომელიც სრულიად გააზრებულად და უანგაროდ სწირავდა სხვადასხვა ხასიათის მასალებს მუზეუმებსა და არქივებს, რათა ეროვნული საგანძური, ეს იქნებოდა ნივთი, ხელნაწერი დოკუმენტი, თუ ფოტოსურათი გადარჩენილი და დაცული ყოფილიყო იქ, სადაც მას შეეძლო უფრო მეტად ეთქვა თავისი სიტყვა ჩვენი ერის ისტორიის, მისი მრავალმხრივი კულტურისა თუ ეთნოგრაფიის შესახებ. პაპუნა წერეთელმა თავისი კოლექციების დიდი ნაწილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შესწირა, თუმცა ნაკლებადაა ინფორმირებული ჩვენი საზოგადოება, რომ მის მიერ შეკრებილი მასალების გარკვეული ნაწილი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმსაც ამშვენებს, განსაკუთრებით - ფოტოკოლექციების ფონდს.

კოლექცია თემატურად მრავალფეროვანია. მასში ჭარბობს ეთნოგრაფიული ხასიათის ფოტოები. რამოდენიმე მათგანზე ქართული არქიტექტურის ნიმუშებია წარმოდგენილი, ვეცნობით ქართლსა და იმერეთში გავრცელებულ საცხოვრებელ სახლებს. მათგან ერთ-ერთი ყურადღებას იქცევს იმით, რომ მასზე კოლექციის მფლობელის პაპუნა წერეთლის ისეთი მინაწერია გაკეთებული, რომელსაც გარკვეული შესწორება შეაქვს, თავისი არქიტექტურითა და სტილით გამორჩეულ, უკვე სამეცნიერო ბრუნვაში მოხვედრილ საცხოვრებელ სახლზე. მინაწერში იგი აკონკრეტებს სახლის რეალური მფლობელის ვინაობას, იხსენიებს ვინმე იორდანეს, რომლსაც აუგია ეს სახლი. პაპუნა წერეთელი ამავე კომენტარში მიუთითებს, რომ „საქართველოს ხელოვნების ისტორიაში“ არის განთავსებული ამ სახლის ქვით ნაგები საპარადო ფასადისა და ბუხრის ფოტოები. (პაპუნა წერეთლის კომენტარებს მინაწერების სახით არაერთ სურათზე ვხვდებით, რომელთა გაცნობა კონკრეტული საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისთვის ალბათ ხშირ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იქნება). ფონდში წარმოდგენილია პაპუნა წერეთლის სახლის გვერდითი და წინა ფასადის ფოტოები, პირველი და მეორე სართულის გეგმები, აქვე ვეცნობით აივნის ფოტოებსაც, რომელიც სახლის მთელი ფასადის სიგრძეზეა გაჭიმული, წარმოდგენა გვექმნება დახვეწილი ფორმის სვეტებზე და ლამაზი მოაჯირით განწყობილ კიბეებზე.

ფოტოკოლექციის ერთი ნაწილი ასახავს მე-19 საუკუნეში გავრცელებულ მუსიკალურ საკრავებს, ქართულ სუფრას, ღვინის წარმოებასა და მის შესანახ ჭურჭელს. ასევე რეალური წარმოდგენა გვექმნება გურული მილიციის ჩაცმულობის და იმ საჭურვლის შესახებ, რომლებსაც ისინი იყენებდნენ და რომლებიც საერთოდაც გამოიყენებოდა მთელ საქართველოში. ესენია: მაჭახელა თოფები, დამბაჩები, პატრონტაყი, საპირისწამლე.

ჯირითის დროს ქალის ჩაცმულობის საუკეთესო ნიმუშს წარმოგვიდგენს ფოტო (ქიმ.8275/20), რომელზეც ცხენზე ამხედრებული იმერელი კნენაა გამოსახული. ამასთან იგი საშუალებას გვაძლევს

გავეცნოთ ცხენის აღკაზმულობის მთლიან კომპლექტს: ასალს, აღვირს, უზანგს, უმგონს, უნაგირს, ლაგამს.

კოლექციაში ყურადღებას იქცევს ეთნოგრაფიული ხასიათის, წმინდა საყოფაცხოვრებო საქმიანობის ამსახველი ფოტოსურათები. ისინი ასახავენ იმ დარგს, რომელიც ქართველი კაცის არსებობის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. აქ არის დაცული შეშისა (ქიმ.8275/50) და კვერცხების გამყიდველის (ქიმ.8277/36,41), პურის მცხობელის (ქიმ.8275/43), მეთულუხჩის (ქიმ.8275/47), მეკურტნე მუშის (ქიმ.8275/43) და სხვათა ფოტოსურათები. აქვეა სხვადასხვა სახის მუსიკალურ საკრავებზე დამკვრელი ახალგაზრდებიც (ქიმ.8275/31). ფოტოებზე აღბეჭდილ სახეებზე მათი საქმიანობით გამონვეული განწყობაა გამოხატული.

მე-19 საუკუნეში საქართველოში გავრცელებული, როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ჩაცმულობის ნიმუშებია წარმოდგენილი ფოტოების უმეტეს ნაწილზე. აქ ვხვდებით, როგორც საშინაო, ასევე საპარადო ჩაცმულობის საუკეთესო ნიმუშებს. სრულფასოვანი წარმოდგენა გვექმნება იმ პერიოდში მამაკაცის შესამოსელის სრულ კომპლექტზე: ჩოხა- ახალუხზე, შარვალსა და ქართულ ბლუზაზე, ბუხრის ქუდსა და ფაფანაკ-ყაბალახზე. ასევე ქალის ქართულ კაბაზე, მის ისეთ ელემენტებზე, როგორცაა ზედა ჩასაცმელი, ქვედა კაბა, გულისპირი, სარტყელი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სტილის სახელო, ფოტოები გვაცნობს ქალის სხვადასხვა ტიპის თავსაბურავებსაც.

კოლექციაში რაოდენობრივი თვალსაზრისით დომინირებს ფოტოსურათები ქართველი ქალების შესახებ, რომელთა გარეგნულ მომხიბვლელობაზე, არა მარტო ჩვენი თანამემამულეები, არამედ ბევრი უცხოელიც საუბრობდა, უფრო მეტიც, ქართველი ქალების სილამაზე და გონიერება მათი შთაგონების წყარო ხდებოდა. ამ მხრივ კოლექციაში ყურადღებას იქცევს ცნობილი რუსი მხატვრის საველი სორინის მიერ შესრულებული ტილოებიდან გადაღებული ფოტოსურათები. ესენი არიან სილამაზით განთქმული ქალების - ელისო დადიანის, მერი შერვაშიძისა და მელიტა ჩოლოყაშვილის ფოტოები. მათზე გამოსახულია ქართველ ქალთა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, მაგრამ სხვადასხვაგვარად მომწესხველი და მომაჯადოებელი სილამაზე.

საველი სორინის პიროვნების შესახებ მასალების შესწავლის დროს ცნობილი ხდება, რომ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლის პარალელურად პროფესიული ოსტატობის დახვეწის მიზნით მხატვარმა იმოგზაურა პარიზსა და იტალიაში, ხოლო აკადემიის დამთავრების შემდეგ საქართველოში. „სულ ახალგაზრდა მხატვარი ჩამოვიდა თბილისში და დიდად შეიყვარა საქართველო.“ [გაზ. „კომუნისტი“ 1974: №135] ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს მიმართ მხატვრის დამოკიდებულებაზე მისი მეუღლე ანა სტეფანეს ასული სორინა. საველი სორინი თითქმის ორი წელი იმყოფებოდა თბილისში და როგორც მკვლევარები ადასტურებენ, „არაერთი საინტერესო ფურცელი ჩანერა იმდროინდელი თბილისის შემოქმედებით მატინანში“. ცნობილია, რომ საველი სორინს ოთხი ქართველის პორტრეტი აქვს შექმნილი, ესენია: ელისო დადიანის, მერი შერვაშიძის, მელიტა ჩოლოყაშვილის და ზურაბ მაჩაბლის პორტრეტები.

მკვლევარ ლ.დოლაბერიძის აზრით ელისო დადიანის პორტრეტი სორინს 1919 წელს დაუხატავს, ამასთან ჩანს, რომ მხატვარმა ტილოს საშუალებით გვაჩვენა ქალის, „როგორც გარეგანი მშვენიერება, ასევე მისი სულიერი სინამდვილე და უმანკობა.“ [სხსმ,დოლაბერიძე 1997: 122]

კოლექციაში ყურადღებას იქცევს სილამაზით განთქმული - მერი შერვაშიძის ფოტოც, რომელიც აგრეთვე სორინისეული ნახატიდანაა გადაღებული. ჩანს, რომ სორინს განსაკუთრებით იზიდავდა ლამაზი ქალების პორტრეტებზე მუშაობა. იგი მოჯადოებულა მერი შერვაშიძის მშვენიერებით, რომელიც ყველა მნახველს ერთნაირად ხიბლავდა, ხოლო ვინც პირადად იცნობდა, მისი სულიერი მშვენიერებითაც იყვნენ მოჯადოებულნი: „ქალბატონი მერი მნახველს ხიბლავდა, არა მარტო არაჩვეულებრივი სილამაზით, არამედ თავმდაბლობითაც,“ [გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,

1992, №8] აღნიშნავენ მისი თანამემამულეები. ალბად ყოველივე ეს იქნებოდა მიზეზი იმისა, რომ მერის პორტრეტის შექმნით სორინის გარდა კიდევ სამი მხატვარი დაინტერესებულა: ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე შერვაშიძე-ჩაჩბა და თვითნასწავლი მხატვარი ექიმი ივანე ერქომაიშვილი.

სორინს მერის პორტრეტი „მეჯვრისხევში, ერისთავების საგვარეულო სახლში“ [სხსმ,დოლაბერიძე 1997: 131] დაუხატავს, იმავე პერიოდში, როცა შეიქმნა ელისო დადიანის მხატვრული ტილო - 1919 წელს.

კოლექციაში ყურადღებას იპყრობს მელიტა ჩოლოყაშვილის ფოტოც, ისიც საველი სორინის ტილოდანაა გადაღებული. მასზე, „ახალგაზრდა ქალი სორინის პორტრეტთა უმეტესობიდან განსხვავებით უჩვეულო დინამიკაშია გამოსახული... დომინირებს ჭკვიანი, მრავლისმცოდნე და დაკვირვებული ქალის ამაყი გამოხედვა.“[სხსმ,დოლაბერიძე 1997:134].

პაპუნა წერეთლის კოლექციაში დაცულია სილამაზით და ვაჟკაცობით განთქმულ ქართველ ქალთა და მამაკაცთა ფოტოების მთელი სერიალი, რომლებიც მონანილეობდნენ ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის მიერ შექმნილ „ცოცხალ სურათებში“ „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელთა წყალობითაც დამკვიდრდნენ რუსთაველის გმირები ქართველი ხალხის ცნობიერებაში. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი „ამ საოცარი გმირების“ მიერ დასურათებული პოემის შესახებ აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ იმდროისათვის საუცხოვო, ...დასურათებული გამოცემის მსგავსი, ჯერჯერობით არაფერი მოგვეპოვება.“ [„საბჭოთა ხელოვნება“ 1959: №9, 63-64].

კოლექციაში წარმოდგენილი ფოტოებიდან კარგად იგრძნობა ტიპაჟების ფსიქოლოგიური სახე, ჩანს მათი პროფესიულობა, ამასთან ხასიათის მრავალმხრივობაც. ყოველივე ეს კი გამხდარა იმის მიზეზი, რომ პაპუნა წერეთელმა მიზანმიმართულად შეკრიბა და გაავრცელა ეს ფოტოები, რითაც ერთდაგვარი პოპულარიზაცია გაუწია, გამოააშკარავა და დღის სინათლეზე გამოიტანა ის ფაქტიც, რომ საველი სორინმა ქართველი ქალების სახეების შექმნით უკვდავყო მათი მშვენიერება, ამით დაგვანახა, რომ მისი შემოქმედება ქართველი ხალხის გარეგნული და სულიერი სილამაზით მოხიბლული კიდევ ერთი უცხოელის დასტური გახდა, რის შესახებაც საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლით დაინტერესებული არაერთი მოგზაური-მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სორინის მიერ შექმნილ ოთხ პორტრეტს შორის ერთ-ერთი ზურაბ მაჩაბლის პორტრეტია, რომლის ფოტოც სამწუხაროდ კოლექციაში არ მოგვეპოვება, თუმცა აქ არის ისეთი ფოტოსურათი, რომელზეც ზურაბ ანეპოდისტეს ძე მაჩაბელია გამოსახული. [ქიმ.88692/ჩ285/50] იგი სრულიად ახალგაზრდა 20-25 წლის ასაკშია გადაღებული, აცვია აღმოსავლური სტილის სამოსი. ფოტოზე გამოსახული პირის შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. თუმცა ფოტოზე პაპუნა წერეთლის მიერ გაკეთებული მინაწერით ვგებულობთ, რომ იგი გარდაცვლილა ირანში 77 წლის ასაკში. ფოტოსურათიდან ჩანს პიროვნების მაღალი ერუდიცია. (ფოტო გადაღებულია პეტერბურგში საიმპერატორო ფოტოსალონში 1903 წელს). ვფიქრობ, ეს მასალა უდავოდ საინტერესო და ძვირფასი იქნება ამ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარისათვის.

პაპუნა წერეთლის კოლექციაში მასალები შესულია მისი საოჯახო ფოტოარქივიდანაც. მათგან ჩვენი ყურადღება ცნობილი ქართველი ექიმის კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძის და მისი ოჯახის წევრების სურათებმა მიიქცია. [ქიმ.8275/30; 88692/54,56] ერთ-ერთ ფოტოს პაპუნა წერეთლის შემდეგი მინაწერი ახლავს: კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძემ „პირველმა გახსნა სოფელ დიდ ჯიხაიში საექიმო ქსენონი. მანვე პირველმა შემოიღო ამიერკავკასიაში ტუბერკულოზის მკურნალობა პნევმატორაქით. წლების მანძილზე სიკვდილამდე იყო თბილისის

პირველი საავადმყოფოს დირექტორი და მთავარი ექიმი. დიდხანს მუშაობდა ბაქოში მუშათა რაიონებში... იყო პირველი შრომის გმირი ექიმთა შორის.“ [ქიმ.8275.ჩ202/30]. ირკვევა, რომ იგი „პროფესიულ საქმიანობას ეწეოდა პროფესორ ფილკენშტეინთან და პათოლოგ-ანატომ მიულმანთან ერთად... ხალხში დიდი პოპულარობა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული. იგი მაღალი მორალური თვისებების და თავმდაბლობით ხასიათდებოდა.“ [წულუკიძე 1961:75]. პაპუნა წერეთელი კი, ასე ახასიათებდა მის პიროვნებას: „იგი იყო გამოჩენილი ექიმი, რომელსაც ქართველი ექიმების სინდისს ეძახდნენ.“ ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული მასალის, მით უფრო პაპუნა წერეთლისეული მინანერების გამოყენება ამ პიროვნების შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეს მცირე სხივს მაინც შემატებს.

პაპუნა წერეთლის კოლექციაში გარდა ზემოთ აღნიშნულისა მრავლადაა ცნობილი მსახიობების, მწერლების, კომპოზიტორების, არქიტექტორების, სამხედრო პირების, ექიმების და სხვა პროფესიის წარმომადგენელთა ფოტოებიც. რომლებიც ქართველი ხალხის ცხოვრების ამა თუ იმ მხარეზე გვაქცევინებენ ყურადღებას, ჩვენს თვალწინ აცოცხლებენ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ქართველ მოღვაწეებს და საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ეპიზოდებს, ამიტომ ამ მასალების შეკრებითა და გავრცელებით, შთამომავლობას გაეცნო არა მარტო ქართველი ტიპებისა და საზოგადო მოღვაწეების მთელი გალერეა, არამედ მათი ეთნოგრაფიული, კულტურული ყოფა. ამით ის ძირითადი მიზანი, რაც ზოგადად აკისრია მუზეუმებს, ერთგვარად მიღწეულია, რაშიც თავის მოკრძალებულ სიტყვას ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მდიდარ კოლექციათა შორის ფოტოკოლექციების ფონდში დაცული პაპუნა წერეთლის ფოტოარქივიც ამბობს. ყოველივე ეს კი, ქართველი კაცის ყოფის, მისი სულიერი თუ მატერიალური რესურსების პოპულარიზაციად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „კომუნისტი“ 1974: 12 ივნისი, №135, „საჩუქრად ქართველ ხალხს“.
2. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1992: 6 მარტი, №8, ს.კობრეიძე „შეხვედრა მერი შერვაშიძესთან“.
3. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1959: №9, გორგიძე მ., „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეული ილუსტრაციების პროტოტიპები“, გვ.63-64.
4. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, 1997: ტ. III, ლ. დოლაბერიძე, „საველი სორინი საქართველოში“, თბილისი.
5. ქიმ.88692 G285/50.
6. ქიმ.8275/30; 88692/54, 56.
7. ქიმ. 8275.G202/30.
8. წულუკიძე ა., 1961: „მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ექიმები“, თბილისი.

Mzia Zarnadze**PHOTOCOLLECTION OF PAPUNA TSERETELI**

The collection known as Papuna Tsereteli's collection occupies a distinguished place in the photo fund of the museum. Above mentioned collection was donated to the museum in two stages. The first part, donated on December 20, 1972, is registered with the number of: [qim. 8275/G202] and the second one – 18 April, 1978 and is registered with the number of: - qim. 8869/2/G285. It was represented by Mikheil Nikoleishvili, the director of museum of that time.

P. A. Tsereteli – the Georgian writer and translator was a famous collector, an honored worker of art and culture. He made a great donation and donated the museums different kinds of materials in order to save national treasure. Also, some samples collected by, P. Tsereteli is presented in the Museum of Kutaisi, especially it decorates with fund of photo collection. There is also presented architectural designs, from which we get known about the houses in Kartli and Imereti. There are also some postscripts on several photos made by Papuna Tsereteli. From these photos we get some information about musical instruments of XIX century, also about Georgian cuisine, wine production and how to preserve wine. There are unique examples of skilful house-women's clothes on the photo [qim. 8275/20].

In the collection the ethnographic photos men attracts our attention. Here are kept the photos of firewood vendors, bread bakers and others photos.

In the photos there are presented the national clothes of the nineteenth century Georgia. We can see the excellent examples of casual and official cloths in the photos.

In this collection there are the photos of beautiful Georgian women (Eliso Dadiani, Mary Shervashidze, melita Cholokashvili and others) known not only in Georgia but in abroad too Their beauty was the inspiration for many foreigners, such as famous Russian painter Savel, Soryn, whose photos are kept in the fund.

Soryn had been in Georgia for two years and as explorers say, he played an important role in the creation of Tbilisi's chronicle of that time. In Explorer L. Dolaberidze's opinion the portrait of Eliso dadiani was created in 1919. The painter showed us not only appearance beauty but spiritual purity and innocence of the woman.

In the photo collection of Papuna Tsereteli there are Georgian men's and women's photos who took part in the works of Hungarian painter Mikhay Zich's pictures of "The Knight in the Painter Skin".

One of the Soryn's photo is the portrait of Zurab Machabeli – the son of Anepodiste. In this photo he is at the age of 20-25 and by the comment of Papuna Tsereteli we learn that he had died at the age of 77 in Iran.

In this photo collection there is a photo of famous Georgian doctor Konstantine Lortkipanidze and his family members. [qim. 8275/30; 8869²/54,56].


Konstantine Lortkipanidze was the first who opened the first Medical center in one of the villages of Imereti, who began to cure tuberculous by pneumatorache. The explorers say that he worked with Professor Pylkenshtein and with Miulman. He had a very gold reputation and great lore among people.

In the collection of Papuna Tsereteli there are also the photos of famous artists, writers, composers, architects, doctors and representatives of other professions.

From this collection we learn much about the culture of XIX and XX century Georgia.




ელისო დადიანი



მერი შერვაშიძე

ზურაბ მანაბელი



მელიტა ჩოლოყაშვილი

ნაღიჟდა ხარშილაძე

ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, როგორც უცხო ენის შესწავლის ერთ-ერთი ასპექტი

მსოფლიოში უამრავი ქვეყანა და კულტურა არსებობს და თითქმის ყველა მათგანს თავისი ენა აქვს, ზოგს უფრო განვითარებული, ზოგს ნაკლებად მაგრამ თითოეული, - კონკრეტული კულტურისათვის დამახასიათებელი ინფორმაციის მატარებელია.

ენა ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანების არსებობა, ამით აიხსნება მისი სწრაფვა უცხო ენების შესწავლის მიმართ. ადამიანის განვითარებასთან და სხვადასხვა ისტორიულ მოვლენებთან ერთად იცვლებოდა, როგორც პრიორიტეტული ენები, - ასევე მათი სწავლების მეთოდიკაც.

მაგალითად საბჭოთა კავშირში ტრადიციულად უცხო ენის სწავლება სპეციალისტებისთვის შემოიფარგლებოდა, მხატვრული ლიტერატურის კითხვით, გრამატიკისა და უცხო სიტყვების სწავლით, რომ აღარაფერი ვთქვათ არასპეციალისტებზე. სასაუბრო ენის ცოდნის ფუფუნება კი (თუ ამისთვის საკმარისი დრო და ენთუზიაზმი რჩებოდათ, როგორც სტუდენტებს ასევე ლექტორებს) წარმოდგენილი იყო ყოფითი “ტოპიკებით” ანუ ტექსტებით, როგორებიც არის მაგალითად: სასტუმროში, ფოსტაში, აეროპორტში და ა.შ.

ამ ცნობილი ტექსტების შესწავლა რეალური კომუნიკაციის და უცხო ენის გარემოს სრული იზოლაციის პირობებში, უკეთეს შემთხვევაში რომანტიული, ხოლო უარესში, უსარგებლო საქმიანობა იყო.

ამ პირობებში ვითარდებოდა ენის ცოდნის 4 უნარიდან (კითხვა, წერა, საუბარი და სმენით აღქმა) მხოლოდ ერთი კითხვის უნარი.

დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში, ხალხებისა და ენების არევამ, ურთიერთობის აბსოლუტურად ახალი მიზნები წარმოშვა, რამაც, თავის მხრივ უცხო ენების სწავლების თეორიაში და პრაქტიკაში ახალი პრობლემები წამოჭრა. თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენლისათვის აუცილებელი გახდა ენის არა თეორიული და გრამატიკული ცოდნა, არამედ მისი პრაქტიკული გამოყენება.

უცხო ენების სწავლება საქართველოში დღეს, განიცდის რთული და ძირეული გარდაქმნების პერიოდს, ეხლა მიმდინარეობს ფასეულობების, მიზნების, ამოცანების, მეთოდების, მასალების გადახედვა და გადაფასება.

ასწავლო უცხო ენა, ისე რომ ადამიანს არა მარტო ესმოდეს არამედ შეეძლოს საუბარი, რთული ამოცანაა, რომელსაც კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტიც რომ, კომუნიკაცია არ არის მხოლოდ ვერბალური პროცესი. მისი ეფექტურობა გარდა ენის ცოდნისა, დამოკიდებულია სხვა რიგ ფაქტორებზედაც: კომუნიკაციის კულტურასა და პირობებზე, ეტიკეტის ნორმებზე, არავერბალური ფორმების ცოდნაზე (მიმიკა, ჟესტები) და ა.შ. მაგალითად ბულგარელი, როცა არავერბალურად ეთანხმება რაიმეს თავს მარჯვნიდან მარცხნივ აქნევს, როცა ეს არავერბალური ჟესტი თითქმის მთელი დანარჩენი სამყაროსთვის უარყოფას ნიშნავს და პირიქით უარყოფის დროს ის თავს ზემოდან ქვემოთ აქნევს, რაც ჩვენთვის დასტურს ნიშნავს. ამიტომ უცხო ენის როგორც საკომუნიკაციო საშუალების სწავლებისათვის აუცილებელია რეალური კომუნიკაციის გარემოს შექმნა.

დღესდღეობით უცხო ენის სწავლება მოიცავს მრავალ სხვადასხვა ასპექტს, და თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია სწავლების მეთოდიკის არჩევაში და სასწავლო გეგმის შედგენაში.

ერთერთი ასეთი ასპექტი არის “ქვეყანათმცოდნეობა”. მოდით განვიხილოთ რას ნიშნავს ეს ტერმინი და რატომ არის ის უცხო ენის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

უცხო ენის სწავლების ამ მნიშვნელოვან ასპექტს რუსული ლინგვოქვეყანათმცოდნეობის მამებმა ე.მ. ვერეშაგინმა და ვ.გ. კოსტომაროვმა შემდეგი განმარტება მისცეს: “ორი ნაციონალური კულტურა არასდროს არ ემთხვევა მთლიანად ერთმანეთს, იმიტომ რომ თითოეული მათგანი შედგება ნაციონალური და ინტერნაციონალური ელემენტებისაგან. საერთო (ინტერნაციონალური) და განსხვავებული (ნაციონალური) ერთეულების რაოდენობა თითოეული შესაძარბელი კულტურათა წყვილისთვის იქნება სხვადასხვა... შესაბამისად არ არის გასაკვირი, რომ გვინევს დროის და ენერჯის ხარჯვა, არა მხოლოდ რომელიმე ენობრივი მოვლენის მნიშვნელობის განმარტებისათვის, არამედ იმისთვისაც რომ სტუდენტს შეუქმნათ წარმოდგენა ნივთების და მოვლენების შესახებ, რომელთაც არ აქვთ ანალოგი მათ მშობლიურ კულტურაში და ენაში. შესაბამისად საუბარია ქვეყანათმცოდნეობის ელემენტების ჩართვაზე ენის სწავლების პროცესში, მაგრამ ისინი ხარისხობრივად განსხვავდებიან საერთო ქვეყანათმცოდნეობის ელემენტებისაგან. რადგანაც ჩვენ ვსაუბრობთ სასწავლო პროცესში ენის და ნაციონალური კულტურის სფეროს მონაცემების გაერთიანებაზე, შესაბამისად ასეთი სახის სასწავლო მუშაობას სავარაუდოდ უნდა ვუნოდოთ ლინგვოქვეყანათმცოდნეობრივი სწავლება” [Верещагин Е.М., Костомаров В.Г., 1990. С.30].

ლინგვოქვეყანათმცოდნეობა — არის მიმართულება რომელიც ერთის მხრივ შეიცავს ენის სწავლებას, ხოლო მეორეს მხრივ იძლევა განსაზღვრულ ინფორმაციას ქვეყანაზე, რომლის ენასაც სწავლობს სტუდენტი. ლინგვოქვეყანათმცოდნეობის მთავარი მიზანია უზრუნველყოს კულტურათმშორისი კომუნიკაცია, თითოეული მხარის მიერ საუბრის ადექვატური აღქმა და გაგება.

უცხო ენის შესწავლისას სტუდენტი აწყდება რიგ პრობლემებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ ლექსიკას, გრამატიკას, სტილისტიკას არამედ სოციალურ, ყოფით და ისტორიულ სფეროებსაც. ლინგვოქვეყანათმცოდნეობა ამახვილებს ყურადღებას ენის ისეთ ერთეულებზე, რომლებიც უფრო მკვეთრად ასახავენ კონკრეტული ენის მატარებელთა კულტურის ნაციონალურ თავისებურებებს, ესენი:

1. რეალიები, - (რომლებიც აღნიშნავენ ნივთებს ან მოვლენებს, დამახასიათებელს მხოლოდ ცალკეული კულტურისათვის); რაც ართულებს სიტყვის თარგმნას და თარჯიმანს ხშირად უწევს ნეოლოგიზმების გამოიყენება. მაგ: ინგლისური სიტყვა “ბოოკ მაკერ” ქართულად ნიშნავს ადამიანს, რომელიც დოლის დროს საზოგადოებისაგან იღებს ფსონებს. რეალიების მეშვეობით ძალიან კარგად მოსჩანს ენისა და საზოგადოების კულტურული, ისტორიულ-პოლიტიკური და ა.შ ურთიერთდამოკიდებულება. საზოგადოებაში გაჩენილი მატერიალური და სულიერი რეალიები იქვე აისახება ენაშიც. ლექსიკა მგრძნობიარეა საზოგადოებაში მიმდინარე ყველა ცვლილების მიმართ. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირთან ერთად გაჩნდა ძალიან ბევრი სიტყვა, რომელიც მხოლოდ საბჭოთა სივრცისათვის იყო გასაგები. მაგ: „სტახანოველი”, „შაბათობა”, თანამედროვე ცხოვრებაში შემოიჭრა სიტყვები „ჰამბურგერი”, „ივენტი” და ბევრი სხვა

2. კონნოტაციური ლექსიკა, - (სიტყვები რომლებიც მნიშვნელობით ეთანხმებიან ერთმანეთს, მაგრამ განსხვავდებიან კულტურულ-ისტორიული ასოციაციებით):

კონნოტაციური კომპონენტი იძენს სხვადასხვა სტატუსს სხვადასხვა სიტყვების შინაარსობრივ სტრუქტურაში და აქედან გამომდინარე არის საჭირო მისი კომენტირება. არსებობს სიტყვები მათ შორის საკუთარი სახელებიც, რომელთა კონატაცია ეყრდნობა ასოციაციებს. ამასთანავე მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ასოციაციები, რომელთა საფუძველშიც ძვეს ტრადიციული, ნაციონალური კომპონენტები და ლიტერატურული წარმოშობის ასოციაციები. მაგალითად, რუსული სიტყვა “черемуха”, ასოცირდება ქალ-ვაჟის სიყვარულთან, და ეს ჩანს კიდევაც ამ სიტყვის გამოყენების თითქმის ყველა კონტექსტებში. ქართულში კი იგივე “черемуха”, ანუ ალუბლის ხე გაზაფხულთან ასოცირდება.

3. ფონური ლექსიკა, - (სიტყვები რომლებიც აღმნიშნავენ საგნებს და მოვლენებს, რომელთაც აქვთ ანალოგი სხვა კულტურაშიც, მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ფუნქციონირების ნაციონალური თავისებურებებით და ნივთების დანიშნულების ფორმებით).

ე.ნ. ვერეშაგინი და ვ.გ. კოსტომაროვი აღნიშნავენ, რომ ფონური ლექსიკა ნაციონალური-კულტურული თვალსაზრისით, წარმოადგენს ყველაზე რთულ ჯგუფს. დამტკიცებულია, რომ სხვადასხვა ენების შინაარსობრივად შევადარებისას ეკვივალენტური სიტყვებიც კი, იქნებიან განსხვავებული, იმის გათვალისწინებით რომ, თითოეულ მათგანს ამ სიტყვის თავისებური ხედვა აქვს. მაგალითად, “ბიგ ბანკ” და “მსხვილი ბანკი”, უდაოდ ორივე მათგანი ნიშნავს ზომით დიდ ბანკს, მაგრამ ქართულ რეალობაში “მსხვილი ბანკი” ნიშნავს, ბანკს, რომელსაც საქართველოს პირობებისთვის დიდი კაპიტალი და ბევრი ფილიალები აქვს, ხოლო “ბიგ ბანკ” ნიშნავს მსოფლიო მასშტაბით გავლენის მქონე ბანკს.

დიდი ლექსიკური მარაგი და გრამატიკის ცოდნა სრულიად არ არის საკმარისი აქტიური კომუნიკაციისათვის, ზოგჯერ სიტყვის ან ფრაზის სწორად გაგებისა და გამოყენებისათვის აუცილებელია, უცხო ქვეყნის ისტორიის, კულტურის, პოლიტიკის, ყოფითი ცხოვრების რეალობის ცოდნა.

მკვეთრად გამოსატყუარი ნაციონალურ-კულტურული სემანტიკის მატარებელი ერთეულების ამორჩევა რთულია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა სწორი და საინტერესო პროგრამების შესაქმნელად ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის. ეს შეიძლება იყოს აუტენტური მასალები: სხვადასხვა სახის ტექსტები, ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებები, შესაბამისი ნაციონალური გარემოსთვის დამახასიათებელი ნივთები ან მათი ილუსტრაციები, ტრადიციების ამსახველი ვიდეო მასალები და ა.შ.

დადასტურებით შეიძლება ითქვას რომ, ლინგვოქვეყანათმცოდნეობის მასალების ჩართვა სასწავლო პროცესში აძლიერებს ენის შესწავლის სურვილს და ზრდის მოსწავლისა თუ სტუდენტის მოტივაციას.

ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, უცხო ენის სწავლების პროცესის მხოლოდ ერთი ასპექტია, რომელიც არ დგას ადგილზე და მუდმივად ეძებს სწავლების ახალ ეფექტურ საშუალებებს. ამ ასპექტის გამოყენებით ჩვენ მივიღებთ შედეგს, რომელსაც ითხოვს დღეს ჩვენი საზოგადოება, ანუ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია და უნდა ურთიერთობა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან.

ლიტერატურა:

1. Верещагин Е.М., Костомаров В.Г. , 1990. Язык и культура: Лигвострановедение в преподавании русского языка как иностранного.4-е издание., перераб. и доп., Русский язык, М: С.30

Nadezhda Kharshiladze

LINGVOCULTUROLOGY AS AN ASPECT OF TEACHING OF A FOREIGN LANGUAGE

Each language is the storage of cultural characteristic this country. Language is one of the major component of communication and without it existence of the human is impossible. On a row with various historical changes the relation to different languages and to methods of their teaching changed also.

Now other demands are made to learning of foreign languages. Today there is necessary to use language in practice and not only know its theory and grammar.

Teach people to communicate (orally and in writing) to make, create, and not just to understand foreign speech — it is the difficult task complicated also by that communication — not simply verbal process. Its efficiency, besides knowledge of language, depends on a set of factors: conditions and culture of communication, rules of etiquette, knowledge of nonverbal forms of expression (mimicry, gestures), existence of profound background knowledge and much other practical use.

In a technique of teaching of language as foreign it is possible to allocate sets of the important aspects, one of them is the lingvoculturology.

E.M. Vereschagin and V. G. Kostomarov, fathers of a lingvoculturology in Russia, formulated this major aspect of teaching of languages as follows: « Two national cultures never coincide completely — it follows from this that everyone consists of national and international elements. Sets of conterminous (international) and dispersing (national) units for each pair of compared cultures will be various... Therefore no wonder that it is necessary to spend time and energy for assimilation not only the plan of expression of some language phenomenon, but also the contents plan, i.e. it is necessary to develop in consciousness being trained concepts about new subjects and the phenomena which are not finding analogies neither in their native culture, nor in their native language. Therefore, it is a question of inclusion of elements of regional geography in language teaching, but this qualitatively other inclusion in comparison with the general regional geography. As we speak about connection in educational process of language and data of the sphere of national culture, it is offered to call such type of teaching work lingvoculturological teaching»

The lingvoculturology is the direction which on the one hand means language studying, and with another gives certain information on the country of studied language. A main goal of a lingvoculturology is ensuring the intercultural communication, adequate understanding the speech between the conversation participants.

Durring learning the foreign language students face not only lexical, gramar and stylistic problems, but also with problems historical, political and the sociological sphere. Lingvoculturology directs attention to such units of language which emphasize features of national culture of concrete language.

1. Realities - words designating objects inherent for life of one country and absolutely alien for another, that very much complicates translation and the translator should use own neologisms.

2. Connotive lexicon – the words coinciding on major importance, but differing on cultural and historical associations. national culture of concrete language

3. Background lexicon – words which designate subjects and the phenomena having analogs in compared culture, but functioning differing on any national features, forms, missions of subjects, etc.

E.N.Vereshagin and V. G. Kostomarov note that the background lexicon forms the most difficult group from the point of view of definition of the national and cultural contents.

The large lexical supply and knowledge of grammar can't sometimes be the guarantor of active communication, sometimes for the correct understanding and and creation of the sentences the knowledge of history, culture and a life of the country of studied language is necessary.

Correct to pick up language units with brightly expressed national and cultural semantics difficult,

but very important task for creation of interesting programs for students of all levels. It may be authentic materials, various texts, musical and literary works, subjects characteristic for the national environment or their illustration, video materials displaying traditions and etc.

With confidence it is possible to tell that inclusion in educational process of lingvoculturology materials strengthens desire and motivation of students to language studying.

Lingvostranovedeniye is only a part of process of training which isn't necessary on a place and looks for new ways of effective knowledge. Lingvostranovedeniye studying in aggregate with new, progressive techniques can yield that result which demands our society at this step of development, t.e. formation of the personality capable and wishing to participate in intercultural communication and ready independently to improve the foreign speech activity.



სამხრეთ ამერიკაში ვიქტორ ნოზაძის ლიტერატურულ- მეცნიერული მოღვაწეობა

„...რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ დღემდე ერთგვარ ბიბლიას წარმოადგენს ქართველთათვის, როგორც პოლიტიკური და მორალური წყარო“, – წერდა უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი.

ამ აზრის ერთგვარ კონსტატაციას წარმოადგენს ცნობილი მკვლევარისა და კრიტიკოსის სერგი ჭილაიას შეხედულება: „ქართველი კაცი თავის დიდ მოსარჩელედ თვლის „ვეფხისტყაოსანს“... მისი კითხვისას ერთბაშად იმედი და მხნეობა ეუფლება მის სულს...“

რუსთაველის გენიალურ აფორიზმებს საუკუნეების განმავლობაში იმეორებდა ხალხი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ თუ „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“. იმეორებდა ამ სიტყვებს ქართველი ხალხი და თან იმედად რუსთაველი წინ მიუძღოდა, როგორც დროშა, ჩააგონებდა, ამხნეებდა, ეძახდა უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებისათვის. ეს იყო გენიალური პოეტის უპირველესი ღირსება...“ [ჟურნალი „ცისკარი.“1963:54]

თავისთავად მწერლობის უპირველესი ამოცანაც ხომ ისაა, რომ თავის ხალხს, თავის ერს იმედად ედგეს, ერის სულიერი ცხოვრების ნიშანსვეტი იყოს და გზას უნათებდეს ცხოვრების რთულ სავალგზაზე.

საუკუნეთა მანძილზე რუსთაველზე ბევრი თქმულა და დაწერილა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ყოველ ქართველს, რომელსაც ხელში „ვეფხისტყაოსანი“ აუღია, თავისი დამოკიდებულება გასჩენია რუსთაველთან, თავისი საიდუმლო ფიქრები და გრძნობები დაუკავშირებია მასთან.

რუსთაველი ყველა დროის ქართველისათვის თანამდევ ლეგენდად იქცა. მან შექმნა და დააკანონა ქართული ლექსის მეტრი, სტროფიკა და გარიტმის წესი, სიტყვის ესთეტიკა. იგი მართლაც იყო „ძირი ლექსის თქმისა“ (არჩილ მეფე), რომელზედაც „შენობს“ მთელი ქართული პოეზია.

მაღალი საზოგადოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით აფასებდნენ 1921 წლის ქართული პოლიტიკური ემიგრანტებიც რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“.

თუ თვალს გადავავლებთ უცხოეთის ცის ქვეშ მოღვაწე ინტელექტუალურ პოლიტიკურ ემიგრანტთა ლიტერატურულ და მეცნიერულ საქმიანობას, ამკარად დავინახავთ, რომ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიანიდან დაწყებული ემიგრაციაში ყველა გულდაგულ იკვლევდა რუსთაველის გენიალურ ქმნილებას, რათა ამით ახალი სიტყვა შეემატათ ქართული მწერლობის განვითარებაში. ამას მაღალ მეცნიერულ და ლიტერატურულ დონეზე მხოლოდ ტალანტები ახერხებდნენ. ამ ტალანტთა რიცხვში აღმოჩნდა ცნობილი პოლიტიკური ემიგრანტი ვიქტორ ნოზაძე.

საქართველოს ისტორიაში ვიქტორ ნოზაძემ თავისი კუთვნილი ადგილი მეცნიერებაში, მწერლობაში, ჟურნალისტიკასა თუ პოლიტიკაში ღრმა და აქტიური მონაწილეობით წარმოაჩინა.

XX საუკუნის პირველი ნახევრიდან მას ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში უკვე დამკვიდრებული ჰქონდა გამოჩენილი მეცნიერ-რუსთაველოლოგის, მწერლის, ჟურნალისტისა და რამდენიმე ჟურნალ-გაზეთის რედაქტორ-გამომცემლის სახელი. საერთოდ, მისი დიდი ღვაწლი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში უპირველეს ყოვლისა მაინც რუსთაველოლოგიის სფეროში ჩატარებული ტიტანური შრომა იყო, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა მისი, როგორც მეცნიერ-მკვლევარის წარმატება.

გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა, ვიქტორ ნოზაძე მეტად აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი გიმნაზიის სწავლის პერიოდიდან უკვე იყო სოციალ-

დემოკრატიული პარტიის წევრი, ამ ორგანოს გაზეთის რედკოლეგიის აქტიური კორესპონდენტი.

ვ. ნოზაძის მთელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ერთი მიზნისაკენ იყო მიმართული. ეს იყო საქართველოს განთავისუფლება.

... ვიქტორ ნოზაძე დაიბადა 1893 წლის 17 სექტემბერს, ზემო იმერეთში, საჩხერის მახლობლად, სოფელ წირქვალაში. დედ-მამას ივანე ნოზაძესა და ალათი გაფრინდაშვილს ოთხი შვილი ჰყავდათ: ამათგან მარო ნოზაძე-მაჭავარიანისა ადრე გარდაიცვალა. სამი ვაჟიდან პავლე (პალიკო) ნოზაძე გასული საუკუნის 20-30 წლებში ცნობილ ფუტურისტ პოეტად იყო აღიარებული, რომელიც 37-წლის რეპრესიების ტალღაში მოჰყვა და დახვრიტეს. ხოლო სამშობლოსთან სამუდამოდ ფესვებით დაკავშირებულმა ვიქტორ და გიორგი ნოზაძეებმა, ემიგრაციის ნარ-ეკლიან გზაზე, თავიანთი შემოქმედებითი კვალი დატოვეს და სამუდამო სასუფეველი, საბოლოოდ, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე დაიმკვიდრეს.

დანებებითი სწავლა-განათლება ვიქტორ ნოზაძემ საჩხერის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ იგი ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში შეიყვანეს.

1910 წელს ვიქტორმა გამოცდები ჩააბარა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასში. ამ დროს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი იყო ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი, რომელიც მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდა თავის მოწაფეებს.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლის ბედნიერ წლებსა და გიმნაზიის დირექტორზე ვიქტორ ნოზაძემ მშვენიერი მოგონება დატოვა: „ქუთაისის „სათავადაზნაუროდ“ წოდებული გიმნაზია კერძო ხასიათისა იყო, ე.ი. ეს სასწავლებელი მთავრობის ხარჯზე არ არსებობდა. ამ გიმნაზიას, რომელსაც პირველად „ბანკის კლასი“ ერქვა, „სათავადაზნაურო“ იმიტომ დაარქვეს, რომ მას ქუთაისის „სათავადაზნაურო ბანკი“ ინახავდა. „ქართული გიმნაზიის“ სახელწოდება იქიდან წარმოდგა, რომ გიმნაზია ქართველობას ეკუთვნოდა და იქ, ქართულის სწავლა სავალდებულო გახდა, რასაც მთავრობის გიმნაზია მოკლებული იყო. მართალია, ამ „ქართულ გიმნაზიაში“ ბევრი იყო თავად-აზნაურთაგან, მაგრამ მასში ირიცხებოდნენ ვაჭართა და გლეხთა შვილები, სომხებიცა და ებრაელებიც...“

... ჰოდა, და არც მე ვიყავი: არც თავადი, არც აზნაური! ქართული გიმნაზიის კარი ყველასათვის ღია იყო. სწორედ ამით ხასიათდებოდა იგი (ისე როგორც თბილისის ქართული გიმნაზია!), სადაც წოდებრივი ან ეროვნული დაბრკოლება არ არსებობდა. მთავარი იყო, რომ ამ გიმნაზიას ახალგაზრდობა ქართული სულისკვეთებით აღეზარდა და ამ მხრივ, ეს სასწავლებელი, მთავრობას ყოველთვის საეჭვოდ მიაჩნდა...

იოსებ ოცხელი ჩვენ განსაკუთრებით ქართული ისტორიისა და ეროვნულ საკითხებზე გვესაუბრებოდა” **[შარაზე გ. 1995:390-391].**

ცხადია, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორის ი. ოცხელისა და მთელი პედაგოგიური კოლექტივის ძალისხმევა იქითკენ იყო მიმართული, რომ მოსწავლეთა შორის ჩაენერგათ და განემტკიცებინათ ეროვნული სული, რომლის კონკრეტული გამოხატულება იყო მშობლიური ენა, ზნე-ჩვეულება, აზროვნების განსაკუთრებული წესი, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი სიყვარული.

1913 წელს ბიქტორ ნოზაძემ ოქროს მედლით დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. იმავე წელს იგი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ, ზოგის ცნობით, იურიდიულ ფაკულტეტზე. აზრთა სხვადასხვაობა გამონეწეული იყო ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ავტორების შ. კალანდაძისა („ვიქტორ ნოზაძის ხსოვნისადმი“) და დ. ვაშაძის („ჩვენი ვიქტორი“) წერილების გამო, რომლებიც ვ. ნოზაძეს ხან ფილოლოგიის და ხან იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულად მიიჩნევდნენ **[ჟურნალი „კავკასიონი“. 1976:7-11].**

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენტის

მიხედვით ირკვევა, რომ ვ. ნოზაძეს დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, რასაც ცხადყოფს გიორგი ზდანოვიჩის სახელზე გაგზავნილ წერილზე მისივე ხელმოწერა [ქიმ. 1772. ფ-2].

რაც შეეხება მის სახელს, ემიგრანტული ლიტერატურის მასალებში, იგი ხან ვიკტორად და ხან ვიქტორად არის მოხსენიებული.

ზემოთ მოყვანილ წერილს ვ. ნოზაძე ხელს აწერს ბიკტორ ნოზაძეთ.

გამოდის რომ, მისი ნათლობის სახელი ყოფილა ბიკტორი, რაც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ მის წერილებში გამოყენებული ფსევდონიმების სახელის ინიციალიდანაც კარგად ჩანს: ბ. ვარდანი, ბ. ბებურიშვილი და სხვა.

თვალსაჩინოებისათვის საჭიროა, აქ, ვ. ნოზაძესაც მოუსმინოთ:

„ბ-ნ გიორგი!

ბოდიშ ვიხდი თქვენს წინაშე, თუ შორეულ რუსეთიდან ვკადნიერდები და განუხებთ. ვგრძნობ, რომ განუხებთ, შეიძლება შეურაცყოფასაც გაყენებთ, მაგრამ თავს ერთი რამით ვიმართლებ: გაჭირვებულს, მგონი, აქვს იმდენი მორალური უფლება, რომ თავის „მეს“ წუხილი შეატყობინოს სხვას. ვსარგებლობ, ამ პრინციპით და მოგმართავთ თქვენ. ვიცი, რომ ჭიათურის საბჭოს ერთ ბურჯს თქვენ წარმოადგენთ, რომ იქ თქვენ გადამწყვეტი ხმა გაქვთ. ამ თვის 12-ში, როგორც თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ირჩევა სტიპენდიები. მე, ქართული გიმნაზიის კურსდამთავრებულს შემოტანილი მაქვს თხოვნა, რითაც სტიპენდიის მიღებას ვფიქრობ. მე აქ, არ მინდა აგინეროთ ჩემი მდგომარეობა, რადგან ეს ძალიან შორს წამიყვანდა, და თან მეშინია თავი არ შეგანყინო. ვიტყვი მხოლოდ, რომ მატერიალურ გაჭირვებას განვიცდი. დამიჯერებთ, თუ ჯერ კიდევ არ დაგკარგვიათ იმედი ქართველ სტუდენტის სიტყვის სიმართლეში. აი, ამ მდგომარეობამ მაიძულა გამეხებო და თქვენთვის დახმარება მეთხოვნა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ, რამდენათაც მე ვიცი, თქვენ არ დაიზარებთ და შემწეობას ამომიჩინებ.

ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ ხმა ჩემი „არ დარჩება ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა“, რადგან თქვენი კაცთმოყვარული ბუნება ჩემთვისაც იშოვის თავშესაფარს.

დავშთები მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტის სტუდენტი ბიკტორ ივანეს ძე ნოზაძე “ [ქიმ. 1772. ფ-2].

ვიქტორ ნოზაძე სწავლასთან ერთად რევოლუციურ მოძრაობაში იყო ჩაბმული, რომლის შესახებ აღნიშნავდა: „მოსკოვში ვიყავი მუშათა პირველი საბჭოს წევრი; მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრიც (ამირჩიეს ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურებმა, სადაც მე მაშინ ვმუშაობდი). მაგრამ იქ არ დავრჩი. თბილისს მივაშურე. იქიდან მე გამგზავნეს ქუთაისში და ფაქტიურად ვრედაქტორობდი გაზეთს „სოციალ-დემოკრატია“-ს. ვიყავი ამავე დროს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. გახლდით პროკურორიც და სხვა. [შარაძე გ. 1995:391].

ვიქტორ ნოზაძე საქართველოში 1917 წლის მაისში დაბრუნდა. მან თებერვლის რევოლუციაზე თავისი შთაბეჭდილება სოციალ-დემოკრატების გაზეთ „ერთობა“-ში მოათავსა. თბილისიდან იგი პარტიამ ქუთაისში პარტიული პრესის ხელმძღვანელად გაგზავნა. გაზეთ „ერთობაში“ ვ. ნოზაძე წერილებს „მოსკოველის“ ფსევდონიმით ათავსებდა. ქუთაისში ფაქტიურად რედაქტორობდა ადგილობრივ გაზეთს „სოციალ-დემოკრატს“. შემდეგ თბილისში გადაიყვანეს და გარკვეული დროის მანძილზე მთავრობის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორიც იყო.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს აღდგომისა და მისი ბრწყინვალეების დღეს, ქართველ ხალხთან ერთად დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ახალგაზრდა ვიქტორ ნოზაძეც, რომელმაც მაშინდელი განწყობილება დიდი ექსტაზით გადმოსცა ნახევარი საუკუნის შემდეგ ჟურნალ „კავკასიონ“-ში დაბეჭდილ წერილში: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა“.

„...26 მაისს 1918 წლისა 5 საათზე და 10 წუთზე ნოე ჟორდანიას კითხულობს საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს, რომელიც ეროვნული საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

...ქართველმა ერმა კვლავ აღიდგინა თავისი სახელმწიფო; საქართველო კვლავ გამოვიდა ისტორიის ფართო შარაზე თავისი საკუთარი სახით; თავისი პირადი სახელითა და გვარით; თავისი პასპორტით. მრავალი საუკუნის შემდეგ ეს იყო ჭეშმარიტი აღდგომა საქართველოსი” **[ჟურნალი „კავკასიონი“ 1968:41].**

1919 წელს ვიქტორ ნოზაძე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ გაგზავნა. ერთი ავტორის სიტყვით: „...მთავრობამ გამოიტანა გადაწყვეტილება ქართველი ახალგაზრდების მთელი ჯგუფის საზღვარგარეთ, სახელდობრ, ევროპაში გაგზავნის შესახებ, რომელიც, ევროპული ცოდნით შეიარაღებული, უნდა დახმარებოდა მთავრობას მომავალში, სახელმწიფო მმართველობის საქმეში. ამ გადაწყვეტილებით ნაგულისხმები ახალგაზრდების ჯგუფი, დაახლოებით 70 პირის შემადგენლობით კიდევ გაემგზავრა ევროპისაკენ 1920 წლის დასაწყისში. ეს ჯგუფი განაწილდა მთელ ევროპაზე, მაგრამ მისმა დიდმა უმრავლესობამ აირჩია გერმანია. ქართველი ახალგაზრდობის ზევით აღნიშნული ჯგუფიდან რამდენიმე პირი, მათ შორის, ვიქტორ ნოზაძე გაემგზავრა ლონდონში, მაგრამ სულ მალე იგი გადავიდა ბერლინში” **[ჟურნალი „კავკასიონი.“ 1976:6].**

ასე რომ, 26 წლის ვიქტორ ნოზაძე სულ მალე გერმანიაში 1921 წლის პოლიტიკურ ემიგრაციას შეუერთდა, სადაც გააჩალა აქტიური პოლიტიკური და შემოქმედებითი მუშაობა. მან ბერლინში უნივერსიტეტიც დაამთავრა. აქვე კითხულობდა ლექციებს, აკეთებდა მოხსენებებსა და საუბრებს სხვადასხვა თემაზე, უმთავრესად მეცნიერულ-ლიტერატურაზე.

ემიგრაციაში მყოფ ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, თავის საყვარელ ქვეყანას მონყვეტილმა და კულტურულ ევროპაში თავშეფარებულმა ვიქტორ ნოზაძემ, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, თუ როგორი ენერგიით შეეძლო მას კულტურულ-აკადემიური მუშაობის წარმართვა. განსაკუთრებით თვალსაჩინო გახლდათ მისი მოღვაწეობა ჟურნალისტიკაში. 1926-36 წლებში იგი იყო ჟურნალ „თეთრი გიორგის“ რედაქტორ-გამომცემელი ლეო კერესელიძესა და მიხაკო წერეთელთან ერთად. სულ ჟურნალის 106 ნომერი გამოვიდა. 1929 წელს ვ. ნოზაძემ პარიზში გამოსცა დიდ ფორმატიანი ხელოვნებისა და მეცნიერების, პოლიტიკური კრებული ჟურნალი „კავკასიონი“, რომლის „გამომცემელი, რედაქტორი, კორექტორი, ავტორ-თანამშრომელი, ამწყობი და ექსპედიტორი, – წერდა გ. იმნაიშვილი, – ერთსა და იმავე დროს თვითონ ვიქტორი იყო” **[ჟურნალი „კავკასიონი“. 1976:6].**

ჟურნალი „კავკასიონი“ ყოველთვიური იყო. ამ შესანიშნავ ლიტერატურულ-მეცნიერულ წამოწყებას მასთან ერთად სათავეში ედგნენ ახალგაზრდა ქართველი ემიგრანტები ისილორე მანწკავა და ედუარდ პაპავა.

„კრებულმა უნდა შექმნას ახალგაზრდებში ნამქებელი განწყობილება – იმუშაონ, სწერონ და თავისი ნაშრომი ჩვენი კრებულის ფურცლებზე მოათავსონ.

ამრიგად წარმოიშობა ახალი კადრი სამწერლო ასპარეზზე მომუშავეთა. ამ გზით მოხდება, ერთის მთავარის მხრივ, ახალგაზრდობის გონებრივი წინსვლის საქმის მოგვარება, ამ საქმის ჯეროვან დონეზე დაყენება”, – ასეთი პროგრამით დაიწყო ჟურნალმა თავისი მუშაობა. მალე ვ. ნოზაძე პოლიტიკურ ჟურნალ „ორნატი“-ს რედაქტორი გახდა. „ორნატის“ ჯგუფი 1935 წელს „გიორგიანულ“ მოძრაობას შეუერთდა, სადაც ვ. ნოზაძე გაზეთ „თეთრი გიორგის“ რედაქტორად დაინიშნა.

1937-39 წლებში ვ. ნოზაძე რედაქტორობდა ქართველ ფაშისტთა სქელტანიან ჟურნალ „ქართლოსს“. სულ გამოვიდა 23 ნომერი 9 ჟურნალად. საინტერესო იყო შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ჟურნალის მე-11 და მე-12 ნომრები, სადაც გაშუქებული იყო ვრცელი ნაშრომი „ვეფხისტყაოსანი – ეროვნების კავშირი“.

იგი ზიჩის ნახატებით იყო ილუსტრირებული. ყოველ ნომერში შავი შრიფტით მეორედობდა საპროგრამო დებულებები, რომლებსაც ვ. ნოზაძისაგან – „საქართველომ კვლავ უნდა შვას რუსთაველი“ – რეფრენად ჰქონდა წამძღვარებული. 1951 წელს იგი რედაქტორობდა ბუენოს-აირესში გამომავალ ჟურნალ „მამულს“, რომლის სულ 6 ნომერი გამოვიდა. სამხრეთ ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ვ. ნოზაძემ კვლავ აღადგინა პარიზში გამომავალი ჟურნალი „კავკასიონი“, რომელსაც 1966-77 წლებში რედაქტორობდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, დიდი ქართული საქმისათვის, მისი ჩვეული თანადგომა და თანაგრძნობა. 1937 წელს, ქართულ პოლიტიკური ემიგრაციაში შეგროვილი თანხით, პარიზში გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის პირველი წიგნი, 440 გვერდიანი ნაშრომი „არხეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“, რომლის წინასიტყვაობაში ე. თაყაიშვილი წერდა: „ავტორი წინამდებარე წიგნისა თავის ზნეობით მოვალეობათ რაცხს უგულითადესი მადლობა გამოუცხადოს ბ-ნ ვიქტორ ნოზაძეს, რომელმაც თავისი უანგარო დახმარებით შესაძლებელი გახადა ამ წიგნის გამოცემა“ **[დაუშვილი რ. 2007:170]**.

ეს, ის რაჭა-ლეჩხუმი იყო, რომელიც გიმნაზიის დირექტორის იოსებ ოცხელის დავალებით რვა გიმნაზიელთან ერთად (დ. ბერეკაშვილი, ვ. ჩიგოგიძე, ს. წერეთელი, გრ. ნიკოლაიშვილი, მახარაძე, ვ. ყიფიანი და შ. ახვლედიანი) ფეხით მოიარა ვ. ნოზაძემ. ეს იყო ახალგაზრდების მიერ ჩატარებული პირველი მოგზაურობა.

ამბობენ, ვიქტორს ახალგაზდობიდან სიკვდილამდე ჰქონდა გატაცება, ეს იყო ჟინი წერისა. ერთხელ მეგობართან საუბრისას უთქვამს „ასეა ჩემი ბუნება, მელანი რომ არ მქონდეს, ჩემი სისხლით დავწერდიო“ **[ჟურნალი „კავკასიონი“. 1976:12]**.

„ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვიქტორ ნოზაძე თავაუღებლივ დღე-და-ღამ ფუტკარივით შრომით ემსახურა ქართულ კულტურას, ისტორიას, ლიტერატურას, პოლიტიკას, პუბლიცისტიკას, საგამომცემლო საქმეს თუ ჟურნალისტიკას. მან თავის ხალხს დაუტოვა უმდიდრესი მემკვიდრეობა“ **[ჟურნალი „კავკასიონი“. 1976:11]**.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერალი გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა: „მწერალი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს, რადგან პოლიტიკას ვერაფერს შეჰმატებს და სულ ტყუილად დაზარალდება“.

ნაპოლეონის თქმით კი „პოლიტიკა ბედისწერაა.“

მეცნიერი, მწერალი და პუბლიცისტი ვიქტორ ნოზაძეც აღმოჩნდა საუკუნის ორომტრიალში ჩათრეული, არა იმიტომ რომ ძალაუფლებისაკენ ილტვოდა, არამედ როგორც დიდ ქართველ მოაზროვნეს მიაჩნდა, რომ ყველა დიდი შემოქმედის სიდიდე მხოლოდ პიროვნულ თავისუფლებასა და სულიერ მე-ში გამოიხატება და ქართველისათვის თავისუფლება მოასწავებდა „რუსის განდევნას“ და „რუსის განდევნა“ კი თავისუფლებას. ყოველი ქართველი „სამანს იქითაც და სამანს აქეთაც“ აშკარად გრძნობდა, თუ რამდენად საჭირო იყო სამშობლოსა და მისი კეთილდღეობისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და პოლიტიკური თავისუფლება.

ამ მიზნით იკისრა ერის წინამძღოლობის მისია უცხოეთში გადახვენილმა ინტელექტუალურმა ელიტამ. როგორც ერის იდეოლოგმა, ერის გულისთქმის მეზარახემ, და ამ გულისთქმის თეორიულ-ფილოსოფიურ სისტემაში ჩამომქმნელ – ჩამომყალიბებელმა.

ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ერთმა ნაწილმა თავის შელახულ და წართმეულ უფლების აღდგენის ერთადერთ რეალურ მეზრძოლ ძალად, მაშინ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ გერმანია დაინახა, ხოლო კომუნისტების მესაფლავე იდეოლოგად კი ფაშიზმი, რომელიც ატრიალებდა ისტორიასა და ბედისწერის ბორბალს.

აღბათ, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ 1937-39 წლებში პარიზში შალვა მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით „ქართული ფაშისტური დარაზმულობა“ შეიქმნა, რომლის ბროშურა

„საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის დებულებანი მოღვაწეობისათვის და ბრძოლისათვის“ დაწერა ვიქტორ ნოზაძემ. პროგრამა 14 მუხლისაგან შედგებოდა. მათ კონსტიტუციური მონარქიული სახელმწიფოს აღდგენა საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის მთავარ კრიტერიუმად მიაჩნდათ, სადაც ყველა ქართველი თანასწორუფლებიანი და თანასწორმოვალეობიანი იქნებოდა. „ფაშისტურმა დარაზმულობამ“ ინტეგრალური ნაციონალიზმისა და ეკლესიის აღდგენის იდეა იტალიელი ფაშისტებისაგან აიღო, მაგრამ გერმანული ნაციზმი და რასიზმი უარყო, რადგან არ ამტკიცებდნენ ქართველი ერის გამორჩეულობასა და განსაკუთრებულობას, როგორც ამას ნაცისტები აკეთებდნენ. საერთოდ, „ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა“ ორგანიზაციულად არც გერმანულ ნაციონალურ-სოციალისტურ და არც იტალიელ ფაშისტთა პარტიაში არ შესულა.

„ქართველ ფაშისტთა“ დებულებები უტოპიზმისა და ერთგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობით ხასიათდებოდა, რაც შემდგომ ისტორიამ და ცხოვრებამაც დაადასტურა. მალე ქართველ ფაშისტებს გერმანიაზე გული აეყარათ და დარაზმულობა დაშალეს, მაგრამ, გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის ომის დაწყებამ, სამშობლოს გამოხსნის იმედი კვლავ ჩაუსახა და ამიტომ „მოქმედ გერმანულ არმიასა და ეროვნულ ბატალიონებში სხვა ემიგრანტებთან ერთად „ქართული ფაშისტური დარაზმულობის“ ყოფილი წევრებიც ჩაენერნენ, რათა სამშობლოს განთავისუფლებაში მონაწილეობა მიეღოთ. შ. მალლაკელიძე გერმანელებთან თანამშრომლობდა, როგორც სამხედრო პირი, ხოლო ვიქტორ ნოზაძე და კალისტრატე სალია „ქართული შტაბის“ საქმიანობაში მონაწილეობდნენ, როგორც რიგითი უპარტიო ქართველები.

ვ. ნოზაძეს, ისევე როგორც არაერთ ქართველ ემიგრანტს, გულწრფელად სჯეროდა, რომ ჰიტლერი სძლევდა სტალინს და საქართველოს გაათავისუფლებდა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკას ადევნებული შემოქმედი, მწერალი იქნება ის თუ მეცნიერი ნაგებულია და ისჯება კიდევ.

„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ნიურნბერგის პროცესმა გერმანელ ფაშისტთა რასისტული და ანტიჰუმანური მოღვაწეობა გამოაშკარავა, ბევრი ქართველისათვის ომის ეს მათთვის უცნობი საშინელი მხარე, ტრაგიკული აღმოჩნდა. ბევრ მათგანს, ამ თანამშრომლობისათვის და არა მათი „ფაშისტური წარსულისათვის“, მათ შორის ვიქტორ ნოზაძეს, ევროპის დატოვება მოუწია“ **[დაუშვილი რ. 2007:117-123].**

აქ მთავრდება ვიქტორ ნოზაძის აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა და იწყება მისი ფართო ლიტერატურულ-მეცნიერული შემოქმედებითი მუშაობა, თუმცა მას საქართველოს ხსნისათვის იდეოლოგიური ბრძოლა არასოდეს შეუწყვეტია.

„ვიქტორ ნოზაძემ „ვეფხისტყაოსნის“, „ჩხრეკანი“, ასე ეძახდა იგი თავის სამუშაოს, ბერლინში, ომის უკანასკნელ წლებში, დაიწყო. მაშინ მას გარკვეული გეგმა ამ მუშაობისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა. საერთოდ ამ საქმის დასაწყისი, ასე ვთქვათ, ლოდიკური შემთხვევა“ იყო. ლოდიკური – იმიტომ, რომ ის, რაც მან გააკეთა, სწორეთ მოსალოდნელია მისგვარი ტიპის კაცისაგან, ხოლო შემთხვევა ის იყო, რომ მას ხელთა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი მარჯორო უორდროპისა. ვიქტორმა თარგმანისა და ორიგინალის შედარებით დაიწყო მისი „ჩხრეკანი“. ეს მისთვის, თითქმის დროის მოკვლა და გონიერი გართობა იყო. თავიდანვე მისი ყურადღება მიიპყრო იმან, თუ როგორ არის ინგლისურად თარგმნილი სხვადასხვა ტერმინები, ცნობები და გამოთქმები.

მან ძებნის დროს შენიშნა „ვეფხისტყაოსანში“, რომ ფერს ასე დიდი ადგილი უკავია და ამ მოვლენას დაარქვა „ფერთამეტყველება“, რაც შემდეგში მისი წიგნის სათაურად გადაიქცა. ხოლო სიტყვა „მეტყველების“ ქართულ ენაში არსებულმა გამოყენებამ, მას საშუალება მისცა იგივე სიტყვა სხვა, შემდეგი ტომების სათაურებშიც გამოეორებულიყო“ **[უურნალი „კავკასიონი“. 1976:20].**

30 წელი მოანდომა ვიქტორ ნოზაძემ „ვეფხისტყაოსნის“ „ჩხრეკას“, რომელსაც მძიმე პირობებში,

ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე მარტოდმარტოს უხდებოდა მუშაობა. მეცნიერსა და მწერალს ერთი მიზანი ასულდგმულებდა, რომ ქართველი ერის სულიერი ნამოქმედარი შეთვისებული, შესწავლილი და შესისხორცებული ყოფილიყო თანამედროვე ქართველის მიერ, რაც უცხოეთის ცის ქვეშ, კულტურული სფეროს გზასავლის აღმავლობისა და სულიერი შემოქმედების გაძლიერების საწინდარი იყო.

სამშობლოდან სიმორით გაჩენილი ნოსტალგიური გრძნობისა და სულიერი ტკივილის განქარვების ერთადერთი რეალური საშუალება ვიქტორ ნოზაძისათვის იყო „ვეფხისტყაოსნის“ „ჩხრეკანი“, რომელსაც იგი ილუზიურ სამყაროში გადაჰყავდა და მათ პერსონაჟებთან ერთად იბრძოდა ნესტანის სახეში გაცხადებულ, დატყვევებულ სამშობლოს გასანთავისუფლებლად. რუსთველოლოგიაში მუშაობისას ვ. ნოზაძეც ტარიელივით „ველათ გაჭრილი“ იყო. მან „ვეფხისტყაოსნის“ გმირებივით ვრცელი გეოგრაფიული არეალი მოიარა: – გერმანია, ავსტრია, არგენტინა, ჩილე, ბრაზილია, ესპანეთი და ბოლოს საფრანგეთი.

დიდი ნიჭისა და ურყევი ნებისყოფის წყალობით, ვიქტორ ნოზაძემ შექმნა და სამშობლოს დაუტოვა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული კვლევის 6 მონუმენტური ტომი, რომელთაც იგი გზადაგზა თვითონვე აწყო და ბეჭდავდა. პირველი ტომი „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ დაიბეჭდა 1953 წელს არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, სადაც ვ. ნოზაძე ცხოვრობდა ქუთაისიდან თავის განუყრელი მეგობრების თამარ და აკაკი პაპავების ოჯახში.

მეორე ტომი „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“ ვ. ნოზაძემ 4 წლის შემდეგ დაასრულა და იგი 1957 წელს სანტიაგო-დე-ჩილეში გამოსცა. იმავე წელსვე, გამოვიდა, ისევე სანტიაგო-დე-ჩილეში მისი მესამე ნიგნი – „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“.

ერთი წლის შემდეგ, სამხრეთ ამერიკაში დაასრულა ვ. ნოზაძემ რუსთველოლოგიური ნაშრომის მეოთხე ნიგნი „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათ-მეტყველება“ და ისიც სანტიაგო-დე-ჩილეში დაიბეჭდა.

ცნობილ რუსთველოლოგს ვიქტორ ნოზაძეს სამხრეთ ამერიკაში მასპინძლობა გაუწია ჩილეში მცხოვრებმა ქართველმა მრეწველმა ავთანდილ მერაბიშვილმა, რომელიც გერმანიის მხარეზე მეტრძოლ ქართველებს განსაკუთრებით პატრონობდა. 1947 წელს ჩილეს მთავრობამ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა განყვიტა და ევროპიდან რეპატრიაციის გამო დევნილი ლტოლვილები შეიფარა. მათ შორის გახლდათ ვიქტორ ნოზაძეც.

ავთანდილ მერაბიშვილმა დააფინანსა და გამოსცა ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ დასახელებული სამივე ნიგნი. ქართველი მრეწველის ინიციატივითა და ვიქტორ ნოზაძის დახმარებით გამოჩენილმა მთარგმნელმა გუსტავო დელა ტორემ ესპანურად აამეტყველა რუსთაველის პოემა, რომელიც მერაბიშვილის დაფინანსებითვე გამოიცა.

ჩილეში გვარჯილისა და სპილენძის მადნეულის მფლობელმა მერაბიშვილმა, სანტიაგოს მახლობლად, ოკეანის სანაპიროზე შეიძინა მიწები, რესტორანთა ქსელი და სააგარაკო ქალაქი გააშენა. ქუჩებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ცენტრალურ გამზირს კი – თავისი გადამრჩენელის რუსთაველის სახელი უწოდა.

ცნობილია, რომ 1926 წელს ქართველმა ემიგრანტმა ავთანდილ მერაბიშვილმა, პარიზში, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისათვის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი მოკლა.

„სასამართლოზე ბრალმდებელმა მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვა. მოსარჩელედ გამოსულმა ემიგრანტმა პოეტმა, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელმა კონსტანტინე ბალმონტმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა. მან აღნიშნა: „თარგმანზე იგი დიდი ხანია მუშაობს და ღრმად ჩანვდა ქართულ ხასიათს, რომ ამ პოემაზე აღზრდილი ქართველებისათვის ყველაზე დიდი დანაშაულია

რწმენის, სამშობლოსა და მეგობრის ღალატი. ვეშაპელმა კი სამივე ეს ზნეობრივი კრიტერიუმი დაარღვია და ამიტომ დაისაჯა. ბალმონტის გამოსვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანგულ სასამართლოზე, რომ მან მკვლელს მხოლოდ საფრანგეთიდან გადასახლება მიუსაჯა. მერაბიშვილი ჯერ გერმანიაში დასახლდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში” **[დაუშვილი რ. 2008:23]**.

აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბალმონტის რუსულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ 1933 წელს პარიზში საკუთარი ხარჯით გამოსცა ცნობილმა ემიგრანტმა მესტამბემ დავით ხელაძემ, რაც ქართული პატრიოტიზმით იყო ნაკარნახევი.

1966 წელს რუსთაველის 800 წლის საიუბილეოდ ავთანდილ მერაბიშვილმა ჩილელ მხატვარს შოთას პორტრეტი შეუკვეთა, რომელიც ამშვენებდა ჩილელ მწერალთა ასოციაციის მიერ გამართულ საიუბილეო საღამოს მოსაწვევს.

1960 წელს, სამხრეთ ამერიკიდან გადასული, ვიქტორ ნოზაძე ჯერ ესპანეთში ცხოვრობდა, ხოლო 1963 წელს საფრანგეთში დაბრუნდა, სადაც მან კვლავ გააგრძელა თავისი საყვარელი საქმე. 1963 წელს პარიზში „ვეფხისტყაოსნის ღრმთისმეტყველება“ დაბეჭდა. ხოლო „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველებების“ – ამ უკანასკნელი მე-6 წიგნის გამოცემას ავტორი ველარ მოესწრო. იგი მოულოდნელად ავად გახდა და 1975 წლის 24 აპრილს გარდაიცვალა. მას მეექვსე წიგნის დასრულება ერქარებოდა, სულ რამოდენიმე წუთის სამუშაო ჰქონდა დარჩენილი. აუნყოფელი დარჩა „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველებების“ მე-4 ნაკვეთის ბოლო ნაწილი და მე-5 -6 ნაკვეთები. ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა მისმა ძმამ გიორგი ნოზაძემ, რომელიც ამ წიგნისათვის დართულ შენიშვნაში წერდა: „ჩემი ძმის ვიქტორის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა ამით (ე.ი 6 ტომით) არ ამოიწურება.

მან დატოვა ნახევრად დამუშავებული სახით მის მიერ განზრახული სხვა შრომის მასალები, რომელთა შორის იყო: 1. „ვეფხისტყაოსნის სიბრძნისმეტყველება“, 2. „ვეფხისტყაოსნის გონებათმეტყველება“, 3. „ვეფხისტყაოსნის სულთმეტყველება“, 4. „ვეფხისტყაოსნის მჭერმეტყველება“, 5. „ვეფხისტყაოსნის ფსიქოლოგიის მეთყველება“, 6. „ვეფხისტყაოსნის ნებათმეტყველება“, 7. „ვეფხისტყაოსნის საზოგადოების მცნებანი“, 8. „ვეფხისტყაოსნის ცნება-ცნობა“, 9. „ვეფხისტყაოსნის ესთეტიკა“, 10. „ვეფხისტყაოსნის ტანთმეტყველება“, 11. „ვეფხისტყაოსნის გულთამეტყველება“.

„ჩვენში ნაკლებად არის ცნობილი ისეთი ღრმა ცოდნით, იშვიათი გონება-მახვილობითა და კეთილსინდისიერებით დანერგილი რუსთველოლოგიური გამოკვლევანი, როგორც ვიქტორ ნოზაძისა იყო. თხრობის საოცარი კულტურა, უზარმაზარი ინფორმაციის ერთ სააზროვნო ხაზზე აგება, ეროვნული სულის-კვეთება, ენციკლოპედიური ცოდნა, განათლების დიდი თვალსაწიერი“, – ასე ახასიათებდნენ თანამედროვენი მას, რომელსაც ზედ ერთვოდა კონსტანტინე გამსახურდიას გულდანყვეტილი ფრაზაც: „სამწუხაროა, ასეთი დიდი ერუდიტი სამშობლოში რომ არა ხარ“...

ვიქტორ ნოზაძის ნიჭიერებით აღფრთოვანებულ მრავალთაყვანისმცემელთა რიცხვში ერია ცნობილი პოლიგლოტი, ენათმეცნიერი, „ვეფხისტყაოსნის“ მშობლიურ ჩეხურ ენაზე პროზაურად და ლექსად მთარგმნელი, პრალის უნივერსიტეტის პროფესორი იარომირ იედლიჩკა.

იგი გულდაგულ სწავლობდა ბ. ნოზაძის რუსთველოლოგიურ შრომებს და საქართველოში უგზავნიდა პროფესორ იოსებ მეგრელიძეს სხვადასხვა ადრესატებისათვის გადასაცემად.

„ახალ ნომერში ვ. ნოზაძის წიგნის წინასიტყვაობა გამოვიდა, მაგრამ თვით წიგნი კი ჯერ არ იყო გამოსული და როცა იგი გამოვიდა, რედაქციამ გაიცნო და მას ენანება, რომ შეცდა, წინასიტყვაობა რომ გამოაქვეყნა, ვინაიდან შინაარსი ბევრ რამეში ქართველი რუსთველოლოგების წინააღმდეგაა. რედაქცია დაუბრუნდება ამ საქმეს ქართულ ნომერში და გთხოვს (ან მე გთხოვთ), რომ თქვენ სხვა რუსთველოლოგებს ბოდიში უთხრათ ამაზე... შეატყობინეთ ა. შანიძეს და სხვებს.“ (1963,26,X).

აღსანიშნავია, რომ ცნობილ რუსთველოლოგთან ვ. ნოზაძესთან სამშობლოდანაც ახერხებდნენ უშუალო კავშირ-ურთიერთობას. ამის დასტურია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული წერილი. 1959 წლის 5 თებერვალს ქუთაისში მოღვაწე პროფესორ გიორგი კოკოჩაშვილს მისი კოლეგა თბილისელი რეზო ჟორდანიას წერდა: „**მე მიმონერა დავამყარე ჩილეში მცხოვრებ პროფ. ვიქტორ ნოზაძესთან და გუშინწინ სანტიაგოში დაბეჭდილი ქართული წიგნები მივიღე. ესაა: „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“ და „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“. ძალიან საინტერესოა!**“ [ქიმ 2-211/380].

სამართლიანად წერდა ვიქტორ ნოზაძეზე ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე დავით ვაშაძე: „მთელი შენი სიცოცხლე საქართველოს საქმეს შეაღიე, შენ სხვა ცხოვრება არ გქონია, არ გეცალა პირადი ბედნიერებისათვის, შესანიშნავი გაკვეთილი დაგვიტოვე იმისა, თუ როგორ თავდადებით უნდა ემსახუროს ყოველი პატიოსანი ქართველი თავის წმინდა მოვალეობას. ვაჟკაცურად დაასრულე გზა ლამაზი, შინაარსიანი ცხოვრების“... [ჟურნალი „კავკასიონი“. 1976:11].

ცალკე უნდა აღინიშნოს ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით პარიზში 1966 წელს, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი „კავკასიონის“ საგანგებო ნომრის გამოცემა, რომელშიც სხვა ავტორთა საყურადღებო წერილებთან ერთად გამოქვეყნებული იყო ვ. ნოზაძის ათზე მეტი რუსთველოლოგიური ხასიათის ნარკვევი-დაკვირვება „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ ადგილის გასაგებად. მათ შორის, აღსანიშნავია „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“, „ლეოპარდუს, პანთერა, ტიგრ, ვეფხი“, „მოლი რამე წამოისხა“, „ვით კატასა ვხოცდი ლომსა“, „ძონეულითა მოსილი“, „მზე მამრუნებს, არ გამიშვებს“, „მისთვის გულს ლახვარ სობილი“ და სხვა.

აქვე დაბეჭდილია ვ. ნოზაძის უაღრესად საინტერესო გამოკვლევა „დანტე – რუსთაველი“ და მისსივე რეცენზია ლ. თაქთაქიშვილ-ურუშაძის წიგნზე... მარჯორი უორდროპი“...

ჩვენ არ შეუდგებით დისკურს ვ. ნოზაძის მეცნიერულ-რუსთველოლოგიურ ნაშრომების ირგვლივ. მისი ფასდაუდებელი ღვაწლის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ამ საქმეში ჩახედული სპეციალისტების დასკვნიდან ერთ ასეთ ამონარიდს: „საბჭოთა პერიოდში გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ქართული მეცნიერული საზოგადოებრიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მუდამ სათანადოდ აფასებდა და ღირსეულ პატივს მიაგებდა ვიქტორ ნოზაძეს, როგორც მეცნიერ-რუსთველოლოგს და რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში შესაფერისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული ვ. ნოზაძის ნაშრომებს მათზე მითითება – დამონშემებით“... [შარაძე გ. 2001:26].

მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ პროფესორ იედლიჩკას წერილში იყო აღნიშნული, ვიქტორ ნოზაძეს მეცნიერულ კვლევა-ძიებისას ხშირად უხდებოდა მათთან ცხარე კამათი და დაპირისპირება, მაგრამ საბჭოთა მეცნიერები მის შეფასებაში პირუთვნელები იყვნენ. რუსთველოლოგიური ხასიათის ნაშრომებზე ვ. ნოზაძე მუშაობდა დიდი ცოდნით, გულმოდგინებით, ყურადღებით და ამიტომ უხდებოდა ხშირად მსჯელობა-დაჯერება მთელ რიგ საკითხებზე ემიგრაციაში მყოფ მის უახლოეს მეგობრებთანაც. მათ შორის, ისეთ სახელგანთქმულ მეცნიერებთან, როგორიც იყვნენ მიხაკო წერეთელი და აკაკი პაპავა.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისას, – ვკითხულობთ ჟურნალ „კავკასიონის“ მე-11-ე ნომერში, რომ იგი ხშირად დაობდა მიხაკო წერეთელთან. ასევე მკაცრად აკრიტიკებდა შოთა რუსთაველის პიროვნებისა და ვინაობა-წარმომავლობის საკითხზე აკაკი პაპავასაც. ჟურნალის ფურცლებზე მითითებულია ვიქტორ ნოზაძის ასეთი შენიშვნა: „სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად და პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარ პავლე ინგოროყვას „რუსთველიანას ეპილოგიც“ ჩემთვის არის მხოლოდ „ლამაზი ზღაპარი“ და ეს თავისი სილამაზით პირველ ზღაპარს („რუსთველიანას“) უთუოდ სჯობნის“.

მისთვის მიუღებელი რუსთველოლოგიური კონცეფციისათვის ვიქტორ ნოზაძემ ასეთი მომაკვდინებელი განაჩენი გამოუტანა ერთგულ მეგობარს აკაკი პაპავას. მის პრინციპულობაზე ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა აკაკი პაპავას წერილმაც „მადლიანი მჩხრეკელი“, რომელშიც იგი „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებას“ მალალ შეფასებას აძლევდა.

ვ. ნოზაძისათვის არამარტო მისი მეცნიერული მუშაობა იყო თავგანწირვის ტოლფასი, არამედ სხვისი შედეგებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

„1966 წელს რუსთაველის 800 წლისთავის გრანდიოზულ იუბილეზე ვიქტორ ნოზაძე საქართველოში მოიწვიეს. მან თბილისიდან ორჯერ მიიღო მონწვევის დეპეშა: „მობრძანდით, იუბილეზე დაესწარით, ბილეთს და ვიზას მიიღებთ საბჭოთა კავშირის საელჩოში“. პირველი დეპეშა რუსულ ენაზე იყო შედგენილი და ხელს აწერდა ირაკლი აბაშიძე. მეორე დეპეშა ფრანგულ ენაზე იყო დაწერილი და ხელს აწერდა „საიუბილეო საორგანიზაციო კომიტეტი“.

ამასთან დაკავშირებით ვ. ნოზაძეს ასეთი შენიშვნა გაუკეთებია თურმე: „რუსთაველის იუბილეს მართავენ და რუსულად მწერენ დეპეშას?! რუსთაველის იუბილეს თავისუფალი, ბედნიერი საქართველო არ ზეიმობს. ის ჯერ ისევ დაპყრობილია“...

ეტიკეტის გამო პირველ დეპეშას ვ. ნოზაძემ უპასუხა: „თქვენგან გასაგები მიზეზთა გამო თბილისს ვერ მოვალ და იუბილეს ვერ დავესწრები“.

რუსთაველის ამხელა ფორუმზე უარისთქმა, რომლის „ჩხრეკასაც“ ვ. ნოზაძემ 30 წელი შეაღია, ავტორისაგან ასეთი გადაწყვეტილება, წარმოუდგენლად ტკივილიანი იყო. ეს გულდანყვეტა მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში არც დაუმაღავს: „წარმოგიდგენია: რა ბედნიერება იქნებოდა საქართველო ერთჯერ კიდევ მენახა! ... მახლას! ... “ [ნიშნინიძე რ. 2005:339].

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსთაველის იუბილეზე არც მოსაწვევი გაუგზავნეს და მონაწილეობაც კი არ მიაღებინეს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელსა და „რუსთაველისა და აღმოსავლური რენენსანის“ ნაშრომის ავტორს აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს, რომელმაც „ჩეკას“ ჯურღმულებში ნაწამებმა, მოსკოვის საპყრობილეში გაუსაძლის პირობებში თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რისგამოც სტალინმა იგი კონგენიალურ მთარგმნელად შეაფასა.

ეს იყო კომუნისტური იდეოლოგიის მესვეურთა მხრიდან მორიგი ნონსენსი, რადგან მათ წლების განმავლობაში შალვა ნუცუბიძისაგან ვერანაირი ზენოლით ვერ შექმნეს ე.წ. საბჭოთა მეცნიერი. ვერც მენტალობით, ვერც განათლებით, ვერც გარეგნობითა და მანერებით. ამიტომაც დასაჯეს და აუდიტორიის მიღმა დატოვეს. ხოლო აღიარებული მეცნიერ — რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის იუბილეზე მონწვევა იყო მორიგი გამანადგურებელი ცინიზმი – სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მეტროქოლ პოლიტიკურ ემიგრანტის მიმართ. იქნებ, სატყუარაც კი... ვინ იცის?!...

ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსანი“-ს ღირებულებები მუდმივი ძიებისა და კვლევის საგნად კიდევ დიდხანს დარჩება, რასაც მისი რვა საუკუნოვანი აქტუალობაც ადასტურებს.

„მხოლოდ დიდი პიროვნებანი ადგამენ ერს უკვდავების გვირგვინს“, – ბრძანებდა კონსტანტინე გამსახურდია. ჭეშმარიტად ასეა.

მსოფლიო მნიშვნელობის ტალანტმა, გენიოსმა შოთა რუსთაველმა თავისი ქმნილებით „ვეფხისტყაოსნით“ უკვდავენის გვირგვინი კიდევ ერთხელ დაადგა საქართველოს, რომლის დასტურია, დღეს იუნესკოს მიერ მსოფლიოში 2012 წლის რუსთაველის წლად გამოცხადება.

და ჩვენც საგანგებოდ, ქართველი ერის უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ „მჩხრეკელი“ ვიქტორ ნოზაძეც, მოკრძალებით, ამიტომაც შეგახსენეთ.

ლიტერატურა:

1. დაუშვილი რ. ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბილისი. 2007
2. დაუშვილი რ. ამერიკის შესწავლის საკითხები ტ.V. თბილისი. 2008
3. ჟურნალი „კავკასიონი“ XI. პარიზი. 1960
4. ჟურნალი „კავკასიონი“ XIII. პარიზი. 1968
5. ჟურნალი „კავკასიონი“ XVIII. პარიზი. 1976
6. მარჯანიშვილი მ. მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი. თბილისი. 2011
7. ნიშნიანიძე რ. საქართველო – სამანს აქეთ და სამანს იქით. წიგნი I. თბილისი. 2005
8. ჟურნალი „სამშობლო“. I თბილისი. 2009
9. ჟურნალი „ცისკარი“. №12. თბილისი. 1963
10. სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი. ტ. I თბილისი 2011
11. სიგუა ს. ქართული მოდერნიზმი. თბილისი 2002
12. შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. I. თბილისი. 2001
13. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. II. თბილისი. 1993
14. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. III. თბილისი. 1995
15. ქიმ. 1772. ფ-2
16. ქიმ. 2- 211/380

Mariam Marjanishvili

LITERARY AND SCIENTIFIC WORK OF VIKTOR NOZADZE IN SOUTH AMERICA

“The Knight in the Panther’s Skin” by Rustaveli is still a kind of the Bible for the Georgians, as a political and moral source, - wrote the Hungarian artist Mikhai Zich.

This idea is proved by the following opinion of the famous researcher and critic Sergi Chilaia: “A Georgian man considers The Knight in the Panther’s Skin to be his patron. While reading it his soul is filled with hope and courage.

Rustaveli’s unique proverbs and sayings have been recited for centuries: “Better a glorious death, than life dragged out in dishonor”, or “But like a rock stands firm amidst all misfortunes and troubles”. These words have been repeated by Georgian people, and Rustaveli was their hope, their flag, it inspired, encouraged and called for victory in unequal and unfair struggle. It was the foremost honor of the genius poet.”

It took Victor Nozadze, the famous emigrant researcher of Rustaveli, 30 years to research and study “The Knight in the Panther’s Skin”. He first started working on “The Knight in the Panther’s Skin” in Berlin, then, after World War II, he continued working on it in South America and finally finished in France.

Between 1953 and 1957 four volumes of V. Nozadze’s works were published in South America, namely in Argentina and Chile. The last two volumes were published in Paris, the fifth volume in 1963, the sixth remained unfinished and was published by his brother Giorgi Nozadze.

Victor Nozadze’s heritage was not limited only by this. He left us partly finished material of 11 works.

Victor Nozadze's works, which are less known for us, are distinguished with deep knowledge, quick wit and conscientiousness. Konstantine Gamsakhurdia called him 'a greatly erudite person' and felt sorry that he was not in his homeland.

In 1966 Victor Nozadze was invited to Georgia for the 800th jubilee of Rustaveli. He received two invitation telegrams from Tbilisi: "Please visit the jubilee, you will get the ticket and visa in the Embassy of the Soviet Union". The first telegram was in Russian and was signed by Irakli Abashidze. The second was in French and was signed by 'the Organizational Committee of the Jubilee'.

V. Nozadze made the following comment about this fact: "They are organizing Rustaveli's jubilee and writing to me in Russian?! Rustaveli's jubilee is not celebrated by free, happy Georgia, it is still conquered".

V. Nozadze answered the first telegram out of politeness only: "For a certain reason known to you all, I cannot come to Tbilisi and attend the jubilee".

The refusal to attend such a grand forum was especially painful for V. Nozadze, who spent more than 30 years on "searching" Rustaveli. He revealed this pain in a letter addressed to one of his friends: "Can you imagine: what great happiness it would be to see Georgia once more!..."

It is clear that inviting Victor Nozadze, the scientist and researcher of Rustaveli, to the jubilee was another destructive cynicism for the political emigrant who fought for the freedom and independence of his homeland. Perhaps a bait. ..Who knows?!...

We think that the values of "The Knight in the Panther's Skin" will remain the subject of constant search and study for a long time to come, which is proved by its 8-century-old actuality.

The year 2012 was announced the year of Rustaveli by UNESCO, that's why we decided to remind the public about the great contribution of Victor Nozadze, the researcher of Rustaveli.



გერმანელი მკვლევარები და მოგზაურები საქართველოში

ქართულ-გერმანული ურთიერთობების ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. მიუხედავად განსხვავებული ხასიათის, კულტურის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისა, უძველესი დროიდან ამ ორ ხალხს შორის არსებობდა განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება, რაც აისახა საქართველოში მოღვაწე გერმანელი მკვლევარების ნაშრომებსა და ხელოვანთა შემოქმედებაში. გერმანელი მეცნიერების ნაშრომებს, კვლევებს, ჩანაწერებს, ჩანახატებს, დღიურებსა თუ მოგონებებში დაცულია უძვირფასესი ცნობები საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ.

ცნობილი ქართველი გერმანისტი გ. გელაშვილი საქართველოში მოგზაურ გერმანელ მეცნიერთაგან ცალკე ჯგუფად გამოჰყოფს იმ ექსპედიციის წევრებს, რომელიც ეწყობოდა მეფის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ და მიზნად ისახავდა არა მარტო რუსეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების, არამედ იმპერიის მოსაზღვრე ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღწერას. ექსპედიციები ძირითადად დაკომპლექტებული იყო გერმანელი მეცნიერებით, რომლებსაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემია იწვევდა. პირველ ამგვარ ექსპედიციას 1768-1775 წწ უძღვებოდა ი.ა. გიულდენშტედტი. ცნობილი გერმანელი მეცნიერი საქართველოში 1771 წლის სექტემბრიდან 1772 წლის თებერვლამდე მოგზაურობდა. ამ ერთი წლის განმავლობაში ის იყო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის და იმერეთის მეფე სოლომონ I-ის პირადი სტუმარი, რომელთა ხელშეწყობით გიულდენშტედტმა შეძლო ემოგზაურა მთელ საქართველოში. მისი სამოგზაურო ჩანაწერებისაგან შედგა ნაშრომი „Reisen durch Russland und Caucasischen Gebürgen“ („მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში“). გარდა ამისა, მან მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მასალები დაგვიტოვა: დღიურები, მოხსენებები (რაპორტები) პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიისადმი, წერილები (პირადი, მეცნიერების, მეფეების, ადგილობრივი მთავრების), ლექსიკონები, ბოტანიკურ-ზოოლოგიური და სამედიცინო გამოკვლევები, ხარჯთაღრიცხვის რვეულები, ჩანახატები (მოქალაქეთა, ქალაქების, ეკლესიების, წარწერების), რუკები, რეცეპტები და სხვა. ამრიგად, გიულდენშტედტის ცნობები იძლევიან უმდიდრეს საისტორიო, გეოგრაფიულ, საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიულ, გეოლოგიურსა და სხვა მრავალ მასალას მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს შესახებ.

XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის მიერ საქართველოსა და კავკასიის ანექსიის შემდეგ, კიდევ უფრო აუცილებელი გახდა ამიერკავკასიის საფუძვლიანი შესწავლა, რასაც შედეგად მოჰყვა 1807-1808 წწ მორიგი ექსპედიცია საქართველოში. მას ხელმძღვანელობდა იულიუს ფონ კლაპროტი. ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა წინამორბედ მკვლევართა მიერ შეგროვებული ცნობების გადამოწმება და დაზუსტება, განსაკუთრებით კი ფილოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის საკითხებში. საქართველოში მოგზაურობის შემდეგ, კლაპროტი სამეცნიერო კვლევის შედეგებს თავს უყრის ორტომეულში „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“, რომელიც ჰალესა და ბერლინში გამოქვეყნდა 1812-1814 წწ. მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ იგი ფაქტიურად პირველი იყო კავკასიის მკვლევართაგან, რომელიც საკუთარ კვლევებში შეეხო რუსულ-ქართულ ურთიერთობებს. 1822 წელს კლაპროთმა ფრანგულ ენაზე გამოსცა ნაშრომი ოსებისა და ქართველების ურთიერთდამოკიდებულებაზე, 1827 წელს იგი, ასევე ფრანგულად, გამოსცემს ქართული ენის სიტყვათა კრებულს და გრამატიკას.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ინტენსიურად დაიწყო ევროპული ექსპედიციების შემოსვლა კავკასიაში. საქართველო კვლავ განსაკუთრებული ინტერესის ობიექტად რჩება. 1820 წელს სამეფო აკადემია იწყებს „ყველა კავკასიური პროვინციის უფრო ღრმა კვლევით პროგრამას“. პროგრამის

განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის გერმანელ მკვლევარს ედვარდ აიჰვალდს. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოგზაურობა საქართველოში მხოლოდ ერთი თვე (1825 წლის 25 აპრილიდან 25 ივლისამდე) გრძელდებოდა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან გამოსცა ორტომეული – „მოგზაურობა კასპიის ზღვასა და კავკასიაში“. აიჰვალდი საინტერესოდ აღწერს კავკასიელ და ქართველ ხალხთა ცხოვრების წესს, ყოფით კულტურას რუსულ ანექსიამდე და მის შემდგომ, ახდენს ქართული წეს-ჩვეულებების დეტალურ აღწერას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აიჰვალდი პირველი იყო გერმანელ მეცნიერთაგან, რომელიც შეეხო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური გერმანელების თემას.

ედვარდ აიჰვალდის პროფესიული გზა განაგრძო გერმანული ეროვნების მოგზაურმა მორიც ვაგნერმა, რომელიც იკვლევს საქართველოში 1816 წლიდან მცხოვრები გერმანელების ყოფა-ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ მის მიზანს თავდაპირველად წარმოადგენდა კავკასიური ქვეყნების მხოლოდ საბუნებისმეტყველო კუთხით კვლევა, ვაგნერი, ფაქტიურად, ცდება ამ ფარგლებს და ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებს გვანვდის ქართველი ქალის ხასიათის, ჩაცმულობისა და სამკაულის შესახებ, აღტაცებით აღწერს რა მათ სილამაზეს. „ყველა ლამაზი მონა ქალი, რომლებიც პონტოს გემებს მოჰყავდათ ბათუმიდან, სოხუმიდან და ტრაპზონიდან კონსტანტინოპოლში, ჰყიდდნენ როგორც ქართველებს, რადგან ქართველი ქალების არაამქვეყნიური სილამაზის შესახებ ჩამავალი მზის ქვეყნებშიც ცნობილი იყო“. გეოგრაფი მეცნიერი ასევე ყურადღებით და ძირფესვიანად იკვლევს საქართველოს ლანდშაფტს, აღწერს ქალაქებს ფოთს, ქუთაისს, გორს, მთელ კოლხეთს. კვლევის შედეგები მორიც ვაგნერმა გამოაქვეყნა 1850 წელს ლაიპციგში წიგნში „მოგზაურობა კოლხეთსა და ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებში“.

1843 წელს კიდევ ერთი გერმანელი მკვლევარი ესტუმრა საქართველოს. ავგუსტ ფრაიერ ფონ ჰაქსთჰაუზენმა ორი თვე დაჰყო აქ, თუმცა ამ მოკლევადიანი ვიზიტის მიუხედავად, მისი ნაშრომი მეტად მნიშვნელოვანია. იგი იმითაა განსხვავებული, რომ ავტორი მასში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიაზე თავის პოლიტიკურ შეხედულებას აფიქსირებს: „რუსეთის მმართველობა თავიდან ბოლომდე სამხედრო მმართველობაზეა დაფუძნებული, სწორედ ამიტომ არის საქართველო გაჭირვებული და ნატანჯი“. მეორეს მხრივ, ჰაქსთჰაუზენი არც კრიტიკას აკლებს ქვეყანას: „საქართველო არასოდეს არ იქნება ეკონომიკურად წარმატებული, რადგან აქ ძალადობა და კორუფცია მეფობს.“ ორი თვე დაჰყო მკვლევარმა საქართველოში და ეს საკმარისი აღმოჩნდა მისთვის ქვეყნის ორი ძირითადი და, რაც მთავარია, მრავალსაუკუნოვანი პრობლემის დასანახად.

განვიხილავთ რა საქართველოში მოღვაწე გერმანელ მეცნიერებსა და მკვლევარებს, აუცილებლად უნდა ვახსენოთ გუსტავ რადე, რომელიც 40 წელი ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაში და დიდი წვლილი მიუძღვის კავკასიის გეოგრაფიულ კვლევაში. რადეს განსაკუთრებული ინტერესი ამოძრავებდა ჯერ ისევ უცხო და გამოუკვლეველი მხარეებისადმი. ამ მიზნის განხორციელების იმედით 1863 წელს თბილისის ფიზიკის ობსერვატორიაში ინიშნება და აქედან იწყება მისი მეცნიერული მოღვაწეობა საქართველოში. იგი მალევე მიხვდება, რომ საქართველო მის მთელ ცხოვრებად და კვლევის ძირითად ობიექტად იქცევა. 1864 წლიდან ის იწყებს კავკასიის ბიოლოგიურ და გეოგრაფიულ გამოკვლევებს, ხოლო უკვე 1867 წელს თბილისში კავკასიის მუზეუმს აარსებს და საჯარო ბიბლიოთეკასთან ერთად, სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობს მას.

საქართველოს ბიოლოგიური კვლევებიც გერმანელ მეცნიერთა სახელებთან უფროა დაკავშირებული. ამის საუკეთესო მაგალითად თუნდაც ის ფაქტი კმარა, რომ თბილისის ბოტანიკური ბაღის აღორძინებაში ყველაზე დიდი წვლილი გერმანელ ბოტანიკოსს ჰ. შარერს მიუძღვის. ბუნების მკვლევარი 30 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოში – 1859 წლიდან 1889 წლამდე. მისი შექმნილია ალექსანდრეს პარკი თბილისში, ასევე ბორჯომისა და თეთრიწყაროს პარკები.

1861 წელს შარერი დაინიშნა ბოტანიკური ბაღის გამგედ და 28 წლის განმავლობაში მუშაობდა ამ თანამდებობაზე. ჰ. შარერის შემდეგ ბოტანიკური ბაღი ჩაიხარა ასევე გერმანელმა ბოტანიკოსმა და მეცნიერმა ა. გინცერბერგმა, 1902 წლიდან კი დირექტორად ადოლფ რულოვი დაინიშნა. რულოვის მიერ დაარსდა თბილისის ბოტანიკური ბაღის რამდენიმე სამეცნიერო განყოფილება და ლაბორატორია.

იმ პირველ მეცნიერ-მკვლევართა შორის, რომლებიც კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მთიანი სისტემებით იყვნენ დაინტერესებულნი, უნდა მოვიხსენიოთ გერმანელი გეოლოგი ჰერმან აბიხი, ვინც პირველმა მოხაზა კავკასიონის ძირითადი კონტურები და გამოიკვლია მისი გეოლოგიური აგებულება. მან ცხოვრების რამდენიმე ათეული წელი გაატარა თბილისში. იგი ამ დროს კავკასიის სამეფისნაცვლოს სამთო ნაწილში საგანგებო დავალებათა მთავარი ჩინოვნიკი გახლდათ. დიდი როლი შეასრულა საქართველოში სპილენძის, რკინისა და ქვანახშირის საბადოების შესწავლასა და გამოკვლევაში. ჰერმან აბიხმა საქართველოს ტერიტორიაზე მეტეოროლოგიური სადგურების ქსელი გამართა, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა წლების განმავლობაში. „ო კავკასია, რა მთები, რამდენი ამაღლებული რამ იხილეს ჩემმა ცოდნისმწყურვალე თვალებმა“, –წერდა აბიხი თავის ჩანაწერებში კავკასიის შესახებ.

მიუნხენის კავკასიისმცოდნეობის მუზეუმში კავკასიის შესახებ დაცული მასალების ორ მესამედზე მეტი საქართველოში მოღვაწე გერმანელი მეცნიერის, ადოლფ დირის მიერ შეგროვილი და გამოკვლეულია. იგი ერთ-ერთი მონიწივე ენათმეცნიერის სტატუსით დაბრუნდა სამშობლოში, გამოიკვლია რა კავკასია და მასში შემავალი რეგიონები ენათმეცნიერულ ჭრილში. ადოლფ დირი 1900 წელს ჩამოვიდა პირველად თბილისში. ქალაქის გაცნობისთანავე სურვილი გაუჩნდა მომავალ წელს უფრო ხანგრძლივი ვიზიტით წვეოდა საქართველოს და გამოეკვლია მისი კუთხეები. მან შეისწავლა ქართლი, კახეთი, იმერეთი, 1911 წელს იმოგზაურა აფხაზეთსა და ოსეთში. მისი ნაყოფიერი და საინტერესო მოგზაურობა დაგვირგვინდა 1913 წელს მიუნხენის სამეფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში მისივე ხელმძღვანელობით მოწყობილი გამოფენით. ადოლფ დირმა უზღვა ინფორმაციას მოუყარა თავი და თავის ქვეყანაში ბევრი საინტერესო მასალით დაბრუნდა, გარდა წერილობითი ნაშრომებისა, მან შეაგროვა საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა აუდიოჩანაწერების თუ ფოტოების სახით.

ჩანახატებით და ფოტომასალებითაა მდიდარი გერმანელი ალპინისტის, კავკასიისა და ტიან-შანის მთიანი რეგიონების მკვლევარის, გოტფრიდ მერცბახერის ნაშრომიც, რაც განსაკუთრებით საინტერესოს ხდის მას ნებისმიერი მკითხველისათვის. თანაც, აღსანიშნავია, რომ ავტორი თავისი მოგზაურობის პერიოდში პარალელურად უმეტესწილად საკუთარი ხელით აკეთებს ჩანახატებს და იღებს ფოტოებს, რაც საოცარი ჰარმონიით ერწყმის მის მონათხრობს. მერცბახერი აღწერს კავკასიის მთიან სოფლებს, გვანდის საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალებს იმ დასახლებებისა და სოფლების ხალხთა შესახებ, რომლებიც ხვდებოდა გზად სხვადასხვა მწვერვლებისკენ მიმავალს. 1901 წელს ლაიპციგში ორ ტომად გამოიცა მისი გზამკვლევი „Aus den Hochregionen des Kaukasus“ (კავკასიის მაღალმთიანი რეგიონებიდან). განსაკუთრებით საინტერესო და განსხვავებულია ნაშრომი აგრეთვე იმით, რომ ნიგნის ბოლო თავში მოცემულია მერცბახერის მიერ შედგენილი სია და აღწერილობა იმ ნივთებისა, რაც, ავტორს აზრით და რჩევით, აუცილებლად უნდა ჰქონდეს თან მოგზაურს, შეუდგება რა კავკასიის მწვერვალებისკენ მიმავალ გზას.

თემის ბოლოს მინდა ვახსენო აგრეთვე ჰაინრიხ რორბახერი, რომლის ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ დასმული საკითხის მიმოხილვისას. ჰაინრიხ რორბახერი, ეს არის მკვლევარი, რომელიც არც საქმიანი ვიზიტით მოხვედრილა საქართველოში, არც აქ მოგზაურობა ჰქონია გეგმაში, 1946-1949 წლებში იგი საქართველოში ტყვედ იმყოფებოდა. თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავს, სწორედ მაშინ მიეცა საშუალება, გაეცნო და დაეფასებინა ეს

სტუმართმოყვარე და გულლია ხალხი. ამის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, გადწყვიტა უფრო მეტი შეეტყო ამ ქვეყანასა და მის ხალხზე. მისი კვლევების ერთ-ერთ შედეგად 1959 წელს 875 წიგნის სათაურისაგან შემდგარი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი გამოიცა. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში კი ინახება მოგვიანებით უფრო სრული სახით გამოცემული ნაშრომის ასლი „materiellen zur Georgischen Bibliographie“, სადაც უკვე 2000-ზე მეტი წიგნია შეტანილი და ავტორისავე ხელნაწერებითა და ჩასწორებებითაა სავსე. ესაა ბოლო ეგზემპლარი, რასაც თვითონ რორბახერის მიერვე წიგნის ყდაზე მინაწერი წარწერა გვაცუობინებს. რორბახერის შრომა მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული, არამედ გერმანული კულტურის ისტორიისათვის.

საქართველოში მოგზაურ გერმანელ მკვლევართა ეს ნუსხა, რა თქმა უნდა, არასრულია. საქართველო კვლავ მრავალმხრივი ინტერესის საგნად რჩება უცხოელი მეცნიერებისათვის. დღესაც, სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების, სამეცნიერო კვლევებისა თუ პირადი კვლევითი ინტერესების გამო, ქვეყანას მრავალი მეცნიერი სტუმრობს და ჩვენს ზემოთ მიმოხილულ გერმანელ მკვლევართა სიას უფრო და უფრო მეტი მეცნიერ-მოგზაურის სახელი ემატება.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი, 1962, გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, შესავალი, თბილისი
2. Полиевктов, М. А., 1935, Европейские путешественники XIII-XVIII вв по Кавказу, Тифлис
3. Abich, H., 1896, Aus kaukasischen Ländern, Wien
4. Eichwald, E., 1834-37, Reise auf dem Kaspischen Meer und in den Kaukasus, Stuttgart
5. Haxthausen, A. F., 1856, Transkaukasien: Reiseerinnerungen u. Ges. Notizen, Leipzig
6. Klapproth, J., 1812, Reise in den Kaukasus und nach Georgien, Halle und Berlin
7. Nielsen, F., 2006, Georgien-Europa erlesen, Klagenfurt
8. Merzbacher, G., 1901, Aus den Hochregionen des Kaukasus, Leipzig
9. Rorbacher, H., 1981, Materialien zur georgischen Bibliographie, Bonn
10. Wagner, M., 1850, Reise nach Kolchis, Leipzig

TinaTin Letodiani

GERMAN RESEARCHERS AND TRAVELLERS IN GEORGIA

The history of Georgian -German relationship includes several centuries. In spite of differences in culture, traditions, and customs. Interest to each other has always been special. German researchers and art figures who worked in Georgia have left an indelible mark on the Georgian culture evidenced by lots of volumes of their scientific research works.

G.Gegelshvili divides German researchers into two groups: the first includes members of the expedition arranged by The Imperial Academy of Sciences and aiming describing not only the territories expending by The Imperial Russia but also political and economical describing of its neighboring countries. The group was directed by invited German scientists. **I.A .Guldenshtedt** led the first expedition in 1768-1775. Later he described his impressions (from the notes of his journey) in his work `Reisen durch Russland und Caucasischen Gebürgen~ (“ The journey in Russia and the Caucasian mountains”). He also left a big variety of important materials: diaries, reports to St.

Petersburg Imperial Academy, letters(private, personal, to scientists, kings, local administration), dictionaries, botanical,zoological ,and Medical researches, budget , drawings citizens, towns, churches, inscriptions), maps, receipts and etc.

In the beginning of XIX century, after Georgia's annexation by The Russian Empire, the fundamental research of Transcaucasia became more important, and thus a new expedition was sent to Georgia in 1807-1808. The expedition was led by **Julius fon Klaproth** . The aim of this expedition was to clarify , check and examine everything gathered by the first expedition. After travelling in Georgia Klaproth gathered all his research in two-volume edition" Journey in the Caucasus and Georgia". We must mention the fact he was factually the first researcher, who touched on Russian and Georgian relations in his works.

Since the XIX century lots of expeditions has been launched to the Caucasus. The Royal Academy launched the program ' of thorough investigating of the Caucasian provinces'. The German researcher **Edward Aichwald** made a major contribution in the implementation of the program. Though his journey lasted only for a month (1825 April25-June25), after returning to Germany he published two volumes-" Journey in the Caspian Sea and the Caucasus". Aichwald was the first among German scientists who touched upon the issue of ethnic German settlers in Georgia.

Moritz Wagner, a German traveller ,continued Edward Aichwald's professional way, and began to study the lifestyle of German people in Georgia. Wagner supplied us with ethnographically detailed characteristic of Georgian women, their mood, dressing style , jewels , he was excited by their beauty. The German geographer carefully and thoroughly investigated Georgian landscape, describes towns Poti , Kutaisi, Gori , all Samegrelo and Kolkhis. He published the results of his investigations in his book " The journey in Kolkhian and Transcaucasia German colonies" In 1850 in Leipzig .

Another German researcher visited Georgia in 1843. **August Fraier fon Haksthauz** spent here 2 months. His work differs from previous works as he fixed his political view on the subject of annexation Georgia by Russia though he criticised the country: "Georgia will never succeed, because it is ruled by violence and corruption".

We can't avoid to mention **Gustav Rohde** as we speak about German scientists and researchers who lived in Georgia for 40 years and contributed greatly to geographical investigation of the country. Rode founded the Caucasian Museum in Tbilisi in 1867 and ruled it along with the Public Library.

Research works in the field of Biology are also connected more with the names of German scientists. The researcher of the nature **H. Sharer** worked in Georgia for 30 years 1859-1889. He founded Aleksandre's Park in Tbilisi, as well as parks in Borjomi and Tetrtskaro. He was appointed as a director of the Botanical Garden and stayed in this position for 28 years. After him the German botanist and scientist **A. Ginsterberg** continued his work, in 1902 **Adolf Roelof** was appointed director. And Roelof founded scientific departments and laboratories in the Tbilisi Botanical Garden.

Among those first scientists who were interested in Caucasian and particularly in Georgia's mountain systems, we should mention the German geologist **Herman Abih**, the first who outlined main contours of the Caucasian range and investigated its geological structure.

The two thirds of all the research works about the Caucasus preserved in the Munich Museum of

the Caucasus were collected and investigated by the German scientist **Adolf Dir**. He was one of the most prominent linguist on returning back to Germany, he explored the Caucasus and the included regions in the linguistic cut. He studied Kartli, Kakheti, Imereti, he travelled to Abkhazia and Ossetia in 1911. He gathered a very interesting ethnographical material , audiotapes and photos.

The work of the German climber, the explorer of the Caucasus and mountainous regions of Tien-Shan ,**Gottfried Mertsbahe**r is richly illustrated with drawings and photos makes it especially interesting for any kind of readers. We must admit that while travelling the author himself took photos and made most drawings harmonically related to his story , that adds extraordinary charm to his work . In 1901 he published a guide book `Aus den Hochregionen des Kaukasus~ ('From the Caucasian highland regions') in two volumes.

And at the end of the theme I want to mention **Henry Rohrbach** his bibliographical work is very important when observing the questions raised by us. Henry Rohrbach is an researcher who never went to Georgia on business and never planned his journey, he spent 1946-1949 as a captive. The copy of his work “ is kept in the Kutaisi Historical Museum where more than 2000 books are introduced and full of authors remarks and corrections.

The list of German explorers travelling to Georgia is not completed. Georgia remains to be a very interesting and diverse subject for foreign researchers. Even today for scientific exchange programs, scientific researches or for personal interest Georgia is visited by many scientists and more and more names of scientific researchers has been added to the above mentioned list.





ეთნოლოგია
ETHNOLOGY

მირიან სტიფანიანი

წყლის მოძიების და გამოყვანის სალხური წესები გვიანი ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში

(ოკრიბის მასალების მაგალითზე)

საქართველოში ძნელად მოიძებნება მხარე, რომელიც ოკრიბასავით კარგად იყოს უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით ,რაც უმთავრესად მისი გეოგრაფიული მდებარეობით არის განპირობებული. ოკრიბა დაფარულია წყალუხვი მდინარეების, ნაკადულების,წყაროების ხშირი ქსელით[ჯაოშვილი 1960 :31] ზემოთნახსენები ჰიდრორესურსების ეფექტური გამოყენების საშუალებით ფეოდალური ხანის ოკრიბის მოსახლეობის მიერ შექმნილი იყო ტექნიკური თვალსაზრისით უნაკლო წყალმომარაგების სისტემა,რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო წყლის მოძიების,მოპოვების და გამოყვანის მეთოდების და ხერხების მრავალფეროვნება,რაც შესაძლებლობას იძლეოდა ზემოთხსენებული წყალმომარაგების სისტემის შემადგენელი ნაწილების ჩანაცვლების და კომბინირებული გამოყენების საშუალებით სრულად ყოფილიყო დაკმაყოფილებული რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნილებები, როგორც საყოფაცხოვრებო,ისე სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო წყალზე. ზემოთაღნიშნული წყალმომარაგების სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდნენ მტკნარი და მინერალური წყაროები .ბუნებრივია,რომ მათი თვისებები არაერთგვაროვანია და მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია იმ ნიადაგის ქიმიურ შემადგენლობაზე,რომლის წიაღშიაც ხდება წყაროს წყლის ფორმირება.წყაროების თვისებებთან დაკავშირებით ს.ს. ორბელიანი შენიშნავს : “.....და ვითართა ადგილთა განვლიან წყარონი, კეთილთა ანუ ცუდთა,ეგევითარნი იდინებიან გემოთა და,უკეთუ თუ გოგირდსა ლითონთა განვლო ტფილნი იქ(მ)ნებიან წყარონ ვითარცა მდულარე;უკეთუ მდინარისა მახლობლად,მისგანვე გამოვლიან წყარონი არა უნოდთ წყაროდა არამედ ფზად; ვიეთთა ჯურღმულიცა წყაროდ აღუწერიათ.....” [ორბელიანი 1993 : 392] აღსანიშნავია,რომ ს. ს. ორბელიანი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ბუნებრივ და ხელოვნურ წყაროებს : “...ღრუდო ესე არს ორმო ამოთხრილი და გამოყვანილი წყალთა პოვნისათვის ურწყულთა ადგილთა,რომელსა სპარსნი ქაჰრიზს უწოდებენ,ხოლო მსოფლიონი ღრუდოს უწოდებენ მდინარე\თა კიდეთა წყაროსა,გამომდინარესა კლდის ხვრელთაგან,ზამთარ თევზთა საბუნაგოსა” [ორბელიანი 1993:256] წყაროების საბასეულ ნუსხას ერთგვარად ავსებს ნიკო ჩუბინაშვილის ქართულ ლექსიკონში დაცული ცნობები : “... ვეძა წყარო მლაშე,ხოლო ფრე ჭათა,ჯურღმულთა და ლაკვათა შინა გამომდინარე და მუნვე მდგომი” [ჩუბინაშვილი.1961:455] წყაროების რაობის თაობაზე ჩუბინაშვილი წერდა : “წყარო მიწით ანუ კლდით გამომდინარე წყალი” [ჩუბინაშვილი1961:456] საკვლევი რეგიონის ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის დამახასიათებელი იყო წყაროების ყველა ზემოთჩამოთვლილი სახეობა. მათზე ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე მხარის მოსახლეობას შესწავლილი ჰქონდა წყაროების ავ-კარგიანობა,სამკურნალო თვისებები,წყლის დებიტი,რომლის მიხედვით არჩევდნენ მუდმივ,ცვალებად და დენაწყვეტილ (დენაპერიოდულ) წყაროებს[ზუხბაია1988 :111]წყლის ტემპერატურის მიხედვით წყაროებს აჯგუფებენ :ა)ჩვეულებრივ,როდესაც წყლის ტემპერატურე მიახლოებით ტოლია მოცემული ადგილის ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურისა, ბ) ცივ,როდესაც წყლის ტემპერატურის საშუალო წლიურზე დაბალია, იშვიათად გვხვდება მთებში,როცა ისინი თოვლითა და მყინვარებით იკვებებიან, გ) თბილ და ცხელ წყაროებად,როცა ტემპერატურა საშუალო წლიურზე მაღალია...” [ზუხბაია 1988:111-112]

ოკრიბაში ყველა წყაროს გააჩნია სახელი,რომელიც დაკავშირებულია რაიმე ისტორიულ მოვლენასთან,წყაროს წყლის გამოყვანის ხერხთან (ღარის წყარო,მილის წყარო,კოდის წყარო და

ა.შ.), წყაროს მდებარეობასთან, სამკურნალო თვისებებთან, მისი აშენების ინციატორის სახელთან და ა.შ.

წყაროებით სარგებლობის რეგულირება ხორციელდებოდა ქართული კანონმდებლობის და ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად, რომლის თანახმად წყალი, ისევე როგორც შეშა და ბალახი არ შეიძლებოდა ყოფილიყო კერძო საკუთრების საგანი [დოლიძე 1963:523] კანონმდებელი მხოლოდ ერთ შემთხვევაში უშვებდა გამონაკლის-თუ წყარო, ტბა, რუ, ღელე და ა.შ. ერთი მამულის ფარგლებს არ სცილდებოდა ან ხელოვნურად იყო შექმნილი [ანთაძე, 1915:146]

საკვლევ რეგიონში არსებული წყაროები შეგვიძლია პირობითად დავყოთ ოთხ ჯგუფად:

1) წყარო რომლითაც მთელი სოფელი სარგებლობს და ის საზოგადო საკუთრებას წარმოადგენს.

2) წყარო, რომელიც სოფლის მონო ან პოლიგენურად დასახლებული უბნის სარგებლობის და საკუთრების საგანს წარმოადგენს

3) ეკლესია — მონასტრებში და ციხე-სიმაგრეებში მოქმედი წყაროები, რომლებიც მათ ეკუთვნოდნენ.

4) წყაროები, რომლებიც ერთი კარ-მიდამოს ფარგლებს არ სცილდებოდა და კერძო საკუთრებას წარმოადგენდა.

უძველესი დროიდან საქართველოში გზების, ხიდების, ქარვასლების, გზისპირა წყაროების, ჭების მშენებლობა დიდ სამადლო საქმედ ითვლებოდა. მათი მშენებლები გათანაბრებულები იყვნენ ეკლესიის მშენებლებთან, ისეთივე პატივისცემით სარგებლობდნენ, როგორც ეს უკანასკნელნი. პირადი ინიციატივით და საკუთარი სახსრებით წყაროებისა და ჭების მშენებლობა სხვადასხვა მოტივით იყო ნაკარნახევი: გარდაცვლილი ახლობლის მოსაგონებლად, ადამიანის რაიმე განზრახვის, პირობის, აღთქმის კეთილად აღსრულების უზრუნველსაყოფად, ომიდან ან შორეული მოგზაურობიდან შინ მშვიდობით დაბრუნების სამადლობელად, მძიმე ავადმყოფობის მშვიდობიანად გადატანის საწინდრად და ა.შ. [კვეზერელი — კობაძე 1972:184; Инал-Ипа 1965:548]

წყარონაგებობა შენდებოდა როგორც უშუალოდ წყლის გამოსასვლელზე, ისე მისგან ათობით, იშვიათ შემთხვევაში ასობით მეტრის მოშორებით. ტიპიური დასრულებული წყარონაგებობა შედგება ორი აუზისაგან, რომელთაგანაც ერთში სასმელი წყალი მოედინება მიწიდან, მეორე პირუტყვისათვისა და სხვა სამეურნეო საქმიანობისათვის არის განკუთვნილი. მთავარი აუზი თავისი აგებულებით ძალზედ უახლოვდება კვადრატს. მასზე სამი მხრიდან დაშენებულია თლილი ქვის პერანგით მოპირკეთებული კედლები, წყარო გადახურულია ისრისებური თალით, რომელიც ეყრდნობა ქვისავე სვეტებს თალს ზემოდან ადგას ქვისაგან გამოკვეთილი კარნიზი. წყაროს მშენებელს უნდა გაეთვალისწინებია მისი ჰიგიენური მხარე, და ისე უნდა აეგო მთავარი აუზი, რომ მას პირუტყვი ვერ მიდგომოდა დასაღვევად. მეორე აუზი მთავარი ნაგებობის გვერდზეა გატანილი და განკუთვნილია ყოველდღიური საოჯახო-სამეურნეო საქმიანობისათვის წყარონაგებობის ისეთ ტიპს, რომელიც პირდაპირ მიწიდან ამომდინარე ნაკადზეა დაშენებული გააჩნიათ საგანგებოდ გაკეთებული ქვის წრიული მეჯა, სადაც აუზიდან წყლის ამოსაღებად ჭურჭელს რეცხავდნენ [ნადირაძე 1980:93] რთულ, ძვირადღირებულ წყარონაგებობების მშენებლობასთან ერთად ოკრიბაში ფართოდ იყო გავრცელებული შედარებით უფრო სადა წყარონაგებობის შენების პრაქტიკაც, რისთვისაც წყლის ამოსავალზე ამოჭრილ ორმოში ჩადგამდნენ ჭურს ან ამოაშენებდნენ წყაროს კედლებს რიყის ქვით, აგურით, ისე რომ წყლის ძარღვი არ დაეზიანებიათ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ წყარონაგებობა შენდებოდა როგორც უშუალოდ წყლის გამოსასვლელზე, ისე მისგან მოშორებით წყალი გამოყავდათ ხის ან ქვის ნახევრადწრიულად გამოთლილი ღარებით, რომლებსაც მჭიდროდ ჰქონდათ დახურული ქვისავე ფილები [ნადირაძე 1980 : 92]. ხის ღარებით წყლის გამოყვანას ოკრიბაში არ ჰქონია ფართო

გავრცელება, ვინაიდან რესპოდენტთა განცხადებით, დროთა განმავლობაში ხსენებული ღარებით გამოყვანილი წყალი ფერს გადიკრავს და გემოსაც იცვლის. წყალი აგრეთვე გამოყვანისას თიხის მილებით და დახურული არხებით. საველე მუშაობის პროცესში დადგენილი გვაქვს წყაროს წყლის დახურული არხით გამოყვანის რამდენიმე სახეობა. პირველი სახეობის გამოყვანის მიზნით მინა იჭრებოდა ერთი მეტრის სიღრმეზე. არხის განი 50-60 სმ არ აღემატებოდა. მას დახრილ კედელს უკეთებდნენ იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებიათ კედლების ჩამორეცხვა და ჩამოშლა. არხის ფსკერზე მოაფენდნენ მუჭისხელა ქვებს ან ქვის ნატეხებს ე.წ. “ხურდა ქვას” სასურველი იყო მათ ნასვრეტები ჰქონოდათ შემდგომ ქვის ფენაზე დააფენდნენ 2-3 თითის სიძსხო თხმელის შემხმარ ტოტებს თავ-ბოლს შექცევით სქელი თავით წყლის გამოსასვლელისაკენ. რესპოდენტთა გადმოცემით თხმელა დიდ ხანს ძლებს წყალში, არ ისილება, გამოირჩევა წყლის გამტარიანობის უნარით. გაუმართლებლად ითვლება ამავე მიზნით რცხილას, ეკალის და სხვ.

გამოყენება-რცხილა წყალში ქრება, ეკალი ფესვებს იდგამს, თმასავით ხშირი ხდება და გამოავსებს წყლის მაგისტრალს. არხში ჩანყობილ თხმელის ტოტების 15-20 სმ სისქის ფენაზე დააყრიდნენ მოზრდილ ქვებს, რის შემდეგაც არხს მინით ამოავსებდნენ. დახურული არხის მშენებლობის ზემოთ აღნიშნული წესი გასაოცარი სიზუსტით იმეორებს დაჭაობებული ადგილების დასაშრობად მოწყობილი სადრენაჟე არხების ანტიკურ ხანაში მოღვაწე რომაელი ავტორის კატონის მიერ აღწერილ წესს. უმნიშვნელო სხვაობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ არხის ფსკერზე მოსაფენად მას თხმელის ნაცვლად კვიპაროსის ტოტები აქვს მითითებული [Катон 1950:172] დახურული არხის მშენებლობის პირველი სახეობისაგან განსხვავებით გაცილებით უფრო დიდ იშვიათობას წარმოადგენს და თავისი ორიგინალობით გამოირჩევა დახურული არხის მეორე სახეობა. ამ ტიპის არხისათვის მინა 80-100 სმ სიღრმეზე იჭრებოდა, მისი განი პირველი სახეობის არხის მსგავსად 50-60 სმ უდრიდა. არხს რამდენიმე სანტიმეტრის (15-20 სმ) თიხატკეპნილი ფსკერი უკეთებოდა. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ნედლი თიხა პრაქტიკულად წყალს არ ატარებს (ათეული წლებია საჭირო იმისათვის, რომ წყალმა თიხაში 1 სმ სიღრმეზე ჩააღწიოს). არხის თიხატკეპნილ ფსკერს ქვის ფილებით ტოლფერდასამკუთხედისებურ გადახურავდნენ, რის შემდეგაც არხს მინით ამოავსებდნენ. აღწერილი წესით წყალსადენის გაკეთება შესაძლებელს ხდიდა მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი წყლის ტემპერატურის სეზონური ცვალებადობა. ამ ტიპის წყალსადენები გამოირჩევიან თავიანთი საიმედოობით და საუკუნეების მანძილზე ემსახურებიან მომხმარებელს. ასე მაგ. ს. გურნაში გაბადაძეების უბანში დღემდე გამართულად მუშაობს ზემოთაღწერილი არხით გამოყვანილი წყარო. წყარონაგებობის წარწერა გვამცნობს, რომ იგი აგებულია ვინმე ერმალო დახუნდარიძის მიერ 1828 წ. რესპოდენტთა ცნობით წყაროს 15-20 წელიწადში ერთხელ ესაჭიროება შეკეთება. თითქმის ანალოგიურია მესამე სახეობის არხის შენების პრაქტიკა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ არხს ოთხკუთხა განივკვეთი ჰქონდა. მის ფსკერს და კედლებს ქვის ფილებით ამოაშენებდნენ და შემდგომ თხრილს მინით ამოავსებდნენ.

ხელოვნური წყაროები.

მხოლოდ ბუნებრივი წყაროები, მიუხედავად მათი სიმრავლისა სრულად ვერ უზრუნველყოფდა ოკრიბელთა რთულ მრავალდარგოვან სამეურნეო საქმიანობის მოთხოვნებს წყალზე, რაც უზბიძებდა მათ შეექმნათ ჭების და ხელოვნური წყაროების ფართო ქსელი. წინაპართა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების წყალობით, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემებოდა პროფესიონალ ხელოსნებთან ერთად ხელოვნური წყაროების შექმნის უნარ-ჩვევებს დაუფლებული იყო ადგილობრივ მკვიდრთა დიდი ნაწილი. ხელოვნური წყაროს შექმნას წინ უსწრებდა წყლის მარაგის მოძიების სამუშაოები ოკრიბაში.

უხსოვარი დროიდან წყლის მარაგის საპოვნელად სარგებლობდნენ ვენახის წვერიანი ორკაპა “ლრეჭილიდან” სახელდახელოდ გაკეთებული ხელსაწყოთი. ველზე გასვლის შემდგომ ოსტატი ხელში აიღებდა ხელსაწყოს- ორკაპას სახელურებს და შეუდგებოდა მუშაობას. გარკვეულ მომენტში ხსენებული ხელსაწყოს წვერი დაიწყებდა რხევას და სითხის გამოყოფას, რაც იმ ადგილზე წყლის მნიშვნელოვანი მარაგის არსებობის უტყუარ ნიშანს წარმოადგენდა. ამ საიმედო, ხმარებაში მარტივი ხელსაწყოს ერთ დიდი ნაკლი გააჩნდა, რომლის გამოც მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული მისი გამოყენების პერიოდი. ზემოთხსენები ხელსაწყოთი სარგებლობა შეიძლებოდა მხოლოდ აპრილ-მაისში — ვენახის მტირალობის დროს. ოკრიბის გარდა წყლის მოძიების ზემოთაღწერილი ხერხით სარგებლობდნენ საქართველოს სხვა კუთხე-მხარეებში-გურიაში, აჭარაში, სამცხეში და ა.შ. თავისთავად ცხადია, რომ ოკრიბაში წყლის მოსაძიებელი სამუშაოების დროს მხოლოდ ზემოთხსენები ხელსაწყოს იმედზე ვერ იქნებოდნენ. რესპოდენტთა ცნობით არსებობს უამრავი ნიშანი, რომელიც ამა თუ იმ ადგილზე წყლის მარაგზე მიანიშნებს ადგილის კონფიგურაცია, ნიადაგის სტრუქტურა, ტენიანობა, მცენარეული საფარი (სურო, სამყურა, ლელქაში, ანლი, ასკილი) [მაყაშვილი 1991:13] ხეები(ტირიფი, კვიპაროსი, ქლიავი, თხმელა, დასხვ.), მწერები (ნემსიყლაპიები, კოლოები, ჭიები, წყალხმელეთა ცხოველების-ბაყაყების, გომბეშოების გავრცელების სიხშირე. გარდა საზოგადოდ ცნობილი ნიშნებისა არსებობს აგრეთვე მხოლოდ ამა თუ იმ ადგილისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშანი, რომელიც ძირითადად რელიეფთან არის დაკავშირებული. ზემოთჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით შერჩეულ ადგილზე ამოჭრიდნენ მინას იმ სიღრმემდე, რომელზედაც წყლის მარაგი მაქსიმალური იყო და უშუალოდ წყლის ამოსავალზე აგებდნენ წყარონაგებობას, ხოლო თუ წყარონაგებობის აშენება წყლის გამოსავლიდან მოშორებით უნდა აეგოთ, მაშინ წყალი გათვალისწინებულ ადგილამდე გაყავდათ ქვის ლარებით, თიხის მილებით. თუ წყაროს დებიტი საკმარისი არ იყო, მაშინ დიდდებიტიანი წყაროს შექმნის მიზნით რამდენიმე ახლომდებარე წყაროს წყალშემკრები ჭით ერთმანეთს დააკავშირებდნენ, საიდანაც წყალი გაყავდათ წყარონაგებობამდე. აქვე გვინდა მოკლედ შევეხოთ საკვლევი რეგიონის წყაროების სამომხმარებლო თვისებს. ოკრიბაში არსებული წყაროების დიდი ნაწილი ქიმიური შემადგენლობის მიხედვით მინერალურ წყაროთა ჯგუფს მიეკუთვნებიან ძველად მათ ვეძას, ლითონის წყალს, ქანის წყალს უწოდებდნენ [სააკაშვილი 1958 : 237] ოდითგანვე ნახსენები წყაროების წყალს წარმატებით იყენებდნენ თვალის, ღვირძლის, თირკმელების, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, რევმატიზმის, რადიკულიტის და სხვ. მრავალი დავადების სამკურნალოდ. ოკრიბის მინერალურ წყაროებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გოგირდის ცივი წყაროები ს.კურსებში, ს ხრესილში, ს ძმუისში, ს სანირეში და სხვ. [გვილავა 1954] გოგირდოვან წყაროებთან ერთად ოკრიბაში მრავლადაა რკინის ჟანგის შემცველი ე.წ. “რკინის წყაროები”. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზემოთხსენებული წყაროების წყლის მიღება, თუ რასაკვირველია მასში რკინის შემცველობა დაშვებულ უსაფრთხო ზღვარს -0,3მგ კუბურ დეციმეტერ წყალზე არ აღემატება [ნათიძე 1987:143] აწესრიგებს არტერიულ წნევას, ხელს უწყობს ცვლას ორგანიზმში, წარმოადგენს ძალზედ ეფექტურ საშუალებას ატონიის და ანემიის სამკურნალოდ [Брокгауз 1892: 790] რკინის შემცველი წყაროების არსებობა დასტურდება ოკრიბის თითქმის ყველა სოფელში. მტკნარი და მინერალური წყაროების წყლით მკურნალობის ტრადიცია მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას ეფუძნება და დასაბამს ათასწლეულების სიღრმეში იღებს ჭები. საკვლევ რეგიონში წყალმომარაგების სისტემის გამართულ მუშაობას დამატებით მდგრადობას ძენდა ჭების ფართო ქსელი. ხელოვნური წყაროების გამოყვანისაგან განსხვავებით ჭის გაჭრა სპეციალურ მომზადებას და ცოდნას მოითხოვდა, რომელიც მხოლოდ პროფესიონალ ხელოსანს შეიძლებოდა ჰქონოდა. ოკრიბაში ჭების მრავალი სახეობა დასტურდება. მათ ტიპოლოგიურ თავისებურებებზე დანვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. ჭის

გასაჭრელად საუკეთესო დროდ მიჩნეული იყო ზაფხულის პერიოდი, განსაკუთრებით აგვისტოს თვე, ვინაიდან ყველაზე გვალვიან თვეში გაჭრილ ჭაში წყლის დებიტი თუ დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ წლის ყველა დროს მომხმარებელს წყლის პრობლემა არ ექნებოდა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ წლის სხვა თვეებში ჭის გაჭრა არ შეიძლებოდა. თუმცა იყო გარკვეული შეზღუდვები. რესპოდენტთა ცნობით დაუშვებლად ითვლებოდა ჭის ახალ მთვარეზე გაჭრა-წყალი აიძვრევა ან დაიკარგებაო. ჭის შენება მხოლოდ მას შემდეგ იწყებდნენ, რაც ახალი მთვარე გამოიხუთმაბათებდა - "გადაბრუნდებოდა". მუშაობის დაწყებას წინ უსწრებდა პატარა სუფრა, რომლისთვისაც ახალი ქათამი უნდა დაეკლა იმ პირს, ვისაც ჭის გაჭრა უნდა დაენყო. ჭისათვის ადგილის შერჩევისას ხელოსანი ვალდებული იყო ანგარიში გაენია საზოგადოდ მიღებული სანიტარულ-ჰიგიენური და ესთეტიკური ნორმებისათვის, რომელთა მოთხოვნათა შესაბამისად ჭა დაშორებული უნდა ყოფილიყო სანიტარულ კვანძს, სალორეს, ბოსელს და ა.შ. მას შემდეგ, რაც შეარჩევდნენ ჭისათვის სუფთა შემალღებულ ადგილს შეუდგებოდნენ მის გაჭრას. მუშაობის დაწყებისთანავე ხელოსნისათვის ნათელი ხდებოდა რამდენად სავარაუდებელი იყო შერჩეულ ადგილზე წყლის მარაგის არსებობა - თუ მიწის გაჭრის დროს ოსტატს არ შეხვდებოდა ქვის ნოტიო ლოდები, გაძნელებული იყო მიწის გაჭრა, მაშინ წყლის ნახვის იმედი ამაოდ ითვლებოდა [Альберტი1936:351] ხელოსანთა თქმით ისინი ქვის ქანების მიმართულების მიხედვით ადგენდნენ თუ რომელი მხრიდან იქნება წყლის გამოსავალი. მას აგრეთვე უწოდებენ "წყლის ძარღვს", "მუხლს", "ფხვს". ოსტატებს სასურველად მიაჩნიათ რომ ქანები მალლობისაკენ იყოს მიმართული, მაშინ მათი თქმით ჭაში წყლის საჭირო მარაგი იქნება. ქვის ქანებში წყალი თავდაპირველად წვეთ-წვეთად ჩნდება. თანდათან მისი რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება. საუკეთესოდ ითვლება ის ჭა, რომელშიც წყლის გამოსავალი მაჯის სიმსხოა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჭა წყლის ორი "ძარღვით", "მუხლით", "ფხით", "თვალთ" იკვებება. ჭების მკვებავი წყლების საკითხთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ ისინი ძირითადად ატმოსფერული ნალექებით იკვებებიან. როგორც ცნობილია ნალექების დიდ ნაწილს ნიადაგი შეინოვს, სადაც ისინი იმ სიღრმემდე ჩადიან, ვიდრე არ მიაღწევენ გრუნტის წყალგაუმტარ ფენას. აქ ისინი გროვდებიან და ქმნიან მიწისქვეშა ნაკადულებს, რომლებიც წყალგაუმტარ ფენების დახრის მიმართულებით მიედინებიან. ეს ნაკადები კვებავენ ჭებს, ციცაბო ფერდობებზე გამოდიან ზედაპირზე წყაროების სახით. წყალგაუმტარი ფენების მდებარეობაზეა დამოკიდებული. ჭების სიღრმე. გამოკითხულ ხელოსანთა გადმოცემით მაქსიმალური სიღრმე, რომელზედაც მათ ჭა გაუჭრიათ 24 მეტრს არ აღემატებოდა. წყლის გამოჩენის შემდეგ ჭას კიდევ დაახლოებით 2 მეტრის სიღრმეზე ჭრიან, შემდგომ ჭაში დაგროვილპირველ წყალს გადაღვრიან და დროს დაინიშნავენ. ოკრიბელი ოსტატების თქმით "დროსდაისნავლიან", რომლის მიხედვით ადგენენ წყლის დებიტს. იმ შემთხვევაში თუ ის დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება დაგროვილ წყალს კვლავ გადაღვრიან და ჭის ფსკერზე წვრილი ქვების სქელ ფენას მოაყრიან. სასურველია მათ ნასვრეტები ჰქონდეს. მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით დადგენილია, რომ ქვიშაში გაფილტვრა ნაწილობრივ ათავისუფლებს წყალს ბაქტერიებისაგან. ზემოთხსენებულ ქვის ფენაზე მოაბნევენ კირის ნატეხებს - უძველესი დროიდან ცნობილია, რომ კირი წარმოადგენს წყლის გაუსნებნოვების ეფექტურ საშუალებას. ვინაიდან კირი წყალთან რეაქციაში შედის, მან შეიძლება გამოიწვიოს წყლის ამღვრევა, რისი თავიდან აცილების მიზნით კირის ნატეხებს დაფარავდნენ წვრილი ქვების მეორე ფენით, რის შემდგომაც იწყება ჭის კედლების ამოყვანას რიყის ან ფლეთილი ქვით. რიყის ქვით ჭის მშენებლობის დროს ქვის პირველ რიგს აძლევენ დაქანებას მარჯვნივ, მეორეს მარცხნივ და ა.შ. ეს იმ მიზნით კეთდებოდა, რომ რიგებს ერთმანეთი გადაეკეტათ და კედლები არ ჩამოშლილიყო. იმ შემთხვევაში თუ ჭის კედლებს ფლეთილი ქვით აშენებდნენ. მას ნისკარტა ჩაქურჩით ჭიქისებურ ფორმას აძლევდნენ და ქვის ფართო

თავს წინ აქცევდნენ, ხოლო ქვის კედლის უკან წვრილ ქვებს ან ქვის ნატეხებს ყრიდნენ იმ მიზნით, რომ კედლებს არ ემოძრავათ, რაც უთუოდ მათ ჩამოშლას გამოიწვევდა იშვიათ შემთხვევაში კედელში გვის გასამაგრებლად სინასაც იყენებდნენ. ჩვეულებრივ ქვის მშენებლობის დროს ქვის დიამეტრი 180-250 სმ უდრიდა, ხოლო ამოშენების შემდგომ 80-120 სმ ფარგლებში მერყეობდა. ზემოთაღწერილი ტიპის მშენებლობის პროცესში არანაირი ხსნარი არ გამოიყენებოდა, რათა ხელი არ შეშლოდა ქვის კედლებიდან წყლის გამოჟონვისათვის. მიწის ზედაპირის 10-20 სმ ქვემოთ ჭას კირქვიანი ხსნარის სარტყელი უკეთდებოდა, იმისათვის რომ ზედაპირული წყალი ჭაში არ ჩაღვრილიყო. ქვის კედლების ამოყვანის დასრულების შემდეგ ჭაზე იდგმებოდა მისი დიამეტრის შესაბამისი 90-120 სმ სიმაღლის გვიმი, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო გამოკვეთილი ერთიანი ქვისაგან, გამოძერწილი თიხისაგან, აშენებული ფლეთილი ან რიყის ქვით, მორებით. გვიმის კედლის სისქე 10-20 სმ ფარგლებში მერყეობდა. ჩვეულებრივ გვიმს მრგვალი ფორმა ჰქონდა, შედარებით იშვიათი იყო ოთხკუთხედი გვიმი. გვიმის ირგვლივ დაახლოებით 1,5-2 მ სიგანის კირქვიანი სარტყელი კეთდებოდა, რათა ჭიდან წყლის ამოღების დროს დაღვრილ წყალს მიწა არ აეტალახებია. საკვლევ რეგიონში მიზანშეწონილად არ ითვლებოდა გვიმზე თავის დახურვა, რაც სავარაუდოა იმ მოსაზრებით იყო ნაკარნახევი, რომ არ უნდოდათ ხელი შეეშალათ წყლის სარკიდან მავნე აირების აორთქლებისათვის ოკრიბაში გავრცელებული იყო ჭიდან წყლის ამოსაღები ორი ძირითადი მონყობილობა—აზარმაცი, მას აგრეთვე ყანთარს, ოწინარს, უწოდებენ და ჭახრაკი. აზარმაცი წყლის ამოსაღები მონყობილობის არქაული სახეობაა, რომელიც დღემდე დამახასიათებელია მხარის ყოფისათვის. მიუხედავად მრავალი დადებითი თვისებებისა, რომლებიც მას გააჩნია: შრომის მნიშვნელოვანი გაიოლებანწყლის ამოღების პროცესში, მაღალი წარმადობა, საიმედოობა ექსპლუატაციაში და ა.შ. მას ერთი ისეთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება ახასიათებს, რომლის გამო მნიშვნელოვნად შეზღუდულია მისი გამოყენების არეს—მისი საშუალებით შესაძლებელია წყლის ამოღება მხოლოდ იმ ჭებიდან, რომლების სიღრმე 8 მეტრს არ აღემატება. აზარმაცი ქვის მახლობლად დაახლოებით ორი მეტრის მოშორებით იდგმება. მის გასამართად საჭიროა ორი ძელი ერთი მათგანი შედარებით გრძელი უნდა ყოფილიყო 5-8 მ, 6-8 სმ დიამეტრის, მეორე კი მოკლე 3-4 მ, მას ორკაპა თავი უნდა ჰქონოდა. მოკლე ძელის დიამეტრიც ჩვეულებრივ 10-12 სმ უდრიდა. ძელის თავს კუპრში ამოავლებდნენ, რომ სინესტისაგან არ დაზიანებულიყო და ჩადგამდნენ მიწაში 0,5-1მ სიღრმეზე. მის ორკაპა თავში ისმებოდა გრძელი ძელი, რომელიც აზარმაციის საყრდენის თავში გაყრილი ღერძის საშუალებით მაგრდებოდა. აზარმაციის ზედა მკლავი ორი —სამი მეტრით უფრო მეტი მანძილით უნდა ყოფილიყო დაშორებული საყრდენ წერტილს, ვიდრე მისი ქვედა მკლავი. იმისათვის რომ აზარმაცი განზონასწორებულიყო გრძელი ძელის მოკლე მკლავზე ჰკიდებდნენ გარკვეული წონის ტვირთს-სხვადასხვა სახის მძიმე საგნებს (ქვას, რკინას) როდესაც ძელი განზონასწორდებოდა ანუ ოდნავი შეხებისას ზევით-ქვევით დაიწყებდა თავისუფალ მოძრაობას ტვირთთან მხარეს უმატებდნენ სიმძიმეს, რომელიც ოდნავ ნაკლები უნდა ყოფილიყო წყლით სავსე ჭურჭლის სიმძიმეზე, რომლითაც ჭიდან წყალი ამოჰქონდათ. ამის შემდგომ გრძელი მკლავის კიდეს მიაბამდნენ ბანარს ან ჯაჭვს, რომლის სიგრძე ორი —სამი მეტრით აღემატებოდა იმ ქვის სიღრმეს, რომლის თავზეც დგამდნენ აზარმაცს. ის იმ ანგარიშით კეთდებოდა, რომ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ზუსტად ქვის თავზე დამდგარიყოსაშუალო და ღრმა ჭებიდან წყლის ამოსარებად გამოიყენებოდა ჭახრაკი ის შედგებოდა ორი ხის ან რკინის 30-40 სმ ერთმანეთის პირისპირ დაყენებული სადგარებისაგან, რომლებიც ვერტიკალურად მაგრდება ქვის გვიმზე. მათში გაყრილია ქვის დიამეტრის შესაბამისი დოლურიანი ღერძი. დოლურის დიამეტრი

როგორც წესი 20-30სმ უდრის, თუმცა რიგ შემთხვევაში ის გაცილებით მეტიც შეიძლება იყოს. დოლურაში გაყრილი ღერძი ერთი მხრით ოდნავ ცილდება ჭის გვიმს(3-5 სმ) ხოლო მისი მეორე მხარე სადგარის მოშორებით სწორი კუთხით იხრება და მუხლოვან სახელურს წარმოადგენდეს. ხშირად დოლურა დაბოლოებულია დიდი დიამეტრის 50-100სმ სახელურიანი რგოლით. ოკრიბაში დღეისათვის არსებული ჭების დიდ ნაწილზე ასეთი რგოლები დამაგრებულია დოლურის ღერძის ორივე მხარეს, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს წყლის ამოსაღებად ისარგებლოს მისთვის სასურველ მხარეს. დღეისათვის ოკრიბაში ჭახრაკიანი ჭების უმრავლესობაზე დოლურის ღერძის თავები გაყრილია გვიმის სადგარის თავში ჩასმულ საკისრებში, რაც მნიშვნელოვნად აიოლებს წყლის ამოღების პროცესს. ზემოთნახსენებ ჭებისაგან მშენებლობის ტექნიკით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ჭების მეორე სახეობა. მისი შენება შემდეგი წესით ხდებოდა ჭისათვის შერჩეულ ადგილზე კეთდებოდა 1,5-2 მ დიამეტრის და 1,5 მ სიღრმის, რომელშიც იდგმებოდა ორი ნაწილისაგან შედგენილი იმ დიამეტრის მილი, რა დიამეტრიც ჭაც სურდათ გაეკეთებიათ. ჩვეულებრივ ის 2 მ არ აღემატებოდა. მილის ირგვლივ იხმებოდა კირქვიანი ხსნარი. მეორე დღეს მილს ჭრილიდან ამოიღებდნენ და ორი-სამი დღე აცდიდნენ კედლებს შეშრობას, შემდგომ სხმულის შიგნით განაახლებდნენ მიწის თხრას, როდესაც სხმული 1,5 მეტრით ძირს ჩაიწვედა ჭრილში კვლავ ჩადგამდნენ მილს და ჩაასხამდნენ კირქვიან ხსნარს. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე წყლის გამოსავალს არ მიაღებოდნენ. ჭის ფსკერი პირველი ტიპის ჭის ანალოგიურად კეთდებოდა. ზემოთაღწერილი წესით ჭის კედლებზე – “ბალავერზე” დაშენებული იყო 12 სმ სიმაღლის საძირკველი და მრგვალი ან ოთხკუთხედი ორნამენტით შემკული გვიმი [კახიანი 1964:72] მას წყლის ამოსაღები მოწყობილობა იმდაგვარივე ჰქონდა, როგორც პირველი სახეობის ჭებს. თავისთავად ცხადია ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა გაეძლო ათეული წლები წყლის სვეტის ზემოქმედებისათვის კირქვიანი ხსნარით ნაშენებ კედლებს. მკითხველს გვინდა შევასხენოთ, რომ კირი ორგვარია ჰაერკირი, რომელიც ქვიშასა და წყალთან შერეული იმატებს და დიდხანს ინარჩუნებს სიმტკიცეს მხოლოდ ჰაერზე და ჰიდრავლიკური კირი, რომელიც ხანგრძლივად ინარჩუნებს სიმტკიცეს როგორც ჰაერზე, ისე წყალში [ბურკიაშვილი 1987:43] ჰიდრავლიკური კირის მიღების მიზნით დულაბს ურევდნენ ორგანულ დანამატებს – რძეს, ხაჭოს, კვერცხის ცილას, აგურის ფხვნილს, თიხას და ა.შ. [ბურკიაშვილი 1988 : 63] კირის სხვადასხვა ნივთიერებებთან შეზავებით წყალგამძლე ხსნარების დამზადების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის არსებობას ადასტურებენ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით თავიანთ ნაშრომებში ს. ბედუკაძე [ბედუკაძე 1959] დ. მშენიერაძე [Mშენიერაძე 1959] კვეზერელი — კოპაძე [კვეზერელი — კოპაძე 1972] და სხვ. ჩვენს მიერ მოპოვებული სავსე მასალები ნათლად მეტყველებენ, რომ ძველად ოკრიბაში ქვასთან ერთად ჭების საშენებლად ხშირად სარგებლობდნენ ხის მასალით. ქვით ნაშენი ჭების ანალოგიურად ხდებოდა ჭის ადგილის შერჩევა და გაჭრა, ფსკერის მოწყობაც ისეთივე იყო ხოლო ჭის კედლები ჩაჭრით შეუღლებული ოთხკუთხედად შეკრული 1-1,5 მ თხმელის მორებით ან ძელებით მათი ერთმანეთში საგანგებოთგაკეთებულ ქდეებში ჩაჯენით ამოყავდათ იმ ნიშნულამდე, სადაც სავარაუდებლად წყლის სვეტი მიაღწევდა, რომლის შემდგომ თხმელას მუხის მასალით ანაცვლებდნენ, რაც იმით იყო განპირობებული, რომ თხმელა მართალია წყალში კარგად ძლებს, მაგრამ ღია ცის ქვეშ სწრაფად ფუტუროვდება და უვარგისი ხდება. ჭის გარე კედელს არსებულ სიცარიელეს ქვებით ამოავსებდნენ, ხოლო ჭის თავზე ოთხკუთხედი ხის გვიმი იდგმებოდა. წყლის ამოსაღები მოწყობილობა პირველი და მეორე ტიპის ჭების მოწყობილობის იდენტური იყო. ბუნებრივია საკვლევ პერიოდში ოკრიბაში არსებული ჭების სახეობანი მხოლოდ

ზემოთმოყვანილი ჩამონათვალით არ შემოიფარგლებოდა.მათი ტიპოლოგიური ნაირგვაროვნება განპირობებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით (წყლისშემცველი ფენის მდებარეობა,ჭის ასაშენებლად საჭირო მასალის ხელმისაწვდომობა,დამკვეთის სურვილი და ა.შ. ჭების სახეობათა მრავალფეროვნებას აგრეთვე ზეგავლენას ახდენდა ის გარემოება,რომ ოკრიბაში ჭების მშენებლობას ადგილობრივ ხელოსნებთან ერთად ეწეოდნენ მეზობელ მხარეებიდან (არგვეთი,რაჭა-ლეჩხუმი, გურია და ა.შ.) მონვეული ხელოსნები.თავის მხრივ ოკრიბელი ოსტატებიც დადიოდნენ გარე სამუშაოზე მთელ დასავლეთ საქართველოში. მიმდინარეობდა ცოდნის და გამოცდილების ინტენსიური გაცვლა-გამოცვლა,რის გამოც აქ შეუძლებელი ხდება ჭების “სუფთა ოკრიბული” სახეობის დადგენა. ოკრიბაში გავრცელებული იყო ჭების ყველა ის ტიპი ,რომელიც დამახასიათებელი იყო ჩვენთვის საინტერესო პერიოდის დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის რაც შეეხება ჭების მშენებლობის ხანგრძლივობას რესპოდენტთა მონათხრობის თანახმად ამა თუ იმ სახეობის ჭის მშენებლობისათვის საჭირო იყო 15- 30 დღემდე და ის მთლიანად დამოკიდებული იყო ნიადაგის ხასიათზე,სამშენებლო მასალაზე,ამინდზე ჭის სიღრმეზე და ა.შ.გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა მშენებლობა თუ ოჯახი ხელოსნებს მიწის გაჭრის დროს ნაღს დაახმარდა,გარდა ამისა ნადში ჩართული ადამიანები ზრუნავდნენ სამშენებლო მასალის მომზადება-მოზიდვაზე. ცალკე საკითხია ხელოსნების შრომის ანაზღაურება.ჩვენ გვიძნელდება ამ კითხვაზე პირდაირი პასუხის გაცემაშეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ,რომ ჭის მშენებლობა საკმაოდ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.დღეისათვის ოკრიბაში არსებული ნიხრით ის 35-50 ლარის ფარგლებში მერყეობს.

ჭის მშენებლობის დასრულების შემდეგ სამშენებლო ნარჩენების მოშორების მიზნით მის კედლებს ჩარეცხავდნენ,რის შემდგომაც ჭაში დაგროვილ წყალს გადაღვრიდნენ და დგებოდა ჭის მზაობის გამოცდის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი-წყლის ვარგისიანობის გამოცდა. საყოველთაოდ მიღებული მოთხოვნების შესაბამისად წყალს არ უნდა ჰქონოდა ფერი,სუნი,გემო. ჭის წყლის გამოცდის

მიზნით მასში ხარშავდნენ ხორცს და პარკოსნებს.ცნობილია ,რომ ხისტ წყალში ხორცი და პარკოსნები ძნელად იხარშება, ამასთან ცილები გადადის ძნელად ხსნად მდგომარეობაში და ის ორგანიზმისათვის ძნელად შესათვისებელი ხდება.მოხარშული ხორცი მარილიანი არ უნდა გამოდგარიყო,რადგან ეს წყლის მაღალი მინერალიზაციის მაუწყებელი იყო.თუ ჭის წყალი ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა შემდგომ მონმდებოდა მისი ავ-კარგისანობის შეფასება მისი საყოფაცხოვრებო გამოყენების მიზნებისათვის-თეთრ ტილოზე დაღვრილ წყალს გაშრობის შემდგომ კვალი არ უნდა დაეტოვებია,სარეცხის რეცხვის დროს საპონი კარგად უნდა აქაფებულიყო. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია,რომ ხისტი წყალი გარდა იმისა,რომ ცუდად რეცხავს,აგრეთვე აზიანებს ქსოვილებს[ბრეგვაძე 1987:102-103] მხოლოდ მას შემდგომ, რაც ჭის წყალი, ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა მიზანწონილად ჩაითვლებოდა მისი გამოყენება, ვინაიდან ის მოთხოვნები რომელიც ჰქონდა და აქვს ქართველ კაცს ჭის წყლის მიმართებაში წარმოადგენს მხოლოდ მცირე ნაწილს იმ საერთო მოთხოვნებისა, რომლებიც მას სასმელ წყალთან მიმართებაში გააჩნდა. მართებულად ჩავთვალეთ უფრო ვრცლად შევხებოდით ამ საკითხს.უძველესი დროიდან მიღებული შეხედულებისამებრ სასმელი წყალი ტემპერატურული რეჟიმი ნაკლებად ცვალებადი უნდა ყოფილიყო 7-11 გრადუსი ფარგლებში .მას,როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა,არ უნდა ჰქონოდა ფერი, სუნი, გემო. იმ შემთხვევაში თუ წყალი არ აკმაყოფილებდა მომხმარებლის ამა თუ იმ მოთხოვნას მისი თვისებების გაუნმჯობესების მიზნით მიმართავდნენ

სხვადასხვა ფილტრების და ნივთიერებების გამოყენების პრაქტიკას. ასე, მაგალითად, თუ მომხმარებლის აზრით მდინარის, ნაკადულის ან წყაროს წყალი არ პასუხობდა სათანადო მოთხოვნებს წყალში შეტივტივებული ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმების მოცილების მიზნით მას საწრეტებში ჩაასხამდნენ. საწრეტი გამოკვეთილი იყო ერთიანი კირქვისაგან მას ფართო ოთხკუთხედი ან მრგვალი თავი ჰქონდა, ტანი კონუსისებური, ტევადობა 10-20 ლიტრს შეადგენდა, კედლის სისქე 4-6 სმ იყო სპეციალურ სადგარში იდგმებოდა, მას ქვემოთ უდგამდნენ ჭურჭელს, რომელშიც გროვდებოდა საწრეტიდან გამოყოფილი წყალი. აღწერილი წესით. წყლის გაუსნებოვნების ეს ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული საკვლევ მხარეში. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია რამდენიმე სხვადასხვა მოცულობის და ფორმის ხსენებული ტიპის საწრეტი. 10 ლიტრი წყლის გასაფილტრად დაახლოებით საჭირო იყო 3-4 საათი. წყლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მაგალითად, თუ ის სქელი იყო რძით შესვამდნენ, მშლამე წყალს ძმრითა და სიქანგუბინითა [ქანანელი 1940:459] სიქანგუბინი ენოდებაგანსაკუთრებული წესით დამზადებულ ძმრისა და თაფლის ნაზავს [საკაშვილი 1958:414] წყალს აგრეთვე აზავებდნენ ღვინით. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში თუ ადამიანს გაუჭირდებოდა წყალთან შეგუება ეთნოლოგ ფ. ბიბილეიშვილის ცნობით მიღებული იყო წყლის ნაქით გაზავება. უფრო მეტიც ჩვენ წინაპრებს ისიც კი ჰქონდათ გააზრებული, თუ როგორ უნდა აეცილებიათ თავიდან მგზავრობის დროს წყლის სწრაფი შეცვლით გამონვეული გართულებები. XIII საუკუნეში შექმნილი სამედიცინო ნაშრომის “ნიგნი სააქიმო-ს” ავტორი, ვინმე ხოჯათოფილი, მგზავრებს ურჩევდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას ყოველ გაჩერებაზე ძველი ადგილის წყალი ახალით გაზავებიათ, რათა ორგანიზმი შეეგუებოდა ახალი გარემოს წყალს. [ხოჯაყოფილი 1936:35]

წინამდებარე ნაშრომის დასკვნით ნაწილში გვინდა შევნიშნოთ, რომ საკვლევ რეგიონში წყალმომარაგების სისტემა და წყლით სარგებლობის წესები წარმოადგენ ჩვენი ერის ყოფითი კულტურის ძალზედ დიდ მონაპოვარს, რომელზედაც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მისი კეთილდღეობა

ლიტერატურა:

- 1 ანთაძე ი. 1915: წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში. კრებულში პეტრეს ქალაქის საიმპერატორო უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრის მოხსენებები // ივ. ჯავახიშვილი (რედ) თბილისი
- 2 ბედუკაძე ს 1959 : კირის დამზადება და მისი გამოყენება მშენებლობაში (ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). სსმ ტ XX-B 1959
- 3 ბრეგვაძე უ. 1987: წყლის ქიმია და მიკრობიოლოგია გამომცემლობა “განათლება” თბილისი
- 4 ბურკიაშვილი თ. 1987: კირდულაბი ჟურნალი “ძეგლის მეგობარი” №2 1987
- 5 ბურკიაშვილი თ 1988 : კირდულაბი ჟურნალი “ძეგლის მეგობარი” №3 1988
- 6 გვილავა ს 1954: ტყიბულის რაიონის ბუნებრივი პირობები და რესურსები გაზეთი “ტყიბულის მალაროელი” 12 მაისი №55 1954
- 7 ზუხბაია ვ. 1982: მხარეთმცოდნეობა, გამომცემლობა “მეცნიერება” თბილისი
- 8 კახიანი კ. 1964: გლეხის კარ-მიდამო იმერეთში გამომცემლობა “მეცნიერება”
- 9 კვეზერელი-კოპაძე ნ 1972: საქართველოს ძველი ხიდები. გამომცემლობა “მეცნიერება” თბილისი
- 10 მაყაშვილია 1991: ბოტანიკური ლექსიკონი. გამომცემლობა “მეცნიერება” თბილისი

- 11 ნადირაძე ე. 1980 : წყარონაგებობანი იმერეთში ჟურნალი “ხელოვნება” №2 1980
- 12 ორბელიანი ს.ს. 1991: ლექსიკონი ქართული II გამომცემლობა “მერანი”
- 13 სააკაშვილი მ. 1958 :საქართველოს მედიცინის ისტორია ტ III გამომცემლობა “საქართველო” თბილისი
- 14 ჩუბინაშვილი ნ. 1961 :ლექსიკონი ქართული რუსული თარგმნითურთ გამომცემლობა “საქართველო” თბილისი
- 15 ქანანელი 1940 : უსწორო კარაბადინი .ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ლ.კოტეტიშვილმა. გამომცემლობა “საქმედგამი” თბილისი
- 16 ქართული სამართლის ძეგლები 1963 ტ .I ტექსტი გამოსცა,გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ .ი დოლიძემ,გამომცემლობა “მეცნიერება”
- 18 ხოჯაყოფილი 1936გ: ნიგნი სააქიმო ლ. კოტეტიშვილის შესავლით “მედიცინა ძველ საქართველოში XIII საუკუნე” “საქმედგამი” ტფილისი

Mirian Stephania

WATER SUPPLY SYSTEM FOR THE POPULATION IN THE WEST GEORGIA DURING THE LATE FEUDAL TIMES

(According to the materials of Okriba- one of the parts of the region under study)

SUMMARY

In West Georgia water supply system for region under study has been evolved over many centuries. In noted a surprising diversity of its constituent elements .Rivers, streams,springs and wells are the basis of the above mentioned system. Diversification of water supply system provided stability and continuity of its work .One of the main components of this system were mineral waters used for the consumption and medicinal purposes .since ancient times, craftsmen mastered method of combining stocks of several fields in the common pool from which the water through the clay and wood pipes ,stone troughs ,the man-made channels, the bottom and the walls of which were coated with a waterproof layer of compacted day .During the field work by the ethnological expeditions of the Kutaisi State Historical Museum N. Berdzenishvili we documented that methods used by local craftsmen to build aqueducts and canals in Okriba are the same ones which described in works of antique authors : Catons, Vitruvius and others..Together with the above mentioned water resources :rivers, streams, waterfalls, springs and etc. The wells played a very important role in the water supply system. The specific features of the construction of various types of wells are describe=ed in the article in details. It had to fully comply with the aesthetic and hygienic requirements for this type of structures. The well must be removed to a considerable distance from the outbuilding-stables, pigsty, sheepfold, the toilet. After selecting a location for a well the certain rituals were performed .A small feast was arranged and man who should start digging a well ,he also had to slaughter the chicken. It should also be noted that according to popular belief, it was not good to dig a well in the new moon ,otherwise the water in the well be turbid. After completion the whole system of control was used to determine the properties of the well water ,e.g. how quickly beans and meat were cooked in the well

water, or how well the clothes were washed and also influence of the rainfall or drought on the water level in the well .It should be noted that in Georgia here was a centuries-old practice of improving the properties of the consumed water .A regards, pieces of lime, filters made of limestone were used for cleaning well water .Soil was also used as a filter Sometimes water was cleaned with vinegar. Dry masonry rubble, building stone, hydraulic mortar ,logs were used for building wells The wells were generally equipped with various types of water devices. Well construction lasted an average of 15 to 30 days depending of the soil and the depth of the aquifers .The depth of the wells ranged from 4-24 meters. Wells were divided into three categories small 4-7 ,average 8-17 m and 18-24 m deep. Craftsman's payment was quite expensive and totally dependent on the complexity of the work, the depth of the well. At presents, price of the well equipped dug wells ranges from 25\$ up to 30\$. After completion of the wells a round about one meter waterproof strip was made for

preventing penetration of spilled water, groundwater and surface precipitation into the well .Describing the water system it must be taken into account that it was not only for the needs of the population, but it was used and intensive used in the industrial activity. forges, mills sawmills, dye-works. The wells were also built by the people for the commemoration of the dead relatives souls.

In final part of this article it can be seen that the water supply system has satisfied the needs of West Georgia's population in the water and was an integral part of everyday culture of the Georgian people



პაატა ჯაფარიძე

კვირის დღეების ქართველური დასახელებანი, აღმოსავლური შესატყვისები და მათი ტოპონიმური პარალელები

კვირის დღეების დასახელებანი ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია ეთნოსის კულტურული მემკვიდრეობის, ენობრივი და ეთნოლოგიური პერიპეტეების გამოვლენისათვის ან მათი არქეტიპის რეკონსტრუქციისათვის. სხვადასხვა ხალხის კვირის დღეების რაოდენობა ისტორიულად თანაბარი არ ყოფილა. მაგალითად, რომაელებსა და ეტრუსკებს ჰქონდათ რვადღიანი კვირა, ცხრადღიანი - ინდოელებს.

ვინაიდან შვიდდღიანი პერიოდი შუმერულ და ბაბილონურ ტექსტებში იხსენიება, ამიტომ თვლიან, რომ შვიდდღიანი კვირა ბაბილონური წარმოშობისა უნდა იყოს. ებრაული გავლენით პლანეტარული სისტემის პარალელურად ქრისტიანული აღმოსავლეთის და არაქრისტიანული ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში შაბათის კალენდარული სისტემის შექმნას ჩაეყარა საფუძველი. მ. ნედოსპასოვას განმარტებით, „არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ შაბათის სისტემის დღეების აღმნიშვნელი ქართული ტერმინების არსებობა V საუკუნეში წარმოადგენს სირიული ტერმინების კალკირების შედეგს (ნედოსპასოვა, 1999: 188). ვინაიდან ბაბილონური რელიგია ასტრალური ხასიათის იყო, ის ეყრდნობოდა შვიდი მნათობის თაყვანისცემას: მზის, მთვარისა და ხუთი პლანეტის. ანალოგიურია უძველესი ქართული რელიგია. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიქცია ირანულმა მასალამ.

ირანში თუ როდიდან გავრცელდა კვირის შვიდდღიანი სისტემა ჩვენთვის უცნობია. ნაყში როსტამის (ზოროასტრის ქააბა) მზის კალენდრის გამოკვლევისას გამოიკვია შვიდდღიანი სისტემის არსებობა. არსებობს ასტროლოგიური ბუდისტური დოკუმენტი, რომელიც 759 წლით თარიღდება და რომელიც სანსკრიტიდანაა ჩინურად ნათარმნი. მასზე 764 წელს მიწერილი კომენტარები კვირის დღეებს იხსენიებს ჩინურად და წარმოდგენილია მისი საშუალო სპარსული და სოლდური შესატყვისები. სადაც საშუალო სპარსული შაბათის სისტემაზეა აგებული, ხოლო სოლდური ინარჩუნებს კვირის დღეების აღმნიშვნელ პლანეტარულ სისტემას. მაგალითად, სპარს. *iūšambat*-კვირა (ერთშაბათი), სოლდ. *mehr ruz*-მზის დღე. ვინაიდან ქართულშიცა და სპარსულშიც კვირის აღმნიშვნელი შაბათის სისტემის ერთშაბათია, ამიტომ საფიქრებელია, რომ მათ ერთი საეთო განმსესხებლიდან, სირიულიდან ესარგებლათ.

კვირის დღეების აღმნიშვნელ ირანულ სახელებზე საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს პროფ. ფრეიმანის ნაშრომი. მან დაადგინა და წაიკითხა სოლდური კომპლექსური ტექსტი მულის მთიდან. აღსანიშნავია კვირის დღეების სოლდური დასახელებანი, რომელიც ასევე არის შაბათის სისტემის და ის ასტრალურ ხასიათს ინარჩუნებს. ო. რაჰმათის მითითებით კვირის დღეების ამგვარი აღნიშვნა სოლდურიდან ნასესხებია უილურულში (რაჰმათი, 1936: 61). უილურული მონაცემები მეტად აფართოებს ჩვენს თვალსაწიერს დროის აღმნიშვნელ ტერმინთა შესახებ ფონეტიკური თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ მულის მთის ხელნაწერში, რომელიც დათარიღებულია არა უგვიანეს VIII საუკუნის I მეოთხედისა (34 A 12 ტაჯიკეთის მულის მთის კრებული, ფრეიმანი, 1938: 35), დღის აღმნიშვნელ ლექსემად სოლდურში წარმოდგენილია *zm'in*.

ხოლო უკვე VIII საუკუნის II ნახევრის ტექსტში სოლდური *zaman*-ის ნაცვლად იყენებს *ruz*. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია სოლდურში *zm'in* დღის აღმნიშვნელ ტერმინად გამოყენება უკავშირდებოდეს არამეულ ჰეტეროგრამას, რომელიც, როგორც ენის ნორმა, დამკვიდრებული იყო საშუალო ირანულ ენებში. უილურულის მიხედვით სიტყვა *zm'in* პირველი ბგერა გადმოცემულია

შესაბამისი შიშინა მჟღერით: **ž: ž aman**. აღნიშნულ ტექსტში სამშაბათი მოხსენიებულია *wryn zm'in* -ვარაპრანის (მარსის) დღე, ძვ. ირანული *Vrθrayna*. აღნიშნული დოკუმენტი ჩვენს ყურადღებას გარდა კვირის დღეების აღნიშვნის ხასიათისა, იმსახურებს იმითაც, რომ მასში გარდა უილურულისა ფრეიმანი იმონებს *zaman-* ის *žamān-*ად გადმოცემის ფაქტს ალ-ბირუნიდანაც (ალ-ბირუნი 1878: 46).

მაგალითად, ხუთშაბათი აღნიშნება *wrmšt zm'in* წარმოითქმებოდა *urmažd žamān*, რაც *št-žd* შესატყვისობითაა გამონეული. ფრეიმანი ასახელებს უილურულ ფორმას შაბათის აღნიშვნისათვის, რომელიც აღნიშნულ დოკუმენტში დაზიანების გამო არ შემორჩენილა და მას უილურული მასალის მოშველიებით აღადგენს ფრეიმანი: *kivan žmnu*.

საფიქრებელია, რომ ქართული ჟამნ/ჟამ-ისა და უილურულის შემთხვევაში ზ ფონემის შესაბამისი შიშინა მჟღერით გამჟღერება დამოუკიდებელი მოვლენა იყოს და განპირობებულია ენის ფონეტიკური ბუნებით.

ქართულ ლიტურგიკაში არსებობს ტერმინი ჟამნი, რომელსაც მსახურების მნიშვნელობა აქვს. არსებობს ოთხი ჟამნი:

I ჟამნი მოიცავს ჩვენი დროის 6-7 საათს. ეს ის დროა, როდესაც მაცხოვარი იესო ქრისტე მიყვანილი იყო პილატესთან.

III ჟამნი (9 საათი) გვაგონებს მაცხოვრის გასამართლებას და ტანჯვას

VI ჟამნი (12 საათი) -ეს ის დროა, როდესაც მაცხოვარმა იტვირთა ჯვარი

IX ჟამნი (3საათი)-ეს ის დროა, როდესაც ჯვარცმულმა იესომ სული განუტევა.

არსებობს წმინდა პასეჟის ჟამნი. ამ ჟამნის შესრულებისას არ იკითხება ფსალმუნები, იგი შედგება აღდგომის დღესასწაულის სადიდებელი საგალობლებისაგან და სრულდება ბრწყინვალე შვიდეულში. ყოველდღიური ჟამნის შესრულების წესი ძველი აღთქმის ღვთისმსახურება ძირითადად ფსალმუნების კითხვა-გალობისაგან შედგებოდა, ამიტომ ქრისტიანული ჟამნებიც თავდაპირველად მხოლოდ ფსალმუნებს შეიცავდა. ასევე ლექსემა 'ჟამი' ფართოდაა გავრცელებული ქართველურ ენებში როგორც დროის აღმნიშვნელი ტერმინი. *ჟამი*-ერთი დღე და ღამე არს ოცდაოთხი ჟამი, და ერთი ჟამი 4 ნენტილია; ჟამნი ენოდების წელიწადსა (4, 13 დანიელ); ჟამად ითქმის თაობა მეფისა ერთისა (1, 14 დაბადება) (სულხან-საბა 1991:633). *žamān, žamān* - ისა და ქართ. ჟამის მსგავსება გ. წერეთელს არ დარჩა შეუმჩნეველი (წერეთელი, 1952: 90) ვინაიდან ქართული ჟამისა და HS ზამან-ის დაკავშირება ვერ ხერხდებოდა რიგი მიზეზების გამო, კვირის დღეების აღმნიშვნელმა ლექსიკამ ჩვენ მიგვიყვანა საყურადღებო კონკრეტულ ფაქტამდე. თუ ჩვენ *HS zaman-* ის შესახებ ვიცოდით მხოლოდ დროის აღმნიშვნელი, სოლდურმა და მისი მიბაძვით უილურულმა მასალამ მისი სემანტიკური ველი კიდევ უფრო მეტად გაზარდა და ენობრივ კონტაქტებში მისი ჩართულობის არეალი კიდევ უფრო მეტად გააფართოვა.

დგება საკითხი ქართველურ ენებში ლექსემა ჟამის წარმომავლობისა და გავრცელების შესახებ. საკითხისადმი მიდგომა მისი არაჰომოგენურობის გამო გართულებულია, რადგანაც ერთის მხრივ თუ მივიჩნევთ მას ნასესხობად, თავისი ხასიათით არქაულია. ხოლო თუ მას ქართველური ენობრივი სამყაროს პირმოდ ჩავთვლით, მაშინ ჩვენს წინაშე დგება საკითხი: ლექსემებში ზაფხულსა და ზამთარში, რომლებიც გავრცელებული აზრით კომპოზიტურია, ზა კომპონენტის სავარაუდო კავშირის შესახებ ჟამთან საკითხის საბოლოო გადანყვეტისათვის კიდევ დამატებითი მასალის მოძიება და გამორკვევაა საჭირო. თუ ჩავთვლით, რომ ჟამნ/ჟამი ნასესხობაა, მაშინ ის უნდა შემოსულიყო ჟამნ-ის < *zm'in* სახით და აქედან უნდა ჩამოყალიბებულიყო ჟამი.

აქვე მოვიყვანთ კვირის ქართველური ენების ისტორიულ მონაცემებსა და სოლდურ მასალას, მუღის მთის ხელნაწერის მიხედვით:

	სამწერლობო ქართული	მეგრული	ჭანური	სვანური	სოლდური
კვირა	მზისა	ჟაშხა	ბჟაჩხა, მჟაჩხა	მიშლადეღ	myč zm'in
ორშაბათი	მთვარისა	თუთაშხა	თუთაჩხა	დომდიმ	m'y zm'in
სამშაბათი	არიასი	თახაშხა	ტიკინაჩხა, იკინაჩხა, ერკინაჩხა, ეკინაჩხა.	თახაშ	wryn zm'in (vr□rayna Zv. spars.)
ოთხშაბათი	ერმოსა	ჯუმაშხა	ჯუმაჩხა	ჯუმაშ	tyr zm'in
ხუთშაბათი	აფროდიტისი	ცაშხა	ცაჩხა, ჩაჩხა	ცაშ	wrmšt zm'in
პარასკევი	დიოსისა	ობიშხა	პარასკე	ვებიშ	nyyđ zm'in
შაბათი	კრონოსისა	საბატონი	საბატონი	საფტინ, სამტინ	kivan zm'in

კვირის დღეები ისტორიულად დაკავშირებულია მრავალ საყურადღებო ეთნოლოგიურ საკითხებთან. ამ მხრივ, მეტად იქცევეს ყურადღებას წარმართობიდან შემორჩენილი რიტუალები. ყოველ საზოგადოებაში არსებობდა ღვთაებრივი ძალა. ამ ღვთაების სახელი ხშირად ემთხვეოდა საზოგადოებრივი გაერთიანების სახელს. ზოგიერთი ღვთაება ითვლებოდა ქალაქის დამაარსებლად. მაგალითად, ქალაქი იერიხონი, რომლის მფარველი იყო იორიხ-მთვარე.

საქართველოში დღემდე მღერიან სიმღერებს, რომლებშიც მოხსენიებულია ბაბილონური, ხეთური, ხურიტული, ხალდური ღვთაებების სახელები: ალალუ, არალუ, ნანა, ალათუ, ბელიტ, ეა, ირრია, ლილუ (ლილ), აია, ია, ტელეფუ, მაგ, მა, შიმქე და სხვა. ზოგიერთი სიმღერა, რომელშიც მოხსენიებულია ძველალმოსავლური ღვთაებების სახელები, სრულდებოდა წარმართული რელიგიური ცერემონიისას, „ამგვარი სიმღერები შემორჩენილი იყო XX საუკუნის დასაწყისშიც“ (სვანიძე, 1937: 89).

მაგალითად, სიმღერა აია იმღერებოდა პასექის მესამე დღეს. მასპინძელი და სტუმრები თავს იყრიდა გორაზე და ელოდებოდნენ მზის ამოსვლას. მზის პირველი სხივის გამოჩენისთანავე იწყებდნენ სიმღერას აიაზე. ამ დროს წინ წამოინევდნენ გასათხოვარი გოგონები, ახლად დაქორწინებული გოგონები, ფეხმძიმე ქალები და ჩვილი ბავშვები. ვინკლერის ცნობით, ბაბილონელების წარმოდგენაში „შვიდი ბოროტი სული“ საშიში იყო ბავშვებისათვის და ფეხმძიმე ქალებისათვის. მათივე რწმენით, ბოროტი სულები მოქმედებდნენ ღამით. როდესაც მზე გამოჩნდებოდა ყველა ღვთაება თავს იყრიდნენ მზის ღმერთთან და მზის სხივები ფანტავს ბოროტ სულებს. აია მზის ღმერთის შამაშის ცოლია, რომელიც წარმოადგენს მზიური სხივების განსახიერებას.

ა. სვანიძე აია-ს თვლის ხურიტულ ღვთაებად (აია-აქადური საკუთარი სახელიცაა, საქმე ის არის, რომ ხურიტული თეოგონიური და კოსმოგონიური მითების მნიშვნელოვანი ნაწილი მომდინარეობს მესოპოტამიიდან, მათში მოქმედებენ შუმერულ-აქადური წარმომავლობის ღვთაებები პ. ჯ.). რაც შეეხება ცერემონიას, იქ შეკრებილნი მზის სხივებს ხვდებოდნენ შეძახილებით: აია. გარდა ამისა, ღვთაება აიას მიძღვნილი ჰქონდა საგანგებო კვირა დღეც, რასაც აია ბჟაშხას უწოდებდნენ.

საქართველოში ხშირად გვხვდება ხალდური ღვთაება კვარა. (კვარას შესახებ იხ. **Леман-Армения Т.2-46**). ის გვხვდება მთების – სიმაგრეების, სხვა ადგილების აღსანიშნავად. ვახუშტი წერს: მთების, დაწყებული გორდიდან კავკასიის ქედამდე ეწოდება თა კვერი (კვერის მთა). რაჭაში ასევე არსებობს მთაგრეხილი კვერთას სახელწოდებით, ასევე – კვარა ციხე. ა. სვანიძის მოსაზრებით სავარაუდოა რომ, კომპოზიტი კვირა-დღე, იგულისხმებოდა ხალდური ღვთაება კვარა. ამ მოსაზრებას თითქოს

ენინაალმდეგება სულხან-საბასეული განმარტება: „კვრა ენოდების ერთსა შვიდეულსა, ხოლო პირველსა დღესა, რომელ არს ერთშაბათი, ბერძნულად ენოდების კვირიაკე, ხოლო ქართულად საუფლო და მზისა“ (ტ. I. 401). ბერძნულად კვირიაკი-უფლისა.

შემთხვევითი არ იყო, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილმა მართებულად დააყენა ღვთაება კვირიას წარმომავლობის საკითხი. ამიტომ მან დასვა კითხვა: „კვირია, ანუ „კვირა“, მისი ნამდვილი სახელი იყო, თუ შემთხვევით შემორჩენილიყო. გადაჭრით პასუხი მას ამ კითხვაზე არ გაუცია, ვარაუდით კი ამბობდა, „შეიძლება „კვირია“ კვირისაგან იყოს წარმომდგარი, იმიტომ რომ იმ ღვთაებას, რომელსაც შემდეგ ეს სიტყვა საკუთარ სახელად გადაექცა, შვიდეულში სწორედ ეს დღე ჰქონდა მიკუთვნილი. ჩვენ ვიცით, რომ კვირას მეგრულად „ჟაშხა“, ქანურად „ბჟაშხა“, სვანურად „მიშლადეღ“, ანუ მზის დღე ჰქვია. მაშასადამე, თუ მართლაც ამ ღვთაებამ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო მიიღო „კვირიას“ სახელი, მაშინ იგი ჩვენ უნდა ვიცნათ „მზე“-ს ღვთაებად, მაგრამ მზის სქესის გამო ეს საეჭვოა. შეიძლება აგრეთვე „კვირია“ ძველს მცირე აზიის საბერძნეთში გავრცელებული სახელის „კვირიასაგან“ იყოს წარმომდგარი, რომელიც უფალს ნიშნავდა და სხვადასხვა ღვთაების შესახებ იხმარებოდა, სხვათა შორის „კვირიოს“ მზესაც და საბადიოს-ასფადსაც უწოდებდნენ“ (ჯავახიშვილი 1979:88).

ვინაიდან ასურულ ბაბილონურ სივრცეშიც იყო იმგვარად, რომ ერთი დღე ხან მარსს ეკუთვნოდა ხან იუპიტერს, შესაძლებელია, კვირის შემთხვევაშიც ამგვარად ყოფილიყო. ანუ ღვთაება კვარა შემოსულიყო ქართულში და მისდამი სარიტუალო ჩვეულება შეესრულებინათ კვირა დღეს და დამკვიდრებულყო მისი სახელი ამ დღის აღსანიშნავად, მაგრამ მაინც რჩება მრავალი კითხვა კვირას გენეზისისა და ქართულ სივრცეში დამკვიდრებასთან დაკავშირებით. ამ კითხვას ალბათ ბერძნული მასალის გადასინჯვის, ბერძნულში კვირის დამკვიდრებისა და განვითარების გზების გამორკვევის შედეგად გაეცემა სრული პასუხი.

ყურადღებას იქცევს ქართველურ ენებში პარასკევის აღმნიშვნელი ობიშხა/ვებიშ. სოფელ ქვიშარში (რაჭა, ამბროლაურის რაიონი) 1946 წელს ერთ ადგილას გლეხებმა ნახეს სხვადასხვა სახის ბრინჯაოს ნივთები. უმეტესი ნაწილი ამ ნივთებისა დიდ დერგში ყოფილა ჩაწყობილი სხვადასხვა ზომისა და წონის ე. წ. ყობანის ტიპის არაჩვეულებრივი ბრინჯაოს ბრტყელი ცულები, სატეხე, ხელეჩოები, ღარეჩი, სამკაულები და სხვა.

1939 წელს აღნიშნული ადგილიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მოშორებით უზარმაზარი ლოდის ძირთან, მდინარე ობინელას ნაპირზე, წისქვილის არხის გათხრის დროს უპოვიათ კიდევ ერთი საყურადღებო განძი. ამ აღმოჩენამდე აღნიშნულ განძში არსებული ცულების ტიპები უცნობი იყო. ეს ცულები საინტერესოა ფორმის, მასალისა და დანიშნულების მიხედვით. ამ ცულების პირი იმდენად თხელია, რომ შესაძლებელია მისი ხელით მოლუნვა. ცულის წონაც მის ზომასთან შედარებით მცირეა (400გ.).

გ. ნიორაძის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ჭექა-ქუხილის ღვთაების შესანიშნავად განკუთვნილი და წარმოადგენენ ნამდვილი ცულის იმიტაციას.

ამის თქმის საფუძველს გ. ნიორაძეს აძლევდა ის, რომ ხეთების მეხისმტყორცნელი ღვთაება თეშუბის სიმბოლო ცულის სახითაა მოცემული იასილიკიას (ბოლასქოი) ერთ-ერთი კლდის კედელზე რელიეფურად გამოყვანილ სურათზე.

არამეული ჭექა-ქუხილის ღვთაების ჰადადის ემბლემადაც ცული ითვლებოდა. ცულის შენირვა ღვთაებისადმი დადასტურებულია ნინა აზიაში სხვაგანაც:

1. მესოპოტამიაში აღმოჩენილია ქვის ცულ-ჩაქუჩი სილაბური წარწერით „ჰადადო“ ჩვენო ღმერთო დაგვიცავი.

2. ცულის შენირვის ტრადიცია დადასტურებული ელამიდანაც (Meisner B., Vorderasien, RLV B. I, 297, Berlin 1924).

ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით მეცნიერთა ნაწილმა გამოთქვა ვარაუდი, თითქოს ეს ცულები მიცვალებულთა საფლავში ჩაყოლებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ერთი მხრივ, სამაროვნებში ამ ტიპის ნივთების არ არსებობა და მეორე მხრივ, წინა აზიის ტერიტორიაზე ცულების საკულტო დანიშნულება ამყარებს იმ თვალსაზრისს, რომ ეს ცულები მართლაც საკულტო დანიშნულების იყო. გარდა ამისა შედარებით-ფუნქციონალური მეთოდის გამოყენებით, გ. ნიორაძემ გამოთქვა თვალსაზრისი, რომ აღმოჩენის ადგილი უნდა ყოფილიყო სამსხვერპლო „წმინდა“ ადგილი, რომელიც ყურადღებას იქცევს აღწერილობითაც. ეს ცულები მან კოლხური ცულების პროტოტიპებად მიიჩნია და მათი ხნოვანება ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრით დაათარიღა (ნიორაძე, 1948: 15).

წინააზიური შემთხვევების გარდა უნდა მოვიხმოთ თვითონ ქართული მასაც, რომელიც კავშირშია ჰიდრონიმიკასთან და უძველესი ქართული კვირის დღეების აღმნიშვნელ ლექსიკასთან. საყურადღებოა მდინარის დასახელება, რომლის ნაპირზეც აღმოჩნდა ეს სარიტუალო დანიშნულების ცულები. ობინელა, სხვა ქართული ჰიდრონიმების მსგავსად შეიძლება დაიშალოს ორ ნაწილად: ობი და ნელა, ელა და ულა, ეს ქართულში გავცელებული ჰიდრონიმების და არა მარტო ჰიდრონიმების მანარმოებელი სუფიქსებია; მაგალითად რიკოთულა, ჩხერიმელა და სხვა მრავალი. ორი ხმოვნის გამყოფად ძირისა და მანარმოებელი სუფიქსის შეყრისას, როგორც ვხედავთ, დამახასიათებელი ნ ან მ სონანტის გაჩენა.

საფიქრებელია, რომ ამ სარიტუალო ცულების ობიექტს ქართველურში შემორჩენილი ობი წარმოადგენდეს და სამსხვერპლოს ლოკალიზაციისათვის ჰიდრონიმი კიდევ ერთ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს.

ლიტერატურა:

1. ნედოსპასოვა 1999: ნედოსპასოვა მ., კვირის დღეთა ტიპოლოგიისათვის შაბათის კალენდარულ სისტემაში, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო II*, თბილისი
2. ნიორაძე 1948: ნიორაძე გ., ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XV-B, თბილისი
3. სულხან-საბა 1991: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი
4. სვანიძე 1936: სვანიძე ა., შესავალი ალაროიდელ ტომთა ისტორიისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები III
5. წერეთელი 1951: წერეთელი გ., არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი
6. ჯავახიშვილი 1979: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. I, თბილისი
7. ივანოვი 1905: Иванов П. Т., Дни недели, Сборник Харьковского Историко-Филологического Общества, Т. 16. Труды Харьковской Комиссий по устройству XIII Археологического Съезда в Г. Екатеринославе, Харьков
8. სვანიძე 1937: Сванидзе А. С., Названия древневосточных богов в грузинских песнях, *Вестник Древней Истории*, 1
9. სოდღური 1962: Согдийские документы с горы Муг, чтение, перевод, комментарии В.А. Лившица
10. ნილსენი 1938: Нильсен Д., О древнеарабской культуре и религии, *Вестник Древней Истории*, 3(4)
11. ფრეიმანი 1938: Фруйман А.А., Согдийский рукописный документ астрологического содержания (календарь), *Вестник Древней Истории*, 2(3) Москва

12. ფრეიმანი 1952: Фруйман А.А., Две Согдийских рукописных документа с горы Муг, в Таджикистане, *Вестник Древней Истории*, 1, Москва

13. ალ-ბირუნი 1878: "Athār-ul-Bākiya", Chronologie orientllischer Volker von Albruni, Leipzig,

14. ფრეიმანი 1959: Фруйман А.А., Три Согдийских документа с горы Муг, Проблемы Востоковедения, 1, Москва

15. რაჰმათი 1936: R a c h m a t i, O. R., - Turkische Turfan Texte, VII APAW

Paata Japaridze

GEORGIAN APPELLATIONS OF WEEKDAYS, ORIENTAL CORRELATIVES AND THEIR TOPONYMIC PARALLELS

Sumerian and Babylonian texts mentioned a seven-day period and that's why a seven-day week is considered to have Babylonian origins. The Hebrew influence has brought the calendar system of Saturday in the Christian East and Non-Christian Regions of Near East along with the Planetary System. Georgian terms denoting days of the Saturday System in the fifth century represent traces of Syrian terms. The Babylonian religion was of astral character and it was based on worship of seven luminaries: the Sun, the Moon and five planets. The ancient Georgian religion is analogical. We have paid attention to Iranian materials too concerning the issue.

It is unknown when the seven-day system of the week was spread in Iran. The exploration of the Solar calendar of Nakhshi-Rostam (Zoroastrian Kaaba) has proved the existence of the seven-day system of the week. The astrological Buddhist document dated by 759 was translated from Sanskrit. Comments on the document dated by 764 mentions the weekdays in Chinese terms and contain their Middle Persian and Sogdian correlatives, where the Medieval Persian is based on the Saturday System and the Sogd maintains the planetary system denoting the weekdays. For example, Persian *iūšambat*, Sunday (One – First Saturday), and Sogd MEHR RUZ, the day of the Sun is the First Saturday in the Saturday system to denote the Sunday in both Georgian and Persian and it seems both of them have borrowed it from a common origin, Syrian.

The work of professor Freiman contains important information on Iranian names of Weekdays. He has identified and read Sogd complex text from the mountain of Mug. It should be noted the Soghd appellations of weekdays are also of the Saturday System and maintain an astral character. According to O. Rahmat, similar appellations of weekdays were borrowed by Uyghur from Soghd. The Uyghur material broadens our view from the phonetics point of view. The Sunday is named as *myyş Z[M'N]* in Soghd. It is worth noting in the text of the 8th century the Soghd language uses RUZ instead of ZAMAN. In Uyghur the first sound of the word of ZM'N is given with a corresponding sibilant sound *ž*: *ŽAMAN*. The text names the Tuesday as *wryn ZM'N* - the day of VARAHRAN (MARS), the Old Persian *Vrθrayna*. At the same time, in the document Freiman also pays attention to the fact of derivation of ZAMAN from *žamān*, besides Uyghur. For example, the Thursday is written as WRMŠT

ZM'N and was spoken as URMAŽ ð žamān št-žð. Freiman names the Uyghur form for indication of the Saturday that has not been survived in the document because of damages and it is restored according to the Uyghur: KIVAN žMNU. From the mentioned sample we have paid attention to the word denoting a DAY ZM'N-žamān- žmn.

Seemingly, it was an independent case to express Z phoneme in a sibilant voiced sound in case of Georgian ŽAMN/ŽAM and Uyghur and this was caused by the phonetic character of the language.

There is a term in the Georgian liturgy that expresses the service. There are four times (ZHAMNI):

1. The first ŽAMNI includes the period from 6 to 7 o'clock. This is the time when Jesus Christ was delivered to Pilate.

2. The 3rd ŽAMNI (9 o'clock) remember the judgment and torture of Christ.

3. 6th ŽAMNI (12 o'clock) – Christ takes the Cross on his shoulders.

4. 9th j ŽAMNI (3 o'clock) – crucified Christ dies.

ŽAMI is a widespread word in Kartvelian languages as a term to denote the time. The Žami – one day and night is 24 hours and one ŽAMI is four points; ŽAMNI (times) is said to be a year (Daniel: 4, 13); ŽAMI (time) is said to be a generation of one king (GEN: 1, 14). George Tsereteli has paid attention to resemblance between ŽAMĀN and Georgian ŽAMI.

It was impossible to connect Georgian ŽAMI with HS ZAMAN because of a number of reasons. Therefore the vocabulary of weekdays has led us to a significant concrete fact. We know HS ZAMAN signified only the time, but Sogdian and Uyghuric materials have broadened its semantic field and the range of its involvement in the language context.

Thus, the issue on the origin and spread of the lexeme of ŽAMI in Kartvelian language becomes relevant. The issue is non-homogeny and complicated to be explored. On the one hand, if we consider it to be a borrowed word, it is archaic by its character, but if we consider it to be a germ of the Kartvelian language world, then the question will arise on in the lexemes of ZAPXULI and ZAMTARI that, according to widespread considerations, are composites of ZA_MTARI, ZA-PXULI and the issue of correlation of ZA part to the word of ZHAMI. To cast light on the issue additional material should be explored and searched. If we consider the ZHAMN/ZHAM to be borrowed words, then it should have been come in the form of ŽAMN<ZM'N and the ŽAMI should have been formed from this. Historically the weekdays are related to many interesting ethnology issues. Many Georgian folk songs have maintained Babylonian, Hettite, Khurit, Chaldean names of deities: Alalu, Aralu, Nana, Alatu, Belit, Ea, Irria, Lilu (Lil), AIA, Ia, Telefu, Mag, Ma, Shimike and so on. Some songs that mention names of Old Eastern Deities were performed during pagan religious services. Similar songs were performed even at the beginning of the 20th century.

For example, the song of AIA was performed on the third day of Pesach. The host and guests used to gather on a hill waiting for sunrise. They started singing the song on appearing the first sunray. At that moment, new married girls, pregnant women and children used to come ahead. According to Winkler, Babylonians believed that seven evil souls were dangerous for children and pregnant women and evil souls used to become active at night. On sunrise all deities were gathering around the God of the Sun and sunrays were dismissing evil souls. AIA was considered to be a spouse of Shamash,

the God of the Sun and AYA represented sunrays.

AIA is a Churit deity in its genesis. As to the religious ceremony, the gathered people were meeting sunrays with screams: AIA. Moreover, a special Sunday was devoted to the deity of AIA that was called as AIA BŽAŠXA in Megrelian Language.

The Chaldean deity of Kvara is often met in Georgia to denote highlands, fortresses and other places. According to Vakhushti Bagrationi, highlands starting from Gordi to the Caucasian chain are called as TA KVERI (the Mountains of KVERI). There is a mountain chain called as KVERTA in the Racha Region. According to A. Svanidze, the composite of Sunday may imply the Chaldean Deity of Kvara. This opinion seems to be opposite to the explanation of Sulkhan-Saba Orbeliani: "Kvira (The Week) is called to seven days, while the first day that is One Saturday in Greek is called as Kviriake, while in Georgian it is called as the day of God and Sun, the day of Kviriaki-God in Greek.

It was not occasional that Academician Iv. Javakhishvili raised the issue of origin of the deity of KVIRIA. He has posed a question whether KVIRIA or KVIRA was its genuine name or it was occasionally survived. He has not given a final answer to this question, but he supposed: "KVIRIA may have been derived from KVIRA, because the deity that was called by this own name was mentioned on the very day of the week. We know the Sunday was called as ZHASHKHA in Megrelian language, BŽAŠXA in Chan, MIŠLADEy in Svan, that is the Day of Sun. Thus, if this deity has taken the name of Kvira because of the above reasons, then we should consider it to be the deity of SUN, but this consideration becomes doubtful because of the sex of the SUN.

The name of KVIRIA may have been also derived from KVIRIA that was spread in the Greek part of Small Asia. The word denoted the God and was used in relation to various deities. By the way KVIRIOS was used as the name of the SUN and SABADZIO-ASFAD.

In the Assyrian-Babylonian space the one day was devoted to MARS or Jupiter and it is possible the same was practiced in case of the SUN, that is KVARA, the name of the deity may have penetrated the Kartvelian language to denote this Day. Nevertheless, many questions remain about the genesis of KVIRA and on its establishment in the Georgian space. The issue may be clarified after the exploration of the Greek material, the establishment of KVIRA in Greek and the development ways.

Another interesting issue is related to the word of OBIŃXA/VEBIŃ that is the Day of OBI. It is presumed to be the deity and was worshiped on Friday. In 1939 in the village of Kvishari (Racha, the Ambrolauri District) on the bank of the river Obinela an interesting treasure was found during digging a channel for a mill. Discovered axes are interesting due to their forms, materials and designation. The edge of axes are so thin that they are bent. The weight of axes are lighter compared to their size (400grams). According to G. Nioradze, those axes were for the deity of thunderstorm and represent an imitation of a real axe. G. Nioradze made such conclusion as TEŃUB, the Hittite deity of Thunder is depicted in the form of an axe on the wall of one of the cliffs of IASILIKAYA (BOGHASKOI). An axe was also used to depict HADAD, the Aramean Deity of thunderstorm. Axes were sacrificed to deities in other places of the Small Asia too:

1. An axe-hammer with the depiction of HADAD (Our GOD SAVE US) was found in Mesopotamia.
2. The tradition of oblation of an axe is confirmed in ELAM too.

Regarding this discovery a certain part of scientists have expressed supposition that those axes were to be put into graves, but these things have not been found in graves, on the one hand, and, on the other hand, the designation of cult axes in Small Asia substantiates that these axes were genuinely used as a cult things. Moreover, having used comparative functional methods, G. Nioradze has expressed consideration that the discovered place might be a scared place for oblation. That place draws attention by its description. He perceived those axes as prototypes of Kolikh axes and dated them by the first half of the second millennium B.C.

Besides the cases in Small Asia, we should also refer to Georgian materials that are related to hydronyms and vocabulary of the ancient Georgian weekdays. It is worth noting the name of the river where these ceremonial axes were discovered is Obinela and it may be divided in two parts, like other Georgian hydronyms: OBI and NELA. The last one is widespread suffix in Georgian for hydronyms, for example, Chkherimela and so on.



დავით შავინანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ისტორიის და არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ოკრიბალთა ხალხურ-ეკოლოგიური გამოცდილება

(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების მკვიდრთა ბუნებასთან ურთიერთ-კავშირის საფუძველზე დაგროვილი გამოცდილების შესახებ მოძიებული მასალები ადასტურებენ ქართველთა ხალხურ-ეკოლოგიურ და კულტურულ-ისტორიული გამოცდილებას, თუ რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო და ბუნებრივი პირობები საქართველოს ამა, თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების მკვიდრთა ლოკალურ მატერიალურ, სულიერი და ყოფითი კულტურის განვითარებაზე, კულტურულ-სამეურნეო ყოფით თავისებურებებზე, ხასიათზე. იმერეთის თემ ოკრიბაში აღნიშნული კუთხით მოძიებული მასალები და მათი ანალიზი გვაძლევს საფუძველს, რომ აღვნიშნოთ: მრავალსაუკუნოვანმა ცხოვრებამ ერთსა და იმავე გარემოში გავლენა მოახდინა ოკრიბელთა სამეურნეო, ყოფით-კულტურულ გამოცდილებაზე, შეესაბამება და დამოკიდებულია გეოგრაფიულ, ბუნებრივ პირობებს. ეკოლოგიური ცოდნის საფუძველზე ოკრიბლებს შეუქმნიათ საკუთარი, კუთხის შესაბამისი სანარმოო-მატერიალური სახე, სამინათმოქმედო ყოფითი კულტურა, შრომის ორგანიზაციის მეთოდები და ფორმები, სამეურნეო ცხოვრების სადაგი სანარმო იარაღები...

ოკრიბის მკვიდრნი ძირითადად მინათმოქმედებას მისდევდნენ. გარდა მინათმოქმედებისა ოკრიბლები მისდევდნენ მესაქონლეობა-მეფრინველეობას, მეჩაიეობას, მევენახეობას, მეხილეობას, მეაბრეშუმეობას და ამას ყოველივეს იმდენად, რამდენადაც უწყობდა ხელს მხარის გეოგრაფიული მდებარეობა, მიწის ნაყოფიერება.

ოკრიბაში მარცვლეულის ყველა ჯიში ითესებოდა. ბრინჯი და ბამბაც კი [1, გვ.145], მაგრამ უფრო გავრცელებული იყო ლომი [1, გვ. 145]. ორი ჯიშის ლომი მოჰყავდათ ოკრიბაში. “ნაყოფი ყვითელი და თეთრი ფერისა იყო”; ოკრიბაში ითესებოდა დასავლეთ საქართველოში ფეტვის ყველაზე ძველი ჯიში ცოცხის სორგო, „ინდური ფეტვი“ [5]. **“ჯიშიანობით არ გამოირჩეოდა ცოცხი. ცოცხისთვის არც უნდა ვაცდენდეთ ისედაც მწირ მიწას, მაგრამ ხომ გაგიგონია “როგორც გილხინდესო”.**

შედარებით იოლად მოსაყვანი სიმინდის უხვმა მოსავალმა გააუმჯობესა¹ მოსახლეობის ეკონომიკური ცხოვრების პირობები. ოკრიბლები ვერ ასახელებენ სიმინდის ჯიშებს, მაგრამ ამბობენ, რომ მოჰყავთ **“აქაურ, გარემო-პირობებში გამომდგარი თეთრი წვრილკაკლიანი, ფართეკაკლიანი სიმინდი. არც თუ ხშირად ყვითელიც”.**

ოკრიბელი კაცის სულის საფასი, მისი კაცობის, ოჯახის სამკაული, კულტი არის ვაზი. ადგილობრივთა თქმით, რეგიონში **“მოჰყავთ იმ ჯიშის ყურძენი, რომელიც ყველაზე მეტად ხარობს აქაურობაში. ესენია: ცოლიკაური, ციცქა და ძველშავი, წითელი და შავი ადესა, ჯვარისულა, ალადასტური, კაჭიჭი. სადაც საშუალება გვაქვს იქ ვაშენებთ, თუმცა ვენახის ჩასაყრელი ადგილი უნდა იყოს დაფერდებული სამხრეთ-დასავლეთით, რომ ქარი არ მოხვდეს და მთების თოვლი არ ხედავდეს”.**

ოკრიბელთა სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ყოფაში **“თავის ადგილი მეცხოველეობას, ძირითადად მესაქონლეობას და მელორეობას უჭირავს. მესაქონლეობა ძირითადად თავის გატანის და ოჯახის შენახვის საშუალება იყო და არის. მესაქონლეობა ქვია, თორემ ორი-სამი სული საქონლის ყოლა მესაქონლეობაა? კომუნისტებმა არ გაითვალისწინეს ბუნებრივი პირობები და საქონლის ფერმები გააკეთეს, მაგრამ ძალით იყო, რადგან საძოვარი არაა, გარემოპირობები არ უწყობს ხელს მესაქონლეობის**

¹ სიმინდის კულტურა დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნიდან გამოჩნდა. XIX საუკუნიდან სიმინდი თანდათან დევნის სხვა კულტურებს, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ძირითადი მარცვლეული ხდება.

განვითარებას ისე, როგორც ჩვენს მეზობელ სვანეთსა და რაჭაში“.

გეოგრაფიული გარემოს ხელშეწყობით სხვადასხვა დროს ქვეყნის, თუ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში წარმატებას ჰპოვეს მეურნეობის არატრადიციული დარგები. მეაბრეშუმეობას ოკრიბაში შეიძლება ვუნოდოთ “გეგმიური განვითარების მიზნით“ და არა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების შესაბამისობიდან გამომდინარე დარგი. რაც შეეხება ჩაის კულტურას, გაამართლა². **“დადგენილია, რომ ოკრიბული ჩაი თავის შემადგენლობით სჯობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაშენებულ ჩაის“.**

აღნიშნულ დარგებზე მოძიებული ეთნოგრაფიული მასალები მიგვანიშნებენ ოკრიბელთა საუკუნეების განმავლობაში პრაქტიკისა და გამოცდილების საფუძველზე შექმნილ დიდ აგროტექნიკურ ცოდნაზე ნიადაგების მოსავლისუნარიანობის გაუმჯობესებისკენ, მიწის სავარგულად გადაქცევისაკენ მიმართულ ღონისძიებებზე: დაჭაობებისაგან ნიადაგის დაცვა, ნიადაგის **“გაპატივება“** ორგანული ნივთიერებებით, ვაზის გაშენებისთვის შესაბამისი **“მზის საფიცხი“** მიწის შერჩევა...

სპეციალური მიმართულებით ჩატარებული მოკვლევები და ჩვენი ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ უძველესი დროიდან ოკრიბაში ლითონისა და გიშერის მოპოვების ფაქტებს. 1700 წლით დათარიღებულ საბუთში ვკითხულობთ: „ქ. მეოხებითა და შუამდგომლობითა ღთისათა ესე წიგნი და სიგელი... მოგართვით თქვენ ბიჭვინტისა... და გელათის მონასტერს წმინდას გიორგის კ“ს გრიგოლს ჩვენ მხეიძემან ბატონმან ფირან, მეცხედრემან ჩვენმან დადიანის ასულმან ბატონმან მზეხათუნ და მზემან ჩვენმან ყოველმანვე ასე და ამა პირსა ზედა რომე... ღთისმშობლის კაცს საკათალიკოზოს სამოურაო მოსაკრებლო რკინა ემართა ოკრიბას“ [5].

ოკრიბულმა გეოგრაფიულმა გარემომ შეაპირობა ხალხური სატრანსპორტო საშუალებების ტიპი, მისი მდგრადობა-აქტიურობა. გარემო პირობებს შეგუებული, ტვირთგადასატანი საშუალებაა ოკრიბული ურემი. ოკრიბაში გავრცელებული ურემის ტიპის სხვადასხვაობა განპირობებულია დასახლებული პუნქტის მდებარეობით. ეთნოგრაფიული ოკრიბისათვის დამახასიათებელია **“ჩოჩიალა“** (**“მუხრუჭიანი ურემის“**)³, **“ქარიანი“**, **“რიკულებიანი“**, **“ბოლოთრია“** ურემი. საბორბლე მორგვზე აწყობენ **რიკებს** და **ფესოს**. რიკების რაოდენობა დამოკიდებულია ურემის სიმაღლეზე. რიკების სიმაღლე იზრდება სამოცდახუთი სანტიმეტრიდან ერთ მეტრამდე. იქ, სადაც მაღალმთიანი სოფლებია, იყენებენ ურემის ბორბალს, რომლის რიკიც სამოცდახუთი-სამოცდაათი სანტიმეტრია. ხოლო იქ, სადაც ვაკე ადგილებია, ურემის ბორბალს ერთმეტრიან რიკებსაც უკეთებენ. რაც შეეხება უღელს, ოკრიბული **უღელი** შესაბამისია, აქაური გორაკბორცვიანი რელიეფისათვის. **“ოკრიბული სახნავი უღლის სიგრძე განაპირობა გარემომ. შედარებით მთიან სოფლებში, ურემზე მისაბმელად კაკვის ნაცვლად ჯაჭვს იყენებენ, რომ ხარებს მობრუნების დროს ნაკლები ჯაფა დაადგეს. რაც შეეხება ტყის სამუშაოებს, მისი შესრულების დროს აქვთ შედარებით მოკლე უღელი. რეგიონის ბარის სოფლებში გავრცელებულია ცალუღელა ხარის მოკლე უღელიც“.**

ტრადიციული, კულტურული ყოფის ერთ-ერთი ელემენტია, **“ადგილობრივი მასალით დამზადებული საცეხველი“**. საცეხველში ჩაყრილ გამშრალ ღომის თაველს სცემდნენ „ხელკავით“. **„ხელკავი მოძრაობაში მოჰყავდათ გარკვეული სიმაღლიდან წამოსული წყლის ვარდნილითაც. ოკრიბა გორაკბორცვიანია და საკმაოდ მრავლადაა ვარდნილი წყლები. საცეხველში ცეხვავენ არა მხოლოდ მარცვლეულ კულტურებს, არამედ სელს, მარილს, საჭმლის შესაზავებელ სუნელებს, არაყის გამოსახდელად საჭირო ხილს და სხვა. ოკრიბაში ძირითადად ქვის საცეხველი იყო გავრცელებული,**

² მეჩაიობა მეურნეობის დარგად ოკრიბაში იქცა გასული საუკუნის ოციანი წლების ბოლოდან.

³ ურემის ეს სახეობა მოსახერხებელია დამრეც და მოსახვევ გზებზე მოძრაობისას. ასეთი ტიპის **“მუხრუჭიანი ურემის“** ერთ ბორბალში ღერძი უძრავადაა დამაგრებული, მეორეში კი მოძრაობს. არის ისეთი ტიპიც, რომლის უკანა, მეორე ბორბალიც ჩერდება სპეციალური მუხრუჭის მეშვეობით განსაკუთრებულ დროს.

ვინაიდან მისთვის საჭირო სათლელი სილახრეშინი, კბილიანი, ხორკლიანი, ფხიანი ქვა რეგიონში უხვად მოიპოვებოდა“.

ადგილობრივ ლანდშაფტს და კლიმატურ პირობებსაა მისადაგებული საცხოვრებელი, თუ სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობები. „რაც შეეხება მასალას ადრე ძირითადად ხისა იყო. ხემასალად კი იმას იყენებდნენ, რაც მის საცხოვრისში ხარობდა. ხშირად, უადგილობის გამო, ნაგებობა ორსართულიანია, ქვემოთ ბელელია, ზემოთ სასიმიინდე. უნდა აღინიშნოს, რომ ოკრიბის სინამდვილეში ძველი დროიდან არსებული სამარცვლე სათავსოები – ბელელი⁴ და ნალია არ გამქრალა“.

ოკრიბელთა ჩაცმულობაზე (“ტან-ფეხი“) საუბრისას საკმარისია აღინიშნოს “ცეცხლზე გახურებული ნედლი თხილის ტკეჩებისაგან მოწნული ღვეფქით შეკრული თხილამურების შესახებ, რომელიც ოკრიბის მთა-გორიანი სოფლების მკვიდრთა ზამთარში ადვილად გადაადგილების საშუალებაა“.

კვლევა ადასტურებს მთვარის ფაზებთან დაკავშირებით, ხე-ტყის შერჩევითი ჭრის წესის, მდინარეების დაბინძურებისაგან, ფლორისა და ფაუნის დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებულ, ოკრიბაში არსებულ ღონისძიებებზე; ეროვნული კულტურისა და ხასიათის სიმბოლური ფუნქციის, ეროვნული მნიშვნელობის და თვითშეგნების მატარებელი მცენარეებთან (მუხა, ვაზი) დამოკიდებულების, მისი მასალად გამოყენების შესახებ.

ტოპონიმები ქვეყნის წარსულთან, მისი თანამედროვეობასთან, ეთნოისტორიულ, სამეურნეო, მატერიალურ და კულტურულ საკითხებთან ერთად ტევად ინფორმაციას იძლევიან ხალხურ-ეკოლოგიური გამოცდილების შესახებ. გეოგრაფიული გარემოს მიხედვით შექმნილ ოკრიბულ ტოპონიმებში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

ტოპონიმები მოტივირებული რელიეფის მიხედვით: „კონჩის აღმართი“ (სოფელი გურნა) – მაღალი ადგილი. დღეს საძოვარია; „ცქინტორები“ (სოფელი ლეღვა) – მაღალი ადგილი, ტყე; „ფრიალოულა“ (სოფელი ციხია) – ჩავარდნილი ვაკე ჭალის პირას; „ღრუთი“ (სოფელი კურსები) – ჩაღრმავებული ადგილი, ჩახრამული ფერდიც აქვს; „ციცაფა“ (სოფელი ჭყეპი) – ღელის ნაპირზე გაშენებული ტყე;

აღსანიშნი ადგილის სივრცითი მიმართების მიხედვით: „ზედა უბანი“ (კომონიმი) – სოფელ საწირის ზევით; „ზენობანი“ (ოიკონიმი) – სოფელი კურსები. კურსებიდან გოდოგანში გადასასვლელს ჰქვია; „ძიროვანი“ (კომონიმი) – ადგილი ნაქერალას ძირში;

აღსანიშნი ადგილის აგებულებით: „ხრესილა“ (სოფლები: ძუყნური, კურსები) – “აქ ხრეში მოაქ წყალს და სილავს”; „ხორხი“ (სოფელი დაბაძველი) – მოუსავლიანი საყანე მინა; „კვარკვალიტა“ (სოფელი ჭყეპი) – პატარა ყანა, მრგვალი ქვებით სავსე; „ჭერეხნალა“ (სოფელი ოხომირა) – “ქვებია ბევრი“;

ნედლეულის მიხედვით: „საგიშრია“, „საკირია“, „სანახშირე“, „ქვატეხილი“;

აღსანიშნი ადგილის თვისების მიხედვით: „ლაშია“ (კომონიმი), „ლაშიყარი“, „ტალახ ლაშე“ – „სამეურნეო წყლიანი ადგილები“. „იდუმალა“ (მდინარე, რომელიც სოფელი კურსებში მოედინება დუმილით.

აღსანიშნი ობიექტის მეტეომახასიათებლის მიხედვით: „ბზიაური“, „სამზიანი“, „სამზეო“, „ჩერუა“, „ღრუბლისი“, „ნათოვარი“;

აღსანიშნი ადგილის და აპელატივის მიმართებით: „დაფნებიანი“, „ნაბლარი“, „ცაცხვები“, „თივაქასრა“, „ცოცხნარი“, „გუმბრალი“ (ძუყნურიდან სიმონეთში გადასასვლელია); ვახუშტისეული „ველევი“ შეიძლება იყოს დღევანდელი „ველიეთი“ სოჩხეთის მთის ძირში ან „ველიბოლო“ ძიროვანის ტერიტორიაზე [5]. „ტყიბულიდან, რო დაინყება, ბოლომდე ველია, სხვაგან ყველგან კლდეებია“.

⁴ ბელელს ოკრიბაში სხვა დანიშნულებაც ჰქონდა. ფართოდ იყო გავრცელებული ბელლის ოთახი, მას ხულასაც ეძახდნენ. ბელლის ოთახში იდგა ხის პატარა სუფრა, ხის სკამები, ხის გრძელი ტახტი, სკამლოგინი. ამ ბელლის ოთახს ოკრიბაში ძირითადად ზაფხულში, გვიან გააზაფხულზე და ადრეულ შემოდგომაზე ახალდაქორწინებულთათვის და, სტუმრისთვისაც იყენებდნენ.

შეიძლება დავასახელოთ დღეს წყალნითელას და რიონის ხეობათა შორის, ქუთაისიდან ჩრდილოეთით გავრცელებულ სასაზღვრო ტოპონიმები: „ნოლითავი“, „სილახობია“, „სატოფავი“, „ნიფლარი“, „ბჟოლარი“. „ჭყეპი“ – სოფელი ოკრიბაში. მეგრულში „ჭყონჭყო“, „ჭოჭყონა“, „ჭყეჭყონა“ – სველი, ჭაობიანი, წყლიანი ადგილების სახელება [5]; სოფელ ძმუისის ტოპონიმი „იფხალი“ (იგი რაჭიდან მიგრირებულ ერაძეებს დაურქმევიათ – ხაზი ჩვენია) უნდა იყოს შექმნილი გვიმრიანი ადგილის სახელად. მთიან რაჭაში მთის ჩადუნას მნიშვნელობით გამოიყენება – „იფხლა“. კახურ დიალექტებში „ჩადუნა“ გვიმრაა [5]; იმერულ, ჯავახურ, მესხურ, აჭარულ დიალექტებში ქვაბის, კლდეში არსებული გამოქვაბულის მნიშვნელობით გამოიყენება მალარა [5]. „მალარა“ სოფელ ცუცხვათში კლდეში ნაკვეთი ქალაქის სახელია; სვანური ენით იხსნება ტოპონიმი „კოდორაულიც“ (საძოვარია). სვანურად „კოდორე“ ტყიან, მაგარ, უნაყოფო ადგილს აღნიშნავს [5].

“მშობლიურ გარემოს შეზრდილი“ ოკრიბლები შესანიშნავად ფლობდნენ ხალხურ-ეკოლოგიურ წესებს. საქართველოს ამ თემში ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოპირობების, კლიმატის შესაბამისად იყო განვითარებული სამინათმოქმედო ყოფა და კულტურა, საწარმოო-მატერიალური სახე, შრომის ორგანიზაციის მეთოდები და ფორმები, სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა დარგები და საწარმო იარაღები, შრომა-საქმიანობის პროცესები.

ლიტერატურა:

- ვახუშტი ბაგრატიონი – აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941
- ს. კაკაბაძე – ქართული მეტროლოგია
- დ. მუსხელიშვილი – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 1980
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VIII, 1984
- დ. შავიანიძე, ოკრიბა, 2005
- პ. ცხადაია – მეგრული ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია და მისი როლი სამეგრელოს ჰიდრონიმთა წარმოქმნაში, „ტოპონიმიკური კრებული“, 1973
- აღ. ჭინჭარაული – ხევსურულის თავისებურებანი, 1960
- გ. ჯალაბაძე – მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში, 1990

Davit Shavianidze

FOLK - ENVIRONMENTAL EXPERIENCE OF OKRIBIANS

(According to the ethnographic material)

The materials showing the relationship between the nature and the residents of the historic - ethnographic units of Georgia confirm well their cultural and historical experiences what is the influence of geographical environment, the natural conditions on the material, spiritual and cultural development of this or that historic - ethnographic units of local residents, on their cultural - economic peculiarities. The research of the materials collected in Okriba community, Imereti region, allows to make a very interesting conclusion in this regard.

It's well – known that the Long-term life in the same environment influences on character, customs, mentality and on the lifestyle of people. Okribians couldn't make the exception, they have the same

characteristic as the rest Georgians from Imereti. residents.. Ethnographic materials show well the qualities of the residents of Imereti Okriba province, they are tolerant, they have flattering nature, they are always ready to work.

The ethnographic materials collected by us show well how was the agricultural way of life of Okriba , its characteristic, methods and forms of organization, residents' life-style to promote the development of the region.

In Okriba , which is the region with centuries-old history the various fields of life and enterprise tools, work process ets were developed according to the natural - geographic environmental and economic climate. Okriba inhabitants were farmers and pursued agriculture, In addition to this they used to keep Livestock, Farming , poultry, they used to grow fruits, tea, they kept sericulture (this one was created artificially in a planned economy and the industry didn't work). The geographical location, climatic conditions, land fertility contributed to it.

“ Wine is a cult in Okriba, price of their personality, one of the most important thing of the Okribians' life and their family jewelry: “The varieties of grapes, which are being grown mostly in Okriba are: Tsolikauri, Tsitska and Saperavi, also red and black Isabella (adesa), jvarisula, Aladasturi, kachichi. we grow them where we have the opportunity to do it but the vineyard location should be inclined south - west that the wind could not blow and the snow should be away from it “.

The special investigation in this regard and our ethnographic materials confirm the facts of obtaining the metal and the agate in Okriba from ancient times.

Ethnographic materials collected about these fields indicate a great agrotechnical knowledge which is based on practice and experience obtained for the centuries not only by Okribians but by all Georgians in general.

In connection with this or that brunch of agriculture traditional means of transport created by Okribians correspond to the local landscape and weather conditions . Geographical environment of Okriba has led practical necessity and the resistance and activity of elements of life and culture also nowadays.

The same can be said for residential, or agricultural buildings - structures. The okribian “chochiala” is one of the loadcarring mean of transport adapted to conditions, In Okribian in mountainous areas we can foind ~ markhili, tavkavi ~ tsigna as well.

It is known that in Georgia various types of yoke are used it follows from the natural - economic conditions of the country. Okribian yoke corresponds to the mountainous terrain of the plains. The second kind of yoke is used in mountainous villages of Okriba. As for the wood work, they use shorter ioke.

An element of Okribians' life is satsekhveli, created in basis of folk - ecological and cultural - historical experience. “ stoned satsekhveli was distributed mainly in Okriba , tere were also mechanical satsekhveli wich used to came in the movement by the water torrent . toponyms Include much information about folk - ecological experience with the past, modern, ethnohistorical, agricultural, material and cultural issues. There are some groups in Okribian toponyms created according to geographical environment : Motivated by the relief; according to spatial relation of the location , according to the place of structure...

Okribuan ethnographic materials let us judge about fertility or the soil, the harvest, cultivating og the earth with organic materials, about phases of the moon, respect of enviroenment, Productivity of the soil ,about wine as a national culture and character of the symbolic function and so on...

ქართული ზაუტაშვილი

ოდა სახლის ინტერიერი

შესაძლოა უპირველესი მნიშვნელობის ანთროპოლოგიური მონაპოვარი საცხოვრისია, ადამიანის მიერ ქმნილი, ვახტანგ კოტეტიშვილის თანახმად, “სულიერი ქვეყნის” ყველაზე კონცენტრული ალაგი, ნავთსაყუდელი და არსებობისასათვის ფასეულობის ერთ-ერთი მიმნიჭებელიც კი. მასში ხორციელდება “სივრცე-დრო” ფუნდამენტური კატეგორიების ორგანიზება, შესაბამისად იქმნება ადამიანის შინაგანი, შემოქმედებითი კონსტიტუციის გამომხატველი გარემო. ხაზგასასმელია, რომ ტრადიციული საცხოვრებელი მარტოსულად, ეულად არც გაგრძნობინებდა თავს. ამიტომაც იყო, რომ ძველად ქართულ დარბაზს “ერთობის სახლი” რქმევია, ეს ცნება კი უაღრესად მრავლისმომცველია — დ. ცხადადემ დაასაბუთა, რომ აქ იგულისხმება ერთობა სასიკეთო კოსმოსთან, ოჯახის კერის ირგვლივ ერთობა და სხვა. ამ კონტექსტში არც თაობათა ერთობაა დასავინწყებელი.

თუკი დარბაზის არქიტექტურაში სამყაროს ღერძისეული პრინციპია წამყვანი, სხვა ვითარებაა ე. წ. კოლხურ ოდა სახლში, რომელიც ახალ დროში (ძირითადად XIX საუკუნეში) ჩამოყალიბებულად არის აღიარებული, მაგრამ მიუხედავად დარბაზთან თვალსაჩინო სხვაობისა მასში არაერთი მაკავშირებელი თვისებაც მქონდავდება, მაშინ როცა დარბაზის სივრცეში მკაფიოდ ჩანს ვერტიკალური ორიენტაცია, ოდა სახლში მნიშვნელოვანია პირობითად ჰორიზონტალური, ოდა სახლის ინტერიერს, “შინას” იმ ხარისხის საკრალიზაცია აღარ გამოარჩევს, როგორც დარბაზისას, თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ ამ თვისობრიობას ჯერაც არაა მოკლებული. ამის უცილობელი დასტურია, სიცოცხლის ხის მოტივით შემკული, კერის ჩამნაცვლებელი ბუხარი, ასევე ჭერის სამშვენისი “ხონჩა”, რომელიც თუკი მაინცა და მაინც პირდაპირ არ უკავშირდება დარბაზის გვირგვინს, მასთან რეალურ ასოციაციას მაინც აღძრავს, თუნდაც აზრობრივად, როგორც ერთგვარი ხანდახან გასხივოსნებული ცენტრი. სახელდობრ ორნამენტი ოდა სახლში ინტერიერსაც ამკობს, მაგრამ კონცენტრირებულია უფრო გარე მორთულობის სახით, მთლიანობაში ოდა სახლი უფრო მეტად ექსტერიერულია, მისი როგორც ულამაზესი ჩუქურთმით მორთული აივნის სვეტები, ისე აივნისავე ჭვირული დეკორი, სწორედ შენობის იერს გამოკვეთს. ოდა სახლი თავისი ფართო აივნითა და მოზრდილი სარკმელებით გარეთაც “იმზირება” და თითქოს ირგვლივმდებარე გარემოსაც უფრო მეტად “უშვებს” საკუთარ თავში.

ოდა სახლი ერთი მხრივ იმზირება წარსულისაკენ, ტრადიციისაკენ — მისი აღნაგობაც, კონსტრუქციებიც და სხვ. მჭიდროდ უკავშირდება, მაგ, უძველეს სამეურნეო ნაგებობათა, თუ დასავლეთ საქართველოს კარ — მიდამოებში ხშირად ოდა სახლთან თანამყოფ “ინტერიერულ”, არქაულ საცხოვრებლებს, რომელთაც მძლავრი კვალი დაატყვეს ოდა სახლის არტიკულაციას. მეორე მხრივ, იგივე ნაგებობა მზერას მიაპყრობს მომავალს, ვინაიდან ამ ტიპის “ემანსიპირებული” კულტურის გამომხატულებაა, რომლისთვისაც ტაძრის მნიშვნელობას უკვე პალაცოს მიმზიდავობა გადასწონის.

ოდა სახლზე დაკვირვებისას სრულებით ცხადი ხდება, რომ მის დეკორში არსებობს არაპირდაპირი, მაგრამ ძალიან საგულისხმო მსგავსება ტაძართა დეკორის პრინციპებთან. უპირველესად სწორედ ტაძართა თვალსაჩინო სადღესასწაულობაში დეკორისა, თავს იჩენს მისი “შიდა სინმიდის” გაზიარება ფასადზე და ხშირად ჩუქურთმის ზომიერი, მაგრამ ემოციურად შეფერილი რიტორიკა. ოდა სახლებში უცილობელია მონათესავეობა როგორც სატაძრო ორნამენტულ სისტემებთან, ისე ადრექრისტიანულ სტელებთანაც. იგივე ითქმის საკუთრივ ოდა სახლის საქვითხურო ნაწილზეც, ესაა ბუხრისთავის მორთულობა, რამდენადმე საყრდენი ბოკონები, პალატის ლაზათიანად გამოყვანილი კვადრები და სხვა. ჩვენ ვხედავთ, რომ ოდა სახლი ჯერაც იმ ზემოთ მოხსენიებული “სულიერი ქვეყნის” ნაწილია,

რაც ტაძარი. მართალია, მასშივე საერო კულტურაზე დაფუძვნიების ტენდენცია თვალსაჩინოდ ძლიერდება, მაგრამ საბოლოო ჯამში სულაც არაა დასავიწყებელი, რომ იგი დიდწილად სწორედ, ეკლესიურ ქრისტიანთა აშენებული საცხოვრებელია. ოდა სახლის იერზე დაკვირვებისას ჩვენ მის არტიკულაციასა და შემკულობაში ვიხსენებთ კუმურდოს, ბაგრატის ტაძრისა და სამთავისის უცხადეს აღნაგობასაც და მათგან ამომდინარე ორნამენტის ნაგებობის “სხეულთან უზადოდ მისადაგებულ ჟღერადობასაც”.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები თავისი ტიპური თავისებურებებით კარგად პასუხობდა ადამიანის ყველა მოთხოვნას. კარმიდამო წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან. ესენია: ეზო, ბოსტანი, ბაღი, ან ბაღჩა, ვენახი ყანა, ბელელი, სასიმინდე, მარანი, საღორე, საქათმე და რა თქმა უნდა ოდა სახლი.

კარმიდამოს ერთერთ ძირითად ელემენტს ეზო წარმოადგენს, რომელიც დანიშნულების მიხედვით შეიძლება რამდენიმე ნაწილად დაიყოს. ოდა სახლის კარ-აივანი მთავარი შემოსასვლელისკენაა მიმართული. ძირს ხასხასა მწვანე მოლია, დგას როგორც ნაყოფის მომცემი ხეები, ასევე საჩრდილობელი, ეზოს გვერდით ეკვრის ტალავერი, აქვე ტალავერის წინ იწყება ფერდობი. მის დასაწყისში გაკეთებულია ყავრით გადახურული ფარდული სადაც მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული იარაღ-ინვენტარი ინახება. მის წინ კი ღია ჭურისთავია მოწყობილი, რომელსაც კომპისა და წყავის ტოტები ჩრდილავს;

ბუნებრივია კარმიდამოს კომპლექსში მთავარი ოდა სახლია.

ოდა სახლის ტიპი გავრცელებულია მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთსა და დასავლეთ საქართველოში. ჩვენ განვიხილავთ დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელ განსხვავებულ ტიპს, რომელიც წარმოადგენს კვადრატული გეგმით აგებულ, 3-ნ ოთახიან, ფიცრულ სახლს, რომელსაც ხის აივანი და ჭერ-იატაკი აქვს. ოდას ჰქონდა ოთხფერდიანი სახურავი. გადასახურავად კი იყენებდნენ ყავარს და კრამიტს, იდგა ხის, ან ქვის ბოძებზე. არსებობს ქვითკირის სართულზე, ანუ პალატებზე გამართული ოდა, ე. წ. პალატებიანი ოდა. საცხოვრებლის ეს ტიპი გავრცელდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და შეცვალა შუაეკლესიური, მინურიატაკიანი საჯალაბო სახლი (“მუშა სახლი”, “დარბაზი”, “კათხა სახლი”, “სამზადისი”), რომელიც ახალ კომპლექსში სამზარეულო, საკუჭნაოდ გადაიქცა. ოდა სახლს საბოლოოდ ჩამოშორდა ბოსელი. ოდესლაც ერთიანი საცხოვრებელი ფართობი მოძრავი ტიხარების საშუალებით ცალკე ოთახებად დანაწევრდა; ხუროთმოძღვრულ — მხატვრულ გადაწყვეტაში უმთავრესი მნიშვნელობა შეიძინა აივანმა, რომლის განვითარებაში 3 საფეხური შეიმჩნევა: ადრეული ტიპისთვის დამახასიათებელია კვადრატული კვეთის უხვად მოჩუქურთმებული სვეტები კუთხეებში გამოყვანილი ნაშევრებით და გარსშემოყოლებული მერხებით, მომდევნო ხანებში გაჩნდა მრგვალი ჩარხზე დამუშავებული სვეტები, თაღოვანი კარ — ფანჯრები, გაქრა მერხები და ამაღლდა რიკულებიანი მოაჯირი. განვითარების ბოლო საფეხურზე ბოძები შემსუბუქდა და 4 (8) კუთხოვანი ფორმა დაუბრუნდა.

უმარტივესადაა მიჩნეული ხის, ან ქვის დაბალ ბოძებზე (ბოკონი) დადგმული ერთოთახიანი უაივნო ოდა — სახლი, შემდეგ ბოძების სიმაღლე იზრდება, ოთახების რაოდენობა მატულობს და ჩნდება აივნები, რიგ შემთხვევაში დერეფანიც. ამ მახასიათებლის მიხედვით ნაგებობა შეიძლება ყოფილიყო შუა დერეფნით, ერთ აივანიანი, ორ აივანიანი, სამხრეთაივანიანი და ირგვლივაივანიანი. ამ ვარიანტებში იატაკქვეშა (იატაკი ხის ფიცრითაა მოწყობილი) ღია სივრცე ინტენსიურად ნიავება.

ოდა სახლის ჭერი, ისევე როგორც იატაკი, კარგად გარანდული ფიცრითაა მოწყობილი. კერა საცხოვრებლის ამ ტიპში ორნამენტირებული ბუხრითაა ჩანაცვლებული.

სახლის ადგილის შერჩევისას ერთერთ განმსაზღვრელს წარმოადგენს ეზოს სავარაუდო ნაწილები. სახლი ისე უნდა დამდგარიყო, რომ მის ირგვლივ დარჩენილიყო ადგილი უკანა ე. წ. “შავი ეზოსთვის”,

სადაც განლაგებულია საქონლისა და ფრინველის სადგომები. სახლი მუდამ წინა და უკანა ეზოს შორის იყო მოქცეული.

გლეხი სახლის აგებას, რომ გადაწყვეტდა მას გონებაში გააზრებული ჰქონდა და წინასწარ ვარაუდობდა ეზოს ნაწილების განლაგებას. სახლის ადგილის დაგეგმვისას ანგარიში ეწეოდა რელიეფს, თუ საჭირო იყო ხელოვნურად მოასწორ-მოავაკებდნენ. სახლი ყველაზე თვალსაჩინო ადგილას უნდა მდგარიყო, ფასადი ყოველთვის მოქცეული იყო კონდრით დამშვენებული სუფთა ეზოსკენ.

რაც შეეხება სახლის შიგა მოწყობას, ინტერიერის ორგანიზაციის პრინციპების განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, ერთი მხრივ საცხოვრებლის შიგა სივრცის ფუნქციონალურ ზონირებაზე, მეორე მხრივ სივრცის ორგანიზაციის კომპოზიციურ გადაწყვეტაზე.

ფუნქციონალური ზონების გამოყოფით და ფიქსირებით უფრო თვალნათლივ წარმოგვიდგება ადამიანის სამეურნეო, თუ საოჯახო საქმიანობა- ფაქტიურად მთელი კომპლექსი ადამიანის მოღვაწეობისა დაკავშირებულია საცხოვრებელთან.

შეუძლებელია განვიხილოთ ინტერიერი, მისი შინაგანი ორგანიზაციული სტრუქტურა იმ ტექნიკური კონსტრუქციული სისტემის გარეშე, რომელიც დაედო საფუძვლად მთელი ნაგებობის კომპოზიციურ გადაწყვეტას.

ასევე გასათვალისწინებელია ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ინტერიერში. აკად. გ. ჩიტაია მიგვითითებს, რომ “ცნება დასახლება ვარაუდობს ადამიანის საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობას”. თვით საცხოვრებლის ინტერიერშიც კავშირი ოჯახური ყოფისა და შრომის პროცესისა თვალნათლივაა წარმოდგენილი.

საცხოვრებლის ინტერიერი იყოფა გარკვეულ ფუნქციონალურ ზონებად. ძილის, საჭმლის დამზადებისა და მიღების, დასვენების, საოჯახო საქმიანობის, სტუმრების მიღების, რწმენა —წარმოდგენებთან დაკავშირებული ადგილებისა და სხვა. ყოველივე ამას ეთნოგრაფიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი სახლების ტიპების დასადგენად მრავალრიცხოვანი მასალა არსებობს, არსებული ფორმების უძველეს ტიპებთან დამაკავშირებელი ხაზი არ არის ნათელი, თავდაპირველი ტიპის თანმიმდევრული ევოლუცია არ არის გამორკვეული.

ოდის პირველი ოთახი სასტუმროა: ცენტრში დგას მრგვალი გასაშლელი მაგიდა, ხელით დამზადებული ხის სკამები. სასტუმროშივეა ცაცხვის ტახტი. ოდის მეორე ოთახი- საძინებელი. სანოლი ცაცხვის ხისგან არის გაკეთებული, სანოლის თავზე ამოკვეთილი აქვს მცენარეული ორნამენტები დაჩარხული რიკულებით. კამოდი- ოთხ ფეხზე გამოჩარხული ფიჭვის ხისგან არის გაკეთებული. მესამე ოთახი ხანდაზმული ადამიანისათვის. მრგვალი პატარა მაგიდა, ორი ხის სკამი. სკივრი ნაბლის ხისაგან დამზადებული, მასში ინახებოდა სანვრილმანო ნივთები. სამივე ოთახშია ბუხარი და ლამპა. ყველა ოჯახში მოიპოვებოდა საკრავები, ასევე ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა ნადირობას და აქედან გამომდინარე ბევრი გლეხის ოდაში არსებობდა კედელზე დაკიდებული ირმის რქები და სხვადასხვა სახის იარაღი — თოფი, ხმალი, ხანჯალი, დამბაჩა.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ძირითადად ხე (მუხა, ნაბლი, თელა, წიფელი და სხვა).

ხის სახლების მშენებლობის ისტორია რამდენიმე ათასწლეულს მოითვლის. საქართველოში უძველესი დროიდან ხისგან აშენებდნენ არა მხოლოდ სახლებს და დამხმარე ნაგებობებს(ოდა სახლი, ნალია, ჯარგვალი, ე. წ. “კუხნა სახლი”), არამედ ეკლესიებს, სამეფო დარბაზებს, ციხე-სიმაგრეებს.

რატომ ხე? გარდა იმისა რომ ეს მასალა ხელმისაწვდომი იყო გლეხისათვის, ალბათ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეკოლოგიურად უფრო სუფთა, ნატურალური და

კომფორტული მასალა საცხოვრებლისათვის არ მოიძებნება, ხის სახლში ჰაერის სინოტივე მაქსიმალურად მიახლოებულია იდეალურთან, ამასთან მერქანს გააჩნია გარემოს ცვლილებებთან ადაპტირების უნარი, ამიტომ თბოიზოლაციაც გაცილებით უკეთესია სხვა სამშენებლო მასალასთან შედარებით. ხის ნაგებობის კედლები “სუნთქავენ”, ხის ბოჭკოვანი სტრუქტურა ხელს უწყობს “ახალი” ჰაერის შესვლას და დღე-ღამის განმავლობაში მინიმუმ 30%- ით განაახლებს ჟანგბადს შენობაში.

ამგვარად, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული საცხოვრებელი კომპლექსები სავსებით პასუხობდა დიდი ოჯახის მოთხოვნილებებს, მათი ფართის ყოველი ნაწილი მაქსიმალურად იყო ათვისებული, როგორც რ. ხარაძე აღნიშნავს თვითონ სახელწოდება “საჯალაბო სახლი”, რომლის შუაშიც მოწყობილი იყო კერა, დიდი ოჯახის აღმნიშვნელია, შემდგომში საცხოვრებელი ნაგებობის ეს ტიპი ოდა სახლმა ჩაანაცვლა, რის შემდეგაც საჯალაბო სახლი მხოლოდ სამზარეულოს ფუნქციას ასრულებდა, ხოლო კერის ადგილი თავისი სემანტიკურ-რიტუალური დატვირთვით კი ნაწილობრივ ბუხარმა დაიკავა.

ოდა — სახლის ფართოდ გავრცელება წარმოადგენდა სავსებით ბუნებრივ პროცესს რეფორმის შემდგომ ხანაში, მთლიანად დასავლეთ საქართველოსთვის. იგი თანდათანობით იქცეოდა საყოველთაო საცხოვრებლად სხვადასხვა სოციალური ფენისათვის, ნიმუშად ერთგვარი “დემოკრატიული სინთეზისა”, ვინაიდან მასში თავს იყრდა როგორც წმინდა ხალხურ ნაგებობათა, ისე ფეოდალთა სასახლეების გამოცდილება და თავის მხრივ, ქალაქური კულტურის ელემენტები. შესაძლოა იმის მტკიცებაც, რომ ოდა — სახლი წარმოადგენს არათუ მხოლოდ წმინდა ხალხური, არამედ უფრო მეტად ზოგადეროვნული ხუროთმოძღვრების ნიმუშს.

ლიტერატურა :

1. სუმბაძე ლ., ცინცაძე ვ., იმერეთის საბინაო ხუროთმოძღვრება, “ქართული ხელოვნება”, 1948, ტ. 2;
2. სუმბაძე ლ., სამცხე-თიანეთის თავარებიანი ოდა, “მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია”, 1076, №4
3. ჩიტაია გ., გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში, “მომომხილველი”, 1926, ტ. 1;
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, გვ. 498, თბ., 1984წელი.

Ketino Zautashvili

OLD DWELLING'S INTERIOR (“ODA” HOUSE'S INTERIOR)

According to Vakhushti Kotetishvili maybe the most important anthropological artifact is “oda” (human dwelling created by a man). The place of spiritual world the most concentric space, harbor and even the estimator of valuables and being where the fundamental category of space-time and the inner of the man, environment which express his creative constitution exists. IT is pointed out that traditional dwelling never make you feel alone, solitude or isolated that's why in early times Georgian homes were called/identified as “house of unity”, this term is all embracing -D Tskhadadze proved, that meant unity with the universe, union around the family fire and so on and we don't have to forget about the generation union/oneness.

The interior of “oda” house, its inner doesn’t distinguish the level of sacralization as the hall , however we can’t deny this property up to nowadays is proved by the existence of a fireplace which is the symbol of life tree and the decoration of the ceiling “Khoncha “might mean the crown as kind of beams(sun rays).Though partly ornament???? ‘oda’ decorates inner part of the house but more concentrated it is as the decoration of the exterior part of the house as the whole ‘oda’ house is more of exterior site with its richly decorated balcony pillars with carvings everything that makes it so distinguish . “Oda” house with its wide balconies and windows outlooks above(gazing at) the area and inviting the environment in.

‘Oda’ houses are common in Meskhet Javakheti, Trialeti and Western Georgia. We speak about the type which is particularly common in Western Georgia. Western Georgian ‘oda house ‘represents 3-6 rooms, wooden(timber) square designed house with wooden balcony, ceiling ,and floor. it is covered with four-side(sloped) roof that was covered with tilts or laths which stood on wooden or stone poles . There are also houses with ground floor built with stones and lime , so called ‘Palacian oda’. This type of house began to spread in the second half of the XIX c and changed the ‘working’ house with middle fire and ground floor which in turns in a new complex house served as the kitchen and the store room (closet). A stable was finally separated from the house. In early times one living space was divided into rooms by using partitions . The ceiling and the floor in the house was made of perfectly hewn timber, and the middle fire was replaced by the decorated fireplace.

When considering the organization of the interior we must pay attention to the functional division of the house on the one hand and on the solution of compositional organization of the space.

By separating and fixating all functional zones we can show the way of farming and housing of people of old days. All complex activities were closely connected with the house where people lived.

We can’t review interior without its inner organizational structure and without its technically designed system that was basic to all compositional solution of all structure.

Living interior was divided in some functional zones. Sleeping, cooking and dining, resting, housworking, praying, and guest(drawing) room. Everything is especially valuable for ethnography.

However,(in spite of the fact that)there are lots of samples materials , the connecting line with the oldest samples isn’t clearly observed, we can’t show the evolution of the house from the very beginning stage up to now fully.

The first room in ‘Oda house’ is guest room: there is a round folding table in the centre, handmade wooden chairs, and a lime trestle bed(couch). The second room is the sleeping room, the bed is also made of lime tree, headboard with plant (ornament) carvings and carved poles, chest of drawers on the four legs is made of pine tree. The third room is for elderly people, a small, round table, two wooden chairs, a trunk made of chestnut tree, the owners kept personal items there. There are fireplaces and lamps in the above mentioned rooms. There were traditional musical instruments in all families as well as hunting trophies like deer horns fixed on the wall and weapons like rifle, sword, dagger , and pistol .

So, widely spread complex type of houses in Western Georgia meet the requirements of a big family. All the parts of the houses were in use, as R .Kharadze admits that the name ‘ Family house’ where middle fire was arranged in the middle of the house meant a big family, later this type of contracture was replaced by ‘Oda house’ where “ Family house” served as a kitchen and the middle fire was partly replaced by a fireplace.

Wide spreading of ‘Oda house” type represented natural process in the former period of reform

for the whole Western Georgia. Gradually it became a common type of a house for different families having different social status like some kind of 'Democratic synthesis' because it combined folk traditional building design with experience of feudal palaces and elements of urban structure at the same time. We can assure that 'Oda house' represents not only simply folk traditional architecture but more nationwide experience in architecture.

BIBLIOGRAPFY:

1. Sumbadze L., Tsintsadze V., Imeretian housing architecture, "Georgian art" 1948, 12
2. Sumbadze L., "Oda" houses in Samcxe-Tianeti", "Macne. "History series archeology, etnografy end art" 1076, 1 4
3. Chitaia G., "Farmer's house in the valley Qvabliani", "Mimomxilveli" 1926, T .1
4. Georgien Soviet Enciklopedia , T. 7, Tb.,1984.



მარბალიტა მსხილაძე

გამგის, შალის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილების დამზადების ტრადიცია იმერეთში

ქართველი ხალხის ნივთიერი კულტურის კვლევის მნიშვნელოვან პრობლემათა შორის აკად. ივ. ჯავახიშვილი საფეიქრო საქმის ისტორიის შესწავლასაც სახავდა მიზნად.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება ძაფი, რომლიდანაც იქსოვებოდა ამა თუ იმ სახის ლარი, რომელიც „მკედად“ იწოდებოდა. მკედის შესახებ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამია „ხმალი რკინისა მოჰკრიან, ვით ბამბის მკედსა სჭრიდიან“. ხოლო სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს: „მკედი მომსხო ძაფია“. თვით ძაფი მისივე მოწმობით არის „წვრილად დართული აბრეშუმის ყაჭი, სელი და მისთანა, ხოლო მკედი მისთანავე ხოროშად დართული“. ძაფისა თუ მკედის დამზადებას საქსოვად ძველქართულად „სთვა“ ეწოდება“.

საქართველოში უძველესი დროიდან ფართოდ იყო გავრცელებული მეცხვარეობა, მეაბრეშუმეობა, სელის კულტურა. ეს დასტურდება სხვადასხვა პერიოდში მოპოვებული არქეოლოგიური მასალებით, როგორცაა ქვის, თიხის თუ ძვლის კვირისტავები, ქსოვილების ნაშთები, კოლხური სელი და სხვა.

მკვლევართა აზრით მე—19 საუკუნის ბოლომდე ოჯახური მრეწველობა ჯერ კიდევ ძლიერ იყო ფეხმოკიდებული. ყოველი ოჯახი შინამრეწველური წესით ამზადებდა არსებობისათვის საჭირო პროდუქტებს, ამუშავებდა მინას, ეწეოდა მეღვინეობას. ოჯახის წევრები კერავდნენ, ქსოვდნენ საკუთარი ან ნაყიდი მატყლის, ბამბის, აბრეშუმისა და სელის ტანსაცმელს.

ისტორიულად ცნობილია, რომ საოჯახო წესით დამზადებულ ქსოვილებზე არსებული მოთხოვნილება მარტო ქვეყნის შიგნით არსებული საჭიროებით არ ყოფილა გამოწვეული, რომ არაფერი ვთქვათ სახელგანთქმულ კოლხურ სელის ქსოვილზე, საქართველოს ექსპორტში ბამბისა და აბრეშუმის ძაფისაგან ნამზადი ქსოვილებიც ერია, მე-13 ს. გეოგრაფი [ზაქ. ყაზვინი] პირდაპირ მიუთითებდა ამის შესახებ.

აღნიშნული წესით დამზადებული ქსოვილების მნიშვნელობა განსაკუთრებით ინტენსიური ხდებოდა ძნელბედობისა და ომიანობის დროს, როცა საქართველოში შემოტანილი ქსოვილების მოწოდება მცირდებოდა. ასეთი პერიოდები კი, როგორც ვიცით, არცთუ იშვიათი იყო. ყოველი ასეთი შეფერხება ბიძგს აძლევდა ტრადიციულ ფეიქრობას, რომელმაც დღემდე მოიტანა თავი და ახალი ძნელბედობის ჟამს (მე-2 მსოფლიო ომი) ისევ ჩადგა ხალხის სამსახურში.

მე-11—მე-13სს მასალების მიხედვით ცნობილია, რომ საქართველოს გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან. საქართველოდან გაჰქონდათ ბამბა, შალი, აბრეშუმის ტანსაცმელი, კერამიკული ნაწარმი და სხვ. თუმცა ზოგჯერ ბამბა ჩვენში სხვა ქვეყნებიდანაც შემოჰქონდათ [ც. ბეზარაშვილი, 1976].

ჩვენამდე მოღწეული ქართული ხალხური ფეიქრობისა და ქარგულობის ნიმუშები მარტო იმის დამადასტურებელი როდია, რომ საქართველოში და კერძოდ იმერეთში შინამრეწველობის აღნიშნული დარგები ბოლო დრომდე ფართოდ ყოფილა გავრცელებული, არამედ საინტერესოა თავისი მრავალფეროვნებით, შესრულების მაღალი დონით, ღირებულებით და დახვეწილი მხატვრული გემოვნებით.

ქსოვდნენ შალის, აბრეშუმის, ბამბის, სელისა და კანაფის ქსოვილებს, აგრეთვე სხვადასხვა ჭილოფებს. განსაკუთრებით მრავალეროვანი იყო შალის ქსოვილის ტანსაცმელი და მისი ცალკეული ნაწილები, როგორცაა: ყაბალახი, პაიჭები, ზონრები, წინდები, ხელთათმანები და სხვ. იქსოვებოდა

აგრეთვე: ხალიჩები, ფარდაგები, ხურჯინები, მაფრაშები, ჩანთები, აბგები და ა. შ.

ბამბისაგან იქსოვებოდა თეთრეულისათვის ე.წ. „ხამი“ (ლაინი) ქსოვილი. აბრეშუმისგან ამზადებდნენ შესანიშნავ მანდილებს, კისტებს, არშიებს, ზონრებს. სელისაგან კი ტილოს ქსოვილებს, როგორც ტანსაცმლისათვის, ისე თეთრეულისათვის.

ქსოვილის დამზადებას, ბუნებრივია წინ უსწრებდა საქსოვი მასალის წინასწარი დახარისხება, დართვა-დაძახვა.

აღსანიშნავია, რომ ფეიქრობასთან უშუალოდ არის დაკავშირებული საქსოვი ძაფების შეღებვა. საქსოვი მასალის სხვადასხვა ფერად შეღებვა მოითხოვდა ამ საქმის კარგ ცოდნას და გამოცდილებას. უპირატესად ოსტატ-ხელოსნები თვით ამზადებდნენ მცენარეებისაგან ბუნებრივ საღებავებს და თვითონვე ლეზავდნენ, როგორც ძაფებს, ასევე მზა ქსოვილებს, გარკვეული რეცეპტის მიხედვით.

ფერადი ქსოვილების ღირსება-ნაკლი იმაზეც იყო დამოკიდებული, როგორ იყო შეღებილი საქსოვად განკუთვნილი ძაფები, როგორი ელფერის, რამდენად კეთილფერადოვანი იყო ასეთი ძაფებით ნაქსოვი ესა თუ ის ქსოვილი. შეიძლება ითქვას, რომ ფერთა ჰარმონიული შეხამების მიხედვით ქართული ხალხური ქსოვილები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, და ხალხური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს.

ხალიჩა—ფარდაგებს საქართველოს ყველა კუთხეში ამზადებდნენ, მაგრამ ყველა რაიონმა როდი შემოგვინახა ქსოვის მდიდარი ტრადიციები. ხალიჩა-ფარდაგი თავისი დანიშნულებით ასახავს ხალხის ყოფას, მის თანადროულობას. ხალიჩა-ფარდაგი ხასიათდება ტრადიციული გეომეტრიული, მცენარეული, ფრინველთა და ცხოველთა ორნამენტის სიუხვით. გვხვდება აგრეთვე, ხალიჩა-ფარდაგები ისტორიული პირების, ზღაპრული გმირების, ლეგენდებისა და მითების პერსონაჟებისა და სცენების გამოსახულებით.

მუზეუმში დაცული ფარდაგების მიხედვით საინტერესოა ქსოვილის შესამკობლად გამოყენებული როგორც გეომეტრიული ასევე მცენარეული ორნამენტი. ცნობილია, რომ გეომეტრიული ორნამენტი, რომელიც თავისი ფესვებით ღრმად იჭრება შორეულ წარსულში, ქსოვილის შესამკობლად ადრე შევიდა ხმარებაში.

ძველი ქართული ფარდაგები დღესაც ფერთა ისეთივე გაუხუნარი ჟღერადობით გამოირჩევა, როგორც ასი წლის წინათ. მათი დამახასიათებელი ფერებია: წითელი, ყავისფერი, შინდისფერი, ბალახისფერი მწვანე, შავი, თეთრი, ლურჯი (ყვითელი და ცისფერი ნაკლებად არის გამოყენებული). ფერთა ოსტატურად და გემოვნებით შეხამება, ფერადოვანი გამის ლაკონურობა, ორნამენტის სიუხვე და ქსოვის ტექნიკის დამკვიდრებული ტრადიციულობა ფარდაგებს არაჩვეულებრივ მიმზიდველობას ანიჭებს.

მე-19 საუკუნეში დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში ტანსაცმლისათვის გამოყენებული იყო ძირითადად საოჯახო წესით ნამზადი ქსოვილები, კერძოდ იმერული და მეგრული.

იმერეთში ბამბის ძაფით ნაქსოვ ქსოვილს „ხამს“ უწოდებდნენ. ზოგიერთის აზრით „ხამი“ თეთრად ნაქსოვი ქსოვილების აღმნიშვნელია. დასახელებული ტერმინების ასეთ გაგებაში იქნებ ბამბის ქსოვილის ზოგად სახელწოდებად მოხმარებულ ტერმინთაგან „ხამის“ სიძველეს მოჩანდეს, შინაარსით ხალხური ახსნა ძაფის დამუშავების პროცესს უკავშირდება, კერძოდ კი ბამბის ძაფის „დაფაფვის“ იმ წესს, რომლის შედეგადაც ძაფი გახამებული ხდებოდა [ც. ბეზარაშვილი, 1976].

გადმოცემით „კარგი საქსოვი იყო ხამი, აბრეშუმიც კარგია, მაგრამ უბარაქო, შალი უფრო ბარაქიანი არი, მაგრამ საძნელო“ შინ ნაქსოვი ქსოვილებიდან ხამის დამზადება ისეთი საქმე ყოფილა, რომლის შესრულება ყველა ქალს უნდა შეეძლებოდა. ძველად აბრეშუმის დამზადება რთული და საძნელო საქმე იყო, ამიტომ მისი „დაორმაგება“ ხდებოდა. მქსოველი დიდი სახელითა და პატივისცემით სარგებლობდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ შერეული ქსოვილების შესწავლა იძლევა ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას, გარდა ამისა ჩანს ხელოსნის ღრმა ცოდნა, რომელსაც თაობების გამოცდილება და დაკვირვება უდევს საფუძვლად. მაგ.: „ბამბა-შალი“ შალზე ნაკლები იყო, მაგრამ ჯობდა ხამს, ასევე ითქმის „ბამბა-აბრეშუმზეც“, რომლისგანაც სამოსის გარდა ლოგინის თეთრეულსა და პირსახოცებს ამზადებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ლეჩაქისათვის სამი სახის ძაფი იყო საჭირო. ცალწვერი, წმინდა ძაფი იხმარებოდა თავად ლეჩაქისათვის, არშისათვის ორი წვერი, ხოლო შესაკერ და ნაპირებში გადასავლებს ძაფს მქსოველი არშისთან ერთად გამოხარშავდა და შემდეგ ხდებოდა მოქარგვა და ნაპირების ხაზის გამოკვეთა.

საინტერესოა ბადურად ნაქსოვი სხვადასხვა მასალები: თავსაბურავები და თავსამკაულები, რომლებიც ძველი დროიდან ყოფილა გამოყენებული. სიტყვა ბადის განმარტებისას სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს „იქმან ქალნიცა ყოვლად უწმინდესთა თავსაბურავად ანუ ყელსა ზედა მოსახვევად ჭრელად ნემსულსა, რომელსაც მაქმანი ეწოდება“, ხოლო მაქმანის შესახებ წერს: „ბადე წვრილად და თხლად მოქსოვილი, ვითარცა მერდინი“.

ქსოვილების კოლექციებში დაცულია აბრეშუმის, შალისა და ბამბა-შალის წინდები (ლითონის ჩხირებით ნაქსოვი). სულხან-საბა ორბელიანი წინდის შესახებ წერს: წინდა მოქსოვილი, ფეხსაცმელი ხოლო“, „ფეხსამოსი ესე არის წინდა, პაიჭი, კარაჭინი, წულა, ფეთმაგი და მისთანანი“, „კარაჭინი ნაქსოვი ფეხსაცმელი (წულა) რომელს სპარსნი ჩორაბს უფმობენ“. ნ. ჩუბინაშვილი წინდის შესახებ უფრო ვრცელ ცნობას იძლევა: „წინდა შიგნით ფეხსაცმელი თითებიდან ვიდრე კოჭებამდე ბამბისა ანუ ღაზლისაგან ნაქსოვი“.

ბამბის მოყვანასა და მის შინამრეწველური წესით დამუშავებას საქართველოში, კერძოდ იმერეთის სოფლებსა და რაიონებში მისდევდნენ მე-19ს მე-2 ნახევარში.

საინტერესო ცნობას გვანდის დავით რაფდენის ძე გოგიბერიძე (80წ. ტობანიერი, 1978) 1912წლიდან — „მახსოვს მამას დავეყვებოდი ჭალებში, ვთესავდით ბამბას (კურკა), გაზაფხულზე, მაისის თვეში ითესებოდა. ჯერ მიწას დავთოხნიდით, დავფარცხავდით, 3-4-ჯერ აუცილებელი იყო. დათესვა შეიძლება კვალშიც და მობნევიდაც. ბუჩქებად იზრდება. ბამბის მოკრეფა ხდებოდა ოქტომბრის თვეში. თუ მიწა კარგი არის, თესლი უფრო დიდი იზრდება. ისე რიონის პირზეც კი თესდნენ. 1000-1200 მეტრზე ერთი ურემი მოდიოდა. გამოვარჩევდით, ჩელტებზე გამოვაშრობდით, მერე ჩიხრიხში გავარჩევდით, ერთ მხარეს კურკა გამოდის და მეორე მხარეს ბამბა. ამ საქმეს ორი ადამიანი ჭირდებოდა. ერთი სახელურს აბრუნებდა, მეორე ჩადებდა. შემდეგ კიდევ გავაშრობდით და გავპენტავდით. დარჩეულ ბამბას თითისტარზე რთავდნენ (დასთვას ვუძახით), ზოგჯერ შალის ძაფსაც აუტოლებდნენ (ცხვრებიც ყავდათ) და ქსოვდნენ ქალები ჩასაცმელებს.“

„სელს სიმინდში თესდნენ, როცა მოჭრიან ერთი კვირით მზეზე გამოიტანენ, სელი ჯერ გათეთრდება, შემდეგ მოყვითალო ფერს მიიღებს. სელის თავთავს ხელით დაფშენიდნენ, კანს გააშრობდნენ, თითისტარზე დართვენ, ძველად მისგან მამაკაცის პერანგი იკერებოდა, გრძელი, მუხლებამდე მწვდომი, გვერდები გახსნილი ჰქონდა და საყელო წვრილად გადატეხილი, ამ პერანგს ჩარქამი პერანგს უწოდებდნენ. ქალები კიფატას და გრძელ პერანგს იკერავდნენ, ზონარს მიაკერებდნენ და წინ შემოიკრავდნენ“.

მუზეუმში ქსოვილების კოლექციებში დაცული ბამბის, შალის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილების საფუძველზე მტკიცდება, რომ ეს მასალები ხალხური ქსოვის საუკეთესო საშუალება იყო, მის დამზადებასა და გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ მასალების დამუშავების შესახებ იმერეთის მოსახლეობაში ცნობები ჯერ კიდევ ბლომად მოგვეპოვება.

აღსანიშნავია, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში და რუსეთიდან შემოტანილმა ფაბრიკულმა საქონელმა მნიშვნელოვნად შეკვეცა ადგილობრივი ხელოსნობისა და შინამრეწველობის პროდუქტის წარმოება, მაგრამ მიუხედავად ხელოსნობის ამ დარგების საერთო დაქვეითებისა, შინამრეწველობა, განსაკუთრებით საქართველოს მთაში კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა თავის სამეურნეო მნიშვნელობას და ახალ ფორმებს ლებულობდა.

რეფორმის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით ის დარგები იწყებენ აღმოცენებას, რომელთაც ადგილობრივი ნედლეულის ბაზა გააჩნიათ. იმერეთი, განსაკუთრებით მისი დაბლობი, ბამბისა და აბრეშუმის მოყვანით იყო განთქმული და ფართოდ ხდებოდა მათი კუსტარული, შინამრეწველური წესით დამუშავება (ამ უკანასკნელს რეფორმის შემდეგაც სათანადო ადგილი ეკავა) და აი, მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ხსენებული ნედლეულის რენვა კაპიტალისტური წარმოების წესის სისტემაში ექცევა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლების ბოლოს ქუთაისში, კათოლიკეთა უბანში ბეგოვის (ბეგაშვილის) მიერ დაარსებული იქნა ძლიერი წარმადობის ბამბის საპენტი ქარხანა, რომლის ერთ-ერთი დანადგარი, კერძოდ, ბამბის კურკის სარჩევი დაზგა დაცულია მუზეუმში.

ამრიგად, მუზეუმის ქსოვილების კოლექციებში დაცული შინამრეწველური წესით დამზადებული ბამბის, აბრეშუმის, შალისა და სელის ქსოვილები ნათლად ასახავს მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში მათი დამზადების ტექნიკას, მათთან დაკავშირებულ შრომის იარაღებს, ყურადღებას გვა-მახვილებინებს იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ფუნქციონირებდა და რომელთა არსებობამ მნიშვნელოვანი კვალი დააჩინა ამ დარგების განვითარებას, არამარტო ჩვენს რეგიონში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ყოველივე ეს კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა თუ როგორ მაღალ დონეზე იდგა ქართველი კაცის ეთნოგრაფიული, საყოფაცხოვრებო თუ კულტურული ყოფა.

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი 1983: მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. III, ნაწ. I, თბილისი.
2. გ. ჩაჩაშვილი 1954: „ქართული ხალხური საქსოვი დაზგები“, საქართველოს სახელმწიფო მოზეუმის მოამბე XVIII-B. თბილისი.
3. ფ. გოგიაშვილი 1976: „ხელოსნობა საქართველოში“ თბილისი.
4. ც. ბეზარაშვილი 1976: მასალები ქართული სამოსელის ატლასის შესადგენად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXII-B თბილისი.
5. ც. ბეზარაშვილი 1979: დასახელებული ნაშრომი, თბილისი.
6. სულხან-საბა ორბელიანი 1926 : ლექსიკონი ქართული.
7. ნ. ჩუბინაშვილი 1961.: ქართული ლექსიკონი.
8. მთხრობელი 1978: დავით რაჭდენისძე გოგიბერიძე (80 წ. ტობანიერი).
9. ივ. ჯავახიშვილი 1982: მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. II, ნაწ. II, თბილისი.

Margarita Mskhiladze

COTTON, WOOLEN, SILK AND LINUM FABRIC MANUFACTURE IN IMERETI.

Sheep breeding, sericulture and linen cultivation once used to be very popular economic sectors in Georgia. This fact can be proved by various archeological items dating back to different centuries: stone or bone kneecaps, remains of old clothes, pieces of old Colchis linen fabric etc. The extant items of weaving and embroidery represent not only the evidence of popularity of these sectors in ancient Georgia, especially in Imereti region. They are also valuable for their diversity, high level and artistic value, as well as exquisite taste.

People weaved cotton, woolen, silk and linen cloths. The cloths were used to make various elements of garments: 'kabalakhi'(type of a headdress), 'paichi'(type of stockings), 'zonari'(cord) etc. They also made carpets and rugs, 'khurgini'(type of a traditional bag), bags, socks, gloves etc.

Forbed linen-a special kind of cotton fabric -'khami' was manufactured. Silk was used to produce 'mandili'(part of a headdress), zonari, 'kisti', 'arshia'(kind of lace). From linen - a special kind of fabric for making clothes.

As it turned out, dyeing of the fabric was also closely connected to the weaving. It was necessary to know this field very well in order to dye the fibers into various colors properly. Masters used to make natural paints from various plants by themselves. The fibers as well as the ready fabrics were dyed according to the special recipes.

According to the researchers, family manufacture was very well-developed and productive in Georgia up to 19 century. Each family produced and manufactured all the necessary products by themselves. They plowed, made wine. Family members used to sew, embroider, make clothes from wooden, cotton silk and linen materials.

'Khami' was the name for the cotton fabric in Imereti. As some researches consider, 'khami' denoted the fabric of white color only. So it is not quite clear yet.

According to the old records: 'It is quite easy to weave 'khami', as well as silk fabric, but it is not abundant. On the other hand, wool is more bountiful but difficult to produce.' Every woman in the family should have had the weaving skills. It was a tradition.

The wooden and silken fabrics produced in Samegrelo were similar to the Imeretian ones. The Megrelian fabric attracted customers with its great quality. Because of that it was popular not only in Georgia but far beyond its borders.

Weaving used to become especially popular during the war and invasion periods, when the lack of textile import occurred in Georgia. As we know from history, such periods were not very rare. All the historically troublesome episodes somehow motivated development of traditional weaving. During world War II it regained its importance and popularity once again.

As the historical records tell us, Georgia used to have very active trade relations with Asian countries in 11-13 cc. Weaving materials as well as pottery were exported there from Georgia, but at the same time, there were facts, when cotton was imported here from other countries too.

Production of wool for sale began later, in the second half of 19 c. as a result of the capitalistic development of the county.

It is a well-known fact , that at that period of time in most of the Georgian villages the priority was given to sericulture and production of wool. People didn't work over raw materials any more. That fact played an important role in destruction and disappearance of many fields of domestic industry in Georgia. As a result, nowadays, it is very difficult to prove the existence of these fields in industry.

Thus the samples of various fabrics kept in Kutaisi State Museum, represent the manufacturing techniques of 19 c. in Georgia. They also give information about the tools which were common for this field at that time. So, on this basis, we can judge about the manufacturing traditions which existed in that century and played a very important role in the development of various industrial fields in Georgia. Above all, they vividly illustrate the high level of ethnographical and cultural mode of life in Georgia of that era.



მარბალიტა მსხილაძე, ირინა უბრაძელიძე

ნაზდის წარმოების ხალხური ტრადიციები საქართველოში

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ უდიდეს მასალათა შორის, როგორც შინაარსობრივად, ისე მოცულობითი მნიშვნელობით არცთუ მცირე ადგილი უჭირავს შინამრეწველური წესით დამზადებულ ქსოვილებსა და სამოსს. მათ შორის ინტერესს მოკლებული არ არის ნაბდების კოლექცია. აქ თავმოყრილია იმერული, მეგრული და კავკასიის ტიპის ნაბდები. ისინი მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარს განეკუთვნება და მუზეუმში შემოსულია ქუთაისიდან ზუგდიდიდან და დიდი ჯიხაიშიდან.

ნაბადი — კავკასიელი ხალხის ტრადიციული კოსტიუმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ნივთიერი კულტურის მეტად სპეციფიური და თვითმყოფადი ელემენტია. ნაბადი ფართოდ იყო გავრცელებული ქართველი და საზოგადოდ კავკასიელი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში. შეიძლება ითქვას, რომ ის თავისი უნიკალური თვისებების — სითბოდამცავობისა და წყალგაუმტარობის გამო, კავკასიელი ხალხის გასაოცარი გამოგონებაა. ნაბადი დღესაც კი იდეალურ, შეუცვლელ სამოსად ითვლება მწყემსებისათვის, ნისლიანი და უხვთოვლიანი მაღალმთიანი ბუნების პირობებში.

ნაბადი მოთელილი მატყლისაგან დამზადებული წინ გახსნილი მთლიანი წამოსასხამია. ზურგი და კალთები მთლიანადაჭრილია, აქვს ღრმად ამოღებული ყელი და განიერი მხრები (სურ.1), დანიშნულების მიხედვით მზადდება მოკლე ან გრძელი, მსუბუქი ან მძიმე, დაბალ ან მაღალხაოიანი. XIX საუკუნეში საუკეთესო ნაბდის წარმოებით განთქმული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში — ყაბარდო-ჩერქეზეთი, დაღესტნის მთიანეთი და ოსეთი, ამიერკავკასიაში — საქართველო (იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი და თუშეთი).

მოხმარების მოხერხებულობის, სისადვირისა და პრაქტიკულობის წყალობით ნაბადი ძველთაგანვე იყო ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლის — მწყემსისა თუ თავადის, მდიდრისა თუ ღარიბის, საყვარელი და პრესტიჟული სამოსი. ნაბადს მოხმარდნენ ქართველი მეფეებიც და რუსი იმპერატორებიც.

XIX საუკუნეში ნაბადი ჩოხა-ახალუხთან ერთად ფართოდ გავრცელდა ყუბანისა და თერგის კაზაკობაში როგორც სამხედრო ამუნიციის ნაწილი, რომელმაც ხელი შეუწყო ქართულ-კავკასიური წარმოების ნაბადზე მოთხოვნილების ზრდას. ნაბადი, ბოხოსსა და ფაფახთან ერთად, როგორც საუკეთესო მათხუნებელი და ბრძოლის დროს კარგი თავდასაცავი საშუალება, კაზაკობისა და რუსი მხედარი ოფიცრების ჩაცმულობის შეუცვლელი ატრიბუტები იყო **[ჩაჩაშვილი 1987:]**

ცნობილი არაა პირველად ვინ და სად დაამზადა ნაბადი, სამაგიეროდ ცნობილია, რომ მისი დამზადების წესი და თანმიმდევრობა ათასწლეულების მანძილზე უცვლელია. ეთნოლოგებს მიაჩნიათ, რომ ნაბდის ასაკის განსაზღვრა ძალზე რთულია, მისი ფესვები საუკუნეების სიღრმეში მიდის. შავი შალის ლაბადით შემოსილი კავკასიელ მეომართა რაზმები მოხსენიებულია ანტიკური ავტორების მიერ. მისი წინამორბედი შეუკერავი მოსასხამი, რომელიც მხრებზე შესაკრავით მაგრდებოდა. ქართული წყაროებიდან უპირველეს წერილობით ძეგლში — „შუშანიკის წამებაში“ ნაბადი მოხსენიებულია „გორჯაკის“ სახელწოდებით. რუსული წყაროების მიხედვით — ნაბადი პირველად მოხსენიებული აქვს იტალიელ ჯორჯო ინტიერინოს, თავის 1504 წლის აღწერილობაში.

ნაბადთან უამრავი ლეგენდა თუ თქმულებაა დაკავშირებული. ნაბდით იცავდნენ თავს ბრძოლის დროს ხანჯლისა და ხმლის დარტყმისაგან, ნაბდით გამოჰყავდათ ბრძოლის ველიდან დაჭრილი ან დაღუპული, ნაბადს იყენებდნენ ქალის მოტაცების დროსაც. მწველი მზის სხივებისაგან ნაბდით იფარავდნენ თავს და მისი განიერი კალთებით ცხენსაც იცავდნენ, ნაბადსა და ფაფახს აფარებდნენ თავს თავსხმა წვიმის დროსაც, ის მხოლოდ გარედანაა ნესტიანი, წყალი შიგ არ აღწევს და გამრობას არ საჭიროებს. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში ნაბადში ღია ცის ქვეშ დაძინებაც შესაძლებელია (ხალხური — „მე ვარ და ჩემი ნაბადი, გამთენებელი ღამისა“). ნაბდით სარგებლობდნენ სხვადასხვა ექსტრემალურ სიტუაციაშიც, მაგალითად, ქალის მოტაცებისას მას ნაბადში ახვევდნენ. ამ დროს საყურადღებოა — ნაბადში ახვევდნენ, არა მარტო იმიტომ, რომ დაეხშოთ მისი ხმა და დაემაღლათ უცხო თვალისაგან, არამედ იმის გამოც, რომ მომტაცებელი

თავის თავს ქალიშვილთან შეხების უფლებას არ აძლევდა. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ნაბდისადმი მთიელს. მთაში ის ვაჟკაცობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. კავკასიურ ყოფაში ნაბადი, ისევე, როგორც ხანჯალი, მამაკაცის ისეთ ატრიბუტებს განეკუთვნება, რომლებსაც ღრმა სიმბოლური აზრი და დატვირთვა გააჩნიათ. სიმბოლური მნიშვნელობით ნაბადი არამარტო იფარავს მის მფლობელს, არამედ, სიმბოლურად ჩაენაცვლება მას განსაცდელის ჟამს, ანუ თავის თავზე იღებს ყოველნაირ ზიანს. ნაბდის, ცხენისა და ხანჯლის გარეშე მამაკაცი კარგავდა თავის სტატუსს თანამემულეთა თვალში. აქ დღემდე შენარჩუნებულია ძველებური ტრადიცია — საპატიო სტუმრისათვის ნაბდის ჩუქება.

დღეისათვის ნაბადს ძველებური ფუნქცია აღარ აქვს და სარიტუალო, დეკორატიულ ელემენტად გადაიქცა. ძირითადად ქორეოგრაფიული ანსამბლები და „ჩოხოსანთა“ საზოგადოების წევრები გამოიყენებენ. ამ ბოლო დროს ნაბადი ეგზოტიკური საჩუქრადაც მზადდება. ძალზე მცირე ზომის მინიატურულ ნაბდებს იყენებენ შამპანურისა და კონიაკის ბოთლზე შემოსაცემლად, რითაც მიიღება ფრიად ორიგინალური, ეგზოტიკური საჩუქარი.

ნაბდის წარმოების ქართული ხალხური ტრადიციები ბოლოდრომდე კარგად იყო შემონახული შინამრეწველობაში. მაგალითად, სოფელი ჯვარის (სამეგრელო) ერთ-ერთ უბანში, ჩქვალერში, ქალები ოჯახებში თარგის მიხედვით საუკეთესო, გრძელბენვიან მთლიან ნაბდებს ამ ბოლო დრომდე თელავდნენ.

თითოეული ნაბადი მზადდება ინდივიდუალურად, ხელით — რაიმე მექანიზაციის გარეშე. ნაბდის დამზადებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნედლეულის ხარისხს. უპირატესობა ენიჭება მთის სამატყლე ჯიშის ცხვრის ბენვს — შემოდგომაზე გაკრეჭილს, ამ დროს ბენვი ყველაზე გრძელი და ხარისხიანია. კრეჭვის პროცესში მიმდინარეობს მატყლის დახარისხება დანიშნულების მიხედვით — სხვადასხვა სახის ქეჩის ნაწარმისათვის. ნაბდისათვის შეარჩევენ ყველაზე საუკეთესოს. მატყლს თავდაპირველად რეცხავენ, აშრობენ და ჩეჩავენ საჩეჩელზე (სურ.2), ახარისხებენ მოკლე და გრძელ ბენვად — შესაბამისად ნაბდის შიგა და გარე ზედაპირების დასამზადებლად. მატყლს პენტავენ. გააფენენ საფენზე რამოდენიმე ფენად, გარეთა ზედაპირისათვის გრძელი ბენვს, შიგასთვის მოკლეს, ასველებენ, მილისებურად დაახვევენ და თელავენ (მილისებურად დახვეულს აგორებენ) გარკვეული დროის განმავლობაში (სურ.3), შემდეგ გახსნიან, ისევე, დაასველებენ და იმეორებენ დახვევისა და მოთელვის ოპერაციებს. რაც უფრო ბევრჯერ განმეორდება ეს პროცედურა, მით უფრო ხარისხიანი (რბილი, მოქნილი, მტკიცე, თხელი) იქნება მოთელილი ქეჩა. მოთელვის დროს ქეჩას პერიოდულად ვარცხნიან სპეციალური ჯაგრისით, იმისათვის, რომ გრძელბენვიანი იყოს და წვიმის წვეთებისაგან იოლად დაინრიტოს. რამოდენიმე დღის განმავლობაში ამ ოპერაციებს მრავალჯერ იმეორებენ.

ნაბადმა წყალი რომ არ გაატაროს, მას ნახევარი დღის განმავლობაში სპეციალურ ქვაბში დაბალ ცეცხლზე ადუღებენ, წყალში ამატებენ რკინის აჯასპს, შემდეგ ამუშავებენ კაზეინის ნებოთი. ნებო მატყლზე წარმოქმნის „ლოლუებს, რომელიც წვიმის დროს წყლის ჩამონრეტას შეუწყობს ხელს. ნებოთი დასველებისას ქეჩას რამოდენიმე ადამიანი დაიჭერს თავქვე. რის შემდეგაც ასე დამუშავებულ ქეჩას აშრობენ. ბოლოს ამოჭრიან ყელის ნაპირს, მხრებს გამოკერავენ, და დაამუშავებენ სარჩულით (სწრაფად გაცვეთისაგან დასაცავად). მხრებზე დამაგრების მიზნით ნაბადს ყელთან გაუკეთებენ შესაკრავს — ტყავის თასმების, მარყუჟის და დამჭერის ან ტყავის ლილკილოსა და ლილის სახით.

არსებობს მკვლევართა მოსაზრება, რომ ტყვიაგაუმტარებლობის მინიჭებისათვის ნაბდებს ჟღენთავდნენ რალაც გარკვეული შემადგენლობით, ან თელავდნენ განსაკუთრებული წესით. ასეთი ნაბადი მხედარსაც და ცხენსაც საიმედოდ იცავდა.

იმვითა შემთხვევაში ნაბადი იღებებოდა ბუნებრივი საღებავებით. ჩვეულებრივ, ეს ხდებოდა დაბალხარისხიანი მატყლის შემთხვევაში, რის გამოც, ნაკლებადპრესტიჟული იყო და ძვირადაც არ ფასობდა. უპირატესობა ენიჭებოდა ბუნებრივად შავი მატყლის ნაბადს. თეთრი ფერის ნაბადი გამოსასვლელად ითვლებოდა და მხოლოდ სადღესასწაულო და საზეიმო შემთხვევებში გამოიყენებოდა. განსაკუთრებით ძვირფას ნაბდებს გულისპირზე ზეზით და ჩაფარიშებით რთავდნენ, ოქრომკედითა და ვერცხლიმკედით ქარგავდნენ.

ნაბადი რაც შეიძლებოდა მსუბუქი უნდა ყოფილიყო, რათა მხოლოდ მხედარს კი არა ფეხით-

მოსიარულესაც არ გასჭირვებოდა მისი ტარება. კარგი ხარისხის ნაბადი, ჩვეულებრივ, არ უნდა აჭარბებდეს 2-3 კილოგრამს. მაღალხარისხოვანი ნაბადი, იატაკზე დაყენებული, არ უნდა წაიქცეს, ვერტიკალურად (ფეხზე) უნდა დადგეს.

ნაბდის დამზადებაზე, მისი ხარისხისა და ტიპის მიხედვით საჭირო იყო 10-დან 30 დღემდე. მატყლის დამუშავება, ქეჩისა და ნაბდის დამზადება ქალის საქმეს წარმოადგენდა და ისინი ამ საქმით მთელი წლის განმავლობაში იყვნენ დაკავებული. ნაბდის დამზადების პროცესი მოთელილი ქეჩების დამზადებას შორის ყველაზე შრომატევადი, რთული, ხანგრძლივი და მძიმე სამუშაოა. მოთელვისას საჭიროა დახვეულ ქეჩაზე ხელების განუწყვეტელი ცემა. ეს ხელებზე კანის დახეთქვას იწვევს, რაც უხემ კოჭრებსა და მტკივნეულ მაზოლებს წარმოქმნის **[ჯავახიშვილი ივ. 1984:]**.

ეთნოგრაფიაში დამონმებულია ორი სახის ნაბდის არსებობა: პირველი — ქვევით გაფართოებული, ზარისებური (კლოში) ფორმის, ვინრო მხრებით, ბენვის გარეშე, სიგრძით მუხლს ქვემოთ და მეორე — ტრაპეციული ფორმის, სიგრძით კოჭამდე, განიერი (დაახლოებით 1მ. სიგანის) მხრებით, რაც ნაბადს ტუნიკისებრ ფორმას ანიჭებდა.

პირველი ტიპის — ზარის ფორმის, ვინრომხრებიან ნაბადს ძირითადად მწყემსები და მონადირეები მოიხმარდნენ. ის მოძრაობას არ ზღუდავდა და მსუბუქიც იყო. ასეთი ფორმის ნაბდის დამზადებისას მატყლს აფენდნენ წრის 3/4 ფართზე და კისრისათვის მრგვალ ამონაჭერს უკეთებდნენ.

ტრაპეციული ფორმის, გრძელი ნაბდების საზოგადო პოპულარობა და ფართო გავრცელება პირველ მსოფლიო და სამოქალაქო ომებს უკავშირდება. ასეთი ნაბადი ძალზე მოსახერხებელი იყო ცხენოსანი მეომრისათვის, რადგანაც საიმედოდ იცავდა მხედარსა და ცხენს ხმლის, ხანჯლისა და თვით ტყვიებისგანაც. მიწაში ჩარჭობილ სარებზე გადაფარებული ნაბადი ბრძოლის ველზე საფარის როლს ასრულებდა, ხოლო ბრძოლებს შორის შესვენების დროს — კარვისას. ნაბადში ნიღბავდა მხედარი იარაღს და ამით ნესტისგანაც იფარავდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პისტოლეტებისა და კაჟის თოფებისათვის. სწორედ ამ ღირსებებმა განაპირობა ნაბდის არა მარტო მრავალსაუკუნოვანი არსებობა, არამედ მისი გავრცელებაც კავკასიის ფარგლებს გარეთ და პირველ რიგში თერგის, ყუბანისა და დონის კაზაკებს შორის.

საქართველოში ძალზე გავრცელებული იყო იმერული, მეგრული, სვანური, ონური, თუშური, ინგუშური და კავკასიის ნაბდები. ონურს ჩრდილო კავკასიიდან (ყაბარდო, ჩერქეზეთი) შემოტანილ ნაბდებს უწოდებდნენ, იმის გამო, რომ ისინი ონის ბაზარზე იყიდებოდა. ნაბდების ამ ტიპებს აქვთ როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები. მათი საერთო ნიშნებია: დამუშავების ტექნიკა, მოხმარებისა და გამოყენების წესი, შეკერვა-გაფორმების ერთგვაროვანი სტილი. განმასხვავებელი ნიშნებია: გამოყენებული ნედლეულის ხარისხი, ბენვის სიგრძე, გაფორმება.

მეგრული ნაბადი უმეტესად უბენვოა და მას ქეჩა ნაბადს უწოდებენ, სიგრძით მოკლეა, მხრების სიგანე ზომიერი აქვს. ონური ნაბადი საშუალო სიგრძისაა, მხრების სიგანეც ზომიერი აქვს. იმერული, ინგუშური და კავკასიის ნაბდები კოჭამდე სიგრძისაა, ინგუშური ნაბდის მხრები ძალზე განიერია და ამასთან, მხრის ბოლოები მაღლა შევერილია.

ნაბდებში ხანდახან ე.წ. კუჭა და ხოჯი ნაბდები გამოერეოდა. კუჭა სქელი, მაგარკედლიანი და მოკლებენვიანი ნაბადია, ხოლო ხოჯი ნაბადს წინ კალთები აქვს ჩაჭრილი (ჯიბის მსგავსდ) ხელების გამოსაყოფად.

იმერეთში ნაბდებს, ეთნოგრაფიულად დამონმებული შინამრეწველური წესით დამზადების გარდა, ჩრდილო კავკასიიდან შემოტანილი სანაბადე ქეჩისგანაც ამუშავებდნენ. დაღესტნური, ჩეჩნური და ყაბარდოული სანაბადე ქეჩა, ადგილობრივთან შედარებით, ძალზე მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, რაც განპირობებული იყო მთის ჯიშის ცხვრის მატყლის მაღალი ხარისხით. ქუთაისში შემოტანილი სანაბადე ქეჩისგან თერძი კერავდა ნაბადს. ერთი 2-არმინიანი ნაჭრისგან ერთი ნაბადი გამოდიოდა **[აბესაძე 1986:]**.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ქსოვილების ფონდის ნაბდების კოლექციაში დაცულია იმერული (შ. წ. №7195, №9314), მეგრული (შ. წ. შ. წ. №8447, №8871, შ. წ. №9269, შ. წ. №9851) და კავკასიის (შ. წ. №9783) ტიპის ნაბდები. ნაბდები ერთმანეთისაგან ბენვის სიგრძით, მხრების სი-

განითა და საერთო სიგრძით განსხვავდება. ცალკე გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

— კავკასის ტიპის გრძელბენვიანი, კოჭამდე სიგრძის ნაბადი (შ. ნ. №9783, შემოსულია ქუთაისიდან), რომელიც გადმოცემით სადღესასწაულო, საზეიმო იყო და საგანგებო დაკვეთით იყო დამზადებული. ბენვი ძალზე სხივიანია. კისრის ნაპირი მაღალხარისხოვანი ტყავის დანული თასმითაა გაფორმებული. დამუშავებულია სარჩულზე, ორივე კალთის ნაპირი შიგა მხრიდან გაფორმებულია ყვითელი აბრეშუმის ძაფის გრეხილი ორნამენტული ნაქარგობით, რომლებზეც გამოსახულია ვარსკვლავები, ნახევარმთვარე, ხელის მტევანი — გაშლილი თითებით (სურ.4). უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ნაქარგობა (ხელის გამოსახულებით) კალთის შიგა მხარეს, სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია და მიენერება დაცვითი ხასიათის დატვირთვა (ხელი იფარავს).

— მეგრული ტიპის ზომიერი სიგანის გრძელბენვიანი ნაბადი (შ. ნ. №9851, შემოსულია ქუთაისიდან), ყელთან ფოთლისებური ტყავის ორი მარყუჟია დამაგრებული, რომლებშიც ტყავის მოგრძო ყაითანი ეყრება შესაკრავად. დამუშავებულია შავი ფერის სატინის სარჩულით. აღნიშნულ ნაბადზეც ზემოდასახელებულის მსგავსად, კალთების შიგა მხარე გაფორმებულია ნაქარგობით, რომლებზეც ფერადი აბრეშუმის ძაფებით გამოსახულია ფოთლოვან-გრეხილი ღეროები და გაშლილი ყვავილები.

— ვასილ კიკვიძის ნაბადი, კავკასის ტიპისა. ნაბადი გამოირჩევა დიდი ზომებით, მხედრისათვისაა განკუთვნილი, სწორედ ასეთი ნაბადი მტერთან შეტაკების დროს საიმედოდ იცავდა ცხენოსანსა და ცხენს.

როგორც ვხედავთ, ეროვნული კოსტიუმის შემადგენელი ნაწილი — ნაბადი თავისი ისტორიით, დამზადების ტექნიკითა და სიმბოლური მნიშვნელობით ქართულ-კავკასიური მატერიული კულტურის ერთ-ერთი საინტერესო ელემენტია. ჩვენი ხალხის ყოფაში ნაბადის შინამრეწველური წესით დამზადების ტრადიციის უძველესი დროიდან არსებობა, სავარაუდოდ იმაზე მიუთითებს, რომ ნაბადი ქართველი ხალხის უძველესი კულტურის ელემენტად შეიძლება მივიჩნიოთ.

ლიტერატურა:

1. ჩაჩაშვილი გ. 1987: ქართული ჩაცმულობის ისტორია. ეთნოგრაფიული გამოკვლევა. თბილისი.
2. ჯავახიშვილი ივ. 1984: მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. 3-4, თბილისი.
3. აბესაძე ნ. 1986: ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში. თბილისი.
4. ლამბერტია ა. 1938: სამეგრელოს აღწერა, გამოც. მე-2, თბილისი.
5. ჩაჩაშვილი გ. 1957: ქართლელი გლეხი მამაკაცის კოსტუმი XIX საუკუნისა, «ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», ტ. 19A და 21B.

Margalita mskhiladze, Irina ugrekhelidze

FOLK TRADITIONS MANUFACTURING OF BURQA

Among the materials in the Kutaisi History Museum is home-clothes, among which the most noteworthy Caucasian felted burka. It is protected by various types of burqa. History has preserved the ancient name as creator, but this type of clothing has been so successful that in his long life has remained unchanged and has survived to the present day. Burka is one of the few elements of the

traditional dress of the peoples of the Caucasus, which exists today as the ideal clothing for shepherds in alpine conditions with its fogs and heavy snowfalls. Burka is primarily a warrior who is sent in a long hike. burka is mentioned for the first time in Italian sources – in the year 1504, in the famous description of Giorgio Interiano. Ethnologists consider that the age is very difficult to determine the burka – Burke was preceded by a piece of felt, which did not have any seam. To keep the shoulders from the front, as Gates later became leather loops and invoice sometimes the front side of the burka was decorated with gold and silver embroidery. In a Caucasian culture, burka, like a dagger, refers to attributes of men who have a high symbolic value. Without the burqa, as without a horse and a dagger, a man lost his status in the eyes of fellow. Without the burka, even the cheapest variety, not a treatment, not one thought from Highlander, cold, wind, rain and scorching heat, without a burqa no Mountaineer will not send in a distant way. For the Highlanders burka is a symbol of masculinity. Throughout the Caucasus and Don a huge demand burka. Caucasian burka is a high quality product with a long and thin bedrock made of Andean wool sheep. burka was a bluechip attire, wearing a knowing and even emperors of Russia. Still preserved the custom of giving burcu a memorable gift to dear guest, the burka not drench and wet only from above, hence, you can sleep under it when nothing else be, and there is no need to dry. Burka production-the most labor-intensive, complex and lengthy of all kinds of felt products, each with a distinct meaning: wool washing, drying, sorting, loosening his hands, combing the crest, whipping thread soak in the litter, uvalivanie, drying, comb the cloth, dyeing, washing, felt, handling the front of burka, finishing work-sewing. As a result of this high-quality equal to the burka was not at all in the Caucasus. Production of felt, processed wool women from throughout the year. Without the burka is not short-circuited hand-to-hand. If the two solved the altercation the fight with weapons in their hands, any of us, dressed in a burka, was filming her and to those of the fighters, which had been without a burka. Thus, as we can see, a national costume - burka by technology manufacture and symbolic value is an interesting element of the Georgian material culture.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 4



სურ. 3



අවිනිවිකෘතිය
RESTORATION

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული საცეცხლურები და მათი რესტავრაცია-კონსერვაცია

საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაუნჯებული იყო სასულიერო-რიტუალური დანიშნულების უძვირფასესი ნიმუშები. ხელოვნების ამ გასაოცარ ძეგლებში განფენილია ქართული საერო და საეკლესიო ხელოვნების თვითმყოფადობა და მსოფლიო კულტურის უდიდესი გამოცდილება. საუბედუროდ, ბევრი მათგანის ხვედრი ეგზარხოზობის პერიოდიდან მოყოლებული ძალიან მძიმე იყო. განსაკუთრებით სავალალო გახდა მათი მდგომარეობა XX საუკუნის დასაწყისში. ბოლშევიკური ტერორის პირობებში ამ ნივთების არცთუ მცირე ნაწილი განადგურდა, უმრავლესობას კი გამოეცალა დიდ სულიერებასთან დაკავშირებული ფუნქცია და აღმოჩნდა დედაეკლესიისაგან აბსოლუტურად იზოლირებული. მათი გადარჩენა საკუთარ მხრებზე იტვირთეს ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნების სიგელით აღჭურვილმა დიდმა მამულიშვილებმა. ამ ადამიანებმა თავიანთი სიცოცხლის ფასად დაღუპვისაგან იხსნეს ქართული მართმადიდებლური ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები და ისინი სათანადო აქტებით ჩააბარეს ქვეყნის რამდენიმე მუზეუმს – იმ ავადმოსაგონარ ეპოქაში სასულიერო დანიშნულების ნივთებისათვის ყველაზე შესაფერის და უსაფრთხო საცავებს. უკვე მრავალი წელია ეს უნიკალური ქმნილებები სხვადასხვა დარგის მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს. ამჟამად ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ საცეცხლურებზე.

საცეცხლური მცირე ზომის ლითონის (ოქროს, ვერცხლის, ან სპილენძის) ჭურჭელია. ქრისტიანული ღვთისმსახურების დროს საცეცხლურში იდება ნაკვერცხალი ან გახურებული ნახშირი და მასზე აყრიან საკმეველს ანუ გუნდრუკს (სასიამოვნო სუნის მქონე ნივთიერება), რომელიც გახურებულ ნახშირზე დნება და კეთილსურნელოვან კვამლს გამოჰყოფს. საცეცხლური მოასწავებს ღვთისმშობლის წიაღს, საცეცხლურში ჩადებული ნაკვერჩხლი – თვით იესო ქრისტეს ყოფნას ქალწული მარიამის წიაღში, საცეცხლურის ოთხი ჯაჭვი კი მახარებლების სიმბოლოა [11].

ქრისტიანობამ საცეცხლური მიიღო იუდეველთა რელიგიისაგან. კმევა ჯერ კიდევ ძველი აღთქმის ტაძარში დააწესა ღმერთმა. საკმეველი, სანთელი და კანდელი გამოიყენებოდა ღვთისმსახურებისას უფლის სადიდებლად. კეთილსურნელების კმევა არაერთხელ გვხვდება ბიბლიაში:

ღმერთმა უბრძანა მოსეს, უდაბნოში მოგზაურობისას გაეკეთებინა მოძრავი კარავი და სამსხვერპლო საკმევად. მოსემ დადგა სასანთლე სადღესასწაულო კარავში ტაბლის პირდაპირ... ანთო ლამპრები უფლის წინაშე, როცოც ნაბრძანები ჰქონდა და აკმია სურნელოვანი საკმეველი – გამოსვლა, 40..27 [3; გვ. 95];

კეთილსურნელოვანი საკმეველი სოლომონის მიერ აშენებულ ტაძარშიც იკმეოდა – მესამე მეფეთა, 7.50 [3; გვ. 303];

იოანე ნათლისმცემლის მამა – ზაქარია ტაძარში ღვთისმსახურებისას აკმევდა: „ერთხელ, როცა თავისი წყების წესისამებრ მღვდელმსახურებდა იგი ღმერთის წინაშე, მღვდელთა მსახურების ჩვეულებისამებრ წილად ხვდა მას საკმევლის კმევა და შევიდა იგი უფლის ტაძარში - ლუკა 1. 8-9 [3; გვ.1011];

„სასაკმევლე“ და „საცეცხლური“ იხსენიება ძველი და ახალი აღთქმის ნიგნებში:

„და ჰქონდა მას სასიკმევლე ოქროსი, და ყოველი მხრიდან მოჭედილი კიდობანი აღთქმისა – ებრაელთა, 9, 4 [3;გვ.:1191]

ახალი აღთქმით საკმეველი, ნელსაცხები და სანთელი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს:

შობისას აღმოსავლეთიდან მოსული მოგვებისაგან საუფლო შესანიშნავი მიიღო იესო ქრისტემ: „როდესაც შვეიდნენ სახლში, იხილეს მარიამთან ყრმა, დაემხნენ და თაყვანი სცეს მას და გახსნეს თავიანთი საუნჯე და მიართვეს ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი (საკმეველი) და მური – მათე 2. 11 [3; გვ. 960;]

ჯვარიდან იესო ქრისტეს გარდამოხსნისა და დაფვლის შემდეგ გალილიიდან მოსულმა ქალებმა „იხილეს სამარხიცა და ისიც, თუ როგორ დაიდო მისი სხეული, ხოლო შემდეგ დაუბრუნდნენ და მოამზადეს სურნელოვანი საკმეველი და ნელსაცხები მისი ცხედრისათვის” – ლუკა 23. 55-56 [3; გვ.1042]; მოციქულები ქრისტეს ჯვარცმის და ამაღლების შემდეგ იერუსალიმის ტაძარში სალოცავად აღიოდნენ – მოციქულთა საქმე 2. 46. [3; გვ.1073] იქ ღვთისმსახურება ანთებული სანთლებით და საკმეველის კმევით სრულდებოდა.

ქრისტიანულ ეკლესიაში ჩვენი რწმენისა და თაყვანისცემის ნიშნად სასულიერო პირი საკმეველს, გუნდრუკს უკმევს ხატებს, საკურთხეველს, მსახურებისათვის საჭირო ნივთებს და მლოცველებს. წმინდა ტრაპეზისა და ხატების კმევა მათდამი მოკრძალებისა და პატივისცემის გამომხატველია; მრევლის კმევა კი სანინდარია იმისა, რომ გულწრფელი და მხურვალე ლოცვა ისევე მსუბუქად აიჭრას ზეცაში, როგორც – საცეცხლურის კვამლი. საღვთისმსახურო სიმბოლიკით საცეცხლური სიმბოლოა დედაეკლესიისა, ნახშირი – ჩვენი მართლმადიდებლური აღმსარებლობისა, საკმეველი კი – ქრისტიანის შინაგანი ლოცვისა. კმევა სიმბოლურად სულიწმიდის მაცხოვრებელ მადლს გამოხატავს; როგორც საკმეველის კვამლი აღავსებს ტაძრებს, ასევე სულიწმიდა ნათელს ჰფენს მლოცველებს და აცხოვრებს თავისი მადლით. საკმეველის კმევა მორწმუნეთა სულსა და გონებას სისპეტაკით აღავსებს, ბოროტს ამორებს, ლოცვის სურვილს ჰმატებს და ზეციურ დასთან აახლოვებს [2; გვ.39].

იოანე ღვთისმეტყველი ასე აღწერს ცათა სასუფეველს: „და მოვიდა სხვა ანგელოზი და დადგა საკურთხეველის წინაშე და ჰქონდა სასაკმეველე ოქროსი და მისცა მას დიდძალი საკმეველი, რათა ყველა წმიდის ლოცვებთან ერთად დაედო იგი საკურთხეველზე, რომელიც არის წინაშე ტახტისა. და ავარდა საკმეველის კვამლი წმიდათა ლოცვებთან ერთად, ანგელოზის სახელით, ღმერთის წინაშე” – გამოცხადება, 8. 3-4 [3; გვ. 1202]. ჩვენი დედაეკლესია წარმოადგენს ცათა სასუფეველის მიწიერ სახეს. ზეციურ სამყაროში ღვთის წინაშე ანთია სანთლები, იკმევა საკმეველი, სრულდება ლოცვა და ღვთისმსახურება. უფლის ნებით დედამიწაზე ღვთის ტაძრებშიც მეორდება იგივე. ღმერთი ბრძანებს: „დიდი იქნება ჩემი სახელი ხალხებში მზის აღმოსავლეთიდან დასავლამდე; ყოველ ადგილას დაუკმევენ საკმეველს ჩემს სახელს და წმინდა ძღვენს შემომწირავენ, რადგან დიდი იქნება ჩემი სახელი ხალხებში ” – მალაქია, 1. 11 [3; გვ. 1859]

საცეცხლურის ფორმა იცვლებოდა ეპოქებისა და სტილის მიხედვით. მათგან უძველესი არის მოგრძო, ღია ან დახურული ფორმის გლუვი თასი, რომელიც მიმაგრებულია ხის სახელურზე. გოტიკურ საცეცხლურს კი უკვე აქვს ჭრილები, დამშვენებულია ისრისებური კვეთით. სასაკმეველს ხმარობდნენ კერპთაყვანისმცემლობის დროს – ეზეკიელი, 8,11 [3; გვ.762]. წარმართულ ეპოქაში სხვადასხვა ხალხებს სრულიად განსხვავებული რელიგიური წარმოდგენები ჰქონდათ, მაგრამ თითოეული მათგანისათვის საცეცხლური კულტმსახურების აუცილებელი ატრიბუტი იყო. ქრისტიანული ღვთისმსახურებისათვის შექმნილი საცეცხლურის ფორმა ამკარად ანტიკური ხანის გავლენითაა შექმნილი. ეს იყო სამი ჯაჭვით რგოლზე დამაგრებული ლითონის ჭურჭელი. ასეთი ფორმა ქრისტიანული ძეგლების იკონოგრაფიაში ცნობილია V საუკუნიდან [8, გვ.127-144]. სირია-პალესტინის რეგიონში აღმოჩენილია ჯაჭვებზე დაკიდებული ბრინჯაოს საცეცხლური, რომელიც VI-VII საუკუნეებით თარიღდება. ქალაქ რავენის VI საუკუნის ერთ-ერთ მოზაიკაზე გამოსახულია ბიზანტიის იმპერატორი იუსტინე დიდებულებისა და ეპისკოპოსების გარემოცვაში. მათთან ერთად ამ

მოზაიკურ ფრესკაზე წარმოდგენილია აგრეთვე დიაკვანი, რომელსაც ხელში უჭირავს საცეცხლური [7; გვ.73]

XI საუკუნიდან საცეცხლურის კონსტრუქცია იქნა სრულყოფილი. საცეცხლურს დაემატა კიდევ ერთი ჯაჭვი – ხუფის დამჭერი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა საცეცხლურის ხელიდან მოუხსნელად ზედთავის აწევის რეგულირება. ჯაჭვი ერთი ბოლოთი დაკავშირებულია ხუფის ცენტრალურ ნაწილთან, მეორე ბოლო გატარებულია დისკის შუაში. დისკს ზემოდან აქვს რგოლი, რომელიც თითზე წამოიციმევა. ამავე დისკზე მიმაგრებულია სხვა ჯაჭვები.

XV საუკუნიდან საცეცხლური იღებს ეკლესიის ფორმას და აღიქმება, როგორც სახე ზეციური იერუსალიმისა. XV-XVII საუკუნეებში საცეცხლურს ამზადებენ ეკლესიის მოდელის სახით. [9]

თანამედროვე საცეცხლური ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის მრგვალი ფორმის ხუფიანი თასია 4,5 - 6,5 სმ დიამეტრით, რომელიც ჩამოკიდებულია 71-72 სმ სიგრძის სამ ან ოთხ ჯაჭვზე. ამ ჯაჭვის ბოლოები შეერთებულია და ჩამაგრებულია დისკში (ხშირად ამ დეტალს პატარა საეკლესიო ზარის ფორმა აქვს), რითაც საცეცხლურს ხელში იჭერს მღვდელმსახური [4; გვ.810]

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება საფუძვლად დაედო ისეთი საღვთისმსახურო ნივთების შექმნას, რომელიც ჭედური ხელოვნების გასაოცარ დონეზე მიუთითებს. ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში დაზიანდა, შეიღახა. დღის წესრიგში დადგა მათი რესტავრაცია-კონსერვაციის საკითხი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად ჩვენი კვლევის საგანი ქუთაისის სახელმწიფო-ისტორიულ მუზეუმში დაცული ოთხი საცეცხლურია. მათგან ორი საცეცხლური დაცულია ჭედური კოლექციების განყოფილებაში, დანარჩენი კი – ეთნოლოგიის განყოფილებაში.

გელათის მონასტრიდან 1925 წელს შემოსული საცეცხლური, რომელიც ჭედური კოლექციების ერთ-ერთი მშვენიერებაა, შედგება ორი მოძრავი ნაწილისაგან: ფეხიანი თასისა და სახურავისაგან. ორივე ექვსნახნაგოვანია. საცეცხლურს აქვს ვერცხლის ოთხი ჯაჭვი ორი ზარაკით. ჯვართან და ხელსაკიდთან, რომელიც დიდი საეკლესიო ზარის მინიატურაა, უბრალო ლითონის რგოლებია ჩაბმული.

საცეცხლურის ქვედა ნაწილი მცენარეული ორნამენტითაა მორთული. ჯამის ექვსივე ნახნაგი მაღალი რელიეფითაა გამოყოფილი. თითოეულ მათგანში ყვავილია წარმოდგენილი. დეკორირებულია თასის ფეხიც. მთლიანად ორნამენტებში ჩაფლული ჯამის იერ-სახე ორგანულად ერწყმის ხუფის გაფორმებას. ზედთავსზე მაღალი რელიეფით გამოსახულია საყდრის კამარები, სვეტები; საცეცხლური ჯვრით დაგვირგვინებული სარკმლებიანი გუმბათით ბოლოვდება. ხუფის ექვსივე ნახნაგს ქვემოდან ერთგვარ კარნიზად მიუყვება უსუპის დეკორი. დავით წინასწარმეტყველი 50-ე ფსალმუნში უფალს უსუპის მეშვეობით განწმენდას შესთხოვს [3; გვ. 519]. უსუპის შესახებ სულხან საბა ასე უთითებს: „უსუპი არს ბალახი სურნელი. უსუპით ასხურებდენ ერსა განსანმედელად. იოსიპოში (იგულისხმება იოანე პეტრიწის თარგმანება – წიგნი II, გვ. 59, 9): სწერია: თივის მზგავსი არს, რომლისა შემკვრელნი ასხურებდიან ერსა განსანმედელად“. [5; გვ. 171] ხუფი ბოლოვდება სამმაგი სარტყელით – ორ გრეხილურ ხაზს შორის ჩასმული მარცვლოვანი ბურთულებით. ასეთივე კარნიზი აქვს ჯამის ზედაპირსაც. მრავალფეროვანი ორნამენტით საცეცხლურზე წარმორჩინებულია ზეციური სამოთხე. ქრისტიანულ ხელოვნებაში მცენარეული ორნამენტით და, საერთოდ, სიმბოლიკური ნიშნებით მოხდა რთული თეოლოგიური ცნებებისა თუ სიუჟეტების გადმოცემა. ორნამენტი ტრადიციული დეკორის ფუნქციიდან „თხრობით“ ნაწილში გადავიდა. ხუფზე აშკარად იკვეთება ორად განტოტვილი ხე. ის, ჩვენი აზრით, არის აპოკალიფსში აღწერილი „ძელი ცხოვრებისა“, ციურ სასუფეველში „სიცოცხლის წყაროსთან“ დანერგილი ხე, რომელიც წლის ყოველ თვეში ისხამს სხვადასხვა ნაყოფს. ამიტომაცაა საცეცხლური გაფორმებული არაერთი მცენარეული სახით. ქრისტიანულ მართმადიდებლურ

ხელოვნებაში გათვალისწინებულია თითოეული ყვავილისა თუ ფოთლის სიმბოლიკა. [6; გვ.: 123,152] მთელი ხუფი ქვირული ტექნოლოგიის შესანიშნავი მხატვრული ნიმუშია. ქედურობის ამ საოცრად ლამაზ ქმნილებაში ვერცხლის დამუშავების სხვადასხვა ტექნოლოგიით მიღწეულია ქვაზე და ხეზე კვეთის, ნაქარგობისა თუ ხელნაწერი წიგნების მორთვის ეფექტი (იხ. სურათი 2).

ქედურ კოლექციებში დაცული მეორე საცეცხლური მუზეუმში შემოსულია 1926 წელს ზესტაფონის თემალმასკომიდან, სადაც, სავარაუდოდ, დასაწყობებული იქნებოდა ახლომდებარე ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანილი სხვადასხვა ნივთი. ეს საცეცხლურიც შედგება ჯვრით დაბოლოებული სახურავისა და ფეხიანი თასისაგან. ამ მოძრავ ხუფსა და ჯამს ერთმანეთთან აკავშირებს სამი მასიური ვერცხლის ჯაჭვი (ჩვენი აზრით, სამი ჯაჭვი სიმბოლოა წმინდა სამებისა). ერთ ჯაჭვს ჰკიდია ზარაკი. ჯაჭვების ქვედა დაბოლოებები უბრალო ლითონის რგოლებით მიმაგრებულია თასის პირზე, ზედა კი – სახელურზე, რომელშიც გატარებულია კიდევ ერთი ჯაჭვი. სახელური, რომელიც ჰგავს სამრეკლოს ზარს, ერთმანეთზე პატარა ხაზებით დაკავშირებული რგოლებითაა შემკული, მისი მომრგვალებული თავი კი გოფირებულია. ხუფი ამ შემთხვევაშიც ეკლესიის გუმბათს განასახიერებს. იგი დამშვენებულია მცენარეული ხლართებით. ოთხი კამარა გამოყოფილია მაღალი რელიეფით. თითოეული კამარის ყვავილოვანი კომპოზიციის ცენტრში ორგანულად არის ჩასმული ჯვარი. ეს არის აყვავებული, ზეცადამალლებული, მაცხოვრებელი ჯვარი [6; გვ.127]. კამარებს შორის არსებული სივრცის გაფორმება სინთეზურად ერწყმის გუმბათის ორნამენტირებას და ყოველივე აღიქმება, როგორც ერთი მთლიანი; მკვეთრი გადასვლა არსად იგრძნობა. გუმბათის ყელზე გამოკვეთილია სარკმლები. სახურავზე თევზიფხურა ხაზებია, რომლებიც გუმბათის გადახურვის იერ-სახის ეფექტს ახდენს. ხუფის დამაბოლოებელ კარნიზს (რითაც იგი ჯამს ედება) ორმაგ სარტყელად მიუყვება ნაზი გრეხილური ზოლი და მარცვლოვანი ბურთულების წყება. საცეცხლურის ეს უმშვენიერესი ხუფი ქვირული ტექნოლოგიით იმგვარად არის შესრულებული, რომ მაქმანის შთაბეჭდილებას ტოვებს. თასი სადაა. ერთგან მასზე გარედან ამოკვეთილია წარწერა: ქ. მეფე ს-ლ მონ. ამ წარწერის მიხედვით, ნათელია, რომ ეს ნივთი, რომელიც ტაძარს შესწირა მეფე სოლომონმა. იმერეთში 1752-1784 წლებში მეფობდა სოლომონ პირველი, 1789 -1810 წლებში კი – სოლომონ მეორე. ახლა ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანის დაკვეთით დამზადდა ეს საცეცხლური, მაგრამ აშკარაა რომ ის ამ ორიდან ერთ-ერთი მეფის სახელს უკავშირდება და შექმნილია საქართველოში (ალბათ, იმერეთში) მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ან მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში. საქართველოს მეფეები ყოველთვის დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ეკლესია-მონასტრებს და უსასრულოა მათ მიერ შეწირული საეკლესიო ნივთების ნუსხა. ასე, რომ ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებული არაფერი იკვეთება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ საცეცხლურის ეკლესიისათვის ბოძებით ჩვეულებრივი შეწირულობის იქით მჟღავნდება ქართველი მეფის მნიშვნელოვანი სათქმელი, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ სწორედ ამ სარიტუალო ნივთით შეიძლება გამოხატულიყო. სოლომონ მეფემ საცეცხლურით ხაზი გაუსვა ბაგრატიონთა ბიბლიურ წარმოშობას: იესიან, დავითიან, სოლომონიან... სწორედ მის ბიბლიურ წინაპარს, თანამოსახელეს – მეფე სოლომონს უკავშირდება იერუსალიმის ტაძრის – კარვების შემდეგ პირველი მასშტაბური სალოცავის მშენებლობა. საცეცხლური სიმბოლოა ძველი და ახალი აღთქმის ერთობისა. მისი სახისმეტყველება გულისხმობს ორგანულ კავშირს იერუსალიმის ტაძარსა და ქრისტიანულ ეკლესიას შორის და ღვთის სახლის მცირე მოდელია. კონკრეტულად ამ საცეცხლურის შემთხვევაში კი ყოველივე ამასთან ერთად დამატებით სიმბოლოურად მჟღავნდება ქართველ მეფეთა გენეტიკის მიმართება ძველ აღთქმასთან და ცხადდება, აგრეთვე, ის მისიაც, რომელიც ბაგრატიონებსა და მთელ საქართველოს ახალი აღთქმით დაეკისრათ ქრისტიანობისა და მამულის დასაცავად ურჯულო მტრებთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში (იხილეთ სურათი 4).

ეთნოლოგიის განყოფილებაში დაცული სპილენძის საცეცხლური ჩვენი ვარაუდით, მუზეუმში

შემოსული უნდა იყოს XX საუკუნის 20-იან წლებში. მასზე ალაგ-ალაგ შემორჩენილია ვერცხლის თხელი ფენის კვალი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თავდაპირველად მოვერცხლილი იყო. ფენიანი თასი სადაა. მისი მხოლოდ ზედა ღია კიდეა შემკობილი დანიკბული სარტყელით. ხუფი ჭვირული ტექნოლოგიითა შესრულებული. მასზე გამოყოფილია ოთხი კამარა. ისინი შემკულია მცენარეული ორნამენტებით, რომლებიც გარს ევლებიან მედალიონში ჩასმულ ტოლმკლავა ჯვარს. ეს აყვავებული ჯვარი სიცოცხლის განახლებისა და სამყაროს მარადიულობის სიმბოლოა. თევზიფხურა დეკორის სარტყელით ერთმანეთისაგან გამოყოფილია გუმბათის კამარები, ყელი და სახურავი. ყველაფერი ჩაფლულია ყვავილოვან მორთულობაში. სულიწმიდის შვიდი ნიჭისა და ახალი აღთქმის შვიდი საიდუმლოს სიმბოლოდ წარმოდგენილია შვიდი სარკმელი. ხუფის ქვედა ბოლო, რომლითაც იგი თასს ედება, დანიკბულია. გუმბათის ჯვარი გადატეხილია და შემორჩენილია მხოლოდ ვერტიკალური ნაწილის ფრაგმენტი. თასზე და ზედთავსზე სამ-სამი რგოლია ჯაჭვებისათვის. ერთ-ერთ ჯაჭვზე პატარა ზარაკია. ჯაჭვების დაბოლოებები თავს იყრის პატარა საეკლესიო ზარის მოდელში (იხილეთ სურათი 6).

მეოთხე საცეცხლური ოქროსფრად დაფერილი ვერცხლისაგანაა დამზადებული. როგორც ჯაჭვების ჩამაგრების ადგილები ცხადყოფს, მას სამი ჯაჭვი ჰქონდა, მაგრამ ამჟამად არ გააჩნია. ხუფი და თასი მთლიანობაში სლავური ეკლესიების ერთგვარი მოდელია. ხახვისებური თავის ფორმის გუმბათი ბოლოვდება ბურთულით. ჯვარი, რომელიც აუცილებლად ექნებოდა, აღარ გააჩნია. სამი ასეთივე ბურთულა საცეცხლურის ფენის შიდა მხარესაა განლაგებული. ხუფზე მცენარეული დეკორია მოცემული. თასის ქვედა ნაწილზე ცხრა ფოთლისებური დანაყოფია. მათგან სამი სადაა, დანარჩენებზე კი მოგრძო ფორმის ყვავილედია გამოსახული. ჯამის ზედაპირი და სახურავის დაბოლოება დანიკბულია. ხუფის ორნამენტირებულ ნაწილზე საკეტის მსგავსი ჭრილებია, გუმბათის ყელზე კი – სტილიზებული ჯვრის ფორმის. ჯამის ფეხზე მითითებულია, რომ საცეცხლური დამზადებულია პოლონეთში. იგი ქარხნული წარმოების უნდა იყოს. ქუთაისში ქართველთა გვერდით ცხოვრობდნენ ეროვნული უმცირესობები, მათ შორის – პოლონელებიც. ისინი კათოლიკური ეკლესიის მრევლი იყვნენ და, ჩვენი ვარაუდით, საცეცხლურიც თავდაპირველად სწორედ ამ ეკლესიის კუთვნილება იყო (იხილეთ სურათი 8)

2011-12 წ.-ში ოთხივე საცეცხლურს უკვე აპრობირებული მეთოდებით ჩაუტარდა რესტავრაცია-კონსერვაცია [1, გვ. 17-18; 10].

ჭედური კოლექციების ფონდში დაცული ორი საცეცხლურის ძირზე და ზედთავსზე შიგნითა მხრიდან მკვრივად იყო მიკრული ნახშირისა და საკმეველის ნამწვავი. ორივე საცეცხლურს გარეთა მხარეს ჰქონდა მექანიკური და ორგანული ნადებები, ნახშირისა და საკმეველის წვის შედეგად დატოვებული კვალი. ზოგ ადგილას იკვეთებოდა შავი გოგირდოვანი ვერცხლის ფენა. საცეცხლურები გაირეცხა თბილი საპნიანი წყლით, გაიწმინდა მექანიკურად სკალპელით, რბილი ჯაგრისით. გოგირდოვანი ვერცხლის ფენა მოცილდა ტრილონ B-ში დასველებული, განურული ტამპონებით. განმენდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთი საცეცხლურის თასს შიგა მხრიდან ამოკრული აქვს სპილენძი, რომელზეც ადგილ-ადგილ შეიმჩნეოდა სპილენძის მარილების მწვანე ფენა, რაც მოცილებული იქნა 10%-იან ტრილონ B-ში დასველებული, განურული ტამპონებით და მექანიკურად სკალპელით. სამუშაოების დამთავრების შემდეგ საცეცხლურები გაირეცხა რბილი ჯაგრისით ჯერ გამდინარე წყალით, შემდეგ რამოდენიმეჯერ – გამობდილი წყალით. თერმოსტატში გაშრობის შემდეგ კონსერვაცია ჩაუტარდათ პარალოიდ B-72-ის აცეტონ ხსნარით (იხილეთ სურათები 1, 2, 3, 4).

ეთნოლოგიის განყოფილებაში დაცულ სპილენძისაგან დამზადებულ საცეცხლურს ჰქონდა სპილენძის დაავადების ორი სახე: ქლორიანი და კარბონატული. ნივთზე შეინიშნებოდა მუქი მწვანე

და ცისფერი ნალექები (კარბონატული დაზიანება), ღია მწვანე ფერის პატინა (ქლორიდებით დაზიანების კვალი) და ადგილებში ჰქონდა მუქი მწვანე ფერის მეჭეჭისებური სქელი ფენა. ქლორიდების მოსაცილებლად საცეცხლური მოთავსდა 5-10%-იანი კალიუმის ტუტის ხსნარში. დროდადრო ნივთი ამოგვექონდა ხსნარიდან და გამდინარე წყალში ჯაგრისით ინმინდებოდა. კარბონატების მოსაცილებლად მოთავსდა 5-10%-იანი გოგირდმჟავას ხსნარში და გაინმინდა იმავე მეთოდით, რა მეთოდითაც – კალიუმის ტუტეში. ქლორიდების და კარბონატების მოცილების შემდეგ თავი იჩინა წითელი ფერის სპილენძის ქვეყანგმა და გამოიკვეთა ლითონის სიმყიფეც. საჭირო გახდა ნივთის ატომური წყალბადით დამუშავება, რის შემდეგაც გაირეცხა რბილი ჯაგრისით ჯერ გამდინარე წყალით, შემდეგ რამდენიმეჯერ – გამოხდილი წყალით. გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საცეცხლური თავდაპირველად იყო მოვერცხლილი, რისი კვალიც დღესდღეობით ზოგ ადგილებში ძალზე მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. თერმოსტატში გაშრობის შემდეგ ჩაუტარდა კონსერვაცია პარალოიდ B-72ის აცეტონ ხსნარით (იხილეთ სურათი 5 და 6).

ეთნოლოგიის განყოფილებაში დაცული მეორე საცეცხლური ოქროსფრად დაფერილი ვერცხლისაგან არის დამზადებული. ცნობილია, რომ ვერცხლის ნივთებს სისალის გაზრდის მიზნით ყოველთვის ურევდნენ სპილენძს. როცა სპილენძმემცველი ვერცხლის ნივთი მოოქროვილია, ამ დროს ლითონთა სხვადასხვა ელექტრონული პოტენციალის გამო მათ შორის ჩნდება მეტად ენერგიული გალვანური წყვილი. ამის გამო კოროზიისათვის ხელსაყრელ პირობებში შენადნობში არსებული ლითონებიდან პირველად ჟანგვას იწყებს უფრო აქტიური ლითონი – ამ შემთხვევაში სპილენძი. ეს პროცესი მიმდინარეობს ნივთის სიღრმეშიც, რის შედეგადაც ხდება ფაზური გამოყოფა ნაკლებად კეთილშობილი ლითონის ჟანგეულებისა. საცეცხლურზე ძირითადად იყო კარბონატული დაავადება, ჰქონდა მუქი მწვანე და ცისფერი ნაღებები და ადგილ-ადგილ მუქი მწვანე ფერის მარილების მეჭეჭისებური სქელი ფენა, აგრეთვე, მექანიკური და ორგანული ნაღებები. საცეცხლური მოთავსდა (5-25%) ჭიანჭველმჟავას ხსნარში, გაცხელდა ადუღებამდე. გაცივების შემდეგ ამოღებულ იქნა ხსნარიდან და გაირეცხა გამდინარე წყალში რბილი ჯაგრისით. სპილენძის მწვანე ფერის მარილის ქვეშ აქა-იქ თავი იჩინა წითელი ფერის სპილენძის ქვეყანგმა. მისი დამუშავება მოხდა 10%-იანი გოგირდმჟავათი, ხოლო ლითონურ მდგომარეობამდე საბოლოო აღდგენა – ატომური წყალბადით. ნივთი მოთავსდა მინის ჭურჭელში, დაიფარა გრანულირებული თუთიით, დაესხა წყალი და დროგამოშვებით დროდადრო მცირე რაოდენობით დაემატა კონცენტრული გოგირდის მჟავა. რეაქციის შედეგად გამოყოფილი წყალბადი მეტად აქტიურია და ძლიერი აღმდგენელი თვისებებით ხასიათდება. ის შედის ნივთის ფორებში და აღადგენს სპილენძის ქვეყანგს ლითონურ მდგომარეობამდე. შემდეგ საცეცხლური გაირეცხა რბილი ჯაგრისით ჯერ გამდინარე წყალით, შემდეგ რამდენიმეჯერ – გამოხდილი წყალით. თერმოსტატში გაშრობის შემდეგ მას ჩაუტარდა კონსერვაცია პარალოიდ B-72ის აცეტონ ხსნარით (იხილეთ სურათი 7, 8).

საცეცხლურები, ისევე როგორც მუზეუმში დაცული ყველა ნივთი, ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნიმუშებია და მათ სათანადოდ მოვლა-დაცვა სპეციალისტთა ყოველდღიური საზრუნავია.

ლიტერატურა:

1. ც. აბულაძე, რ. ბახტაძე, 1963წ. —სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია. თბილისი.
2. ლ. ბერძენიშვილი, 2011წ.: ქრისტეს გზა. ლიტურგიკა და კატეხიზმო. თბილისი.

3. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, 1989წ., თბილისი.
4. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2011წ.
5. სულხან-საბა ორბელიანი, 1993წ.: ლექსიკონი ქართული, II, თბილისი.
6. ქართული საგანძური, ქართული ნაქარგობა, ქარჩხაძის გამომცემლობა, 2011წ.
7. საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, 2006წ.: ჩვენთან არს ღმერთი, რეგისტრირებული კავშირის გამომცემლობა, თბილისი.
8. К. Никольский, 1999г.: – Учебный устав Богослужения.т1, Москва
9. Михаил Скабалланович , 1995г.:– Толковый типикон . Москва
ინტერნეტში მოძიებული მასალების მისამართები:
10. Михаил Сафронов – 2010г.. Консервация вместо реставрации . Электронная версия .
[Aechtt://www. archekon. com.](http://www.archekon.com)
11. [www.Children. dsi. ge. /Sarcmunoeba/ /legsikoni/ churcheli/ htm.](http://www.Children.dsi.ge./Sarcmunoeba/ /legsikoni/ churcheli/ htm)

Manana Bakuradze

RESERVATION AND CONSERVATION OF DEFENDED CENSERS OF KUTAISI HISTORICAL MUSEUM

Censer is a little metal vessel (gold, silver, copper). During the christian divine service a piece of ember or hot coal is put into the censer and incenses (pleasant aromatic thing) are added to the incense-burner, they melt on a piece of coal and produce sweet smell of smoke.

Censers are saved in Kutaisi Historical Museum among the carved metal collection and ethnology section.

Two censers saved in the carved metal collection fund turned out to have the end of coal and incenses stuck inside in the bottom and on the edge of censers. Both censers were covered with mechanical and organic spots and the end left after burning the coal and incenses. Some areas were covered with black sulfurous silver layers. The censers were washed by warm soapy water, cleaned by a mechanic scalpel and a soft brush. The sulfurous silver layer was removed by the wetted and squeezed tampons in trilon - B. After cleaning, it appeared that one censer inside was covered with copper, which was spotted with thick layer of salt of copper in some areas, they were removed by the wetted and squeezed tampons in 10% trilon-B and the mechanic scalpel. Having finished the works the censers were washed by the soft brush, first with running water and then several times with distilled water. After drying in thermostat the conservation was done by paraloid B -72 acetone solution.

The silver censer saved in ethnology section is gilded. It is known that silver things usually were mixed with copper for increasing the firm. When a copper and silver mixed thing is gilded, at this time because of electrical potential of different metals the energetic galvanic couple present themselves. As a result, in case of corrosion the most active metal copper is going to start rusting first. This procedure is taking place in the depth of a thing, as a result, rust of less noble metal starts coming out in phase. There was carbon disease on the censer, it had the dark green and sky layers, the dark green warty layers of salt in some areas, the mechanic and organic layers too. The censer was put in

(5-25%) formic acid till boil. After cooling it was taken from solution and was washed in running water by the soft brush. Under the green copper salt some copper protoxide presented themselves. They were treated by 10 % sulphur solution and was recovered as metal by atomic hydrogen. The censers were washed by the soft brush, first with running water and then several times with distilled water. After drying in thermostat the conservation was done by paraloid B -72 acetone solution.

The censor saved in ethnology section had two types of disease: chloride and carbon. There were some dark green and sky spots there (carbon) light green patina and (chloride) dark green warty layers. For removing chloride the censor was put into 5-10 % potassium

solution. After removing chloride and the carbons little red copper protoxide presented themselves and the metal turned out to be fragile. Atomic hydrogen procedure of metal was necessary. After that it was washed by the soft brush, first with running water and then several times with distilled water. After cleaning, it appeared that the censor was silvery, there are only little evidences left on the censor now. After drying in the thermostat, conservation was done by paraloid B-72 acetone solution.



არქეოლოგიური კერამიკული ნაკეთობების რესტავრაცია – კონსერვაციის საფუძვლები

კერამიკა (ბერძნული *keramike*–დან – სამეთუნეო ხელოვნება; *keramos* – თიხა) თიხისა და მინერალური დანამატების ნარევი მასების, აგრეთვე ოქსიდებისა და არაორგანული შენაერთების შეცხოება – გამოწვით მიღებული მასალები და ნაკეთობებია. მეთუნეობა ძველი ადამიანის ერთ-ერთი შესანიშნავი გამოგონებათაგანია. არქეოლოგიური მონაცემები თვალნათლივ მოწმობს, რომ მეთუნეობა ნეოლითის ხანიდან იწყება, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები მას უკვე ძვ. წ. VIII–VII ათასწლეულებში იცნობდნენ, ქუთაისში ძვ.წ.VIII —VII საუკუნეების ფენებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მასალები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ქალაქის ხელოსნური წარმოების ისტორიისათვის. რკინის წარმოების გვერდით აყვავებას განიცდიდა სამეთუნეო საქმე, სწორედ განვითარებული ნეოლითის ხანაში ამზადდებდნენ ცეცხლზე გამომცვარი თიხის ჭურჭელს. კერამიკული წარმოების ცალკე ხელოსნურ დარგად გამოყოფის ერთ-ერთი უტყუარი მოწმობაა კერამიკული ჩარხის შემოღება. კერამიკული წარმოების ხელშემწყობი ფაქტორებიდან, პირველ რიგში, აუცილებელ პირობას ნედლეული– კერამიკული თიხა წარმოადგენს, რომლითაც მდიდარია საქართველო– ქუთაისის მიწა–წყალი. სწორედ აქ აღმოჩენილი ჭურჭელი იქნება შემდგომში ჩვენი განხილვის საგანი მათზე ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოებთან ერთად. როგორც აღვნიშნეთ, კერამიკული წარმოების ძირითადი ნედლეული თიხაა. იგი დანალექი ქანების ერთ-ერთ ძირითად და გავრცელებულ ჯგუფს განეკუთვნება. განათხარ მასალაში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია თიხის ჭურჭელი, რომელიც უმეტესად დამტვრეულია და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ფრაგმენტების სახით აღწევს ჩვენამდე. მინერალური თვალსაზრისით თიხა მინდვრის შპატის შემცველი ქანების მთლიანი ან ნაწილობრივი გარდაქმნის პროდუქტს წარმოადგენს, რომელიც დედამიწის ქერქში მიმდინარე ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების ზემოქმედების შედეგად სხვადასხვა ქანების დაშლის პროდუქტია, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს ბუნებაში. ცნობილია თიხის მრავალი სახეობა, მაგრამ ყოველი მათგანის შემადგენლობაში აუცილებელი და მთავარი კომპონენტი ალუმინის ოქსიდი და სილიციუმის დიოქსიდი. მეორეხარისხოვანი მინარევების რაოდენობა დამოკიდებულია იმ ძირითად ქანებზე, რომლიდანაც მოხდა თიხის წარმოშობა. აქედან გამომდინარე თიხის მინერალოგიური ხასიათი შეიძლება ფართო ზღვრებში იცვლებოდეს. თიხაში ყველაზე მნიშვნელოვანი რაოდენობით ვხვდებით ტუტე და ტუტე მიწათა ლითონებს, რომელთა რაოდენობა მერყეობს 1%–მდე, მაგრამ ზოგჯერ მათი შემცველობა 3% აღწევს, აგრეთვე რკინას (სხვა ელემენტებთან კავშირში). მნიშვნელოვანი მინარევებია კვარცის ქვიშა, ქარსი, რკინოვანი კარბონატები, სულფატები და ორგანული მინარევები. ნატრიუმის და კალიუმის მარილების დიდი რაოდენობით არსებობა თიხის მერყეობას იწვევს. ხსნადი მარილები მაგალითად სულფატები ნაკეთობის ზედაპირზე გახუნებულ ადგილებსა და ლაქებს წარმოქმნიან და აუარესებენ ნაკეთობის ზედაპირის შეჭიდულობას ლესილთან. მოყვითალო– მომწვანო ფერის გახუნებული ადგილები კი შეიძლება ვანადიუმის ხსნადმა მარილმა წარმოქმნას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თიხაში შედის რკინაც სხვა ელემენტებთან კავშირში, მაგალითად პირიტი, რკინის ჰიდროქსიდები–ლიმონიტი, კარბონატები–სიდერიტი და რკინის ოქსიდები. კვარბონატები მაგნიუმისა და განსაკუთრებით კალციუმის ჩანართების სახით მავნე მინარევებია, რომლებიც იწვევს გამომწვარი ნაკეთობის დაშლას. ასევე ადვილდნობადი თიხების შედგენილობაში შედის თაბაშირი ჩანართების სახით. მაღალ ტემპერატურაზე გამოწვის დროს შეიძლება წარმოქმნას

გამონადნობები გამჭვირვალე მომწვანო მინის სახით. თიხებს მრავალი თვისება გააჩნიათ, რომელთაგან მნიშვნელოვანია პლასტიურობა-ე.ი. ტენიანი თიხის უნარი წნევის შედეგად მიიღოს ესა თუ ის ფორმა და შეინარჩუნოს იგი წნევის დამთავრების შემდეგაც. თიხების მაღალმა პლასტიურობამ თავიდანვე განაპირობა მათი გამოყენების ფართო შესაძლებლობები. ჯერ გამოუნვავი, შემდეგ კი თერმულად დამუშავებული თიხის მასის ფორმა, გახდა პირველადი მოხმარების საგანი. გამონვის შედეგად შექმნილი თვისებები (სიმაგრე, წყალგაუმტარობა, ცეცხლმედეგობა) და მრავალსახოვანი კერამიკული ნაწარმის შექმნის შესაძლებლობები მეთუნეობის განვითარების მნიშვნელოვან პერსპექტივებს იძლეოდა. თიხას აქვს შეკუმშვის უნარი, სხვადასხვა თიხებში ეს თვისებები სხვადასხვაგვარია. ცეცხლგამძლეობა- ე.ი. უნარი გაუღებლად გაუძლოს მაღალ ტემპერატურას, იგი დამოკიდებულია თიხის მინერალურ შემადგენლობაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ თიხები თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით სხვადასხვა სახეობისა არსებობს. ჩგამონვის შედეგად ჩვეულებრივი თიხა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში მომწვანო-მონაცრისფრო ფერი აქვს, მცენარეული მინარევეების გამო, იღებს თავის ნამდვილ ფერს (მოყვითალო, მოვარდისფრო, მონითალო). კერამიკული ნაკეთობის ფერი დამოკიდებულია თიხის ხარისხზე (დისპერსიულობა, ორგანულ ნივთიერებათა რაოდენობა, რკინისა და კალციუმის ოქსიდების რაოდენობა) გამონვის ხასიათსა და ტემპერატურაზე. ჩვეულებრივ მოხატვამდე ან მოჭიქვამდე კერამიკის ძირითადი ფერებია ყავისფერი, წითელი და შავი. ზოგჯერ ჭურჭელზე წარმოდგენილია ერთდროულად რამოდენიმე ფერი. ყავისფერი კერამიკა თვით ყავისფერი თიხისაგან წარმოდგება, რომელმაც ეს ფერი არ შეიცვალა ან ოდნავ შეიცვალა თიხის ნაწილობრივი გამონვით. არქეოლოგიური კერამიკის შესწავლა საშუალებას იძლევა სრულფასოვნად შევაფასოთ ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის კერამიკული ნაწარმის წარმომავლობა და დავადგინოთ მისი კულტურული კუთვნილება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განათხარ მასალაში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია თიხის ჭურჭელი, რომელიც უმეტესად დამტვრეულია ან ხშირ შემთხვევაში ფრაგმენტების სახით აღწევს ჩვენამდე, ამიტომ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არქეოლოგიურ პრაქტიკაში. ეს პროცესები კი წარმატებით ხორციელდება ქუთაისის ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო-სარესტავრაციო ლაბორატორიაში. აქ ხდება არქეოლოგიური კერამიკული მასალის ფოტოფიქსაცია, განმენდა, შესწავლა, დამატებითი აღდგენა, კოსმეტიკური დამუშავება, რეკონსტრუქცია, სათანადო შეფუთვა და საიმედო შენახვა. ისე როგორც ყველა სამუზეუმო მასალაზე, კერამიკაზეც დიდ გავლენას ახდენს გარემო პირობები (სინათლე, ტემპერატურა, ტენიანობა) ამიტომ მივმართავთ პრევენციულ კონსერვაციას, მაგრამ მანამდე ნივთის დამუშავების (გარეცხვა, გამაგრება, რესტავრაცია-კონსერვაცია) დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კერამიკული ნაწარმის რაობას, უპირველესად მისი გამონვის ხარისხს. კარგად გამომწვარი თიხა უფრო გამძლეა, ვიდრე ცუდად ან სრულიად გამოუნვავი თიხის მასალა. თუ თიხის ნამტვრევებში მოვარდისფრო ზედაპირებს შორის მუქი ნაცრისფერი ზოლი დაუყვება, ეს იმას ნიშნავს, რომ გამონვის პროცესი ბოლომდე არ არის დასრულებული. ამგვარი ხარისხის თიხის ფრაგმენტები საკმაოდ ტიპურია ადრეული კულტურისათვის. არქეოლოგიური კერამიკული მასალა პირველ რიგში საჭიროებს გასუფთავება-გარეცხვას. გარეცხილი კერამიკის ფრაგმენტები კარგად უნდა გამოშრეს და მხოლოდ შემდგომ შეიძლება მათი გამაგრება ან შენეპება. ცნობილია გამაგრების ორი სახე : გარეგანი ანუ ზედაპირული და მთლიანი. გამრობის შემდეგ ფოროვან და ადვილად ფხვნად კერამიკას ესაჭიროება კონსერვაცია, რომელსაც ვასრულებთ თანამედროვე მაღალმოლეკულური სინთეზური პოლიმერით. თუ ნივთი კარგ მდგომარეობაშია, საკონსერვაციო საშუალება ერთ ფენად ესმევა რბილი ფუნჯის დახმარებით, ხოლო ფხვიერი კერამიკა მოითხოვს რამოდენიმე ფენით გამაგრებას. სარესტავრაციო პრაქტიკაში დღეისათვის მრავალი გასამაგრებელი ნივთიერებაა

ცნობილი. იმის მიხედვით თუ რა დაზიანება აქვს კერამიკას ხდება მისი დამუშავება მექანიკურად ან ქიმიურად. უკვე დამუშავებულ და გამაგრებულ ფრაგმენტებს თუ საჭიროება მოითხოვს ვანეპებთ ისეთი ნებოს საშუალებით, რომელსაც ახასიათებს უკუქცევადობის თვისება ე.ი. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიძლებოდეს მისი ნივთიდან გამოყვანა და შესანეპებელი ნაწილების ერთმანეთისაგან დაცილება, აგრეთვე გაშრობის შემდეგ ის უნდა უფერულდებოდეს. გარდა რესტავრაცია-კონსერვაციისა კერამიკული მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს მიღებული შედეგები დავაკავშიროთ არქეოლოგიური მასალის წარმომავლობასთან და სავარაუდოდ დავადგინოთ მათი თარიღი. კერამიკის ანალიზს ახდენენ მრავალფუნქციური სპექტროსკოპით, რომელიც ახდენს დანვრილებითი ანალიზის ჩატარებას, რის შედეგადაც ხდება როგორც ნივთის კომპონენტური შემადგენლობის, ასევე პროპორციების დადგენა. ადგენს თითოეული ფენის ზუსტ ზომებს და ქმნის ციფრულ ვერსიას ფოტოსურათის სახით. ანალიზი ინფორმაციას გვანდის: კერამიკის ტექნოლოგიის, პიგმენტური შემცველობის შესახებ, აადვილებს ნივთის მასალის დადგენასაც. კერამიკის მინერალოგიურ-ტექნოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება დადასტურდეს საქართველოს ტერიტორიაზე მეთუნეთა მაღალკვალიფიცირებული სკოლის არსებობა. ბუნებრივია, რომ თიხის ადრეული ნაკეთობა ხელით ყალიბდებოდა. ჭურჭლის დამზადების შემდგომი ეტაპია მბრუნავი ჩარხი ან მორგვი. კერამიკული ნაკეთობები, რომლებიც დამზადებულია ჩვეულებრივი თიხებისაგან გამოწვის შედეგად გამოირჩევა მქრქალი, ხეშემა, ხშირად ფოროვანი ზედაპირით. გალამაზების მიზნით მის ზედაპირს აპრიალებენ, ფარავენ ჭიქურით, ანგობით, ამკობენ რელიეფური თუ ჭდეული ორნამენტებით და სხვა. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ექსპონატებს, მათ შორის კერამიკას უდიდესი ეროვნული ღირებულება გააჩნია. მათზე ზრუნვა რესტავრაცია კონსერვაციის ლაბორატორიის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს, ამიტომაც მნიშვნელოვანია მსოფლიოს წამყვანი სარესტავრაციო ცენტრების გამოცდილებაზე დაყრდნობით ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რესტავრატორთა ფუნქციებისა და უფლება მოვალეობების ისეთი გადანაწილება, რომელიც უზრუნველყოფს რესტავრაცია-კონსერვაციის ლაბორატორიის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულ განხორციელებას, ჩატარებული სამუშაოების და იმ მნიშვნელოვანი პირობების მიმოხილვას, (თანამედროვე სარესტავრაციო-საკონსერვაციო მასალები და აპარატურა) რომელთა გადაჭრა ლაბორატორიის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ლიტერატურა:

1. ლანჩავა ო; 2007, ქუთაისის არქეოლოგია.
2. ქარციძე ნ; 2010, შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა ქუთაისიდან.
3. ბოჭორიშვილი ლ; 1949, ქართული კერამიკა I კახური. თბილისი.
4. დრ. ჰერმან ჰეხტი; 1935, კერამიკის სახელმძღვანელო. ტფილისი.
5. ჯაოშვილი ვ; 1958, კერამიკული მრეწველობა საქართველოში.
6. ქომეთიანი გ. მერაბიშვილი მ; 1967, თიხები და მათი გამოყენება.
7. Казанский Ю .П.; 1965, Глины и глинистые материалы Сборник статей Москва.


Nana Epadze, Eliza Giorgobiani

BASICS TO THE RECONSTRUCTION-CONSERVATION OF THE ARCHEOLOGICAL CERAMIC

Ceramic or pottery objects (Gr. Keramike-of pottery; and keramos-potter's clay) are objects made from clay, either by itself or mixed with other materials, hardened in fire and subsequently cooled. It is considered to be one of the greatest and most interesting inventions of a man. Essential for the pottery manufacture is the primary product-potter's clay. Georgia and especially Imereti region is very rich in this material.

The study of the archeological ceramic items helps us to evaluate the origins of pottery traditions from ancient periods, as well as to find out their cultural characteristic features. During the excavations archeologist often find crockery broken into pieces or just separate fragments of them. Thus reconstruction and conservation of these samples is a very important mission of the scientists. This project is successfully implemented in a special scientific laboratory in Kutaisi State Museum. The procedures such as foto phyxation of the archeological material, cleaning, studying restoration, cosmetic treatment, reconstruction and preservation take place in the laboratory.

Despite the reconstruction-conservation, analysis of the pottery gives us a chance to connect or link the data to the origins of the archeological material and establish their approximate age. The analysis is conducted by a special multifunctional spectroscope. All the ceramic items and especially ones, kept in Kutaisi State Museum, have a really great cultural value. The main functional aim of the laboratory is analysis, reconstruction and reservation of such items. Therefore it is very important to organize the whole working process properly and distribute the functions and responsibilities to the researchers what, in its turn will provide productive functioning of the laboratory. That is very important for improvement and development of the laboratory as well as for the whole museum.



რესტავრაცია—კონსერვაციის როლი სამუზეუმო ექსპონატების დაცვის საქმეში

მუზეუმი წარმოუდგენელია სარესტავრაციო ლაბორატორიის გარეშე, რადგან სამუზეუმო ნივთებს ყოველთვის ემუქრება საშიშროება მათი დაავადების და საბოლოოდ მისი განადგურების. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის დაარსებიდან მხოლოდ 1980 წელს მოხდა ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის ჩამოყალიბება. მანამდე ძლიერ დაზიანებული და გამოფენისათვის აუცილებელი ექსპონატები რესტავრაციისათვის მიჰქონდათ თბილისში, რაც რა თქმა უნდა დიდ სირთულეს წარმოადგენდა. 1980-იანი წლებიდან კი ყველა ექსპონატს (ვერცხლი, ოქრო, ბრინჯაო, სპილენძი, რკინა, ტყვია, კერამიკა, ქალაღი, ხე, მინა) ადგილზე უტარდება რესტავრაცია- კონსერვაცია. სარესტავრაციო ლაბორატორიას დიდი როლი ენიჭება ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ექსპონატების, როგორც გადარჩენის საქმეში ასევე ექსპონატის ასაკის დადგენაში. განსაკუთრებით რთულია არქეოლოგიური ექსპონატების რესტავრაცია – კონსერვაცია, რადგან მინაში ყოფნის პერიოდში ნივთი განიცდის ქიმიური აგენტების მოქმედებას, რაც ინვეს ძლიერ კოროზიას-ჟანგვას. თუ არ მოხდა რესტავრაციის სწორი მკურნალობის მეთოდის შერჩევა, დაზიანების კატეგორიის დადგენა ნივთი მთლიანად შეიძლება განადგურდეს. რესტავრაცია და კონსერვაცია ნივთებზე სრულიად განსხვავებული მიზნებით ორი სხვადასხვა სახის ზემოქმედებას გულისხმობს. ყოველი ასოციაცია ეროვნული თუ საერთაშორისო გვთავაზობს საკუთარ ინტერპრეტაციას, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში და ერთი ქვეყნის შიგნითაც კი განსხვავებულია.

კონსერვაცია გულისხმობს ნივთზე ადამიანის პირდაპირ ან არაპირდაპირ ზემოქმედებას, რომლის მიზანია ჯანმრთელი თუ დაზიანებული კოლექციებისათვის სიცოცხლის გახანგრძლივება, მაგ. კერამიკისათვის მარილების ჩამოცილება, გრაფიკულ დოკუმენტებში მჟავის განეიტრალება, ეთნოგრაფიული კოლექციების დეზინფექცია, ლითონის ნივთების კოლექციის საცავის გამოშრობა, ხალიჩების, ნაქარგობის, საექსპოზიციო დარბაზში განათების შესუსტება და სხვა.

რესტავრაცია კი გულისხმობს გატეხილი ნივთის შენეკებას. მაგ. კერამიკა და სხვა. მკურნალობა გულისხმობს ნივთზე როგორც ქიმიურ ასევე შერეული მეთოდით მოქმედებას. მაგ. ლითონის ნივთზე დაავადებული პატინის – ჟანგის მოცილებას.

ლაბორატორიის თანამშრომლების კვალიფიკაცია პერიოდულად ხდება თბილისში, მოსკოვში, მონანილეობის მიღება სხვადასხვა ტრენინგებზე, კულტურული მემკვიდრეობის საგრანტო სისტემაში რამოდენიმეჯერ მონანილეობა. მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიები ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-გადარჩენის სიმბოლოა, სწორად გადანყვეტილ პოლიტიკურ ხედვას და ზუსტად განსაზღვრულ მიზანს შეუძლია ეროვნული მემკვიდრეობის სპეციალისტთა ძალისხმევა მიმართოს საერთო საზოგადოებრივი ინტერესებისაკენ, რასაც მნიშვნელოვნად გარკვეულმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. კოლექციების კონსერვაციის საკითხიც ინფორმაციის გავრცელების წყალობით, თანდათან მეტად აქტუალური ხდება, რათა არ დავკარგოთ ბევრი რამ კულტურის მონაპოვრის სახით, რისი დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება.




პრევენციული კონსერვაცია არ არის ჩვენი დროის აღმოჩენა, იგი გულისხმობს აზროვნების შეცვლას. თუ ადრე ცალკეული ნივთის გადარჩენას მოითხოვდა, დღეს კოლექციების გადარჩენას გულისხმობს. თუ გუშინ ვფიქრობდით პროფესიონალზე დღეს უნდა ვიზრუნოთ პროფესიონალთა გუნდზე, თუ გუშინ ვლაპარაკობდით საიდუმლოებაზე, დღეს უნდა ვილაპარაკოთ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებაზე. მოქმედების სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ სამუზეუმო საქმიანობაში

მთავარი მამოძრავებელი ღერძი გახდეს პრევენციული კონსერვაცია. პირველ რიგში გამოიყოს მონესრიგებული საცავები და პირველი კატეგორიის დაზიანებული ექსპონატები და არა ის ნივთები რომლებიც საუკუნეებს გაუძლებს. ეს გულისხმობს ექსპონატებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას, ეს ის საგნებია, რომლითაც ვტკბებით მუზეუმებში მისვლით. დავიცვათ ისე, რომ არ გახდეს სამკურნალო და ეს არის მოქალაქეობრივი მიდგომა. ყველას მოვალეობაა რესტავრაციაზე დიდი თანხების ხარჯვას იცოდეს მისი მოვლის ელემენტარული წესები, რათა გაუხანგრძლივოს მას არსებობა და პირვანდელი სახით გადასცეს მომავალ თაობას. ყველა ნივთი როგორი მასალითაც არ უნდა იყოს დამზადებული ზიანდება, მათ განსაკუთრებული გაფრთხილება და მოვლა სჭირდება, რადგან ის ერის კუთვნილებაა, მისი დაცვა კი ჩვენი მოვალეობაა, რომლის პირნათელი შესრულება ეროვნული მემკვიდრეობის მუდმივი თუ არა ხანგრძლივი არსებობის გარანტიაა. ამ მისიას ემსახურება სამ ათეულ წელზე მეტია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ქიმიურ — სარესტავრაციო ლაბორატორია, სადაც ასეულობით უნიკალურ ექსპონატებს ჩაუტარდა რესტავრაცია-კონსერვაცია, რომელსაც ხელმძღვანელობენ ლაბორატორიის კვალიფიციური სპეციალისტები, ამ რთული საქმის შესრულებაში სათანადოდ ხელს უწყობს მუზეუმის ხელმძღვანელობა.

Eliza Giorgobiani

THE ROLE OF RESTORATION-CONSERVATION IN PROTECTING MUSEUM EXHIBITS

Museum is incredible without a restoration laboratory, because several museum pieces are always facing the threat of damage. Since foundation of museum, only in 1980 was established a restoration laboratory. Laboratory has very important meaning for determining the age of museum artifacts and survival. Restoration and conservation of archeological objects is difficult because very often things are broken. Restoration and conservation are different things. The goal of conservation is to prolong the life of the damaged items. And restoration is to restore things. Exhibits required warning. Restaurateur duty is to protect objects. In this case at Kutaisi museum there is Restoration division. The place where many items are restoring and conservating. There are working Qualified specialists. The museum administration promotes them for this work.





ბიბლიოგრაფია
BIBLIOGRAPHY

ილია ბახტაძის ბიბლიოთეკა

(დაცული ისტორიულ მუზეუმში)

*„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი“.*

ილია ბახტაძე (ი. ხონელი) მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა. მან ქართული ჟურნალისტიკის, კერძოდ, საფელეტონო ჟანრის განვითარებაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა. თითოეული მისი ფელეტონი მიმართული იყო არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ, გაბედულად ეხმაურებოდა თანამედროვეობის თითქმის ყველა მთავარ პრობლემას და საჭირობოროტო საკითხს. მას კარგად ემარჯვებოდა სატირის ყველა სახეობა, დაწყებული მსუბუქი იუმორით და დამთავრებული ირონიით. ი. ხონელი იყო დიდად განვითარებული, ფართო ჰორიზონტის პუბლიცისტი და მწერალი, რომელიც შეუპოვრად ებრძოდა ანტისაზოგადოებრივ რეაქციულ ძალებს, სოციალურ უკუღმართობას. ამ ბრძოლას მოახმარა მან მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიცოცხლე (დ. ნაცვალაძე 1960:137).

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, მამულის ერთგულებაში დაფერფლილის ი. ხონელის შესახებ ლიტერატურა მეტად მწირია.

ილიას მამა - ლუკა მათეს ძე ლარიბი და მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი მღვდელი ყოფილა, დედა - ქრისტინე დავითის ასული ქორქაშვილი ასევე ლარიბი აზნაურის ოჯახიდან იყო გამოსული. თანამედროვენი ლუკას ახასიათებდნენ, როგორც დაუღალავ, ენერგიულ მწიგნობარ კაცს.

ლუკა და ქრისტინე ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მაგრამ არაფერს ზოგავდნენ შვილების აღზრდისათვის. ილია პირველი ვაჟიშვილი იყო, დაიბადა 1859 წ. დაბა ხონში. რვა წლისა მამამ შეიყვანა კლასიკურ გიმნაზიაში. მას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი სამშობლოს სამსახური. გულდასმით ეცნობოდა გამოჩენილი ქართველი მწერლების თავდადებულ საქმიანობას ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ი. ხონელი ვერ შეეგუა გიმნაზიის კედლებში გამეფებულ უკანონობას, სადაც ქართულ ენას კვირაში ერთ საათს უთმობდნენ და მაშინაც ფორმალურად. გიმნაზიის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე იყო, როცა 1876 წელს გაზეთ „დროებაში“ მოათავსა მამხილებელი კორესპოდენცია გიმნაზიის ლოთ და მატყუარა მასწავლებლებზე (გაზ. „დროება“, 1876 წ. №64).

კორესპოდენციის ავტორი დირექტორმა ლევანდამ გიმნაზიიდან გარიცხა. 1876 წელს ი. ხონელი უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა პეტერბურგს და თავისუფალ მსმენელად ჩაერიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტში. იგი არ იფიქრებდა მშობლიურ კუთხეს და საჭირობოროტო საკითხებზე წერილებს ათავსებდა თბილისის და პეტერბურგის იმდროინდელ გაზეთებში - „დროებაში“, „პორადკოსა“ და „სტრანაში“.

ი. ბახტაძემ ზედმინევენით კარგად იცოდა რუსული ენა და ლიტერატურა, საოცრად ენამახვილი იყო. გარეგნულად ყველას მოსწონდა ეს მაღალი და ფაქიზი კაცი, რომელსაც სახეს უმშვენიებდა ნაბლისფერი წვერი და იმავე ფერის თვალები.

იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი იყო, როცა „დროებაში“ მოათავსა თავისი პირველი საგაზეთო სტატია „ვიცინოთ თუ ვიტროთ?“ (გაზ. „დროება“, 1881 წ. №68)

სადებიუტო წერილს პოლემიკაც კი მოჰყვა. წერილი ეხებოდა ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტაციას, რომელიც პეტერბურგში წავიდა, რათა სამძიმარი გამოეცხადებინა ალექსანდრე მეორის მოკვლის გამო და ტახტზე ასვლა მიელოცა ალექსანდრე მესამისათვის. დეპუტაციას მეთაურობდა თავადაზნაურობის მარშალი ა. ნიჟარაძე.

გამასხარავებულ დეპუტატებს გადაუწყვეტიათ პასუხი გაეცათ ი. ბახტაძისათვის, მაგრამ უბედურება იმაში ყოფილა, რომ თავადაზნაურობის მარშალს წერა-კითხვა არ სცოდნია. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ი. ხონელი სამშობლოში დაბრუნდა თავადაზნაურობის მარშალს ს. ნიჟარაძეს იგი სახლში მიუწვევია. ილია გაუკვირვებია წერა-კითხვის უცოდინარი მასპინძლის მოწყობილობას. „როგორი კალმისტარი არ გინდათ, აღმასხანას არ ქონდეს: „ვერცხლის, სპილენძის, ძვლის თუ ხისა“ - სიცილით ეუბნებოდა ი. ხონელი ნაცნობებს.

საქართველოში ი. ხონელი 1881 წელს დაბრუნდა და მჩქეფარე ენერგიით ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. იმავე წლიდან იგი მუდმივ თანამშრომლად მიიწვია გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორმა დ. ერისთავმა. ეს გაზეთი უმაღლესი მთავრობის ოფიციალური იყო, მაგრამ მისი რედაქტორი სულ იმას ცდილობდა, რომ იგი პროგრესული გაეხადა. „კავკაზში“ ი. ხონელმა მუშაობა შეწყვიტა, რადგან გაზეთი ხელში ჩაუვარდა რეაქციონერ ტებენკოვს. ი. ბახტაძე აქ თავის ფელეტონებს ბეჭდავდა „კვირის საუბრის“ სახელწოდებით.

ფელეტონებში ი. ბახტაძე დასცინოდა და საზოგადოების თვალში მასხრად იგდებდა გაიძვერა და ყოყონა მოხელეებს, რომლებიც თავს იუპიტერზე მაღლა აყენებდნენ, არნივობას ჩემულობდნენ, პატიოსან მშრომელებს ბელურადაც კი არა თვლიდნენ (დ. ნაცვალაძე, 1960:34).

1885 წ. ი. ჭავჭავაძემ ი. ხონელი მუდმივ თანამშრომლად მიიწვია ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთებულ „ივერიაში“. აქ იგი რვა თვეს მუშაობდა. ი. ჭავჭავაძესა და ხონელს შორის თავი იჩინა მცირე უთანხმოებამ, რამაც გამოიწვია მათი დაცილება. 1887 წელს ი. ბახტაძე გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ თანამშრომლად მიიწვია ნ. ნიკოლაძემ. მან მალე მიატოვა რედაქცია, რადგან ნ. ნიკოლაძემ ეს გაზეთი დაუთმო თუმანიშვილებს, ხოლო მათი მიმართულება, როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენლებისა ი. ხონელის რწმენას ეწინააღმდეგებოდა.

„ნოვოე ობოზრენიეს“ გაყიდვის შემდეგ მისი მთავარი სულისჩამდგმელი ი. ხონელი ქუჩაში დარჩა თავისი ნიჟარიანი ბზის ჯოხით, რომელსაც იგი განუყრელად თან ატარებდა მრავალრიცხოვანი მტრების მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად (გ. ქიქოძე, 1963:200).

1894 წლიდან ი. ხონელი თანამშრომლობდა ჟურნალ „მომამბეში“ მხოლოდ სამ თვეს. ჟურნალის რედაქტორმა ა. ჯაბადარმა მას წინადადება მისცა ქალაქის თვითმმართველობის მუშაობაზე არაფერი დაენერა. ილია „ჩარჩობში მოქცევაზე“ არ დაეთანხმა. იგი წერდა: „განზედ გავუდექ ქართულ მწერლობას. მიზეზი ის გახლავს, რომ არც ვეზირობისთვის ვარ დაბადებული და არც ყმობისთვის“. მოწინავე პროგრესული იდეებით შეიარაღებული, თავისუფლებისათვის მებრძოლი ი. ბახტაძისათვის ყველა რედაქციის კარები დახურული იქნა. მისი მეგობარი გ. წულუკიძე წერდა: „მის სულიერ ძალას მის დაუდგრომლობაში ვხედავ. ის ობოლი სულივით დაძრწოდა და მოსვენებას ვერსად პოულობდაო“ (გაზეთი „კვალი“, 1900:3).

პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად ი. ხონელი დიდი გულისყურით ეკიდებოდა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. 1894 წელს მან თავის დასთან — ელენე ბახტაძესთან ერთად ხონში გახსნა ქალ-ვაჟთა პირველი დანყებითი სკოლა, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა.

საყვარელი სამოქმედო ასპარეზის ჩამოშორებამ დიდი დეპრესია გამოიწვია მის ისედაც დაღლილ და სუსტ ორგანიზმში. იგი ბოჰემური ცხოვრებით ცხოვრობდა ქალაქის უღარიბეს უბანში არსენალის ქუჩაზე, სადაც თავის გამოყოფა არ შეიძლებოდა, ისე იყო აყროლებული ყოველგვარი სიბინძურით.

1899 წელს მას ყელის ქლექი მოერია. გაზაფხულზე გაემგზავრა სოხუმს. იქ გარდაიცვალა. მისი ცხედარი გემით ჩაასვენეს ფოთში, სადაც მისმა მეგობარმა რ. ფანცხავამ გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა: „შენ სულით და გულით, ტემპერამენტით, მთელი შენი არსებით ნამდვილი ჟურნალისტი იყავი. თუ გაუტანელი ისტორია ქართული ნორჩი ლიტერატურისათვის ოდესმე მოიცლის, იმედა,

შენც მოგიხსენიებს, როგორც პატიოსან, ნიჭიერ, მუშა მწერალს” (გაზეთი „კვალი“, 1900, №31).

ხონელის გარდაცვალება დიდად განიცადა მისმა კოლეგამ დ. კეზელმა, რომელიც წერდა დ. სოსლანის ფსევდონიმით. მან წიგნი მიუძღვნა მეგობარს: „Памяти друга и товарища по перу”. ციმბირიდან იგი გულისტკივილით აუწყებდა მის შვილს - თბილისის გიმნაზიის მოსწავლეს, ი. ხონელის გარდაცვალებას და აძლევს რჩევას: „Буд таким же скромным, безкорыстным и искренним слугой родины, каким был покойный мой друг Илико!”

ი. ბახტაძის გარდაცვალება საზოგადოებას აუწყა იმდროინდელმა ჟურნალებმა და გაზეთებმა. 1920 წლის ივლისში ი. ხონელის წლისთავზე სიტყვა წარმოთქვა დიდმა პოეტმა აკაკი წერეთელმა. ასეთი გაბედული სიტყვის წარმოთქმა ი. ხონელის საფლავზე მხოლოდ აკაკის შეეძლო. მან დაახასიათა ხონელი, როგორც ნიჭიერი კალმოსანი, მათრახი გადაკრა ზოგიერთებს, რომლებმაც საშუალება არ მისცეს ამ ნიჭიერ კალმოსანს, მწერლობა განეგრძო. თავისი სიტყვა აკაკიმ ასე დაამთავრა: „ძმაო, ილია, მშვიდობით. შენი კალამი მუდამ ბასრ ხმაზე უკეთესად ჭრიდა. შენ თავზარის დამცემი იყავი ჩვენი მტრების. მშვიდობით განისვენე ილია. შენს ღვანლს და ამაგს ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს”. შესანიშნავად შეაფასა ი. ხონელის შემოქმედება გერონტი ქიქოძემ: „ი. ხონელი აუცილებლად ერთ-ერთი გონებამახვილი, გემოგანვითარებული და განათლებული მწერალია მე-19 საუკუნეში. შეიძლება ითქვას, ის ტრაგიკულიცაა, ვინაიდან ნაწილობრივ უკუღმართი აღზრდის, ნაწილობრივ უკუღმართი პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირობების ზეგავლენით ის იძულებული იყო თავის სიყვარული სამშობლოსადმი უცხო ენაზე გამოეთქვა” (გ. ქიქოძემ 1963:230).

ი. ბახტაძეს და მის ძმებს ჰქონდათ უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც მათი ოჯახის სურვილით (მისი ძმის არკადისა და დის ელენეს შემოწირულობით) გადაეცა ქუთაისის ისტორიულ მუზეუმს და დღესაც მუზეუმშია დაცული.

ხელნაწერთა განყოფილებაში არქივში ინახება ბრძანება განათლების სახალხო კომისარიატის, რომელიც თხოვნით მიმართავს მუზეუმის დირექტორს (ტრ. ჯაფარიძეს) ილია ხონელის და მისი ძმების სერგო და ლუკა ბახტაძეების ნივთები მოათავსონ მუზეუმში (ქიმ. 192/866).

აქვეა აღმასკომის ნებართვა ისტორიული მუზეუმისადმი: „გაცნობებთ, რომ თქვენ აღმასკომის მიერ ნება გეძლევათ გარდაცვალებულ ხონელის (ი. ბახტაძის) ხონში არსებული წიგნების და ნივთების აღწერა” (ქიმ. 192/774).

არქივში აღმოჩნდა აგრეთვე მუზეუმის დირექტორის ბრძანებები 1926 წელი 23 თებერვლისა და 4 იანვრის, სადაც ტ. ჯაფარიძე აცნობებს აღმასკომის ხონში არსებული ი. ბახტაძის ბიბლიოთეკის აღწერისა და მუზეუმში გადატანის შესახებ (ქიმ. 192/773, ქიმ. 192/781).

ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება რამდენიმე წერილი ი. ბახტაძის დის ე. ბახტაძის. მას მიმონწერა ჰქონდა მუზეუმის დირექტორთან ტ. ჯაფარიძესთან. აღსანიშნავია ერთი მათგანი, რომელიც 1926 წლის 4 ივლისითაა დათარიღებული: „როგორც გადმომცა მე ჩემმა ძმამ არკადიმ, ბიბლიოთეკა ჩაგიბარიათ. ახლა გთხოვთ, მაცნობოთ და გამომიგზავნოთ ასლი ჩაბარებული ბიბლიოთეკის” (ქიმ. 192/829).

ამრიგად, სრული კანონის დაცვით 1926 წელს ი. ბახტაძის ბიბლიოთეკა გადაეცა ქუთაისის ისტორიულ მუზეუმს, წიგნები უნიკალურია და დღესაც არ კარგავენ თავის მნიშვნელობას. ისინი შეიძლება დავყოთ სხვადასხვა დარგის წიგნებად: საეკლესიო, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, პედაგოგიკის, საყმანვილო ლიტერატურის, ენათმეცნიერების. წიგნები არის ქართულ, ფრანგულ, რუსულ ენებზე, სულ 640 წიგნი, დათარიღებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრით.

1. საეკლესიო წიგნები — 14.

აქაა დ. ღამბაშიძის, მ. ჯანაშვილის, ლ. ტურიევის და სხვათა ლიტერატურა.

2. ფილოსოფია, ფსიქოლოგია — 14.

ისინი თარიღდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრით.

3. პოლიტიკური მეცნიერება, კანონმდებლობა და სოციოლოგია, ეკონომიკა, სტატისტიკა — 165.

ბიბლიოთეკაში გვხვდება მთავრობის განკარგულებათა კრებულის საგნობრივი სარჩევი, კანონთა და მთავრობის განკარგულების კრებული (1919, 1920 წ.), რუსეთის იმპერიის კანონი (1876 წ.), სასამართლო თურქეთში (1909 წ.) და სხვა.

4. ბუნებისმეტყველება, სასოფლო-სამეურნეო, ასტრონომია - 34.

მე-19 საუკუნეში დაინტერესებული იყვნენ ვაზის მოშენებით და უმრავლესობა ეძღვნება მას.

5. ისტორია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება — 55.

მ. ჯანაშვილის, ი. ჯავახიშვილის, ღამბაშიძის, ი. ბახტაძის წიგნები.

6. სიტყვაკაზმული პოეზია, პუბლიცისტიკა, ხალხური პოეზია — 141.

აქაა ნერეთლის, ნ. ნაკაშიძის, ს. ხუნდაძის, გ. გოგოლაძის, თ. დოსტოევსკის, ა. გრიბოედოვის, გერმანელი კლასიკოსის ჰენრიხ ჰაინეს 15 ტომი და სხვათა ლიტერატურა.

7. პედაგოგიკა, საყმანვილო ლიტერატურა — 21.

ძირითადად ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები ქართულ და რუსულ ენაზე.

8. ენციკლოპედია, გრამატიკა, ლექსიკონი, კალენდარი — 41.

ფრანგულ-რუსული ლექსიკონი „Большая энциклопедия“ — 20.

რუსულ-ქართული ლექსიკონი „Жизнь животных“ — 10.

100-ზე მეტი პერიოდული გამოცემები და სხვადასხვა დარგის ჟურნალები, „აკაკის თვიური კრებული“ (1897 წ. 1898 წ.), „განთიადი“ (1915 წ.), ჟურნ. „კლდე“ (1912 წ.), ჟურნ. „მოამბე“ (1913 წ. 1914 წ.), ჟურნ. „ივერია“ (1894 წ. 1905 წ.).

გაზ. „Новое обозрение“ (1987 წ. 1989 წ. 1890 წ.

გაივლის წლები, ჟამთა სვლა ვერაფერს დააკლებს უნიკალურ შედეგებს. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი კვლავ სათუთად დაიცავს ი. ბახტაძის ბიბლიოთეკას. აქ არსებული ლიტერატურა მრავალ მკვლევარს გაუადვილებს მუშაობას, რითაც ახალი ფურცელი ჩაინერება ქართული მეცნიერების, ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში.

ლიტერატურა:

1. გაზ. „დროება“, 1876 წ. №64, №68.

2. გაზ. „კვალი“, 1900 წ. №330.

3. ნაცვალაძე დ. 1960 წ. ი. ბახტაძე, თბილისი.

4. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ისტორიული მუზეუმის არქივი. ქიმ. 192. №452, 773, 774, 780, 830, 835, 866.

5. ქიქოძე, 1963 წ. თხზულებათა სრული კრებული. ტ. I. ლიტერატურული წერილები და პორტრეტები, თბილისი.

6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1977 წ. ტ. V. თბილისი.

7. Сослан Д. 1901 г. `Памяти друга и товарища по перу, Тифлисъ.

Tisia Grigolava

I BAKHTADZE LIBRARY

(Saved in historical museum)

I. Bakhtadze (I. Khoneli) is one of the eminent public men of XIX century. He played a great role in the development of Georgian journalism, especially in light literary style. He was excellent in all kinds of Satire, starting from light vein of humour and ended with irony.

Ilia's father- Luka (patronymic Mathe) was a priest and had a poor and large family. His mother Kristin David Korkashvili was also from poor nobleman's family. Ilia was born in 1859, in borough Khoni. He was eight years old when his father took him to classical gymnasia, but he couldn't adapt to illegality of gymnasia. Only one hour was used for Georgian language per week there and it was formally. In 1876 he was a final year student when he published accusatory correspondence in the newspaper "Droeba" about drunkard and fraud teachers of gymnasia.

The director excluded author of correspondence from gymnasia. In 1876 I. Khoneli went to Petersburg for obtaining higher education there and he enrolled at Petersburg University as a free student. Ilia didn't forget home city and published letters in the newspapers of Tbilisi and Petersburg as were: "Droeba", "Poriadko" and "Strana".

I. Bakhtadze knew Russian language and literature fluently. He had amazingly sharp tongue. Outwardly everybody liked him. He was a tall and handsome man with brown beard and eyes.

I. Khoneli returned to Georgia in 1881 and he involved in public activity with full of energy. In the same year he was invited by D. Eristavi, editor of newspaper "Kavkaz", but soon he left his work. I. Chavchavadze invited I. Bakhtadze at newspaper "Iveria". He worked there for eight months, but soon they had disagreement and he left editorial staff.

In 1887 I. Bakhtadze was invited in the newspaper "Novoe Obozrenie" by N. Nikoladze. But due to disagreement he left the newspaper. In 1894 Khoneli collaborated with journal "Moambe" only for three months. Besides public activity Ilia paid great attention to education of the young generation. In 1894 he opened elementary school for women and men with his sister Elene Bakhtadze in Khoni.

In 1899 he fell ill of throat tuberculosis. In spring he went to Sukhumi and died there. His dead body was sent in Poti by ship. His friend R. Pantskhava delivered an oration and his colleague D. Kezel, who was famous under a pen-name of D. Soslan, dedicated a book "Memory of pen friend and comrade".

I. Bakhtadze and his brothers had a unique library and it was donated to historical museum by his brother Arkad and sister- Elene. Today the library is saved in the museum.

At the department of manuscripts, at archives of historical museum is saved orders of the director of museum T. Japaridze on registration of I. Bakhtadze's library and its transfer to the museum.

The books are unique, dated with second half of XIX century, there are 640 books in Georgian, Russian, French languages. They can be divided into different branches: church, philosophic, psychological, historical, archeological, pedagogical, infantile literature, linguistic and others.

More than 100 of periodical editions and different kind of magazines are saved there. Many years will pass and the unique masterpieces of I. Bakhtadze library will be tenderly saved at historical museum.

ციცინო ლელაძე

ჩვენს ქალაქის აღმსარებელი – შოთა კაკაბაძე

ჩვენს ქალაქში ცხოვრობს ძირძველი ქუთათური, დიდგვაროვანი ოჯახიშვილი, დიდი ექიმი, საზოგადო მოღვაწე, ერისა და ქვეყნის ბედ-იღბალზე მუდამ დაფიქრებული, კაცთმოყვარე, ენციკლოპედიური განათლების, დიდი ბიოგრაფიის მქონე პიროვნება ბატონი შოთა კაკაბაძე უხმაუროდ, შინაარსიანად და უმნიშვნელოდ განვლილი ცხოვრებით, სიკეთის მთესველი, ღირსების ორდენოსანი, ქუთათურებისათვის ნამდვილად საპატიო მოქალაქე.

ბატონ შოთას წელს დაბადებიდან 87 წელი, ხოლო სამედიცინო მოღვაწეობიდან 58 წელიწადი შეუსრულდა.

დაიბადა 1925 წელს ქ. ქუთაისში, საუკეთესო ქართული ტრადიციების მქონე ინტელიგენტის ოჯახში. მამამისი შოთა კაკაბაძე გახლდათ ცნობილი ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე, დედა – ნინო კაკაბაძე კი პედაგოგი.

1941 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ქუთაისის მეორე საშუალო სკოლა. 1947 წელს ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი. მისგან კარგი ინჟინერ-კონსტრუქტორიც დადგებოდა. ამაზე ის შექმნილი ხელნაკეთი ნივთები მეტყველებს, რომლის ნახვასაც მნახველი ალტაცებაში მოჰყავს. არანაკლები გამომძიებელიც იქნებოდა, საოცარი ალღოს წყალობით, თუმცა ყველა ნიჭი და უნარი მან ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში ჩააყენა და არაერთის სიცოცხლე გაახანგრძლივა.

1955-1958 წლებში ბატონი შოთა სწავლობდა ქ. მოსკოვში, კლინიკურ ორდინატურაში, საიდანაც მოხალისედ, როგორც პირველი „ყამირელი ექიმი“, სამუშაოდ წავიდა ყაზახეთის სსრ-ში, სადაც მუშაობა უხდებოდა უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში.

მალე მას, სამედიცინო მოღვაწეობის გაგრძელების მიზნით, ტოვებენ ქ. მოსკოვში, რსფსრ ჯანმრთელოს დაცვის სამინისტროს დახურულ №1 ცენტრალურ პოლიკლინიკაში, რომელსაც ოჯახური პირობების გამო ტოვებს და სამუშაოდ ქუთაისში ბრუნდება. აქ სხვადასხვა წლებში მუშაობა მოუხდა ქალაქის თითქმის ყველა სამედიცინო დაწესებულებასა და სასწავლებელში, სადაც მას როგორც პროფესიონალ ექიმსა და მომავალი კადრების საუკეთესო აღმზრდელს გზა ყოველთვის ხსნილი ჰქონდა.

ბატონი შოთა არის ფართო პროფილის მქონე ექიმი, გავლილი აქვს სპეციალიზაციის კურსები მედიცინის სხვადასხვა დარგში: ფიზიატრიაში, თერაპიაში, რევმატოლოგიაში, ელექტროგრაფიასა და ოსცილოგრაფიაში.

შოთა კაკაბაძე კერძო პრაქტიკას არასდროს ეწეოდა, მაგრამ ეროვნულ-პატრიოტული შეგნებით, უფასოდ, უმძიმეს სოციალურ და ეკონომიურ პირობებში, ადამიანთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში, როგორც ექიმს, შეჰქონდა თავისი მოკრძალებული წვლილი და ემსახურებოდა განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს. მიდიოდა უფასოდ სამუშაოდ მინისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად, უანგაროდ ემსახურებოდა ომისა და ომში მონაწილეთა ოჯახის წევრებს, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებს. კერძოდ, მან 1995 წელს ოფიციალურად გაზეთებით: „ახალი ქუთაისი“ და „რიონი“ მიმართა კოლეგებს რომ, მათ უფასო მომსახურება გაეწიათ მედიცინის მუშაკებისათვის და დაეცვათ ტრადიციული საუკუნოვანი სამედიცინო კოლეგიალობა.

ბატონი შოთა ოფიციალურად დაშვებული ბრძანების საფუძველზე, როგორც ქველმოქმედი, უფასო მომსახურეობას უწევდა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დევნილ მოსახლეობას. გარდა ქველმოქმედებისა მან არდავინყებას მისცა ანგარდაცვლილი ქუთაისელი, დამსახურებული

პიროვნებები. მისი ოფიციალური წერილობითი სტატიებით, ქუთაისის მერიის და საზოგადოება „ქუთაისელის“ მხარდაჭერით მოხერხდა რომ ბევრ ანგარდაცვლილ დამსახურებული ქუთაისელის უკვდავსაყოფად მათი სახელები ეწოდა დაწესებულებებს, გაუკეთდა მემორიალური დაფები სახლებს, ორგანიზაციებს, მის მიერ დაწერილი არაერთი საინტერესო ისტორიული ნარკვევი, მასალა და წინადადება ქვეყნდებოდა და ეხლაც ქვეყნდება სხვადასხვა გაზეთში. მაგ. 1944 წელს, შოთა კაკაბაძემ, საქართველოს მედიცინის ისტორიაში, პირველად აღწერა „აიერზას დაავადების“ შემთხვევა, რაც ოფიციალურად შეტანილი იქნა ქ. თბილისის ექიმთა დახელოვნების სამედიცინო ინსტიტუტის სამედიცინო ნაშრომთა კრებულში. ბოლო წლებში ბატონმა შოთამ არაერთი საინტერესო ლექსიც დაწერა, წერს ასევე ანდაზებსაც. მისი ერთ-ერთი ლექსი „სამშობლოს და ქართველს“ არის მისი ანდერძი სამშობლოსა და ქართველი ერის მიმართ.

1997 წ. ბატონმა შოთა კაკაბაძემ, წერილობით მიმართა საქართველოს პარლამენტს და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს. „ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის საკითხთან“ დაკავშირებით, რაზედაც, ოფიციალური მადლობები მიიღო როგორც პარლამენტიდან, ასევე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარისაგან, ბატონ მ. სააკაშვილისაგან, რადგან მისი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით იმდენად მისაღები იყო, რომ მალე დაეგზავნა განსახილველად საერთაშორისო ორგანიზაციებსაც.

მან როგორც ქველმოქმედმა, არაერთხელ გადასცა საჩუქრად ისტორიული ღირებულების და მნიშვნელობის ნივთები ქუთაისის ისტორიულ მუზეუმს.

ის დაჯილდოებულია: ღირსების ორდენით, პირაგოვის მედლით, შრომის ვეტერანის მედლით, მედლით შრომითი მამაცობისათვის, „სსრკ ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსანი ექიმის“ მედლით.

არა ერთხელ იყო დაჯილდოებული სამკერდე ნიშნებით „სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებისათვის“. ქ. მოსკოვში და საქართველოში მუშაობის პერიოდში ბრძანებით არა ერთი მადლობა და ფულადი პრემიები აქვს მიღებული შრომის წიგნაკში შეტანით, ასევე დაჯილდოებულია სიგელებით, სამახსოვრო საჩუქრებით და სხვა. არის ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

ჰყავს მეუღლე პედაგოგი, ვაჟიშვილი ექიმი.

შოთა კაკაბაძეს დიდ ექიმს, საზოგადო მოღვაწესა და ქველმოქმედს, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ყველა თანამშრომლის სახელით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და კვლავ დიდხანს, ძალიან დიდხანს ეკეთებინოს ერისა და ქვეყნის სასიკეთო საქმეები.

Tsitsino Leladze

THE PEOPLE OF OUR CITY _ SHOTA KAKABADZE IS 87 YEARS OLD

A man with a brilliant biography and reverent, blameless, substantial past lives in our city. He is the man sowing kindness and goodness, possessing the order of merit and a true honorary citizen of Kutaisi.

Mr. Shota celebrated his 87th anniversary and 58 years of his medical practice this year. He was born in Kutaisi in 1925 in the family of intelligent parents who always protected traditions. In 1941 he graduated from Kutaisi #2 public school with distinctions. In 1947 he graduated from Tbilisi Medical

Institute, the Faculty of Pediatrics. Mr. Shota has worked almost in every state medical institution and school of the city where he was always welcomed as a professional physician and the best teacher to bring up a new generation of doctors. Shota Kakabadze did not perform any private work. However, in the light of national-patriotic consciousness as a doctor he worked free of charge in very difficult social and economic conditions and made his modest contribution to help people in trouble. He gave free help to the casualties injured after an earthquake. He selflessly helped the refugees from Abkhazia and Samachablo, soldiers and their families.

Mr. Shota has written a number of interesting historical essays, collected interesting materials and suggested several proposals that were periodically published and are still published in various newspapers and magazines.

Shota Kakabadze, as a philanthropist, has donated to Kutaisi Historical Museum the items of much historical value and importance several times. Mr. Shota with his brilliant professional and public life gives an example to others. He has been awarded: the order for merit, Pirogov memorial medal, the medal for veteran of labour, the medal for labour valour and the medal for 'the Best Physician of USSR Healthcare'. He is an honorary citizen of Kutaisi.

He has a wife (a teacher) and a son (a physician).

The whole staff of Kutaisi Historical Museum congratulates Shota Kakabadze _ a great physician, a public figure and a philanthropist on his 87th anniversary wishing him a long, healthy life to serve his country and his people.



ალექსანდრე გარსევანიშვილის უცხოში წერილი

იმ მონინავე საუკეთესო ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც თავისი უანგარო შრომით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ახალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში, ერთ-ერთ საპატიო ადგილს იმკვიდრებს ალ. გარსევანიშვილი. იგი იყო სახელგანთქმული მასწავლებელი, პედაგოგიკის საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის მკვლევარი მთარგმნელი და რედაქტორ-გამომცემელი.

ალექსანდრე გარსევანიშვილი დაიბადა ქ. გორში 1864წელს. პირველდანიშნული განათლება იქვე მიიღო. 12 წლისა კი სწავლას აგრძელებს თბილისის პირველ გიმნაზიაში.

გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1883 წელს ალ. გარსევანიშვილი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უანგარო საზოგადოებრივი მუშაობა მან დაიწყო მოწაფეობიდანვე და განაგრძო სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. „მე მუდამ ვემსახურებოდი მშრომელი ხალხის ინტერესებს და ვზრუნავდი მის კულტურის წარმატებაზე — წერს ალ. გარსევანიშვილი თავის გამოუქვეყნებელ მოგონებაში [ზ. კიკნაძე 1959 10.]

მოსკოვის უნივერსიტეტდამთავრებული 24 წლის ალ. გარსევანიშვილი, 1888 წელს უბრუნდება თავის სამშობლოს. იწყებს მასწავლებლობას და საზოგადო მოღვაწეობას როგორც ისტორიკოსი და ფილოლოგი, პედაგოგიურ ნათლობას ღებულობს ქუთაისის ქართულ ოთხკლასიან პროგიმნაზიაში. ალ. გარსევანიშვილის ყველაზე დიდი ნაყოფიერი და ხანგრძლივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ეკუთვნის ქუთაისში ყოფნის პერიოდს, სადაც მისი ყოფნა ორ პერიოდს შეიცავს: პირველი გაგრძელდა 1888 წლიდან 1892 წლამდე, მეორე-1897 წლიდან 1920წლამდე [ზ. კიკნაძე 1959. 18]

ალ. გარსევანიშვილი აქტიურად იყო ჩაბმული ქუთაისის სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. იგი ეწეოდა დიდ საქველმოქმედო მოღვაწეობას წლების მანძილზე. უსასყიდლოდ ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურას, სწავლას ჩამოშორებულ და ასაკგადაცილებულ ღარიბი ფენიდან გამოსულ ვაჟებსა და ქალებს ე.წ. „საკვირაო სკოლაში“ სადაც იგი მუშაობდა დიმიტრი უზნაძის, მარიამ ყაუხჩიშვილის, გიორგი ბადრიძის და სხვა ცნობილ პედაგოგთა და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად.

1892 წელს ალ. გარსევანიშვილმა დროებით დატოვა ქუთაისი და მცირე ხნით მუშაობა განაგრძო თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში. თბილისის სააზნაურო სკოლაში წარმატებით და კარგი მუშაობის შედეგად ალ. გარსევანიშვილი დაანინაურეს და 1897 წელს გადაყვანილი იქნა ქუთაისში, იქ არსებული ქართული სკოლის გამგედ. როცა ეს სკოლა ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა (1898წ.) ალექსანდრე გარსევანიშვილი იქვე იქნა დატოვებული რუსული ენის და ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლად [სახ. გან. ქართველი მოღვაწეები და სახ. მინ. კრ 1. 1953. 27]

უმუშაოდ მის სახელთანაა დაკავშირებული ქუთაისში „ქართული ნიგნის გამომცემელი ამხანაგობის“ ჩამოყალიბება. ეს ამხანაგობა შემდეგ დიდხანს არსებობდა და მან ბევრი შესანიშნავი ნიგნიც გამოსცა.

ალექსანდრე გარსევანიშვილი ავტორია რამდენიმე ნიგნისა მათ შორის აღსანიშნავია: „აკაკი წერეთელი და მისი პოეზია“ 1915 წელს პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოცემული ქართულ და რუსულ ენებზე ჩვენთან ფონდში დაცულია ორი ნიგნი მისი ავტორობით: საფრანგეთის მწერალი ქალი ჟორჟ ზანდი“ [11319] და „გმირი ქალი მათე ყაჩაღად წოდებული“ [11315]. ორივე ნიგნზე ავტორს აქვს მინაწერი რომელსაც უძღვნის თავის დას სონას. ალ. გარსევანიშვილი რედაქტორობდა აგრეთვე სხვადასხვა გამოცემებს. ჩვენთან ფონდში აგრეთვე წარმოდგენილია მისი რედაქტორობით 1889 წელს ქუთაისში გამოცემული კრებული „ცდა“ სულ სამი ნომერი გამოვიდა.

ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი უანგარო შრომა რაც გარსევანიშვილმა გასწია სახალხო უნივერსიტეტის შექმნისა და მისი გაძლიერება განმტკიცებისათვის. როგორც რუსეთის სხვა დიდი საგუბერნიო ქალაქები, ქუთაისიც ეღირსა სახალხო უნივერსიტეტს, რომელმაც 1915 წლამდე იარსება. 1912 წელს სახალხო უნივერსიტეტის ერთგვარი დათვალიერება და შემონახვა კი ჩატარებულა, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მთელს რუსეთის იმპერიაში მეორე ადგილი დაუკავებია (პირველობა სამარისას რგებია) [ივანე ვარლამიშვილი: 1971. 20].

აღ. გარსევანიშვილი გატაცებული ყოფილა თეატრით. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქალაქის თეატრალურ ცხოვრებასთან. თარგმნიდა სარეპერტუარო პიესებს, არა მარტო ქუთაისის, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა თეატრებისათვის.

ალექსანდრე მუსიკის შესანიშნავი მცოდნე და მოტრფიალაც ყოფილა მას საკუთარი ინიციატივით შემოუღია მუსიკის სწავლება ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში (აღრე თბილისშიც). სრულიად უსასყიდლოდ თვითონ ასწავლიდა მუსიკას. ამ საკითხზე საინტერესო ცნობები არსებობს გარდაცვლილი ქუთაისელი ექიმის გ. მირაქოვის მინათხრობიდან, რომლის ბინაში ორ ათეულ წელზე მეტი ხნით (1899-1921წწ.) ცხოვრობდა სწორედ აქ დაახლოებით იგი ქართველ კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს. ალექსანდრე ვიოლინოზე უკრავდა, ზაქარია მას აკომპანიმენტს უკეთებდა პიანინოზე და იმართებოდა „მინაური კონცერტები“. [ივ. ვარლამიშვილი 1991 გვ. 26]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ აღ. გარსევანიშვილს ქუთაისში მოუსწრო. ამის შემდეგ ალექსანდრე ტოვებს საყვარელ ქუთაისს და მიემგზავრება მშობლიურ ქალაქ გორში და მუშაობას იწყებს სახელმწიფო პედაგოგიურ ტექნიკუმში 1923 წელს გარსევანიშვილი გორის სამასწავლებლო სასწავლებლის დირექტორია. [მ. გარიყელი ტ. 2. გვ. 531] სიკვდილამდე (გარდაიცვალა 1936 წლის 20 მარტს) იქ რჩება, თუმცა იგი ქუთაისის ხშირი სტუმარიცაა.

აღ. გარსევანიშვილის ღვაწლი როდი იფარგლება მარტოოდენ პედაგოგიური საქმიანობით იგი, როგორც ყოველმხრივ განსწავლული პიროვნება თვალსაჩინო ადგილს იჭერს საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. მან რუს მკითხველებს პირველმა გააცნო დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის ეკატერინე გაბაშვილის, ეგნატე ნინოშვილის და სხვათა საუკეთესო ნაწარმოებები. [პედ. ინსტ. შრ. ტ. XXV გვ. 299]

ქუთაისიდან საცხოვრებლად გორში გადასვლისას 1921 წელს. აღ. გარსევანიშვილს პირადი ბიბლიოთეკა (საკმაოდ მდიდარი) საჩუქრად გადაუცია ექიმ გ. მირაქოვისთვის ნიშნად ღრმა პატივისცემისა. ამ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მთლიანად გადაეგზავნა ალექსანდრე გარსევანიშვილის ოჯახს ამ უკანასკნელის გარდაცვალების გამო [ქუთაისი 1964წ. 21 იან. გვ. 4]

ანასტასია გარსევანიშვილი-რობაქიძისა (ალექსანდრე გარსევანიშვილი და) რომელიც გარდაცვალებამდე ძმის ალექსანდრეს სახლში ცხოვრობდა დიდი სიყვარულითა და გულმოდგინებით უვლიდა ძმის წიგნებსა და ხელნაწერებს. ამათგან დიდი ნაწილი გადასცა გორის სახელმწიფო-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ნაწილი სახალხო განათლების მუზეუმს ნაწილი საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტს და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმს [ზ. კიკნაძე: 1959. გვ. 7]. გადმოცემის თარიღი უცნობია.

ალექსანდრე გარსევანიშვილის ბიბლიოთეკაზე მუშაობის დროს აღმოვაჩინე სრულიად უცნობი წერილი. რომელსაც გორის ოლქის მთავართუხუცესი დეკანოზ გიორგი ნასყიდაშვილი წერს ალექსანდრე გარსევანიშვილს. წერილში დეკანოზი თხოვს გორის ოქონის საეკლესიო საბჭოს, რომ გადაწყდეს ეკლესიის დარაჯის საქმე, რომლის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე მეტყველებს კონვერტზე არსებული წარწერა იმის თაობაზე, რომ ეს საქმე უსათუოთ დღეს ან ხვალ უნდა იქნეს გადაწყვეტილი. წერილი 1925 წლით არის დათარიღებული. მისი გაცნობის შემდეგ ირკვევა,

რომ გარსევანიშვილს საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ეკლესიასთან, რაზედაც ნაკლებად არის საუბარი მასზე არსებულ ბიოგრაფიულ ლიტერატურაში.

დიდი საზოგადო მოღვაწე სულ სხვა კუთხით წარმოგვიდგა. მიმაჩნია ამ პიროვნების უკეთ გასაცნობად მისი შორეული წინაპრების ისტორია მიმოვიხილოთ.

ალექსანდრე გარსევანიშვილი ძველი შორეული წინაპრების შთამომავალია, მისი წინაპარი ფილიმონი ჩამოსულა ბიზანტიიდან მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში 1032 წელს იგი ყოფილა სასულიერო პირი-დეკანოზი და ოქონის ხატის დეკანოზად ითვლებოდა.

გარსევანიშვილის გვარის ისტორია ერთგვარად დაკავშირებულია ოქონის ხატთან, როგორც ამის საბუთს იძლევა გარსევანიშვილების საგვარეულო ცნობები.

ბიზანტიის კეისარ რომანოზს ოქონის ხატი 1032 წელს სხვა მზითევთან ერთად, მიუცია თავის ასულ ელენესათვის კეისრის შვილი ელენე ცოლად ჰყავდა საქართველოსა და აფხაზეთის მეფეს ბაგრატ მეოთხეს, გიორგი პირველის ძეს ამ ოქონის ხატის დეკანოზად და ელენეს მოძღვრად ითვლებოდა ფილიმონი, რომელიც მომავალ დედოფალ ელენეს საქართველოში გამოჰყვა. დეკანოზ ფილიმონის ერთ-ერთი შტო 1187წ. დეკანოზი გარსევანი იყო. საფიქრებელია რომ გარსევანის რომელიმე შთამომავალმა შემდეგში გარსევანიშვილობის გვარი მიიღო.

დეკანოზ გარსევანის შთამომავალი იყო ვახტანგ მეექვსის დეკანოზი იესე მისი შვილი-უფროსი ვაჟი ივანე, ერისკაცია, ივანეს შვილი იაკობი დეკანოზია. ამ იაკობის შვილი სიმონი ერისკაცია, სიმონის შვილი ალექსანდრე-მამაა ალექსანდრე გარსევანიშვილისა. [ზ. კიკნაძე. 1959. 7].

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უკვე გასაკვირი აღარ არის, რატომ მისწერა ოქონის ეკლესიის დეკანოზმა გ. ნასყიდაშვილმა ალექსანდრე გარსევანიშვილს წერილი.

ვინ უნდა ყოფილიყო ამ ტაძრის „მეურვე“ თუ არა დიდი წინაპრის იესეს შთამომავალი იმ იესეს რომელსაც ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთში წაუღია ბიზანტიის კეისარ რომანოზის მიერ ნაჩუქარი ოქონის ხატი, რომელიც კვლავ გორში ჩამოუტანიათ და მისი სახელობის ეკლესიაში მოუთავსებიათ [იქვე. გვ. 5]

რუსი მწერალი ე. მარკოვი წერს: „გორის ძველ ეკლესიებს სიძველისა და ხასიათის მიხედვით ძნელად ეყოლება მეტოქე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ოქონის ღვთისმშობლის ეკლესია. მისი პატარა, მინაში ჩაზრდილი, ხავსმოკიდებული სამრეკლო, პირამიდული ქვის სახურავით, ბზარებში ამოსული ბალახით, ქვედა სართულის ბრტყელ შვერილზე ყვავილების მწვანე გვირგვინებით და ბალახით წარწერებით აჭრელებული უძველესი თუჯის დაფით“ რომელიც კედელშია ჩაყოლებული, ქვევით თითქმის მინიქვემა მიმავალი საფეხურებით შეიძლება შევადაროთ ყველაზე უძველეს სალოცავს, ასევე მინაში ჩასულ სპას ნაბორუს ეკლესიას.

ქართველი მრევლის საერთო სულისკვეთების გამომხატველი იყო გორის ოქონის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ გიორგი ნასყიდაშვილის წერილი საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავჯდომარის ურბნელი ეპისკოპოსის ქრისტეფორესადმი. როცა დეკანოზმა გ. ნასყიდაშვილმა მრევლს აუწყა საკათალიკოზო საბჭოს გადაწყვეტილება ახალ სტილზე გადასვლასთან დაკავშირებით [ს. ვარდოსანიძე 1001წ.]

გორის ოქონის ეკლესია 1920 წელს გორში მომხდარ მიწისძვრას გადაურჩა, მაგრამ 1927 წელს, ბოლშევიკური ხელისუფლების ნგრევის მსხვერპლი მაინც გახდა.

ჩემი აზრით 1925წ. დაწერილი წერილი გამოსაკვლეფია უამრავ კითხვაზე არის პასუხი გასაცემი გათავაზობთ წერილის სრულ ვერსიას.

P.S. წერილში დაშვებულია მექანიკური შეცდომა. ავტორი დაწერის თარიღად მიიჩნევს 1 მაისს, თუმცა საუბრობს 31 მაისს მომხდარ ფაქტზე. ვფიქრობ, რომ წერილი დეკ. გ. ნასყიდაშვილს უნდა დაეწერა 1 ივნისს.

ლიტერატურა:

1. ალ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. XXXVI 1964
2. გაზ. ქუთაისი 1964წ.
3. ე. მამისთვალაძე 1999 „გორის ისტორია“ II (1801-1921)
4. ზ. კიკნაძე. 1959 ალექსანდრე გარსევანიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა თბ.
5. ივანე ვარლამიშვილი. 1971 „ალექსანდრე გარსევანიშვილი“ თბ.
6. „-----“ „-----“ 1991 „მუდამ თანამედროვე“ თბ.
7. მარიამ გარიყული 1968 თბზულებანი თ. II თბ.
8. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები 1953 კრ. I. თბ.
9. ს. ვარდოსანიძე 2001წ. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ.

Natia Sinatashvili**UNKNOWN LETTER AFTER ALEKSANDER GARSEVANISHVILI**

A. Garsevanishvili was one of the vivid representative who played main role in upbringing of new generation. He was a teacher of Georgian history. translator and also he was an ed: bor.

Garsevanishvili was born in Gori in 1864 After getting primary education he continued his study in Tbilisi and finally he got high education in Moscow.

In 1888 he graduated from the University and returned in his native country. Where he started teaching history. He played very important role in development of public education because he was giving lessons without any fee and made a lot of charity.

In 1892 Garsevanishvili moved in Tbilisi Where he worked as a Russian teacher... He established membersh. Which published many books. Garsevanishvili wrote many books. Such as `Akaki tsereteli and his life`. many readers got information. about great write from this book. Other books were kept in fund of Georgia. All his books were directed to his sister sonia.

Garsevanishvili was fond of theatre.

And he had close relationship with art.

He was member of Kutaisi theatre and also he worked in every theatre in the used of Georgia.

He also had very good musical education and worked in musical schools. Doctor B. Miracov who was his private doctor said that he played He violin and great Georgian composer Z. Paliashvili played He piano with him. So the period which he spent in Kutaisi was full of excitement and discoveries in his life.

He left Kutaisi in 1923. and moved in Gori where he became director of He Gori`s Universitet, he spent all rest of his life in Gori.

Garsevanishvili was not only a teacher but also he took valuable place in development of Georgian literature and history.

He had a rich library, where he kept many books. His sister Anastasia Garsevanishvili who lived together with her brother. Kept his library after his death.

The litter was discovered in the library. Where he asked to the church to solve he guard`s problem,

because he had very close relationship with church.

Garsevanishvili's family name is directed with `icon of Okon`. Which situated in Gori. Here is a letter which was founded in Gori's church and It was writer in 1925.





To A. Garsevanishvili.
1st of May 1925 Gori.

On sundy 31-st of May. The guard of `Okoni` Sandro Samkharadze asked to the priests that he was very old and wanted he leave his work.


Instead of him was appointed Andro Khakhareishvili. but next bay Samkharadze returned and took.

Keys of church and ordered khakhaneishvili to leave.

So I ask to church, to give keys to khakhaneishvili who was appointed as a guard on is of May.



ერთი ათთაბანი



2012 წლის ზაფხულში ქუთაისის მწვანეყვავილას პანთეონის მიწამ მიიზარა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, ღირსების ორდენის კავალერის, ათეული წლების მანძილზე სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორის, ქუთაისისა და სამტრედიის საპატიო მოქალაქის – მიხეილ ნიკოლეიშვილის ნეშტი. სადად, მაღალფარდოვანი სიტყვების გარეშე გავაცილეთ იმქვეყნად ბატონი მიშა, სხვაგვარად მას არც ეკადრებოდა. იყო გულწრფელი უხმო ცრემლი, გულწრფელი ღრმა მონინება. დაკრძალვაზე ვინც მოვიდა, ყველა დიდმა სიყვარულმა მოიყვანა. არავითარი მოჩვენებითი წუხილი, არავითარი ვინმეს საამებლად გამოხატული თანაგრძნობა. ვაცილებდით მამულიშვილს, „სავსეს ქართული პატიოსნებით“. ამ ჩუმ, დიდი სევდით გაჯერებულ გამოთხოვებას გამოსვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე შეუერთდა ხარების ტაძარში შემოფრენილი მტრედი. ღვანლმოსილის ცხედარს დაფარფატებდა უფლის თეთრი ფრინველი და ცხადი ხდებოდა, რომ მიცვალებულის დამსახურებებს მიღმა გაბნეული იყო ღვთისნიერი ადამიანის მიერ ყოველდღიურ ცხოვრებაში ნათესი მადლი, რომლის წყალობითაც ჩიტის პატარა ფრთებით სული მსუბუქად მალდებოდა სასუფეველისაკენ.

ყველა ადამიანს ორი ბიოგრაფია აქვს: დანერვილი და დაუნერვილი. ხშირად დაუნერვილი დანერილზე გაცილებით მართალი, საინტერესო, სიცოცხლისუნარიანი და ზოგ შემთხვევაში სრულიად მოულოდნელიცაა. მიხეილ ნიკოლეიშვილი იმ ბედნიერ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ე.წ. მეორე ბიოგრაფია არათუ თანხვედრაშია პირველთან, არამედ ბევრად აღემატება სიკეთისა და შეუბღალავი მორალის გამოვლენის მაგალითებით. ეროვნული საგანძურის თავდაუზოგავი მცველის მუხლჩაუხრელ შრომას საფუძვლად ედო მაღალი ზნეობა, უდიდესი თავმდაბლობა და ქრისტიანული კაცთმოყვარეობა. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ბატონი მიშას გვერდით ყოფნით ვხდებოდი უფრო უკეთესი, ვიდრე მუზეუმში მოსვლამდე ვიყავი. ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩემი დირექტორი იყო და ახლა, როცა ცოცხალი აღარ არის, ვხვდები, რომ ეს არასასულიერო მოღვაწე ქრისტიანულ ცხოვრებას მასწავლიდა და პირადი მაგალითით მინერგავდა, რომ ყველა რეგალიაზე, ჯილდოსა და თანამდებობაზე მაღლა დგას მოკრძალება, უანგარობა, პატივმოყვარეობის უარყოფა და მიტევება. მიხეილ ნიკოლეიშვილმა თავისი ცხოვრების მანძილზე უამრავ განსაცდელს გაუძლო და დარჩა სპეტაკ ადამიანად. მან მუზეუმისადმი ერთგულება ყოველივე პირადულზე მაღლა დააყენა. იყო ჰუმანურიც და პრინციპულიც, თავაზიანიც და სამართლიანად მკაცრიც.

2000 წელს კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა ბატონი მიშა 21-ე საუკუნის გამოჩენილ მკვლევართა სიაში შეიყვანა. პროფესორ მიხეილ ნიკოლეიშვილს გამოქვეყნებული აქვს 15 მონოგრაფია და 300-მეტი მეცნიერული ნარკვევი. სამტრედიისა და ქუთაისის შესახებ დანერილ შრომებში მას დღის სინათლეზე გამოჰქონდა ისეთი უცნობი დოკუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ამ ქალაქების ისტორია საერთაშორისო ქრილში განიხილება. რაც დრო გადის, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მისი წიგნები – „სამტრედიის ისტორიიდან“ და „დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან“. ქუთაისის ისტორიული ძეგლების დაცვისა და ქალაქის არქიტექტურული იერსახის შენარჩუნების საკითხებზე ბატონ მიშას მიერ გამოქვეყნებული წერილების სერია არის და სამუდამოდ დარჩება ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთა სამაგიდო წიგნად.

ბატონი მიშა იყო დიდი მეცნიერიც და შესანიშნავი პედაგოგიც. ის მოღვაწეობდა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან გამოსცა სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის – „ისტორიული მხარეთმცოდნეობა“. ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდა აღიზარდა ამ წიგნზე და რამდენი მათგანი „დაავადდა“ მუზეუმისადმი უნაპირო სიყვარულით.

ასი წელი გავიდა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის დაარსებიდან და დღემდე ამ მსოფლიო მნიშვნელობის განძთსაცავის ისტორიისა და მასში დაცული მასალების შესახებ შრომები, როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივად, მიხეილ ნიკოლეიშვილის დარად არავის გამოუქვეყნებია. თაობიდან თაობას გადაეცემა წიგნები: „განძი და საგანძური“, „გელათის სახალხო აკადემია“, „ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი“, „გელათის აკადემიის კულტურული-მეცნიერული მემკვიდრეობა“ და რამდენიმე გზამკვლევი. მის ნაშრომს – „ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები“ – ან გარდაცვლილი ისტორიკოსი პ. ვაჭრიძე აყენებს დიმი. ბაქრაძის, გ. წერეთლის, მ. ბროსეს, ექ. თაყაიშვილისა და თ. ჟორდანიას პუბლიკაციების გვერდით. დიდი მეცნიერები: ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, შალვა ამირანაშვილი, ო. ჯაფარიძე, მ. ლორთქიფანიძე, ა. ბოჭორიშვილი, ა. ბარამიძე და სხვები მიხეილ ნიკოლეიშვილს, როგორც საქართველოს განძის გულშემამტკივარს, მცველს, მკვლევარსა და პოპულარიზატორს, მიიჩნევენ ექვთიმე თაყაიშვილის, სერგი გორგაძის, სარგის კაკაბაძის, გიორგი ბოჭოროძის, ტრიფონ ჯაფარიძის სადარ პიროვნებად.

ეროვნული კულტურის ძეგლების გადარჩენა-აღორძინება კომუნისტურ ეპოქაში ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. რამდენი ურთულესი საკითხი გადაჭრა ბატონმა მიშამ მუზეუმის საკეთილდღეოდ... მიხეილ ნიკოლეიშვილი ექვთიმე თაყაიშვილივით სამშობლოს ფარგლებს გარეთ თავგანწირვით არ დასდევდა კვალდაკვალ საქართველოს საუნჯეს, მაგრამ მას აქ, საქართველოში, მშობლიურ ქუთაისში უხდებოდა ბევრი ჭირ-ვარამის გადატანა საიმისოდ, რომ შენობიდან შენობაში მრავალგზის გადაბარგებისას უძვირფასესი ექსპონატები განადგურებისაგან გადაერჩინა და ერთ ადგილზე ყოფნის საკმაოდ არახანგრძლივ პერიოდში მათ დასაცავად შესაფერისი პირობები შეექმნა. ბატონ მიშას სრულიად დამსახურებულად 2002 წელს მიენიჭა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემია. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის მიხეილ ნიკოლეიშვილის მიერ განუული ღვაწლის არსი ყველაზე უკეთ უწყობდა მისმა სულიერმა ძმამ — პეტრე ვაჭრიძემ და სწორედ მან უწოდა მიხეილ ნიკოლეიშვილს მეჭურჭლეთუხუცესი. ბატონმა მიშამ საბჭოთა ეპოქაში ფაქტიურად შეუძლებელი შეძლო: XVII საუკუნეში შეწყვეტილი გელათის აკადემიის საქმიანობა მისი თაოსნობით 1970 წელს აღდგა გელათის სახალხო აკადემიის ფორმით. იქ ლექციებს კითხულობდნენ მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი და უცხოელი მეცნიერები. მიხეილ ნიკოლეიშვილი უღალატოდ ემსახურებოდა ეროვნულ საქმეს და ამქვეყნიდან ვალმოხდილი წავიდა. იგი თავისი ცხოვრების წესით სამოციანელთა ჭეშმარიტი მემკვიდრე იყო.

ბატონ მიშას მე სიცოცხლეშივე ვუწოდებ ერთი ათთაგანი. აბრაამის სამი სტუმარი, ორი ანგელოზი და თვითონ ღმერთი, სოდომ-გომორის მიწასთან გასასწორებლად მიდიოდნენ. ათ მართალ ადამიანს შეეძლო ამ ქალაქების გადარჩენა, მაგრამ ამ დაწყევლილ ქალაქებში ისინი არ მოიძებნენ. არ ვიცი, რამდენი ასეთი ათეული ცხოვრობს დღევანდელ საქართველოში, მაგრამ ზუხტად ვიცი, რომ მიხეილ ნიკოლეიშვილი ერთი იმ ათთაგანი იყო, რომელთა ზნეობაზეც დგას საქართველო. ღმერთმა უმრავლეს ჩვენს ქვეყანას ასეთი პიროვნებები. ბატონი მიშას სული შეუერთდა სახელოვან წინაპართა დასს. მაღლობელი ვარ ღმერთის, რომ საუკუნის მეოთხედზე მეტი ამ ღირსებით სავსე ადამიანის გვერდით გავატარე.

ღვანულადი მუზეუმი



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, შრომის ვეტერანი, მუზეუმის საპატიო წევრი, ქალბატონი ლონდა ჯიქია.


ქალბატონი ლონდა იყო რეპრესირებული ოჯახის შვილი. მიუხედავად ამისა, მას არასოდეს უცხოვრია შურისძიების განცდით, პირიქით, მთელი ცხოვრება სიკეთის გზით განვლო. იგი გახლდათ მუზეუმის არქეოლოგიური ფონდის დამფუძნებელი. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მოეწყო ჩვენს მუზეუმში რამდენიმე სტაციონალური და დროებითი გამოფენა, რამაც მაღალმეცნიერულ დონეზე წარმოაჩინა ქუთაისის მხარის

მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

ქალბატონი ლონდა იყო ქუთაისის, ვანისა და კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაწილე, მრავალი სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიის ავტორი. ნახევარი საუკუნე ის უანგაროდ ემსახურებოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მუზეუმის ახალი თაობის აღზრდის საქმეს. ლონდა ჯიქია გახლდათ უაღრესად კულტურული, ერუდირებული ადამიანი, გულისხმიერი პიროვნება და თანამშრომლებში სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტით.

ყველა ჩვენგანისათვის ძალიან დიდი დანაკლისია ქალბატონი ლონდას გარდაცვალება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ომარ ლანჩავა - ქუთაისის „დიდი ბაზილიკა“
OMAR LANCHAVA - Kutaisi Great Basilica



სურ. 1. დიდი ბაზილიკის გეგმა



სურ. 2. სანათლავის სარიტუალო ღვარსადენი (IV ს)



სურ. 3. საკარე ზღურბლის ნაშთი ჩრდ. კედელში



სურ. 4. სიგნიანი საკარე ზღურბლი



სურ. 5. ბაზილიკის კედლის ფრაგმენტი (IV ს)



სურ. 6. წყობის ხასიათი (IV ს)









სურ. 7. ადრექრისტიანული ხანის ანტიფიქსი



სურ. 8. ადრექრისტიანული ხანის დერგის ფრაგმენტი

მარინე შირცხალავა, ომარ ლანჩავა - ადრეანტიკური ხანის სამარხის ნაშთები ზესტაფონიდან
MARINE PIRTSKHALAVA, OMAR LANCHAVA - The remains of the 5th c. B. C. grave from Zestaphoni



ნონა ქარციძე - ახალი მასალები მოჭიქული კერამიკის წარმოებისათვის ქუთაისიდან
NONA KARTSIDZE - New Materials on the Manufacturing the glazed Ceramics from Kutaisi



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

ქეთევან დიღმელაშვილი - თევზის ქრისტიანული სიმბოლოს საქართველოში გავრცელების საკითხისათვის
KETEVAN DIGMELASHVILI - On Distribution of the Christian Fish Symbol in Georgia



სურ. 1




სურ. 2




სურ. 3




სურ. 10



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9

შალვა ბუაძე - პირველი არქეოლოგიური ექსპონატები ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიდან
SHALVA BUADZE - The first archaeological exhibit in the from Kutaisi State Historical Museum



სურ. 1



სურ. 2




სურ. 3



სურ. 4




სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8

დავით ბერძენიშვილი - თიხის პანაღია
DAVID BERDZENISHVILI - Clay Panagia



სურ. 1



სურ. 2

ქეთი უგლავა - ქუთაისის მუზეუმში დაცული მძივები
KETI UGLAVA - Beads from Kutaisi Historical Museum



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

ანა დოღონაძე, თამარ მოსეშვილი
ქართული ეროვნული ხელთნაქსოვი ტექსტილი
ANNA DOGONADZE, TAMAR MOSESHVILI
GEORGIAN NATIONAL WEAVING



დავით სულაბერიძე - ქართული ოქრომჭედლობის ადრეული ეპოქის ნიმუშები ქუთაისის მუზეუმში
DAVID SULABERIDZE - Georgian Goldsmith Samples of Early Period from Kutaisi Museum



სურ. 1 - ხატი ღმრთისმშობლის, ლეზი



სურ. 2 - ხატი მთავარანგელოზების, ხარაგაული



სურ. 3 - სამწერობელი, შორაპანი



სურ. 4 - ხატი მაცხოვრის, ჯახუნდერი

ნინო სარავა - ვედრების ტიპის ღვთისმშობლის ხატები
NINO SARAVA - Images of the Mother of God of Deisis



სურ. 1 - კონსტანტინეპოლი მე-12 ს.



სურ. 2 - ვარძიის ღმრთისმშობლის ხატი



სურ. 3 - თაბორის ღმრთისმშობლის ხატი, XVI ს.



სურ. 4 - ხახულის კარედის სათავე ხატი, X ს.



სურ. 5 - გელათის ხატი, XVI ს.




სურ. 6 - სოფ. წითელხევის დევიძეების ეკლესიის ხატი XVIII-XIX სს.

სალომე შალიკიანი

იან პაევსკის მოღვაწეობის ისტორიისათვის

SALOME SHALIKIANI

For the History of Jan Paevsky's Work for Public Good



სურ. 1 - მთავარმმართველ გ. გალიცინის ჩამოსვლა თბილისში



სურ. 2 - ქუთაისის ბაღი ზაფხულში



სურ. 3 - გურული გოგონა




სურ. 4 - მაგდანას ლურჯა

ელისო ჩუბინიძე
ორნამენტული დეკორი და ქრისტიანული სიმბოლიკა საბუხართა ძველ ქართულ ნაქარგობაში
ELISO CHUBINIDZE

Ornamental decoration and christian symbols on "sabukhre"-pieces of ancient georgian embroidery



ეკატერინე ყელაურაძე - რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდი
EKATERINE KELAURADZE - The Fund of Maps and Technical Draughts



რუკა კავკასიაში ციების გავრცელების

ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ატლასი

მაია კებულაძე
უნიკალური მინიატურა ქუთაისის
მუზეუმის ხელნაწერში
MAIA KEBULADZE
Unique Miniature in Kutaisi
Museum Script



ნანა ეპაძე, ელიზა გიორგობიანი
არქეოლოგიური კერამიკული ნაკეთობების რესტავრაცია - კონსერვაციის საფუძვლები
NANA EPADZE, ELIZA GIORGOBIANI
BASICS TO THE RECONSTRUCTION-CONSERVATION OF THE ARCHEOLOGICAL CERAMIC



ელიზა გიორგობიანი
რესტავრაცია-კონსერვაციის როლი სამუზეუმო ექსპონატების დაცვის საქმეში
ELIZA GIORGOBIANI
The role of restoration-conservation in protecting museum exhibits



ციცინო მუმლაძე - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაერთა ფონდი
TSITSINO MUMLADZE - Manuscripts of Kutaisi State Historical Museum



ოთხთავი K - 182 - XII ს.



ოთხთავი K - 76 - 1060 წ.



სჯულის კანონი K - 25 - XIII ს.



მაქსიმე აღმსარებელი K - 14 - XII ს.



იოანე ქსიფილინოსი K - 1-5 წიგნი - XVI ს.

მანანა ბაკურაძე

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული საცეცხლურები და მათი რესტავრაცია-კონსერვაცია
MANANA BAKURADZE

Reservation and Conservation of Defended Censers of Kutaisi Historical Museum



გელათური საცეცხლური რესტავრაციამდე



გელათური საცეცხლური რესტავრაციის შემდეგ



სოლომონის საცეცხლური რესტავრაციამდე



სოლომონის საცეცხლური რესტავრაციის შემდეგ



სპილენძის საცეცხლური რესტავრაციამდე



სპილენძის საცეცხლური რესტავრაციის შემდეგ



მოოქროვილი საცეცხლური რესტავრაციამდე



მოოქროვილი საცეცხლური რესტავრაციის შემდეგ

შინაარსი CONTENTS

არქეოლოგია Archaeology

ომარ ლანჩავა ქუთაისის „დიდი ბაზილიკა“	11
Omar Lanchava KUTAISI GREAT BASILICA	14
მარინე ფირცხალავა, ომარ ლანჩავა აღრეანტიკური ხანის სამარხის ნაშთები ზესტაფონიდან	16
Marine Pirtskhalava, Omar Lanchava THE REMAINS OF THE 5TH C. B. C. GRAVE FROM ZESTAPHONI	24
ნონა ქარციძე ახალი მასალები მოჭიპული კერამიკის წარმოებისათვის ქუთაისიდან	25
Nona Kartsidze NEW MATERIALS ON THE MANUFACTURING THE GLAZED CERAMICS FROM KUTAISI	28
ქეთევან დიღმელაშვილი თევზის ქრისტიანული სიმბოლოს საქართველოში გავრცელების საკითხისათვის (ბეგების მაგალითზე)	29
Ketevan Digmelashvili ON DISTRIBUTION OF THE CHRISTIAN FISH SYMBOL IN GEORGIA (AS EXAMPLIFIED BY GEMS)	36
შალვა ბუაძე პირველი არქეოლოგიური ექსპონატები ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიდან	37
Shalva Buadze THE FIRST ARCHAEOLOGICAL EXHIBIT IN THE FROM KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM	41
დავით ბერძენიშვილი თიხის პანაგია	43
David Berdzenishvili CLAY PANAGIA	46
ლონდა ჯიქია ქუთაისის მიღამოების უძველესი გორა-ნამოსახლარები	48
Londa Jiqia ANCIENT ARTIFICIAL HILL-SETTLEMENTS IN KUTAISI	53
დავით დვალიშვილი თეთრაბინის მასალები ქუთაისის მუზეუმიდან	56
David Dvalishvili MATERIALS OF TETRAMITSA FROM KUTAISI MUSEUM	61

ქეთი უგლავა ქუთაისის მუზეუმში დაცული მძივები	63
Kate Uglava BEADS FROM KUTAISI HISTORICAL MUSEUM	66
ირინე ქუთათელაძე ქუთაისის მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი	68
Irine Kutateladze ARCHEOLOGICAL STOCK OF THE MUSEUM	71
ხელოვნების ისტორია History of Art	
დავით სულაბერიძე ქართული ოქრომჭედლოვის ადრეული ეპოქის ნიმუშები ქუთაისის მუზეუმში (ნაწილი I)	75
David Sulaberidze GEORGIAN GOLDSMITH SAMPLES OF EARLY PERIOD FROM KUTAISI MUSEUM	82
ნინო სარავა ვეფრიკის ტიპის ღვთისმშობლის სატიები	83
Nino sarava IMAGES OF THE MOTHER OF GOD OF DEISIS	85
სალომე შალიკიანი ინ პაევსკის მოღვაწეობის ისტორიისათვის	87
Salome Shalikian FOR THE HISTORY OF JAN PAEVSKY'S WORK FOR PUBLIC GOOD	90
ანა დოღონაძე, თამარ მოსეშვილი ქართული ეროვნული ხელთნაქსოვი ტექსტილი	94
Ana Dogonadze, Tamar Moseshvili GEORGIAN NATIONAL HANDMADE TEXTILE	96
ელისო ჩუბინიძე საბუხართა ორნამენტული დეკორი და ქრისტიანული სიმბოლიკა კველ ქართულ ნაქარგობაში	98
Eliso Chubinidze ORNAMENTAL DECORATION AND CHRISTIAN SYMBOLS ON "SABUKHRE"-PIECES OF ANCIENT GEORGIAN EMBROIDERY	108
ელეონორა გოგოლაშვილი ვასილ ამაშუკელი — დიდი მებატიანი	110
Eleonora Gogolashvili VASIL AMASHUKELI – THE GREAT HISTORIAN	113

ისტორია History

პეტრე ვაჭრიძე	
ბაგრატის ტაძრის ისტორიიდან	121
გურამ გაბუნია, ლია გაბუნია	
ქუთაისი და „ქუთაისის სამოქალაქო“ --- ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი, მისი ისტორიულ-კულტურული პროფილი	135
Guram Gabunia, Lia Gabunia	
KUTAISI AND “KUTAISI CIVIC COUNCIL” AS AN IMPORTANT CULTURAL CENTER, ITS HISTORICAL AND CULTURAL PROFILE	142
ლია გაბუნია	
ბანათლების ისტორიას პიროვნებები ძმინან (მელიტონ კელენჯერიძე)	147
Lia gabunia	
PERSONALITIES MAKE HISTORY OF EDUCATION /MELITON KELENJERIDZE/	151
ჯამბულ ქაშიბაძე	
სვანთა „ავად მოხარკულობის“ საკითხისათვის ფოთალური სანის საქართველოში	156
Jambul Qashibadze	
FOR MARAUDING ISSUE OF SVANETI IN FEUDAL PERIOD	161
ნელი უგრეხელიძე	
XII-XIII საუკუნეების ქართველ მეფეთა მონეტები ქუთაისის მუზეუმში	162
Neli Ugrekheldze	
COINS OF THE 12 TH - 13 TH CENTURY GEORGIAN KINGS IN KUTAISI MUZEUM	166
მაია საჩკოვი	
მეფე ერეკლე II-ისა და აკად. ი. ა. გიულდენშტედტის თანამშრომლობის ისტორიისათვის	168
Maya Sachkova	
FOR THE HISTORY OF THE COOPERATION BETWEEN KING EREKLE II AND ACADEMICIAN I. A. GIULDENSHTEDT	173
რუსუდან მიქაუტაძე	
ქუთაისური პრესა “ქალთა საკითხის “ შესახებ	176
Rusudan Miqautadze	
KUTAISI PRESS ABOUT WOMEN'S ISSUES	181
კახაბერ ქებულაძე	
ანტირელიგიური მოძრაობა ქუთაისის მაზრაში XX საუკუნის 20-იან წლებში	183
Kakhaber Kebuladze	
ANTIRELIGIOUS MOVEMENT IN KUTAISI MAZRA IN THE TWENTIES OF 20 TH CENTURY	189
ციცინო მუმლაძე	
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი	198
Tsitsino Mumladze	
MANUSCRIPTS OF KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM	204

ეკატერინე ყელაურაძე რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდი	208
Eketerine Kelauradze THE FUND OF MAPS AND TECHNICAL DRAUGHTS	211
ნინო კუხიანიძე ზაქარია ძვარციანის სიბედი	214
Nino Kukhianidze CERTIFICATE OF ZAQARIA QVARIANI	219
მაია ქებულაძე უნიკალური მიწათმფლობელის ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი	220
Maia Kebuladze UNIQUE MINIATURE IN KUTAISI MUSEUM SCRIPT	232
მზია ზარნაძე პაპუნა წერეთლის ფოტოკოლექცია	233
Mzia Zarnadze PHOTOCOLLECTION OF PAPUNA TSERETELI	237
ნადეჟდა ხარშილაძე ლინგვოკულტურული მემკვიდრეობა, როგორც უცხო ენის შესწავლის ერთ-ერთი ასპექტი	240
Nadezhda Kharshiladze LINGVOCULTUROLOGY AS AN ASPECT OF TEACHING OF A FOREIGN LANGUAGE	242
მაია მარჯანიშვილი სამხრეთ ამერიკაში ვიქტორ ნოზაძის ლიტერატურულ-მეცნიერული მოღვაწეობა	245
Mariam Marjanishvili LITERARY AND SCIENTIFIC WORK OF VIKTOR NOZADZE IN SOUTH AMERICA	249
თინათინ ლეთოდანი გერმანელი მკვლევარები და მოგზაურები საქართველოში	251
Tinatin Letodiani GERMAN RESEARCHERS AND TRAVELLERS IN GEORGIA	260

ეთნოლოგია Ethnology

მირიან სტეფანია წყლის მოძიების და გამოყვანის ხალხური წესები გვიანი ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (ოკრიბის მასალების მატალიტი)	265
Mirian Stephania WATER SUPPLY SYSTEM FOR THE POPULATION IN THE WEST GEORGIA DURING THE LATE FEUDAL TIMES (ACCORDING TO THE MATERIALS OF OKRIBA- ONE OF THE PARTS OF THE REGION UNDER STUDY)	274
პაატა ჯაფარიძე კვირის დღეების ქართველური დასახელებანი, აღმოსავლური შესატყვისები და მათი ტოპონიმური პარალელები	276

Paata Japaridze

GEORGIAN APPELLATIONS OF WEEKDAYS, ORIENTAL CORRELATIVES AND THEIR
TOPONYMIC PARALLELS 281

დათო შავიანიძე

ოკრიბელთა ხალხურ-ეკოლოგიური გამოცდილება
(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) 285

Davit Shavianidze

FOLK - ENVIRONMENTAL EXPERIENCE OF OKRIBIANS
(ACCORDING TO THE ETHNOGRAPHIC MATERIAL) 288

ქეთინო ზაუტაშვილი

ოდა სახლის ინტერიერი 290

Ketino Zautashvili

OLD DWELLING'S INTERIOR ("ODA" HOUSE'S INTERIOR) 293

მარგალიტა მსხილაძე

ბამბის, შალის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილების დამზადების ტრადიცია იმერეთში 296

Margarita Mskhiladze

COTTON, WOOLEN, SILK AND LINUM FABRIC MANUFACTURE IN IMERETI 300

მარგალიტა მსხილაძე, ირინა უგრეხელიძე

ნაზღის წარმოების ხალხური ტრადიციები საქართველოში 302

Margalita mskhiladze, Irina ugrekheldze

FOLK TRADITIONS MANUFACTURING OF BURQA 305

რესტავრაცია Restoration

მანანა ბაკურაძე

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული საცემსაშენო და
მათი რესტავრაცია-კონსერვაცია 309

Manana Bakuradze

RESERVATION AND CONSERVATION OF DEFENDED CENSERS
OF KUTAISI HISTORICAL MUSEUM 315

ნანა ევაძე, ელიზა გიორგობიანი

არქეოლოგიური კვლევების ნაპოვნობის რესტავრაცია კონსერვაციის
საფუძვლები 317

Nana Epadze, Eliza Giorgobiani

BASICS TO THE RECONSTRUCTION-CONSERVATION OF THE ARCHEOLOGICAL
CERAMIK 320

ელიზა გიორგობიანი

რესტავრაცია-კონსერვაციის როლი სამუზეუმო ექსპონატების დაცვის საქმეში 321

Eliza Giorgobiani

THE ROLE OF RESTORATION-CONSERVATION IN PROTECTING MUSEUM EXHIBITS 322

ბიბლიოგრაფია Bibliography

ცისია გრიგოლავა	
ილია ბახტაძის ბიბლიოთეკა (ისტორიულ მუზეუმში დაცული)	325
Tisia Grigolava	
ILIA BAKHTADZE LIBRARY	329
ციცინო ლელაძე	
ჩვენი ქალაქის აღმინაობი – შოთა კაკაბაძე	330
Tsitsino Leladze	
THE PEOPLE OF OUR CITY - SHOTA KAKABADZE IS 87 YEARS OLD	331
ნათია სინატაშვილი	
აღუძსანდრე ბარსევანიშვილის უცნობი წერილი	333
Natia sinatashvili	
UNKNOWN LETTER AFTER ALEKSANDER GARSEVANISHVILI	336

